


ახალგაზრდა მწერლის

პატარა  
პიერა



სიმონოვიჩის  
ყვანადობა



„ნაგაღული“

თბილისი

1981

4(Фр)  
84—3  
ფ878 —


ანატოლ ფრანსის „პატარა პიერი“ და „სიცოცხლის ყვავილობა“ ავტობიოგრაფიული სასიათის ნაწარმოებებია. ოღონდ გოეთეს ცნობილი „პოეზიისა და სინამდვილის“ მსგავსად, მათშიაც ოსტატურადაა შერწყმული გამონაგონი და სიმართლე. თვით ავტორისავე აღიარებით, გამონაგონი სცენები მხოლოდ სასიათთა უკეთ გამოკვეთის მიზნითაა ჩართული; ამავე დროს ეს საყვარელ ლანდებთან ლაციციცაა, ასე რომ უხალისებდა გულს მსცოვან მწერალს.

შრანგულიდან თარგმნა  
ნესტან იორდანიშვილმა

TRADUITS DU FRANÇAIS  
par NESTANE IORDANICHVILI

© „ნაკადული“ 1981

Ф 70304—69 116—81  
M603(08)—81



ॐ नमो भगवते वासुदेवाय  
ॐ नमो भगवते वासुदेवाय

ძღვნად ჩემს სიყრმის მეგობარს  
ლეოპოლდ კანს\*

1914 წლის 30 ოქტომბერს შვეონ-სუპი-  
რის ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი და უგზო-  
უკელოდ დაკარგული მისი ვაჟის — ლეიტე-  
ნანტ ჟაკ კანის მოსაგონებლად.

ა. ფ.



## I

### INCIPE, PARVE PUER, RISU COGNOSCERE MATREM<sup>1</sup>

დედა ხშირად მიამბობდა იმ ამბებზე, ჩემი გაჩენის დღეს რომ მოხდა. მაგრამ ეს ამბები ისე მნიშვნელოვნად არ მჩვენებია, როგორც თავად ჰქონდა წარმოდგენილი, დიდი ყურადღებაც არ მიმიქცევია და თანისთან მიმავეიწყდა კიდევც.

როდესაც ყრმა იბადება სახლში,  
ბებიქალს ეძახიან მაშინ;  
გროვდებიან მეზობლებიც წამში...

სხვათაგან მსმენია და შემძლია თქვენც მოგახსენოთ, რომ ლუი-ფილიპის მეფობის ბოლოს ეს ჩვეულება, რომელზედაც ძველ პარიზულ ლექსშია ლაპარაკი, მთლად მივიწყებული არ ყოფილა. ქალბატონ ნოზიერის ოთახშიაც ამ დღეს ბევრ ბანოვანს მოეყარა თავი; ჩემს ქვეყნად მოსვლას ელოდნენ. აპრილი იდგა, გრილოდა. ჩვენი უბნის ქალები: წიგნის გამყიდველის მეუღლე — ქალბატონი კომონი, ქვრივი დიუზიუელი, ქალბატონი დანკენი და ერთი-ორი სხვა დედაკაციც ბუხარში შეშას უკეთებდნენ და შემთბარ ღვინოს წრუპავდნენ. ესენი აქ ამ ყოფაში იყვნენ, დედაჩემი კი საშინლად იტანჯებოდა.

— იყვირეთ, ქალბატონო ნოზიერ; რაც ძალი და ღონე გაქვთ, იყვირეთ და გულზე მოგუშვებათ, — ეუბნებოდა ქალბატონი კომონი.

<sup>1</sup> ყრმავ, შობიდანვე დიმილით შეიცან მშობელი შენი (ლათ.) — ვერჯილიუსი. ბუკოლიკები, IV ეკლოგი, ლექსი 60. (ლექსების თარგმანი „პატარა ბიერში“ ეკუთვნის ლალი გულისაშვილს).

ქალბატონმა დიუზიუელმა ვერავინ დაუტოვა თავისი თორმეტი წლის ქალი—ალფონსინა და ისიც თან წამოიყვანა, მაგრამ ოთახიდან ყოველ წუთს აგდებდა: ასეთი ნორჩი ასულის თვალემა ბავშვის ქვეყნად მოსვლა რომ ნახოს, დიდი უხამსობა იქნებაო.

სტუმარ ქალთაგან სიტყვაძუნწი არც ერთს არ ეთქმოდა და თურმე გაუთავებლად ყაყანებდნენ, როგორც ძველ დროში სჩვეოდათ ხოლმე. ქალბატონი კომონი ენაწყლიანად ყვებოდა ავი თვალის ამბებს, თუმცა დედას ეს ძალიანაც არ სიამოვნებდა. ერთმა ჩემმა ნაცნობმა ქალმა ორსულობაში მთლად უფეხო კაცი ნახა, საწყალს ორთავ ხელში „უთოები“ ეჭირა და მოწყალეობას თხოულობდაო. მერე თვითონაც უფეხო ბავშვი შეეძინაო. ისიც გვიამბო, მე თვითონაც, ნოემიზე რომ ვიყავი ორსულად, კურდღელი გამომიხტა ჩირგვებიდან, ძალიან დამაფრთხო და ჩემს შვილსაც წაწვეტებული და აცქვეტილი ყურები იმიტომ გამოჰყვაო.

შუალამისას მშობიარეს ტკივილები გაუყუჩდა და შეტევიბიც აღარ განახლებია. ეს მით უფრო საშიში იყო, რომ ამ რაჰდენიმე ხნის წინათ მკვდარი ბავშვი დაბადა და კინაღამ თვითონაც მუტელს გადაჰყვა. ქალები ერთად აყაყანდნენ, არა ეს აჯობებს და არა ესო; მოხუცმა მათიასმა, ჩვენმა მოსამსახურემ, აღარ იცოდა, ვისთვის დაეგდო ყური. გაფითრებული მამაჩემი ყოველ ხუთ წუთში ერთხელ შემოდის ოთახში და ისევ უსიტყვოდ გადიოდა. თვითონაც ექიმი იყო, მარჯვე პრაქტიკოსი, თუ გაჭირდებოდა, მეანობასაც ჩინებულად ართმევდა თავს, მაგრამ თავისი ცოლის მშობიარობაში ჩარევას ვერ ბედავდა და კაბანისის\* მოწაფეს, მოხუც ფურნიეს უხმო საშველად. ღამით დედაჩემს შეტევიბი ისევ განუახლდა.

დილის ხუთ საათზე კი მეც გავჩნდი ამქვეყნად.

— ბიჭია, ბიჭი! — დაიძახა მოხუცმა ფურნიემ და დედაკაცებმაც ერთხმად იხუვლეს, აკი ვამბობდითო.

ქალბატონმა მორენმა დიდი ღრუბელი მოარბენინა და სპილენძის ტაშტში გამბანა. ეს სცენა ძველებურ ნახატებს შოაგონებდა კაცს, სადაც მაცხოვრის შობაა გამოხატული. თუმცა, სიმართლე თუ გნებავთ, ახლადშობილი სამურაბე ტაშ-

ტში გამბანეს. ქალბატონმა მორენმა შენიშნა, მარცხენა თე-  
ძოზე ხალი აქვსო და დაიჟინა, ეს ხალი ბიჭს იმიტომ დაჰყვა,  
რომ დედაძმის ორსულობისას მამიდა შოსონის ბაღში ალუ-  
ბალზე წასვლიათ სული. მოხუც ფურნიეს ცრუმორწმუნეობა  
ჭირის დღესავით ეჯავრებოდა და მაშინვე პირში სწვდა: მად-  
ლობა ღმერთს, ქალბატონი ნოზიერი ასეთ პატარა რამეს დას-  
ჯერებია, თორემ სამკაულები, ფრთები, ქიშმირი, ოთხცხენიანი  
ეტლი, საცხოვრებელი, ციხე-კოშკი და პარკი რომ ენატრა,  
ბიჭის ერთი ციდა სხეული ამდენი ნატვრის კვალს ვერც კი  
დაიტევდაო.

— რაც გნებავთ, თქვით, ექიმო და, — მიუგო ქალბატონმა  
კომონმა, — ჩემმა დამ, მალვინამ, ფეხმძიმედ რომ იყო, შობა  
ღამეს სადღესასწაულო სუფრაზე დაჯდომა ისურვა და მის  
ქალიშვილსაც...

— რომ დაიბადა, ცხვირის მაგივრად ძეხვი ჰქონდა გამობ-  
მული, არა? — გააწყვეტინა ექიმმა.

შერე ქალბატონ მორენს მიუბრუნდა და დაარიგა, ბაღს  
სახევეებს მაგრად ნუ მოუჭერთო.

მე კი ამასობაში თურმე ისე ვყვიროდი, რომ შეშინდნენ  
კიდეც, არ გაიგუდოსო.

ქარხალივით წითელი ვიყავი და ყველა იმას გაიძახოდა,  
საძაგელ პაწია მხეცსა ჰგავსო. დედაჩემმა ჩემი ნახვა ისურვა;  
ლოგინიდან წამოიწია, ხელები გამოიწვდინა ჩემკენ, გამიღიმა  
და დაღლილ-დაქანცული კვლავ ბალიშებზე გადაესვენა. ასე  
და ამრიგად მის მოალერსე და წმიდა ბაგეთაგან საღმის ნიშ-  
ნად მივიღე ეს ღიმილი, ურომლისოდაც, პოეტის თქმით,  
ყმაწვილი არაა არც ღმერთთა სუფრისა და არც ქალღმერთთა  
სარეცლის ღირსი.

ჩემი დაბადების დღეს მომხდარ ამბავთა შორის ყველაზე  
მნიშვნელოვნად ის მომეჩვენა, რომ გვერდით ოთახში, ზუსტად  
იმ დროს, როცა მე დავიბადე, ძველ ფარდაზე პუკიც გაჩნდა.  
ამ პუკს შემდეგ კერი შევარქვით. დედამისი, ფინეტი, თუმცა  
ჯიშისანი ძალღი არ ეთქმოდა, დიდად საზრიანი რამ იყო.  
მამაჩემის ძველი მეგობარი, ლიბერალური რეფორმების მომხ-  
რე ბატონი ადელსტან ბრიკუ მღაბიოთა გონიერებას როს  
ხობტას ასხამდა, მაგალითად სწორედ ჩვენი ფინეტი მოჰყავ-

და ხოლმე. პუკი თავის ყავისფერ და ჩახუჭუჭებულ დედას სულაც არ ჰგავდა; თაფლისფერი ბეწვი ჰქონდა, მოკლე და ხეშეში, მაგრამ დედისგან მდაბიური ქცევა და გამჭრიახობა დაჰყვა. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით და მამაჩემი იძულებული იყო ელიარებინა, რომ მის ძალს უფრო ადრე გაეხსნა გონება, ვიდრე მის შვილს და მთელი ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაში პუკი უკეთ იცნობდა ბუნებასა და ცხოვრებას, ვიდრე პატარა პიერ ნოზიერი. ეს აღმოჩენა სამძიმო შეიქნა მისთვის, რადგან, ჯერ ერთი, მამა იყო და მეორეც — ღრმად გახლდათ დარწმუნებული, რომ ცხოველებს არ გააჩნიათ იმ სიბრძნის ნატაძალიც კი, რომელსაც ადამიანს ასე უხვად მომადლებს ბუნება.

ნაპოლეონს წმიდა ელენეს კუნძულზე ძალიან გაჰკვირვებია, როცა შეუტყვია, რომ მისი ექიმი ო' მეარა მორწმუნე კაცი იყო. მამაჩემს რომ შეხვედროდა საღმე, ნახავდა სპირიტუალისტ ექიმს, რომელსაც ღმერთიც სწამდა და სულიც და მტკიცედ სჯეროდა, ღმერთი ქვეყნისგან განცალკევებით ცხოვრობს ისევე, როგორც სული სხეულისაგან მოშორებითო.

— სულიო, — ამბობდა იგი, — არსია, სხეული — გარეგნული საფარველი. თვითონ სიტყვებიც მიგვითითებენ: გარეგნული მსაა, რაც თვალით მოჩანს, არსი კი მუდამ დაფარულია ხოლმე.

საუბედუროდ, მე მეტაფიზიკისადმი ინტერესი ჩემს დღეში არ გამომიჩენია. ჩემი გონება მამაჩემისას გამოემსგავსა ისევე, როგორც ის თასი ქალის ძუძუ-მკერდს, ერთმა მოქანდაკემ თავისი სატრფოს მკერდის მიხედვით რომ ჩამოასხა; ის, რაც საამურად ამობურცული იყო, ჩაღრმავებული გამოვიდა. მამაჩემს ადამიანის სულსა და მის დანიშნულებაზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა; სული ცისათვის გაჩენილად მიაჩნდა; ეს რწმენა ოპტიმიზტად აქცევდა, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში სერიოზული და ზოგჯერ პირქუშიც კი ჩანდა. ლამარტინისა არ იყოს, ისიც იშვიათად იცინოდა, ხუმრობა არ ესმოდა, კარიკატურა თვალის დასანახავად ეჯავრებოდა და ვერც რაბლესა და ვერც ლაფონტენის ეშხს ვერა სწვდებოდა. თხემით ტერფამდე პოეტური მელანქოლიის საბურველში იყო გახვეული: მართლაც რომ თავისი საუკუნის პირმშო შვილი იყო; თავისი დროის შვილი იყო ჭკუითაც და ხასიათითაც; თმის



ვარცხნილობაცა და ტანსაცმელიც რომანტიკული ჰქონდა. მისი თაობის ხალხი თმას ისე იყენებდა, თითქოს ქარს აუწეწიაო. ცხადია, ასე საგულდაგულოდ ივარცხნიდნენ; მაგრამ რომ შეხედავდით, იტყოდით, ქარიშხალში მოჰყოლიან და ქარტეხილებთან მედგარი ბრძოლა გამოუვლიათო. მამაჩემიც, თუშცა ბუნებით მოკრძალებული კაცი იყო, მელანქოლიასა და ქარტეხილებს თავისებურად მაინც ხარკს უხდიდა.

სულ მის მიბაძვაში ვიყავ და ბოლოს მხიარული პესიმისტი შევიქენ, რაკი იგი მელანქოლიურად განწყობილი ოპტიმისტი გახლდათ. ყველაფერში ანგარიშმიუცემლად ვეწინააღმდეგებოდი. რომანტიკოსების დარად მასაც მოსწონდა ყოველივე ბუნდოვანი და განუსაზღვრელი. მე კი კლასიკური ხელოვნების ნატიფი გონიერება და საუცხოო წესრიგი შემეყვარდა. რაც დრო გადიოდა, ეს განსხვავება უფრო თვალში საცემი ხდებოდა და მშვიდობიანი საუბარიც, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა, მაგრამ ერთურთის სიყვარული არ გაგვენლებია. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ჩემი სანიმუშო მამისაგან ქვეყნის სიკეთე და აუარება ნაკლი დამყვა.

დედაძ, თუშცა ბევრი რძე არა ჰქონდა, მაინც დაიყინა, ჩემს შვილს ძუძუ თვითონ უნდა ვაწოვოო და ჟან-ჟაკის\* შიძდევარძა მოხუცმა ფურნიემაც ნება დართო. დედა ცას ეწია სიხარულით. დედის რძე ძალიან შემერგო და ნამდვილად ბედი მეწია, თუკი მართალია ხალხის ნათქვამი: ზნეს ყმაწვილი დედის რძესთან ერთად შეითვისებსო.

დედაჩემი მომხიბვლელი ჰკუთის პატრონი და დიდბუნებოვანი ქალი გახლდათ. ლამაზი სული ჰქონდა და ჭირვეული ხასიათი. მეტისმეტად მგრძნობიარე და მოსიყვარულე იყო, აღვილად იცოდა აღელვებაც; თავის თავში სიმშვიდეს ვერა კპოვებდა და სარწმუნოება გაეხადა მყუდრო ნაესაყუდელად. ლოცვითა და მარხვით მაინცდამაინც თავს არ იგვემდა, მაგრამ ღრმად მორწმუნე კი გახლდათ. სიმართლე თუ გნებავთ, ჯოჯოხეთის არსებობა არცა სჯეროდა; მაგრამ თავის აზრს ჭიუტად არ ადგა, არც თვალთმაქცობდა და მისი მოძღვარი აბატი მონიეც ზიარებაზე უარს არ ეუბნებოდა. ბუნებით მხიარული იყო, მაგრამ უსიხარულო ბავშვობამ, ოჯახის საზრუნავმა და დედობრივმა სიყვარულმა, ვნებად რომ ქცეოდა, ხასიათი

წაუხდინა და საღ-სალამათ ქალს ჯანიც საგრძნობლად შეურ-  
ყია. მეც გამიმწარა ბავშვობა თავისი კაეშნითა და ცრემლთა  
ღვრით. ისე ვუყვარდი, ჰკუა ერეოდა, თუმცა სხვა ყველაფერ-  
ში გონების სიცხადესა და სიმტკიცეს ინარჩუნებდა. ლამის  
ენატრა, ნეტა სულაც არ გაიზარდოსო, ისე უნდოდა სულ  
კალთაზე ვყოლოდი გამობმული; და თუმცა სულ იმის ნატე-  
რაში იყო, გენიოსი გამოვსულიყავ, უზაროდა, რომ ჯერ კიდევ  
ბრწყვი ვიყავ და ყველაფერში მისი შემწეობა მჭირდებოდა.  
ჩემს ნებაზე არასოდეს მიშვებდა, ყველაფერს ეჭვის თვალით  
უმზერდა; სულ იმის შიშში იყო, უჩემოდ ბაღღმა რაიმე ხი-  
ფათი არ აიტეხოსო და მოსვენება დაკარგული ჰქონდა. სასე-  
ირნოდ წასულს შინ მოსვლა ცოტა თუ დამიგვიანდებოდა,  
შუღამ ალექწილი და სახეშეშლილი მხედებოდა. ჩემს ღირსებათ  
უზომოდ აზვიადებდა, სულ ჩემს ქებაში იყო და ეს ჩემთვის  
ძნელი ასატანი ხდებოდა, რადგან ვხედებოდი, რომ ამ პატივის  
ღირსი არ ვიყავი და დაუმსახურებელი ქების გამო თავი სულ  
დაძვირებულად მიმაჩნდა. მაგრამ ყველაზე უარესი ის იყო,  
რომ საბრალო დედაჩემი ცოდვა-ბრალსაც ერთიასად მიზვია-  
დებდა. დასჯით თავის ღღეში არ დაუუსჯივარ, მაგრამ ისე  
მწარედ მსაყვედურობდა და ხმაშიაც ისეთ ნაღველს გაურევ-  
და, რომ გული მიკვდებოდა. ბევრჯერ მისი წყალობით თავი  
საშინელ დამნაშავედაც წარმომედგინა; უთუოდ მფრთხალი და  
ეჭვიანიც გავხდებოდი, ჩემს ღღეში თავისუფლად ხელსაც  
ვერ გავძრავდი იმის შიშით, ვაითუ, უგვანო რამ ჩავიდინო-  
მეთქი, იმთავითვე ცოტა ღმობიერი რჯული რომ არ დამეწე-  
სებინა ჩემთვის. ამას არცა ვნანობ, ის კი არა და, თავმოსაწო-  
ნადაც მიჩანს, რადგან სხვას მხოლოდ ის მიუტევებს ცოდვებს,  
ვინც თავის თავისადმია ღმობიერი.

სენ-ჟერმენ-დე-პრეს ეკლესიაში მომნათლეს. ნათლიად ნამ-  
ღვილი ფერია მყავდა. მსოფლიონი მარსელს\* ეძახდნენ, კალ-  
შით ნახატი ქალი იყო და ერთ მაიმახს, გვარად დიუპონსა  
ჰყავდა ცოლად. ქმარი გაგიყებით უყვარდა, ფერიები ხომ  
შუღამ გონჯებს ეტრფიან ხოლმე. აკვანში ჩაკრულს ბედი და-  
ძანათლა და მაშინვე ზღვისგაღმა ქვეყნებში გაჰყვა თავის  
გონჯ ქმარს. უკვე მოწიფული ყრმა ვიყავ, როცა ხელმეორედ  
ვიხილე, წამით გამოკრთა, როგორც დიდონას\* გულმკვდარი

აჩრდილი მურტის ტყეში, ვით მთვარის ობოლი სხივი ტყის პირას. ერთი გაიღვა ჩემს თვალთა წინაშე, მეხსიერება ამიფერადა და ამოდ ამისურნელა. მეორე ნათლიას, ბატონ პიერ დანკენს კი უფრო ხშირად ვნახულობდი ხოლმე. ახლაც თვალწინ მიდგას ეს დაბალი, მსუქანი კაცი, ჭალარა, ხვეული თმა, ფუძფულა, მოლედევებული ლოკები და მოალერსე, ჭკვიანური გამოხედვა რომ ჰქონდა. თვალეზი ოქროს სათვალის მიღმა სულ უცინოდა. გრიმოდე ლა რენიერივით\* ვეება ღიბი აჯდა, ლამაზ, ყვავილებიან სატინის ქილეტში გამოკვართული. ქილეტებს ცოლი უქარგავდა ხოლმე. დიდ, შავი აბრეშუმის ყელსახვევებს ატარებდა. ეს ყელსახვევები კისერზე შეიდფად ჰქონდა შემოხვეული. პერანგის საყელოც მუდამ აწეული ჰქონდა და მისი გაღალანებული სახე გახამებული ტილოს ნაკეცებიდან ისე გამოიშვირებოდა, გეგონებოდათ, ქაღალდ-შემოხვეული თაიგულიათ. 1815 წელს ნაპოლეონი ენახა ღიბი-თში, ხელობით პალეონთოლოგი იყო და ღიბერალობას ჩემულობდა.

ერთ-ერთ იმ ქუჩაზე, სენის სანაპიროს რომ ერთვის, იმ უბანში, სადაც დაიბადა ბიჭი, რომელმაც დღეს, ამდენი წლის შემდეგაც კი არ უწყის, კარგად მოიქცა თუ ავად, ამქვეყნად რომ გაჩნდა, იმ ურიცხვ ადამიანთა შორის, თავიანთი უჩინარი ცხოვრებით რომ ცხოვრობდნენ, ერთი თავდიდი, მელოტი კაცი გამოიჩინოდა. თავი ბრეტონული გრანიტის ბლოკს მიუგავდა; ღრმად ჩამსხდარ თვალეზში, ოდესღაც ელვას რომ აკვესებდნენ, სხივი ჩაქრობოდა. ეს პირქუში, სნეული და დიდებული ბერიკაცი შატობრიანი გახლდათ, დიდება რომ მოუტანა საუკუნესა და ახლა თანისთანობით რომ ინავლებოდა ყველაფერზე ხელჩაქნეული.

ხანდახან პასის ბორცვებიდან ჩვენს სანაპიროზე მეორე მოხუციც ჩამოდიოდა. გრძელი, თეთრი თმა კეფაზე ოდნავ შეთხელებოდა, სახე დამუწუქებოდა; სალილეში მუდამ ვარდი ჰქონდა გაჩრილი, ბაგეზეც მუდამ ღიმილი უკრთოდა. მარილიანი სახის პატრონი იყო, მაგრამ იმდენად მდაბიური იერი ჰქონდა, რამდენადაც პირველს — არისტოკრატული. გამვლელეზი ჩერდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ სახელგანთქმულ მოსიმღერეს.

შატობრიანი — კათოლიკე და მონარქისტი, ბერანე — ნაპოლეონის თაყვანისმცემელი, რესპუბლიკელი და თავისუფლად მოაზროვნე კაცი, აი, ორი ზოდიაქო, რომელთა ნიშნის ქვეშაც გავჩნდი.

## II

### პირველყოფილი ხანა

პირველი, რაც დამახსოვდა, ერთი გრძელბეწვა, მწვანე აბრჭმუძის სარჩულიანი და ფართოფარფლები ქუდი იყო; ქუდს შიგნიდან მეწამული ფერის ტყავი ჰქონდა გამოკრული. ტყავის ზედა მხარე პაწაწინა ენებად იყო დაჭრილი და ისე გახლდათ ჩაკეცილი, სამეფო გვირგვინი გეგონებოდათ. ოღონდ ეგ იყო, ენის წვერები არ იხურებოდნენ და შეხედავდით თუ არა, მაშინვე წითელი ცხვირსახოცი გეცემოდათ თვალში, ტყავის კანტსა და გერბით დამშვენებულ სარჩულს შორის რომ იყო ჩაჩურთული. თმადათოვლილი მოხუცი შემოდრიოდა სასტუმრო ოთახში, ხელში მუდამ ეს ქუდი ეჭირა; ჩაყოფდა ხელს ქუდში და წითელი აბრჭმუძის ცხვირსახოცს ამიფრიალებდა თვალწინ. მაგონდება, ეს ცხვირსახოცი სულ ბურნუთში იყო ამოგანგლული და რომ გაშლიდით, ვანდომის სვეტზე გადმოძდგარ, რუხ რედინგოტში გამოწყობილ ნაპოლეონსაც მოჰკრავდით თვალს. ცოტაც და, მოხუცი ქუდიდან პაწია, ხმელა ნამცხვარსაც ამოაძვრენდა ხოლმე და ნელ-ნელა თავზეშოთ სწევდა. პატარა, მრგვალი და ბრტყელი ნამცხვარი იყო, ცალ მხარეს დაღარული და გაკრიალებული. მე ხელს ვიშვერდი ნამცხვრისაკენ, მაგრამ გაწბილებული ვრჩებოდი; სანამ მოხუცი ჩემი წვალეებით გულს არ იჯერებდა, ნაზუქს არასდიდებით არ მომცემდა. ისე იქცევდა ჩემით თავს, თითქოს პაწია ფინია ძალი ვყოფილიყავი. ეს რომ შევნიშნე, მგონი, საშინლად გავცხარდი, რაკი მეც იმ ამაყი მოდგმის წარმომადგენლად მიმაჩნდა თავი, რომელიც ყველა ცხოველსა მეტობს.

ნამცხვარს რომ ჩავკბეჩავდი, პირში ქვიშასავით მეფუვნებოდა, მაგრამ მალე ეს ქვიშა ტკბილ, გემრიელ ცომად იქ-

ცოდა ხოლმე. ოღონდ ეს იყო, ცოტა ბურნუთის გემოც დაჰკრავდა. ეს ნამცხვრები ძალიან მიყვარდა, ან უკეთ, მეგონა, მყვარს-მეთქი, სანამ არ შევნიშნე, რომ სენის ქუჩაზე ერთ ძეფუნთოშე დედაბერს ასობით ასეთი ნამცხვარი ჰქონდა შოშვანო ქილით გამოდგმული. ის დღე იყო და ის დღე, ნამცხვარი თვალის დასანახავად შემძულდა. ეს ამბავი მოხუცისთვისაც არ დამიმაღავს და ძალიანაც გავანაწყენე.

შოგვიანებით შევიტყვე, რომ მოხუცს მორისონი ერქვა სახელად და 1815 წელს სამხედრო ექიმად მსახურობდა ინგლისის ჯარში.

ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ, როცა ოფიცრებთან ერთად ქეიფობდა, ყური მოუკრავს, როგორ ნანობდნენ სახელოვან მებრძოლთა დაღუპვას და უთქვამს:

— თქვენ ერთი ვინმე დაგავიწყდათ, ბატონებო! მისი სიკვდილი კი ყველაზე უფრო სავალალოა და სატირალი.

ყველა დაინტერესდა, ვინაა ეგეთიო.

— ჩიხ-მედლები, ბატონებო. რაკი ჩვენმა გამარჯვებამ ბონაპარტის კარიერას ბოლო მოუღო, ომებიც აღარ იქნება. ჩინი კი ომებში გვემატებოდა ხოლმე; აწი მშვიდობით, დაწინაურებაჲ! ჩინ-მედლები გაწყდნენ ვატერლოოს. მათი შესანდობარი იყოს, ბატონებო!

მერე ბატონი მორისონი სამსახურიდან გადადგა და პარიზში დასახლდა. აქ ერთი ქალიც შეირთო და ექიმობას მიჰყვარებოდა. ცხოვრობდა თავისთვის, სანამ 1848 წელს ისიცა და მისი მეუღლეც ქოლერამ არ იმსხვერპლა.

მაგონდება ისიც, რომ დაახლოებით იმ ხანებში, როცა ქალბატონი მატეასის წინსაფარს ჩაფრენილი ძლივს დავბაჯბაჯებდი, ჩვენს სასტუმრო ოთახში ერთი შავგვრემანი, ხშირ-ქილვაშებიანი კაციცა ვნახე (ეს ბატონი დედა გახლდათ, სიძონ ნანტუელად\*წოდებული). იდგა ფუნჯით ხელში და მწვანე, ყვავილებიან შპალერს აწებებდა. შპალერი ერთგან ორი თითის დადებაზე ატკეჩილიყო და ქვეშ მთლად დაცხავებული ტილო შოჩანდა; შიგნით კი ბნელ ხერელს დაელო ხახა. ეს ისე მკაფიოდ ჩამებეჭდა გონებაში, რომ დღესაც არ წაშლილა ჩემი მეხსიერებიდან, თუმცა უამრავი რამ, რაც ამ უხსოვარ დროს ვნახე, პირწმინდად გადამავიწყდა. ცხადია, მაშინ ამე-

ებზე არ მიფიქრია, რადგან საამისოდ ჯერ არ შემწევდა გონება. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ოთხი წლისა შევიქენ და საკმაო ჭკუა დამაჩნდა საიმისოდ, რომ შეცდომები მომსვლოდა და ბევრი რამაც ვისწავლე ისეთი, რაც შემძლო უკუღმართად გაშეგო, აზრად მომივიდა, იმ დაცხავებული ტილოს უკან, ყვაილებიანი შპალერი რომ ფარავს, წყვილიადში უთუოდ უცხო არსებანი დარიალებენ-მეთქი. დარწმუნებული ვიყავ, რომ ეს არსებანი არც ადამიანებსა ჰგვანდნენ, არც ფრინველებს, არც თევზებსა და არც მწერებს. უცნაურები ხომ არიან და არიან, თან არც ეშმაკობა და სიავე აკლიათ-მეთქი, ვფიქრობდი გულში. იმ ადგილს რომ ჩავუვლიდი, საცა ბატონმა დებამ კედელში ნაპრალი ამოქოლა, ცნობისწადილი და შიში მიპყრობდა. აქ ოდესღაც შპალერი რომ იყო ანაძრობი, ახლაც ეტყობოდა: მწვანე ქალაღდის კიდეები მთლად ერთმანეთზე მიდებულნი ვერ იყო და მათ შორის ჩაფენილი გაზეთის ნახევიც აშკარად მოჩანდა. გაზეთი სანახავად უშნო რამ იყო, მაგრამ დიდი ღვთის წყალობაც გახლდათ, რადგან ბნელეთის ფარატიხა, უცხო და საშიშ სულებს ოთახში შემოსასვლელ ზხას უკეტავდა.

ერთ მშვენიერ დღეს (როგორც აღმოსავლეთის მეზღაპრენი იტყვიან ხოლმე, რაკი, ჩემი არ იყოს, ქრონოლოგიაში მოიკოკლებენ), ერთ მშვენიერ დღეს, როცა უკვე ოთხი წელი შემისრულდა, შევნიშნე, რომ პიანინოსთან ყვაილებიანი შპალერი ამომსკდარიყო და კედელზე გაკრულ ტილოს აჩენდა, ერთგან ტილოც გარღვეულიყო და ხერელს შავად დაელო ხახა. იგი უფრო საშიში იყო, ვიდრე ის ნაპრალი, ოდესღაც ბატონმა დებამ რომ ამოქოლა. იაფეტის ზვიად შთამომავალთა საკადრისი უღვთო ცნობისმოყვარეობით, მოურიდებლად შევიჭყიტე ამ ხერელში, დავინახე აფუთფუთებული წყვილიადი და შიშისაგან თმა ყალყზე დამიდგა; მერე ნახვრეტს ყურიც მივადე და ავის მომასწავებელი შუილი შემომესმა, ლოყაზედაც ყინულივით ცივი სუნთქვა მომხვდა. ამან დამარწმუნა, რომ შპალერს უკან სხვა სამყარო იყო.

იმ დღიდან უკვე ორმაგი ცხოვრებით ვცხოვრობდი. დღისით ჩემი ყოფა ბუნებრივი და ჩვეულებრივი იყო, ხანდახან მოსაწყენიც. ღამღამობით კი ზებუნებრივი და საშინელი ხდე-

ბოდა. ჩემი პაწია საწოლის ირგვლივ, დედა თავისი ლამაზი ხელებით რომ მიგებდა, უცნაური, მაგრამ მაინც მწყობრი ნაბიჯებით პატარა, კუზიანი, დაღრეკილი, ძველებურად ჩაცმულ-დახურული გონჯი სულდგმულები მიმოდრიოდნენ და შიშის ზარს მცემდნენ. ამგვარი არსებანი მოგვიანებით კალოს\* გრავიურებში ვნახე. ცხადია, ისინი თვითონ არ მომიგონია. ჩვენს სახლთან ქალბატონ ლეტორს დუქიანი ჰქონდა გამართული — ესტამპებს ყიდდა; თავის გრავიურებს იმ უშენ ადგილას გაძოაფენდა ხოლმე, სადაც ახლა ნატიფ ხელოვნებათა სკოლა აღმართულა და ეს სულდგმულებიც უთუოდ იქ მყავდა ნანახი. მაგრამ არც ჩემი ფანტაზია ყოფილა უქმად; იგი ჩემს დამეულ მომხდურთ შამფურებით, სასხურებით, პაწია ცოცხებითა და სხვადასხვა საოჯახო ნივთებით აიარაღებდა, მაგრამ იერი მაინც სერიოზული ჰქონდათ. გუნდგულად მეხვეოდნენ, მეჭეჭებიან ცხვირებზე მრგვალი სათვალეები წამოეკოსებიანათ; ძალიან ჩქარობდნენ და მგონი, ვერც ამჩნევდნენ ჩემს არსებობას.

ერთ საღამოს, როცა შუქი ისევ მენტო, მამაჩემი მოუახლოვდა ჩემს პაწია საწოლს და ღიმილით დამაცქერდა. საუცხოო ღიმილი ჰქონდა, აი, ნაღვლიან კაცებს რომ აქვთ, ისეთი, იმათ, ვინც იშვიათად იღიმება. მე უკვე ბურანში ვიყავ წასული. ხელისგულზე თითები მომიცაცუნა და პატარა ენის გასატეხი მითხრა. „ძროხას მოგყიდო“, მისი ნათქვამიდან მხოლოდ ეს გავარჩიე. და რაკი ძროხა არსად ჩანდა, ცხადია, შევეკითხე:

— ის ძროხა რა იქნა, მამა, წელან რომ მომყიდე?

მერე ძილმა წამილო და სიზმრად მამაჩემი ვნახე; ხელისგულზე პაწია თეთრხალებიანი ძროხა ედგა. წიქორა ფური იყო, ისეთი ცოცხალი, ისეთი ცოცხალი, რომ მისი სუნთქვის სითბო ვიგრძენი და ბაგის სუნიც მეცა. მას შემდეგ ეს თეთრხალებიანი წიქორა ძროხა კიდევ ბევრჯერ დამესიზმრა.

ალფონსინ დიუზიუელი ჩემზე შვიდი წლით უფროსი გახლდათ. ერთი გაჩხიკული და სნებიანი გოგო იყო; ქორფლიანი სახე და გაქონილი თმა ჰქონდა. თუ არა ვცდები, ეს ქვეყნის თვალში მისი ყველაზე დიდი ნაკლი შეიქნა. მე კი სხვაგვარ ვეცნიშნე: ო, დიდი არაფერი, მხოლოდ პირფერობა და სიბოროტე; ორთავე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჭდარი და ისე შეესისხლბორცებინა, რომ პეწსაც კი მატებდა.

ერთ დღეს, როცა ჩემი ტკბილი დედიკო სანაპიროზე მასეირნებდა, ქალბატონ დიუზიუელსა და მის შვილს შევხვდით. გაუჩერდით და ქალებმა საუბარი გააბეს.

— რა ლამაზია! ანგელოზს არა ჰგავს?! — შეჰყვირა ალფონსინამ და გადამკოცნა.

იმხანად კატისა და ძაღლისოდენა ჰკუააც არ მქონდა, მაგრამ მათსავით შინაური ცხოველი ვიყავ და მათსავით მიყვარდა ქება, გარეულ მხეცებს ჩირადაც რომ არ მიაჩნიათ. ალფონსინამ ისეთი სიყვარულით დამავლო ხელი, რომ ორივე დედანს გული აუჩუყდა; ჰაერში ამიტაცა, გულში ჩამიკრა, კოცნა დამიწყო და თან ჩემს ქებას მოჰყვა. ამ ამბავში რომ იყო, ჩუმ-ჩუმად ბარძაყებზე ქინძისთავსა მჩხვლეტდა.

მე მოგერიება დავუწყე: მუშტი შემოგვარ, წიხლებიც დავუშინე, ავღრიალდი და ცრემლები ლაპალუპით წამომივიდა.

ამის დანახვაზე ქალბატონმა დიუზიუელმა ერთი ისე გადმოგვხედა, უსიტყვოდაც გვაგრძნობინა თავისი გაოცება და გულისწყრომა. დედაჩემიც მწუხარედ მიცქეროდა, თავს ეკითხებოდა, როგორ გავაჩინე ქვეყნად ასეთი უგულო ბაღლიო, ხან მალლა ღმერთს სდებდა ბრალს, ასეთი დაუმსახურებელი სასჯელი რად მომივლინეო, ხან თავის თავს აბრალებდა, ალბათ ჩემი ცოდვების გამო დავისაჯე ასე მწარედო. იდგა ასე, ჩემი უსაქციელობის გამო საგონებელში ჩავარდნილი და შეცბუნებული. მე კი არ შემემძლო ამეხსნა მისთვის რა მჭირდა, რადგან ლაპარაკი ჯერ არ ვიცოდი. თითო-ოროლა სიტყვის წარმოთქმა კი შემემძლო, მაგრამ აბა ეს რა სამსახურს



გაძიწევდა. ძირს რომ დამსვეს, კვლავ ვცახცახებდი და ცრემ-  
ლებიც დაპალუპით მცვიოდა. ალფონსინა კი თავს წამომდ-  
გომოდა, ცრემლსა მწმენდდა და ბოდინს მიხდიდა;

— ჯერ პატარაა! ნუ გაუწყრებით, ქალბატონო ნოზიერ,  
თორემ ძალიან მეწყინება; ხომ იცით, როგორ მიყვარს.

ენს ამბავი ერთი ოცჯერ მაინც განმეორდა. ალფონსინა  
სიყვარულით მიკრავდა გულში და თან ბარძაყებზე მალულად  
ქინძისთავს მჩხვლეტდა.

შოგვიანებით, როცა ენა ამოვიდგი, დედაჩემსა და ჩემს  
გაძდელ ქალბატონ მათიასს ვუვამბე მისი მუხანათობის ამბავი,  
ძაგრამ არ დამიჭერეს; დამტუქსეს კიდევ, უდანაშაულო ადა-  
ძიანს ცილს სწამებ, შენი დანაშაული რომ გადაფიცო.

მე უკვე დიდი ხანია შევეუნდე ალფონსინას მისი მუხანა-  
თობა და სისასტიკე. გაქონილი თმა რომ ჰქონდა, არც იმას  
ვუკიჟინებ; ის კი არა და, კიდევაც ვემადლიერები, ორი წლის  
ბაღს ასე კარგად რომ გამაცნო კაცის ბუნება და ბევრ რა-  
მეზე თვალიც ამიხილა.

#### IV

#### პატარა პიერი გაზეთში გაუფარიათ

სანამ კითხვა არ ვიცოდი, გაზეთი ანდამატურის ძალით  
შიზიდავდა. როცა ვხედავდი, როგორ შლიდა მამაჩემი ამ პა-  
წაწინა შავი ნიშნებით აჭრელებულ დიდ-დიდ ფურცლებს,  
ხმაძალა როგორ კითხულობდა ნაირ-ნაირ ამბებსა და ამ  
ხიშნებიდან აზრები როგორ გამოჰქონდა, მეგონა, რაღაც სას-  
წაულის მომსწრე ვარ-მეთქი. რას არ ამოიკითხავდით ამ სიფ-  
რიფანა ფურცლებიდან, პაწაწინა ნიშნებით რომ იყვნენ დაფა-  
რული; დახაშაულებათა და უბედურ შემთხვევათა ამბებს,  
უცხაურ თავგადასავლებს, დღესასწაულების აღწერას, როგორ  
გაშოიქცა ნაპოლეონ ბონაპარტი ჰამის ციხე-სიმაგრიდან\*,  
როგორ გადაიცვა ცეროდენამ გენერლის მუნდირი\*, როგორ  
დასეირნობდა ყველიერის ხარი დაგობერი პარიზის ქუჩებში,  
როგორ მოუსწრაფეს სიცოცხლე ჰერცოგ დე პრალენის

შეუღლეს! ყველაფერი ესა და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ სულ ამ ერთ ფურცელზე ეწერა. ზოგი ამბავი ნაკლებ საზეიმო იყო, უფრო ჩვეულებრივი, მაგრამ ცნობისმოყვარეობას მაინც მიღვიძებდა. ვფიქრობდი, ვინ უნდა იყვნენ-მეთქი ეს ბატონები, დაშნებს რომ ატრიალებდნენ, ეტლების ქვეშ ცვიოდნენ, სახურავიდან ვარდებოდნენ, ანდა პოლიციის კომისართან ნაპოვნი საფულე მიჰქონდათ. საიდან გაჩნდნენ ეს ვაუბატონები, როცა მე ვერც ერთს ვერა ვხედავდი? ამაოდ ვცდილობდი წარმომედგინა ერთი მათგანი მაინც. ყველას ვეკითხებოდი, როგორები არიან-მეთქი, მაგრამ რიგიანი პასუხი არავინ მალირსა.

ამ უხსოვარ დროს ქალბატონი მატიასი მოდიოდა ხოლმე ჩვენსა, ძელანის რომ შეშველებოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ერთმანეთს მაინცდამაინც ვერ ეწყობოდნენ. ქალბატონი მატიასი ჰირვეული ქალი გახლდათ, მბრძანებლური ხასიათი და მგრძნობიარე გული ჰქონდა. სულ ჩემს თვალყურში იყო; ცელქობა რომ მოეშლევინებინა ჩემთვის, რა ხერხს არ ძიძართავდა. იმასაც კი მეუბნებოდა, შენი გუშინდელი საქციელი გაზეთში გაუწერიათო. აიღებდა ხელში გაზეთსა და კრელ-კრელ ამბებს შორის, სადაც ნათქვამი იყო, თუ როგორ წაუკიდეს ბოროტგანმზრახველებმა სახლს ცეცხლი, ან როგორ დაშავდა დღიური მუშა ვინმე დიუშენი, კითხულობდა: „გუშინ პატარა პიერ ნოზიერმა ტიულრის ბაღში ძიძას არ გაუგონა, გაჰირვეულდა, მაგრამ შეგვპირდა, გამოვსწორდები და აწი ასეთ რამეს აღარ ვიზამო“.

ორი წლისას იმდენი ჰკუა კი გამაჩნდა, რომ ადვილად არ დაძეკერებინა, ბატონ გიზოსა და დღიურ მუშა დიუშენივით მეც გაზეთში გამწერეს-მეთქი. ისიც შევნიშნე, ქალბატონ მატიასს სხვადასხვა ამბების კითხვისას ცოტა ენა ებმოდა, მაგრამ ნათქვამის გადასწორება არ იცოდა, მაშინ კი, როცა ჩემი ამბის კითხვას იწყებდა, საშინელი ჰოჭმანი შეუდგებოდა ხოლმე. ჰოდა, მეც დავასკვენნი, ჩემი ამბავი გაზეთში არ წერია, თავად იგონებს და არცთუ მაინცდამაინც ოსტატურად გამოუდის-მეთქი. ის დღე იყო და ის დღე, მის ანკესზე აღარ წამოვგებულვარ, მაგრამ სახელ-დიდებასაც არ მინდოდა გამოვთხოვებოდი და ვფიქრობდი, ჩემი გაზეთში გაწერის ამბავი შეიძლება მთლად ტყუილიც არ იყოს-მეთქი.

## მცლარი მსჯელობის შედეგები

აი, კიდევ რა ამომაქვს იმ უხსოვარ დროთა წიალიდან. დიდი არაფერია, მაგრამ ყოველი სათავე საიდუმლოებითაა მოცული და ამიტომაც უზომო ინტერესს აღგვიძრავს. რაკი არ ვუწყით, ველურ ადამიანს ჭკუა და გონი როგორ დააჩნდა, ყმაწვილის გონების გაღვიძებას ვადევნებთ თვალყურს. და თუ ბალღი გაძონაკლისს არ წარმოადგენს და ნიჭიერებითაც არ ბრწყინავს, დაკვირვებისათვის კიდევ უფრო ძვირფას მასალას იძლევა, რადგან მის არსებაში უამრავ ბავშვს დაუდევს ბინა. მეც ამიტომ ძსურს გაიძბოთ ეს პატარა ამბავი; კიდევ იმიტომ, რომ ვიცი, ამ ამბის თხრობა თვითონაც ძალიან მემამება.

ერთ მშვენიერ დღეს... უფრო ზუსტად ვერ გეტყვით, როდის, რადგან ამ დღის ადგილი დროთა წიაღში უკვალოდ დაკარგულა... ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს მოხუც ძიძასთან, მელანისთან ერთად სეირნობიდან რომ დავბრუნდი, ჩვეულებისამებრ დედის ოთახში შეველ და რაღაც სუნი მეცა; რისი სუნი იყო, ვერ მივხვდი, მაგრამ, როგორც შემდეგ შევითყვე, მაყლის სუნი ყოფილა, ოღონდ მძაფრი და სულის შემხუთველი კი არა, ძლივს შესამჩნევი, შემპარავი, ზომაზე ტკბილი. ამ სუნს სულაც არ შევეუწუხებივარ, რადგან ყნოსვით იძხანად ჩვენს ფინია კერს უფრო ვგავდი, ვიდრე ბატონ რობერ დე მონტესკიუს, ამო სურნელთა მეხოტბეს. სანამ ეს უცნობი, ან უკეთ ჩემგან შეუცნობი სუნი ცხვირში მილიტიხებდა, ჩემმა ტკბილმა დედიკომ მკითხა, სეირნობის დროს ჰკვიანად თუ იქცეოდით და ხელში რაღაც ზურმუხტისფერი ღერო მომცა. სიგრძით საჩაროზე დანის პირის ტოლა იქნებოდა, მაგრამ გაცილებით უფრო სქელი იყო და ზედ წაყრილი შაქრისაგან ბზინვა გაჰქონდა. ეს ღერო საუცხოო სასუსნავად შეჩვენა. უთუოდ სიახლის მომხიბვლელობამაც თავისი გაიტანა, რაკი მანამ მსგავსი არაფერი მეჭამა.

— აბა, გასინჯე, — მითხრა დედამ, — ძალიან გემრიელია.

გავსინჯე და მართლაც მეგემრიელა. ჩაკებრდით თუ არა, პირში შაქარივით გადნებოდათ. რაც აქამომდე ტკბილული მქონდა ნაჭამი, ამ ღერს ვერაფრით შეედრებოდა.

ამ გემრიელმა სასუსნავმა, იმ ქვეყნის ნაყოფი გამახსენა, სადაც შარბათის ნაკადულები დიოდნენ ყანდის კლდეებს შორის, თუმცა, სიმართლე თუ გნებავთ, ისევე არა მჯეროდა ამ აღთქმული ქვეყნის არსებობა, როგორც ვერგილიუსს — ელისეს მინდვრებისა, ძველი ბერძნები ალტაცებაში რომ მოჰყავდა.

Quamvis elysios miretur Graecias campos<sup>1</sup>.

მაგრამ ვერგილიუსისა არ იყოს, მეც მხიბლავდა მომაჯადოებელი ზღაპრები და ალტაცებაში მოვდიოდი, რაკი არ ვიცოდი, რას უშვრებოდნენ კონდიტერები ღიღმანჭელას ღეროს, ასეთი საამური საქმელი რომ გაეხადათ. დიახ, ეს ყანდივით ტკბილი ჯონი სხვა არა იყო, თუ არ ღიღმანჭელა, ქალბატონ კომონს ჩემი საყვარელი დედისათვის ნიორიდან მიღებული ძღვენისგან რომ ეწილადა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა კვლავ სეირნობიდან დაებრუნდი ჩემს გამდელ მელანისთან ერთად, დედაჩემის ოთახში შესულს ისევ მაყლის მოტკბო და შემპარავი სუნი მეცა, როგორც იმ დღეს, როცა პირველად ვნახე ღიღმანჭელა და მეც მისი სუნი მეგონა.

დედა გადავკოცნე როგორც წესი და რიგი მოითხოვდა. მკითხა, კარგად თუ გაერთე სეირნობისასო. დიახ-მეთქი, მივუგე. მელანი ძალიან ხომ არ გააწვალეო; ამაზე კი არა-მეთქი, ვუპასუხე. მოკლედ, რაკი ჩემი შვილური ვალი აღვასრულე, დავიწყე ლოდინი, დედა ღიღმანჭელას ღერს როდის მომცემს-მეთქი. მაგრამ დედაჩემი კვლავ თავის საქარგავს მიუბრუნდა და სულაც არ აპირებდა ჩემს დასაჩუქრებას. მაშინ კი გადავწყვიტე თავად მომეთხოვა ის, რაც მერგებოდა, თუმცა მეტად ამაყი ვიყავი და თხოვნა, ცოტა არ იყოს, მეთაკილებოდა. დედამ ხელსაქმეს ხელი უშვა, თავი აიღო, ცოტა გაოცებით გადმომხედა და მითხრა, არა მაქვსო.

ეჭვი არ მეპარებოდა, რომ დედაჩემი იოტისოდენა ტყუილსაც კი არ იკადრებდა, ამიტომ ვიფიქრე, მეხუმრება-მეთქი და სურვილსაც იმიტომ არ მისრულებს, რომ უნდა უფრო

<sup>1</sup> თუმც მოჰყავთ ალტაცებაში ელისეს მინდვრებს ბერძნები (ლათ.) — ვერგილიუსი, გეორგიკები, I, 38.

გამიცხოველოს, ან არა და, იმ ცუდ ზნეს აპყოლია, თვით სერიოზულ ხალხსაც რომ სჭირს ხოლმე და მათსავით უხარია, როცა ბალები და ლეკვების მოუთმენლობას ხედავს-მეთქი.

ვემუდარებოდი:

— ჩქარა მომე ჩემი ღიღმანჭელა!

ის კი მარწმუნებდა, აღარა მაქვსო და ეტყობოდა, ამას გულწრფელად ამბობდა. მაგრამ რაკი ყნოსვა და ალლო სხვას ძკარხახობდა, ჩამოვაცივდი, ღიღმანჭელა ნამდვილად გაქვს, მისი სუნი მცემს-მეთქი.

მეცნიერებათა ისტორია სავსეა მსგავსი ცდომილებებით; და კაცობრიობის უდიდესი გენიოსებიც ხშირად მოტყუებულან პატარა პიერ ნოზიერივით. პიერმა ერთ საგანს მიაწერა ის თვისებები, რაიც მეორის კუთვნილება იყო. ფიზიკასა და ქიმიასშიც მრავლად მოიპოვება ასეთი უმართებულო, მცდარი კანონები. მაგრამ ეს კანონები სარწმუნოდ მიაჩნიათ და პატივისცემითაც ეკიდებიან მანამ, სანამ სიმართლეს არ დაადგენს ვინმე.

დედაჩემს ეს მოსაზრებანი თავში არ მოსვლია, მსრები აიჩეჩა და, რა ბრიყვი ხარ, შვილოო, მითხრა. მეწყინა და ენა შეევბრუნე: ბრიყვი არა ვარ და ღიღმანჭელაც გაქვს, მისი სუნი მცემს; ცუდია, როცა დედა თავის პატარა ბიჭს ატყუებს-მეთქი. ეს საყვედური რომ მოისმინა, დედამ უსაზღვრო გაოცებითა და ღრმა მწუხარებით შემომხედა. ამ მზერამ მყისვე დამარწმუნა, რომ ჩემი ტკბილი დედიკო არ მატყუებდა და თუმცა ყნოსვა სხვას მეუბნებოდა, სახლში ღიღმანჭელა მართლაც არ მოიძეებოდა.

ასე რომ, ამ ერთხელ გულმა გამინათა გონება. მინდა დავასკვნა, რომ მუდამ გულის კარნახს უნდა მივდიოთ ხოლმე; ასეთი იქნებოდა ამ ამბის მორალი და მოსიყვარულე სულელებიც დიდად გაიხარებდნენ. მაგრამ ჭეშმარიტებას არ ეღალატების და შეც უნდა ვალიარო, თუნდაც ბევრმა მიძახოს კიდეც: გულიც ისევე ხშირად ცდება, როგორც გონება და მისი შეცდომები ნაკლებ სავალალო როდია. მათი თავიდან მოშორება კი უფრო ჭირს, რაკი შიგ სიტკბოც ბევრი ურევია ხოლმე.

## დიდი ნიჟი მუღამ უსამართლობის მსხვერპლი ხდება

დიდი ნიჟი მუღამ უსამართლობის მსხვერპლი ხდება. მე ძალიან ადრე გამოვცადე ეს ამბავი. ოთხი წლისა რომ ვიყავ, ხატვაზე ჭკუას ვკარგავდი; მაგრამ ის ნივთები როდი გადამქონდა ქალაღზე, გარს რომ მერტყა, მარტო ჯარისკაცებს ვხატავდი ხოლმე. გამოტეხით რომ გითხრათ, ამ ჯარისკაცებსაც ნატურიდან როდი ვიხატავდი, ბუნება რთულია და მისი შიბაძვა ხუმრობა საქმე როდია. არც ეპინალური სურათებიდან ვიღებდი, თითოს ერთ სუღ რომ ვყიდულობდი ხოლმე. ამ ხახატებშიც უამრავი ხაზი იყო და მათთვის თავის გართმევა შიჭირდა. მაგრამ ხატვისას მაინც ეს სურათები მეღვა თვალწინ და ქალაღზე მათი გამარტივებული ასლი გადამქონდა. ჩემს ჯარისკაცებს თავის მაგივრად უბრალო რგოლი ჰქონდათ, ერთი შოგრძო ხაზი ტანს წარმოადგენდა, ორი მომცრო ხაზი ხელები იყო, ორიც — ფეხები. ეღვასავით დაკლაცნილი პაწია ხაზი კი ხიშტიანი თოფი გახლდათ და ძალიან შთამბეჭდავადაც გამოდიოდა. ჯარისკაცს ქუღს თავზე კი არ ვახურავდი, ზედ ვადგამდი, რომ მთელი ჩემი განსწავლულობა გამომეჩინა და ერთბაშად თავის ფორმაც მეჩვენებინა და ქუღისაც. უამრავ ასეთ ჯარისკაცს ვხატავდი. ყველა ბავშვი ასე ხატავს ხოლმე. ცარიელა ჩონჩხი იყო და ისიც ძალზე გამარტივებული. მაგრამ ავი იყო თუ კარგი, მე ჩემი ნახატებით თავი ძალიან მომწონდა. ფანქრით ვხატავდი ხოლმე და წვერს წამდაუწუმ ვუწერწყვავდი, რომ უფრო მკაფიო ხაზები გამომსვლოდა. ცხადია, კალმით ხატვა მერჩია, მაგრამ მეღნის ხელის ხლებას შიკრძალავდნენ, შიშობდნენ, რამეზე არ გადამესხა. მე მაინც კმაყოფილი ვიყავი ჩემი ნამოღვაწარით და ჩემს უსაზღვრო ხიჭიერებაშიც ეჭვი არ მეპარებოდა. მაგრამ მალე ისეთი რამ მოვიგონე, რომ თვითონაც განცვიფრებას მოვედი.

ერთ საღამოს, იმ ღირსსახსოვარ საღამოს, სასადილო ოთახის მაგიდაზე ვხატავდი. მეღანიმ ჰურტკელი ის იყო, ააღაგა. ზამთარი იღვა; ლამპა, ჩინური აბაეური რომ ეკეთა, კარგად მინათებდა ქალაღს. უკვე ხუთი თუ ექვსი ჯარისკაცი

მყავდა დახატული ჩემთვის ჩვეული ხერხით, რომელშიაც უკვე გაწაფული ვიყავი. უეცრად გონება გამინათდა და გადავწყვიტე, ხელ-ფეხი თითო ხაზით კი არა, ორ-ორი პარალელური ხაზით გამომეხატა. ხაზებს შორის რომ ადგილი იყო დარჩენილი, სინამდვილის მინამგვან სურათს ქმნიდა. ეს თვით სიცოცხლე იყო და ჩემს სინარულსაც საზღვარი არ ჰქონდა. მგონი თავისი ნახელავით ესოდენ კმაყოფილი დედალოსიც კი არ ყოფილა, პირველმა რომ გამოაქანდაკა მოძრაობაში მყოფი ფიგურები. უთუოდ უნდა მეკითხა ჩემი თავისათვის, შე პირველმა მოვიგონე ეს საუცხოო ხერხი, თუ სადმე მინახავს მსგავსი რამ-მეთქი, მაგრამ არ მიკითხავს. არაფერიც არ მიკითხავს და თვალეზადმოკარკლული, ენაგადმოგდებულის, გამოთაყვანებული დაცქეროდი ჩემს ნახელავს. ვინ არ იცის, რომ მხატვრებს თავიანთი ნამუშევრით თავმოწონება სჩვევიათ და მეც ჩემი ნახატი მყის დედას მივურბენინე. დედა წიგნს კითხულობდა. მე ახლოს მივუტანე ჩემი ნაჯღაბნი და შევძახე:

— შეხე, დედა!

შერე კი, როცა დავინახე, რომ ყურადღებას არ აქცევდა იმას, რასაც ვუჩვენებდი, ჩემი ჯარისკაცი წიგნზე დავუდე.

მომმინებიდან მაინც არ გამოსულა.

— მშვენიერია, — მითხრა ტკბილად, მაგრამ ზედვე ეტყობოდა, რომ ვერ ამჩნევდა, რა გადატრიალება მოვახდინე მხატვრობაში.

მე აღარ მოვეშვი და რამდენჯერმე გავუშეორე:

— შეხე, შეხე, დედა!

— კი შეილო, ვხედავ; მომეშვი აწი...

— არა, დედა, ვერ ხედავ!

მოძინდა ხელიდან გამომეგლიჯა წიგნი, რომელიც ჩემი შედეგრის სათანადოდ შეფასებას არ აცლიდა.

დამიყვირა, ბინძური ხელებით წიგნს ნუ ეხებიო.

მე სასოწარკვეთილი გავიძახოდი, ვერა, ვერ ხედავ-მეთქი. მაგრამ დედამ არაფრის დანახვა არ ისურვა და მითხრა, ნუ ყვირიო. მისმა სიბრმავემ და უსამართლობამ გული მატკინა; ფეხების ბაკუნს მოვეყევე, ტირილი მოვრთე და ჩემი შედეგრი სულ ნაკუწებად ვაქციე.

— რა ნერვიული ბავშვია! — ამოიოხრა დედაჩემმა და ლოგინში მიკრა თავი.

პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ვიყავ ჩავარდნილი. აბა, თავად განსაჯეთ! კაცმა ხელოვნება უზომოდ წინ წასწიო, თვით სიცოცხლე დაიჭირო და გამოსატო და, შექებას ვილა ჩივის, მადლობის ნაცვლად საწოლში გიტუცონ თავი!

რამდენიმე ხნის შემდეგ მეორე უბედურებაც დამატდა თავს და ნაკლებად როდი მომიშხამა გუნება. აი, როგორ მოხდა ყველაფერი: დედაჩემმა ადრე შემასწავლა ასობის გვარისანი წერა. რაკი ცოტა წერა შევიძელ, ვიფიქრე, წიგნსაც ადვილად შევთხზავ-მეთქი. დედას მივუჯექ გვერდით და პატარა თეოლოგიური და მორალური ტრაქტატის წერას მივყავ ხელი. დასაწყისი ასეთი იყო: „რამ არს უფალი“... დავწერე თუ არა, მაშინვე დედას ვუჩვენე, რამე შეცდომა ხომ არ შოძსვლია-მეთქი. დედამ მიპასუხა, სწორია, მაგრამ ბოლოში კითხვის ნიშანი აკლიაო. მეც შევეკითხე, ეგ კითხვის ნიშანი რაღაა-მეთქი.

— ეს ის ნიშანია, რომელიც მიუთითებს, რომ კითხვასა სვამენ და რაღაცას გვეკითხებიან. იგი ყოველი კითხვითი წინადადების ბოლოს დაისმის. შენც კითხვის ნიშანი უნდა დასვა, რაკი კითხულობ, ღმერთი რა არისო.

მე უტიფრად მივუგე:

— მე არ ვკითხულობ, ისედაც ვიცი.

— როგორ არა, კითხულობ, შვილო!

ერთი ოცჯერ მაინც გავუმეორე, არა ვკითხულობ, ვიცი-მეთქი და არასდიდებით არ ვისურვე დამესვა ეს კითხვითი ნიშანი, ჩემს თვალში სრული უვეცობის ნიშნად რომ იქცა.

დედაჩემმა დამტუქსა ჭიუტობისათვის და მითხრა, პატარა, სულელი ბიჭი ხარო.

თავმოყვარეობა შემელახა, ენა შევუბრუნე და მწარედაც დავისაჯე ამის გულისათვის.

მას აქეთ ძალზე შევიცვალე; უკვე მორჩილად ვსვამ კითხვის ნიშანს ყველგან, საცა ჩვეულება მოითხოვს. ის კი არა და, ხელი მექავება და რასაც კი დავწერ, რასაც კი ვიტყვი, რასაც კი ვიფიქრებ, ყველაფერს ბოლოში უზარმაზარი კითხვის ნიშანი მინდა მივუწერო. საწყალი დედაჩემი ცოცხალი რომ იყოს, უთუოდ მეტყოდა, ახლა მაგ ნიშანს უზომოდ ბევრსა სვამო.



რაც თავი მახსოვს, ქალბატონ ლაროქსაც ვიცნობ. ჩვენს სახლში იდგა თავის ქალიშვილთან ერთად. ეზოს სიღრმეში ერთი პატარა ბინა ჰქონდათ მიჩენილი. ქალბატონი ლაროქი წარმოშობით ნორმანდიელი იყო — იმპერიული გვარდიის კაპიტნის ქვრივი. კბილები აღარ შერჩენოდა და მისი ღბილი ტუჩები ნუნებს ეკვროდნენ; მაგრამ ლოყები ფუნჩულა ჰქონდა და მისი მხარის ვაშლებივით დამკრახული. რაკი ბუნების ცვალებადობასა და საგანთ წარმავლობაზე წარმოდგენაც არა მქონდა, ეს ქალი სამყაროს დაბადების მომსწრედ მიმარხდა და ვფიქრობდი, მის სიბერეს ნირს ვერაფერი შეარხევინებს-მეთქი. დედაჩემის ოთახიდან კარგად მოჩანდა მისი ფახარა, ბალახვარდას ტოტებით რომ იყო შებურვილი. ფანჯარასთან, ქანდარაზე თუთიყუში შემომკდარიყო და გოგმა-ეურსა და პატრიოტულ კუბლეტებს მღეროდა. ეს თუთიყუში ოსტ-ინდოეთიდან ჩამოეყვანათ 1827 წელს და სახელად ნავარენი\* დაერქმიათ იმ ძღვევამოსილი ბრძოლის სამახსოვროდ, რომლის დროსაც საფრანგეთისა და ინგლისის გაერთიანებულმა ფლოტმა სამარცხვინო დამარცხება აგემა თურქეთს. ამ გამარჯვების ამბავი პარიზში სწორედ იმ დღეს მოვიდა, როცა ნავარენი ჩამოიყვანეს. ექვობდნენ, ნავარენი ევროპაში რომ ძონვდა, მთლად ახალგაზრდა არც მაშინ იყო. ქალბატონი ლაროქი პირდაპირ თავს ევლებოდა და ყოველ დილით ფანჯარასთან სვამდა ქანდარაზე, რომ ჩვენს ეზოში ხალხის გაცხოველებული მისვლა-მოსვლით დამტკბარიყო. წარმოდგენა არა მაქვს, რა სიამოვნებას ნახულობდა ეს ამერიკის მკვიდრი, როცა უყურებდა, როგორ რეცხდა ოგუსტი ბატონ ბელაგეს ეტლს ან მამილო ალექსანდრე როგორ გლეჯდა ფილაქანზე ამოსულ ბალახს, მაგრამ ჩანდა, რომ სამშობლოს მოშორებას ოდნავადაც არ დაემწუხრებინა იგი. ფიქრს მიუუხვდი-მეთქი, შაინცდამაინც ვერ დავიყინებ, მაგრამ მგონია კი, რომ საკუთარ ძალ-ღონეს აღტაცებაში მოჰყავდა; მართლაცდა საოცრად ღონიერი ფრინველი იყო. როცა თავის ვეება ფეხებს

ხის ძელს ჩაავლებდა და ნისკარტს დასცხებდა, თვალის დახამხამებაში ნაფოტებად აქცევდა ხოლმე.

ცხოველები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ მაშინ პირდაპირ თაყვანსა ვცემდი: რაღაც რელიგიურ მოწიწებას მინერგავდნენ გულში. უთუოდ ვხვდებოდი, რომ ჩემზე უფრო ჭკვიანები იყვნენ და ბუნებასაც ჩემზე უკეთ გრძნობდნენ. შეჩვენებოდა, რომ ფინია ზერბენს ბევრი ისეთი რამის გაგება შეეძლო, რისთვისაც მე არ შემწვევდა გონება და ჩვენს ხატაურა, ანგორის ჯიშის კატას — სულთან მუჰამედს, ფრინველთა ენა რომ იცოდა, სასწაულებრივ ნიჭსა და მომავლის წინასწარ განჭვრეტის უნარს მივაწერდი. ერთხელ დედამ ლუვრის მუზეუმში წამიყვანა და სხვათა შორის, სურნელოვან სახვევებში გამოკრული შინაური ცხოველების მუმიებიც მიჩვენა.

— ეგვიპტელებიო, — მითხრა მან, — ამ ცხოველებს ღვთაებებსავით სცემდნენ თაყვანსა და სიკვდილის შემდეგ ბაღშიც უკეთებდნენ.

არ ვიცი, რას ფიქრობდნენ ძველი ეგვიპტელები ძერძერუკებზე, ყაჭირებსა და კატებზე, არ ვიცი მართლა ცხოველები იყვნენ თუ არა ადამიანთა მოდგმის პირველი ღვთაებები, როგორც დღესა ჰგონიათ, მაშინ კი მზად ვიყავ, სულთან მუჰამედისა და ფინია ზერბენისათვის ზებუნებრივი ძალა მიმეწერა. მეტადრე იმით მხიბლავდნენ, რომ სიზმრად მევლინებოდნენ და მებაასებოდნენ ხოლმე. ერთ ღამეს ძილში ზერბენი ვნახე. თათებით მიწას ფხაჭნიდა. ფხაჭნა, ფხაჭნა და სუმბულის ძირი ამოთხარა.

— პატარა ბავშვებიც ასე არიან მიწაში ჩაფლულნი დაბადებამდე და ყვავილებივით იფურჩქნებიან, — მითხრა მან.

ერთი სიტყვით, თვითონაც ხედავთ, რომ ცხოველები ძალიან მიყვარდა, აღტაცებული ვიყავი მათი სიბრძნითა და დღისით კითხვას კითხვაზე ვაყრიდი, რომ ღამით, ძილში, ჩემთვის ბუნების საიდუმლოებანი აეხსნათ. ფრინველებსაც ხაკლები სიყვარულითა და მოწიწებით როდი ვეპყრობოდი. ნავარენსაც მამასავით შევიტკობდი და ამ ბებერ კაციკს პატივსაც ჩემს დღეში არ მოვაკლებდი, ნება რომ მოეცა. მაგრამ შეხედვასაც რომ არ მანებებდა? მივუახლოვდებოდი თუ არა, თავის ქანდარაზე მოუსვენრად მოჰყვებოდა ცმუტვას,

ბუმბულს აიშლიდა, თვალებს მიბრიალებდა, ნისკარტს მრისხახედ ალებდა და მუქ, მწვანე ლობიოს სისხო ენას მიყოფდა. გულთ მინდოდა გამეგო, ნეტა რას გადამკიდებია-მეთქი. ქალბატონი ლაროკი მის სიფრთხილეს იმ ამბავს მიაწერდა, რომ თურქე ოდესღაც, როცა უგონო ყრმა ვიყავ და ჯერ სიარულიც კი არ შეძემლო, ხელში ატატებულმა დედას თავი მასთან შივაყვანინე, მოვინდომე ხელი შემეხო მისი თვალებისათვის, ლალის მძივებივით რომ ბრწყინავდნენ და რაკი საწადელს ვერ ვეწიე, საშინელი ყვირილი მოვრთე. ქალბატონ ლაროკს უყვარდა თავისი თუთიყუში და ნამუსსა სწმენდდა, თორემ განა დასაჯერებელია, რომ ნავარენმა მაშინდელი წყენა ასე ღრძაღ ჩაიძარხა გულში და ამდენი ხნის შემდეგაც არ განელებია?

რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო, ნავარენის მტრობა მაინც უსაძართლოდ და სასტიკად მეჩვენებოდა: მინდოდა, ამ საშინელი და ძლევამოსილი არსების გული რითიმე მომეგო. გადავწყვიტე, მოდი, ძღვენს მივართმევ, შაქარი ეამება-მეთქი და თუმცა დედა სასტიკად მიკრძალავდა, სასადილო ოთახის განჯინის კარი გამოვადე და საშაქრიდან ყველაზე დიდი და ლაძაზი შაქრის ნატეხი ამოვარჩიე. იმხანად შაქარს პატარა ოთხკუთხედებად როდი ჭრიდნენ. დიასახლისებიც თავებად ყიდულობდნენ ხოლმე; მოხუცი მელანიც ჩაქუჩითა და ძველი, დაკბილული, უტარო დანით შეიარაღდებოდა ხოლმე და ამ თავებს ნატეხებად ამტვრევდა. მტვრევისას ირგვლივ უხვად ცვიოდა პაწაწკინტელა ნატეხები. ასე გეოლოგები ამტვრევენ მინერალების ნიმუშებს კლდის ქანებიდან. ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ შაქარი ძალიან ძვირად ფასობდა. მაგრამ ნავარენისათვის როგორ დავიშურებდი რამეს. რაკი მისთვის სიკეთე მსურდა, ძღვენი წინსაფრის ჯიბეში დავმალე და ქალბატონ ლაროკს ვეწვიე. თუთიყუში კვლავ ფანჯარასთან დამხვდა. ნისკარტით უდარდელად ფცქენიდა კანაფის მარცვლებს. ვიფიქრე, კარგ დროს მოვუსწარ-მეთქი და ბებერ კაციკს შაქარი გავუწოდე. მაგრამ გამაწბილა, ძღვენი არ მიიღო: დიდხანს უძრავად იჯდა, ალმაცერად მიმზერდა და ხმას არ იღებდა; შერე უეცრად თითზე დამაცხრა და მიკბინა. ნაკბენიდან სისხლმა იჩქეფა...

ქალბატონ ლაროკს მერეც ბევრჯერ უამბნია ჩემთვის, სის-  
ხლი რომ დაინახე, საშინელი ყვირილი და ტირილი მორთე,  
ბლაოდი და სულ იმას კითხულობდი, ხომ არ მოვეკვდებიო. მე  
ეს ჩემს ღღეში არ დამიჭერებია, მაგრამ იქნებ მართალსაც  
ამბობდა. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ დამიყვავა და თითოც  
შემიხვია. შეურაცხყოფილი წამოვედი იქიდან, გულში ბრაზი  
და სიძულვილი მიღვიოდა. იმ დღიდან მოყოლებული ჩემსა  
და ნავარენს შორის საშინელი-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმარ-  
თა. დავინახავდი თუ არა, სულ ვლანძღავდი და ვახელებდი;  
ისიც ცოფებდა ყრიდა. ამ სიამოვნებაზე უარს თავის ღღეში  
არ მეუბნებოდა. ხან კისერში ვულიტინებდი ჩალის ღვრით,  
ხან პურის სორსოლებს ვესროდი; ისიც უზარმაზარ ნისკარტს  
დააღებდა და მჭახე ხმით რაღაცას მემუქრებოდა. ქალბატონი  
ლაროკი, შალის კაბის ქსოვიტ რომ იყო გართული, სათვალის  
ზემოდან გადმომხედავდა, ხის ჩხირს მუქარით დამიქნევდა და  
მეტყოდა:

— პიერ, დაეხსენ მაგ ფრინველს, ხომ გახსოვს, ერთხელ  
რა ღღე დაგაწია. თუ არ დაიშლი, იცოდე, უარესსაც დაგ-  
მართებს.

მე აინუნშიაც არ ვაგდებდი ამ ბრძნულ გაფრთხილებას და  
ეს ამბავი ბოლოს სანანებლად დამირჩა. ერთ ღღეს, როცა მის  
ჯამს დავწვდი და სიმინდის კაკალი უნამუსოდ მიეუფანტ-მო-  
ვუფანტე, ბებერი კაციკი თავს დამაცხრა, კლანჭებით თმებში  
ჩამაფრინდა და თავ-პირი დამაკაწრა. თუკი მშვენიერმა არ-  
წივმა დააფრთხო ვანიმედი\*, როს სიყვარულით, ნაზად მოს-  
დო კლანჭი, წარმოიდგინეთ, რა თავზარი დამეცემოდა, როცა  
ნავარენმა თავისი რკინის კლანჭები დაუნდობლად ჩამაპო  
თავში. ისეთი ყვირილი მოვრთე, მგონი ჩემი ხმა სენის სანა-  
პიროზეც კი გაიგონეს. ქალბატონმა ლაროკმა საქსოვს თავი  
ანება, თუთიყუშის კლანჭებიდან გამომიხსნა, მხარზე შეისვა  
და ქანდარისაკენ წაიყვანა. ისიც გაფუყული შემოჯდა თავის  
ქანდარაზე, გამარჯვებით გაამაყებულმა თვალები მომარისხა  
და ნიშნის მოგებით გადმომხედა. კლანჭებში ბლუჯა-ბლუჯად  
ჩემი თმა შერჩენოდა. სასტიკად დამამარცხა და ვფიქრობდი,  
სირცხვილით თავი არსად გამომეყოფა-მეთქი.

ცოტა ხანი გამოხდა; ერთხელ სამზარეულოში შევიძვერ

და დავინახე, მოხუცი მელანი დანით ოხრაბუმს ჰკრიდა. ოხრაბუმის მძაფრი სუნი ნესტოებში მიღიტივებდა და მეც ჩემს გაძღვლს დაწვრილებით გამოვკითხე, ეგ მწვანელი რისი მაქხისია-მეთქი. მელანის მეტიც არ უნდოდა; მაშინვე ენად გაიკრიფა: ოხრაბუმსაო, მიაძბო, რაგუს უშვრებიან და შემწვარი ხორცის საკმაზადაც იყენებენო. ისიც კი მითხრა, თუთიყუშებისათვის ნამდვილი საწამლავიაო. ეს რომ ჩამწვდა ყურში, სასწრაფოდ ვტაცე ხელი ამ სურნელოვანი ბალახის ღერს, დანას გაუჭრელი რომ გადაურჩა, ვარდებიან ოთახში შევიკეტე და მარტოდმარტომ მღელვარე ფიქრებს მივეც თავი. ხელთ ნავარენის სიკვდილი მეპყრა. ბევრი ვიფიქრე, მერე ოთახიდან გაძოველ და ქალბატონ ლაროკს ვესტუმრე. ნავარენთან მივედი, შხამიანი ბალახი ვუჩვენე და ვუთხარი:

— დიახ, ეს ოხრაბუმის ღერიას მისი პაწია, ხუჭუჭი, მწვახე ფოთლები შენს კანათის თესლს რომ ავეურიო, მაშინვე სულს გაგაცხებინებს; მოკვდები და მეც შური ნაძიები მექნება. მაგრამ მე სხვაგვარი შურისძიება მწაღია, ცოცხალს დაგტოვებ და შენს ჯავრს ამით ამოვიყრი.

ვუთხარი ესა და შხამიანი ბალახი ფანჯრიდან მოვისროლე.

მას შემდეგ ნავარენი აღარ გამიწვალებია. არ მინდოდა ჩემი გულმოწყალება შემებღალა რითიმე და მალე დავმეგობრდით კიდევ.

## VIII

როგორ დამეძნო ჩემს კატარა ბიზოზაში, რომ კრატეიკული  
გაუა არ მკონდა

ეს ამბავი 48 წლის რევოლუციამდე მოხდა: ჯერ ოთხი წლისაღ რომ არ ვიყავ, ამას ცილობა არ უნდა, მაგრამ სამის ვიყავ, თუ სამ-ნახევრისა, დანამდვილებით ვერ გეტყვით. მას შემდეგ იმდენმა წყალმა ჩაიარა, აღარც აღარავინ დარჩა ცოცხალი, ვისაც ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემა შეეძლო. მეტი რა გზაა, ბედს უნდა შევუთრებდეთ, მიახლოებითი თარიღი ვიკმაროთ და თავი იმით ვინუგეშოთ, რომ მატთანებში ამაზე უფრო დიდი და სავალალო უზუსტობანიც გვხვდება.

ამბობენ, ქრონოლოგია და გეოგრაფია ისტორიის ორთავ თვალიაო. თუ ეგ მართალია, გამოდის, რომ სენ-მორის ბენედიქტელ ბერთა მეცადინეობის მიუხედავად, თარიღთა შემოწმების ხერხი რომ მოიგონეს, ისტორია, სულ ცოტა, ცალთვალა ძაინც დარჩა. ნათქვამს ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სხვა ამაზე დიდი ნაკლიც ბევრი სჭირს. კლიო, სერიოზული მუზა კლიო, ზოგჯერ პირქუშიც რომაა, გემოდღვრავს, გვასწავლის, გვართობს, გვადელეებს, ინტერესს აღგვიძრავს; კაცს მთელ დღესაც არ მოგწყინდება მისი სმენა. მაგრამ მე მისი ხშირი სტუმარი ვიყავ და შევნიშნე, რომ ბევრჯერ გულმავიწყობასაც იჩენს, ფუჭი ფაციფუცი იცის, მიკერძობაც სჩვევია, უვიცია და მატყუარა. მიუხედავად ამდენი ნაკლისა, ძალიან მიყვარდა; ძველი სიყვარული ახლაც არ გამნელებია და ეს ერთადერთია, რაც ამ მუზასთან მაკავშირებს. მას ხომ არაფრის დაძახსოვრება არ მოუწევს ჩემი ბავშვობიდან, არც მოწიფულობის ხანიდან დაიმახსოვრებს რასმე. ბედად, ისტორიული პიროვნება სულაც არა ვარ და ზვიადი კლიოც არასოდეს აიტკივებს თავს იმაზე ფიქრით, სამი წლისა ვიყავ, სამ-წლინახევრისა გავზდი, თუ ოთხი წელი მისრულდებოდა, როცა გამოძაჩნდა ხასიათის ის თვისება, რომელმაც დედაჩემი განცვიფრებაში მოიყვანა.

მაშინ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ბიჭუნა ვიყავ და თუ არა ვცდები, მხოლოდ იმით გამოვიჩრჩოდი ჩემი თანატოლებისაგან, რომ, რასაც მეუბნებოდნენ, ყველაფერი ბრმად როდი ძკეროდა. ეს უცნაური ზნე, ჩემს კირკიტა გონებაზე რომ ძეტყველებდა, მახლობელთა უკმაყოფილებას იწვევდა, რადგან თითის სიგრძე ბალს კრიტიკულ ნიქს ჩვეულებრივ არავინ უფასებს ხოლმე.

შეძქლო ეს მოსაზრებანი აქ სულაც არ გამომეთქვა, ამ აზრებს, ისევე, როგორც ქრონოლოგიას, თარიღთა შემოწმების ხელოვნებასა და მუზა კლიოს, არაფერი საერთო არა აქვს იმ ამბავთახ, რომელიც ახლა უნდა ვიამბოთ. ასე შორიდან თუ მოვუარე და გზად ღობე-ყორესაც მოვედე, თავის დღეში ვერ ვიტყვი სათქმელს; მაგრამ ვზადაგზა თუ არ გავერთე, გზიდან ერთხელაც არ გადავუხვიე, თვალის დახამხამებაში გავალ ბოლომდე და წამში ჩამოვარაკრავებ ყველაფერს. ეს

კი მეტად საწყენი იქნება, სხვისთვის თუ არა, ჩემთვის მაინც, რაკი უზომოდ მიყვარს ხეტიალი; ამაზე საამო და თანაც სასარგებლო არაფერი შეგულება ქვეყნად. რა სკოლაში არ ძივლია, მაგრამ ყველაზე საამურად ის დღე მეჩვენება და ყველაზე მეტიც მაშინ ვისწავლე, როცა გაკვეთილები გავადიდხე. უქმად ხეტიალს რა სჯობია, მუდამ მოგებული რჩები. ტყე-ტყე მიმავალ წითელქუდას გზად თხილი რომ არ ეკრიფა, ძგელი ხომ არ შეჭამდა? წითელქუდასთვის კი, როგორც მორალი ბრძანებს, ყველაზე უკეთესი ხვედრი სწორედ მგლის ხახაში მოხვედრა იყო.

ეს აზრი, საბედნიეროდ, ჩვენი საუბრის საგანთან გვაახლოებს. წელან სწორედ ის მინდოდა მეთქვა თქვენთვის, რომ სამი წლისას, ლუი-ფილიპ I-ის მეფობის მეფერამეტე და უკანასკნელ წელს, ყველაზე მეტად სეირნობა მიყვარდა, სამწუხაროდ, მე ტყეში არვინ მაგზავნიდა; ბუნებისაგან მოწყვეტილი ვიყავით და იმიტომ. პარიზის გულში, მალაკეს ლამაზ სანაპიროზე გახლდით ფეხადგმული და ველ-მინდვრების სიამენი ჩემთვის უცხო იყო. მაგრამ ქალაქსაცა აქვს თავისი ეშხი და მოძნობვლელობა. ჩემი ტკბილი დედიკო ხელიხელჩაკიდებული დამატარებდა ხმაურთან ქუჩებში. ცინცხალი ფერები ირეოდა ჩემს თვალწინ; საგულდაგულოდ მორთულ-მოკაზმული გამვლელები ქუჩას ამხიარულებდნენ. როცა რამე ჰქონდა საყიდელი, დედას მალაზიებშიც მივყავდი. მდიდრები არ ვყოფილვართ, დედაჩემიც ბევრს არ ხარჯავდა, მაგრამ ის მალაზიები, საცა შევდიოდით, უზარმაზარი და ზღაპრულად მდიდრული შეჩვენებოდა მაშინ. „ბონ-მარშე“, „ლუერი“, „გაზაფხული“, „გალერიები“\* ჯერ კიდევ არ არსებობდა და ყველაზე დიდ მალაზიებსაც კონსტიტუციური მონარქიის ბოლო წლებში მუშტრებად მხოლოდ თავიანთი უბნის ხალხი ჰყავდა. დედაჩემი სენ-ჟერმენის გარეუბნიდან იყო და „ორ ფაიფურის თოჯინასა“ და „წმიდა თამას“ დუქანში დაიარებოდა.

ამ ორ მალაზიათაგან, ერთი სენის ქუჩაზე, მეორე კი ბაკის ქუჩაზე რომ იყო გამართული, მხოლოდ მეორედა შემორჩენილა, მაგრამ ისიც ისეა გაზრდილ-გამოცვლილი, რომ ველარა ვცნობ. შესასვლელში საზარელი ლომების თავები გამოუდგამთ და უწინდელი სინატიფისა აღარაფერი სცხია. „ორი

ფაიფურის თოჯინა“ კი მთლად აღიგავა პირისაგან მიწისა და შეიძლება, ქვეყნად ჩემს მეტს არც აღარავის ახსოვს ზეთის. საღებავებით შესრულებული ის უზარმაზარი სურათი, მაღაზიას აბრის მაგივრობას რომ უწევდა. სურათზე ახალგაზრდა ჩინელი ქალი იყო გამოხატული. აქეთ-იქიდან ორი თაყვანისმცემელი ედგა. ქალთა სიტურფე უკვე მალეღებდა და ეს ქალიც ძალიან მომწონდა; საფეთქლებზე კულულები ჩამოშლოდა და თმები კეფაზე დიდი სავარცხლით დაემაგრებინა. შაგრამ ორ თაყვანისმცემელზე, მათ პოზაზე, მათ გამოხედვაზე და მათ განზრახვაზე ვერაფერს გეტყვით. ცთუნების ხელოვნებისა მაშინ არაფერი გამეგებოდა.

ეს მაღაზია უზარმაზარი და განძეულით სავსე მეგონა. იქნებ სწორედ აქ ჩამესახა პირველად ბრწყინვალე ხელოვნებისადმი სიყვარული, შემდეგში უფრო რომ გამიცხოველდა და ჩემს დღეში აღარ გამწელებია. ნაჭრების, ხალიჩების, ნაქარგების, ფრთების, ყვავილების ხილვას პირდაპირ აღფრთოვანებაში მოვყავდი; სულითა და გულით ვტკბებოდი ზრდილი ბატონებისა და მოხდენილი ქალიშვილების ხილვითაც, გაუბედავ მუშტრებს ამ საოცრებათ ღიმილით რომ სთავაზობდნენ. როცა ერთმა ნოქარმა დედაჩემს ჭერზე ჩამოკიდებულ სპილენძის ღეროზე თარაზულად დამაგრებული მეტრით ქსოვილი გადაუზომა, ვიფიქრე, ეს კაცი სასახელო საქმეს სჩადის, მის ბედნიერებასაც საზღვარი არა აქვს-მეთქი, და მისი ხვედრი ძალიან შემშურდა.

აღტაცებაში მოვყავდი ბატონ ოგრისაც, ბაკის ქუჩაზე სამკერვალო რომ ჰქონდა გამართული. მასთან რომ მივდიოდით, სულ ქურთუკებსა და მოკლე შარვლებს მაზომებდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მერჩია, გრძელი შარვალი და რედინგოტი შეეკერა ჩემთვის, სწორედ ისეთი, დიდები რომ ატარებდნენ; ეს სურვილი მას მერე უფრო გამიცხოველდა, რაც ბუიის\* ზღაპარი წავიკითხე. შიგ ერთი საწყალი ბიჭის ამბავი იყო მოთხრობილი. ბოლოს ეს ბიჭი ერთმა კეთილმა სწავლულმა შეიფარა, მდივნად დაისვა და თავის გამონაცვალ ტანსაცმელსაც ჩუქნიდა. კეთილი ბუიის ამ ზღაპარმა ერთი დიდი სისულელე ჩამადენინა, რომლის შესახებაც შემდეგ ვიამბობთ. ყოველგვარი ხელოვნება და ხელობა გულში მო-



წიწების გრძნობას აღმიძრავდა და ბაკის ქუჩელ თერძს, ბატონ ორგისაც ალტაცებამი მოეყავდი, თუმცა ალტაცების ღირსი სულაც არ ყოფილა, რაკი სამოსს მუდამ უკულმართად ჭრიდა და, სიმართლე თუ გნებავთ, მისი წყალობით ისე ვიყავ ჩაცმული, კაცი მაკაკასაგან ვერ გამომარჩევდა.

ჩემი ტკბილი დედიკო, როგორც მომჭირნე დიასახლისის შეეფერებოდა, სურსათ-სანოვაგეს თვითონ იმარაგებდა. საბაყლო საქონელს ბონაპარტის ქუჩაზე იძენდა, კურსელთან, ყავას კორსელესთან ყიდულობდა, პალე-რუთაილზე, შოკოლადს—დებოვთან და გალესთან, სენ-პერის ქუჩაზე. ბატონი კურსელი მუდამ ხალისით მასინჯებდა შავ ქლიავს; მის ღუქანში შაქრის თავებს ძზეზე ელვარება გაჰქონდათ და თვითონ მედუქნეც ისე მობდენილად აყირავებდა მოცხარის ჯემიან ქილას, დახეთ, რა სქელიაო, რომ ჩემი გული საბოლოოდ მოინადირა. უზომოდ ძხიბლავდა მისი შემპარავი თავაზიანობაც; გულიც კი მომდიოდა დედაჩემზე, მის სიტყვებს უნდობლად რომ ეკიდებოდა. მყიდველი რომ დაერწმუნებინა, ეს ენაწყლიანი ბაყალი უაძრავ მაგალითს იშველიებდა. გვიანდა მივხვდი, რომ დედაჩემის უნდობლობა მთლად საფუძველს მოკლებულიც არ ყოფილა.

ახლაც თვალწინ მიდგას კორსელეს საკონდიტრო, „პირის გემოს მოყვარული“ რომ ერქვა სახელად. ეს სახელი ოქროს ასოებით იყო გამოყვანილი აბრის მეწამულ ფონზე. ღუქნის გარშემო ყავის საამო სუნი ტრიალებდა. შიგ ძველ სურათსაც ნახავდით. ზედ ძველმოდურად ჩაცმული კაცი იყო გამოხატული. ეს „გემოს მოყვარული“ გახლდათ. ბოთლებით სავსე მაგიდას მისჯდომოდა და უზარმაზარ ღვეზელსა და საუცხოო ახანასს შეექცეოდა. მოგვიანებით სხვებისგან შევიტყვე, რომ ეს გრიზო დე ლა რენიერის პორტრეტი იყო, ბუაის\* მიერ დახატული. მე მუდამ მოწიწებით შევდიოდი ამ სახლში, დირექტორიის ხანაში რომ გადავყავდი და უხსოვარ დროთა შორშედ რომ მიმაჩნდა. ბატონ კორსელეს ნოქარი საგულდაგულოდ წონიდა საქონელსა და მუშტრებს უსიტყვოდ ისტუმრებდა. მისი მოკრძალებული თავდაჭერა, ბატონ კურსელის რიხიან მიხრა-მოხრასთან უცნაურ კონტრასტს რომ ქმნიდა, ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. პირველად იქნებ სწო-

რედ ამ მოხუცმა გამყიდველმა შემიქმნა წარმოდგენა თავაზი-  
ანობასა და ზომიერების გრძობაზე.

კორსელედან ისე არ წამოვიდოდი, რომ ყავის ერთი მარტა-  
ვალიც არ გამომეყოლებინა. მოვიგდებდი პირში ამ მარტვალს  
და გზაში ვლექდი ხოლმე. თავს ვირწმუნებდი, ძალიან გემრი-  
ელია-მეთქი, მაგრამ ჩემი თავისა მხოლოდ სანახევროდ მჭე-  
როდა. გულის სიღრმეში კი ვგრძობდი, რომ საძაგელი რამ  
იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ შემწვევდა უნარი ჩემს გულში და-  
ძარხული ჰემმარიტებანი სამზეოზე გამომეტანა. თუმცა  
კორსელეს ეს მაღაზია, „გემოს მოყვარული“ რომ ერქვა სა-  
ხელად, ძალიან მომწონდა, მეფეთა მომმარაგებლების, დებო-  
ვისა და გალეს საკონდიტრო მაინც ყველას მერჩია და უფრო  
ბეტადაც მხიბლავდა. ისეთი ლამაზი მეჩვენებოდა, რომ თავი  
შიგ შესვლის ღირსადაც არ მიმაჩნდა, თუ ტანთ საკვირაო  
ტანსაცმელი არ მეცვა; მაღაზიის ზღურბლთან დედაჩემის  
ჩაცმულობასაც გულდაგულ ვამოწმებდი; მინდოდა დავრწმუ-  
ნებულიყავ, რომ ისიც საკმაოდ ელეგანტურად გამოიყურებო-  
და. თურმე მთლად ცუდი გემოვნებაც არა მქონია! საფრან-  
გეთის მეფეთა მომმარაგებლების, დებოვისა და გალეს  
საკონდიტრო დღესაც არსებობს და მისი შიგნითა მხარე  
ბევრად არ შეცვლილა. მაშასადამე, შემიძლია მოგონებებს  
არ ავყვე და დღევანდელი დღის შთაბეჭდილებებით თამამად  
ძოგახსენოთ, რომ ეს მაღაზია მართლაც მშვენიერება რამ  
არის, მისი მორთულობა რესტავრაციის პირველ წლებს განე-  
კუთვნება, იმ ხანას, როცა სტილი ჯერ კიდევ არ იყო აგრე-  
რიგად დამძიმებული; აქ ყველაფერი პერსიესა და ფონტენის\*  
ხელწერას ძოგვაგონებს. ამ ოდნავ მშრალ, მაგრამ ნატიფსა  
და მკაცრ ხაზებს რომ შევყურებ, ნაღვლიანადა ვფიქრობ,  
აფსუსს, როგორ დაკნინდა-მეთქი გემოვნება საფრანგეთში ამ  
ერთი საუკუნის მანძილზე. ვაი, რა შორსა ვართ დღეს იმპე-  
რიის დეკორატიული ხელოვნებიდან, თუმცა ეს ხელოვნებაც  
ლუი XIV-ისა და დირექტორიის დროინდელს საგრძობლად  
ჩამოუვარდებოდა! ქების ღირსია ამ ძველისძველი მაღაზიის  
აბრაც; წარწერა ზედ საოცრად პროპორციული, ოთხკუთხა  
ასოებითაა გამოყვანილი; თვალწარმტაცია ისრული კამარებიცა  
და მათი მარაოსებრი ქუსლიც, პაწია სამლოცველოსავით

რომბა მომრგვალებული და ნახევრად წრიული დახლიც, დარბაზის ფორმას რომ ესადაგება. არ ვიცი, იქნებ სიზმრადაც ვნახე ყველაფერი, მაგრამ მგონი, იქაურ იაქთალებში თვალი მოძიკრავს ალეგორიული ღვთაებებისათვის, რომელთათვისაც არკოლესა და ლოდის ბრძოლების\* განდიდება უფრო უპრიანი იქნებოდა, ვიდრე კაკაოს კრემისა და შაქარმოყრილი შოკოლადისა. მოკლედ, აქ თავისი დანიშნულება ჰქონდა ყველაფერს და სტილიცა და ხასიათიც თვალნათლივ მოჩანდა. დღეს კი რას სჩადიან? ნიჭიერი ხელოვანი დღესაც მრავლადაა, მაგრამ დეკორატიული ხელოვნება ძალზე დაკნინდა ჩვენში. ძესაძე რესპუბლიკის სტილი ნაპოლეონ III-ის დროს მოგანატრებს, ნაპოლეონ მესამისა — ლუი-ფილიპისას, ლუი-ფილიპისა — კარლოს მეათისას, კარლოს მეათისა — იმპერიისდროისდელს, იმპერია — დირექტორიას, დირექტორია — ლუი XVI-ის დროს. ხაზისა და პროპორციის გრძნობა პირწმინდად გაქრა საფრანგეთში. ამიტომაც ვხვდები სიხარულით ახალი ხელოვნების გამოჩენას, თუმც თავად მისი ნახელავი იმდენად არ მომწონს, რამდენადაც ის, რომ დრომოჭმულსა და უსახურს ანგრევს და ანადგურებს.

რალა თქმა უნდა, სამი თუ ოთხი წლისას ამეებზე მსჯელობა არ შეეძლო, მაგრამ დებოვისა და გალეს გასტრონომში რომ შევდიოდი, მეგონა, ფერიათა სამყოფელში მოვხვდი-მეთქი. ამ წარმოდგენას ის უფრო მიცხოველებდა, რომ ირგვლივ უამრავ შავკაბიან ლამაზ ქალიშვილსა ვხედავდი, თმები აბრეშუმივით რომ უბზინავდათ და საზეიმო გამომეტყველებით ისხდნენ ნახევრად მომრგვალებულ დახლს უკან. შუაში ნაზი და სერიოზული შუახნის ქალი ეჯდათ, დიდრონ დავთრებში რაღაცას იწერდა და ხელში ხურდა ფულსა და საბანკო ბილეთებს ატრიალებდა. მალე გამოჩნდება, რომ საკმაო ჭკუა არ მქონდა იმის მისახვედრად, თუ რა ოპერაციებს აწარმოებდა ეს ბანოვანი. მის ირგვლივ შავგვრემანი და ქერა ქალიშვილები დაფუსფუსებდნენ. ზოგი შოკოლადის ფილებს ვერცხლისფერ ქალაღლებში ახვევდა, ზოგიც ამ ფილებს ერთმანეთზე აწყობდა, ორ-ორად ხვევდა თეთრ, ორნამენტებიან ქალაღდში და ლუქავდა. ლუქს თუნუქის ლამპის ალზე აცხელებდნენ. ამას ისე მარჯვედ და სწრაფად აკეთებდნენ, რომ მთელი მათი

საქმიანობა გართობას მოჰგავდა. დღეს კარგად ვხვდები, რომ ასე გამალებით თავიანთი სიამოვნებისათვის როდი მუშაობდნენ. მაშინდელი შეცდომა კი მეპატიება, რაკი ყოველგვარი სამუშაო გართობად მეჩვენებოდა. ასეა თუ ისე, თვალს უხაროდა, როცა ხედავდი, ქალიშვილები თლილ თითებს რა მარდად ამოძრავებდნენ.

როცა დედა სასყიდლებს მორჩებოდა, შუახნის ქალი, ამ საუცხოო ქალიშვილების დასს რომ მეთაურობდა, თავის გვერდით მდგარი ბროლის თასიდან შოკოლადის კანფეტს ამოიღებდა ხოლმე და მკრთალი ღიმილით გამომიწვდიდა. სწორედ ეს დიდებული ძღვენი იყო, ყველაზე მეტად რომ მხიბლავდა და საფრანგეთის მეფეთა მომმარაგებლების, დეზოვისა და გალეს გასტრონომსაც უზომოდ მაყვარებდა.

რაკი მაღაზიებში სიარულზე ჰქუას ვკარგავდი, ბუნებრივია, რომ შინ დაბრუნებული ჩემთვის გავითამაშებდი ხოლმე იმ სცენებს, რომელთა მომსწრეც მაღაზიაში ვიყავი. ასე და ამრიგად, შინ ხან თერძი ვიყავ, ხან ბაყალი, ხან ნოქარი, ხან თეთრეულის მკერავი ქალი და ხანაც შოკოლადის გამყიდველი, თუმცა ამის შესახებ ძეხორციელმა არაფერი იცოდა. ერთ საღამოს მე და დედაჩემი ჩემს პატარა ვარდებიან ოთახში ვისხედით, დედას საქარგავი ეჭირა ხელში, მე კი ჩვეულებრივზე მეტის გულმოდგინებით დეზოვისა და გალეს მაღაზიის გამყიდველ ქალიშვილებს ვბაძავდი. რაც შეიძლებოდა მეტი შოკოლადის ნატეხი, ქაღალდი და ის თხელი კრიალა ფურცლები შოვიმარაგე, დიდის ამბით „ვერცხლის ქაღალდს“ რომ ვეძახდი და თუმცა ეს ქაღალდები საკმაოდ შელანძლული იყო, მაშინდა შოსონის ნაჩუქარ პაწია სკამზე მჯდარი გამალებით ვვაჭრობდი. მერე რა, რომ საქონელიც მაღალ მუშამბაგადაფარებულ ტაბურეტზე მედო, ჩემთვის რომ გეკითხათ, ჩემი მაღაზია სენ-პერის ქუჩაზე მდებარე სამეფო გასტრონომს არაფრით ჩამოუვარდებოდა. დედისერთა გახლდით და მარტო თამაშსაც შეჩვეული ვიყავ. სულ მუდამ ვოცნებობდი, მთელ დროს ოცნებათა სამყაროში ვატარებდი და ჩემთვის ძნელი არ იყო თვალით უხილავი მაღაზიის წარმოდგენა მთელი თავისი პანელებითა და ვიტრინებით, დიდების ქალღმერთებით, შექმული იაქთალებითა და მორთულ-მოკაზმული მუშტრებით,

საქონელს ბუზებივით რომ ეხვევიან. აქ ქალებიც მრავლად იყვნენ, ბავშვებიცა და მოხუცებიც, მე ხომ, როცა მომეგუნებებოდა, სულ იოლად შემეძლო მთელი სცენებისა და ზღვა ხალხის წარმოდგენა. არც იმას შევეუკრთივარ, ერთსა და იმავე დროს შოკოლადების გამყიდველ ქალთა მთელ დასად და იმ საპატიო ბანოვანად რომ მიწევდა ყოფნა, ვინც გამუდმებით დავთრებში იქეჭებოდა და ხელში ფულს ატრიალებდა. ყოვლისშემძლე ვიყავ და ჩემი სასწაულებრივი ძალა დიდად სჭარბობდა ყოველივე იმას, რაც მოგვიანებით ამოვიკითხე „ოქროს ვირში“ თესალიის ჯადოქართა ძლიერების შესახებ. როგორც მოძებრიანებოდა, ბუნებასაც ისე ვიცვლიდი: არაფრად მიღირდა ყოვლად უცნაური და არნახული სახე შემემოსა, რაღაც გრძნების ძალით მეფეთ მეფედ, ურჩხულად, ეშმაკად, ანდა ფერიად ვქცეულიყავ. ეგ კი არა და, მთელ ლაშქრად, მდინარედ, ტყედ, მთად გახდომაც არ გამიჭირდებოდა. ამიტომ ის, რასაც იმ საღამოს ჩავდიოდი, ნამდვილი თამაშობა იყო და იოლადაც გამომდიოდა. შოკოლადის ნატეხებს ქალაქში ვხვევდი, ვლუქავდი, უამრავ მუშტარს ვისტუმრებდი: ქალებსაც და ბალებსაც. ბოლოს იმდენად გავამაყდი, რომ (გამოგიტყდეთ თუ არა?) უკმეხადაც ველაპარაკებოდი ჩემს არარსებულ თანამშრომლებს, სიზნატეს ვუკიყინებდი და მწარედაც ვტუქსავდი უნებური შეცდომების გამო. მოკლედ, ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად, მაგრამ, როცა მოლარის, ხნიერი და პატივსაცემი ბანოვანის განსახიერება მომიხდა, უეცრად ერთი დაბრკოლება შემხვდა. მეც მაშინვე მალაზიიდან გამოვედი და დედას მივაშურე. მინდოდა აეხსნა ის საკითხი, ჩემთვის დღემდე ბნელით მოცული რომ რჩებოდა. ერთი ათასჯერ მაინც მქონდა ნანახი, როგორ ალებდა ხნიერი ქალი უჯრას და ოქროსა და ვერცხლის ფულს ხელში როგორ ატრიალებდა, მაგრამ კარგად ვერ ვხვდებოდი, რა ოპერაციებს ასრულებდა. დედაჩემი ღრმა სავარძელში იჯდა და ცხვირსახოცს ქარგავდა; მის წინ ჩავიმუხლე და ვკითხე:

— დედი, მალაზიაში ვინც ყიდის, ის იხდის ფულს თუ ის, ვინც ყიდულობს?

დედას გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა, წარბები

შუბლზე აუვიდა, გაეღიმა და არაფერი მიპასუხა. ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა. ამ დროს ოთახში მამაც შემოვიდა.

— იცი, ჩემო კარგო, რა მკითხა წელან პიერომ? შენს დღეში ვერ გამოიცნობ... მაღაზიაში ფულს ვინ იხდის, ის, ვინც ყიდის, თუ ის, ვინც ყიდულობსო...

— აი, სულელი! — გაიცინა მამაჩემმა.

დედაჩემმა კი სერიოზულად განაგრძო, სახეზე შეშფოთება აღბეჭდოდა:

— ჩემო, ეგ მარტო ბავშვური მიამიტობა როდია. ეს ბუნებაცაა. პიერს თავის დღეში არ ეცოდინება ფულის ყადრა.

დედაჩემმა ეს კარგად შემატყუო და ჩემი ბედიც კარგად განკვირბა: ფულის ყადრი მართლაც ვერასდროს ვისწავლე. ასეთი ვიყავ სამი თუ ოთხი წლისა, როცა ვარდებიან ოთახში ვთამაშობდი და ასეთად დავრჩი სიბერემდე. ამიტომ სიბერე მძიმე ტვირთად არ მაწევს მხრებზე ისევე, როგორც ყველა ადამიანს, ვისთვისაც უცხოა სიძუნწე და გულზვაობა. არა, დედი, მე ჩემს დღეში არ მცოდნია ფულის ყადრი. ახლაც არ ვიცი, ან თუ გნებავთ, ძალიან კარგადაც ვიცი, რომ ფული სათავეა ყოველგვარი ბოროტებისა და ღრდნის ჩვენს ისედაც სასტიკ საზოგადოებას, რომლითაც ასე ვამაყობთ ხოლმე. იმ ამბავმა, რომ ჩემს პატარა ბიჭობაში გამყიდველობანას ვთამაშობდი და არ კი ვუწყობდი, ვის უნდა გადაეხადა ფული, გამყიდველსა თუ მყიდველს, ერთი ჩიბუხის ოსტატის ამბავი გამახსენა; ამ ამბავს უილიამ მორისი\* მოგვითხრობს თავის საუცხოო, წინასწარმეტყველურ ზღაპარში. ერთი გულუბრყვილო ხელოსანი მომავლის ქალაქში ჩიბუხებსა თლის და იმიტომაც გამოუდის ასეთი კარგი და ლამაზი, რომ სიყვარულით აკეთებს და კი არ ყიდის, უფასოდ ურიგებს ნაცნობებსა და უცნობებს.

## IX

### დოლი

ცხოვრება ცარიელი ნატვრაა. და იმისდა მიხედვით, ნატვრა ტკბილი გვეგონია, თუ მწარე, სიციოცხლეც საამურად ან სავეალალოდ გვეჩვენება. დე, თითოეულმა ჰკითხოს თავის

გულსა და ისე განსაჯოს. მსჯელობას აქ ვერ წამოვიწყებთ. ეს მეტაფიზიკოსთა საქმეა. ხუთი წლისა რომ ვიყავი, სათამაშო დოლსა ვნატრობდი. ეს ნატერა ტკბილი იყო, თუ მწარე, ვერ გეტყვით. მწარესა ჰგავდა, რადგან დოლის უქონლობით ვიტანჯებოდი, მაგრამ სიტკბოც დიდი ახლდა, რაკი ჩემს ბავშვურ წარმოსახვას სანატრელ საგანს უხატავდა.

სწორად რომ გამიგოთ, ახლავე მოგახსენებთ: დოლს კი ვნატრობდი, მაგრამ მედოლედ გახდომა სულაც არ მსურდა. მედოლის არც დიდება მხიბლავდა და არც ის ხიფათით აღსავსე ცხოვრება, ყოველ მათგანს რომ ელის. თუმცა საფრანგეთის ძლევამოსილი ომების ამბები ჩემი ხნის ბიჭის კვალობაზე საკმაოდ კარგად ვიცოდი, ჯერ არაფერი გამეგონა ყმაწვილ ბარაზე, სიკვდილის წინ თავისი დოლის ჯოხებს რომ იხუტებდა გულში; არაფერი მსმენოდა არც იმ თხუთმეტი წლის მედოლეზე, ციურიხის ბრძოლაში ტყვიამ ხელი რომ გაუხვრიტა და მაინც შეტევის ნიშანს უკრავდა. ამ ბიჭს პირველი კონსულისაგან ჯარების დათვალეირების დროს, ყოველ ათ დღეში ერთხელ რომ ტარდებოდა, საპატიო ჯოხებიც მიუღია და ეს პატივი რომ გაემართლებინა, პირველსავე ბრძოლაში თავი გაუწირავს. მე მხოლოდ მშვიდობიანობის დროინდელი ორი მედოლე მყავდა ნანახი. ორთავე ნაციონალურ გვარდიაში მსახურობდა. მამაჩემი მეორე პოლკის ექიმის თახაშემწედ ითვლებოდა და ყოველ ახალ წელს ეს მედოლეები ჩვენსა შოდიოდნენ, ექიმისა და მისი ცოლისათვის ვინიეტებით შემკული შოსალოცი ბარათი მოჰქონდათ. ბარათზე მედოლეებიც იყვნენ გამოხატული, მწვანე რედინგოტში გამოწყობილ მამაკაცსა და მაქმანებშემოვლებულ კრინოლინიან ქალს ემასლაათებოდნენ. სურათში ძალზე ლამაზები ჩანდნენ, სიცოცხლეში კი გადაგრეხილი უღვაშები, ეშმაკური გამოხედვა და წითელი ცხვირები ჰქონდათ. მამაჩემი მათ ას-ას სუის ჩუქნიდა და თითო ჭიქა ღვინის გადასაკრავად მოხუც მელანისთან, სამხარეულოში ისტუმრებდა. მედოლეები სულმოუთქმელად ცლიდნენ სასმელს, ენას აწკლაპუნებდნენ და ტუჩებს სახელოთი იწმენდდნენ. ჭკუამხიარული ხალხი იყო და ძალი-ახაც მოძწონდა, მაგრამ მათ რომ დავმსგავსებოდი, სულაც არ მინდოდა.

არა, მედლოლობა სულ არ მხიბლავდა; გენერლობას კი ვხატობდი და დოლი და დასაკრავი. ჯონები გულით იმიტომ მინდოდა, რომ ამ ნივთებს ბრძოლის სურათებს ვუკავშირებდი.

მაშინ ვერავინ დამდებდა ბრალად, აქილევის შუბს კასანდრას სარეცელი ამჯობინაო; სულ თოფ-იარაღი და ბრძოლები მელანდებოდა; მტრის ხოცვა-ჟლეტა თამაშად მიჩნდა და უეჭველად გპირი გავხდებოდი, ბედს — „ჩვენს ოცნებათ ფრთებს რომ აკვეცს“, ჩემთვის არ ემტყუნა. უბედო ბედმა ჩემი გპირად გახდომა არ ისურვა, ერთი წლის შემდეგ ამ საუცხოო გზას ამაყდინა და თოჯინები შემაყვარა. ამის გამო სულ დამცინოდნენ, მაგრამ მე ჩემსას მაინც არ ვიშლიდი და დანაზოგი ფულით სულ თოჯინებს ვყიდულობდი ხოლმე. ყველა მიყვარდა; მაგრამ ერთი მაინც ქვეყანას მერჩია, თუმცა დედა ხშირად მეუბნებოდა, ეგ შენი რჩეული ვერაფერი შვილიაო. არა, თოჯინების ამბავი აქ არ უნდა წამომეწყოს; ხეტა რა მრჯის, ან რად ვჩქარობ ოთხი წლის ბიჭის უმწიკველო დიდებას ჩრდილი მივაყენო? მაშინ ხომ დოლის მეტი სახატრელი არა მქონდა რა. სტოიკოსი არ ვიყავ და გულის წადილი ხშირად გამინდვია მათთვის, ვისაც დოლის ჩუქება შეეძლო, მაგრამ უფროსები თავს იკატუნებდნენ, ვითომც არაფერი გვესმისო, ან არა და, ისეთ რამეს მეტყოდნენ, რომ დოლის მიღების ყოველგვარი იმედი მეკარგებოდა.

— ხომ იცი, მამას არ უყვარს ხმაურიანი სათამაშოები, — მეუბნებოდა დედა.

რაკი დედა, ჩემი ტკბილი დედოკო ნატერას არ მისრულებდა იმის შიშით, ქმარს მყუდროება არ დავურღვიოო, დოლი მაშიდა მოსონსა ვთხოვე. მაშიდაჩემს რომ მაშიაჩემის რიდი სულაც არა მქონდა და არც მისი გულის მოგებასა ცდილობდა, ეს აღრევე მქონდა შემჩნეული და სწორედ ამაზე ვამყარებდი ჩემს იმედებს. საუბედუროდ, მაშიდაჩემი ძალზე ძუნწი ქალი იყო და გაცემაც ძვირად იცოდა.

— დოლი რაღად გინდა? — მითხრა მან, — განა უმისოდ ცოტა სათამაშო გაქვს? მთელი კარადა შენი სათამაშოებითაა სავსე. მე რომ პატარა ვიყავ, ბაღებს ასე არ ანებივრებდნენ; მე და ჩემი ამხანაგები ფოთლებისაგან ვიკეთებდით თოჯინებს... შენ კი მშვენიერი ნოეს კიდობანი გაქვს.



ეს კილობანი თვითონ მომიძღვნა საახალწლოდ და უნდა გამოგიტყდეთ, რომ თავდაპირველად მართლაც ზებუნებრივ რამედ მეჩვენა. შიგ პატრიაჩიკ იყო თავის ჯალაბიანად და დედამიწის ყველა სულდგმულიც. მაგრამ პეპლები სპილოებზე უფრო ღიდები ჩანდნენ და რომ ჩავუყვირდი, პროპორციების ეგზომი დარღვევა ძალიანაც მეხამუშა; ახლა კი, როცა ჩემი წყალობით ოთხფეხებს სამი ფეხილა შერჩათ და ნოესაც არგანი ძირში გადაუტყდა, ეს კილობანი სულ აღარ მხიბლავდა.

ერთხელ ცოტა გაციებული ვიყავ და კარში არ მიშვებდნენ. კარში გაშვებას ვინ ჩივის, თავზედაც ღამის ჩაჩი დამხურეს. ეს ჩაჩი ნიკაპქვეშ მეკვრებოდა. რითიმე თავი რომ შემექცია, ერთი ქოთანი ავიღე და დოლი გავიკეთე. ჯოხებად ხის კოვზები მქონდა. ნამდვილი ჰოლანდიური დოლი გამომივიდა, ბროუვერსა და იან სტენს\* რომ ჰქონდათ, ისეთი. მაგრამ მე უფრო ნატიფი გემოვნების პატრონი ვიყავ და როცა განრისხებულმა მელანიმ ქოთანი და კოვზები ხელიდან გამომგლიჯა, ეს სათამაშო უკვე მობეზრებული მქონდა.

დაახლოებით იმავე ხანებში მამამ ერთ საღამოს მოუჭიქავი ფაიფურის პატარა ფიგურა მომიტანა. პიერო იყო; ვეება დოლზე გამალებით უკრავდა. არ ვიცი, მამას იმედი ჰქონდა, ეს ნივთი ჩემს ბიქს ნამდვილი დოლის მაგივრობას გაუწევსო, თუ უბრალოდ, ჩემი დაცივნა სურდა; ეს კია, რომ როცა მჩუქნიდა, სახეზე მისთვის ჩვეული, ოდნავ ნაღვლიანი ღიმილი დასთამაშებდა. ასე იყო თუ ისე, საჩუქარი დიდად არ გამხარებია, უგულოდ მოვკიდე ხელი და რაკი მოუჭიქავი ფაიფური შესახებადაც მეტად უსიამო რამ იყო, სულ მალე მოვიძულე.

უკვე ნანიანატრი საგნის მიღების იმედი მთლად გადამიწყდა, როცა ზაფხულის ერთ ნათელ დღეს დედამ ნასაუზმევს ნაზად ჩამიკრა გულში, დამარიგა, ჰკუთ იყავიო და მოხუც მელანისთან ერთად სასეირნოდ გამიშვა. წასვლის წინ ნაცრისფერ ქაღალდში გამოხვეული, ცილინდრის ფორმის რაღაც ნივთი გამომიწოდა.

შეკვრა გავხსენი. დოლი იყო. დედაჩემი ოთახში აღარ ჩანდა, სიხარულით ცას ვეწიე, ნანატრი სათამაშო მხარზე გადავიკიდე პაწია თოკით, სამხარილლიე ღვედის მაგივრობას

რომ უწევდა და ჩემი თავისთვის აღარ მიკითხავს, ბედი სა-  
მაგიეროდ რას მომთხოვდა; მაშინ დარწმუნებული ვიყავ,   
ბედი ყველაფერს უსასყიდლოდ იძლევა-მეთქი, რაკი ჰერო-  
ლოტეს არ ვიცნობდი და ლეთაებრივ ნემესიდაზედაც\* წარ-  
მოდგენა არა მქონდა. არც პოეტის ეს აფორიზმი გამეგონა,  
რომელმაც შემდეგში ბევრჯერ მწარედ დამაფიქრა:

ღმერთებს წესად აქვთ — და არასდროს გადავლენ ამ წესს —  
ძვირად დაგვისვან ის სიკეთე, რაიც გვიბოძეს.

სიხარულმა ფრთა შემასხა. მხარზე გადაკიდებული დოლი-  
თა და ჯოხებით ხელში ქუჩაში თავმომწონედ გამოვედი. მე-  
ლანის წინ მივხტოდი და დოლს ვაბრაზუნებდი. შეტევის  
ნიშანს ვაძლევდი და ღრმად ვიყავ დარწმუნებული, რომ  
ჯარებს გამარჯვებისკენ მივუძღოდი. მაგრამ თუმცა ჯერ  
თავსაც არ ვუტყდებოდი, ვამჩნევდი, რომ ჩემს დოლს მაინც-  
დამაინც მჭექარე ხმა არა ჰქონდა და ერთი ლიეს იქით არც  
კი ისმოდა. ვირის ტყავი (თუკი მართლა ტყავი იყო, რაშიაც  
დღეს დიდად მეპარება ეჭვი) ცუდად იყო დაჭიმული და  
ჯოხებს რომ ვურტყამდი, ძალიან სუსტ ხმას გამოსცემდა.  
ჯოხებიც ისეთი პატარა და მსუბუქი იყო, რომ ვერც კი ვგრძნო-  
ბდი, ხელში მეჭირა თუ არა. მაშინვე მენიშნა დედის მშვი-  
დობიანი და ფხიზელი ხასიათი; მივხვდი, განგებ ამირჩია  
ასეთი სათამაშო, ოჯახის მყუდროება რომ არ დამერღვია. ჩემდა  
სავალალოდ თოფებს, დამბაჩებსა და კარაბინებსაც დიდხანს  
არ აჭაჭანებდა სახლში, რადგან დილიდან საღამომდე არ  
ვწყვეტილი სროლას და ბათქაბუთქით ვიკლებდი იქაურობას.  
ცხადია, დოლი თუ დამუნჯებულა, ვერაფერიშვილი ამბავია,  
მაგრამ გული გულობდეს და, დანარჩენს ყველაფერს მოევლე-  
ბა. ჩემს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და მისი ხმა ყურში ისე  
ჩამესმოდა, როგორც დიდების ყიჟინა. წარმოვიდგინე, რომ  
ჩემი დოლი სჭექდა და სჭექდა და ათასობით კაცს აიძულებ-  
და ფეხაწყობით ევლო. მისი ზარიანი ხმა მეც თრთოლვას  
ძგვრიდა და საგმირო საქმეებისაკენ მომიწოდებდა. ლუქსემ-  
ბურგის ბაღში მყოფს უკიდევანო ეელზე ჰორიზონტამდე  
გაჭიმული კოლონები მელანდებოდა; თითქოს საომარ ცხენებ-  
საც ვხედავდი, ზარბაზნებსა და მძიმე ჭურვებსაც, გზები რომ

გადაეთხარათ. ვხედავდი მზეზე მოელვარე შავჭილიან მუზარადებს, შუბებსა და ხიშტებსაც.

ღიან, ჩემი თვალით ვხედავდი; ვგრძნობდი, მე თვითონ ვქმნიდი ყოველივე ამას. ჩემი ფანტაზიის წყალობით შექმნილ სურათებში მეც ვმონაწილეობდი. მე თვითონ ვიყავ ყველაფერი, ჯარისკაცებიც, ცხენებიც, ზარბაზნებიც, საპირისწამლეც, აღმოდებული ზეცაცა და სისხლით გაპოხილი დედამიწაც. აი, რაები გამოვადნე ჩემი დოლიდან! მამიდა შოსონი კი მეკითხებოდა, დოლი რა ჯანდაბად გინდაო!

შინ რომ დავბრუნდი, სამარისებური სიჩუმე დამიხვდა. დედას მოვუხმე, მაგრამ არავინ გამომპასუხებია. მის საწოლ ოთახში შევევარდი, ვარდებიან ოთახშიც შევიხედე, მაგრამ იქაც არავინ დამიხვდა. მამაჩემის კაბინეტის კარიც შევალე, ისიც ცარიელი იყო. სასტუმრო ოთახის დიდ საათზე ფუიტიეს ნაქანდაკევი სპარტაკი იდგა და ჩემს შემფოთებას გულსწყრომით მხოლოდ ის გამოეხმაურა.

— დედა! სადა ხარ, დედა?!

ავყვირდი მე და ტირილი მოვრთე.

მაშინ მოხუცმა მელანიმ მაგრად ჩამიკრა გულში და მითხრა, შენი დედ-მამა ბულუას ქუჩაზე რომ დილიჯანსი დგება, იმაში ჩასხდნენ და ბატონ და ქალბატონ დანკენებთან ერთად ჰავრს გაემგზავრნენ, იქ ერთ კვირას დარჩებიანო.

ამ ამბავმა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. ვიფიქრე, აი, თურმე რის ფასად გამოიმეტა ბედმა ჩემთვის დოლი-მეთქი. მივხვდი, დედას უნდოდა თავისი გამგზავრების ამბავი დაემალა და ნატვრაც იმიტომ ამისრულა, რომ მის არყოფნაში თავი შემექცია და უმისობა არ მენალგლა. გამახსენდა, როგორ დაძარიგა, ჭკუით იყავიო და რა ნაღვლიანად მიმზერდა. თავს ვეკითხებოდი, ნეტა ეჭვი მაინც რად არ აღმეძრა, რომ მცოდნოდა, წასვლას აპირებდა, არაფრით არ დავანებებდი-მეთქი, ვფიქრობდი გულში.

სასოწარკვეთილი ვიყავ და თან მრცხვენოდა, ასე რომ მოვატყუებინე თავი. მერედა რამდენი ნიშანი იყო ირგვლივ, ჩემთვის თვალი რომ უნდა აეხილა! ეს რამდენიმე დღეა, დედა და მამა სულ ჩურჩულებდნენ, მესმოდა კარადათა კარების ჭრიალი, საწოლებზე თეთრეული დაეხევაეებინათ, ოთახებში

ჩემოდნები ეწყო. ერთი მათგანის სახურავი გაქუცულიყო და აქერცლილიყო. ზედ გარდიგარდმო ბინძური, შავი ხის ტყე-ჩები დაეკრათ. საშინელი სანახავი იყო. ამდენი რამ მამცნობდა მოსალოდნელ უბედურებას; ჩემს ადგილას ფინია ძალი რომ ყოფილიყო, ისიც კი რაღაცას იაზრებდა, მე კი ყურიც არ შემიბერტყავს. მამაჩემისგან გაგონილი მქონდა, ფინეტი ყოველთვის გრძნობს, როცა სადმე ვაპირებთ წასვლასო.

ბინა დიდი იყო და ცივი. შიგაც საშინელი სიჩუმე გამეფებულიყო და გულს მიყინავდა. მელანი კი ისეთი პატარა იყო, ისეთი გალეული, რომ ჩემს გულს ვერ ამოავსებდა: მისი ნაკეცებიანი თეთრი ჩაჩი ძლივს სცილდებოდა ჩემს თავს. მელანი ძალიანაც მიყვარდა, მიყვარდა მთელი ჩემი ბალღური ეგოიზმით, მაგრამ ჩემს გონებაში მაინცდამაინც დიდი ადგილი არ ეჭირა. მისი სიტყვები უფერული მეჩვენებოდა. და თუმცა ჭაღარა თმა ჰქონდა და წელშიაც ორად იყო მოკაკეული, ჩემზე უფრო ბალღად მიმაჩნდა. იმის ფიქრი, რომ მთელი ერთი კვირა მარტოს უნდა მეცხოვრა მასთან, პირდაპირ სასოწარკვეთილებაში მაგდებდა.

საბრალო მოხუცი ბევრს ეცადა ნუგეში ეცა ჩემთვის: შითხრა, ერთი კვირა წამში გაირბენს; დედა ლამაზ პაწია ნავს ჩამოგიტანს და ლუქსემბურგის ბალის აუზში აცურავებო; მამა გიამბობს, მოგზაურობისას თავს რა გადახდათ და ისე კარგად ავიწერს ჰავრის ნავსადგურს, რომ შენი თვალით ნანახი გეგონებო.

უხდა გამოვტყდე, რომ ეს უკანასკნელი მოსაზრება მართლაც სანუგეშო იყო, რაკი იგავის მტრედმაც მოიშველია,\* როცა შორეულ ქვეყნებში აპირებდა წასვლას და სატრფოს ეშშვიდობებოდა. მაგრამ მელანის ნათქვამი სარწმუნოდ არ მეჩვენა; ვფიქრობდი, სხვისი ნამბობი თვალით ნანახთან სად მოვა-მეთქი.

სადილად მამიდა შოსონიც გვეწვია. მე სულაც არ გამხარებია მისი ჭოტივით სახის დანახვა. მოვიდა და იმანაც დამშვიდება დამიწყო, მაგრამ მისი ნუგეშის სიტყვებიც ძველ, ურგებ ნივთსა ჰგავდა, როგორც ყველაფერი, რასაც გამოიმეტებდა ხოლმე. ბუნებით ძალიან ძუნწი იყო და ხელგაშლით ნუგეშისცემაც კი არ შეეძლო. სუფრას რომ მივუსხედით,

ზედ დედაჩემის ადგილას გამოიჭიმა და დამიფრთხო ტკბილი აჩრდილი, უჭკნობი შარავანდელი, უხილავი ხატება, ერთი სიტყვით, ის ანაბეჭდი, რასაც ჩვენი საყვარელი არსებანი ტოვებენ იმ საგნებზე, მათ ხელში სახმარ ნივთად რომ ქცეულა.

ასეთმა მკრეხელობამ მოთმინებიდან გამომიყვანა. სასო-წარკვეთილმა კერძს პირი აღარ დავაკარე და ჩემი საქციელი ძალიანაც მემამაყებოდა. არ ვიცი, ვიფიქრე თუ არა იმწუთას, რომ ჩემს დღეში ჩავარდნილი ფინეტიც ასევე მოიქცეოდა, მაგრამ რომც მეფიქრა, ეს სულაც არ დამამცირებდა საკუთარ თვალში. დარწმუნებული ვიყავ, რომ ალლოთი და გრძნობებით ცხოველები ბევრადა მჯობდნენ. დედაჩემს მელანისათვის გემრიელი ნამცხვარი და კრემი დაეკვეთა, ეგების ბიჭმა გული გადააყოლოსო. ნამცხვარსა და კრემზე უარი ველარა ვთქვი, გემოზე გეახელით და დარდიც შემიმსუბუქდა.

ნასადილევს მამიდა შოსონმა მითხრა, ადე, შენი ნოეს კიდობნით ითამაშეო; ამ რჩევამ საშინლად განმარისხა. ენა შევებრუნე და რალაც უხიაკი ვუთხარი; ესეც არ ვიკმარე, საწყალ მელანისაც ავუხირდი და სულ შავი დღე ვაყარე. არც ლანძღვა-გინება დამიკლია, თუმცა მთელი თავისი უმწიკვლო ცხოვრების მანძილზე არაფერი დაუმსახურებია ქების მეტი.

მელანი მაინც თავს მევლებოდა, დიდის მზრუნველობით ჩაძაწვინა ლოგინში, ცრემლი შემიმშრალა და თვითონაც თავისი დასაკეცი საწოლი ჩემს ოთახში გაიშალა. მაგრამ არც ამან მიშველა, ხელადვე დამეტყო უღედობა. რომ უკეთ გაიგოთ, რა დამემართა, შეგახსენებთ, რომ ყოველ საღამოს, სანამ დავიძინებდი, ჩემი საწოლის ირგვლივ პაწაწინა, თავკომბალა, გონჯ, კუზიანსა და ფეხმრუდ კაცუნებს ვხედავდი, თავზე ბუმბულით შემკული ქუდები რომ ეხურათ და ცხვირზეც უზარმაზარი, მრგვალი სათვალეები დაეკოსებინათ. ხელთ ერთი ციდა შამფურები, მანდოლინები, ქვაბები, დაირები, ხელეჩოები, საყვირები და ყავარჯნები ეპყრათ, უცნაურად ახმაურებდნენ და ახირებულად როკავდნენ. ძილისპირს მათი ჩემს ოთახში გამოჩენა აღარ მაოცებდა: ბუნების კანონებს კარგად არ ვიყავ დაუფლებული და არ ვიცოდი, რომ ეს ამბავი მის წესსა და რიგს ეწინააღმდეგებოდა. რაკი ეს სტუმრობა ყოველ ღამე მეორდებოდა, შიგ უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ-

დი, მაგრამ გამოგიტყდებით და, მაინც მეშინოდა. ოღონდ იმ ზოგამდე არა, რომ დაძვებოდა და ვინმესთვის საშველად მეხმარებოდა. თავზარს ის მინელებდა, რომ ვხედავდი, ეს პაწია მუსიკოსები კედელ-კედელ დასოცავდნენ და ჩემს საწოლს ახლოსაც არ ეკარებოდნენ. ასეთი უწყინარი ზნე სჭირდათ. თითქოს ვერც კი მამჩნევდნენ და მეც სუნთქვას ვიკავებდი, რომ მათი ყურადღება არ მიმექცია. ეტყობა, სულ დედაჩემის კეთილი გავლენის წყალობა იყო, ახლოს მოსვლას რომ ვერ ბედავდნენ; მელანის კი, როგორც ჩანს, აღარ შეეპყრებოდა და იმ საშინელ ღამეს, როცა ბულუას ქუჩის დილიჯანსი ჩემს საყვარელ დედ-მამას შორეული სანაპიროებისკენ მიაქროლებდა, ავმა სულელებმა, თითქოს პირველად შენიშნეს ჩემი არსებობა. ერთმა მათგანმა, ხის ფეხი რომ ჰქონდა და დაშრეტილ თვალზეც სალბუნი ეკეთა, მეზობელს თითოთ ჩემზე უჩვეულად და მყისვე ერთიმეორის მიყოლებით ყველანი ჩემკენ შემობრუნდნენ, უზარმაზარი სათვალეები მოიმარჯვეს და ცნობის-მოყვარეობით, მტრულად დამაცქერდნენ. კანკალმა ამიტანა, შერე კი, როცა ცეკვა-ცეკვითა და შამფურების, ხელეჩოებისა და ქვაბების ქნევით ჩემს საწოლს შემოეჭარნენ და ერთმა მათგანმა, ცხვირი პაწია კლარნეტს რომ მიუგავდა, უზარმაზარი სასხური მომძიღრა, მთლად თავზარდაცემულმა შევბლავლე: — დედა!

ჩემს ძახილზე მელანი საწოლიდან წამოვარდა და დამშვიდება დამიწყო. ცრემლები ღაბაღუპით მდიოდა თვალებიდან. შერე დაეშოშმინდა და ჩამეძინა კიდეც.

დილით, როცა ბელტურების ეიფივიკმა გამომალვიდა, ყველაფერი დავიწყებული მქონდა: ჩემი სიმარტოვეცა და მშობლების შინ არყოფნაც. ვაგლახ! ჩემი ტკბილი დედიკო არ გადმოხარილა ჩემს საწოლზე, მისი ყორნისფერი კულულები ლოყაზე აღარ მომლამუნებია, აღარც ზამბახის ამო სუნი მცემია, მის პეხუარს რომ უდიოდა. მარტო ჩემი ბებერი მელანის ნაზამთრალ ვაშლივით დამჭკნარ ლოყებს ვკიდე თვალი; ჩემს გამდელს თავზე უზარმაზარი ბაფთებიანი ჩაჩი ეხურა, ღამის პერანგზე ტაძრები და ამურები ჰქონდა ამოქარგული. ეს ამურები თაფლისფერ ფონზე ვარდისფრად ღალანებდნენ და უწყინარი, გულუბრყვილო მოხუცი ვერც კი ამჩნევდა. ამ

სახანობამ ისევ ამიშალა ნალველი; მთელი დილა მოწყენით დავეხეტებოდი დაყრუებულ ბინაში. სასადილო ოთახში, სკამზე ჩემი დოლი იდო, გაბრაზებულმა ძირს დავანარცხე, წიხლი დაკვარ და გავფხრიწე.

როცა დაკვაცდი, მაშინაც ბევრჯერ მინატრია ამ ხმიანი და ფუტურო საკრავის მსგავსი რამ, ჩემს პატარა ბიჭობაში საოცნებოდ რომ მქონდა; ენატრობდი დიდების დაფსა და ნალარას. საზოგადოების უზომო კეთილგანწყობას, მაგრამ როგორც კი ვიგრძნობდი, რომ გულს ეს ნატვრა შემომეპარა, მაგონდებოდა ის პაწია დოლი, ოთხი წლისას რომ მაჩუქეს და ის საზღაური, რომლის გაღებაც მაშინ მომიხდა; მეც მყისვე გულში ვიკლავდი სურვილს და აღარ ენატრობდი იმ სიკეთეს, ბედი თავის დღეში უსასყიდლოდ რომ არ გამოიმეტებს ხოლმე.

ჟან რასინმა ერთხელ ეს ადგილი გახაზა ლათინურ ბიბლიაში და უთუოდ მაშინ გაიხსენა, როცა არიციას ათქმევინა სიტყვები, რომლებმაც გააფითრეს წინდაუხედავი თეზესი: „Et tribuit eis petitionem eorum“<sup>1</sup>.

ძრწოდეთ, მეფეო, რათა ზეცამ განრისხებულმა არ მოგიძულოთ, არ ისმინოს თქვენი ვედრება, მრისხანების ჟამს მსხვერპლი მათგან შეიწირების, და მოწყალეობაც სასჯელია ჩვენი ცოდვების.

## X

### შეხებაჯილვაული თეატრალური ღასი

იმხანად, როცა ავადმყოფობის გამო ლოგინზე ვიყავ მიჯაჭვული, ანდა დილით ჩვეულებრივზე ადრე მეღვიძებოდა, ვგრძნობდი, რომ ერთი პირქუში, მიწისფერი, უზარმაზარი და გადლლაზული სახე შემომცქეროდა. დიახ, აჩრდილი მიყურებდა-მეთქი, მწუხარებაზე და შიშზე უფრო საშიში — ძოწყენილობა. ისეთი მოწყენილობა კი არაა, პოეტები რომ უძღერიან — ლამაზი და ზვიადი, სიძულვილითა და სიყვარულით რომაა შეზავებული; არა, ერთფეროვანი და უფერული,

<sup>1</sup> და შეისმინა ვედრება მათი (ლათ.).

შინაგანი ნისლი, შენივთებული არარაობა. ეს საზარელი სტუ-  
ძარი თავიდან რომ მომეშორებინა, დედასა და მელანის ვუხ-  
ბობდი; მაგრამ ან სულ არ მოდიოდნენ, ან არა და, წუთით  
ჩერდებოდნენ ჩემს საწოლთან და მეუბნებოდნენ იმას, რასაც  
ფუტკარი ეუბნებოდა ქალბატონ დებორდ-ვალმორის\* ლექსში  
პაწია ბიჭუნას:

...მე ძალიან მეჩქარება...

...სულ სიცილიც არ იქნება...

დედაჩემი ამასაც არ დამაჩერებდა და მეტყოდა: შეილო,  
თავის შექცევა თუ გინდა, გიჯობს, გამრავლების ტაბულა  
გაიმეორეო.

ეს უკიდურესი ზომა იყო და ვცდილობდი, მისთვის არ  
შიძემართა. მერჩია ისევ დედამიწის ირგვლივ მოგზაურობასა  
და ათას უჩვეულო თავგადასავალზე მეოცნება. ზღვაზე ამო-  
ვარდნილი ქარიშხალი ჩვენს გემს ნაფოტებად აქცევდა და  
ძვეც ცურვით ვაღწევდი უდაბურ ნაპირს. აქ ვეფხვები და  
ლომები ბინადრობდნენ. უფრო მდიდარი ფანტაზია რომ მქო-  
ნოდა, ეს იკმარებდა ჩემი მოწყენილობის გასაფანტავად. სამ-  
წუხაროდ სურათები, რომელთაც გონების თვალით ვხედავდი,  
ისეთი უფერული და უღიმღამო იყო, რომ არც ჩემს ავადმ-  
ყოფობას მავიწყებდა და არც იმ მოქურუხებულ სახეს, თავს  
ღვთის რისხვად რომ მადგა. მაგრამ დროთა განმავლობაში  
ლოგინში მწოლარემ ერთი საამო და გონებამახვილური გასარ-  
თობი გამოვძებნე. ასეთ გასართობს დიდი გასავალი აქვს  
ცივილიზებულ ხალხებში. ვიჯექი ჩემთვის და წარმოდგენებს  
ვმართავდი. უთქმელადაც მიხვდებით, რომ ჩემს თეატრს ერთ-  
ბაშად არ მიუღწევია სრულყოფისათვის. ბერძნული ტრაგე-  
დიაც ხომ თავის დროზე თესპიდეს ფორნიდან გადმოვიდა\*.  
ვლიდინებდი და ტაქტს ხელით აღვნიშნავდი: ერთი სიტყვით,  
ჩემი ოდენონი\* თავში ძალიან ვაგლახად გამოიყურებოდა. მერე  
წითელა შემეყარა და თუმცა მაინცდამაინც არ გამართლებია,  
ლოგინს კარგა ხნით მიმაჯაჭვა და თეატრის გაუმჯობესების  
საშუალება მომცა. ხუთი მსახიობი, ან უკეთ ხუთი გმირი  
გავიჩინე, როგორც იტალიურ ხასიათების კომედიამაშია მიღე-  
ბული. საამისოდ ჩემი მარჯვენა ხელის ხუთივე თითი გავსარ-



ჯე. თითოეულს თავისი სახე და სახელი ჰქონდა; და როგორც იტალიურ ხილბების თეატრში ხდება, ჩემი პერსონაჟებიც ინარჩუნებდნენ თავიანთ ზნესა და სახელებს ყველა როლში, რომელთა განსახიერებაც კი მოუწევდათ. ამ წესს ჩემს დღეში არ ვარღვევდი, თუკი ისტორიული დრამის დადგმა არ მიწევდა. მაშინ კი რა ჩარა იყო, სახელები უნდა შემეცკალა, მაგრამ პერსონაჟთა ზნეს მაინც არა ვცვლიდი. თავმოთნეობით არ ვიტყვი და, ამ მხრივ ჩემს გმირებს თავიანთი თავისათვის არასოდეს უღალატიათ.

ცერს რაპარი ერქვა სახელად. რატომ? ღმერთმა იცის მისი თავი. ყველაფრის გაგებას ნურც მოვიხდომებთ. ყველაფრის მიზეზს ვინ იპოვის. რაპარი ღაბღალი და ჩასკვნილი იყო. ღონე დიდი ჰქონდა, მაგრამ ჭკუითა და განათლებით მაინცდამაინც ვერ დაიტრიალებდა. ნამდვილი კალიბანი\* იყო, ღვთის რისხვა კაცი, თავაწყვეტილი, ლოთბაზარა და ჩხუბისთავი. იგი ხან მჭედელი გახლდათ, ხან შიკრიკი, ხან მტვირთავი, ხან ყაჩალი და ხანაც ჯარისკაცი, იმისდა მიხედვით, თუ რა როლი შეხედებოდა. მის თავგასულობასა და სისასტიკეს საზღვარი არა ჰქონდა. თუ გაჭირდებოდა, გარეული ნადირის ტყავშიაც ძვრებოდა: „წითელქუდაში“ მაგალითად, რუხი მგელი იყო, ერთ მშვენიერ კომედიაში კი, სადაც გამოყვანილი იყო ახალგაზრდა მწყემსი ქალი, ტყეში მიძინარე დათვის რომ წაადგება, ცხვირში რგოლს გაუყრის და დატყვევებული მეფის სასახლეში მიჰყავს საცეკვაოდ, რაპარი დათვის როლს განასახიერებდა.

სალოკ თითს მიტუფლი ერქვა და რაპართან არაფერი ჰქონდა საერთო. შესახედავდაც და ხასიათითაც მისგან ისე განსხვავდებოდა, როგორც ცა და დედამიწა. მიტუფლი დასში არც ყველაზე მაღალი იყო და არც ყველაზე ლამაზი ეთქმოდა; ცოტა სახიჩარი და ჯაფით წელში გატეხილიც ჩანდა, რადგან ძთლად ყმაწვილი შებმულიყო შრომის უღელში. მაგრამ საოცრად მკვირცხლი იყო, ჭკუა უჭრიდა და თავისი მოსწრებული პასუხებით დასში ყველას ჯობნიდა. სულგრძელობაც არ აკლდა და გული სულ ჩაგრულთა დასაცავად ერჩოდა. მისი სიმამაცე თავზე ხელაღებულობას ემიჯნებოდა და დრამატურგიც ხშირად აძლევდა თავის გამოჩენის საშუალებას. ხანძარი თუ გაჩნდებოდა სადმე, პირველი ის შეეარდებოდა

აღმოდებულ სახლში და გადარჩენილ ბაღს ატირებულ დედას მიჰგვრიდა. მისი ერთადერთი ნაკლი ის იყო, რომ მეტი სქეტად დაუდგრომელი გახლდათ, მაგრამ ამასაც ადვილად შეუხსლობდით; ის კი არა და, უფრო მეტად შეგიყვარდებოდათ.

არც ისე ფიცხსა და ნაკლებ მშფოთვარეს,  
აქილევსს ყველა დაიწუნებდა...

შუათითს, მოხდენილსა და ალვისტანას, საამურ გარეგნობასთან ერთად სულიც რაინდული ჰქონდა. სახელოვანი გვარიშვილი იყო, დიუნუა ერქვა სახელად. მგონი, კიდევაც ვიცი, ეს სახელი რატომ შევარქვი. ყველაფერი დედაჩემის ბრალი იყო. ჩემი ტკბილი დედიკო მაინცდამაინც კარგად არ მღეროდა და მხოლოდ მაშინ თუ ამოიღებდა ხმას, როცა ჩემს მეტი არავინ უსმენდა:

კობტა ბიჭი დიუნუა  
მიემგზავრება სირიას.  
მარჯვენა დამილოცო,  
ემუღარება მარიას.

ზოგჯერ სხვა სიმღერებსაც წაიღიღინებდა ხოლმე; მოსწონდა რომანსები: „დაისვენეთ, ლომგულებო“ და „მტირალმან ცისკრის ვარსკვლავი“. მაგრამ დედოფალ ჰორტენზიას სიმღერებზე პირდაპირ ჭკუას კარგავდა. ამ სიმღერებს უზომო თაყვანისმცემელი ჰყავდა ჩვენს დროში.

სიზანტისათვის ნუ კი გამკიცხავთ. მე ხომ მთელი ხელოვნების ამბავს ვიამბობთ. უბეჭდო ბეჭდის თითი პირმშვენიერი ასული იყო. სახელად ბლანშ დე კასტილი ერქვა, თუმცა, „ეიძლება, ეს შერქმეული სახელიც გახლდათ. რაკი დასში მის მეტი ქალი არა მყავდა, დედების როლსაც ის თამაშობდა, ცოლებისაც და შეყვარებულებისაც. უბიწოსა და დევნილს ტურფა ჰბაბუკი დიუნუა ხშირად შველოდა და თავიდან ათას საშინელ ხიფათს აცოლებდა. ამ ქველ საქმეში მას მიტუფლიც უნგაროდა და ხალისით ეხმარებოდა. ბლანში ხშირად დიუნუას მიჰყვებოდა ცოლად, იშვითად მიტუფლსაც. კიდევ ერთი პერსონაჟი და ჩემი დასის ყველა წევრი თქვენთვის ნაცნობი გახდება. ნეკი, ჟანო, პატარა, უზაკველი ბიჭი იყო, ხანდახან გოგონად იქცეოდა, მაგალითად მაშინ, როცა „წითელქუდას“

ვდგამდით; და მგონი, გოგოდ რომ იქცეოდა, ცოტა ჰქუაუც  
ემატებოდა ხოლმე.

წელან რომ ჩამოგითვალეთ, იმ მსახიობთათვის შექმნილი  
პიესები ცოტა არ იყოს, *commedia dell'arte*-ს<sup>1</sup> ჩამოჰგავდა.  
იტალიური კომედიების ავტორებივით მეც მხოლოდ მოქმე-  
დების ქარგას ვადგენდი, დიალოგებს კი თვითონ მსახიობები  
თხზავდნენ თავიანთი ხასიათისა და მდგომარეობის შესაბა-  
მისად. მაგრამ იტალიური ფარსები და საბაზრო თეატრების  
პიესები, სადაც ქვენა გრძნობებით შეპყრობილი არლევინი,  
კოლომბინა და დოქტორი ერკინებიან ერთმანეთსა და ყველა  
საკუთარი გამორჩენისათვის იღვწის, ჩემს კომედიებთან მაინც  
ვერ მოვიდოდნენ. ჩემი პიესები უფრო კეთილშობილური  
იყო და გმირულ ქანრს განეკუთვნებოდა; ეს ქანრი ხომ ყვე-  
ლაზე უკეთ ესადაგება უზაკველსა და მიამიტ სულებს. მე  
ლირიკული და პათეტიკური ვიყავ; ჩემს ნაწარმოებებში ტრა-  
გიზმიც ბევრი იყო და როცა გრძნობები იმ სიმაღლეებს სწვ-  
დებოდა, სადაც სიტყვა უძლურია და არ ძალუძს გამონატოს  
სათქმელი, ვმღეროდით ხოლმე. ამ დრამებში ზოგჯერ კომი-  
კური სცენებიც გამოერეოდა. თუმცა ამის შესახებ წარმოდ-  
გენაც არა მქონდა, თურმე შექსპირის მეთოდით ვმუშაობდი;  
რასინივით წერა უთუოდ უფრო გამიჭირდებოდა. მე ბატონ  
ლამარტინივით ტაკიმასხრობის მოძულე როდი გახლდით. პი-  
რიქით! მაგრამ ჩემი ხუმრობა უბრალო იყო და შიგ ირონიის  
ნატამალიც კი არ ერია. ჩემს პიესებში ხშირად შეხედებოდი  
ერთსა და იმავე სიტუაციებს. მაგრამ გამბედაობა არ მყოფ-  
ნიდა ეს მესაყვედურებინა ჩემი თავისათვის; ეს სცენები ისეთი  
ამაღლელებელი ჩანდა. დატყვევებულ პრინცესებს ტყვეობიდან  
შაშაცო რაინდი რომ გამოიხსნის, მოტაცებული ბავშვები  
ბოლოს დედებს რომ უბრუნდებიან, აი, ასეთ თემებს ვაძლე-  
დი უპირატესობას.

თუმცა სხვა ქანრშიაც არაერთხელ მიცდია ბედი. ვთხზავდი  
სასიყვარულო დრამებსა და ზიზილ-პიპილეებით ვამკობდი.  
აშგვარ პიესებში ცოტა იყო მოქმედება და საგულისხმოც  
არაფერი ხდებოდა. მათ არც კვანძის გახსნა გააჩნდათ; ეს

<sup>1</sup> ნილაბთა თეატრი (იტალ.).

ნაკლი სულ იმის ბრალი გახლდათ, რომ სულით უბიწო ვიყავ და შეგონა, სიყვარული თავად არის თვითმიზანი და თავის თავშივე ჰპოვებს-მეთქი ნეტარებას. ამიტომ იყო, რომ ჩემი მიჯნურებიც სულ არ ცდილობდნენ საწადლის აღსრულებას. და ამის გამო პიესებიც მშვენიერი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ერთფეროვანი გამომდიოდა.

ზოგჯერ სამხედრო სიუჟეტებსაც მივმართავდი ხოლმე და სულაც არ ვუფრთხოდი ნაპოლეონის ეპოპეის ხელყოფას. ნაპოლეონის ამბებს იმ გმირული დროების მომსწრეთაგან ვგებულობდი. ასეთი ხალხი ჩემს პატარა ბიჭობაში მრავლად ძერტყა გარს. დიუნუა ნაპოლეონი იყო, ბლანშ დე კასტილი — ჟოზეფინა (მაშინ მარია-ლუიზას არსებობა არ ვიცოდი); მიტუფლი — გრენადერი, პატარა ჟანო — ფლეიტაზე დამკვრელი; რაპარი — ინგლისელებს, პრუსიელებს, ავსტრიელებსა და რუსებს, ერთი სიტყვით, მტერს განასახიერებდა. აი, ამ ძალებით ვახერხებდი აუსტერლიცთან, იენასთან, ფრიდლენდთან, ვაგრამთან გამარჯვებას, ვენასა და ბერლინში შესვლას. ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე წარმოდგენას ორჯერ არასოდეს ვდგამდი. ნაყოფიერებით კალდერონსაც კი არ ჩამოვუვარდებოდი და სულ ახალსა და ახალ პიესებს ვთხზავდი.

ამ თეატრში დირექტორიც მე ვიყავ, დრამატურგიც, მთელი დასიცა და მაყურებლით გაკედილი დარბაზიც. ამიტომ წარმოდგენები ძალიან მართობდა და ალბათ თქვენც ხვდებით, რომ მწოლარეს აღარ მწყინდებოდა ხოლმე. ის კი არა და, ლოგინს ველარ ველოდი; დედას ძალით რომ არ წამოვეგდე, ხშირად თავიც კი მომიავადმყოფებია. ჩემი ტკბილი დედიკო ველარა მცნობდა, მეკითხებოდა, აგრე რამ გაგაზარმაცაო. რაკი ჩემი ხელოვნების ამბავი არ იცოდა და ჩემს ნიჭიერებაზედაც წარმოდგენა არა ჰქონდა, სიზარმაცედ მითვლიდა იმას, რაც ხორცუმესხმული ქმედება გახლდათ. ეს თეატრი საბოლოოდ მაშინ გაიფურჩქნა, როცა ექვსი წელი მისრულდებოდა. მერე კი ერთბაშად გადაგვარების გზას დაადგა. რამ გაძოიწვია ეს დაკნინება? ეს საინტერესო ამბავია და უთუოდ უნდა გაიმბოთ.

ექვსი წლისა რომ გავხდი, ერთბაშად ავიყარე ტანი, ცოტა უქეიფობამაც დამრია ხელი და ერთხანს ლოგინსაც მიმაჯაჭვა.

და რაკი სასთუმალთან, პაწია მაგიდაზე საღებავების კოლოფი  
მედო და წვრილ-წვრილი ბაფთები უხვადა მქონდა, გადავწ-  
ყვიტე, მათის შემწეობით გადამეხალისებინა ჩემი თეატრი  
და არნახულ სრულყოფილებამდე მიმეყვანა. ბევრი აღარ  
შიფიქრია, მაშინვე საქმეს მოვკიდე ხელი. აქამდე არასდროს  
"შეძინი"მნავს, რომ ჩემს მსახიობებს, კვერ.ცხეიისა არ იყოს,  
სახე არა ჰქონდათ; "შევნიშნე თუ არა ეს, მაშინვე დავუხატე  
თვალები, ცხვირი და პირი; მერე იმასაც მივაქციე ყურადღე-  
ბა, რომ "შიშველ-ტიტვლები დამიდიოდნენ და სულ სტავრა-  
ატლასით დავმოსე ყველა. მერე ვიფიქრე, ქუდებიც დამშვენ-  
დებათ-მეთქი და ნაირ-ნაირი წაყოლა ქუდები და ჩაჩებიც  
დავხურე. მხატვრული ფეხების ძიებისას ამითაც არ დავკმა-  
ყოფილებულვარ: სცენაც ავაგე, დეკორაციებიც დავხატე და  
აქსესუარებიც დავიძარაგე. მერე აღტყინებული დიდი ზარ-  
ზეიძით შევეუდექი პიესის დადგმას. მას „უფლის საფლავის  
ბარონები“ ერქვა სახელად. ამ პიესაში მთელი აღმოსავლეთ-  
დასავლეთი მსურდა ჩამეტია. სამწუხაროდ, პირველი სცენაც  
კი ვერ მივიყვანე ბოლომდე. შთაგონებამ ზურგი მაქცია:  
სული და მოძრაობა უკვალოდ გაქრა. აღარც ვნებები იყო  
სადმე, აღარც სიცოცხლე. ჩემს თეატრს, სანამ ხელოვნური  
არა ეცხო რა, ილუზია ცისარტყელასავით ნაირფერად აფერა-  
დებდა, მერე კი, როცა სიმდიდრე გაჩნდა, ილუზიაც მოიშა-  
ლა. მუშები გამიფრინდნენ და აღარც დაბრუნებულან. რა  
მწარე გაკვეთილი იყო ჩემთვის! ხელოვნებას მისი კეთილშო-  
ბილური სიშიშველე უნდა შევეუნარჩუნოთ. მდიდრული კოს-  
ტიუმები და ბრწყინვალე დეკორაციები ახრჩობენ დრამას.  
მას სამკაულად მხოლოდ მოქმედების სიდიადე და ხასიათთა  
სიმართლე სჭირდება.

## XI

### ტილოს ნაქენი

ჯერ ოთხი წლისაც არ ვიყავ, როცა ერთ დილით დეიამ  
საწოლიდან უთენია წამომაყენა და ჩემმა ტბილმა მამიკომაც,  
ტანთ ნაციონალური გვარდიის ფორმა რომ ეცვა, მაგრად ჩა-

შიკრა გულში. მახსოვს, თავზე ოქროს ჯილა ედგა და ზედ წითელი პომპონი ეკეთა. სანაპიროზე შეკრების ნალარას სცემდნენ; ქვაფენილზე ცხენების თქარათქური გაისმოდა; ხანდახან ჩვენს ყურს სიმღერისა და მრისხანე შეძახილების ხმაც სწვდებოდა. შორიდან თოფების ბათქაბუთქიც აღწევდა. მამა წავიდა. დედა ფანჯარას მიუახლოვდა, მარამაშის ფარდა გადასწია და ქვითინი მორთო. პარიზი რევოლუციის აღში იყო გახვეული.

თებერვლის ამ დღეებიდან ცოტა რამ დამახსოვდა. სანამ ქუჩებში ხელჩართული ბრძოლები იყო გამართული, უფროსებს კარში ერთხელაც არ გაუუყვანივარ. ჩვენი ფანჯრები ეზოს გადაჰყურებდა და ის, რაც გარეთ ხდებოდა, ჩემთვის საიდუმლოებით გახლდათ მოცული. საერთო ჭირმა მეზობლებიც დააახლოვა. ქალბატონი კომონი, გამომცემლის მეუღლე, მადმუაზელ მათილდა, ქალბატონ ლაროკის უკვე ხანში შესული ქალიშვილი, მადმუაზელ სესილი, მკერავი ქალი, შორთულ-შოკაზმული ქალბატონი პეტიპა, ლამაზი ქალბატონი მოზერი, თუმცა ჩვეულებრივ მათთან დიდი მისვლა-მოსვლა არ გვქონდა, ნაშუადღევს დედაჩემთან იყრიდნენ თავს და დაჭრილებისათვის ტილოს ნაძენძებს ამზადებდნენ. მაშინ ჰოსპიტლებში ჰრილობებზე ტილოს ნაძენძების დადება იცოდნენ სამთელეებლად და ამას უებარ წამლად თვლიდნენ, სანამ ძედიცინაში გადატრიალება არ მოხდა და სველი სახვევები არ დაიგმო. ქალებს თავ-თავიანთი თეთრეულის ფუთები მოჰქონდათ. სასადილო ოთახში მრგვალი მაგიდის გარშემო ჩარიგდებოდნენ, ტილოს წვრილ-წვრილ ზოლებად ჰრიდნენ და ძენძავდნენ. პირდაპირ ალტაცებაში მოვდივარ, როცა გავიფიქრებ, ამ დიასახლისებს რამდენი ძველი თეთრეული ჰქონდათ. ქალბატონმა პეტიპამ თავის მოტანილი ზეწრის ნახევზე ბებიამისის დედის ინიციალები და თარიღი 1745 წელიც კი ამოიკითხა. დედაჩემიც სტუმრებთან ერთად მუშაობდა. ამ ქველ საქმეში მე და პატარა ოქტავ კომონიც ვმონაწილეობდით. ზედამხედველობას მოხუცი მელანი გვიწევდა. მასაც სტუმრების რიდი ჰქონდა, ჩემსავით მაგიდიდან მოშორებით იჯდა და გახევებული ხელებით ტილოს ძენძავდა. მე თავდავიწყებით ვმუშაობდი და ერთ ძაფს რომ გამოვარღვევდი, ჩემი

სიამაყეც თანდათან მატულობდა; მაგრამ როცა დავინახე, რომ ოქტავ კომონს უფრო მეტი ნაქენძი დაეგროვებინა, თავ-მოყვარეობა შემელახა და ის სიხარულიც, დაჭრილთათვის საღბუნის დამზადება რომ იწვევდა ჩემში, საგრძნობლად შესუსტდა.

დროდადრო გამომცემელი ბატონი კომონი და ჩვენთან გაშინაურებული, სიმონ ნანტუელად წოდებული ბატონი დე-ბაც გვეწვეოდნენ ხოლმე და ახალი ამბები მოჰქონდათ. ბატონ კომონს ნაციონალური გვარდიის ფორმა ეცვა, მაგრამ ამ ფორმას მამაჩემივით მოხდენილად ვერ ატარებდა. ჩემი ტყბი-ლი მამიკო ფერმკრთალი და ტენწერწეტი იყო, ბატონ კომონს კი დამუწუქებული სახე ჰქონდა და სამკეცი ღაბაბი მუნდირ-ზე გაღმობფენოდა. მუნდირიც გულზე არ ეკვრებოდა და სამარცხვინოდ ჰქონდა გაღლეტილი.

— კარგი ამბის მახარობელი ვერა ვარ, — გვითხრა მან, — პარიზი ცეცხლის აღშია გახვეული, ქუჩებში შვიდასამდე ბარიკადაა აღმართული; ხალხი გარს შემოდგომია მეფის სასაჭლეს, რომელსაც მარშალი ბუჟო მარტო ოთხი ათასი კაცი-თა და ექვსი ზარბაზნით იცავს.

ამ ამბებმა ყველას თავზარი დასცა. მოხუცი მელანი თავის-თვის პირჯვარს იწერდა და ტუჩებს აცმატუნებდა.

დედა სტუმრებს მადერის ღვინითა და ხმელი ნამცხვრით გაუშასპინძლდა (იმხანად ქალები ჩაის სულ არა სვამდნენ და დღევანდლებივით ღვინოს არ უფრთხოდნენ). თითო ყლუპი ღვინო რომ მოსვეს, ერთბაშად გამოცოცხლდნენ, ბაგეზე ღიმი გაუკრთათ. სულ ერთიანად გამოიცივალნენ. ძველი აღარც სახე და აღარც სული აღარ შერჩათ.

სანამ სტუმრები ლუქმასა ტეხდნენ, მალაკეს სანაპიროელი ფანჯრების ჩამსმელი ოსტატი — ბატონი კლეროც გვეწვია. ძალზე მსუქანი კაცი იყო, სიმსუქნით ბატონ კომონსაც ბევრად სჭარბობდა და თეთრი ხალათი კიდევ უფრო ზონზრო-ხას აჩენდა. სტუმრებს მიესალმა და ექიმ ნოზიერს პალე რუა-ილის დაჭრილებისათვის შემწეობა სთხოვა. ჩიოდა, იმ სა-ცოდავებს ყურის მგდებელი არავინა ჰყავთ, სულ უპატრო-ნოდ ყრიანო. დედაჩემმა მიუგო, ექიმი შარიტეს ლაზარეთ-შიაო წასული. ბატონი კლერო ჰყვებოდა, ტიულრის მისად-

გომებთან სურათი ვნახე, მტრისასო. იქაურობა სულ მკვდრებითა და დაჭრილებითააო მოფენილი. ცხენებიც მრავლად არიან, ზოგს ფეხი აქვს მომტვრეული და ამაოდ ცდილობს წამოდგომას, ზოგსაც მუცელი აქვს გამოფატრული. ხალხი კი მაინც არ იშლება და კაფეებიც ცნობისმოყვარეებითააო გაჭედილი. ბიჭბუჭები გარს შემორტყმიან ძაღლს, მოკლული პატრონის გვამთან რომ ყმუის და თავს იქცევენ. ისიც გვიამბო, აჯანყებულთა მრავალრიცხოვანი, კბილებამდე შეიარაღებული რაზმი პალე რუაილის მოედანზე შატო დ'ოს პოსტს შემოეწყო, მაგრამ ალყაშემორტყმულებმა იარაღი მაინც არ დაყარეს, სანამ შენობას ცეცხლი არ გაუჩნდაო.

მერე ისიც თქვა:

— პოსტი რომ დაეცა, მოხალისეების შეგროვება იწყეს ხანძრის ჩასაქრობად; მეც მათ შევეურთდი, სათლები ვიშოვეთ და ჩავმწკრივდით. ცეცხლიდან სულ რაღაც ორმოცდაათი ნაბიჯით ვიყავ დაშორებული, მარჯვნივ ერთი ხანში შესული, დარბაისელი მოქალაქე მედგა, მარცხნივ — ვიღაც უხაწვილი, მხარზე თასმით ჯარისკაცის სავაზნე ჩანთა რომ ჰქონდა გადაკიდებული. სათლები ხელიდან ხელში გადადიოდა. „ფრთხილად, მოქალაქენო, ფრთხილად!“ — გავიძახოდი მე. გული საგულეს არა მქონდა. ქარი ჩვენკენ მოერეკებოდა ცეცხლსა და კვამლს; ფეხები გამეყინა, მარცხენა ფეხში საშინელ სიცივესა ვგრძნობდი, მიზეზს ვერა და ვერ მივმხვდარიყავ. თავს იმას ვეკითხებოდი, ბრძოლაში ხომ არ დამჭრესხეთქი. მწკრივში ვიდექ, სათლს სათლზე ვაწვდიდი და თან იმის ფიქრში ვიყავ, არა, ჩემს თავს რაღაც უჩვეულო ამბავი-ხეთქი; აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს, რომ გამეგო, რა მეშართებოდა. კარგა ხნის შემდეგ შეენიშნე: ის უხაწვილი, მარცხნივ რომ მედგა, სათლიდან ჩუმად ჯიბეში მასხამდა წყალს... ონავარს ისეთი ალიყური ვაჭამე, ქალბატონებო, რომ სახე აუფორეჯდა და სატრფოსთან თავი აღარ გამოეყოფა. ჰოდა, — დასძინა ბატონმა კლერომ, — თუ ნებას დამრთავთ, ქალბატონო ნოზიერ, ცოტა ხანს თქვენს ღუმელთან გავთბები. იმ ლაწირაკმა ძვლებიც კი გამიყინა. პირდაპირ თავზარი დაგეცემა კაცს, ისეთი ახალგაზრდობა წამოვიდა; ქუფროსების რიდი სულ აღარა აქვთ.



თქვა ეს, ჯიბიდან სანტიმეტრი, მინების საჭრელი ალმასი და მთლად აზელილი გაზეთი ამოიღო; ჯიბე რომ ამოიბრუნა, წყალი წურწურით წამოუვიდა. მერე ხალათის კალთებიც ამოიკეცა, ცეცხლს მიეფიცხა და მალე მის ტანსაცმელს ბუხრის სითბოსაგან ოხშივარი აუვიდა.

დედაძმ კიჩით არაყი მოუბრუნინა და მანაც იქ მყოფთა სადღეგრძელო შესვა, რადგან წესიერი კაცი იყო და ზრდილობა არ ესწავლებოდა.

აღფრთოვანებული ვიყავ განაგონითა და ისიც შევნიშნე, რომ ქალბატონი კომონი სიცილს ძლივს იკავებდა.

ამ დროს სიმონ ნანტუელად წოდებული ბატონი. დედაც გვეწვია. ტყაპუჭი მოესხა და ხელშიაც თოფი დაეკავებინა. შოშხდარმა ამბებმა სულ გამოცვალა იგი, თავი დიდ ვინმედ მოჰქონდა და ქალბატონ ნოზიერსაც უჩვეულო რიხით მოახსება, ეჭიმი ჰოსპიტალში შეაყოვნეს და ვახშმად ვეღარ დაბრუნდებო. მერე გვიამბო, რაც ენახა და გაეგონა. უპირატესად იმ ამბებზე გვიყვებოდა, რომლებშიაც თვითონაც მიელო შონაწილეობა. გვითხრა, მუნიციპალური გვარდიის ექვს ჯარისკაცს აჯანყებულები ფეხდაფეხ მოსდევდნენ და ბონის ქუჩაზე, ერთ სარდაფში დავმალეო; აქეთ კიდევ ხალხმა წითელი მუნდირით მეფის ამხედრებული შიკრიკი იცნო და სასტიკადაც გაუსწორდებოდა, მაგრამ მე ვერნეილის ქუჩის კუთხეში რომ სირაჯია, იმას სამუშაო ხალათი ვთხოვე, გადავაცვი და ისე გავაპარეო. ისიც გვიამბო, ბატონ ბელაგეს ლაქია, ფირმენი, ბრმა ტყვიამ იმსხვერპლაო და რაკი ყველაზე მეტად ის ამბავი გვალელებს, რაც ჩვენს სიანლოვესა ხდება, ამ სიკვდილის ამბავმა ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული.

კიდევ მაგონდება, რომ შუალამით, როცა მე და ჩემი ტკბილი დედიკო ქალბატონ კომონთან ვიყავით სტუმრად, ანტრესოლის ფანჯრიდან, რომელიც სანაპიროს გადაკუთრებდა, თვალი მოვკარი, მაღალჩარდახიანი, ალმოდებული ეტლი ლუერის ქიშკრიდან როგორ გამოსრიალდა. ბრბომ სენ-პერის ხილზე შეაგორა იგი, ორ დამჯდარ ქანდაკებას შორის; შუამდე არც კი იყვნენ მისული, რომ ეტლს ქანაობა დაუწყეს. ეტლიც ერთი-ორჯერ შეხტა ზამბარებზე, მერე სენაში გადავარდა და

თუჯის მოაჯირიც თან გადაიყოლა. ცეცხლი ჩაქრა და ისევე წყვილიადმა შთანთქა ყველაფერი, მაგრამ რაც ვნახე, მე საიდუმლოებით მოცული და საუცხოო მეჩვენა.

აი, ეს გახლავთ ჩემი 1848 წლის 24 თებერვლის მოგონებანი; ასე აღიბეჭდა ყოველივე ჩემს ბალღურ მეხსიერებაში. რაც მე გამომჩრა, დედაჩემმა გამიცოცხლა თავისი ნაამბობით. შაინც მწირი და უბადრუკი დამირჩა, რაკი მეც დიდად ვიზრუნე იმისათვის, რომ არ შემეღამაზებინა და არ გამემდიდრებინა.

ამგვარად შევიტყვე თანამედროვეობის ეს უმნიშვნელოვანესი ამბავი და ამან ჩემი ისტორიული მრწამსის ჩამოყალიბებაზე დიდად იმოქმედა. ჩემს პატარა ბიჭობაში ფრაიგებს იუძორის გრძნობა საოცრად პქონდათ განვითარებული, ახლაკი ეს გრძნობა მეტისმეტად დასჩლუნგებიათ იმ მიზეზთა გამო, რომელთა გამორკვევასაც აქ ვერ შევუდგები. წინათ პამფლეტიც, კარიკატურაცა და სიმღერაც მათ დამცინავ ბუნებას ამქლავნებდა. მე კარიკატურის ოქროს ხანაში დავიბადე და ერის ცხოვრებაზე წარმოდგენა „შარივარის“ ლითოგრაფიებისა და ნათლიაჩემის, პარიზელი ბურჟუის, პიერ დანკენის ოხუნჯობათა საფუძველზე შემექმნა, და თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან სასაცილოდაც მეჩვენა, თუმცა ამდენი ამბოხებისა და რევოლუციის ეპოქაში გავიზარდე. ნათლიაჩემი ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტს ბუტუსურა თუთიყუშს ეძახდა. მეც მაღაღებდა წითელ აჩრდილთან მებრძოლი ამ უცხო ფრინველის წარმოდგენა, ცოცხის ტარზე გადამჯდარ საფრთხობელასავით რომ ხატავდნენ გაზეთებში. ირგვლივ ორღეანისტებიც\* ფაფხურობდნენ, თავების მაგივრად მსხლები რომ გამოზმოდათ. ვიღას არ ნახავდით აქ, ჯუჯა ბატონ ტიერს\*, მასხარას ტანსაცმელში გამოწყობილ ჟირარდენსა და ქაფქირისთავიან პრეზიდენტ დიუპენს, გემებივით უზარმაზარი ფეხსაცმელები რომ ეცვა. მაგრამ ყველაზე მეტად ვიქტორ კონსიდერანი\* მიტაცებდა, რაკი ვიცოდი, რომ ეს კაცი ჩვენს სიახლოვეს, ვოლტერის სანაპიროზე იდგა. კარიკატურებში გრძელი კუდით ხის ტოტზე დაკიდულსა ხატავდნენ; კუდის ბოლოს კი უზარმაზარი თვალი ება.

იმ ხანებში დედას ხშირად დავყავდი ბაკის ქუჩაზე. ზამთარი ახლოვდებოდა და დედაჩემიც ამ მაღაზიებით სავსე უბანში ყიდულობდა შალის ქსოვილებსა და ბატონ ოგრის ჩემთვის თბილ ტანსაცმელს უკვეთდა. ბატონი ოგრი მეტად თავაზიანი კაცი გახლდათ, მაგრამ დაპირების შესრულება კი არ იცოდა. ეს თერძი იმ სახლის პირდაპირ იდგა, სადაც ერთი წლის წინ შატობრიანი გარდაიცვალა. მე ეს ამბავი დიდად არ მანადვლებდა და გულგრილად ვუტყუროდი კეთილშობილური, ნატიფი მედალიონებით შემკულ კარებს, რომელიც ერთ დღეს ფართოდ გაიღო, რათა თავისი დიდებული მდგმური უკანასკნელად გაეტარებინა. ბაკის ლამაზ ქუჩაზე ყველაზე მეტად ნაირ-ნაირი საქონლით სავსე დუქნები მხიბლავდა; შიგათასი ნაქარგი, ოქროს და ლაჟვარდისფერ ვენზელიანი საფოსტო ქაღალდები, ლომებითა და ავაზებით მოხატული ფარდაგები, პირმშვენიერი ცვილის ფიგურები, სავოიური ფაიფურის სამშვენიესები იყო, რომელთაც პანთეონის გუმბათივით მომრგვალებული თავები გადაშლილი ვარდებით ჰქონდათ შემკული; პაწია, დათაფლული ნამცხვრებიც ბლომად ეწყო, ზოგს სამკუთხედის ფორმა ჰქონდა, ზოგს — დომინოსი, ზოგს კიდევ — მანდოლინისა. ამ სასწაულებს რომ მიჩვენებდა, დედაჩემი მათ ქებას მოჰყვებოდა ხოლმე და ნანახს კიდევ უფრო საოცნებოდ მიჰქცევდა. იშვიათი ნიჭი გააჩნდა, ყველა საგანი გაეცოცხლებინა და სიმბოლოდ ექცია.

მაშინ ამ ქუჩისა და უნივერსიტეტის ქუჩის შესაყართან სურათების მაღაზია იყო. შიგ ყვეთლად შეღებილი კარით შედიოდით. კარი იმდროინდელი გემოვნებისდა მიხედვით, საკმაოდ მდიდრულად იყო მორთული. ლავგარდანი როგორც ჰქონდა, იმაზე კი ვერაფერს გეტყვით, რადგან სულ არ დამხსოვებია: ის კი კარგად მახსოვს, რომ ორ კონსოლზე, ლავგარდანს რომ ჰქონდა შედგმული, ორი მკლავის სიგრძე ფიგურა იყო შესკუპული. მთლად ადამიანებს, ოთხფეხებსა და ჩიტებს არ ჰგავდნენ, მაგრამ ქიმერებიც არ უნდა ყოფილიყ-

ნენ, რადგან არც ლომებისა ეცხობთ რამე და არც თხისა; გროფონები არიანო, ვერც იმას იტყოდით, რადგან ქალის გულძკერდი არა ჰქონდათ. ყურაცქვეტილები იყვნენ, თავები ღამურის თავს მიუგავდათ, ტანი კი მწვევარივით წაგრძელებული ჰქონდათ. დღეს სურენის ხიდის კანდელაბრზელა თუ შეხვდებით მსგავს პაწია ფანტასტიურ ცხოველებს, იმ ზღაპრულ არსებათ რომ ჩამოჰგვანან, რომელთაც რიკარდის ფლორენციული სასახლის ფასადზე ფანარი უჭირავთ ხელში. მოკლედ, ეს პატარა, დეკორატიული ფიგურები იყო, დაახლოებით 1840 წელს რომ შეექმნა მოქანდაკე ფეშერის მსგავს რომელიღაც ხელოვანს; მაგრამ ძალიან უცნაური სახეები კი ჰქონდათ და ჩემს ცხოვრებაშიაც ისეთი დიდი ადგილი ეჭირათ, რომ სხვა, მსგავს ფიგურებში თავის დღეში არ ამერევიან.

ერთ დღეს, როცა გვერდით ჩავუარეთ, დედაჩემმა მიმითითა მათზე და მითხრა:

— პიერ, შეხე ამ პატარა ცხოველებს! რა საუცხოო გამომეტყველება აქვთ. დახე, რა ეშმაკურად, რა მხიარულად იმზირებიან.— მთელი საათობით შეიძლება უცქირო და არ მოგწყინდება, ისეთი აზრიანი გამოხედვა აქვთ. სულ ცოცხლებს არა ჰგვანან? შეხე, შეხე ერთი, როგორ იცინიან.

ვკითხე, რა ჰქვიათ-მეთქი. დედამ მიპასუხა, ბუნებაში ასეთი ცხოველები არ არსებობენ და ამიტომ სახელიც არა აქვთო.

მე ვუთხარი, უთუოდ დები იქნებიან-მეთქი.

შეორე დღეს ისევ მოგვიხდა ბატონ ოგრისთან მისვლა. ზამთრის ტანსაცმელი უნდა გამესინჯა. როცა ორ დას ჩავუარეთ გვერდით, დედამ სერიოზულად გაიშვირა მათკენ ხელი და მითხრა:

— დახე, აღარ იცინიან.

ღმერთმანი, არა ტყუოდა. დებს გამომეტყველება შეეცვალათ: აღარ იცინოდნენ, კუშტად იმზირებოდნენ და სახეც მუქარით აღსავსე გახდომოდათ.

დედაჩემს ვკითხე, რატომ გვიბრაზდებიან-მეთქი.

— იმიტომ, შვილო, რომ დღეს ჰკუთხით არ იტყეოდით.

სიძმართლეს სად წავუვიდოდით. იმ დღეს მართლაც ბევრი

ვიცელქე. გულმა რატომღაც სამზარეულოსკენ გამიწია, შევიპარე შიგ და თალგამის ფხეკაში გართულ მელანის თავს წავედექი. მიხდოდა მეც მივშველებოდი, ან უკეთ, ამელო თალგამი და მისგან ადამიანებისა და ცხოველების ფიგურები გამოქეთალა. მელანიმ არ დამანება. გაგულისებულმა ბაფთებით შექკული, მაქმანებიანი ჩაჩი თავიდან მოვგლიჯე. ეშმაკი შემიჯდა თუ რა იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ მეც ვხვდები, რომ ძალზე ბრიყვეულად კი მომივიდა. შევეყურებდი ორ დასა და არ ვიცი, იძიტომ, რომ ზებუნებრივი ძალისანი მეგონენ, თუ, უბრალოდ, ჩემი სასწაულებს დახარბებული გონება ილუზიის ტყვეობაში ადვილად ექცეოდა, ტანში შიშის ტკბილ-მწარე ქრუანტელმა დამიარა.

— რა დააშავე დღეს, მათ არ იციან, — განაგრძო დედაჩემმა, — მაგრამ შენს შეცოდებას მათ თვალეში კითხულობ. კარგად მოიქეცი და ესენიც გაგიღიმებენ; მთელი ბუნება დიმილით მოგეგებება.

მას შემდეგ, ყოველთვის, როცა მე და დედა ამ ორ დას ჩავეუვლიდით გვერდში, გულის ფანცქალით შევეყურებდით, რომ გაგვეგო, კიდეც ჯავრობდნენ თუ დამშვიდებულიყვნენ და მათი გამომეტყველებაც მუდამ ესადაგებოდა ჩემი სინდისის მდგომარეობას. უსაზღვრო ნდობით შევცქეროდი და მათ ხან მომღიმარე და ხანაც მოღუშულ სახეებზე ვპოულობდი ჩემი კარგი ქცევის საზღაურსა და დანაშაულთა სასჯელს.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. გავიზარდე და დამოუკიდებელი მსჯელობის უნარიც გამიჩნდა. მაგრამ ზოგჯერ ძაინც მერყეობა შემიპყრობდა. ჰოდა, ჭოჭმანის ჟამს კვლავ ორ დას ვაკითხავდი ხოლმე. ერთ დღეს, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა ნათლად დამენახა, ჩემს სულში რა ხდებოდა და ისევ მათ მივაშურე, თავის ადგილას აღარ დამიხვდნენ: კარებთან ერთად საღდაც გამქრალიყვნენ. გაწბილებული გამოვბრუნდი უკან. საჭოჭმანოსა და საფიქრალს თავი ვერ გავართვი და უხეირო გადაწყვეტილება მივიღე.

პირველად ზღვა რომ ვნახე, მხოლოდ იმიტომ მეჩვენა უზარმაზარი, რომ მის დამნახავს უკიდევანო ნაღველი შემოძაწვა გულზე. ეს მთლად ველური ზღვა იყო. ზაფხულის ერთ თვეს ბრეტანის პაწია, მიკარგულ სოფელში ვატარებდით. ამ სანაპიროს ხედი ოფორტივით აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში: უკაცრიელ სანაპიროზე ჩარიგებულ ხეებს ზღვიდან მონაბერი ქარი უძოწყალოდ ფრთას ახლიდა და ისინიც, მოქუფრული ცის ქვეშ შეყუჟულები, ხრიოკი მიწისაკენ ხრიდნენ თავიანთ დარღვილ ტანსა და მეჩხერ ტოტებს. ამ სურათმა გული ჩაძწყვიტა და დღესაც გულით დავატარებ, ვით სიმბოლოს შეუდარებელი უბედურებისას.

ზღვის ხმა და სუნი ძალიან მალეღვებდა. ყოველ დილით, ყოველ საათს ზღვა ფერს იცვლიდა ჩემს თვალწინ. ხან მტრედისფერი იყო და სარკესავით გლუვი ზედაპირი ჰქონდა, ხან პაწია, შშვიდი ტალღებით იყო დაფარული, ცალ მხარეს ლაყვარლისფერნი რომ იყვნენ, მეორე მხარეს კი ვერცხლისფერი გადაჰკრავდათ. ზღვას ხან-თითქოს მწვანე, გასანთლული ტილო ეფარა, ხან კი ერთბაშად ჩამუქდებოდა, მოილუშებოდა, ფრთონას იწყებდა და ტალღების ქოჩორზე ნერევისს გაათრებული ბატკნები დახტოდნენ; გუშინ რომ უკან იხევდა ღიძილით, დღეს აბობოქრებული წინ მოიწევდა. თუმცა მთლად ბალღი ვიყავ, ან იქნებ სწორედ იმიტომაც, რომ სუსტი ვიყავ და უღონო, ამ მუხანათურმა ცვალებადობამ დიდად შეძირყია ნდობა და სიყვარული, რომელსაც ბუნება შთამაგონებდა. ზღვის ფაუნა, თევზები, ნიჟარები, განსაკუთრებით კი სხვადასხვა ჯურის კიბორჩხალები, „წმიდა ანტუანის ცთუხებათა“ ურჩხულებზე უფრო საზარელნი რომ იყვნენ, იმ ურჩხულებზე, რომელთაც ასეთი ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი ქალბატონ ლეტორის დუქანში მალაკეს სანაპიროზე ჩავლილი, ეს ლანგუსტები, რვაფეხები, ზღვის ვარსკვლავები მეტად უცნაურად მეჩვენებოდნენ და ჩემთვის მართლაც ნაკლებად მახლობელნი იყვნენ, ვიდრე ჩემი ფინია

კერი, ქალბატონ პომონის პონი, რობინზონის ვირები და პარიზელი ბელურები. ასე გასინჯეთ და, ეს ზღვის ურჩხულები ჩემი სურათებიანი ბიბლიის ლომზე და „ნოეს კიდობნის“ ცხოველებზე გონჯებადაც კი მესახებოდნენ. მათგან ძილშიაც არ მქონდა მოსვენება, ერთიათად გაზრდილები დამდამობით სიზმრად შეცხადებოდნენ თავიანთი მუქლურჯი ჯავშნებით, ეკლიან-ბახჯვლიანი მარწუხებით, ნესტრებითა და ხერხებით აღჭურვილნი და თავზარს მცემდნენ. ყველაზე მეტად იმით მაძინებდნენ, რომ სახე არა ჰქონდათ.

ჩამოსვლის მეორე დღიდანვე ერთმა მოზრდილმა ბიჭმა თავის გუნდში ჩამრიცხა: ნიჩბებითა და თოხებით შეიარაღებულინი სახაპიროზე ქვიშის ციხე-სიმაგრეს ვაგებდით. ავაშენებდით ამ ციხეს, ზედ ფრანგულ დროშას აღმართავდით და ზღვის შემოტევისაგან ვიცავდით. მედგრად ვებრძოდით ტალღებს, მაგრამ ზღვამ მაინც გვძლია. მე თითქმის ყველაზე ბოლო გამოვედი დანგრეული სიმაგრიდან, ჩემი ვალი პირნათლად მოვიხადე, მაგრამ დამარცხებას ისე იოლად შევუერივდი, რომ ზედვე მეტყობოდა, ჩემგან კარგი მხედართმთავარი არ დადგებოდა.

ერთ დღეს ჟან ელოსთან ერთად ნავით მოლუსკების საჭერად გავედი ზღვაში. ამ ჟან ელოს ღია ცისფერი თვალები და შხით დამწვარ-დაშაშრული კანი ჰქონდა. ხელები ისე გაუხეშებოდა ჯაფისაგან, რომ, როცა მარჯვენას მიწვდიდა სიყვარულის ნიშნად, ხელს მიკაწრავდა ხოლმე. ნიადაგ გაშლილ ზღვაში თევზაობდა, ბადეს აკერებდა, თავის ნავს გმანავდა და მოცალეობის ჟამს ბოთლში საუცხოოდ აღჭურვილ, ნამცეცა ორანძიან ხომალდს აგებდა. თუმცა სიტყვაძუნწი კაცი იყო, მაინც მიაშბო თავისი თავგადასავალი. მახლობლები სულ ზღვაში დახოცოდა. მისი სამი ძმა და მამა ერთად დამხრჩვალისყენენ გასულ ზამთარს, ნავსადგურიდან სულ რაღაც ერთი კაბელტოვის დაშორებით; მაგრამ ამას, ისევე, როგორც ყველა დანარჩენს, ღვთის წყალობადა თვლიდა. რელიგიას ნაზიარები ცოტათი მეც გახლდით და ამან მიშველა ჟან ელოს ღვთაებრივი სიბრძნე შემეტკბო. ერთ კვირა საღამოს მივდივართ და რას ვხედავთ, გაღმეილი გზაზე გაწოლილიყო. მხარს ვერასგზით ვერ ავუქცევდით და იძულებული ვავხდით, ზედ

გადაგვებიჯებინა. მაგრამ ამას მისთვის იოტისოდენა ჩირქიც კი არ შოუცხია ჩემს თვალში; ქვეყნად მასზე უკეთესი მაინც არავინ მეგონა. რა ვიცი, იქნებ ამ გრძნობაში ცოტა კვიეტიზმიც\* ერია. დე, სხვებმა განსაჯონ. მე მაშინ თეოლოგი არ გახლდით, დღეს კი ამგვარი რამეებისაგან კიდევ უფრო შორსა ვარ.

ყველაზე მეტად ხამანწების ჭერა მიყვარდა ორ გოგონასთან ერთად. ეს გოგონებიც ძალიან მომწონდნენ, მაგრამ ჩვენი მეგობრობა მეტად ხანმოკლე გამოდგა. ერთი მათგანი, ძარიან ლე გერეკი კიმპერიელი ქალის შვილი იყო, რომელსაც დედაჩემი ამ პლაჟზე გაეცნო: მეორე, კეტრინ ო'ბრიენი ირლანდიელი გახლდათ. ორთავეს ჭერა თმა და ცისფერი თვალები ჰქონდათ. ერთმანეთს ძალიანა ჰგვანდნენ, მაგრამ ეს საკვირველი სრულიადაც არ იყო. ვინ არ იცის, რომ:

ტუჰნი არიან ერენის და არმორის დანი,  
ერთ ოქროს ტოტზე მოწყვეტილი ნაყოფის დარნი.

გუმანით გრძნობდნენ, რომ შვენოდნენ ერთმანეთსა და სულ ხელიხელგადახვეულები დადიოდნენ. მზისგან გარუჯულ წვრილ ფეხებს ისე მწყობრად და მოხდენილად ადგამდნენ, ფეხაწყობილები ჭვიშაზე ისე დარბოდნენ, ისე იგრიხებოდნენ და იკლაკნებოდნენ, გეგონებოდათ, საცეკვაო ფიგურებს აკეთებენო. კეტრინ ო'ბრიენი უფრო ლამაზი იყო, მაგრამ ფრანგულად ცუდად ლაპარაკობდა და ვალიარებ ჩემს სიბრიყვეს, ამით ძალიან შალიზიანებდა. მე თავგამოდებული დავეძებდი ლამაზ ნიჟარებს, მათთვის რომ მიმერთმია, მაგრამ გოგონები ზედაც არ მიყურებდნენ. ვცდილობდი, რაიმე სამსახური გამეწია მათთვის, მაგრამ ისე ეჭირათ თავი, თითქოს ვერაფერს ამჩნევდნენ, ანდა თავს იკატუნებდნენ, თითქოსდა ჩემი გამუდმებული ზრუნვით გულს ვუწყალებდი. როცა ვუცქერდი, ბირს იბრუნებდნენ ხოლმე, არ შევხედავდი და მაშინვე გახელებას დამიწყებდნენ, რომ ჩემი ყურადღება ისევ მიექციათ. ძალიან დამოცხვებულ ვიყავ; მათ სიახლოვეს მათთვის სათქმელი, საგულდაგულოდ მომზადებული სიტყვები მავიწყდებოდა და თუ ხანდახან უხეშადაც ველაპარაკებოდი, ეს შიშითა და ბრაზით უფრო მომდიოდა, ვიდრე უზრდელობით.



მარიანასა და კეტრინს პირი შეეკრათ და თავიანთ ტოლ გოგონებს სულ მასხრად იგდებდნენ. სხვა დანარჩენში კი თვითონაც ვერ რიგდებოდნენ. ხშირად კინკლაობდნენ, კამათობდნენ და სულ იმას აყვედრიდნენ ერთმანეთს, რომ ერთსა და იმავე ქვეყანაში არ დაიბადნენ. მარიანა სულს ართმევდა კეტრინს, ინგლისელი რადა ხარო. კეტრინი ინგლისის დიდი მტერი იყო და ეს შეურაცხყოფა აცოფებდა, ფეხებს აბაკუნებდა, კბილებს აღრჭიალებდა და გაპყვიროდა, არაფერიც, შე ირლანდიელი ვარო. მაგრამ მარიანა, ინგლისელი და ირლანდიელი რამ გაპყო, ეუბნებოდა. ერთ დღეს, ქალბატონ ო'ბრიენის აგარაკში მათი კამათი ხელჩართულ ბრძოლაში გადავიდა. გარეთ რომ გამოვიდნენ, მარიანას ლოყები ჰქონდა დაკაწრული: დედამისმა ეს რომ შენიშნა, შეჰკივლა:

— ღმერთო, შენ მიშველე! ეს რა დაგმართნია?

მარიანამ მშვიდად მიუგო:

— კეტრინმა ლოყები იმიტომ დამაკაწრა, რომ ფრანგი ვარ. შეც საძაგელი ინგლისელი ვუწოდე და მუშტი ისე მაგრად ჩაცეხე ცხვირში, სულ სისხლი ვადინე. ქალბატონმა ო'ბრიენმა გაგვაშველა და კეტრინის ოთახში შეგვეყარა, სახე ჩაშობახეთო. იქ ერთი ტაშტის მეტი არ იყო და ჩვენც შევრიგდით, რაკი სხვა გზა აღარა გვქონდა.

#### XIV

#### უცხო საყვარო

ყოველდღე, ნასაუზმევს, მოხუცი მელანი თავის ოთახში ადიოდა, სხვენზე რომ ჰქონდა მიჩენილი, დაბალქუსლიან, გაკრიალებულ ფეხსაცმელებს ჩაიცვამდა, სარკის წინ თეთრ, მაქმანებითა და ბაფთებით გაწყობილ ჩაჩს იხურავდა, მკერდზედაც თავის პატარა, შავ შალს გადაიჭვარედინებდა ხოლმე და ქინძისთავით იმაგრებდა. ამას დიდის გულმოდგინებით სჩადიოდა, ბევრ დროსაც ახმარდა, რადგან ყოველგვარი ხელოვნება საძნელოა და ბევრ შრომას მოითხოვს. შემთხვევის ანაბარა არაფერს მიაგდებდა, ყველაფერს საგულდაგულოდ აკეთებდა, რაც მისი აზრით აღამიანს პატივისცემას უხვევდა

ჯა ისეთ სახიერსა ხდიდა, როგორც მის ღვთაებრივ წარმოშობას ეკადრებოდა. როცა ბოლოს და ბოლოს დარწმუნდებოდა, რომ თავისი სქესის, ხნისა და მდგომარეობისდა საფერად გამოიყურებოდა, ოთახის კარს გასაღებით გამოკეტავდა და ჩემთან ერთად კიბეზე ჩამოვიდოდა. მერე ერთხანს წინკარში ჩერდებოდა დაბნეული, ერთს ხმამაღლა შეჰკვივლებდა და კვლავ ფაცხაფუცხით არბოდა ზევით, რომ თავისი ოთახიდან ხელჩანთა წამოეღო. ეს ხელჩანთა მუდამ ავიწყლებოდა. ამ ხეწამული ხავერდის ჩანთის უმისოდ კი თავის ღლეში კარში არ გამოვიდოდა. შიგ ნიადაგ საქსოვი, მაკრატელი, ნემსი და საკემსი ძაფები ეწყო. ერთხელ ამ ჩანთიდან ინგლისური საღბუნის ნაჭერიც ამოიღო და გაჭრილ თითზე დამადო. ჩანთაში, სხვათა შორის, ერთ გახვრეტილ სუსაც ინახავდა, ჩემს სარძევე კბილსაც და ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილ თავის მისამართსაც: ვინცობაა, ქუჩაში მოვკვდე, საცხედრეში არ გამაქანონო. როცა სანაპიროზე გავდიოდით, მარცხნივ ვუხვევდით და სათვალეებით მოვაჭრე ქალბატონ პტის ვესალმებოდით, შუა ქუჩაში, შიმეს ოტელის პირდაპირ რომ იჯდა თავისი ვიტრინის უკან. ამ ქალს მაღალი ხის სკამი ედგა, გამართული იჯდა და მზისა და ყინვისაგან ალანძული სახე სულ ჩამოსტიროდა. ქალები ერთ-ორ სიტყვას მიუგდებდნენ ერთმანეთს. შათი საუბრის თემა ოდნავადაც არ იცვლებოდა, რადგან ბუნების უცვლელ არსს ეხებოდა. ლაპარაკობდნენ ყვიანახველითა და ხუნაგით სნეულ ბაღლებზე, ანდა ისეთებზე, ხურეება რომ სჭირდათ; ქალებზე, სხვა რამ უცნაური სატკივარი რომ აწუხებდათ და დღიურ მუშებზე, უბედური შემთხვევის მსხვერპლნი რომ გამხდარიყვნენ. მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა ვნება შოაქეს წელიწადის ამა თუ იმ დროს კაცის ტემპერამენტზე, ლაპარაკობდნენ სურსათ-სანოვავის სიძვირებზე, კაცთ სიხარბესა და გაუმადლობაზე, ჩიოდნენ, ხალხი დღითი დღე უარესდება და ქვეყნად დანაშაულობანი საოცრად მრავლდებაო. შოგვიანებით, როცა ჰესიოდეს\* გკითხულობდი, შევნიშნე, რომ მალაქეს სანაპიროელი სათვალეებით მოვაჭრე დედაკაციც სულ ისე ფიჭრობდა და ლაპარაკობდა, როგორც ძველი საბერძნეთის გნომური პოეტები. მაგრამ მაშინ ეს სიბრძნე არ მალელებდა, ის კი არა და, მისგან გული გაწყალებული

შქონდა. ჩემს გამდელს სულ კალთაზე ვეჭაჩებოდი, წავიდეთ აქედან-მეთქი. სანაპიროზე რომ გავილოდით და მარჯვნივ შევუხვევდით, მაშინ კი პირიქით, მინდოდა შევეჩერებულიყავით ქალბატონ ლეტორის დუქანთან, უშენ ადგილას რომ იდგა, სადაც ახლა ნატიფ ხელოვნებათა სკოლაა აღმართული. მინდოდა, გული მეჭერებინა ვიტრინაში გამოფენილ გრავიურათა ცქერით. ეს სურათები აღმაფრთოვანებდნენ და უზომოდ მაოცებდნენ. განსაკუთრებით „გამოთხოვება ფონტენებლოში“, „ევას დაბადება“, „კაცის თავს მინამგვანი მთა“ და „ვირჟინის სიკვდილი“ მადელვებდა და განვლილმა წლებმაც მთლად ვერ წაშალეს ამ მღელვარების კვალი. მაგრამ მოხუცი მელანი წინ მიმათრევდა, იქნებ იმიტომ, რომ ფიქრობდა, ჯერ მთლად ბაღლია, გრავიურების თვალღერება რა მისი საქმეაო. თუმცა უფრო სარწმუნო კი ის გახლავთ, რომ სურათებისა თვითონ არაფერი გაეგებოდა: რა ჩემი გამდელი და რა ჩვენი ფინია კერი, სურათები არც ერთს არ აინტერესებდა.

ხან ტიულრიში დავდიოდით, ხან კიდევ ლუქსემბურგის ბაღში. თუ ნათელი და თბილი დღე იდგა, ბოტანიკურ ბაღამდე ან ტროკადერომდეც კი ვალწევდით, სენის ნაპირას, ამწვანებულ-აყვავილებულ ბორცვზე რომ შეფენილიყო. ყველაზე ბედნიერ დღეებად მე მაინც ის დღეები მიმაჩნდა, როცა მელანის ბატონ დე ლა ბ-ს ბაღში მივეყავდი სათამაშოდ. ბატონი ბ. მამაჩემის ნაცნობი იყო და ჩვენებისთვის ეთქვა, როცა შინ არ ვიქნები, პიერმა ჩემს ბაღში ითამაშოსო. ეს გრილი და უკაცური ბაღი სენ-დომინიკეს ქუჩაზე მდგარ ერთ ლამაზ შენობას ეკრა გარს, შიგ დიდი, ტოტებგაბარჯლული ხეები იდგა. იქ ზოგჯერ ნაწვიმარზე მიხდებოდა მისვლა, როცა დამბალ მიწაში ნიაღვრებისაგან დაკლაკნილი, პაწაწკინტელა, ერთი ციდა კვლები დარჩენილიყო. მე ხელისგულისოდენა ხის ნიჩაბი მიმქონდა და პაწია ნაკადულებზე ჭადარს გაცვენილი თხელი და გლუვი ქერქისაგან ხიდებს ვაგებდი ხოლმე. ეს კვლები ჩემს წარმოდგენაში ღრანტეები და უფსკრულები იყო და მათ პირას ხის თხელი ქერქისაგან მთელ სოფლებს, თავდასაცავ ზღუდეებსა და ეკლესიებს ვაშენებდი; აქა-იქ ბალახსა და ხის პაწია რტოებსაც ვარქობდი, ვითომც ტყეები, ხეივნები და ხეხილის ბაღები იყო და ჩემი ნახელავი თვითონვე აღმაფრთოვანებდა.

ეს სეირნობანი ქალაქსა და მის გარეუბნებში ხან ნელი და მოსაწყენი, ხან კი სახალისო და შფოთიანი იყო. ზოგჯერ სიარული გვიქირდა, ზოგჯერ კი სავალ გზას მხიარულად და შეუძინველად გავლევდით ხოლმე. თუ შორს წავიდოდით, გრძელ, საზეიმოდ მორთულ გამზირსაც მივადგებოდით, რომლის ორთავ მხარეს ნაზუქით, ფოჩიანი კამფეტებით, სალამურებითა და ფრანებით სავსე ღუქნები ჩარიგებულ იყვნენ. ამ ელისეს მინდვრებზე თხებშებმული ურიკები მიმოდიოდა, ხის ცხენები ნელა ტრიალებდნენ არღნის ხმაზე და გინოლიც\* თავის თეატრში ეშმაკს ეომებოდა. სულ ბოლოს მტვრიან სანაპიროზედაც ამოვეყვდით თავს, სადაც ამწეები ქვევს ტვირთავდნენ და მუხლმაგარი მუშა ცხენები ბაგირებით კარჭავს მოათრევდნენ. უბანი უბანს მოსდევდა, მხარე — მხარეს; ზოგი მჭიდროდ იყო დასახლებული, ზოგიც მთლად უკაცური ჩანდა, ზოგი ხრიოკი იყო, ზოგი კი ისე იყო აყვავებული, ნამდვილი წალკოტი გვეგონებოდათ. მაგრამ რჩებოდა ერთი მხარე, რომელშიაც შეღწევა ყველაზე მეტად მეწადა, ზოგჯერ მეგონა, საცაა, მივალწევთ-მეთქი, მაგრამ შიგ ფეხის დადგმა არა და არ მელირსა. არაფერი ვიცოდი ამ მხარის შესახებ და მაინც დარწმუნებული ვიყავ, ვნახავ თუ არა, მაშინვე ვიცნობ-მეთქი. თვალთ რომ მჭონდა ნანახი, იმ მხარეებზე ლამაზადა და საამურად როდი წარმომედგინა. არა, მაგრამ სულ განსხვავებულად მესახებოდა და მის ნახვას გულითა და სულით ვნატრობდი. ეს მხარე, ეს სამყარო, მე შიუვალი და ძახლობელი რომ მეგონა, ცის საუფლო როდი იყო, რომელზედაც დედა მიაბობდა ხოლმე. ჩემთვის ეს ცის საუფლო, სულიერი სამყარო, გრძნობად სამყაროსთან იყო შერწყმული. მამა ღმერთი, იესო ქრისტე, წმიდა ღვთისმშობელი, მთავარანგელოზები, წმიდანები, ნეტარნი, სულნი სალხინებლისანი, დემონები, ღვთისგან წყეული სულები ჩემთვის იდუმალებით როდი იყვნენ მოცულნი. მე კარგად ვიცოდი მათი თავგადასავალი და მათ სურათებსაც ყველგან ვხედავდი. მარტო სენსულპისის ქუჩაზე ათასობით ასეთ სურათს ნახავდით. არა! ის სამყარო, უზომო ცნობისწადილს რომ აღმიძრავდა, ჩემი ოცნებათა სამყარო, უცხო მხარე იყო, ბნელით მოცული, იდუმალი: მისი გახსენებაც კი შიშსა და ნეტარების ჟრუანტელს

მგვრიდა. მე ძალზე სუსტი ფეხები მქონდა საიმისოდ, იქ რომ მიმეღწია და ჩემი მოხუცი მელანიც, კალთაზე რომ ვეჭაჩებოდი, ძლივს მოზაჯბაჯებდა ხოლმე. ფარ-ხმალს მაინც არა ვყრიდი; ვიძედოვნებდი, ერთი დღეც იქნება და ამ საუცხოო მხარეში შევალწევ-მეთქი; მხარეში, ანდამატურის ძალით რომ მიზიდავდა და თან შიშის ზარსაც მგვრიდა. ზოგჯერ ისეთ ადგილას მოვხვდებოდი, მეგონა, რამდენიმე ნაბიჯის იქით ის საოცნებო მხარე დაიწყება-მეთქი. მელანიც შიგ რომ შემეგრეყუებინა, ათასგვარ ხერხს მივმართავედი და როცა სულნათელი მოხუცი უკან გამობრუნებას დააპირებდა, კალთაში ჩავაფრინდებოდი და ისევე საიდუმლო საზღვრებისაკენ ვაქნევინებდოდა პირს. გაძალიანებას თუ გამიბედავდა, თოფის წამალივით ვიფეთქებდი. საბრალო მოხუციც ცრემლიან თვალებს ზეცისაკენ აღაპყრობდა ხოლმე და უთუოდ ფიქრობდა, რა ღმერთი უწყება, ასე რამ გააბოროტა, რამ გადაარია ეს ბაღლიო. მაგრამ ჩემი ახირების მიზეზს ზომ ვერ გავუმხელდი, ხომ ვერ ვეტყვოდი: კიდევ ერთი ნაბიჯი და უსახელო ქვეყანაში ამოვყოფთ თავს-მეთქი. ვაგლახნი მას მერეც რამდენჯერ გავმხდარვარ იძულებული, გულში უსიტყვოდ ჩამეკლა ჩემი ნატვრა და სურვილი!

ცხადია, გუნებაში ამ უცნობი მხარის გეგმას არ ვადგენდი, რაკი მისი ასავალ-დასავალი არ ვიცოდი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, უთუოდ ვიცნობ იმ ადგილებს, საცა ეს მხარე ჩვენსას ესაზღვრება-მეთქი. მე რომ იმ უცხო მხარის საზღვრები მეგონა, იმ ადგილთაგან ჩვენი ეზო-ყურიდან ყველა როდი იყო დაშორებული. ვერ გეტყვით, რით ვცნობდი ამ საზღვრებს. უთუოდ იმით, რომ უცნაურად გამოიყურებოდნენ, თვალს მტაცებდნენ თავიანთი მომხიბლაობით, სულს მიფორიაქებდნენ და შიშნარევე ცნობისმოყვარეობას აღმიძრავდნენ გულში. ერთი ასეთი საზღვარი, რომლის გადალახვასაც ვერ ვეღირსე, რკინის ლობეებშემოვლებულ ორ სახლთან გადიოდა. ეს ორი სახლი სხვა სახლებს არა ჰგავდა. ორთავე ოთხკუთხა, მძიმე ქვებით იყო ნაგები; ერთსაცა და მეორესაც მშვენიერი ფრიზი ამშვენებდა: ხელიხელჩაკიდებული ქალები მდუმარედ იდგნენ დიდ გერბიან ფარებს შორის. ირგვლივ ყველაფერს მწუხარების ბეჭედი ესვა. და მართლა ხილული

ქვეყნის საზღვარი თუ არა, არქიტექტორ ლედუს მიერ. ლუი XVI-ის დროს ნაგები ერთ-ერთი ზღუდე მაინც იყო პარიზისა, ანფერის ზღუდე<sup>1</sup> წოდებული.

ტიულრის ნესტიან ბაღში, წაბლის ხეების ჩრდილში შეყუებული მარმარილოს ტახის მახლობლად, წყლის პირას ნაგები ტერასის ქვეშ ერთი ცივი მღვიმეა, სადაც თეთრ ქალსა სძინავს. მძინარეს მკლავზე გველი ჰყავს შემოხვეული. გუმანი მქონდა, რომ ეს ცივი მღვიმეც უცხო სამყაროს უერთდებოდა, მაგრამ შიგ რომ შეგელწიათ, მძიმე ლოდის აწევა იყო საჭირო. საცა მე ვცხოვრობდი, იმ სახლს უამრავი სარდაფი ჰქონდა. ერთი მათგანის კარს მუდამ შეშფოთებით ვაქტივრდებოდი; თითქმის ისეთივე იყო, როგორც მეზობელი სარდაფებისა; მასაც ჩაყანგული კლიტე ჰქონდა, ცხრაფეხებიც დაცოცავდნენ მის ზღურბლსა და დამპალი ფიცრული კარის ნაპრალებში და მზეზე ბზინვა გაჰქონდათ. მაგრამ სხვა კარებისაგან განსხვავებით, ამ კარს თავის დღეში არავინ აღებდა. საიდუმლოებათა კარებიც ხომ მუდამ ასეა ჩარაზული, ისინიც არასოდეს იღებიან. ჩემი საძინებელი ოთახის იატაკის ჭუჭყრუტანებიდან აჩრდილები, აჩრდილები კი არა, რაღაც ლანდები რომ ამოდრიდნენ და თავზარს მცემდნენ, უთუოდ იმ ქვეყნიდან უნდა ყოფილიყვნენ მოსული, რომელიც ასე მახლობელი იყო და მაინც მიუვალი ჩანდა. შეიძლება ის, რასაც ახლა ვაძბობ, მთლად ნათელიც ვერ იყოს. მაშინ გამოდის, რომ მხოლოდ ჩემს თავს ვებაასები და ამ ერთხელაც თავს ძლეულარებითა და ინტერესით ვუსმენ.

ხანდახან ამ უცხო მხარის ნახვის იმედი მთლად გადამიწყდებოდა და ვცდილობდი, სხვებისგან მაინც გამეგო მისი აძბავი. ერთ დღეს, როცა მელანი ლუქსემბურგის ბაღში სკამზე იჯდა ქსოვით გართული, ვკითხე, ნეტა იმ მღვიმეში რაა, ხელზე გველშემოხვეული ქალი რომ წევს, ან იმ კარის უკან რა იმალება, თავის დღეში რომ არ გაღებულა-მეთქი.

<sup>1</sup> ანფერის მოედანი, 1879 წელს დანფერ როშეროს მოედნად რომ შონათლეს. ასეთი ვაგლახი სიტყვათა თამაში მარკიზ დე ბიევრის გარდა, ეგონებ, ბევრს არა სჩვეოდა ჩვენში (ავტორის შენიშვნა). (Eufem — ფრანგულად ჭოჭოხეთს ნიშნავს, დანფერ როშერო კი ფრანგი პოლკოვნიკის (1823—1878) სახელია).

მაგრამ მელანიმ ეტყობა, ვერ გამიგო. მე ჩამოვაცივდი;  
— იმ ქალებიანი ფრიზებით შემკულ ორ სახლს რომ გას-  
ცდები, რაა იმას იქით?

რაკი პასუხს მაინც ვერ ველირსე, კითხვა სხვაგვარად შე-  
ვუტრიალე:

— მელანი, მიაშბე უცხო, უცნობი მხარის ზღაპარი.

მელანიმ გამიღიმა:

— ბატონიშვილო, მე მაგ უცნობი მხარის ზღაპრისა არა  
ვიცი რა.

ღრიტინი დაუუწყე და რაკი საშველი აღარ მივეცი,  
მითხრა:

— ბატონიშვილო, თუ გინდა, ერთ სიმღერას გეტყვი...  
და ძლივს გასაგონად ჩაიღიღინა:

ნათლმამა გილერ, ჩემო მეგობარო,  
ნუთუ უნდა მოკვდე, მიწას მიებარო?

ვაგლახს ცხოვრებამ, ფერისცვალებათა ამ დედოფალმა  
ვერ გარდამქმნა და კვლავ იმ პატარა ბიჭსა ვგავარ, ძიძას  
რომ ეკითხებოდა იმას, რაც ქვეყნად არავინ იცის. კაცი ცას  
შევებერდი, ამ ხნისა მოვიყარე და უცხო მხარის პოვნის იმე-  
დი მაინც არ გადამიწყვეტია. ყოველი სეირნობის დროს დავე-  
ძებდი. ვინ იცის, როცა ვერცხლგადანაყარი ჟირონდის პირას  
დავებეტებოდი თვალუწვდენელ ზვრებში ჩემს თანამგზავრ,  
ჩემს ერთგულ მეგობარ, პატარა, თათლისფერ ფინია მიცის-  
თან ერთად, რამდენჯერ შევმკრთალვარ უცნობი ბილიკის  
სათავეებთან, ახალი გზის მოსახვევში. შენ გინახივარ, ჩემო  
შიცი, გზაჯვარედინებზე, ყოველ მოსახვევში, ტყის ბილიკების  
პირას როგორ ვიდექ გადარაჯებული და რალაც საშინელ,  
უფორმო, არყოფნის ნიშნით აღბეჭდილი აჩრდილის გამოჩე-  
ნას როგორ ველოდი, აჩრდილისა, ვინც წამით მაინც გამიქარ-  
ვებდა წუთისოფლის მოწყენილობას. შენ კი, ჩემო ერთგულო  
მეგობარო, ალალო ძმაო, განა შენც იმას არ დაეძებდი, რისი  
პოვნაც თავის დღეში არ გეწერა? მე ვერ ჩავწვდი შენი სულის  
ყველა საიდუმლოს; მაგრამ შეგატყვე, ბევრი რამითა მგავდი  
და ამიტომაც მგონია, რომ შენი სულიც შფოთავდა და მო-  
უსვენრობით იყო შეპყრობილი. შენც ჩემსავით ამაოდ დაეძებ-

დი. ტყუილად ვეძიებთ, ჩვენზე თავის მეტს მაინც ვერასდროს ვერაფერს ვიპოვით. სამყარო თითოეული ჩვენგანისათვის მხოლოდ ისაა, რასაც თვითონვე დავატარებთ ჩვენს არსებაში. საბრალო მიცრი, შენ ჩემსავით ჭკუა და ინტელექტი არ გეხმარებოდა ძიებაში. პირუტყვი იყავ და არც გონივრული მანქანები გშველოდა, არც წიგნებში დაგროვილი ცოდნის სალარო გიწყობდა ხელს. თვალის ჩინი რომ ჩაგიქრა, სამყაროც მასთან ერთად ჩაქრა შენთვის, სამყარო, რომლის შესახებაც თითქმის არაფერი იცოდნი. ო, შენს პაწია, საყვარელ აჩრდილს რომ შეეძლოს ჩემი გაგონება, გეტყოდნი: მალე მეც სამუდამოდ დამეხუჭება თვალები, მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლეზე შენზე ბევრად მეტი არც მე ვიცი-მეჭიქი. მაინც მგონია, მართალი ვიყავ ჩემს პატარა ბიჭობაში, როცა სულ ახლოს მეგულვოდა ის უცხო მხარე, მიწყვიტ რომ დავეძებდი. უცნობი სამყარო მართლაც გარს გვარტყია; რაც ჩვენს გარეთაა, ყველაფერი მას ეკუთვნის. მაგრამ რაკი არ ძალგვიძს გავეჭვით ჩვენს თავს, იქამდე ვერასოდეს მივალწვეთ.

## XV

### ბატონი მენათი

რაკი სანაპიროზე მდგარ ჩვენს სახლს თვით სახლის პატრონი ბატონი ბელაგე მეთვალყურეობდა, შიგ სულ თანხმობა და მშვიდობიანობა სუფევდა და როგორც ამბობდნენ, რიგიანი ხალხი ცხოვრობდა. ბატონი ბელაგე, თუმცა რესტავრაციისა და ივლისის მონარქიის დროინდელ დიდ ფინანსისტთა რიცხვს ეკუთვნოდა, თავად აქირავებდა ბინებს, თავისი ხელით წერდა საიჯარო ხელშეკრულებებს, ხელმომჭირნედ უძღვებოდა სარემონტო სამუშაოებსა და თუ ათასში ერთხელ რომელიმე მდგმური თავისი ბინის გადაკეთებას მოისურვებდა, სანამ ხელოსნებს მოიწვევდა, ჯერ ნებართვა მისგან უნდა მიეღო. ამ სახლში მისი უკითხავი არაფერი იყო და რვა სულ დირე-ბულ ოც მეტრ შპალერსაც ვერ გააკრავდით ისე, რომ თავს არ წამოგდგომოდით. სხვაფრივ მეტად კეთილი და გულითა-



დი კაცი იყო, ცდილობდა ხელი გაემართა თავისი მდგმურებისათვის, თუკი ეს არაფერი უჭდებოდა. თვითონაც ჩვენს შორის ცხოვრობდა, როგორც მამა თავის შვილებს შორის და ჩემი ფანჯრიდან მისი საწოლი ოთახის ცისფერი ფარდები მოჩანდა. არავინ უძრახავდა, თავის ქონებას ასე რომ დაჰფოფინებდა; ის კი არა და, იქნებ ამის გამო მეტ პატივსაც სცემდნენ. მდიდრებს ხომ სწორედ მათი სიმდიდრის გამო ეთაყვანებიან. სიძუნწე კიდევ უფრო ზრდის მათ შეძლებასა და მეტ პატივისცემასაც უხვევთ. ხელგაშლილობა კი, მათ სიმდიდრეს რომ ამცირებს, თვითონაც უბღალავთ სახელსა და წონასაც უკარგავთ გარეშეთა თვალში.

ბატონ ბელაგეს რა ხელობა არ გამოეცვალა ახალგაზრდობისას, რევოლუციის ხანაში. თავისი მეფისა არ იყოს, მასაც ბევრი რამ ემარჯვებოდა. თუ გაჭირდებოდა, დაჭრილებსა და დახუთულებს პირველ დახმარებას ის აღმოუჩენდა. ამის გამო ხალხი ძალიან ემადლიერებოდა. ვერსადა ნახავდით მასავით მშვენიერსა და დარბაისელ მოხუცს. მიხრა-მოხრაც ერთობ კეთილშობილური ჰქონდა. თუ დასჭირდებოდა, თავის გულუბრყვილოდ მოჩვენებაც შეეძლო. მასზე ბევრ ისეთ ამბებს ჰყვებოდნენ, ნაპოლეონსაც შემურდებოდა. ერთ საღამოს, კარისკაცი რომ არ გაედვიძებინა, დაგვიანებულ მდგმურს კარი თურმე თვითონ გაუღო. ამბობდნენ, ოჯახზე გადაგებულაო. მის ორ ქალს რომ მხიარული და ბედნიერი სახეები ჰქონდათ, სულ მამის მოსიყვარულე გულის წყალობა იყო. დიახ, ბატონ ბელაგეს ყველა პატივსა სცემდა და მუდამ მოწიწებით ექცეოდნენ მთელ იმ არემარეში, სადაც კი შეიძლებოდა მისი ბერძნული ჩაჩისა და სახეებიანი საშინაო ხალათისათვის მოგვეკრათ თვალი. დედამიწის ყველა სხვა კუთხეში კი მას უბრალოდ ბებერ, გაიძვერა ბელაგეს ეძახდნენ.

ასეთი სახელი ერთ თაღლითურსა და უსინდისო საქმეში მონაწილეობით მოეხვეჭა, უნამუსო მაქინაციაში, რომელმაც მთელ ივლისის მონარქიას ჩირქი მოსცხო. ბატონი ბელაგე თავისი სახლის სახელისათვის ზრუნავდა და მხოლოდ სახელ-შეუბღალავ ხალხს აქირავებდა ბინებს. და თუ მდგმურებში ცოტა სახელგატეხილი ქალბატონი მოზერიც ერია, ეს იმიტომ, რომ ამ ქალს ერთი ელჩი ედგა თავდებად; თანაც რაც ამ

სახლში შემოდგა ფეხი, არაფრით შეურცხვენია თავი. მაგრამ სახლი დიდი იყო და უამრავ ბინებად გახლდათ დაყოფილი. ზოგი მათგანი პატარა, დაბალი და ბნელი იყო. ასლა მანსარდებს აღარ იკითხავთ? იქ გაცილებით მეტი ოთახი იყო, ვიდრე მსახურებსა სჭირდებოდათ; ყველა მათგანი ვიწრო და შოუხერხებელი ჩანდა, ფარღალა კედლები ჰქონდა, მდგმურებს ზაფხულობით სიცხე კლავდათ, ზამთრობით კი — სიცივე. მაგრამ ბატონი ბელაგე არაფერს დაგიდევდათ, ზარალი რომ არ ენახა, ამ პატარ-პატარა ბინებს, ანტრესოლებსა და მანსარდებს ისეთ ხალხს მიაქირავებდა ხოლმე, როგორც ბატონი და ქალბატონი დება, სათვალეების გამყიდველი ქალბატონი ბტი იყო. ესენი სულ ღარიბ-ღატაკები იყვნენ, ბევრს ვერ გადაიხდიდნენ, მაგრამ ქირა კვარტალურად შეჰქონდათ ხოლმე.

ბატონი ბელაგე მოხერხებული კაცი გახლდათ და სხვენზე ბატარა სახელოსნო მოაწყო, სადაც ბატონი მენაჟი ხატავდა ხოლმე. ეს სახელოსნო ჩემი კეთილი მელანის ოთახის მეზობლად იყო და მისგან მხოლოდ ვიწრო, გაზინთული დერეფანი ჰყოფდა, სადაც ობობებს უამრავი ქსელი გაებათ და მუდამ გულისამრევი სუნი ტრიალებდა. კიბე აქ თავდებოდა და ბოლოში ძალიან ციცაბოც ხდებოდა: პირველი კარი ჩემი გამდელის ოთახისა იყო. ოთახში სინათლე დაბინდულშუშებიანი სამერცხულით შემოდიოდა. მინები დამტვერილიყო და ცასაც ჭუჭყის ფერი დასდებოდა. ალაგ-ალაგ კიდევაც დაბზარულიყო და ქაღალდით შეეწებებინათ. მელანის საწოლზე ურის ტილოს დალიანდაგებული საბანი ეფარა, ზედ წითელი საღებავით ვარდების გვირგვინით შემკობის ამბავი იყო დახატული. წახატი მრავალჯერ მეორდებოდა. ეს საბანი, კაკლის კარადასთან ერთად, ჩემი საყვარელი გამდელის მთელ ავლა-დიდებას შეადგენდა. ამ ოთახის პირდაპირ, როგორც გითხარით, მხატვრობის სახელოსნო იყო გამართული. კედელზე ბატონ მენაჟის სავიზიტო ბარათიც იყო გაკრული. თუ ამ კარებისაკენ იზამდით პირს, მარჯვნიდან, ობობას ქსელებით დახუნძლული სამერცხულიდან ცოტა შუქი იჭრებოდა და ბინდბუნდში სანაგვე სათლსაც გაარჩევდით, საიდანაც მუდამ მოხარული კომპოსტონ სუნი მოდიოდა. ამ სამერცხულამდე, სანაპიროს რომ გადაჰყურებდა, დიდი-დიდი ათი ნაბიჯი თუ იქნე-

ბოდა. მეორე მხარე მხოლოდ კიბიდან მონადენი მკრთალი  
შუქით გახლდათ განათებული და დერეფანში ისე ბნელოდა,  
რომ მეგონა, დასასრული არა აქვს და შიგ საზარელი ურჩხუ-  
ლები ბუდობენ-მეთქი.

ხანდახან, როცა თავის კარადაში თეთრეულს ალაგებდა,  
ჩემი გაძლევი ნებას მაძლევდა, თან გავყოლოდი. მაგრამ ამ  
სართულზე მარტო ამოსვლის უფლება არ მქონდა; მეტადრე  
მხატვრის სახელოსნოში შესვლას მიშლიდნენ, კართან მიახ-  
ლოებასაც კი მიკრძალავდნენ. მელანისათვის რომ გეკითხათ,  
იქაურობის ნახვა თავზარს დამცემდა; მეუბნებოდა, მეც შიშით  
შეეყურებ კუთხეში აყუდებულ ჩონჩხსა და კედელზე გაკრულ  
ადაძიანის სხეულის ნაწილებსო. მისმა ნაამბობმა გულში შიში  
ჩამიღო, მაგრამ ცნობისმოყვარეობაც გამიღვიძა. ერთი სული  
მქონდა, ბატონ მენაყის სახელოსნოში შეშელწია. ერთ დღეს  
ჩემს მოხუც ძიძას სხვენზე აყყევი; როცა ის ძველ-ძველი  
წინდების გადარჩევას შეჰყვია, მეც დრო ვიხელთე, ოთახიდან  
გამოვიპარე და ის ორი ნაბიჯიც გადავდგი, სახელოსნოდან  
რომ მაშორებდა. კარის ჭუჭრუტანიდან სინათლე გამოკრთო-  
და; ის იყო, უნდა შემეჭყიტა, მაგრამ ვირთხებმა ჩემს თავს  
ზემოთ ისეთი ბრაგაბრუგი ატეხეს, რომ თავზარი დამეცა.  
მსწრაფლ უკუვიქეც და ფიცხლად ისევ მელანის ოთახში შევ-  
ვარდი. ოღონდ ჩემს მოხუც ძიძას მაინც ვუამბე, რა დავინახე  
კარის ჭუჭრუტანიდან.

— იქაურობა სულ კაცის თავებითა და ხელ-ფეხითაა  
შოფენილი; რომ დავინახე, რეტი დამესხა... ჩონჩხებსაც წრე  
შეეკრათ და ფერხულს უვლიდნენ. მაიმუნი საყვირს უკრავ-  
და... და ისეთი საშინელი სანახავი იყო, ისეთი... იქ შვიდი  
ფერიაც დავლანდე, ოქროსფერი და ვერცხლისფერი კაბები  
ეცვათ, მხრებზე მზისფერი, მთვარისფერი და წლის დროთა  
ფერი მოსასხამები ესხათ. შვიდივეს ყელი ჰქონდა გამოლად-  
რული, კედლებზე ეკიდნენ და მათი სისხლი მარმარილოს  
თეთრ იატაკს აწვიმდა...

ვყვებოდი ამასა და თან ვფიქრობდი, კიდევ რა შეიძლე-  
ბოდა მენახა ბატონ მენაყის ოთახში-მეთქი, მაგრამ მელანიმ  
სიტყვა გაშაწყვეტინა და დაცინვით მკითხა, ასე ცოტა ხანში  
აძლენი რამის ნახვა სად მოასწარიო. მაშინ კი გამოვუტყდი;

ყელგაძოდარული ქალები და მოცეკვავე ჩონჩხები მაინცდა-  
მაინც კარგად ვერ გავარჩიე, მაგრამ ღმერთი, რჯული, ადამიან-  
ის თავ-ფეხი კი მართლა ვნახე-მეთქი. ვიძახდი ამას და ჩემი  
სიტყვებისა ლამის თვითონაც მჭეროდა.

## XVI

### თავაზი დაბადო ხალი

ბატონ მორენს მსუქანი სახე და მსხვილი ტუჩები ჰქონდა. ტუჩის კუთხეები ისე ჰქონდა აწეული, რომ ჭალარა ბაკენ-  
ბარდებს უერთდებოდა. მისი თვალები, მისი ცხვირ-პირი,  
ძთელი მისი ნათელი სახე პატრონის გულწრფელობაზე მეტ-  
ყველებდა. ტანთ სადად ეცვა, მაგრამ გაკრიალებული ჰქონდა  
ყველაფერი და მარსელის საპნის სუნი უდიოდა. ბატონი  
შორენი შუა ხანს იყო გადაცილებული და თუ იგავის ცნო-  
ბილი გმირივით მისი გულისთვის ორი ქალიც ეჭიშპებოდა  
ერთმანეთს, შავ თმას უთუოდ მისი მეუღლე ქალბატონი  
შორენი დააგლეჯდა, რაკი ქმარზე გაცილებით ხნიერი ჩანდა.  
მისი მდგომარეობის ქალისათვის მასაც კარგი მანერები ჰქონ-  
და და კარგად ჩაცმულ-დახურულიც დაიარებოდა. მაგრამ ეს  
ქალი მაინცდამაინც არ მიყვარდა, რადგან გულს კაეშანი შეჰ-  
პარვოდა და სულ მუდამ ნალვლიანად გამოიყურებოდა.

ქალბატონი მორენი კონსიერჟად მუშაობდა მეზობელ სახ-  
ლში, რომელიც, ჩვენისა არ იყოს, ბატონ ბელაგეს ეკუთვნო-  
და. თავის მოვალეობას ღირსეულად და ნალვლიანად ასრუ-  
ლებდა. მის ფერმკრთალსა და ჩამომჰქნარ სახეს რომ შეხე-  
დავდით, იტყოდით, ამ ქალს ბევრი უბედურება გადაუტანიო.  
დედაჩემისაგან ხშირად მსმენია, დედოფალ მარი-ამელის\*  
ჰგავსო. ბატონი მორენი კარისკაცი იყო და როცა ვინმე რეკ-  
და, სადარბაზოს კარებს აღებდა, მაგრამ ამ საქმეს მაინცდამა-  
ინც გულით არ ეკიდებოდა, რადგან ორი სხვა, უფრო მნიშე-  
ხელოვანი საქმეცა ჰქონდა: დეპუტატთა პალატაში მსახურობ-  
და და ბატონ ბელაგეს გულის მესაიდუმლე იყო. სხვაფრივაც  
მეტად პატიესაცემი კაცი გახლდათ: უბანში ყველა იცნობდა;

ის კი არა და, ისტორიაშიც იყო შესული, რადგან 1848 წელს პარიზის გრაფი ხელში ატარებული გამოიყვანა.

ცხოვრობდა, რომ მას შემდეგ, რაც ლუი-ფილიპი ტახტიდან გადადგა, საზღვარგარეთ გაიქცა და სამეფო გვირგვინი თავის "შვილიშვილს დაუთმო; ორლენის ჰერცოგის მეუღლე აჯანყებულთა მიერ დაპყრობილი სასახლიდან გამოვიდა რამდენიმე შინაური კაცის თანხლებით და თავისი ორი მცირეწლოვანი "შვილით — პარიზის გრაფითა და შარტრის ჰერცოგით დეპუტატთა პალატას მიაშურა. იქ ახალი მეფის დედადა და სახელმწიფოს რეგენტად გამოაცხადა თავი. საუბედუროდ ამ დროს დარბაზში რესპუბლიკელთა რაზმიც შეიჭრა. დედოფალი ტრიბუნის ძირას იდგა, ბავშვებისათვის მაგრად ჩაეგლო ხელი და ელოდა, კრება მის ძალაუფლებას როდისა სცნობდა. მის გამოჩენას ტაშისკვრით შეხვდნენ, მაგრამ ეს ტაში სულ ძალე ძიწყდა. უშრავლესობა რეგენტობას კარგი თვალით არ უყურებდა. თავმჯდომარე სოზემ ბრძანა, პალატაში უცხო პირების ყოფნა არ იქნება და დარბაზი დაცალეთო. დედოფალი ნელა მოშორდა ტრიბუნას; მაგრამ პატივმოყვარეობამა თუ დედობრივმა სიყვარულმა გადააწყვეტინა, ხიფათს აღარ დარიდებოდა და დაეცვა თავისი ვაჟის უფლებები; გასვლა არ იკადრა, ცენტრალური კიბე აიარა, ამფითეატრის ბოლოს რომ გავიდა, შემობრუნდა, რაღაც ქალღი დაშალა და სიტყვის თქმა სცადა. ამ გაღეულსა და ფერმკრთალ ქალს შეეძლო მხანველთათვის გული აეჩუყებინა, მაგრამ აღელვებული ბრბოს დაოკებას ვერაფრით შეძლებდა. მის ნათქვამს არაეინ ათხოვა ყური, მრავალრიცხოვან, აყაყანებულ ხალხს შორის თვითონაც ძლივს მოჩანდა. უეცრად გარედან რაღაც ხმაური შემოიჭრა; ხმაურმა თანდათან იმატა, გაიზარდა, მოახლოვდა; ძალე უბირმა ხალხმა, სტუდენტობამა და ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცებმა კონდახებით კარები შემომამტვრიეს და დარბაზში შემოცვივდნენ ყვირილით:

— ძირს ბურბონები! მეფეები აღარ გვინდა! გაუმარჯოს რესპუბლიკას!

დერეფანში თოფმაც იჭექა. ყვირილსა და ბათქაბუთქში თავზარდაცემული დეპუტატების ყურს სხვა ხმაც მისწვდა, ყრუ, შორეული, ჯერ კიდევ სუსტი და მაინც საზარელი ადა-

შიანთა ურიცხვი ტალღა გამალებით აწყდებოდა სასახლის კედლებს. მალე დარბაზში ზღვა ხალხი შემოიჭრა, ამჯერად სახალხო ტრიბუნის მხრიდან და ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი ჩახერგა. შუბებით, ლახვრებით, დანებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული ხალხი ყველას სიკვდილით ემუქრებოდა. ლამარტინი ტრიბუნაზე იდგა\*; რატომღაც ეჭვი აიღეს, რეგენტობის სასარგებლოდ ლაპარაკობსო და თოფის ლულები და გასისხლიანებული ხმლები მისკენ მიმართეს. დამფრთხალი დეპუტატები კარებს ეცნენ. ორლენის ჰერცოგის შეუღლე ლტოლვილთა ტალღამ თან გაიყოლა; რის ვაივაგლახით გამოიარა ის კარი, თავმჯდომარის მაგიდის მარცხნივ რომაა და ვიწრო დერეფანში მოექცა. აქ გაქცეულ დეპუტატებსა და მის მდევრებს შორის მომწყვდეული კინალამ გადაქელეს, კედელზე მიაჭყლიტეს და შეიღებს მოცილებული, ხანევრად გულწასული კიბის ძირში დაეცა. მორენიც დერეფანში ყოფილიყო და შესწრებია ამ ამბავს. ბავშვის ყვირილი შემოესმა და დაინახა, პარიზის პატარა გრაფი როგორ წააქციეს და ზედ ფეხით შედგნენ. ბალდი ხელში აიტაცა, დარბაზები და ტალანები გამოატარა და დაბალი საარკმლიდან, ბალში რომ გადადიოდა, ერთ აღიუტანტს გადააწოდა, რომელიც თავის უფლისწულებს ენაგადმოგდებული დაეძებდა. ამასობაში ჰერცოგის მეუღლე ყვირილით უხმობდა თავის შეიღებს. პარიზის გრაფი წამში მიჰგვარეს და მოახსენეს, შარტრის ჰერცოგიც სამშვიდობოსაა, გოგოდ გადაცმულს სასახლის სხვენში მალავენო.

ბატონი მორენი ასე გვიამბობდა ამ ამბავს... ხშირად იმეორებდა და ბოლოს დასძენდა ხოლმე:

— ორლენის ჰერცოგის მეუღლემ გაუგონარი სიმამაცე და სულის სიმტკიცე გამოიჩინა მაშინ... მის გამბედაობას ბევრი ვაჟკაცი ინატრებდა. ჰოდა, თვრამეტი გოჯით უფრო მაღალი რომ ყოფილიყო, მისი ვაჟი უეჭველად ტახტზე ავიდოდა. მაგრამ გალეული ქალი იყო; ამ ბრბოში არც კი მოჩანდა.

ჩემი დედ-მამა ცოლ-ქმარ მორენებს უჩვეულო პატივისცემით ექცეოდა. ამის საბუთად შარტო ის იკმარებს, რომ ნების მაძლევდნენ, რამდენი ხანიც მინდოდა, მათთან დავრჩე-

ხილიყავ, თუმცა სხვა მეზობლებში სტუმრად თითქმის არა-  
სოდეს მიშვებდნენ. ამ სიმკაცრით გული მქონდა გაწყალე-  
ბული. ჩვენს თავზე, მაგალითად, ერთი ქალბატონი მოზერი  
იდგა. ცოტა სახელგატეხილი ქალი იყო, მასზე ჭორებიც კი  
დადიოდა. მთელ დღეებს თავის თურქულ ყაიდაზე მორთულ  
ბინაში ატარებდა, მარტოდმარტო, უსაქმოდ; ვარდისფერი  
საშინაო კაბა ეცვა, სუნამო ეპყურა და ფეხი ოქრომკედით  
აძოქარგულ ცისფერ მაწიებში წაეყო. ყოველთვის, როცა  
თვალს მომკრავდა, თავისთან მიხმობდა. მოწყენილი იყო და  
ჩემით უნდოდა შეექცია თავი. მიბნედილი გადაწვებოდა დი-  
ვანზე და თამაშ-თამაშ ხელში ამიყვანდა. იმასაც კი ვიტყვოდი,  
ფეხის წვერებზე შემისვამდა ხოლმე და ფინიასავით ჰაერში  
მაბურთავებდა-მეთქი, მაგრამ ვხვდები, რომ იმხანად საამი-  
სოდ არც ისეთი პატარა ვიყავ და ეს აზრი უთუოდ ფრაგო-  
ხარის „ნაზუქმა“ ჩამაგონა, რომელიც პირველად მაშინა ვნა-  
ხე, როცა ქალბატონ მოზერის მშვენიერი ფეფები უკვე კარგა  
ხანი იყო, რაც ცივ სამარეში განისვენებდა; მაგრამ სხვადას-  
ხვა დროის შოგონებანი მეხსიერებაში ერთმანეთს ეხლარ-  
თებიან და ერთ სურათსა ქმნიან. მე კი ყველაზე მეტად სწო-  
რედ ამეებს გავფურბივარ ამ წიგნში, რომლის ერთადერთი  
ღირსებაც სიზუსტე გახლავთ. ქალბატონი მოზერი კანფეტებს  
შაძლევდა, ყაჩაღების თავგადასავალს მიაშობდა და რომან-  
სებს მიმღეროდა ხოლმე. ჩემდა საუბედუროდ, მშობლები  
მიკრძალავდნენ ამ ქალთან სიარულსა და მემუქრებოდნენ, შავ  
დღეს დაგაწევთ, თუ თურქულ ყაიდაზე მორთული, ამოდ  
ასურნელეებული ბინის ზღურბლს გადააბიჯებო. და განა მარ-  
ტო მის ბინაში, სხვენზე, ბატონ მენაყის სახელოსნოშიაც მი-  
კრძალავდნენ შესვლას. მელანისათვის რომ გეკითხათ, ეს იმის  
ბრალი იყო, რომ ბატონ მენაყს თავის სახელოსნოში ადამიან-  
ნის ხელ-ფეხი და ჩონჩხები ჰქონდა გამოკიდული. მაგრამ  
ჩემი გამდელი თავის მეზობელ მხატვარს მარტო ამას როდი  
უკიჟინებდა. ერთხელ ბატონ დანკენსაც კი შესჩივლა, ეს  
ოხერი მენაყი ძილს არ მაცლის, მასა და მის მეგობრებს მთელი  
ღამე ღრეობა აქვთო გამართული. ნათლიაჩემმა გულუბრყვი-  
ლო შოხუცის გამასხარავება მოინდომა და ურცხვად უთხრა:  
ეგ მხატვრები ღამღამობით მარტო ცეკვა-თამაშს როდი სჯერ-

დებიან, ადამიანის თავის ქალებიდან აღმოდებულ პუნშსა სვაძენო. მელანი ძალზე უზაკველი იყო და ნათლიაჩემის სიტყვებში იოტისოდენა ექვიც არ შეჰპარვია. მხატვარმაც ამ სათნო ქალის წინაშე ერთი უღირსი საქციელით კიდევ უფრო "შეირცხვინა პირი. ერთ საღამოს, როცა თავის ოთახში აღიოდა სანთლით ხელში, მელანიმ თავის კარზე ცარცით მიხატული აძური დაინახა; ფრთებს შორის მშვილდი და კაპარჭი გადაეკიდებინა, დაკეტილ კარს აკაკუნებდა და მუდარით შიგ შეშვებას ითხოვდა. მელანი მაშინვე მიხვდა, ბატონ მენაჟის ნახელავიანო, გაბრაზებულმა უქნარა და ცუდლუთი უწოდა და ამიკრძალა, მაგ მუტრუკთან ნუ იმეგობრებო.

ეზოში ბატონ ბელაგეს მზარეულის შვილთან, ალფონსთან თამაშსაც მიშლიდნენ. ეს ალფონსი ძალზე გამბედავი ბიჭი იყო, ჭკუა და მიხვედრილობაც არ აკლდა, მაგრამ გაუზრდელი ჩანდა, სიტყვა-პასუხი არ უვარგოდა, სულ მუშტი-კრივზე ეჭირა თვალი და წანწალი უყვარდა. ერთ დღეს დოფინის ქუჩაზე წამიყვანა თავის ნაცნობ მეფუნთუშესთან კვერის საყიდლად. მეფუნთუშეს უთხრა, ერთი სუს ნამცხვარი მოგვეციოთ და მთელი ფული მე გადამახდევინა, აქაოდა, უფრო ძლიდარი ხარო. კვერი შუაზე გავტეხეთ, წინსაფრის ჯიბეში ჩავიდეთ და გამოვბრუნდით. გზაში ალფონსმა გადასანსლა თავისი ნახევარი და ჩემი წილიც ზედ მიაყოლა. შინ რომ მივედი, აქეთ დამტუქსეს და იძულებული გავხდი, ალფონსთან შეგობრობა შემეწყვიტა. მე საწყალს ონორე დიუმონთან გავლასაც მიკრძალავდნენ. სახელმწიფო მრჩეველის ვაჟი—ონორე კალშით ნახატი ბიჭი გახლდათ და კარგი ოჯახის შვილადაც ითვლებოდა, მაგრამ დიდი წამხდარი ვინმე იყო და ცხოველების წვალება უყვარდა. კომონებთანაც კი არ მიშვებდნენ, იმ კომონებთან, სულ სამზარეულოში რომ ისხდნენ და მაძიან-დელიან-წულიანა და ძაღლიან-კატიანა ერთნაირად გათქვირებულნი იყვნენ. მათ სახლში სულ ხორხოცი იყო, მაგრამ ჩვენებმა იქიდანაც ამომაკვეთინეს ფეხი მას შემდეგ, რაც კომონების უჩუმრად ონკანზე მათი სამელნეები დავრეცხებ და თავით-ფეხებამდე მელნით მოთხვრილი და გაწუწული მივეუვედი დედას შინ. ცოლ-ქმარ მორენებთან კი, როგორც გითხარი, მუდამ სიამოვნებით მიშვებდნენ ხოლმე.



მაგრამ თუ შინ მარტო ქალბატონი მორენი მეგულებოდა, მაინცდამაინც არ მიმიხაროდა მისას. ეს ქალი თმებს დედოფალ მარი-ამელივით ივარცხნიდა; გრძელი, კომშივით ყვითელი სახე და კუშტი გამომეტყველება ჰქონდა. სულ დარდიანი ჩახდა, სულ ჩაძოსტიროდა თავ-პირი და მის შემხედვარე ყოველ ადამიანს გუნებას უფუჭებდა. ქალბატონ მორენისათვის ჭეშმარიტი, ღრმა მწუხარება და იღუმალი, ლამაზი სასოწარკვეთა რომ შემემჩნია, იქნებ სიამოვნებაც კი მეგრძნობის სიახლოვეს; მაშინ ხომ ყველაფერი უჩვეულო და წრეგადასული ჩემში უზომო აღტაცებას იწვევდა. მაგრამ მისი ნალექელი გამოზომილი, უფერული, მოსაბეზრებელი და უღიმღამო იყო. წვრილ წვიმასა ჰგავდა და ძვლებამდე მატანდა. ქალბატონი მორენი სულ თავის ლოქაში იჯდა, ქიშკრის გვერდით რომ იყო. ამ ვიწრო, დაბალსა და ნესტიან ოთახში ღირსშესანიშნავი მარტო საწოლი გახლდათ. ზედ იმდენი ჩალის ლეიბი, ხაალი, დალიანდაგებული საბანი, გადასაფარებელი, დორი, მუთაქა, ბალიში და ყურთუკი იყო დახვევებული, რომ იფიქრებდით, ნეტა შიგ რომ წვებიან, რად არ იგულებიანო. ბატონი და ქალბატონი მორენები, ყოველ ღამე ზედ რომ იძინებენ და არ კი კვდებიან, ეს სულ იმ ბზის ტოტის წყალობა უნდა იყოს, ფაიფურის სასხურებელსა და ჯერის ქვეშ, ამ საშინელი საწოლის თავთან რომ უკიდიათ-მეთქი, ეფიქრობდი გულში. საწოლის გვერდით კამოდი იდგა; ამ კამოდს მინის ხუფის ქვეშ ჩადებული ნარინჯის ყვავილების გვირგვინი ამშვენებდა. შავი მარმარილოს ბუხარზე რომ საათი იდგა, თურქულ ნაკეთობას მოჰგავდა, მაგრამ ვითური სტილის ელემენტებიც უხვადა ჰქონდა. მასაც მინის ხუფი ეხურა. საათის თავზე ორი მოოქრული ფიგურა ჩანდა. ქალბატონ მორენის თქმით, „ეს მათილდა იყო და უდაბნოს ქარიშხალში ძალექ-ადელს თავის რჯულზე აქცევდა“\*. მეტს აღარათერს ვეკითხებოდი, იმიტომ კი არა, რომ ცნობისმოყვარე არ ვიყავ და შეკითხვების მიცემა არ მიყვარდა, უბრალოდ მერჩია ეს ამბავი იღუმალებით მოცული დარჩენილიყო, რადგან საიდუმლო მუდამ მხიბლავდა ხოლმე. მალექ-ადელისა და მათილდას ამბავს მას შემდეგაც ბევრი ვერაფერი გავუგე და ჩემს წარმოდგენაში ორთავე პრასის, შემწვარი ხაზვისა და ნახშირის

სუნთანაა შენივთებული, ქალბატონ მორენის ბინაში რომ სუფევდა. ეს პატივისაცემი ბანოვანი მწუხარედ ხარშავდა. კერძს თავის პატარა ღუმელზე, რომლის მილიც ბუხარში შედიოდა და ირგვლივ საშინელ კვამლს აყენებდა. მის სიახლოვეს მარტო იმის ცქერით შემეძლო დავმტკბარიყავ, თუ როგორ ქაფავდა წვესა და უზომო სიფრთხილით, აცა, გულიც არ გადამყვესო, სტაფილოს როგორა ფხეკდა, რაც მის სიძუნწეზე მეტყველებდა. ბატონ მორენთან ყოფნა კი მეტად სახალისო რამ იყო.

როცა ჯაგრიებით, ფრინველის ფრთებისგან გაკეთებული კონებითა და ცოცხით შეიარაღებული ხელებს დაიკაპიწებდა და დარბაზის დაგვა-დასუფთავებას იწყებდა, სახეზე ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა და პირს ყურებამდე უხევდა; თვალები ეხთებოდა, სახე უნათლებოდა. ეტყობოდა, ისიც იმ ჟინს შეეპყრო, ჰერკულესს საღიაცო საქმეებისთვის რომ მოაკიდებინა ხელი ელიდაში. თუ ბედი გამიღიმებდა და ასეთ დროს შევესწრებოდი, ჩამოვეკონწიალებოდი უხეშ, ბანჯგვლიან ხელზე, მარსელის საპნის სუნი რომ უდიოდა და ორთავე ერთად ავდიოდით კიბეზე, შევდიოდით რომელიმე ბინაში, პატრონებს თავიანთი და თავიანთი მსახურების არყოფნაში მისთვის რომ ჩაებარებინათ. ორი მათგანი მაინც კარგად დამახსოვდა.

ახლაც თვალწინ მიდვას გრაფ მიშოს მეუღლის სასტუმრო ოთახი, თავისი აჩრდილებით სავსე სარკეებით, თეთრ შალითაგადაფარებული ავეჯითა და სადღესასწაულო მუნდირში გამოწყობილი, თოფების კვამლში გახვეული გენერლის პორტრეტით. მორენმა მითხრა, მაგ სურათზე გრაფი მიშოა გამოსატყული ვაგრამის ბრძოლის დროს, თავის ჩინ-მედლებიანაო. მე მაინც IV სართული უფრო მომწონდა. აქ მარტოხელა გრაფ კოლონა ვალევსკის ბინა იყო. შიგ ათას უცნაურსა და მომხიბველ რამეს ნახავდით: ჩინური ფაიფურის ფიგურები, თეჯირები, თურქული ყალიონები, ძველებური ფარ-ხმალი, სირაქლემას კვერცხები, გიტარები, ესპანური მარაოები, ლამაზ-მანების პორტრეტები, ღრმა სავარძლები და სქელი ფარდები თვალს სტაცებდნენ მნახველს. ამ უცხო ნივთებით მოხიბლული, მეც ალტაცებას ვერ ვმაღავდი და ბატონი მორენი დიდის

ამბით მეტყოდა ხოლმე: გრაფი ვალევსკი ქალებსა და ქეიფს გადაყოლილი კაციაო. ერთხანს ინგლისში ცხოვრობდა, გავლით პარიზშიაც ყოფილა და ახლა იტალიაში აპირებს წასვლას, სადაც ელჩად ნიშნავენო. ასე ვეცნობოდი მორენის წყალობით სამყაროს. ერთ დღეს, გრაფ მიშოს მეუღლის ბინისაკენ მიძავალ, საკმაოდ ვიწრო კიბეზე ავდიოდით: წინ ახალგაზრდა ქალი შემოგვხვდა (ამ სახლის წინ შემდეგაც ხშირად ჩამივლია; სახლი გარეგნულად სულ არ შეცვლილა... არ ვიცი, რა იღუპალი ძალა მეწეოდა უკან, მაგრამ ეს კია, შიგ არასოდეს შემიდგამს ფეხი, თუმცა გულით კი მეწადა მენახა, კიბეც ისეთივე დარჩა თუ არა, როგორც ჩემი ბავშვობის დროს იყო). ჰო, იმას ვამბობდი, ერთ მშვენიერ დღეს, როცა მორენთან ერთად მეორე სართულზე ავდიოდი, ზემოდან ჩამოძავალი ქალი შეენიშნეთ-მეთქი. მორენს ზრდილობა არ ესწავლებოდა და მეც სულ იმას ჩამჩიჩინებდა, ხალხში თავი რიგთანად უნდა გეჭიროსო, ასე და ასე უნდა იქცეოდეთ და ახლაც ჩამჩურჩულა, გზა უტიე ამ ქალს, ქუდი მოუხადეთ და თავისი ბერძნული ჩაჩიც მოიშვლია თავიდან.

ყმაწვილ ქალს ღია მიხაკისფერი ხავერდის კაბა ეცვა, მხრებზე ინდური ქიშმირის შალი ჰქონდა მოხვეული, რომელზედაც დიდრონი პალმები იყო გამოხატული. თავზე ფარფლებიანი ქუდი ეხურა. ეს ქუდი ძალიან შვენოდა მის გამხდარსა და ფერმკრთალ სახეს. მოხდენილად ჩამოდიოდა კიბეზე. გავლისას თავისი ცეცხლოვანი, შავი თვალები მომავლო, მერე პაწია ბროწეულის ყვავილივით წითელი ბაგე გახლიჩა და მორენს სერიოზულად უთხრა:

— მორენ, ეს ბიჭუნა თქვენია?.. საუცხოო ბავშვია.

ჩემს დღეში არ მსძენოდა ასეთი ხავერდოვანი და ტკბილი ხმა. მორენს რომ ელაპარაკებოდა, თავისი თეთრხელთათმანიანი ხელიც დამადო თავზე.

მორენმა უპასუხა, მეზობლისააო და ქალმაც განაგრძო:

— საუცხოო ბავშვია, მაგრამ მშობლები ძალიან უნდა გაუფრთხილდნენ: ფერმკრთალია, ღაწვები კი წითელი აქვს...

ეს თვალები, ახლა მწუხარედ რომ მიცქეროდნენ, თეატრში „შავი ალით“ ინთებოდნენ, რომელიც ფედრას წვავდა და დაგავდა; ნაზი ხელი კი, სიყვარულით რომ დამადო თავზე,

ძეფური ქესტით მაყურებელთა თვალწინ პიროსის მოკვლის ბრძახებას იძლეოდა. რაშელს\* საშინელი სენი ღრღნიდა, ამ სეხმა იძსხვერპლა ბოლოს და საბრალო ბავშვის სახეზედაც დაეძებდა მის ნიშნებს, ბავშვისა, მოხუც კარისკაცთან ერთად შემთხვევით რომ შემოხვდა კიბეზე. თეატრს თავი რომ მიანება, ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა იყო. სცენაზე არასოდეს მინახავს, მაგრამ ახლაც კი ვგრძნობ თავზე მისი პატარა, ხელთათმანიანი ხელის შეხებას.

## XVII

### „ძმა ღვთით ზოგადად გულითადი მეგობარია“

მაძიდაჩემი შოსონი ანეერში ცხოვრობდა. იქ დაიბადა და იქ გათხოვდა კიდევ. ბევრი არაფერი ებადა და რომ დაქვრივდა, ყაირათიანად გაუძღვა თავის პატარა მეურნეობას, ტკბილი, შუშხუნა ლვინის დაყენება იწყო. ამ ღვინით ძალიან მოჰქონდა თავი და ძვირად თუ ვინმეს გაასინჯებდა. პარიზში ჩამოსვლა მაშინ შორეულ მოგზაურობად ითვლებოდა და თუ მაინც გაბედავდა წამოსვლას, ჩემს მშობლებთან ჩერდებოდა ხოლმე. მისი ჩამოსვლის ამბავს დედაჩემი და მოხუცი მეღანი მაინცდამაინც დიდი სიხარულით როდი ხვდებოდნენ, ორთავეს ეშინოდა ამ პროვინციელი დედაკაცის ჰირვეული და ანჩხლი ხასიათისა. მამაჩემიც ხშირად იტყოდა ხოლმე:

— საოცარია, მაგრამ ჩემი და რენე, თუმცა ქორწინებიდან რვა წლის შემდეგ დაქვრივდა, მაინც პირწავარდნილ შინაბერად დარჩა.

მაძიდა შოსონი ბევრად უფროსი გახლდათ თავის ძმაზე; გამხდარი ქალი იყო, ჩაყვითლებული; ძველებურ, ტანზე შემოტმასნილ კაბებს იცვამდა და ამის გამო კიდევ უფრო ხნიერი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მე მოხუცებული მეგონა, მაგრამ ეს ჩემს თვალში არ ამალლებდა და მეტი პატივისცემით როდი ვეპყრობოდი: ამას რომ ვამბობ, სირცხვილით სულაც არ ვიწვი; ბავშვებს საერთოდ მოხუცების პატივისცემა არა სჩვევიათ: მათდამი მოწიწების გრძნობა უფროსებისგანა აქვთ ჩავონებული და მათ გულში მაინცდამაინც

ღრმად არა აქვს ფესვი გადგმული. მამიდაჩემი არ მიყვარდა; არც ვაპირებდი მის შეყვარებას, მაგრამ თავს მაინც ძალიან კარგად ვგრძნობდი მასთან. მისი ჩაძოსვლა ძალიან მახარებდა, რადგან ჩვენს სახლში მომხდარი ყველა ცვლილება უზომოდ მამხიარულებდა. ის რომ გვეწვეოდა, ჩემს საწოლს ვარდებიან ოთახში გამოაგორებდნენ ხოლმე და ჩემს სიხარულსაც საზღვარი არა ჰქონდა.

მესამედ რომ გვესტუმრა მას შემდეგ, რაც მე გავჩნდი ამქვეყნად, წინანდელზე უფრო ყურადღებით დამაკვირდა და ბევრი ისეთი ნაკლი შემნიშნა, რაც სასიკეთოს არაფერს მიქადდა. მისთვის რომ ყური გეგდოთ, ქვეყნის ურთიერთსაწინააღმდეგო მანკი მჭირდა: თურმე ნუ იტყვიოთ და, ჩემი დაუდგროძლობით გულს ვუწყალებდი ყველას, დედაჩემი კი, როგორც ჯერია, არ მტუქსავდა; ისეთი მშვიდი ზნისა ვიყავ, ჩემი ხნის ბიჭს რომ არ შეეფერებოდა. მარტო ეს რომ ყოფილიყო, კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ამას სხვა აუარება ჭირიც ზედერთოდა: საშინელი სიზარმაცე, აულაგმავი ენერგია, ენით უთქმელი სიბრიაყე და ნაადრევად განვითარებული გონება მთელს ამ უმსგავსობას ერთი რამით ხსნიდა და გაიძახოდა: მთელი უბედურება იქიდან მოდის, რომ დედისერთა გყავთო.

როცა დედაჩემი დარდობდა, ფერმკრთალსა და უხალისოს რომ მხედავდა, მამიდაჩემი ეუბნებოდა:

— შეუძლებელია, მზიარული და ჯანმრთელი იყო, როცა გვერდით ტოლი არა გყავს: ძმა გაუჩინეთ და გახალისდება.

გამრავლების ტაბულა თუ არ ვიცოდი, ლურჯი ხავერდის ხალათზე მელანს თუ გადავისხამდი, შაქარყინულსა და ვაშლის ჩირს თუ მუსრს ვავლებდი, თუ ქალბატონ კომონს არასდიდებით არ ვეუბნებოდი „ჭირშენაყარ ცხოველებს“\*, თუ დაცემისას შუბლზე კობი დამაჯდებოდა, თუ სულთანის ძუჭამედი დამკაწრავდა, თუ ცხარე ცრემლებით დავტიროდი ჩემს საყვარელ იადონს, ერთ დილით გალიაში გულადმა ამოტრიალებული და თვალდახუჭული რომ დამიხვდა, თუ წვიმდა, თუ ქარი ქროდა, ეს სულ იმიტომ, რომ ძმა არა მყავდა. ერთ საღამოს გადავწყვიტე, მალულად წიწაკა მომეყარა კრემიანი ტორტის ნაჭერზე, რომელიც მოხუც მელანისთვის ჰქონდათ გადანახული, რადგან იცოდნენ, რომ ტკბილეულზე ჭკუას

კარგავდა. დედამ დანაშაულზე წამასწრო და მწარედ დამტუქ-  
სა. ეს უმსგავსო საქციელი იმას მოწმობს, რომ მთლად უგუ-  
ლო ბავშვი ხარო. მამიდაჩემმაც მხარი აუბა, მისი ნათქვამი,  
კიდევ უფრო გააზვიადა და მოჰყვა მტკიცებას: ასეთი ანცობა  
მთლად ზელიდან წასული ბაღის საქმეაო. მერე კი ბოდიში  
ხოძხადა, ძმა რომ არა ჰყავს, ყველაფერი იმის ბრალიაო.

— სულ მარტო ცხოვრობს: სიმარტოვეზე ცუდი კი არა-  
ფერია ქვეყნად. ბაღს თუ ბუნებით რამ სიავე მოსდგამს,  
ერთითად გადაუქცევს ხოლმე. პირდაპირ აუტანელი ბავშვია.  
ძოხუც მსახურ ქალს მოწამვლას უპირებდა. ამასაც არ სჯერ-  
დება და სულ კისერში მიბერავს სულს, სათვალესაც მიმა-  
ლავს ხოლმე. დიდხანს რომ დავრჩე თქვენითან, ჩემო კარგო  
ანტუანეტა, ალბათ გადამრევდა კიდევც.

რაკი არავისი მოწამვლა არ მედო გულში და არც სინდი-  
წი დამიწყებდა ქენჯნას, მამიდაჩემი მართლა ჰკუდიდან რომ  
შეშეშალა, ეს ბრალდება მაინცდამაინც გულთან ახლოს არ  
შიძიტანია. მამიდა შოსონის ნათქვამს ნდობით არ ვეკიდებო-  
დი, პირიქით, ჯიბრზე სულ საწინაღმდეგოს ვფიქრობდი და  
რაკი ის ნატრობდა, და ან ძმა მყოლოდა, მე აღარც ერთი არ  
შინდოდა. მარტოკაც შესანიშნავად ვირთობდი თავს და თუმცა  
საათები ისე ხანმოკლე არ მეჩვენებოდა, როგორც ახლა, მო-  
წყენა რა იყო, თითქმის არ ვიცოდი. ეს იმიტომ რომ, სიყრმი-  
დანვე ძალზე აქტიური შინაგანი ცხოვრება მქონდა, შთაბეჭ-  
დილებიანი ბავშვი ვიყავ, ღრმად განვიცდიდი ყველა მოვლე-  
ხასა და სულ ერთიანად ვნთქავდი ყველაფერს, რასაც კი  
ჩემი გონება მისწვდებოდა. თან ისიც ვიცოდი, რომ ძმები  
ჩვეულებრივ ერთი ბეწონი იბადებიან, არც სიარული იციან,  
არც ლაპარაკი და საერთოდაც არაფრის მაქნისები არ არიან.  
იხასაც კი ვერ ვიტყვოდი დაბეჭითებით, რომ წამოიზრდება,  
შეძიყვარებს და მეც შემიყვარდება-მეთქი. კაენისა და აბელის  
შაგალითიც სანუგეშოს არაფერს მეუბნებოდა. მართალია,  
ფანჯრიდან ხშირად ვუცქეროდი ალფრედ და კლემან კომო-  
ნებს, ორ ტყუპ ძმას, გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგვანდნენ  
ერთმანეთს და საოცრად იყვნენ შეხმატკბილებულნი, მაგრამ  
სახურავის ოსტატის შევირდი ჟანიც ხშირად მინახავს, ეზოში  
უშოწყალოდ რომ სცემდა თავის ძმა ალფონსს. ალფონსიც

არ რჩებოდა ვალში, ენას უყოფდა და ემანჭებოდა. ერთი სიტყვით, ამ მაგალითებზე დაყრდნობით ძნელი იყო რაიმეს გადაწყვეტა. თან დედისერთა რომ ვიყავ, ეს ჩემის ფიქრით უამრავ უპირატესობას მანიჭებდა: ჯერ ერთი, თავის დღეში არავინ მაჯავრებდა, მშობლების სიყვარულშიც არავინ მეცილებოდა და ჩემს თავთან საუბარშიც ხელს არავინ მიშლიდა: ჩემს თავთან მასლაათს კი სიყრმითვე ვიყავ ჩვეული და ძალიანაც მსიამოვნებდა. მაგრამ მაინც მინდოდა პატარა ძმა მყოლოდა, რომ მყვარებოდა. ასე ვკოჭმანობდი ხოლმე, რადგან ცოტა მერყევი ვიყავ და საქმის აწონ-დაწონა მჩვეოდა.

ერთ დღეს ჩემს ტკბილ დედოქოს ვთხოვე, ნუ დამიმალავ და მითხარი, ჩემთვის პატარა ძმის ჩუქებას ხომ არ აპირებ-მეთქი. სიცილით მითხრა, არაო, მეშინია, შენსავით ცუდი ბიჭი არ იყოსო. ეს პასუხი სერიოზულად არ მეჩვენა. ამასობაში მაძიდა შოსონი ანჟერში დაბრუნდა და მეც აღარ მიფიქრია იმაზე, რაც მისი ჩვენთან სტუმრობის უამს ასე მიტაცებდა.

მაგრამ მისი წასვლიდან რამდენიმე ხნის შემდეგ (რამდენიმე დღისა თუ რამდენიმე თვის შემდეგ, ზუსტად ვერ გეტყვით, რადგან ამ ამბავს რომ გიამბობთ, ყველაზე მეტად თარიღები შიჭირვებს საქმეს), ერთ დილით საუზმეზე ნათლიაჩემი გვეწვია. საუცხოო დღე იყო. ბელურები ყიფიყიფებდნენ სახურავებზე. უეცრად სურვილმა მომიარა რამე საოცარი ჩამედინა, რამე ისეთი, რაც ირგვლივ გამეფებულ ერთფეროვნებას დაარღვევდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, ბევრი არა შემეძლო რა. ვიფიქრე, იქნებ სამზარეულოში მოვიფიქრო რამე-მეთქი და თვალის დახამხამებაში იქ გავჩნდი. შიგ არავინ იყო; ღუმელში ცეცხლი ენთო და საუცხოო სუნი ტრიალებდა. სანამ კერძს მოიტანდა სუფრაზე, მელანის ზნედა სჭირდა ღუქანში გაქცეულიყო დავიწყებული მწვანილის ან სხვა რამე საკაზმის საყიდლად. ღუმელზე ქვაბით კურდღლის ყაურმა იდგა და თუხთუხებდა. დაეინახე თუ არა, თავში ბრწყინვალე აზრმა გამიბრინა. დიდხანს აღარ მიფიქრია, ყაურმა ცეცხლიდან გადმოვდგი და ცოცხების კარადაში შევეუძახე. ამ საქმეს ჩინებულად გავართვი თავი, თუ არაფრად ჩავთვლით, რომ მარჯვენა ხელის ოთხი თითი, მარცხენა ხელის იდაყვი და ორთავ მუხლი დავიწვი, სახე დავითუთქე, წინსაფარი, წინდები

და ფეხსაცმელები დავთხვარე, ნახევარზე მეტი წვენი იატაკზე დავღვარე და ზედ ქვეყნის ხახვი და ქონის ნაჭერიც მივაყოლე. მერე ჩემს ნოეს კიდობანს დავხვიე ხელი, საახალწლოდ რომ მაჩუქეს, მთელი ცხოველები სპილენძის ქვაბში ჩავუძახე და კურდღლის ყაურმის ნაცვლად ცეცხლზე შემოვდგი. ჩემთვის რომ გეკითხათ, ეს აჯაფსანდალი ბევრად მოჰგავდა იმ ნუგბარ-ნუგბარ კერძებს, გარგანტუასათვის რომ მოჰქონდათ ნადიმებზე. ამ საჭმელების ამბავი გაგონილი მქონდა და ზოგი რამ ჩემი თვალითაც მენახა ერთ ფერად სურათზე. მაგრამ გოლიათი თავის ჩანგალს მარტო მთელ ხარებს თუ მოსდებდა, მე კი ისეთ კერძს ვამზადებდი, სადაც სამყაროს ყველა სულდგმული იყო არეული, ლომითა და ქირაფით მოკიდებული და პეპლებითა და კალიებით გათავებული. წინასწარვე ვტკბებოდი ჩემი გამონაგონითა და ვფიქრობდი, მელანიც სიხარულით უთუოდ ცას ეწევა, როცა თავისი კურდღლის მოსატანად წავა და მის ნაცვლად, ნოესა და მის ჯალაბზე რომ არაფერი ვთქვათ, ლომები, ვირები, სპილოები და წარღვნას გადარჩენილი ყველა სხვა ცხოველი დახვდება-მეთქი. მაგრამ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა. მალე საშინელი სიმყარალის სუნი გამოვარდა სამზარეულოდან და მთელ სახლს მოედო. ამას მეც არ ველოდო და სხვები ხომ მთლად გაოცებას იყენენ. სულმეგუბებული დედაჩემი სამზარეულოსკენ გაიქცა, უნდოდა გაერკვია, რა ამბავია ჩვენს თავსო და აქოშინებულა მელანი კი შერჩა ხელში. საწყალს კალათის დადგმაც კი ვერ მოესწრო და ცალი ხელით ცეცხლიდან გადმოჰქონდა ქვაბი, რომელშიაც კიდობნის ცხოველების ნარჩენები იხარშებოდნენ და მყარალი ოხშივარი ასდიოდათ.

— ჩემი ქობა! ჩემი საყვარელი ქობი! — იძახდა სასოწარ-ვეთილი ჩემი გამღელი.

ჩემი ნამოქმედართ დატკობა მწაღდა და რა ვიხილე ამ დღეში, შემრცხვა, გუნება წამიხდა და სინდისმა დამიწყო ქენჯნა. მელანიმ მკითხა, ყაურმა რა უყავით, ძლივსლა წავილულლულე, ცოცხების კარადაში ნახეთ-მეთქი.

არავის გავუთათხივარ. მამაჩემი ჩვეულებრივზე უფრო მეტად იყო გაფითრებული, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერც მამჩნევდა. დედას სახე წამოსწითლებოდა და



ქურდულად მიმზერდა, ჩემს სახეზე დანაშაულის, ანდა სი-  
გიჟის კვალს თუ დაეძებდა. მაგრამ ყველაზე საცოდავი შესა-  
ხედავი ნათლიაჩემი იყო. ტუჩის კუთხეები მწუხარედ ჩამო-  
შვებოდა. ოქროს სათვალის მიღმა თვალები უწინდებურად  
აღარ უცინოდნენ.

როცა მელანიმ ყაურმა ჩამოგვირიგა, თვალები სულ და-  
წითლებული ჰქონდა, ლოყებზედაც ცრემლები დაპაღუპით  
სდიოდა. ამას კი ვეღარ გავუძელი, ადგილიდან წამოვხტი,  
ჩემს მოხუც მეგობარს მივვარდი, რაც ძალი და ღონე მქონდა,  
ძოვეხვიე და ავღრიალდი. მელანიმ წინსაფრის ჯიბიდან უჯრუ-  
ლა ცხვირსახოცი ამოიღო, თავისი დაძარღვული ხელით, ოხ-  
რახუშის სუნი რომ უდიოდა, ნაზად შემეშრო ცრემლი და  
ქვითინით მითხრა:

— ნუ ტირით, პიერ! ნუ ტირით!

ნათლიაჩემი დედაჩემს მიუბრუნდა და უთხრა:

— პიეროს ბოროტი გული არა აქვს, მაგრამ დედისერ-  
თაა, სულ მარტოა და აღარ იცის, რა გააკეთოს. პანსიონში  
ძიებარეთ: თავის ტოლებში გაერთობა და იქაური დისციპ-  
ლინაც ცოტა მოაჩულებს.

ამ სიტყვებს მოვკარ თუ არა ყური, გამახსენდა, რომ  
ძაძიდაჩემიც დედას სულ ამას უჩიჩინებდა და საშინლად მო-  
ძინდა ძმა მყოლოდა, მაშინ პანსიონში აღარ გამამწესებენ,  
ძმა შეყვარება და იმასაც ვეყვარები-მეთქი, ვფიქრობდი  
გულში.

ვიცოდი, რომ ძმას ბუნება გვიძღვნის და რაკი წარმოდ-  
გენაც არა მქონდა, ცა თავის რჩეულ ოჯახებს ამ ძღვენს რა  
ვითარებაში მიართმევდა, დარწმუნებული ვიყავ, რომ ბაღ-  
საც მხოლოდ ის ძალა აჩენდა, რომელიც მცენარეებს აღმო-  
აცენებს და მიწას ათასფრად აფერადებს ხოლმე. ამ საიდუმლო  
ძალაზე, რომელიც მისგან რჩეულს მზრდიდა და მავაყვაცებდა,  
ძთლად ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, მაგრამ მისი ძლევა-  
მოსილები ისა მჯეროდა. დიახ, ჯერ მისი სახელიც არ ვიცოდი  
და მაინც თაყვანსა ვცემდი ამ კიბელას\*, ვის ნახელავსაც ადა-  
ძიანთა საუცხოო ნაკეთობებისაგანაც კი ზოლად გამოვარჩევდი.  
ადვილად ვირწმუნებდი, რომ სასწაულმოქმედს შეეძლო გაე-  
კეთებინა კაცი, რომელიც ივლიდა, ილაპარაკებდა, ჭამდა,

მაგრამ თავის დღეში ვერ დავიჭერებდი, რომ ეს კაციც ისეთივე იქნებოდა, როგორც ბუნების მიერ გაჩენილი ადამიანი. მოკლედ, დვიძლი ძმის ყოლის იმედი დავკარგე და გადავწყვიტე, ვინმე მეძმო და თავად მეპოვა ის, რაც ბუნებამ არ მიწყალობა.

ცხადია, მაშინ არ ვიცოდი, რომ იმპერატორმა აღრიანემ ანტონიუს პიუსი იშვილა, ანტონიუს პიუსმა კი — მარკუს ავრელიუსი და რომ ამ ამბავმა მსოფლიოს ორმოცდარი წლის მშვიდობა მოუტანა.\* ამეებზე წარმოდგენაც არა მქონდა, მაგრამ შვილად აყვანა მაინც საუცხოო ჩვეულებად მიმაჩნდა. ამ საქმის იურიდიულ მხარეს არ ვეხებოდი, რადგან კანონისა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვახლდით, რომ ვისიმე შვილად აყვანა საზეიმო ვითარებაში ხდებოდა. ეს ამბავი ჭკუაში დამიჯდა და იმასაც კი ვფიქრობდი, ჩემი მშობლები სადღესასწაულო ტანსაცმელს ჩაიცვამენ, როცა იშვილებენ ბავშვს, რომელსაც მე მივგვრი-მეთქი. მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ არ ვიცოდი, ეს ბავშვი სად მეპოვა. ჩემი ძიების არე მეტად შეზღუდული იყო და ხელიც შორს არსად მიმიწვდებოდა. ნაცნობი ცოტა მყავდა და იმ ოჯახებიდან, საცა სტუმრად დავდიოდით, შვილი რომ დაეთმოთ ჩვენთვის, ისეთივე სერიოზული მიზეზი უნდა ჰქონოდათ, როგორც მოსეს დედას ჰქონდა, თავისი პირმშო ნილოსის ტალღებს რომ გაატანა. ცხადია, ქალბატონი კომონი თავის ტყუპის ცალს ცოცხალი თავით არ დაგვანებებდა. ციფიქრე, ღარიბი ბიჭი რომ ვიშვილოთ, ასე არ გავვიჭირდება-მეთქი და ჩემს მეგობარ მორენს სიტყვაც კი გადავუკარამაზე. მან კეფა მოიფხანა და მითხრა, ბაღლის ქუჩიდან აყვანა ძალზე სარისკო საქმეა, ესეც არ იყოს, შენს მშობლებს შვილი უკვე ჰყავთ და ველარავის იშვილებენო. ამ მოსაზრებამ დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ჩემზე, რაკი მისი იურიდიული ღირებულება არ ვიცოდი და კვლავ გულმოდგინედ განვაგრძობდი ძმის ძებნას ლუქსემბურგის ბაღში, ტიულრიში და ბოტანიკურ ბაღში სეირნობისას, თუმცა საბრალო მელანი, თან რომ დამყვებოდა, მიკრძალავდა გზად შემხვედრ ბიჭუნებთან გამოლაპარაკებას. მორცხვი ვიყავ და ბეჩარა და მასხრად მიგდებდა სუყველა. თუკი შემთხვევით წავაწყდებოდი ჩემ-

სავით მორცხვ ბავშვს, თავჩაქინდრულნი და გულდამძიმებულნი უსიტყვოდ ვცილდებოდით ერთმანეთსა და ვერ ვახერხებდით გაგვეზიარებინა ერთურობისათვის ის სიყვარული, რომლითაც გული სავსე გვქონდა. სწორედ მაშინ დავრწმუნდით, რომ თუშეცა სრულყოფილი არც მე ვიყავ, ბევრ ჩემს ტოლს მაინც ვჯობდი.

გამოხდა ხანი და შემოდგომის ერთ დღეს, როცა სასტუმრო ოთახში ჩემს მეტი არავინ იყო, დავინახე, ღუმლიდან როგორ გამოძვრა პატარა, ეშმაკივით შავი სავიარირი; მისმა გამოჩენამ გამამზიარულა და თითქმის სულ არ შევეუშინებოვარ.

ასეთი პატარა სავიარირები საკვამლე მიღებს წმენდდნენ და პარიზშიც იშვიათი როდი იყვნენ. ისეთ ძველ სახლებში, როგორიც ჩვენი გახლდათ, ბუხრის მიღები კედლებში იყო ჩატანებული და შიგ ბავშვი ადვილად გაეტეოდა. ამ სამუშაოს ჩვეულებრივ პატარა სავიარირები ასრულებდნენ. ამბობდნენ, ცოცვა თავიანთი ზაზუნებისგანა აქვთ ნასწავლიო, მაგრამ მე ხშირად შემინიშნავს, რომ კვანძებიან თოკებსაც იშველიებდნენ. ეს ბიჭი, ჩვენი ბუხრიდან რომ გამოძვრა, თავიდან ფეხებამდე მკვარტლით იყო გამურული, ფრიგიული ქუდის მსგავსი გამურული ჩაჩი ყურებამდე ჩამოფხატა და როცა ილიძებოდა, ქათქათა, თეთრ კბილებს აჩენდა. სიცილისას ტუჩებს ილოკავდა და ისიც სისხლივით წითელი მოუჩანდა. მხარზე თოკები და პაწია ნიჩაბი ჰქონდა გადაკიდებული და თვითონაც ერთი ბეწო ჩანდა თავის ხალათსა და მოკლე შარვალში. თვალში მომივიდა და სახელი ვკითხე. ცხვირში ლაპარაკობდა, ხმაც საამური ჰქონდა. მითხრა ადუოდატი მქვია და ჟერვედანა ვარ, ბონვილის მახლობლად რომ სოფელიაო. ერთბაშად შემვივარდა მასზე გული და ვკითხე:

— გინდათ, ჩემი ძმა იყოთ?

სახეზე, არლექინისას რომ მიუგავდა, უზომო გაკვირება აღებუქდა. გოცებით გადაატრიალ-გადმოატრიალა თვალები, ყურებამდე გააღო პირი და თავი დამიქნია, მინდაო.

მაშინ კი უფრო შემომეგზნო ძმური სიყვარულის ალი, ვუთხარი, ცოტა დამიცადე-მეთქი, და სამზარეულოში გაქანდით. განჩინა და ბუფეტი გადავქექე, ერთი თავი ყველი ვიპოვე, მაშინვე დავტაცე ხელი და თან წამოვიღე. ნევშატელის

ყველი იყო, ფორმით ხის კასრების საცობს რომ მოგაგონებდათ და ჩვენში ცობილას ეძახდნენ. ჭამის მეტი აღარაფერი აკლდა; პაწია, წითელ წინწკლებს დაეფარა მისი მოცისფრო და ლბილი კანი. ეს ყველი ჩემს ძმას მივართვი, ისევ იმ ადგილას რომ იდგა გაუნძრევლად და გაოცებით ატრიალებდა თვალებს. თავპატიყი არ დაუდვია, ყველს ხელი დაავლო. ჩიბიდან დანა ამოიღო და ცობილას გამოშიგვნა დაუწყო. ვეება ნაჭრებსა ჭრიდა, დანის წვერზე აცმევდა და პირისაკენ მიაქროლებდა. ლეჭვით კი ზანტად ლეჭავდა, ეტყობოდა სიზანტე ყველაფერში მოსდგამდა. მთელი სერიოზულობით, გულმოდგინედ იცოხნებოდა და წამსაც კი არ აცდენდა, რომ სული ძოვთქვა და ამოესუნთქა. უეცრად დედაჩემი წამოგვადგა თავზე. ყველისაგან მხოლოდ ქერქილა დარჩენილიყო. მე ვიფიქრე, უნდა აეუხსნა, რა ხდება-მეთქი და ვუთხარი:

— დედა, ეს ჩემი ძმაა: წელან ვიშვილე.

— ძალიან კარგი გიქნია, — მითხრა ღიმილით დედაჩემმა, — მაგრამ ვერა ხედავ, საცაა დაგეხრჩობა. არიქა, წყალიც დააყოლებინე.

ბედად სამზარეულოში მელანი დამიხვდა და ჩემს ძმას ღვინონარევი წყალი მოურბენინა. ბიჭმაც ერთბაშად გადაყლურწა, ტუჩები სახელოთი მოიწმინდა და შვებით ამოისუნთქა.

დედამ სოფლის, ოჯახისა და სამუშაოს ამბავი გამოჰკითხა და ეტყობა, ბიჭმაც დალაგებულად უამბო ყველაფერი, რადგან, წავიდა თუ არა, ჩემმა ტკბილმა დედიკომ მითხრა, ევშენი ძმა ძალიან კარგი ბიჭი ჩანსო და დასძინა, მის პატრონს, ბულანჯერის ქუჩაზე რომ დგას, უნდა ვთხოვო, კვირას გამომიგზავნოსო.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ საკვირაო ტანსაცმელში გამოწყობილი, საგულდაგულოდ დაბანილ-დავარცხნილი ადგოდატი ნაკლებად მომეწონა. მერჩია, ისევ ის შავი ჩაჩი ხურებოდა და ცხვირ-პირიც მაშინდელივით გამურული ჰქონოდა. ბიჭი სამზარეულოში მიიწვიეს და ასადილეს. მე და დედაც შვედით შიგ მის სანახავად, თუმცა ჩვენი ცნობისმოყვარეობისა ცოტათი გვრცხვენოდა კიდევ. მოხუცმა მელანიმ თვალით გვანიშნა, ძალიან ახლოს ნუ მიხვალთ, თორემ შეიძლება, მკბენარი ჰყავს და აგყვეთ კიდევო. პატარა სავოიარს თავი ძალზე

წესიერად ეჭირა, მიგრამ არასდიდებით არ დააკარა პირი საქმელს, სანამ თავისი ქუდი არ დაახურეს თავზე, მოსვლისას, წიხკარში რომ ჩამოერთმიათ. ეს მის ტეტიობას მივაწერეთ, თუშცა, კაცი რომ ჩაუკვირდეს, ძალიან დარბაისლური საქციელი გახლდათ. XVII საუკუნეში კეთილშობილი მამაკაცი სუფრას თავის დღეში თავშიშველი არ მიუჯდებოდა ხოლმე და მართებულადაც იქცეოდა, რადგან წესი მოითხოვდა, ყოველ წუთს მოეხადა ქუდი, როცა მეზობელი კერძს გადმოაწოდებდა, ანდა თავად იქით მიაართმევდა ხოლმე. თავის საქვეყნოდ ცნობილ ტრაქტატში: „საფრანგეთში მიღებული თავაზიანობის წესებში“, რომელიც პარიზს გამოქვეყნდა 1702 წელს, ბატონი დე კურტენი გარკვევით ამბობს, როცა სუფრაზე მოქცევის წესებს ეხება: „როს დიდგვაროვანი გვამი ვინმეს სადღეგრძელოსა სვამს, ანდა თავად თქვენ გადღეგრძელებთ ხოლმე, ქუდი უნდა მოიხადოთ და თავდახრილი იჯდეთ, სანამ იგი სასძისს გამოცლიდეს... თუ გამოგელაპარაკათ, ქუდი მაშინაც უნდა მოიშვლიპოთ და ეცადოთ, ლაპარაკის დროს პირი გამოტეხილი არ გქონდეთ. ასე უნდა მოიქცეთ მანამ, სანამ თვითონვე გეტყვიან, ქუდი დაიხურეთო. მერე კი თავდახურული უნდა იჯდეთ, რათა ზედმეტი ცერემონიებით არ დაღალოთ თანამოსაუბრე“. ადგოდატსაც ისე ეხურა ქუდი სადილობისას, როგორც ლუი XIV-ის კარის ძველ თავადს, მაგრამ, სიძართლე თუ გნებავთ, თავი მადლობის ნიშნად ისე ხშირად არ დაუქნევია. ხორცის ნაჭრებს პირდაპირ პურზე აწყობდა და ჩანგლის მაგივრადაც დანას ხმარობდა ხოლმე; თავი კი ძალზე სერიოზულად ეჭირა. ნასადილევს დედაჩემის თხოვნით გვიმღერა კიდევც. ძლივს გასაგონი ხმით მღეროდა თავისი კუთხის ჰანგებს:

მისმინე, ჯანეტო,  
 არ გინდა ახალი ტანსაცმელი?

დედაჩემის შეკითხვებს მოკლედ, გონივრულად პასუხობდა. ზამთრობით თურმე სულ პარიზში მუშაობდა, გაზაფხულის პირზე კი ფეხით ბრუნდებოდა თავის მშობლიურ სოფელში. დედამისი ძალიან ღარიბი იყო, ძროხის ყიდვის თავი არა ჰქონდა და ყველის ქარხანაში მუშაობდა. თვითონაც დედას

ეხმარებოდა, ანდა მთებში დადიოდა და ქალაქის კონდიტორებისათვის შოცვსა კრეფდა. რასაც ამ ჭაპანწყვეტით იშოვიდნენ, თავი იმით გაჰქონდათ, მაძღრისად ჭამა რა იყო, არ იცოდნენ და სამყოფად შავი პურიც კი არ ჰქონდათ.

გალავწყვიტე, ფული შემეგროვებინა და ადეოდატის დედისთვის ძროხა მეყიდა. მაგრამ, რაც გულში ამოვიქერ, მალე შიშავიწყდა. გაზაფხული რომ დადგა, ღუმლების პატარა მწმენდავი თავის სოფელში წავიდა. ჩემმა ტკბილმა დედიკომ დედაშისს ერთი-ორი ხელი შალის ტანსაცმელი და ცოტა ფული გაუგზავნა. და რაკი ბიჭს სერიოზულობა და საზრიანობა შეატყო, სოფლის მასწავლებელსაც წერილი მისწერა, ბავშვს წერა-კითხვა და ცოტა ანგარიში ასწავლეთ, მისი სწავლის ფულს მე გადავიხდიო. ცოტა ხნის შემდეგ ადეოდატმა ბექდური ასოებით დაწერილი წერილით მადლობა გადაუხადა.

ზშირად ვკითხულობდი ჩემი ძმის ამბავს; ერთხელ ზამთრის პირასაც ვიკითხე.

— შენი ძმა თავის სოფელში დარჩა, — მითხრა დედაჩემმა, რადგან ეშინოდა, მეტის თქმით არ დავემწუხრებინე.

ჩემს ძმა ადეოდატს აღარ ეწერა უკან მობრუნება. თავის სოფლის პატარა სასაფლაოზე ეძინა. დედაჩემს ეერვეს სკოლის მასწავლებლისაგან წერილი მიეღო, მაგრამ ჩემთვის არ უჩვენებია. წერილში ნათქვამი იყო, პატარა ადეოდატს მინინგიტი დამართა, მაგრამ ბევრი არ უწვალთა, მხოლოდ იმას ჩიოდა, თავი ასე რამ დამიმძიმაო. სიკვდილის წინაც თურმე სულ კეთილ ქალბატონ ნოზიერს ახსენებდა და თავის საყვარელ სიმღერას მღეროდა:

მისმინე, ჯანეტო...

## XVIII

### დედილო კოვლი

ერთ დღით, როცა მოხუც მელანის გავყევი თავის მანსარდაში, ჩვეულებრივზე მეტის ყურადღებით დავაკვირდი ეუის ტილოსაგან შეკერილ საბანს, რომელიც მელანის სა-

წოლზე ეგო და რომელზედაც, — განა არ მითქვამს? — წითელი საღებავებით ვარდის გვირგვინით შემკობის სცენა იყო დახატული. ეს სცენა მრავალჯერ მეორდებოდა. და მეც ძალიან მომწონდა, რაკი ჩემს წარმოსახვას საზრდოს აწვდიდა და ცნობისმოყვარეობას მიღვიძებდა. მელანიმ მისაყვედურა, ემაგ სისულელეებით თავს რად იქცევო.

— რას ხედავ სახეიროს მაგ საბნისძველაში, პიერო? მთლად დაკემსილ-დაკონკილია. ცხონებულ ქალბატონ სენტ ლუსისთან რომ ვიდექ, ჩემს ქალბატონს ეხურა ხოლმე. მაშინ სულ ახალი იყო. დიდი ქალბატონი რომ მიიცვალა, სენტ ლუსიებმა მოახლეებს გაუყვეს დედამათის ნაქონი ნივთები და ეგ საბანი მე მერგო.

მე აღტაცებას მაინც ვერ ვფარავდი და კითხვას კითხვაზე ვაყრიდი:

— ვინაა ეს ლამაზი ქალიშვილი, ვიღაც ბატონი ვარდების გვირგვინს რომ აწვდის? რა უნდათ აქ ამ მედლოლეებსა და ძებუქეებს? ან ეს ქალიშვილები რიდას მაქნისები არიან, ეს გლეხები რად მოჯარულან და მლოცველებივით რად მიუტყულებიათ ხელის გულები?

— სად ხედავ მაგეებს, ჩემო პატარა ბატონო? შეუძლებელია, ერთ პატარა ადგილზე, შენ რომ ამბობ, ამდენი რამე ეტეოდეს. დამაცადე ერთი, სათვალე გავიკეთო, რომ ჩემი თვალითა ვნახო.

დახედა და დარწმუნდა, რომ არა ვტყუოდი.

— ღმერთმანი, არა ტყუილ აქ მართლაც ყმაწვილი ქალები, ბატონები და სოფლელები და რა ვიცი, კიდევ რა არაა დახატული. აგერ ორმოცდაათი წელი იქნება, რაც ეგ საბანი ზედ მახურავს და ეგენი ჩემს დღეში არ შემიმჩნევია. რა ფერისაა ეგ საბანიო, რომ გეკითხათ, იმასაც კი ვერ გეტყოდით დანამდვილებით, თუმცა დაკემსვითაც ხშირად დამიკემსია.

როცა ოთახიდან გამოვდიოდი მელანისთან ერთად, ყავარჯნის კაყუნი და ნაბიჯების ხმა გავიგონე; ხმა დერეფნის სიღრმეში რეკდა და ნელა ახლოვდებოდა. ადგილზე გაქვეავდი და თავზარი დამეცა, როცა დავინახე, სიბნელეს თანდათანობით როგორ გამოეყო ორად მოკაკეული, საშინელი დედაბერი, თავის ადგილას კუზი რომ ჰქონდა და მიწისფერი სახე მკერ-

ღზე გამოვმოდა. მისი მარჯვენა თვალი უზარმაზარ მეჭექს დაეფარა. მელანის ჩავაფრინდი წინსაფარში; როცა ჩვენებამ ჩაიარა, ჩემმა გამდელმა მითხრა, ეგ დედილო კოშლეო. მეტი თვითონაც არაფერი იცოდა, რადგან, როგორც ამბობდა, თავის დღეში არ გამოლაპარაკებია არც მასა და არც სხვა ვინმეს. ჩემი მოხუცი მეგობრის ეს ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაიგოთ, მელანი მოკრძალებულობას ჩემულობდა და მეზობლებში ჭორაობას რომ არ მისდევდა, ამით იმის თქმა სურდა მხოლოდ. დედილო კოშლე თურმე დერეფნის ბოლოს, ერთ აქოთებულ ბუნაგში ცხოვრობდა, მაგრამ გაჭირვებულად ძაინც არავინ თვლიდა, რადგან ხუთი კატა ჰყავდა და ყოველ დილით მათთვის ორი სუს შიგნეულს ყიდულობდა ხოლმე. ბატონმა ბელაგემ ბევრჯერ დაუპირა მოხუცთა თავშესაფარში გამწესება, მაგრამ ისეთი ცივი უარი მიიღო, რომ იძულებული გახდა, ამ განზრახვაზე ხელი აეღო.

— ძალზე ამაყი ქალია, — დასძინა მელანიმ, — შემდეგ ხმას დაუწია და მითხრა: — ბურბონების მომხრეა და ამბობენ, თავის დამპალ ბუნაგში საუცხოო საბანს ინახავს, რომ-მელზედაც სამეფო შროშანებიან ამოქარგული.\*

აი, ყველაფერი, რაც დედილო კოშლეს შესახებ შევიტყვე. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა მე და ჩემი გამდელი ტიულრის ბაღში ვსეირნობდით, დედაბერს ისევ გადავეყარეთ. სკამზე იჯდა და ვილაც ინვალიდს ბურნუთს სთავაზობდა. უხეირო შავი ჩალის ქუდი დაეკოსებინა გოფირებულ ჩაჩზე, სწორედ ისეთი, როგორებსაც 1820 წელს ატარებდნენ, მხრებზე სახეებიანი ყვითელი შალი მოესხა. ყავარჯენზე დაყრდნობილი თავი უკანკალებდა და თვალს რომ მეჭექი უფარავდა, ისიც უცნაურად უთრთოდა.

ინვალიდს იმსიგრძე მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა; რომ თითქმის ნიკაბამდე უწევდა. ხმადაბლა საუბრობდნენ.

— წავიდეთ აქედან, — მითხრა მელანიმ და წამოდგა. მაგრამ მე ერთი სული მქონდა გამეგო, რას ამბობდა დედილო კოშლე და მის სკამს მიეუახლოვდი.

ქალი კი არ ლაპარაკობდა, მღეროდა; ან უკეთ, ღიღინებდა:

რატომ არ მოველ გვიმრალა?



## ქალბატონი ლაროკი და ზრანვილის ალყა

ქალბატონი ლაროკი თავის ქალ ტერეზასთან და თუთიყუშმ ნავარენტან ერთად ჩვენს სახლში იდგა. მათი ბინა ეზოს სიღრმეში იყო. ჩემი ოთახიდან და ხშირად ჩემი საწოლიდანაც კი მშვენიერად მოჩანდა მისი ჯანმრთელი, ნაზამთრალი ვაშლივით დამქანარი სახე, ფანჯარაში ბალახვარდას, დედოფლის ყვავილებსა და თუთიყუშის გალიას შორის გამომზირალი. სწორედ ისე, როგორც ძველი ფლამანდელი ოსტატები ხატავდნენ სათნო დიასახლისებს ქვისა და ყვავილების სიოში. ყოველ შაბათს, ნასადილევს, ასე, ექვსი საათისათვის, დედა თავის კაპოტს იხურავდა, ეზო რომ გადაეჭრა, მეც ხელს ჩამავლებდა და ქალბატონ ლაროკთან მივდიოდით სტუმრად. დედას ჩანთით ხელსაქმეც მოჰქონდა, რომ ეკერა და ექარგა მეზობლის ქალებთან ერთად. სხვა ქალებიც ასე იქცეოდნენ. ძველი რეჟიმის დროს ყველას ასეთი ჩვევა ჰქონდა; ბურჟუაზიული ჩვევა როდი იყო, არც წვრილი ხალხის მოგონილი, როგორც დღეს შეიძლება იფიქროს კაცმა; ლუი XVI-ის დროს ყველაზე უფრო არისტოკრატიულ წრეებშიაც არ თაკილობდნენ ამ საქმეს და ეს წრეებიც დიდი სიმკაცრით და ამპარტავნობით არ გამოირჩეოდა. ლუი XVI-ის მეფობისას უმაღლესი წოდების ქალებიც ხელსაქმობდნენ ერთად. ქალბატონი ვიჟე-ლებრენი\* გვიამბობს თავის მემუარებში, რომ ემიგრაციის დროს, როცა გრაფ თუნის მეუღლეს ეწვეოდა ხოლმე სტუმრად, თვითონაც იმ მაგიდას მიუჯდებოდა, რომელსაც პრინცესები და სეფექალები უსხდნენ და მათთან ერთად ქარგავდა. ამას იშიტომ კი არ გეუბნებით, რომ იფიქროთ, თითქოს მე და ჩემი საყვარელი დედიკო შაბათობით პრინცესებთან დავდიოდით სტუმრად.

ქალბატონი ლაროკი ერთი უბრალო ქალი იყო, მაგრამ შრომას, მოთმინებასა და სიყვარულს გაეკეთილშობილებინა. ჭირიც ბევრი ჰქონდა ნანახი და ლხინიც. ცხოვრებას გამოებრძმებდა მისი ხასიათი. თითქმის მთელ საუკუნეს მოსწრებოდა; ორთავ რეჟიმის დროს ეცხოვრა, ძველისა და ახლის,

მის და მისი მსგავსი ქალების გულსა და გონებაში ერთმანეთს რომ შერწყმოდა, ქალებისა, რომლებიც დავიდის საბინელ დიაცთა დარად მებრძოლთა გაშველებას ცდილობდნენ.

ნორმანდიის მდიდარი და ლამაზი გლეხის ქალს მარი როლინს უკვე გათხოვების დრო მოსვლოდა, რთცა ვანდის ომი ატყდა. მარის მშობლები „ლურჯები“ იყვნენ. როცა მე გავიცახი, უკვე ოთხშობს იყო გადაცილებული, სავარძელში მჭდარი წინდასა ქსოვდა და თან თავისი ხალგაზრდობის ამბებს ყვებოდა. ოღონდ ყურს კი აღარაეინ უგდებდა, რადგან ყოველდღე ერთსა და იმავეს იმეორებდა; ყოველდღე რაა, ხშირად დღეში რამდენიმეჯერაც წამოიწყებდა ხოლმე. სხვათა შორის, ერთი დამსხრიკული საქმროს ამბავსაც გვიამბობდა, სამხედრო სამსახურისათვის უვარგისად რომ ჩათვალეს საყოველთაო გაწვევის დროს და მარი როლინმაც უარით გაისტუმრა, რაკი რესპუბლიკამ არ ისურვა მისი სამსახური. ამ ამბავს ერთ ლამაზ სიმღერასაც მოაყოლებდა:

ცხოვრობდა ერთი ცეროდენა,  
სახელად — გილერ.  
ტი რი რი...

ამბავი, რომელსაც ყველაზე მეტი ხალისით ყვებოდა და ხეც ყველაზე მეტი სიამოვნებით ვუსმენდი, გრანვილის ალყის ამბავი იყო.

IV წელს\* მარი როლინი რესპუბლიკის ჯარისკაცს ეყენ ლაროკს გაჰყვა ცოლად. ამ ლაროკმა იმპერიის დროს კაპიტნის ჩინი მოიპოვა; ესპანეთშიც წავიდა საომრად, მაგრამ იქ ხულიანო სანჩესის\* მეომრებმა იგდეს ხელთ და სიცოცხლეს გამოასალმეს. ქვრივს ორი ქალი დარჩა და ცხოვრების სახსარი რომ ეშოვნა, პარიზში პატარა საგალანტერიო მაღაზია გახსნა. მისი უფროსი ქალი მონაზვნად აღიკვეცა და სერსიში სენ-სანის დათა წინამძღვარი გახდა; მას დედა სერაფინს ეძახდნენ. მეორემ მკერაობით პატარა ქონება დაიგროვა. როცა მე გავიცანი, ორთავე უკვე მოხუცი იყო. დედა სერაფინი, რომელსაც იშვიათად ვხედავდი, თავისი კეთილშობილური უბრალოებით მოწიწების გრძნობას ჩამაგონებდა და მისი დიდნი რიდიცა მქონდა; მისი დის, მადმუაზელ ტერეზასი კი

ყველაზე უფრო მშვიდი, მხიარული ხასიათი მომწონდა და კიდევ ის, რომ საუცხოოდ ამზადებდა წიკიბიკოებს (ასე ვეძახდით კარაძელს, რომელსაც პაწია ქალაღის კოლოფით ძიართმევედნენ ხოლმე სტუმრებს). მეგონა, ამეების გაკეთებას დიდი ხელოვნება უნდოდა. მადმუაზელ ტერეზამ დაკვრაც ჩინებული იყოღა.

ღარწმუნებული ვიყავით, რომ ლაროკებთან მადმუაზელ ეიულის ვნახავდით, რომელსაც სულეღისა სჯეროღა. მე მასთან მეგობრობას ვცდიღობღი, თუმცა დიდი კერპი და კაპასი ვინმე იყო. მაგრამ სულეღის, სასწაულეღისა და საშინელი, უტყუარი წინასწარმეტყველეღების ამბებს გვიყვებოღა. მეც ხუთი წლიდანვე ვცდიღობღი ჩემს გულში ყოველივე ეშმაკეიუსიადმი რწმენა გამემაგრებინა.

ვაგღახმე! ლაროკეღისას ბაღახებში მიმალული ასპიტიც მხედებოღა. ეს მადმუაზელ აღფონსინა დიუზიუელი იყო, ოღესღაც ბარძაყებს რომ მიჩხვლეტღა ქინძისთავით და თან, შენი ჭირიმეო, დამძახოღა. დედისთვის ხშირად შემეჩივლია, აღფონსინა მაწამებს-მეთქი, მაგრამ იმდენს არაფერს მიშავებღა, რამდენსაც მაშინებღა, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, არც მაშინებღა და არც არას მომერჩოღა. ის კი არა და, ჩემს არსებობასაც ვერ ამჩნევღა; აღფონსინა უკვე დიდი გოგო იყო. გულუბრყვიღობაც აღარ ეთქმოღა და თავის მუხანათობას ჩემისთანა პატარა ბიჭზე აღარ ხარჯავღა. კარგად ვხეღავღი, რომ ახღა მიზანში მადმუაზელ ტერეზას ბიძაშვიღის შვიღი ფულყანს როღინი ჰყავღა ამოღებული, რომელიც ვიოღინოზე უკრავღა და კონსერვატორიაში შესასვლეღად ეშზადებოღა; და თუმცა ეჭვიანი არ მეთქმოღა და აღფონსინაც უშნო და ჭორფლიანი იყო, მერჩია, ისევე ჩემთვის დაეჩხვლიტა ბარძაყები. არა, როღი ვეჭვიანობღი, და რომც მეეჭვიანა, განა აღფონსინას რჩეულზე ეჭვიანობა იქნებოღა? მაგრამ ეგოისტი ვიყავ, მზრუნვეღობასა და ყურადღებას დახარბებული და მიწდოღა მთელ სამყაროს ჩემთვის, ჩემს სატანჯეღად მაინც მოეცაღა. ხუთი წლისა ჯერ კიდევ მოკლებული არ გახღდით აღამიანურ სისუსტეს.

როცა ქაღები და ქაღიშვიღები მუშაობით დაიღლებოღდნენ, თავიანთ ხელსაქმეს გაღადებღნენ და „ბატონობას“.

ანდა ლოტოს თამაშს იწყებდნენ. ლოტო შე არ მომწონდა. იმას როდი ვამბობ, უკვე ვხვდებოდი, მოსაწყენი და უაზრო თამაში იყო-მეთქი. მაგრამ ეს კია, ჩემს ყმაწვილურ გონებას არ აქაყოფილებდა ეს ცარიელი ციფრები. ლოტო ჩემს წარმოსახვას არაფერს ეუბნებოდა. ეტყობა, ჩემი პარტნიორებიც ერთობ განყენებულად მიიჩნევდნენ, რაკი სულ იმის ცდაში იყვნენ, სასაცილო გამონაგონებით როგორმე გამოეცოცხლებინათ თამაში. ოღონდ, რასაც ამბობდნენ, თავიანთი გონებიდან კი არ ჰქონდათ ამოწურული, მამა-პაპათაგან ჰქონდათ ნაანდერძევი. არაბულ ციფრებს ხან რას ადარებდნენ და ხან რას. 7 თოხი იყო, 8 — გოგრა, 11 — ორი ფეხი, 22 — ორი ვარია, 33 — ორი კუზიანი. ზოგჯერ რიცხვს პოეტურ სამკაულსაც უმატებდნენ. ზოგი მათგანი ისეთი ძველი იყო, რომ მარტო ქალბატონმა ლაროკმაღა იცოდა, მაგალითად, 1 — გფარავდეთ ღმერთი, 2 — ტოლი და სწორი. ეკვი არ უნდა, ეს სამკაულები ცოტათი მაინც აკლებდა ლოტოს მის სიმშრალეს, მაგრამ ჩემთვის რომ გეკითხათ, მაინც ძალზე განყენებული რჩებოდა. ბერძნებისაგან ნასესხებ „ბატობანას“ კი, პირიქით, პირდაპირ აღტაცებაში მოვყავდი. „ბატობანაში“ ყველაფერი ცოცხლობს, ყველაფერი მეტყველებს; ეს თვით ბუხება და ბეღია; ყველაფერი საუცხოოა და ყველაფერი ხამდვილი, ყველაფერი მოწესრიგებული და ყველაფერი მოულოდნელი. ყოველი ცხრა უჯრის შემდეგ ჩარიგებული გულთმისანი ბატები ისე წარმომიდგებოდნენ, როგორც ღვთაებანი და რაკი იმხანად ცხოველების გაღმერთება მიჩვეოდა, დიდ-დიდი თეთრი ფრინველებიც შიშსა და კრძალვას იწვევდნენ ჩემში. ამ თამაშში ისინი იღუმალ ძალას წარმოადგენდნენ, სხვა ყველაფერი კი მოთამაშეთა მოხერხებაზე იყო დამოკიდებული. ფუნდუკში ჩარჩენილს შემწვარ-მოხრაკულის სუნი სცემდა; ჭაში ვვარდებოდი, რომლის მახლობლადაც ბედად თუ ჩემდა სავალალოდ ლამაზი წითელკაბიანი და თეთრწინ-საფრიანი გლეხის გოგო იდგა კალათით ხელში; გზა მეზნეოდა ლაბირინთში და რაკი კრეტული ხელოვნებისა არაფერი გამეგებოდა, სულაც არ მიკვირდა, გზადაგზა ჩინურ ფანჩატურებს რომ ვაწყდებოდი; მერე ხიდიდან მდინარეში ვვარდებოდი, ციხეში მსვამდნენ, სიკვდილს ვუსხლტებოდი ხელიდან და

ბოლოს მივალწევდი ჭალას, ციური ბატი რომ დარაჯობდა, ყოველი სიკეთის მომნიჭებელი.

მაგრამ, სინდბად მეზღვაურისა არ იყოს, ზოგჯერ მეც მოძებნრდებოდა ამდენი ფათერაკები და ბედს აღარა ვცდი-  
დი; ჭაში აღარ ვვარდებოდი, არც ბეწვის ხილზე გავდიოდი, არც ლაბირინთში დავეხეტებოდი და არც ციხეში ვხვდებოდი. მივჯდებოდი ჩემთვის პატარა წითელ ტაბურეტზე ქალბატონ ლაროკის ფერხთით, მაგიდისა და ლამპისაგან მოშორებით და გრანვილის ალყის ამბავს ვაამბობინებდი.

ქალბატონი ლაროკიც მიყვებოდა ამბავს, რომელსაც სიტყვასიტყვით გადმოგცემთ; თან წინდასა ქსოვდა გამალებით.

— ფუჟერიდან რომ წამოვიდა, ყაჩაღთა მეთაურ ბატონ დე ლა როშეაკლენს რანზე სურდა გაელაშქრა, მაგრამ გლახეზბად გადაცმულმა ემიგრანტებმა ინგლისიდან მოუტანეს წერილები და ოქრო-ვერცხლი გულგამოცლილი ჯოხებით. ბატონმა ანრიმ, როგორც მისიანები ეძახდნენ ხოლმე, მაშინვე გრანვილისაკენ წასვლა ბრძანა. ინგლისელები ჰპირდებოდნენ, საომარ გემებს გამოეგზავნით, ისინი ზღვიდან შეუტევენ ქალაქს, როცა თქვენ ხმელეთიდან შემოეწყობითო. მაგრამ ინგლისელთა დაპირებებს მაინცდამაინც არ უნდა ენდოს კაცი. ეს მოგვიანებით შევიტყვე ერთი ბრეზუირელი გლახისაგან. ახლა კი იმას გეტყვი, რაც გავიგონე საკუთარი ყურითა და საკუთარი თვალით ვნახე. ათასობით ყაჩაღი მოაწყდა გრანვილს, ისე მოახლოვდნენ, რომ სასეირნოდანაც კარგად მოჩანდა, ჭიანჭველებივით როგორ დახოხავდნენ ქვიშიან ნაპირზე. გენერალმა, რომელიც ქალაქის გარნიზონს მეთაურობდა, ლა მანშის მოხალისეები და პარიზელი მეზარბაზნეები მიუ-  
სია, მკლავზე ფრიგიული ქუდი და წარწერა: „თავისუფლება ან სიკვდილი“ რომ ჰქონდათ ამოსვირინგებული. მაგრამ ყაჩაღთა რიცხვი მაინც მატულობდა; სადამდისაც კი თვალი გასწვდებოდა, ყველგან დათარეშობდნენ და ბატონი ანრიც, შესახედავად ქალწულს რომ ჰგავდა, ვაჟკაცურად ხელმძღვანელობდა თავის რაზმს. ახლა კი დარწმუნდა გენერალი, მეტიხმეტად ბევრნი არიანო. სახელად პიერი ერქვა, მასზე კარგსაც ბევრს ამბობდნენ და ავსაც, როგორც საერთოდ ყველაზე, ვინც იმხანად ქალაქის სვე-ბედს განაგებდა; მაგრამ

პატიოსანი კაცი იყო, ჭკუა მისდევდა და ძალიც. რა ნახა, ყაჩაღებს თვლა არა აქვთო, შეტევის ნალარა დაჰკრა და მსწრაფლ უკუიქცა.

იმ დღეს დედაჩემი უქეიფოდ იყო და ლოგინში იწვა, ამიტომ მე წავიღე თემში ჩვენი ძველი თეთრეული, რომლის ჩაბარებაც გვქონდა ნაბრძანები. ზარბაზანი ქუხდა, სქელი კვაძლი ეფინა გარეუბნებს. კაცები ყვიროდნენ: „ღალატია ღალატი! მტერი მოდის, თავს უშველეთო!“ ქალები ისე კიოდხენ, რომ მკვდარსაც კი გააღვიძებდნენ. მაშინ მოქალაქე დემეზოხმა ამოირბინა გზაზე თავის ბუმბულებიანი ქუდითა და სამფეროვანი სამხარილლიეთი და დავინახე, ჩემგან ორი ფეხის ნაბიჯზე მთვრალივით როგორ დაბარბაცდა, გულზე ხელი როგორ მიიდო და მოცელილივით როგორ დაეცა მიწაზე. ტყვია შიგ გულში მოხვედროდა და თუმცა ამან თავზარი დაძცა, ვიფიქრე, სიკვდილი წამის საქმე ყოფილა-მეთქი; მაგრამ მაშინ არავინ დაგიდევდათ ამას. მერე ისიცა ვნახე, ორი ქალი როგორ დაეცა გულგანგმირული. კედელ-კედელ მივიპარებოდი შინისაკენ. კარებთან პარიზელი მეზარბაზნე დამხვდა; შეშის სათხოვნელად მოსულიყო, ბომბები უნდა გავახუროთო. ცხელაო, მითხრა ხუმრობით, რადგან ქარი ძლიერ უბერავდა და უკვე სუსხიც იგრძნობოდა.

ვუთხარი: მოდით, შეშას გაგატანთ-მეთქი. მაგრამ უეცრად შაპედელენის გოგომ მოიბრინა და დამიყვია: „მარი, შეშას ნუ მისცემ. განა გარეუბნები ისედაც ცეცხლის ალში არაა გახვეული? განა ცოტა ქრისტიანი დახრუკეს ღორებივით? დამწვრის სუნი აქამდეც აღწევს! შეშის მიცემას თუ არ დაიშლი, საკადრისადაც დაისჯები. როცა ვანდეელები მოვლენ, მოგკლავენ“. ასე შიში და გამორჩენის წყურვილი ალაპარაკებდა, რადგან ზოგიერთი მდიდარი ფულსაც კი იხდიდა, ყაჩაღები ქალაქში რომ შემოეშვათ. მე ვუთხარი: „მატილდა, იცოდე, იმ ვაჟბატონებმა ქალაქში თუ შემოდგეს ფეხი, ათისთავს აღადგენენ და ინგლისელებს დაგვახვევენ. თუ გსურს, ძველებურად მონობაში ჩავარდე და ინგლისელად იქცე, შენი ხებაა; მე კი მინდა თავისუფალი ვიყო და ფრანგად დავრჩე. გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ მაშინ პარიზელმა კოცნა მომიწოდოდა. მე სილა ვუთავაზე... უცებ ყვირილი გაისმა: „მოდიან!

უკვე კედლებზე მოაქვთ იერიში“ შემეშინდა, მაგრამ შეიშს ისევ ცნობისმოყვარეობამ სძლია, სასეირნოზე მივირბინე და დავინახე ვანდელები კედლებში ხიშტებს როგორ ურჭობდნენ, საფეხურებად რომ გამოეყენებინათ. მაგრამ ლურჯები ზევიდან ესროდნენ; საბრალო მოიერიშეებს ძირს ყრიდნენ და ისინიც ზევში ცვიოდნენ. ბოლოს, რა დაინახეს, ზღვა აბობოქრდაო და ინგლისელების მოსვლის იმედიც გადაუწყდათ, ყაჩაღებმა უკანმოუხედავად მოკურცხლეს. ქვიშიანი ნაპირი მკვდრებით იყო მოფენილი. ბევრ მათგანს მოკრუნჩხულ თითებში ისევ ეჭირა კრიალოსანი. შაპედელენის გოგო მუშტს უღერებდა მათ და გაჰყვიროდა, უარესის ღირსნი იყვნენო. ყველანი, ვისაც ქალაქის მათთვის გადაცემა უნდრდა, ახლა აგინებდნენ იძის შიშით, ვინმემ არ გაგვეცეს, რესპუბლიკის ლალატს რომ ვაპირებდითო.

ასე ამბობდა ქალბატონი ლაროკი და ეს ას ოცი წლის წინანდელი ამბავი მე მისი უშუალო მოწმისაგან მაქვს გაგონილი.

## X X

„აილუ ურჩხულავის კაბლთა ღრავნა ჩამასმის ყურში“  
(რონსარი)

მძიმე დროება დაგვიდგა. მამაჩემი შეფიქრიანებული ჩანდა, დედა — აღელვებული, მოხუცი მელანი ცრემლებად იღვრებოდა. სადილად ჩამოწოლილ გაყინულ მღუმარებას იშვიათად თუ არღვევდა მოკლე-მოკლე სიტყვები:

- გომბუმ დროზე მოიტანა ფული?
- არც კი გამოჩენილა.
- სასამართლოს აღმასრულებელი ნახე?
- რამპონმა მოგვეცა სესხი, მაგრამ, რომ იცოდე, რა სარგებელს ითხოვს!.. პირდაპირ სისხლსა გვწოვს.

მერე კვლავ ჩუმდებოდნენ. ყველა დაღვრემილი იყო. მე კი ისე მწყუროდა მხიარულება, როგორც მცენარეს მზის ხათელი და ამ მწყურებაში ვმკლევდებოდი.

საშინელი დროება დაგვიდგა. მამა, საქმეების გარიგება მკვეყნად ყველაზე ნაკლებ რომ ეხერხებოდა, ერთ საქმეში

ჩაება. რამ აიძულა? ბრმად ენდო მეგობარს, რომელმაც ამ საქმეში მონაწილეობის მიღება შესთავაზა, უარის თქმისა ზოერიდა, ქველი საქმის ჩადენა ისურვა თუ იფიქრა, ოჯახს შეძლებულად ვაცხოვრებ და შვილს მრავალმხრივ განათლებას მივცემო. რა ვიცი, იქნებ დაუდევრობითაც მოუვიდა, ისე, რომ თვითონაც არაფერი შეუმჩნევია. თავის მეგობარ გომბუსთან ერთად ამხანაგობა შექმნა. სენ ფირმენის წყლების ექსპლოატაცია ჰქონდათ განზრახული. ეს წყლები გამოჩეხილმა ფიზიკოსებმა და ექიმებმა შეამოწმეს და ერთხმად აღიარეს, ძალიან არგებს თირკმელებს, კუჭს და ღვიძლმტკივან ხალხსო.

ეს საქმე, რომელსაც დიდძალი მოგება უნდა მოეტანა, ერთბაშად ჩაფლავდა. ვერ გეტყვით, რა საზოგადოება ჩამოყალიბდა ამ მინერალური წყლების საექსპლუატაციოდ და მამაჩემს შიგ რა წილი ედო. ეს თემა ბალზაკს უფრო შეჰფერის, ვიდრე პიეროს. მეც ბევრს აღარ გავაგრძელებ და ამ საქმიდან მარტო იმას მოგითხრობთ, რისი დაჭერაც ჩემმა ბავშვებმა გონებამ შეძლო.

ადელესტან გომბუ, ზემო პირინეებში სან-ფირმენის წყაროების მფლობელი, დადამბლავებული კაცი იყო, რომელსაც, შეიძლება ითქვას, სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. უძრავი ქუთუთოები უფარავდა ამოღამებულ თვალებს; მიმტკნარი ტუჩებიდან ორად ორი თეთრი კბილიდა მოუჩანდა; სახე გახევებოდა და ამ მუმიის ბაგეთაგან ისეთი საუცხოო, წკრიალა ხმა ამოდიოდა, გეგონებოდათ, ვერცხლის ფლეიტაა, ძელოდიურ ბგერებს რომ გამოსცემსო. გამყოლად პატარა ბიჭი ჰყავდა. თავად ორ სახრჩობელაზე დაყრდნობილიყო (ასე ამბობდა ჩემი მოხუცი გადია) და ავბედითი და ყინულივით ცივი ჩანდა.

მელანი მის დანახვაზე ამოიხრებდა ხოლმე:

— აი, უბედურება შემოდის სახლში!

იქნებ იმიტომ, რომ მისი სახელი ვერ დაიმახსოვრა, უფრო კი იმიტომ, რომ ეს სახელი უბედურების მომასწავებლად შიაჩხდა, თავის დღეში არ ამბობდა მას და ხმადაბლა აცხადებდა: თვალებჩაცვივებული ბატონი გეახლათო.

ხშირად სასტუმრო ოთახში მარტო დავრჩენილვარ ამ



უსიცოცხლო სხეულთან, რომელიც შიშს მგვრიდა, მის შეხედვასაც ძლივს ვებდავდი. მაგრამ პირს გააღებდა თუ არა, სასწაული ხდებოდა. გომბუ მასწავლიდა, როგორ უნდოდა ხოშალდის აღჭურვა, ფრანის აშვება, ჰერონის შადრევნის\* შოწყობა და მის ოქროპირობას, აზრთა თანმიმდევრობას, გამოთქმათა სინატიფეს აღტაცებაში მოეყავდი, თუმცა მქვერ-შეტყველების ხელოვნების შეფასების უნარი ცოტად შემწევდა. ამ ჩინდაკარგულ, დადამბლავებულ კაცს დარწმუნების საოცარი ნიჭი გააჩნდა. წელან ვფიქრობდი, რომ მამაჩემი, ასეთი ჭკუაღამჯდარი და უანგარო კაცი რატომ შევიდა-მეთქი სენ-ფრანსის წყლების საზოგადოებაში. მიზეზი ადვილი საპოვნელია: გომბუს დაუგდო ყური და იმიტომ. გომბუს სიტყვა ჩემს მშობლებზედაც ისე სჭრიდა, როგორც ჩემზე. აი ამის მაგალითიც.

ეს მოხდა ერთ საღამოს, იმ მწუხარე ჟამის ყველაზე შავ-ბნელ საღამოს. ბატონი პოლენი — გულჩვილი კაცი, ბატონი ბურისი — იურისკონსულტი და ბატონ პოლენზე უფრო გულჩვილი კაცი, ბატონი ფელიპო — სასამართლოს აღმასრულებელი და ბატონ ბურისზე უფრო გულჩვილი კაცი, ბატონი რამპონი, მოკლევადიან სესხს რომ იძლეოდა და ბატონ ფელიპოზე უფრო გულჩვილი რომ იყო, კარზე მოგვადგნენ და თავზარი დასცეს მამაჩემის მფრთხალსა და წმიდა სულს. შამაჩემმა, ვინც ჩვენი გაკოტრების ერთადერთ დამნაშავედ ბატონ გომბუს თვლიდა, როცა მელანიმ მოახსენა, თვალბჩაცვივნილი კაცი მოვიდაო, მისი ნახვა ისურვა და სტუმარი წინკარში შიილო. მეც იქ ვიყავ დამალული სკამქვეშ, რომელიც ნიშნა ევქარიდეს\* მღვიმე მეგონა; თავი ტელემაქედ\* მყავდა წარმოდგენილი. სულგანაბული ვიჯექ და ვუსმენდი, დედაჩემი საყვედურებით როგორ ავსებდა დამბლადაცემულ გომბუს. გული მეტკინა, როცა უთხრა:

— თქვენ მოგვატყუეთ, ბატონო; უნამუსო კაცი ყოფილ-სართ.

გომბუ დიდხანს დუმდა; მერე უპასუხა აკანკალებული ხმით, მღელვარებას ჩვეულებრივზე უფრო მელოდიური რომ გაეხადა. მე არ მესმოდა, რას ამბობდა. დიდხანს კი ილაპარაკა. დედაჩემი ხმისამოუღებლად უსმენდა; ჩემი სამალავიდან

მის სახეს ვუთვალთვალვადი. სახე თანდათან დაუმშვიდდა. მზერა — მოუღბა. ჯადო-თილისმამ მასზედაც იმოქმედა მეორე დღეს, საუზმისას მამამ გაუწოდა ქალაღდი, რომელიც დღემდ ჩუმაღ წაიკითხა.

— ეს გომბუს ახალი უნამუსობაა, — აღმოხდა ძახილი.

მე დღესაც ბევრი არაფერი ვიცი სენ-ფირმენის წყლების საზოგადოებაზე, ჩემს დღეში არ დავინტერესებულვარ და არ წამიკითხავს ამ საქმის დოსიე — მამაჩემის სიკვდილის შემდეგ რომ დამრჩა და მერე ოჯახის მთელ საბუთებთან ერთად მომპარეს. მაგრამ ყველაფერი იმას მაფიქრებინებს, რომ დედაჩემი ტყუილად როღი თვლიდა გომბუს ძუნწ, ხარბ, გაუმაღლარ და უსინდისო კაცად და დღეს ძალიან შიკვირს, ამ სანახევროდ ბრმა, თითქმის მთლად დაღამბლავებულ, ბუნებისაგან მოკვეთილ კაცს, სხვებსაც და თავის თავსაც ზედმეტ ბარგად რომ გახდომოდა, კაცს, რომელსაც განძრევა არ შეეძლო და საკუთარი სხეული კუბოღ ქცეოდა, ამ ზომამდე რამ შეაყვარა ფული, რომ მისი გულისთვის ღალატსა და სისასტიკესაც კი სჩადიოდა? ან ამოდენა ფული საღ მიჰქონდა?

ზოგი რამ მაფიქრებს და კიდევაც ვეჭვობ, რომ ჩემმა მშობლებმა გამოუცდელობისა და თავიანთი ნამუსიანობის გამო ძალიან გააზვიადეს თავიანთი პასუხისმგებლობა სენ-ფირმენის წყლების საქმეში.

ისინი მსხვერპლად გაუხდნენ კანონის კაცებსა და საქმოსნებს. რამპონმა, კეთილმა რამპონმა, თავის მოვალეობად ჩათვალა ეშველა გამოჩენილი ექიმისა და კარგი მეოჯახე კაცისათვის და მთლად გაგვადრეს ტყავი. სიმართლე რომ ითქვას, დიღი არაფერი წაუღიათ, მაგრამ ჩვენ კი აღარაფერი შეგვერჩა. ის მცირეოდენი ძვირფასეულობა, დედაჩემს რაც გააჩნდა: ერთი ბეწო ოქრო, თითო-ოროღა ბრილიანტი და მარგალიტი რომ ესხა, ძველებური, მთლად მიჰყლებილ-მოჰყლებილი ვერცხლეული, საშაქრე, რომელსაც სახელურებაღ გედები ჰქონდა, ყავადანი, რომელზედაც პაპაჩემის — სატურნენ პარმანტიეს ინიციალები იყო ამოკვეთილი, ვეება ჩამჩა, ყველაფერი საწინდრად გავიღეთ და ყველაფერი კანონის ხალხს დარჩა.

ერთ დღეს, შინ რომ დაბრუნდა, მამაჩემმა თქვა:

— მორჩა, მიმერიც გაყიდულია.

მიმერი შარტრის მახლობლად მდებარე პატარა ფერმა იყო; დედის ერთადერთი ქონება, მამამისის დანატოვარი. პატარარბისას მიმერში მეც ვიყავი ნამყოფი და მხოლოდ თეთრი პეპელა მახსოვდა, ეკლიან შესერს რომ დაფარფატებდა, ქარის შემობერვით შერხეული ლერწმის ღეროების ტკაცუნი და ნემსიყლაპიების ფრთების ტკრციალი. თავზარდაცემული ტყის თავიცი მახსოვს, კედელ-კედელ რომ გარბოდა და პაწია მონაცრისფერო ყვავილიც — ძაღლის დრუნჩს რომ მოჰგავდა<sup>1</sup>. დედამ შემახელა და მითხრა:

— შეხე, პიერო, რა ლამაზია!

ჩემთვის ეს იყო მთელი მიმერი და უცნაურად, სასტიკად შეჩვევებოდა ამ ეკლის მესრის, ამ ლერწმების, მოლურჯომონაცრისფერო ყვავილების, ამ ტყის თავის, ამ პეპლისა და ნემსიყლაპიას გაყიდვა. ვერ მივმხვდარიყავ, როგორ უნდა გაყიდულიყო ეს ყველაფერი. მაგრამ მამაჩემი ამბობდა, გაყიდულიაო. და მერე კიდევ დიდხანს ვიმტკრევდი თავს ამ სამწუხარო საიდუმლოზე.

მიმერი, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი, რამპონს ჩაუვარდა ხელში, თუმცა სამარეში კი ვერ ჩაიტანა. ყველა ძველარი ღარიბია, გომბუცა და რამპონიც არ არიან გამონაკლისნი. რომ ვიცოდე, რომელ სასაფლაოზეა გომბუ დაკრძალული, მივიდოდი მის საფლავთან და ჩავძახებდი ბალახს, გულზე რომ მოსდებია: ახლა რა იქნა შენი განძი-მეთქი...

ასე გავიცანი სიყრმიდანვე უკვდავი მოდგმა: კანონის ხალხი და საქმოსნები. ყველაფერი იცვლება მათ ირგვლივ, ისინი კი მარად უცვლელნი რჩებიან. დღესაც ისეთები არიან, როგორც რამლესა ჰყავს დახატული\*; თავიანთი ნისკარტი, თავიანთი ბრწყალები შეინარჩუნეს; თავიანთი საშინელი, მაგიური წიგნებიც არ გადაუყრიათ.

ამ მძიმე დღეებიდან ხუთი წლის შემდეგ, როცა უფრო უშფოთველი ხანა დაგვიდგა, ჩვენმა მასწავლებელმა ბატონმა ტრიერმა ჰარპიების ამბის აღწერა დაგვაავალა „ენეიდადან“: მქ ჩემს ტოლებზე გამოცდილი ვიყავ და კარგად ვიცნობდი

1 უთუოდ გარეული სელი.

ამ ადამიანისთავიან გრიფებს, ღვთისმოშიში ენეასისა და მის თანამოინახეთა სუფრას რომ დააცხრნენ, ხორცი დაიტაცეს, კერძები წაბილწეს და იქაურობა აამყრალეს. ვიცოდი, რომ ისინი კინონის ხალხი და საქმოსნები, რამპონები და გომბუ-ები იყვნენ. ოღონდ ჰარპიების სკორეთი და ლეშით აქოთე-ბული გამოქვაბულიც კი სუფთად და მყუდროდ მოგეჩვენე-ბათ სასამართლოს აღმსრულებლის ბიუროსა და მწვანე საქა-დალდეებთან შედარებით.

ამ საძაგელი მჯღაბნელების სიძულვილის ბრალია, რომ თავის დღეში არ მქონია საქადალდეები და დავთრები და ქა-ლაღლებიც სულ მუდამ მეკარგებოდა ხოლმე, ჩემი უწყინარი ქაღალდები.

## X X I

### თ უ თ ი ა უ შ ი

ყავას რომ გვაწვდიდა, მოხუცმა მელანიმ გვითხრა, გრაფ შიშოს მეუღლეს თუთიყუში გაუფრინდაო. ამბობენ, ბატონ ბელაგეს სახლის სახურავზე აძვრაო. მე მაგიდიდან წამოვხტი და ფანჯარას ვეცი. ეზოში შვეიცარი და რამდენიმე მოსამსა-ხურე შეჩვეულნიყვნენ; მალა იცქირებოდნენ და ხელებს სახურავის ღარისკენ იშვერდნენ. ნათლიაჩემი ყავის ჭიქით ხელში მოვიდა ფანჯარასთან და მკითხა, აბა, სადაა თუთი-ყუშიო.

— აგე იქ, — ვუთხარი მე და ხელი იქით გავიშვირე, საი-თაც ეზოში შეჩვეული ხალხი იშვერდა.

მაგრამ ნათლიაჩემი ვერაფერს ხედავდა და მეც არაფრის ჩვენება არ შემეძლო, რადგან თვითონაც ვერაფერს ვხედავ-დი, და სახურავზე ზისო, მხოლოდ სხვების ხმას აყოლილი ვამბობდი.

— ქალბატონო ნოზიერ, თქვენ თუ ხედავთ თუთის? — ჰკითხა ნათლიაჩემმა.

— ვისა?

— თუთის, თუთიყუშს.

— თუთიყუშს?

— ჰო, თუთის, — იმეორებდა ნათლიაჩემი. მისი სიცილი ზარივით წკრიალებდა, მუცელს უთახთახებდა და ბრელოკებსაც, მწვანე ატლასის ეილეტზე რომ ება, ეღარუნი გაჰქონდათ. მისი მხიარულება მეც გადმომედო და თუძცა კარგად არც კი ვიცოდი, რას ვამბობდი, მეც შევძახე:

— თუთი, თუთი!

ჩემმა ტკბილმა დედიკომ მხოლოდ მაშინ გაიღიმა, როცა მამამ უთხრა, თუთიყუშს თუთსაც ეძახიანო.

— თუთივით მხიარულიო, რაბლე ამბობს.

რაბლეს სახელის გაგონება პირველი იყო ჩემთვის და ჩემივ სიბრიყვით, უმეტრებით, სიშტერით და სირეგვნიტ გულიანი ხარხარი ამივარდა; ეს როდი გახლდათ წინათგრძნობა, წინასწარჰკვრეტა, ინტუიცია ყოველივე იმისა, რაც ამ სახელს დაუძარხავს: უნატიფესი ოინზაზობა, მხიარული ჰუმორი და სიბრძხეზედ უბრძნესი სიშლეგე; მაგრამ რაც მართალია მართალია, ეს სიცილი საკადრისის მიზღვა იყო „გარგანტუას“ დიდებული ავტორისათვის. დედამ მანიშნა, გაჩუმიდო და იკითხა, საიდან აიღეს, რომ თუთიყუშები მხიარულები არიანო.

— ქალბატონო ნოზიერ, — მიუგო ნათლიაჩემმა, — ასეთი გამოთქმა არსებობს; ხალხსაც სარწმუნოდ მიაჩნია იგი და სიტყვების მნიშვნელობას აღარ დაეძებს. შეიძლება ვიფიქროთ, თუთიყუშს ის უხარია, მწვანედ რომაა მორთული. განა მისი ბუმბულის ფერს მხიარულს არ უწოდებენ?

დაახლოებით მაშინ, როცა ხუთი წლისა ვიყავი, ნავარენტან, ქალბატონ ლაროკის თუთიყუშთან დიდი მტრობა მქონდა და ეს ამბავი ჭერაც არ დამვიწყებოდა. ნავარენტან თითზე მიკბინა და მოწამვლა დაეუპირე. მერე შევერიგდით; მაგრამ თუთიყუშები აღარ მიყვარდა. მათი ზნე კარგად მქონდა შესწავლილი წიგნით „ერნესტინას საფრინველე“. ეს წიგნი საახალწლოდ მაჩუქეს. შიგ, სულ რამდენიმე გვერდზე ყველა ჭურის ჩიტი იყო აღწერილი. მინდოდა, საუბარში მეც გამომეჩინა თავი, ამ წიგნიდან ამოკრეფილი ცოდნა მოვიშველიე და ჩავურთე, ამერიკის ველურები თუთიყუშებს ჰამენ-მეთქი.

— მაგ ჩიტის ხორცი, — შემესიტყვა ნათლიაჩემი, — შავი და მაგარი უნდა იყოს. არასოდეს მსმენია, საჭმელად ვარგაო.

— როგორ, დანკენ, — უთხრა მამაჩემმა, — არ გახსოვთ.

რომ ეუანგილის პრინცესა\*, ახალი ჩამოყვანილი რომ იყო თავის პაპპასებიდან, გაცივდა, ქათმის ბულიონი არ მიიკარა და თუთიყუშის ბულიონი მოითხოვა?

მაჰაჩემმა, ივლისის მონარქიისადმი მტრულად რომ იყო გახწყობილი და ეს მტრობა 48 წლის რევოლუციის შემდეგაც არ განელებოდა, ეს სიტყვები ეშმაკურად წარმოთქვა და თან დედაჩემს გადახედა, იცოდა, გაძევებული პრინცესების ბედს გულს რომ უჩუყებდა.

— საწყალი პრინცესებო! — ამოიოხრა შან, — ძალიან ძვირად უჯდებათ თავიანთი პრინცესობა!

უეცრად სახურავის ღარზე თუთიყუშს მოვკარ თვალი და ისეთი ველური ყიჟინა დავეცე, რომ დედაჩემი ჯერ დაფრთხა, მერე კი დამტუქსა:

— აგე, აგე იქაჲ, დედი! — გავიძახოდი და ვბრაზობდი, რატომ ვერ ხედავენ-მეთქი.

— ვერ-ვერის\* ამბავი თუ გაგიგონიათ? — ჰკითხა ნათლი-  
ამ დედას.

დედაჩემმა ანიშნა, არაო.

— როგორ? ვერ-ვერის ამბავი არ წავიკითხავთ? — ძალიან ბევრი დაგიკარგავთ.

— კითხვისთვის ვეღარ იცლი, ბატონო დანკენ, როცა შენი შვილი ასე სწრაფად სცვეთს შარვლებს. ეგ ლექსია, არა?

— ლექსია და თანაც საუცხოო.

ოდესღაც, ნევერში, ვისიტანელ დებთან  
ცხოვრობდა ერთი თუთიყუში.

ლამაზი იყო, ბრწყინვალე, მარდი,  
დაუდგრომელი და პირდაპირი,  
ვით სიჭაბუკეს შეენოდა მისას.

მონაზვნებს გაგიყვებით უყვარდათ.

სამეფო კარის თუთიყუშთაგან გამორჩეული.  
ნასათუთევი...

გახლდათ და ღამღამობით:

წმინდა ნაწილთა ყუთზე ეძინა...

ვერ-ვერს ანგელოზივით ხმა ჰქონდა, მაკრამ...

აქ ნათლიაჩემი შეჩერდა.

— რა მაგრამ? — ვკითხე მე.

აქ მამაჩემმა გაიხუმრა მოსწრებულად, პიეროს ანგელოზით ხმა სულაც არა აქვსო.

— მაგრამ, — განაგრძო ნათლიაჩემმა, — ლუარაზე გაისეირნა მენავეებთან და მუშკეტერებთან ერთად და ცუდი მანერები შეითვისა.

— ხელავ, პიერო, — დაასვენა დედაჩემმა, — რა უბედურება მოჰყვება ცუდ წრეში ტრიალს.

— ნათლია, ეგ ვერ-ვერი მოკვდა? — ვკითხე მე.

ნათლიაჩემმაც, თითქოს სულთათანას ამბობსო, ისეთი მწუხარე კილოთი წარმოთქვა:

— დიახ, მოკვდა; ზომაზე მეტი ტკბილი ჭამა და იმიტომ. დე, მისი ბედი მაგალითად გაუხდეთ ცუდ ბავშვებს.

მერე მზით გაჩახჩახებულ ეზოს გახედა და მწუხარედ გაიღიმა:

— რა საუცხოო ამინდია! უკანასკნელი თბილი დღეები უფრო საყვარელია ხოლმე.

— ცის წყალობა გვეგონია, — მხარი აუბა დედაჩემმა, — ძალე აცივდება და მზეც აღარ გაგვინათებს. დღეს ბიძია დება შოვა ჩვენთან, სასადილოში რომ ღუმელი გვიდგას, მისი საკვამლე მილის შესაკეთებლად.

თქვა ესა და თავის ოთახში გავიდა.

მე ამ დღეს მომხდარი ამბის ყველა წერილმანი მკაფიოდ ჩამრჩა მეხსიერებაში.

დედა მალე გამობრუნდა დასაკეცი ქოლგით ხელში. თავზე ბაფთებიანი ქუდი ეხურა, მხრებზე თავისი აბრეშუმის წაბლისფერი მოსასხამი ჰქონდა მოსხმული.

დავინახე თუ არა მისი ფიჭრიანი სახე, მაშინვე მივხედი, ზამთრის ტანსაცმლის საყიდლად მიდიოდა და ახლა იმის თაბაუთში იყო, რა ვქნა, როგორ გავანაწილო, ბევრი რომ არ დამეხარჯოსო. ფულად ფული კი არ ენანებოდა, იცოდა, რომ მის ქმარს დიდძალი შრომის ფასად უჭდებოდა მისი შოვნა. თავთან თავი მომიტანა, რომელსაც ფარფლებიანი ქუდი ისე შექოტმანოდა, როგორც ხავერდი ძვირფასეულობის კოლოფს;

შუბლზე მაკოცა, დამიბარა, გაკვეთილები ისწავლეო; მელანის შეახსენა, ბატონ დებას ერთი ბოთლი ღვინო გაუხსენიო და გავიდა. მამაჩემი და ნათლიაჩემიც თითქმის მაშინვე მიჰყვნენ.

მართო რომ დავრჩი, გაკვეთილების სწავლას კი არ შევეუდექი, მეცადინეობას შეუჩვეველი ვიყავ, ინსტინქტისა და მძლავრი დემონის კარნახს დავუგდე ყური. შინაგანი ხმა ჩამძახოდა, სწავლა ნუ გინდა, სხვა უფრო ძნელი და საოცარი რამეები გაქვს გასაკეთებელიო.

იმ დღესაც მიბრძანა, ფანჯარას არ მოსცილდე და გაქცეულ თუთიყუშს უთვალთვალეო. მაგრამ ჩემი მზერა ამოდ დაეძებდა ლტოლვილს სახურავზე, საკვამლე მილებზე, სახურავის ღარებზე: თუთიყუში არსად ჩანდა. მოწყენილობისაგან შთქნარებაც კი ამივარდა; უცებ ჩემს უკან საშინელი ხმაური გაისმა. მსწრაფლ შემოვბრუნდი და ბატონი დება დავინახე, თავზე გობი შემოედგა, ხელში მისადგმელი კიბე, ტოლჩა, კაკვი, თოკი და რა ვიცი კიდევ, რა არ ექირა.

არ კი გეგონოთ, თითქოს ბატონი დება კალატოზი ან შედუმელე ყოფილიყოს. ბუკინისტი გახლდათ და თავისი წიგნების დახლი ვოლტერის სანაპიროზე ჰქონდა გამოდგმული. დედამ სიმონ ნანტუელი შეარქვა, იმ მოხეტიალე მეწვარილმანის სახელი, რომლის ამბავიც ერთხელ წამაკითხა დღეს ყველასაგან დავიწყებულ პატარა წიგნში. სიმონ ნანტუელი ბაზარ-ბაზარ დაიარებოდა ზურგზე მოკიდებული ფუთით და ხალხს ჭკუას არიგებდა. სულ ის იყო მართალი. მისმა ამბავმა თავი მომაბეზრა და მწუხარე მოგონებად შემომრჩა. მაგრამ ერთი დიდი ქეშმარიტება კი შევითვისე: მუდამ მართალი არ უნდა იყო ხოლმე. ბატონი დებაც, იმ სიმონ ნანტუელისა არ იყოს, დიდიდან სადამომდე ქადაგებდა და ყველაფერს აკეთებდა, წიგნების გაყიდვის მეტს. მეზობლებს სული მისით ედგათ, ყველას ემსახურებოდა, აწყობდა და არღვევდა ღუმლებს, აწებებდა დამტვრეულ ჭურჭელს, ტარს უმიჯრებდა დანებს, ზარებს აყენებდა, საკეტებს ზეთავდა, საათებს აწყობდა, ბარგი გადაჰქონდ-გადმოჰქონდა, დახრჩობას გადარჩენილებს უვლიდა, კარ-ფანჯარებში ჭუჭრუტანებს გმანავდა, სამიკიტნოში ჰადაგებდა მთავრობის კანდიდატთა სასარგებლოდ და კვირაობით „ღარიბთა შემწე დების“ მგალობელთა გუნდში მღერო-



და ხოლმე. დედა კეთილშობილ კაცად თელიდა, ამბობდა, თავისი ხასიათით თავის მდგომარეობაზე მალლა დგასო და დიდ პატივსაც სცემდა. მე კი, რა დასამალია და, გულსაც გაძიწვრილებდა გაუთავებელი ჩიჩინით — ზრდილი ყმაწვილი ასე და ასე უნდა იქცეოდესო, მაგრამ მართობდა უზომო ძგზნებარებით, ყოველ საქმეში რომ აქსოვდა. თუმცა ეს სასაცილოდ ჩემს მეტს არავის მიაჩნდა. მას რომ ვუცქერდი, მუდამ რალაც გასართობის მოლოდინში ვიყავ. ამჭერადაც იმედი არ გამცრუებია.

ჩვენი სასადილო ოთახის ღუმელი თეთრი ქაშანურისა იყო, მთლად დაბზარული და ბევრ ადგილას დახეთქილი. ოთახის კუთხეში რომ ნიში იყო, იქ გვედგა. ქაშანურისვე საკვამლე მილი ჰქონდა, რომელსაც წვეროსანი მამაკაცის თავი ამშვენებდა. ეს, ბატონი დიუბუჟანს იქმით, იუპიტერ ტროფონიუსის თავი გახლდათ და ამ დიდი ღმერთის წვერს ალტაცებაში ძოვყავდი. ბატონმა დებამ თეთრი ხალათი გადაიცვა, კიბეზე ავიდა და საყრდენს მოშორებული იუპიტერ ტროფონიუსის თავიც უკვე იატაკზე ეგდო. მილიდან ჰვარტლის ნიღვარი წაშოვიდა, დაშლილ-დამტვრეული ღუმლიდან ანადენი ცივი ნაცრის ღრუბელი ჰაერს აბნელებდა, ნამტვრევები ძთელ ოთახში ეფინა. წყვდიადი უფრო შენივთდა წვრილი მტვრისაგან, ჰერში რომ ავარდა, რათა მერე ძირს ნელა დაშვებულიყო და სქლად დასდებოდა ავეჯსა და ხალიჩებს. ბატონი დება კირს აზაებდა გობში, მაგრამ ეს გობი ისე იყო აპიპინებული, რომ იქიდან კირიც იყრებოდა და წყალიც იღვრებოდა. ეტყობა, სიამოვნებდა ასე მუშაობა — ღმერთივით, სამყარო წყვდიადიდან და ქაოსიდან რომ შექმნა. ამ დროს მოხუცი ძელანი შემოვიდა ჩანთით ხელში, იქაურობას სასოწარკვეთილი მზერა მოავლო, ერთი ღრმად ამოიოხრა და იკითხა, სადილი როგორღა მივართვა ბატონებსო. და რაკი სასიკეთო პასუხის მიღების იმედი არ ჰქონდა, ისევ სასყიდლებზე გაემართა.

ოთახში კვლავ ქაოსი მეფობდა; უცებ ეზოდან საშინელი ყვირილი შემოიჭრა. ბატონ ბელაგეს მეეტლე, ჩვენი სახლის შვეიცარი, მამილო ალექსანდრე, კომონების ძიძა და ახალგაზრდა აღფონსი ერთხმად გაჰკიოდნენ:

— იქაა, იქ! უცქირეთ!..

ახლა სახურავის თავბანდზე მეც გარკვევით დავინახე გრაფ მიწოს მეუღლის თუთიყუში. მწვანე იყო, ფრთებზე წითელი ზოლი გასდევდა. წამით გამოჩნდა და მაშინვე მიეფარა თვალთაგან.

ეზოში ცხარე კამათი გაჩაღდა, ზოგი ამბობდა, აქეთ გაფრინდაო, ზოგიც ამტკიცებდა, იქითო. ერთი ფიქრობდა, ბატონ ბელაგეს ბაღებისაკენ ქნა პირიო, ბრაზილიის ტყე თუ მოაგონა, საცა ბარტყობა გაატარაო. მეორეს დაეინა, სანაპიროსკენ გაფრინდა და სენაში თავის დახრჩობას აპირებსო. შვეიცარი გაიძახოდა, ჩემი თვალით ვნახე, სენ-ჟერმენ-დე-პრეს სამრეკლოს მიაშურაო. მაგრამ ეს ძველი ნაპოლეონელი ჭარისკაცი შოატყუა მისმა წარმოსახვამ, რომელსაც დღესაც ახსოვდა, როგორ აპობდა ზეცას ეროვნული ფერებით შემკული არწივი\*... გრაფ მიწოს მეუღლის თუთიყუში სამრეკლოდან სამრეკლოზე როდი გადადიოდა. ბატონ კომონის ნოქარი ამბობდა და მისი ნათქვამი უფრო სარწმუნო ჩანდა: შიმშილით დაოსებული ფრინველი იმ სახურავზე დაჯდა, რომლის ქვეშაც მისი თეთქია მიმაგრებულიო. სიმონ ნანტუელი ფანჯარაზე იდაყვებდაყრდნობილი იდგა და ჩაფიქრებული უსმენდა. მინდოდა, ჩემი განსწავლულობა მეჩვენებინა და ვუთხარი, ეგ თუთიყუში ვერ-ვერივით ლამაზი არ არის-მეთქი.

— ვერ-ვერს ვის ეძახი?

მთლად გაამაყებულმა აეუხსენი, ეს ნევერის ვიზიტანდლების თუთიყუში იყო, დმერთივით ლაპარაკობდა, მაგრამ ლუარაზე გაისეირნა მენავეებთან და მუშკეტერებთან ერთად და მათებური სიტყვა-პასუხი შეითვისა-მეთქი. ვთქვი ესა და მაშინვე მივხვდი, რომ არ ღირს უვიცებს შენი განსწავლულობა უჩვენო, რადგან სიმონ ნანტუელმა მკაცრად გადმომხვდა თავისი დიდრონი, ლამპის შუშებივით გამომეტყველი თვალებითა და მისაყვედურა, რა სისულელეებს როშავო.

ამასობაში მისი გონება დიდ საფიქრალს მისცემოდა-

იმ უთვალავ სამსახურს შორის, თავისი ნებით რომ უწევდა. მოყვასს, იქნებ ყველაზე მეტად სახალისო მისთვის გაფრინელი ჩიტების დაქერა იყო. ქალბატონ კომონისთვისაც არაერთხელ მიუგვრია ლტოლვილი შინაური იაღონი. გადაწყვი-

ტა, გრაფ მიშოს მეუღლის თუთიყუშის დაჭერა ღიახაც მმართვებსო და, აღარც უყოყმანია, მაშინვე საქმეს შეუდგა. თეთრი ხალათი სწრაფად გაიძრო, მწვანე რედინგოტი მოისხა, რომელიც ისე გამოყვითლებულიყო, რომ შემოდგომის ფოთოლს დამსგავსებოდა. თავისი განზრახვა მეც გამანდო, სასადილო ოთახის ქაოსი მიატოვა, რაკი დრო აღარ ითმენდა, კარში გავარდა და თან სამოქმედო გეგმას ადგენდა. მეც ავედევნე; ერთი ნახტომით გავიარეთ მანძილი ჩემთვის კარგად ნაცნობი სახლიდან, შვეიცარ მორენის სახლს რომ გვაშორებდა. გრაფ მიშოს მეუღლე სწორედ იქ იღვავ. თვალის დახამხამებაში ავირბინეთ კიბე, მესამე სართულის მოედანზე შევჩერდით და ფართოდ მოღიავებული კარით შევედით ბინაში, სადაც ყველაფერს სასოწარკვეთის ბეჭედი ესვა. სასადილო ოთახში ცარიელი ქანდარა ვნახეთ. მათილდამ, გრაფის მეუღლის მოახლემ დაწვრილებით გვიამბო ყველაფერი, რამაც გამოიწვია ჟაკოს გაქცევა. წინა დღით, საღამოს ხუთ საათზე მოკლებეწვიანი, უზარმაზარი ნაცრისფერი კატა, რომელიც დიდი ხანია შემჩნეული ჰყავდათ წუწკობაში, სასადილოში შემოიჭრა. მის დანახვაზე თავზარდაცემული ჟაკო კიბეს მიაწყდა და სამერცხულში გაძვრა. მათილდამ ორჯერ გვიამბო ეს ამბავი და რაკი მესამედაც აპირებდა მოყოლას, სასტუმრო ოთახში შევძვერი. აქ გენერალ მიშოს სურათს დავუწყე თვალიერება, ყველაზე დიდი იაქთალი რომ ეჭირა. გენერალი (როგორც უკვე გითხარით) სადღესასწაულოდ იყო მორთული, თეთრი შარვალი და გაკრიალებული ჩექმები ეცვა. ვაგრამის ბრძოლაში ღებულობდა მონაწილეობას. მის ფერხტით ერთი ყუმბარა, ჭურვის ნამსხვრევები და აკვამლებული ხელყუმბარა ეყარა; სურათის სიღრმეში ჯარისკაცები გადადიოდნენ შეტევაზე და სიშორის გამო ერთი ბეწოები მოჩანდნენ. გენერალს ფართო მკერდს საპატიო ლეგიონის ორდენის ლენტი და წმიდა ლუის ჯვარი უმშვენებდა\*. მაშინ არ გამკვირვებია, ვაგრამში სეზ-ლუის ჯვარი რად უკეთიაო მოგვიანებით. კი გამიკვირდა, როცა ეს სურათი ერთ ანტიკვართან ვნახე, მაგრამ ამიხსნეს: გენერალმა მიშომ, ბურბონებმაც წყალობით რომ აავსეს, 1816 წელს თავის სურათს ეს ჯვარიც მიუმატაო. სიმონ ნანტუელმა სურათს მომწყვიტა და დამარიგა, სხვის სასტუმრო

ოთახში მხოლოდ მაშინ შეიძლება შესვლა, როცა შეგიპატი-  
ებენ და ფეხებსაც გაიწმენდო. თუმცა დადხანს როდი მტუქ-  
სავდა, რადგან ყოველი წუთი ძვირად უღირდა.

— აბა, ჰე! გავსწიოთ! — მომიგდო და გრძელი თოკით  
ხელში კიბეზე აძვრა. ეტყობა, ამ თოკით აპირებდა ჰაერში  
გამოკიდებას. მეც უკან მივყევი, თან მისგან მონდობილი ჭიქა  
შიძქობდა. ჭიქაში ღვინოში დამბალი პური იყო, ყაყო რომ  
შოგვეზიდა. გული გამალებით მიცემდა იმის გაფიქრებაზე,  
თუ ამ ექსპედიციის ეამს რა ფათერაკები მელოდა. არკანზასის  
ტრაპერებს, ჩრდილო-ამერიკის მეკობრეებსა და სენ ღომინ-  
გოს კაპეჩებზე მონადირეებსაც კი თვით უფიცხელესი ომისა  
და უსაშინლესი ნადირობის დროსაც არ განუცდიათ მოახლო-  
ებული საფრთხის წინაშე ისეთი აღტყინება, როგორსაც მე  
ვგრძნობდი. კიბე ავირბინეთ, შემდეგ მისადგმელ კიბეზე  
ავცოცდით სამერცხულამდე; სიმონ ნანტუელი სარკმლი-  
დან გადავიდა, მე მის ფეხებსა და ვეება გავასლა ვხედავდი.  
სიმონ ნანტუელი ხან ალერსით ეძახდა ყაყოს, ხან თვით ყაყოს  
ბოხ, ჩახლეჩილ ხმას ჰბაძავდა, უთუოდ იმიტომ, რომ ფიქრობ-  
და, ჩიტი თავის ხმას უფრო ადვილად დაჰყვება, ვიდრე კაცის  
ძახილსო; ხანდახან სტვენდა კიდევ, ხან სირინოზივით იწყებ-  
და გალობას; თან დროდადრო წყვეტდა ამ შელოცვას, რომ  
ჩემთვის მოეცა ზრდილობისა და ეთიკის გაკვეთილები და  
ესწავლებინა, როგორ მომეხოცა ცხვირი საზოგადოებაში და  
რა მოვალეობანი მეკისრებოდა უფლის წინაშე.

დრო გადიოდა. მზე თანდათან გადაიწვერა და სახურავზე  
საკვამლე მილების ჩრდილებიც დაგრძელდნენ. იმედი ლამის  
უკვე გადაწურული მქონდა, როცა ყაყო გამოჩნდა. ბატონ  
კოძონის ნოქრის ვარაუდი გამართლდა. თავი მეც სამერცხ-  
ულში გავყავი და დავინახე თუთიყუში. ბაჯბაჯით მოდიოდა,  
მსხვილ ტანს მოარწევდა და ნელა მოიწევდა დამრეც სახუ-  
რავზე. ღმერთმანი, ის იყო! ჩვენკენ მოდიოდა. სიხარულისგან  
ავცახცახდი. სულ ახლოს მოსულიყო. სუნთქვა შევიკარ, სული  
გავნაბე. სიმონ ნანტუელმა ხმამალლა დაუძახა, აიღო ღვინოში  
ჩამბალი პური და მუჭით გაუწოდა. ყაყო შეჩერდა, ჩვენკენ  
გამოიხედა, უნდობლად შეგვათვალიერა და გაგვერიდა; მერე  
ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა. ჯერ ნელა მიფრინავდა,

მერე სისწრაფეს უმატა, მეზობელი სახლის სახურავს მიაღწია და თვალთაგან მიგვეფარა. ამ მარცხმა ერთიცა და მეორეც მწარედ დაგვალონა, მაგრამ ბედის უკუღმართობამ სიმონ ნანტუელს ფარ-ხმალი ვერ დააყრევინა; ხელი სახურავებისაკენ გაიშვირა და შესძახა:

— აბა, გავსწოთ!

ამ ენერგიულმა ქესტმა, მოკლე სიტყვამ მეც ფრთა შემასხა. მის ძველ რედინგოტს მოვებლაუჭე და რომ ისე გადმოგცეთ ყველაფერი, როგორც მეხსიერებაში აღმებეჭდა, მასთან ერთად ჰაერი გავაპე და ღრუბელთ საუფლოდან რომელიღაც გალავანს დავაფრინდით, რომლის შიგნითაც ჩუქურთმიანი ქვებით ნაგები შენობები აღმართულიყო; მერე უამრავი შიშველი, თავზარდამცემი გოლიათიც ენახე, მოქურუხებულ ზეცაში გამოკიდებული. ზოგიერთს ღონიერი მსრებით ეჭირა ცის თალი, ზოგიერთები კი ერთად შეეგუფულიყვნენ და სასოწარკვეთით ეშვებოდნენ ბნელი ნაპირისაკენ, სადაც მათ საზარელი ღემონები უცდიდნენ. ამ ჩვენებამ ღვთიური შიში ჩაძიდო გულში; თვალთ დაძიბნულდა, მუხლები მომეკვეთა. მე ეს ამბები ამგვარად იმიტომ ვიამბეთ, რომ ასე შეძრეს ჩემი გრძნობა-გონება და ასე აღიბეჭდნენ ჩემს მეხსიერებაში; აქ ნატყუარი არაფერია. და მაინც, თუ მკაცრი კრიტიკის საზომით მიუუდგებით, ვიტყვი, რომ იმ დღეს მე და სიმონ ნანტუელმა უთუოდ თავბრუდამხვევი სისწრაფით ჩამოვირბინეთ კიბე, სანაპიროს გავყევით, ბონაპარტის ქუჩაზე გავედით და ნატიფ ხელოვნებათა სკოლას მივალწიეთ, სადაც ღრიჭედ დატოვებულ კარში მიქელანჯელოს „განკითხვის დღის“ ასლი ენახე, სიგალონის მიერ დახატული. ეს მხოლოდ ვარაუდია, თუქცა სიმართლეს კი ჰგავს ძალიან. მაგრამ სჯობს, ამის მტკიცებას თავი ვანებოთ და ისევ ჩვენს თხრობას მივყვეთ. მხოლოდ წამით მოვკარ თვალი გოლიათებს და უკვე დიდ ეზოში ვიყავ სიმონ ნანტუელის გვერდით, რომელსაც გარს წოწოლაქუდიანი დარაჯები და გრძელთმიანი ყმაწვილკაცები ერტყნენ, თავზე რუბენსისებური, ფართოფარფლებიანი ქუდები რომ ეხურათ და ხელთ საქალაღდეები ეპყრათ. დარაჯები გაიძახოდნენ, გრაფ მიშოს მეუღლის თუთიყუში თვალითაც არ გვიანახავსო. ყმაწვილები კი სიცილით არიგებდნენ სიმონ ნანტუ-

ელს, როცა დაიპყრეთ, კულზე მარჩილი მოაყარეთ და კეთა მო-  
ფხანეთ, თუთიყუშები ამაზე გიყდებიანო.

მერე ყმაწვილები გამოგვეთხოვენ და გვეთხოვენ, გრაფ  
მიშოს მეუღლეს ჩვენი სალამი გადაეცითო.

— უზრდელები! — ჩაიჩურჩულა სიმონ ნანტუელმა და  
აღშფოთებული გამოვარდა გარეთ.

გრაფ მიშოს მეუღლისას რომ მივედით, სასადილო ოთახ-  
ში, იცით, ვინ ენახეთ?.. ქანდარაზე შესკუბებული თუთიყუში.  
ისე მშვიდად იჯდა შეჩვეულ ადგილას, თითქოს თავის დღეში  
არ დაძრულიყოს იქიდან. პარკეტზე მიმოხეული კანაფის თეს-  
ლი მოწმობდა, რომ ახლახან ესადილა. რომ მივუახლოვდით,  
პრგვალი თვალი ჩვენკენ მოაბრუნა, ამაყად გადმოგვხედა,  
შეიბრა, აიქოჩრა და ფართოდ დაალო ვეება ნისკარტი. მოხუც-  
მა ქალმა, უთუოდ გრაფ მიშოს მეუღლემ, უაკოს გვერდით  
რომ იჯდა, შავი, მაქმანებიანი ჩაჩი ეხურა და გამხდარ ლო-  
ყებზე თეთრი კულულები სცემდა, ჩვენს დანახვაზე პირი  
იბრუნა. მოახლემ სიტყვა არ გამოიმეტა ჩვენთვის. სიმონ  
ნანტუელი ქუდს ატრიალებდა ხელში, ცდილობდა გაეღიმა  
და ნირწამხდარი გაშტერებული იდგა. ბოლოს მათილდამ  
გვიამბო ისე, რომ ზედაც არ შემოუხედავს, უაკო თვითონ,  
თავისი ნებით შემოფრინდა მანსარდის სამერცხულში, სახუ-  
რაექვეშ გამართულ ოთახში, სადაც მე მძინავსო. ამ ოთახს  
კარგად იცნობს საყვარელი, რადგან ხშირად მხარზე შემის-  
გამს და იქ ისე წამიყვანიაო.

— უფრო ადრეც დაბრუნდებოდა, — დასძინა მწარედ, —  
თქვენ რომ არ დაგეფრთხოთ.

ადარ დაგვაკავეს და, როგორც სიმონ ნანტუელმა შემომ-  
ჩივლა კიბეზე გულისტივილით, ყელიც კი არ გავგასველ-  
ბინეს.

როცა შებინდებისას შინ დავბრუნდი, ჩვენები დაზაფრ-  
ულხი დამხდნენ. დედაჩემი საშინლად იყო აღელვებული;  
მოხუცი მელანი ცრემლებს ვერ იმაგრებდა, მამაჩემიც ძლივს  
ინარჩუნებდა სიმშვიდეს. ეგონათ, ბოშებმა ან ჯამბაზებმა თუ  
გაიტაცესო, ეტლის ქვეშ ჩავარდა, დუქნის წინ მდგარი ყალ-  
ბიანად ჩათვალეს და სხეებთან ერთად დააპატიმრეს, ან  
სულაც გზა დაებნა შორეულ ქუჩებშიო. სად არ ვუძებნივართ:

ქალბატონ კომონთან, დედა-შვილ ლაროკებთან, სურათების გაძყიდველ ქალბატონ ლეტორთან და თვით გეოგრაფ ბატონ კლეროსთან, რაკი იცოდნენ, რომ ხანდახან სურვილი მომივლიდა, მენახა გლობუსზე ჩვენი დედამიწის მოყვანილობა, დედამიწისა, რომელზედაც, მეგონა, დიდი ადგილი მიჭირავს-მეთქი. ზარი რომ დავრეკე, თურმე იმას ამბობდნენ, პრეფექტურაში წავიდეთ და ვთხოვოთ, ძებნას შეუდგენო. დედამ გულდასძით შემათვალისერა, გაოფლილ შუბლზე დამადოხელი, მერე აბურღულ და ობობას ქსელით დასვრილ თმებზე გადამისვა და მკითხა:

— სად იყავი, ასეთ დღეში რომ ჩაეარდნილხარ? თავზე ქუდი აღარ გხურავს, შარვალიც მუხლთან გამოგხევიდა.

მე ვუამბე ჩემი თავგადასავალი; ვუთხარი, როგორ გავყევი სიმონ ნანტუელს თუთიყუშის დასაქერად.

— ჩემს დღეში არ ვიფიქრებდი, რომ ბატონ დებას შეეძლო მთელი დღით წაეყვანა ბავშვი ისე, რომ ჩვენთვის ნებართვა არ ეთხოვა და სიტყვაც არ დაებარებინა, — შეჰყვირა დედამ.

— ეჰ, საამისო ზრდილობა ვინ მისცათ!.. — დასძინა თავის ქნევით მოხუცმა მელანიმ. კეთილი ქალი იყო, მაგრამ თავადაც ბეჩავი და უქონელი მეტისმეტ სიმკაცრეს იჩენდა მასავით დაბეჩავებულთა მიმართ.

სასტუმრო ოთახში ვისადილეთ, რადგან სასადილოში შესვლა არ შეიძლებოდა.

— პიერ, — მითხრა მამამ, როცა წვენი შეევზრიპე, — ასე დიდი ხნით რომ გადაიკარგე, როგორ არ იფიქრე, რომ დედა შეშინდებოდა?

სხვა საყვედურების მოსმენაც მომიხდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ჩემზე უფრო სიმონ ნანტუელზე ბრაზობდნენ.

დედა მეკითხებოდა, მაინც სად იარეთო და ეტყობოდა, ჭერ კიდევ აწუხებდა ის საფრთხე, მე რომ გამომეველო.

ვარწმუნებდი, არავითარი საფრთხე არ გამომივლია-მეთქი. ვცდილობდი, დამემშვიდებინა, მაგრამ თან ჩემი ღონე და გამბედაობაც მინდოდა მეჩვენებინა და თუმცა იმას ვუმეორებდი, საფათერაკო რამ თვალითაც არ მინახავს-მეთქი, ვუამბობდი, როგორ ავდიოდი ცაში აღმართულ კიბეებზე, კედ-

ლებზე, წვერწამახულ სახურავებზე როგორ ვცოცავდი და სახურავის ღარში როგორ ვძვრებოდი. რომ მისმენდა, ჯერ ძლივს შესამჩნევად აუქანკალდა ტუჩები, რაც მის მღელვარებას მოწმობდა. მერე თანდათან დამშვიდდა, თავი გადააქანგადმოაქანა და სიცილი დამაყარა. ეტყობა, გადავამლაშე. როცა ვყვებოდი, ცაში გამოკიდებული უამრავი შიშველი კაცი ვნახემეთქი, კმარაო, მითხრეს და ლოგინში მიკრეს თავი.

ამ თუთიყუშის ამბავზე დიდხანს ლაპარაკობდნენ ჩვენები და ჩვენი მეგობრები. ჩემი ტკბილი დედოცო ყველას უყვებოდა, უთუოდ დედობრივი სიამაყითაც, როგორ დავძვრებოდი სახურავის ღარებზე ბატონ დებასთან ერთად, როცხელსაც არაფრით შეუნდო დანაშაული. ნათლიაჩემი დაცინვით თუთიყუშებზე მონადირეს მეძახდა; თვით ბატონი დიუბუაც<sup>1</sup>, თუმცა მეტად სერიოზული კაცი იყო, ღიმილს ძლივს იკავებდა, როცა ამ უცნაურ ამბავს ისმენდა. ამბობდა, თავისი ძწვანე სამოსით, გეება თავით, ფართო მკერდით, მოკლე და სქელი კისრით, პატარა ტანით, უკმეხი იერით ქანდარაზე შემოძქდარი ამაზონური თუთიყუში „ნორტუმბერლენდის“ გეშბანზე მდგარ ნაპოლეონს მოგაგონებსო\*. ამის გაგონებაზე მარკ რიბერმა, თავიდან ფეხებამდე ხავერდში გამოწყობილმა გრძელმომიანმა რომანტიკოსმა, სულ რონსარის მიბაძვაში რომ იყო, წაიჩურჩულა:

ყვავილებით შეიმოსა მოლი,  
როგორც ჩვენი თუთიყუშის ფრთები,  
ოღაჲ ყვითელ, ცისფერ, ნაცრისფერი,  
ლურჯ-მწვანე და მწვანე, ალისფერი\*...

## X X I I

### აიძია ვიაციონტი

იმ დღეს ძალიან გაკვირვებული დავრჩი, როცა სასტუმრო ოთახში შევედი და დავინახე, რომ დედაჩემი ერთ მეტად დარბაისლური შესახედაობის მოხუცს ელაპარაკებოდა, რომე-

<sup>1</sup> ბატონ დიუბუაზე და ბატონ მარკ რიბერზე დაწვრილებით მოგონებათა შემდეგ წიგნში მოგახსენებთ, რომელიც ამის გაგრძელება იქნება.



ლსაც პირველად ვხედავდი. მის მოტველებილ კეფას, თეთრი თმების გვირგვინი რომ შემორჩენოდა, ვარდისფრად გაჰქონდა ღალანი. სახე ნათელი ჰქონდა, თვალები — ცისფერი, ბაგე — მომღიძარი. ახლად გაპარსული იყო, ორი პატარა ქილვაში უმშვენებდა პუტკუნა ლოყებს. რედინგოტის საღილეში იების კონა გაერქო.

— ესაა შენი ბიჭი, ანტუანეტ? — ჰკითხა დედას, როცა მე მომქრა თვალი, — გოგო გეგონება, ისეთი მორცხვი და ნაზია. ბევრი წვნიანი უნდა ასვათ, რომ კაცად იქცეს.

მერე მანიშნა, მომიახლოვდიო, მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

— ჩემო პატარავ, შენ იმ ასაკში ხარ, როცა ჰგონიათ, რომ ეს ცხოვრება მხოლოდ ღიმილსა და ალერსს გთავაზობს. მაგრამ ერთი დღეც იქნება და შენიშნავ, რომ ცხოვრება ხშირად მძიმეა და ზოგჯერ უსამართლობასა და სისასტიკესაც იჩენს. ღმერთსა ვთხოვ, ეს არც ისეთ სამძიმო ვითარებაში გამოგეცადოს. ოღონდ კარგად იცოდე და არასოდეს არ დაივიწყო, რომ სიმამაცითა და პატიოსნებით კაცი ყოველგვარ განსაცდელსა სძლევს.

მისი სახე გულწრფელობასა და სიკეთეს გამოხატავდა. ხმაც გულში ჩამწვდომი ჰქონდა. არ იქნებოდა, მის მონისლულ თვალებში ჩაგეხედათ და მღელვარება არ გეგრძნოთ.

— ბედმა საუცხოო მშობლები გარგუნა, შვილო. როცა დრო მოგივა, ისინი გიშველიან კარიერის არჩევაში, თუ, სხვა ყმაწვილებისა არ იყოს, თავად ვერ აირჩევ. არ გინდა ჯარისკაცი გახდე?

დედამ ჩემს მაგივრად მიუგო, არა მგონიაო.

— რატომ, მშვენიერი ხელობაა, — განაგრძო მოხუცმა, — ჯარისკაცს დღეს ლუკმა პური და საწოლი ენატრება, მათხოვარივით ჩალაზე წევს, ხვალ კი სასახლეში ვახშმობს, საცა უკეთილშობილესი ბანოვანები მის სამსახურს ერთიმეორეს ეცილებიან. მისი ბედის ჩარხი ხან წალმა ტრიალებს და ხან უკუღმა, ათასი ცხოვრებით ცხოვრობს. მაგრამ თუ ოდესმე პატივი გექნა ფორმა ატარო, გაიხსენე, შვილო, რომ ჯარისკაცის ვალია ქვრივ-ობლების დაცვა და დამარცხებული მტრის დანდობა. იცოდე ისიც, რომ აგერ მე, ახლა რომ გელაპარა-

კები, ნაპოლეონ დიდის ჯარისკაცი ვიყავ! ვაგლახ! აი, უკვე ოცდაათ წელზე მეტია, რაც ომის ღმერთმა ეს დედამიწა მიატოვა და მას შემდეგ არავის ძალუძს წინ გაუძღვეს ჩვენს არწივებს მსოფლიოს დასაპყრობად... ჯარისკაცი ნუ, ნუ გამოხვალ, შვილი..

მერე ნაზად მომიცილა თავიდან, დედაჩემს მიუბრუნდა და გაწყვეტილი საუბარი განაგრძო.

— დიახ, სულ უბრალო სახლია, მეტყევის ქოხის მსგავსი... ეს გადაწყვეტილი საქმეა და შენის შემწეობით, ჩემო ანტუანეტ, ალბათ შევძლებ განვახორციელო ჩემი სანუკვარი ოცნებანი. მშფოთვარე ცხოვრების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ამდენი ვაი-ვაგლახი გამოვიარე, როგორც იქნება, მოსვენებით ვიცხოვრებ. მე ისე ცოტა რამ მჭირდება!.. მე ხომ მუდამ ვნატობდი, უკანასკნელი დღეები ველ-მინდვრების სიმყუდროვეში გამეტარებინა.

თქვა ეს, წამოდგა, ელეგანტურად ეამბორა დედას ხელზე, ალერსით დამიკრა თავი და გავიდა. მტკიცე ნაბიჯით. მიდიოდა, იერიც კეთილშობილური ჰქონდა.

ძალიან გამიკვირდა, როცა შევითქვე, რომ ეს ალერსიანი მოხუცი ბიძია გიაციონტი იყო, რომელზედაც მუდამ შიშით ლაპარაკობდნენ ჩვენსას. ყველა მის გმობაში იყო, ყველა კიცხავდა; ამ კაცს ყველასათვის სილატაკე და სასოწარკვეთა შოქქონდა; მთელი ოჯახის რისხვა და შემარცხვენელი იყო. ჩემმა მშობლებმა სახლის კარი მიუკეტეს, მაგრამ ბიძია გიაციონტმა ათი წლის დუმილის შემდეგ გულის ამაჩუყებელი წერილით ამცხო დედაჩემს, მშობლიურ სოფელში მწადია დაბრუნება, თუ ცოტა სამგზავრო და ბინის საყიდელ ფულს მომცემთო. ირწმუნებოდა, იქ თავის გატანას ადვილად შევძლებ, ბიძაშვილის მეურნეობას გავუძღვები, ჩემი მწყალობელიაო. დედა გულუბრყვილო, ადვილად დასაყოლიებელი ქალი იყო, მამაჩემის რჩევას ყური აღარ ათხოვა და გადაწყვიტა, ბიძამისისათვის ამ ერთხელაც გაემართა ხელი.

მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგო, რომ ბიძია გიაციონტმა ის ფული ქეიფსა და დროსტარებაში გაფლანვა და ახლა მონაგარიშედ მუშაობდა. სენტ-ონორეს ქუჩელ კაცებით მოვაჭრესთან. კაცებით მოვაჭრეებს იმ ხალხს ეძახდნენ,

ვინც მდიდარ ყმაწვილკაცებისათვის, ჯარში წასვლა რომ არ უნდოდათ, შემცვლელებს პოულობდა და ამ საქმეში ფულს იღებდა. მათ ბუზებივით გარს ეხვეოდნენ, მაგრამ გულზე მაინცდამაინც არ ეხატებოდით და მათი მდივნებიც, დიდ პატივს გვცემენო, ვერ დაიტრაბახებდნენ. კაცებით მოვაქრენი უპირატესად სენტ-ონორეს ქუჩაზე, ერთ დიდ სახლში იდგნენ, რომელიც მამლის ქუჩის კუთხეშიაც გადიოდა; მისი კედლები საპატიო ლეგიონის ჯვრითა და სამფეროვანი ალმებით მორთული აბრებით იყო დაფარული. პირველ სართულზე ძველი სირძებისა და ეპოლეტების მაღაზია და ლუდხანა იყო, სადაც ჯარისკაცები დადიოდნენ. უპირატესად ისეთები, რომელთაც ჯარში წესისამებრ შვიდი წელი იმსახურენ და კვლავ მწყობრში სურდათ ჩადგომა. ფირნიშის ნაცვლად თუნუქი იყო გაკრული. ზედ ორი გრენადერი გამოეხატათ, მაგიდას შემოსხდომოდხენ ფანჩატურის ქვეშ; ორთავე ლუდის ბოთლს ხსნიდა; ამას ისე მოხერხებულად სჩადიოდნენ, რომ შუშხუნა სასმელი შადრევახივით ჩქეფდა, წრეს ხაზავდა და ამხანაგის კიქაში იღვრებოდა. ვშიშობ, რომ სწორედ აქ, ბინძური ფარდების უკან იჯდა ბიძია გიაცინტი და თავის ახალ მოვალეობას ასრულებდა, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, სათამაშოდ აქეზებდა და იმდენს ასმევდა ჯარიდან დაბრუნებულ სამხედროებს, სანამ დამყოლნი არ გახდებოდნენ და ხელახლა ჯარში წასვლის საზღაურად ცოტა ფულს არ დასჯერდებოდნენ. როცა სენტ-ონორეს ქუჩაზე მდგარ ამ სახლს ჩავუვლიდი, მხიარული ფირნიში დიდად მეხმარებოდა ზიზლით ზურგი არ მექცია ამ დუქნისათვის, ჩემს ოჯახს რომ არცხვენდა.

გიაცინტს დიდი სწავლა-განათლება არ მიუღია, მაგრამ კარგი მოანგარიშე იყო და წერაც ემარჯვებოდა, ანუ, როგორც ამბობდნენ, კარგი ხელი ჰქონდა; ერთი სიტყვით, კალიგრაფი იყო. ერთხელ თურმე ერთი ბეწო ასოებით გადაწერა ბონაპარტის მოწოდება იტალიის არმიისადმი და სტრიქონები ისე გაანაწილა, რომ პირველი კონსულის პორტრეტი გამოიყვანა. პირველად 1813 წელს გაიწვიეს და მომდევნო წელს უკვე უნტერ-ოფიცრის ჩინს მიადწია; ხშირად ტრაბახობდა, საფრანგეთის კამპანიის დროს\* ღამით, ბანაკში, კრაონის მახლობლად იმპერატორს ველაპარაკეო:

— შეფეო, — უთქვამს გიაცინტს, — სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ თქვენი დროშების ქვეშ დარაზმულნი, რადგან თქვენ სამშობლოსა და თავისუფლებას განასახიერებთ.

— გიაცინტ, თქვენ კარგად გამიგეთ, — მიუგო თურმე იმპერატორმა.

აქვე უნდა შოგახსენოთ, რომ ჩვენ ეს ამბავი გიაცინტისგანვე შევიტყვეთ, რომელმაც პირველ დღესვე სახელი მოიხვეჭა კრაონის ბრძოლაში. და რაკი საუკეთესო ქმედებათ ზოგჯერ სავალალო შედეგები მოჰყვება ხოლმე, გიაცინტმა, თვალის დახამხამებაში გმირად რომ იქცა, იფიქრა, ჩემი კაცური ვალი სამისდღემშიოდ მოვიხადეო; მას მოღმა იყო, რომ აღარ დაგიდევდათ კანონებს, ჩვეულებრივი მოკვდავი რომ მონებენ და სინდის-ნამუსზე მთლად აიღო ხელი. მთელი თავისი სათნოება ერთ დღეში გაფლანგა. არავინ უწყის, ვატერლო-ში თუ იყო და ეს ამბავი ბნელით მოცული დარჩება უკუნითი უკუნისამდე. სამიკიტნოში სიარულს დაეჩვია და ერჩია, თავისი გმირობის ამბავი მოეყოლა, ვიდრე ხელახლა გამოეჩინა ეს გმირობა. 1815 წელს ოცდაორი წელი შეუსრულდა და სამხედრო სამსახურიდანაც დაითხოვეს. ლამაზი ყმაწვილკაცი იყო, მკლავებგარი, ჯან-ღონით სავსე, მხიარული, ქალების ძუსუსი, მათი გულების დამპყრობი; დედაჩემის დეიდას — მდიდარ გლეხის ქალს გული შეუეწარდა მასზე; გიაცინტმაც შეირთო იგი და მისი ფულების განიავებას მიჰყო ხელი. ცოლს უდიერად ეპყრობოდა, ხშირად ლალატობდა, რამდენჯერმე მიატოვა კიდევ; მოკლედ, ბევრჯერ მისცა შემთხვევა, დაემტკიცებინა, გაგვიებით მიჰყვარხარ და საუკუნოდ შენი ერთგული ვარო. უზომო შეურაცხყოფას რომ მიაყენებდა, აქეთ შეუნდობდა და ქალსაც უფრო მოსიყვარულედ ეჩვენებოდა იგი, ვიდრე სულ ერთგული რომ ყოფილიყო. ქალი ხელმომჭირნე იყო და ძუნწიც, მაგრამ ქმრისთვის სულსაც კი არ იშურებდა. გიაცინტი იმხანად პარიზსა და პონტუაზს შორის მიმოდოდა ორთელიანი ინგლისური ეტლით; ნაცრისფერი, ფოლადის-აბზინდიანი ქუდი ეხურა, ზევით რომ ფართოვდებოდა; მწვანე, ოქროსლილებიანი რედინგოტი ეცვა, ხატაურ შარვალსა და ლაქის ჩექმებს ატარებდა. კარლ ვერნეს ყალმის ღირსი

იყო. კახებთან „მოდურ ხარში“ და „კანკალის კლდეში“ დაი-  
არებოდა, ღამეებს სამორიხეებში ატარებდა და რამდენიმე  
წელიწადში გამოუყვანა წირვა ცოლის ყანებს, ტყეებსა და  
წისქვილს. საბრალო მოყვარული ცოლი ცარიელზე რომ დას-  
ვა, მიატოვა. ერთ ყოფილ ფოსტის უფროსს აეკიდა, სახელად  
ჰუგესა და მასთან ერთად თაღლითური ცხოვრება დაიწყო.  
ეს ჰუგე ჩია, დაბალი, ფეხმრუდი, თმააჩეჩილი კაცი იყო. გია-  
ცინტი მას ხან თავის მსახურად აქეუვდა, ხან ამხანაგად გაიხ-  
დიდა და ხანაც უფროსად, როცა სარისკო საქმეს შეეჭიდე-  
ბოდნენ. ჰუგე დიდი გაქნილი ვინმე იყო, ყველას ატყუებდა,  
მაგრამ გიაცინტს კი მუდამ ერთგულობდა, მისთვის უსულგარძე-  
ლესი და უკეთილშობილესი მეგობარი შეიქნა. თვითონ რუა-  
ილისტი იყო, ცოტათი „ცეცხლის წამკადებელიც“\*, თავის  
მშობლიურ ავეირონში თეთრი ტერორის სულისჩამდგმელი,  
მაგრამ გიაცინტის ხათრით ბონაპარტისტი გახდა. გიაცინტი  
ზომ პროფესიით იყო ბონაპარტისტი და შესაფერის ტანსაც-  
მელსაც ატარებდა: მუდამ საგულდაგულოდ შეკრული რედინ-  
გოტი ეცვა, საღილეში იის კონა ჰქონდა გარკობილი, ხელში  
ჯოხი ეჭირა. განის ბულვარზე რამდენიმე ძველი თანამებრძო-  
ლით გარშემორტყმული დასეირნობდა და ჰუგეც ფინია ძაღ-  
ლივით უკან მისდევდა... გიაცინტი ბრაალადა სდებდა ინგლისს,  
ნაპოლეონი რად დაატყვევაო და სამიკიტნოდან გამოსული  
ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ პირშექცეული მუშტს უღერებდა  
ძუხთაღ ალბიონს. ხშირად იტყოდა ხოლმე, ნეტა ტახტზე იმ  
კაცის შვილი ავიდოდესო\*. თუ გზად მეფის ერთგულ ყმას  
გადაეყრებოდა, რომელსაც ვერცხლის შროშანი უმშევენებდა  
ბკერდს, აჯუჯღუნდებოდა: აი, ულისეს კიდევ ერთი თანამგზავ-  
რიო. თუ სადმე შეუმჩნევლად ძაღლს დაიჭერდა, კუღზე თეთრ  
კოკარდას აბამდა ხოლმე, მაგრამ შეთქმულებაში თავის დღეში  
არ გარეულა და დუელებსაც გაუბოდა. ბიძია გიაცინტი,  
ეტყობა, პანურჩივით\* უფროსოდა დარტყმებს. ჰუგე მის მაგივ-  
რად იჩენდა სიმამაცეს და სულ მუდამ მზად იყო, მუშტი-  
კრივში ჩაბძულიყო. რაკი იძულებული გახდა თავისი ჭკუის  
შემწეობით ეცხოვრა, გიაცინტმა წერისა და მედავთრეობის  
სწავლებას მოჰკიდა ხელი. ბინა მონმარტრის ქუჩაზე დაიდეს;  
ჰუგე იატაკებს რეცხდა და ძეხვს წვაედა, სანამ მოწაფეების

შოპლოდინე გიაცინტი ოსტატურად უთლიდა წვერს ბატის ფრთებს; რომ გათლიდა, მერე მარცხენა ხელის ცერის ფრჩხილზე იდებდა და დანის ერთი დარტყმით წვერს ორად უყოფდა. მაგრამ ამაოდ თლიდა ამ ბატის ფრთებს, შემოსასვლელში გაკრული აბრაც შრგვალი, დახრილი და გოთური შრიფტით ამაოდ იუწყებოდა დახელოვნებული კალიგრაფისა და დიპლომაინი მოანგარიშის სახელს. არც ერთი მოსწავლე არ გამოჩენილა. მერე იყო და, სიცოცხლის დამზღვევი საზოგადოების ზგენტი გახდა. საუცხოო გარეგნობამ და მჭევრმეტყველებამ ბევრი აბოხენტი აშოვნინა. მაგრამ ღვინომ და ქალებმა შთანთქეს მისი პირველი ხელფასი და ხელი შეუშალეს შემდგომ ფულის შოვნაში, თუმცა კი ჰუგე ძალიან ცდილობდა, მეგობარს შეშველებოდა; მის მაგივრად დადიოდა კლიენტებთან, მაგრამ ვერას გახდა: ელამი იყო, ენაბრგვილი, ღვინის სუნად ყარდა და ლაპარაკიც არ ემარჯვებოდა. ამ მარცხის შემდეგ ძეგობრებმა მონრუჟში ერთი მეყალიბის სახელოსნოში საფარიკაო დარბაზი გახსნეს. გიაცინტი მასწავლებლობდა, ჰუგე ვითომ თანაშემწე იყო. მაგრამ რაკი მისთვის განკუთვნილ საათებში ჩამომსხმელი მუშაობას არ სწყვეტდა, იატაკის ხვრელებში ჩამჯდარი თაბაშირი ფარიკაობისას ჰაერში ადიოდა და ბულში ხვევდა მოწინააღმდეგეთ. ის კი არა და, ნიღბებშიაც იტანდა, ცრემლს აღენდა მებრძოლთ და ცხვირს აცემინებინებდა. ამ ქველ საქმესაც ღვინომ და ქალებმა მოუღეს ბოლო. გიაცინტმა სხვაც ბევრი რამ სცადა, მაგრამ სახელდობრ რა, აღარავის ახსოვს. ბოლოს გადაწყვიტა ექიმ ჟიბეს რეცეპტით დამზადებულ „მთიელი ბერიკაცის ელექსირიდან“ მიეღო სარფა. ჰუგე ხდიდა ამ წყალს, გიაცინტს კი იგი ბაყლებთან და ძეაფთიაქეებთან დაჰქონდა. მაგრამ ეს საქმიანობა ხანმოკლე გამოდგა და კინალამ ცუდადაც დამთავრდა, რადგან მთავრობამ ექვი შეიტანა, ბატონ ჟიბეს ექიმის ტიტული მითვისებული აქვსო; ამბობდნენ, გამომხდელი ჰუგეც მთლად ვერ გადაურჩა და რამდენიმე თვეს ციხეში იყურყუტაო. გიაცინტმა სახელმწიფო სამსახურში შესვლა გადაწყვიტა და ჰალის ბაზარში იხსპექტორად მოეწყო. ლამამობით უწევდა მუშაობა, მაგრამ სამიკიტნოებში უფრო ხშირად ხელავდნენ, ვიდრე თავის პოსტზე და თუმცა მისი მეგობარი ჰუგე ძალიან ცდილობდა

მონხარებოდა, ბევრჯერ საყვედური გამოუცხადეს და საბოლოოდ დაითხოვეს კიდეც. ამ უჩვეულო სასჯელს პოლიტიკური სარჩული დაუდო, რაკი ნაპოლეონის ძველი ჯარისკაცი ვარ, იმიტომ მდევხიანო. ამ ყოფაში ჩავარდნილი რომ ნახეს, ლიბერალებმა დახმარების ხელი გაუწოდეს, დევნილს მწერლის ადგილი უშოვეს და ისიც თავმომწონედ იწერდა ბატონ ეტიენხის\* ლექსად დაწერილ სამმოქმედებთან კომედიას — „უპროცესო მოძჩივან-მოპასუხებებს“. ეს ეტიენი, გიაცინტის თქმით, იმით კი არ იყო ცნობილი, რომ თავისი ნიჭის წყალობით აკადემიაში მოხვდა, არამედ იმით, რომ იქიდან მეფემ გააძევებინა მისი თავი. ხომ ცნობილია, რომ ეტიენი 1816 წელს გადახალისებული აკადემიიდან გამორიცხეს. ამასობაში გიაცინტისგან წაქეზებულმა ჰუგემ ღვინით ვაჭრობა გააჩაღა, გადასახადის გადახდა კი არ ისურვა, რის გამოც 5 000-მდე ფრანკის სუფთა მოგება ხახა და ექვსი თვე საპატიმროში გაატარა. ეს ჩემი ყველაზე უფრო წამგებინანი საქმე როდი გამოდგაო, ამბობდა ჰუგე ცოტა ფიქრის შემდეგ. ეს ცინიზმი აღაშფოთებდა კრაონის გმირს, რომელიც სინდისიერებაზე დებდა თავს, სავოიელი ვიკარის შორალს ქადაგებდა, ზედ ღირსების გრძნობაც რომ ჰქონდა დართული... ღვინოს რომ მიუსხდებოდნენ, სულ კაცურ ვალსა და კანონის შეუვალობაზე ესაუბრებოდა. ეუზნებოდა, სწორი გზით უნდა იარო, თუ ფეხი გადაგიცდა, კვლავ უნდა დაუბრუნდე სწორ გზასო; უცოდველობა და მონანიება იყო ამ ძველი ჯარისკაცის დევიზი. ჰუგე უსმენდა, ალტაცებით შესცქეროდა და თავის ჭიქაში ღვრიდა ცრემლებს. რა დაინახა, მოხანიებით განიწმინდაო, გიაცინტმა მასთან ერთად დააარსა პარიზში ბროშურების გამავრცელებელი საზოგადოება, მაგრამ ეს წამოწყებაც ჩაუფლავდა. მე მგონი, სწორედ ამ საზოგადოების დამხობის შემდეგ იყო, დედაჩემს რომ მოაკითხა და კაცებით მოვაჭრეს მდივნად დაუდგა.

ყველა მის წამოწყებას ის სიკეთე გააჩნდა, რომ ხანგრძლივი არც ერთი არ ყოფილა. დიდხანს არც ადამიანებით ვაჭრობდა გრეხადერებიანი ფირნიშის ქვეშ. ვერ გეტყვით, მერე რა ხელობას მოჰკიდა ხელი. ჩვენ მხოლოდ უკანასკნელის ამბავი შევიტყვეთ. ძალიან რომ დაბერდა, გიაცინტმა რამბუტოს ქუჩის სამიკიტნოს უკანა ოთახში კანტორა გახსნა. აქ თეთრი

ღვინით სავსე ბოთლსა და ერთ პარკ შემწვარ წაბლს მოიდებ-  
და გვერდში და უბნის წვრილ ვაჭრებს ასწავლიდა გადასახა-  
დებისაგან როგორ დაეძვრინათ თავი, კანონს და სამართალს  
როგორ დასსლტომოდნენ ხელიდან. არ მითქვამს განა, რომ  
დავაქრობაში ბადალი არ ჰყავდა? ეს შტრიხი მის პორტრეტს  
დაასრულებს. გაქნილი იყო, მელაძეა, ხრიკიანობაში ტოლი  
არ ჰყავდა და თვით შიკანოსაც\* კი ჯიბეში ჩაისვამდა. გერბი-  
ანი ქალაღდის დანახვა უზომო ნეტარებას ჰგვრიდა. თავის  
ოთახში უბნის მოსამსახურე ქალებს წერილებსაც უწერდა.  
მის ჩია, კოჟლ მეგობარს ჰუგეს არ მიუტოვებია იგი. ორთავე  
ერთ ოთახში ცხოვრობდა, სამიკიტნოს უკან. ჰუგე რალაც სას-  
წაულით ახერხებდა მეგობრის ყალიონისათვის თამბაქოს  
შოვნას. მაგრამ ზამთრის ერთ ღამეს, ჩხუბის დროს, ვიღაც  
შაწანწალამ ბეჭებში ჩასცა დანა და საავადმყოფოში ამოჰყო  
თავი. ვიაციტი მივიდა მის სანახავად, ჰუგემ ერთი გაულიმა  
და სულიც დალია. ვიაციტიმა კვლავ საიჯარო ხელშეკრულე-  
ბების წერას მიჰყო ხელი; გაკოტრებულ მეღუქნეებს ადვოკა-  
ტის მაგივრობას უწევდა და შეყვარებული, უწიგნური დედა-  
კაცების მაგივრად წერილებს თხზავდა. მაგრამ ბოლო დროს  
ხელის კახკალი დასჩემდა, თვალეზი მოენისლა, თავი დაუძძიმ-  
და; საათობით იჯდა გაუნძრევლად, უაზროდ იცქირებოდა ან  
თვლემდა. ჰუგეს სიკვდილიდან ექვსი კვირის შემდეგ სისხლი  
ჩაექცა. საბოს ქუჩაზე წაიყვანეს, სადაც მისი საწყალი, ორ-  
შოცი წლის უხახავი ცოლი იდგა და ისევე უყვარდა, როგორც  
ქორწინების პირველ დღეს. ქმარს ზრუნვას არ აკლებდა.  
ვიაციტს შარცხეხა ხელი გაუშეშდა, ფეხიც გაუკავდა, ძლივს  
იხძრეოდა და ველარ ლაპარაკობდა. ყოველ დილით ცოლი  
აყენებდა საწოლიდან და ფანჯარასთან მიჰყავდა. აქ მზის  
ყურებაში ატარებდა ავადმყოფი მთელ დღეს. ცოლი ჩიბუხს  
უტეხიდა და თვალეზში შესციცინებდა. ექვსი თვის შემდეგ  
შეორედ დაეცა დაძბლა და ექვს დღესლა იცოცხლა. რაღაცის  
თქმა ეწადა, მაგრამ ვერაფერი გაუგეს, ამბობდნენ, სიკვდი-  
ლის ეამს თავის ერთგულ ჰუგეს უხმობდაო.

მაშაჩემი თავის დღეში არ ახსენებდა ბიძია ვიაციტის  
სახელს. დედაჩემიც გაურბოდა მასზე საუბარს; მაგრამ ეს  
ერთი ამბავი კი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, ბევრჯერ უამ-



ბნია: მისთვის რომ გეკითხათ, აქ კარგად მოჩანდა ამ ფუქსა-  
ვატი და მატყუარა კაცის ბუნება.

გიაციხტი 1830 წლის რევოლუციის დროს უკვე ორმოც  
წელს იყო გადაცილებული, მაგრამ ქალების დევნას მაინც არ  
იშლიდა. არეულობის დროს შინ მოუწია ჯდომამ და ძალიან  
მოსწყინდა. სამ სახელოვან დღეს\* ჰკუთთ იჯდა და ხალხის  
გამარჯვებას ნატრობდა. 30 ივლისს, როცა სამეფო ჯარები  
აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ, სროლა მიწყდა და ტიულ-  
რიზედაც სამფეროვანი დროშა აფრიალდა, გიაცინტმა კარში  
გამოყო ცხვირი და მხოლოდ მისთვის ცნობილ მიზეზთა გამო  
ბასტილიის მხარეს, სენტ-ანტუანის უბანში წასვლა გადაწყვი-  
ტა. თვითონ ვარსკვლავის ზღუდის მახლობლად ცხოვრობდა,  
იმხახად, სოფლური იერი რომ დაჰკრავდა და უკაცური იყო.  
თავისი წადილი რომ შეესრულებინა, თაკარა მზეში აყრილი  
ქუჩები და ოცდაათამდე გამაგრებული ბარიკადა უნდა გაეე-  
ლო, ან შორი გზიდან მოეარა და იმ უბნებში ეხეტიალა, სადაც  
შეიძლებოდა ხიფათს გადაჰყროდა. ამ უბედურებისათვის რომ  
შოევლო, გიაცინტმა საუცხოო ხერხს მიმართა. მეზობელ სამი-  
კიტნოში შევიდა, შუბლი კურდღლის სისხლში ამოვლებული  
ნაჭრით შეიხვია და მიკიტანსა და ხელზე მომსახურე ბიჭს  
თავი პირველ ბარიკადამდე მიაყვანინა. ეს ბარიკადა რულის  
უბნიდან ორი ფეხის ნაბიჯზე იყო. როგორც იმედოვნებდა,  
ბარიკადის დამცველებმა დაჭრილად მიიჩნიეს, მიკიტანსა და  
მის მოჯამაგირეს ჩამოართვეს იგი და დიდის სიფრთხილით ბა-  
რიკადის მეორე მხარეს გადაიყვანეს. თანაც ერთი ჰიქა ღვინო  
შეასვეს და ორი კაცი მიუჩინეს საკაცის წამლებად: იმ ორს  
სხვებიც შეუერთდნენ და მალე მთელი ამაღა გაეკიდა. წინ  
პოლიტექნიკური სკოლის მოწაფე მიუძღოდათ ხმალამოწვდი-  
ლი. პერანგისამარა, სახელოებდაკაპიწებულნი უბირი ხალხი კი,  
თოფის ლულაში მწვანე შტოები რომ გაეჩარა, საკაცეს აქეთ-  
იქიდან მოჰყვებოდა და გაჰყვიროდა:

— დიდება მამაცს!

გარს დახვეოდნენ ტიპოგრაფიული სასწავლებლის შეგირ-  
დები, რომელთაც კაცი ადვილად იცნობდა ქალაქის ჩაჩე-  
ბით, მეფუნთუშის ქარგლები, თხემით ტერფამდე თეთრებში  
რომ იყვნენ ჩაცმულნი, მოსწავლეები, საჭურველი რომ აეს-

ხათ და მხრებზე ეპოლეტები დაემაგრებინათ, ათი წლის ბიჭი, თავზე უზარმაზარი კივერი რომ ჩამოეფხატა. მიჰყვებოდნენ ძახილით:

— დიდება მამაცს!

გზად შემხვედრი ქალები მუხლს იდრეკდნენ მის წინაშე. ზოგიერთები ყვავილებს ესროდნენ დაჭრილ გმირსა და საკაცეზე სამფეროვან ბაფთებსა და დაფნის ტოტებს აწყობდნენ. სენ-ფლორენტენის ქუჩაზე კუთხეში ერთმა ლიბერალმა ბაყალმა სადიდებელი სიტყვით მიმართა და ბრინჯაოს მედალიც მისცა ლაფაიეტის\* გამოსახულებით. ბარიკადის დამცველებმა კორტეჟის მიახლოებისას გზის გაწმენდა იწყეს; მისწი-მოსწიეს კასრები, ეტლები, რომ დაჭრილისათვის თავისუფლად გავლის საშუალება მიეცათ. საგუშმაგოებთან აჯანყებულნი სამხედრო სალამს აძლევდნენ, დოლსა და ბუკს სცემდნენ. ბულიან ჰაერს აპობდა ძახილი: „ხალხის ქომაგს გაუმარჯოს! ქარტიის\* დამცველს გაუმარჯოს! თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირს გაუმარჯოს!“ და ხმა გავარვარებულ ცისაკენ მიიწევდა. ყველა საძიკიტნოდან აღისფერი ღვინით სავსე ჭიქები გამოჰქონდათ და დიდების სარეცელზე მწოლარე უცნობს ასმევდნენ, სავსე ბოთლები წყურვილს უკლავდა საკაცის დამტარებელთ, ყალიონის მწვევლებივით ოხშივარი რომ ასლიოდათ.

აი, ასეთი პატივით მიიყვანეს ბიძია გიაცინტი თეთრეულის მრეცხავის, ქალბატონ კონსტანსის ღუქანში, ბასტილიის მახლობლად, სენტ-ანტუანის უბნის ერთ კუთხეში.

## X X I I I

### ბ ა რ ა

— ყველაზე უფრო ის არ მომწონს, რომ,—თქვა დედაჩემმა, როცა ამ ცუდად განვლილი ცხოვრების ეს ეპიზოდი მიაშობო, — ამ სიცრუით გიაცინტმა მიითვისა უბედურების უფლებანი და თავი მსხვერპლად გაასაღა.

— ასე თავიც შეიძლებოდა წაეგო, — ჩაურთო ნათლიაჩემმა, — ეს სიცრუე რომ გამეკლავებოდა, ხალხის აღფრთოვანება

მყის რისხვად შეიცვლებოდა. ის ხალხი, გუნდრუქს რომ უკმევდა, უთუოდ შავ დღეს დააწევდა და შეიძლება კიდევაც გაეგლიჯათ ძეგერებს, ახლა სასმელს რომ უწვდიდნენ. ხალხს თუ იარაღი მიეცი ხელში, ყოველგვარ ძალადობას ჩაიდენს. მაგრამ უნდა ვალიართ, რომ პარიზელებმა იმ სამი სახელოვანი დღის დროს დიდი გულკეთილობა გამოიჩინეს და თავისი გამარჯვებუბოროტად არ გაძოიყენეს. მდიდარი ბურჟუები და მეცნიერებიც მუშების მხარდამხარ იბრძოდნენ; პოლიტექნიკური სკოლის მოსწავლეებმა გამარჯვებას დიდად შეუწყვეს ხელი. მათმა უმეტესობამ გმირობითა და კაცთმოყვარეობით გამოიჩინა თავი.

ერთმა მათგანმა, შეიარაღებულ რაზმს რომ მიუძღოდა წინ, სასახლეში შეაღწია, მიიჭრა მეფის გვარდიელებთან და უბრძანა, იარაღი დაყარეთო. გვარდიელებმა თოფები დაუშვეს, მაგრამ მოხუცი კაპიტანი, რომელიც მათ მეთაურობდა, ხმალანოწვდილი გააფთრებით ეცა მოსწავლეს. ჭაბუკს ხმლის წვერი უკვე მკერდზე ჰქონდა მიბჯენილი, მაგრამ როგორღაც აიცდინა, თავდამსხმელს წაართვა და ისევ უკან დაუბრუნა შემდეგი სიტყვებით: „აიღეთ, ბატონო, ეს ხმალი, რომელიც მრავალჯერ ღირსეულად გიტარებიათ ბრძოლის ველზე და ამიერიდან ხალხის საწინააღმდეგოდ ნულარ მიმართავთ“. აღტაცებულმა და მადლიერების გრძნობით ანთებულმა კაპიტანმა მკერდიდან საპატიო ლეგიონის ჯვარი ჩამოიგლიჯა და თავის ახალგაზრდა მოწინააღმდეგეს გაუწოდა სიტყვებით: „სამშობლო ალბათ ოდესმე შოგცემთ ამ ორდენს. ნება მიბოძეთ, დღეს მე მოგართვათ მისი ნიშანი“. ამ სამოქალაქო ბრძოლაში ღირსებისა და სამშობლოს სახელი აახლოვებდა მოწინააღმდეგეთ.

ნათლიაჩემმა დაამთავრა თუ არა ამ ამბის თხრობა, ბატონმა მარკ რიბერმა სხვა წამოიწყა:

— 28 ივლისს, — თქვა მან, — როცა ოტელ-დე-ვილის შოედანზე მოიერიშე პარიზელები შედრკნენ ძლიერი ცეცხლის წინაშე, ერთი ჭაბუკი, ხიშტის წვერზე სამფეროვანი ალაში რომ დაემაგრებინა, რაზმს გამოეყო, სამეფო გვარდიელებს ჯიქურ მიეჭრა ყვირილით: „მოქალაქენო, შეხედეთ, რა საამური თავისუფლებისათვის სიკვდილი!“ და ტყვიებით დაცხრილული ძირს დაეცა.

ღედა ააღელვა ამ გმირულმა საქციელმა და იკითხა, რატო-

შაა, რომ ასეთი კეთილშობილური საქმენი დავიწყებას ეძლევა და გმირებს არავინ განადიდებსო.

ნათლიაჩემმა ამას ბევრგვარი ახსნა მოუძებნა:

— მონარქიის, რევოლუციისა და იმპერიის ომებმა უამრავი გმირობით გაამდიდრეს საფრანგეთის ისტორია: ახალ გმირობათათვის ადგილი აღარ დარჩა. თან ივლისში გამარჯვებულთა დიდებას ჩრდილი მიაყენა მათი მონაპოვარის სიმცირემ: მათ მხოლოდ კნინ რეჟიმს გამარჯვებინეს და სამეფოს, მათი თავდადებით რომ იშვა, არ სიამოვნებდა თავისი წარმომავლობის გახსენება. ესეც არ იყოს, გმირებსაცა აქვთ თავიანთი ბედი.

— შეიძლება, — მიუგო დედაჩემმა, — მაგრამ ძალზე დასანანია, ლამაზი საქციელის ხსოვნა რომ ქრება.

ამ სიტყვებზე მოხუცმა დიუბუამ, მთელი ამ საუბრის დროს თავის სათუთუნეს რომ ათამაშებდა, დედაჩემს შეხედა თავისი დიდრონი, მშვიდი თვალებით.

— ბედს უსამართლობაში ნუ სდებთ ბრალს, ქალბატონო ნოზიერ. მთელი ეს ლამაზი ყესტები, მალალფარდოვანი სიტყვები—მონაჭორი და ზღაპარია. როცა ვერ დაგვიმახსოვრებია, რა ითქვა მშვიდსა და ყურადღებიან წრეში, ძვირფასო ქალბატონო, განა შეიძლება ბრძოლის ორომტრიალში ნათქვამი დაიხსომოს კაცმა? თქვენი მონაყოლი ამბები რომ გამონაგონია და სინამდვილეს არ შეესაბამება, სულაც არ დავეძებ, ბატონებო, მაგრამ ბუნებრიობისა და ხელოვნების გარეშეც არიან შეთხზულნი, იმ მომხიბვლელი უბრალოების გარეშე, ერთადერთი რომ გაჰყვება წლებს. აი რატომაა, რომ იმ ალმანახებში უნდა ჩარჩნენ, საცა ობი ეკიდებათ. ისტორიულ სიმართლეს არაფერი აქვს საერთო გმირობის ამ ლამაზ მაგალითებთან, რომლებიც საუკუნიდან საუკუნეს გადაეცემა ადამიანთა პირით: ისინი მხოლოდ ხელოვნებისა და პოეზიის საკუთრებანი ხდებიან. არ ვიცი, ახალგაზრდა ბარამ, როცა შუანებმა შესთავაზეს, სიცოცხლეს გაჩუქებთ, ოღონდ დაიყვირე, მეფეს გაუმარჯოსო, მართლა თუ შესძახა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ და მართლა ხიშტებით განგმირული თუ დაეცა მიწაზე. არ ვიცი და ვერც ვერასოდეს შევიტყობ. მაგრამ ვიცი, რომ ამ ბალდის სახე, რომელმაც თავისუფლებას ანაცვალა თავისი ჯერ კიდევ გაუფურჩქენელი, ნორჩი სიცოცხლე, ცრემლით გვინამავს თვალებს

და გულშიაც ცეცხლს გვინთებს. მე რომ მკითხვით, შეუძლებელია მსხვერპლის უკეთესი სიმბოლო მოიგონოს კაცმა. მე ისიც ვიცი დაბეჯითებით, რომ როცა მოქანდაკე დავიდმა\* მიჩვენა ეს ბავშვი თავის მომხიბვლელ და უმანკო სიშიშვლესში, გულზე კოკარდა რომ მიუკრავს, გაყინულ ხელში დოლის ჯოხები დაუჭერია, რომლებითაც მეომრებს შეტევის ნიშანს აძლევდა და სიკვდილს ვატიკანის დაჭრილი ამორძალივით მშვიდად ეგებება, სასწაული მოხდა: ახალგაზრდა გმირი იშვა. ბარა ცოცხლობს, ბარა იცოცხლებს მარად!

## X X I V

### მ ე ლ ა ნ ი

იძხანად იყო, საშინელი მწუხარება რომ დამატყდა თავს. მელანი ბერდებოდა. აქამდე ადამიანთა ხნოვანებას მხოლოდ იძიტომ თუ ვაქცევდი ყურადღებას, რომ მართობდა მისი მრავალფეროვანება. სიბერე მხიბლავდა თავისი სასეირო იერით; მოძწობდა, რომ მოხუცებულებს ცოტა ახირებული და ხშირად სასაცილო შესახედაობა ჰქონდათ. ახალა შევნიშნე, სიბერე ძხელი და სამწუხარო რომ ყოფილა. მელანი ბერდებოდა; კალათის ტარება უჭირდა და როცა ბაზრიდან ბრუნდებოდა, მისი ქოშინი კიბის ძირიდან ოთახში აღწევდა. მხედველობა, მისი სათვალის მუდამ დაბინდულ მინებზე უფრო დაბინდული, დღითი დღე უუარესდებოდა. თვალში რომ ველარ იყურებოდა, შეცდომაც ბევრი მოსდიოდა; მე ჯერ ვიციინოდი ამ შეცდომებზე, მაგრამ მალე მათმა რიცხვმა და სიდიდემ ამაღელვა. იატაკის საწმენდი სანთელი პურის ქერქი ეგონა, ჭუჭყიანი ტილო ახლად გაპუტული ვარია. ერთხელ ეგონა, ჩემს სკამზე ვკდებიო და თოჯინების თეატრზე კი დაჯდა, ნათლიაჩემმა რომ მაჩუქა და მთლად დამიმსხვრია; თან ისე დაფრთხა, რომ ბოდიშის მოხდაც კი დაავიწყდა. მეხსიერებაც წამდაუწუმ დალატობდა, ურევდა თარიღებს, ისე ლაპარაკობდა იმპერატორის ტახტზე ასვლის\* აღსანიშნავად გამართულ სოფლის მექლისზე, სადაც მერმა გაიწვია საცეკვაოდ, როგორც

ახლანან მომხდარ ამბავზე, იმასაც ამბობდა, რუსები რომ შემოვიდნენ, ჩვენს ფერმაში დაბინავებულ ერთ კაზაკს კოცნაზე უარი ვუთხარი, თუმცა ამისთვის დიდი ხიფათი მელოდაო, თითქოსდა მას შემდეგ ცოტა წყალს ჩაევლოს. ხშირად ერთსა და იმავე ამბებს ყვებოდა, იგონებდა 1840 წლის 15 დეკემბერს; საშიხელი სიცივე იდგა, როცა იმპერატორი პარიზში ჩამოასვენხესო. კუბოზე მისი ქუდი და ხმალი დაედოთ. მელანიმ თავისი თვალით ნახა ყველაფერი, მაგრამ იმპერატორის სიკვდილი მაინც არ სჭეროდა. გონება ერეოდა; წუთით ვერ ტოვებდა თავის სამზარეულოს იმის შიშით, ვაითუ, ონკანი დამრჩა ღიაო. ახლა ამ შიშით სეირნობაც ჩამწარებული გვქონდა, თუმცა წინათ სულ მხიარულად და მშვიდად ვსეირნობდით ხოლმე.

ჩემი მოხუცი გამდელის ამგვარი ყოფა მაკვირვებდა, მაგრამ დიდად არ მანაღვლებდა, რადგან არ ვფიქრობდი, რომ უარესობისაკენ წავიდოდა საქმე. და აი, ერთ საღამოს ყური მოვკარ, შამა და დედა ხმადებლა როგორ საუბრობდნენ:

— მელანი დღითი დღე სუსტდება, ჩემო.

— ეგაა ქრაქი, რომელშიაც ზეთი გამოლეულა.

— განა საშიში არაა, პიეროს რომ ვანდობთ?

— ო, ჩემო ძვირფასო ანტუანეტა, მას ძლიერ უყვარს ბავშვი და თავის ბებერ გულში კიდევ იპოვის ძალასა და უნარს, რომ დაიცვას.

ამ სიტყვებმა გონება გამინათეს; ყველაფერი გავიგე და ავტირდი. ის აზრი, რომ ცხოვრება წყალივით მიედინება და გარბის, პირველად შემოიჭრა ჩემს გონებაში.

მას მერე სიყვარულით ვებლაუჭებოდი ჩემი კეთილი გამდელის დაძარღვულ, დაკოყრილ ხელებს; ვკოცნიდი, მაგრამ მისი შენარჩუნება ვეღარ შევძელ.

ზაფხულში ერთობ კარგი ამინდები დაიჭირა და მელანიც გამოცოცხლდა; მეხსიერებაც გამოუკეთდა. ჯარასავით ტრიალებდა თავის ლუმელსა და ქვაბებს შორის და მე ისევ გაჩელება დავუწყე. წინანდებურად ყოველ დღე დადიოდა ბაზარში და რომ ბრუნდებოდა, ისე აღარ ქოშინებდა, კალათაც ისე აღარ სწყვეტდა ხელებს. მაგრამ წვიმები რომ დაიწყო, ჩივილს მოჰყვა, სულ თავბრუს ხვევა მაქვსო. მთვრალი ქალივითა

ვარო, იტყოდა ხოლმე. ერთ დილით, სასყიდლებზე რომ იყო წასული, კარზე დაგვირეკეს. ეს ბატონი მენაყი გახლდათ, კიბის ძირას გულწასული ეპოვა მოხუცი და ატატებული შოპყავდა. მელანი გონს მალე მოეგო და მამაჩემმა გვითხრა, ამ ერთხელ გადარჩაო. ბატონ მენაყს დიდი ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი, უფრო მეტის ყურადღებით, ვიდრე ჩემი ხხის ბიჭს შეჰფეროდა, რადგან ცნობისწადილი მეტი გამაჩნდა, ვიდრე ზრდილობა. ბატონ მენაყს მართლაც ორად გაყოფილი ჟღალი წვერი ჰქონდა, თავზე რუბენისეებური ფეტრის ქუდი ეხურა და ჰუსარული შარვალი ეცვა, მაგრამ სულაც არა ჰგავდა ადამიანს, ვინც აღმოდებულ პუნშსა სვამს კაცის თავის ქალიდან. მელანი დივანზე რომ დააწვინა, თავი წამოუწია და სულ კეთილ სამარიტელს\* დაემსგავსა. ჰკვიანი და შოსიყვარულე კაცის იერი ჰქონდა. მისი ოდნავ დაღლილი, მშვეხიერი, ხაღვლიანი და მოალერსე თვალები სიყვარულით უცქეროდნენ ირგვლივ ყველაფერსა და მე მგონი, ღიმილიც გაუერთა, როცა დედაჩემის ლამაზ თმებს მოავლო მხერა. მეც ისეთის გულისხმიერებით მომეპყრო, როგორც უშნო ბავშვს შეეძლო შოპყრობოდა და ჩემს მშობლებს ურჩია, თავის ნებაზე მიუშვით, ბუნება ყოველგვარი ენერჯის წყაროაო.

ბატონ მენაყს ქებაც ბევრი შეეასხით და მხურვალე მადლობაც გადავუხადეთ. დედაჩემს განსაკუთრებით იმან აუჩუყა გული, რომ კალათის მოტანაც არ დავიწყებოდა. მარტო მელანი არ იყო ძაღლიერი მხატვრისა, რომელმაც გადაარჩინა. ეტყობა, ძალიან აწყენინა მოხუცს, როცა კარზე ამური მიუხატა, შინ შეშვებას რომ სთხოვდა. მელანი კი იმდენად პატიოსანი ქალი იყო, რომ ეს თავხედობა ვერაფრით ეპატიებინა.

როგორც ექიმი იმედოვნებდა, ჩვენი მოხუცი მელანი კვლავ წამოდგა ფეხზე, მაგრამ ეტყობოდა, მუშაობას ველარ შეძლებდა.

მე არაფერს მიმხელდნენ. იღუმალ ჩურჩილებდნენ, ოხრავდნენ, თვალთაგან ცრემლს იწმენდნენ, ბარგს კრავდნენ. გადაკვრით ლაპარაკობდნენ მელანის ძმისშვილზე, ერთ მიწათმოქმედს, გვარად დენიზოს რომ გაჰყოლოდა ცოლად და ჟუი-ან-ჟოზაში ფერმა ჰქონდა.

ერთ მშვენიერ დილით ეს ძმისწულიც გამოჩნდა, ბეჩავი

და საშინელი; მაღალ-მაღალი ქალი იყო, შავტუხა და გამხდარი; ვეება, მაგრამ ჩხია კბილები ჰქონდა. მოვიდა, რათა მამი-დამისი ყუიში წაეყვანა და თავის ჰერქვეშ შეეფარებინა. ვიგრძენი, რომ წინ ვერაფრით აღუდგებოდი და ღრიალი მოვრთე. მე და ჩემი გადია ერთმანეთს გადავხვით; რომ დავემშვიდებინე, დედა შემპირდა, მალე ყუიში წაგიყვანო. ჩემი მოხუცი მელანი ცოცხალ-მკვდარი იყო; მაგრამ ერთმა რამემ გამაოცა: წინსაფარი მოიხსნა თუ არა, მაშინვე გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი ბურჟუაზიულ სამყაროსთან და სულ სხვა ადამიანად იქცა, გლახის ქალად, რომელთანაც მე აღარაფერი მაკავშირებდა. მივხვდი, რომ სამუდამოდ დავკარგე ჩემი კეთილი მელანი.

ორთვალამდე მივაცილეთ. მელანი ავიდა ზედ და თავის ძმისწულს გვერდით მიუჯდა. მათრახმა ყურზე გაუტყლაშუნა ფაშატსა და ურიკაც დაიძრა. ვხედავდი, თანდათან როგორ გვშორდებოდა მისი თეთრი, ყველივით მრგვალი სოფლური ქუდი. ეს ჩემი პირველი მწუხარება იყო და დღესაც არ გამნელებია.

მელანის დაკარგვით უფრო მეტს ვკარგავდი, ვიდრე მეგონა: ვკარგავდი ჩემი ბავშვობის პირველი წლების სიტკბოსა და სიხარულს. დედაჩემი მელანის დიდ პატივს სცემდა და იმდენი სულგრძელობა გამოიჩინა, რომ არ შეეშურებია ის დიდი სიყვარული, რომელსაც ჩემი მოხუცი გამდელის მიმართ ვიჩენდი. და თუ ეს სიყვარული ისეთი ყოვლისმომცველი და ამაღლებული არ იყო, როგორც შვილური სიყვარული, დედაჩემისათვის რომ ვინახავდი, უფრო ნაზი და უფრო გულითადი კი გახლდათ.

მელანი ჩემებრ გულუბრყვილო იყო, და გონებაშეზღუდულობითაც ისე ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. ის უკვე ბებერი იყო, როცა მე გავჩნდი ამქვეყნად და მხიარულიც არ ეთქმოდა; ან კი მხიარული როგორ იქნებოდა, იმდენი სიმწარე ჰქონდა გამოვლილი; მაგრამ მისი უღრუბლო უცოდველობა ახალგაზრდობისა და მხიარულების მაგიერობას უწევდა.

დედაჩემივით და იქნებ დედაზე უფრო მეტადაც მელანიმ შემასწავლა ენა, და არცა ვნანობ. თუმცა უსწავლელი იყო, ლაპარაკი ჩინებული იცოდა.



ლაპარაკი ჩინებული იცოდა, რადგან ისეთ სიტყვებს ამბობდა, რომლებიც გვარწმუნებენ და ნუგეშსა გვცემენ. მუხლსა ან ცხვირს თუ გადავიყვლეფდი, ისეთ რამეს მეტყოდა, რომ ტკივილი წამსვე მიუხრდებოდა. თუ მოვატყუებდი, თუ თავკერძობას გამოვიჩინდი, თუ ვბრაზობდი, მეტყოდა ისეთ სიტყვას, რომელიც ამხნეევებს, ასალკლდეევებს, მალამოსავით ეცხება გულებს. მისგან მაქვს ბოძებული, რაც რამ საფუძვლად უდევს ჩემს მორალურ შეხედულებებს; და ის, რაც შემდგომ დავუმატე, ამ საფუძველზე ნაკლებ მყარია.

ჩემი მოხუცი გამდელის ბაგეთაგან კარგი ფრანგული ენა შევითვისე. მელანი უბირი ხალხის ენით მეტყველებდა. ამბობდა: ქობი, განჯინა, სახჩიო. ამეებს თუ არ ჩავთვლით, შეეძლო კარგი მეტყველების გაკვეთილები მიეცა ბევრი პროფესორისა და აკადემიკოსისათვის. მის ბაგეთა შიგან კვლავ ცოცხლდებოდა ჩვენი წინაპრების ტკბილი და ლაღი საუბარი. რაკი კითხვა არ იცოდა, სიტყვებს ისე წარმოთქვამდა, როგორც ბავშვობაში ჰქონდა გაგონილი; ისინი, ვისგანაც გაეგონა, მასავით უწიგნურები იყვნენ და თავიანთი ენა პირდაპირ წყაროსთვალიდან ჰქონდათ შეთვისებული. ამიტომაც იყო, ბუნებრივად და მართებულად რომ ლაპარაკობდა. იოლად პოულობდა ხატოვანსა და ჩვენი ხეხილის ბაღების ნაყოფივით დაშაქრულ სიტყვებს. უამრავი შეგონება, ბრძნული ანდაზა და მოხდენილი ხალხური თქმა იცოდა.

## X X V

### რ ა ღ ე გ ო ნ ე ღ ი

— ჩემო მეგობარო, — უთხრა დედაჩემმა ექიმ ნოზიერს, — ახალი მსახური მოგვივიდა, ტურენელი გოგო, ქალბატონმა კომონმა გამოგვიგზავნა. მინდა შენც ნახო. ჯერ მხოლოდ ერთ შინაბერასთანაა ნამსახური ცურის გარეუბანში. მითხრეს, პატიოსანი გოგოაო.

ოჯახი რომ არ დაგვქცეოდა, დრო იყო, ბოლოს და ბოლოს, პატიოსანი მოსამსახურე გვეშოვა. უკვე წელიწადზე მეტი გახდა,

რაც მელანი წავიდა ჩვენგან და თორმეტამდე მსახური გამოციცვალეთ. მათგან უკეთესნი მაშინვე აიკრავდნენ გულა-ნაბადს, როგორც კი დარწმუნდებოდნენ, ამ სახლში დიდი არაფერი იხარჯებაო. გვყავდა სიკორაქსი\*, რომელსაც წვერი უმშვენიებდა სახეს და ჯადოქრულ კერძებს გვიმზადებდა; გვყავდა ერთი თვრამეტი წლის გოგოც, ძალიან ლამაზი, მზარეულობისა რომ არაფერი გაეგებოდა; დედას ეგონა, გავწერთნიო, მაგრამ სამი დღის შემდეგ გაქრა და ჩვენი ექვსი ვერცხლის დანა-ჩანგალიც თან გაიყოლა; ერთი სალპეტრიერიდან გამოქცეული ქალიცა გვყავდა, რომელიც ლუი-ფილიპის ასულად ასალებდა თავს და საცობებით გაკეთებულ მძივებს ატარებდა; ჩემმა საყვარელმა მამამ, ექიმობისდა მიუხედავად, უკანასკნელმა შეამჩხია, რომ გიჟი იყო; გვყავდა ჭოტიც, მთელ დღეს ზეზეულად რომ ეძინა და ლამამობით კი, როცა თავის მანსარდაში გვეგულებოდა, მუფტარის ქუჩაზე, ერთი ეზოს სიღრმეში მოწყობილ სამიკიტნოს უძღვებოდა და ათას ვიგინდარას ჩვენი სარდაფის ღვინით უმასპინძლდებოდა, თუმცა მზარეული კი კარგი იყო, ნათლიაჩემის თქმით, ნათლიაჩემს კი ამეებში არაფერი ესწავლებოდა. ბოლოს რომ ჰორტენზია პერსევიე გვყავდა, პენელოპეს დარად ქმარს ელოდებოდა, კაბეს რომ გაპყლოდა იკარიაში და პენელოპესი არ იყოს, უამრავ საქმროს იზიდავდა, თანაც ეს საქმროები სულ ჩვენს სამზარეულოში სადილობდნენ.

მაშინდელი ხალხიც დღევანდელივით ჩიოდა: „კაცს მოსამსახურე ველარ აგიყვანია, ის აღარაა, რაც წინათ, ერთგულ მსახურს ადვილად იშოვიდი. ყველაფერი შეიცვალა!“ ზოგი ამში რევოლუციას სდებდა ბრალს, ხალხს მადა გაულვიძაო, მაგრამ განა მადას ოდესმე ეძინა? სიმართლე თუ გნებავთ, კარგი ბატონები და კარგი მსახურები ყოველთვის იშვიათნი იყვნენ. ქვეყნად ცოტანი არიან ეპიქტეტები და მარკუს ავრელიუსები\*.

ჩემი ტკბილი დედიკოც ამ ახალ მსახურს მაინცდამაინც ნდობით არ ელოდა, ან კი ამდენი ამბის შემდეგ ნდობა საიდან ექნებოდა? მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც კეთილი წინათგრძნობა კი ჰქონდა. საიდან მოუვიდა ეს განწყობა? ყურში ჩააწვეთეს, წესიერი გოგოა, პატიოსანი გლახის ოჯახ-

შია გაზრდილი, შინაბერასთან სამსახურშიც გამოიწვრთნა, შინაბერასთან, პროვინციელ მოსამართლეთა და სამხედრო ოჯახიდან რომააო გამოსული. თან დედას მისი მოძღვრისაგან, აბატ შუახიესაგანაც გაგონილი ჰქონდა, სასოწარკვეთას ნუ მიეცემით, ეგ დიდი ცოდვააო.

— რა ჰქვია? — ჰკითხა მამაჩემმა.

— რაც გინდა, ის დაევუძახოთ, ჩემო. მისი ნათლობის სახელი კი რადეგონდია.

— არ მიყვარს, მსახურებს სახელებს რომ უცვლიან, — შეენიტყვა მამა, — მე მგონი, ადამიანის შვილს სახელის წართმევით რაღაც პიროვნულსაც ართმევ; მაგრამ გეთანხმები, რომ რადეგონდი მართლაც უხეშად ჟღერს.

ქალიშვილი რომ მოვიდა, დედამ ჩემს ოთახში არ გამისტუმრა. არ ვიცი, დაუდევრობით მოჟუვიდა (რამეთუ რაღაც უცნაური ძალით ცოტა დაბნეულობა მასში მომხიბვლელად იყო შერწყმული თვალფხიზელ სიფრთხილესთან), თუ იფიქრა, ურიგო არაფერი იქნება, ბავშვიც რომ დაესწროს ამ უწყინარსა და შინაურულ მასლაათსო.

რადეგონდი ფეხების კაკუნით შემოვიდა და სასტუმრო ოთახის შუაგულში სარგადაყლაპულივით, უსიტყვოდ გაჩერდა. ხელები წინსაფარზე დაეწყო და შემკრთალი სახით, მაგრამ მაინც თამამად მოგვჩერებოდა. ძალიან ახალგაზრდა იყო, თითქმის ბავშვი, შავგვრემანი და ლოყაწითელი; თმა ქერა ჰქონდა, არც ლამაზი იყო და არც უშნო ეთქმოდა. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მიამიტი და თან ეშმაკური გამოხედვა ჰქონდა. ტანთ ისე ეცვა, როგორც მისი მხარის გლეხ ქალებს, მაგრამ მაინც შორთულ-მოკაზმულს ჰგავდა; თმა მალლა ჰქონდა ავარცხნილი და მაქმანებიან, ვეება ჩაჩში შეეკეცა. მხრებზე ალისფერი, ყვავილებიანი შალი მოეხურა. ძალზე სერიოზული და ძალზე სასაცილო იყო, დანახვისთანავე მომეწონა და შევნიშნე, რომ ჩემს მშობლებსაც მოსწონებოდათ.

დედამ ჰკითხა, კერვა თუ იციო. „დიახ, ქალბატონო“, მიუგო მოსულმა. „საკმლის მომზადება?“ „დიახ, ქალბატონო“. „უთობა?“ „დიახ, ქალბატონი“. „სახლის დალაგება?“ „დიახ, ქალბატონო“. „თეთრეულის დაკემსვა?“ „დიახ, ქალბატონო“.

ჩემს ტკბილ დედოცოს რომ ეკითხა, ზარბაზნის ჩამოსხმა, ტაძრების აგება, ლექსების წერა, სახელმწიფოს მართვა თუ იციო, უთუოდ მაშინაც დიახ, ქალბატონო, მიუგებდა, რადგან აშკარად ვტყობოდა, თანხმობას ისე ამბობდა, რომ კითხვების მნიშვნელობას არ დაეძებდა. ეს წმინდა წყლის თავაზიანობა და კარგი აღზრდის ნაყოფი გახლდათ. აკი მშობლებისგან ჩავგონებული ჰქონდა, თავი რიგიანად გეჭიროს, დიდი ხალხისთვის არას თქმა უზრდელობააო.

უსამართლო ღარღალით  
რომ გაჯადროთ უარი,  
რაკი საქმე მაქვს ღმერთთან,  
არ ვიქნები მართალი.

ასე ამბობდა ლაფონტენი, როს მადმუაზელ დე სილერი-სათვის უარის თქმა ვერ გაებედა\*.

მაგრამ დედაჩემი აღარ ჩასძიებია და კიდევ რა იციო, არ უკითხავს. ტკბილად და თან მტკიცედ უთხრა გლეხის გოგოს, 'შენგან თავდაპირვან და კარგ საქციელს მოველიო, შეჰპირდა, მაშინვე მოგწერ, როგორც კი შენს მიღებას. ან არმიღებას გადავწყვეტო და ღიმილით გაისტუმრა.

არ ვიცი როგორ და, რომ გადიოდა, ყმაწვილმა ქალმა წინსაფრის ჯიბე კარის სახელურს გამოსდო. ეს ამბავი ჩემს ძეტს არავის 'შეუნიშნავს; თავიდან ბოლომდე ვუთვალთვალებდი ყველაფერს და მოვიხიბლე, ისეთი გაცეხებული და ნაწყენი მზერა ესროლა რადეგონდმა აბეზარ სახელურს, თითქოს ის რაღაც ბოროტი სული ყოფილიყოს და მოენდომებინოს მისი დაკავება, როგორც ჯადოსნურ ზღაპრებში ხდება ხოლმე.

— როგორ მოგეწონა ეს გოგო, ფრანსუა? — ჰკითხა მამას დედაჩემმა.

— სულ ყმაწვილია, — მიუგო ექიმმა, — თანაც...

იქნებ შორეულად, გუჟანით ხვდებოდა რადეგონდის ხასიათს. მაგრამ ეს წინათგრძნობა მანამ განუქარდა, სანამ სათქმელს თავს მოუყრიდა. ამიტომ აღარაფერი უთქვამს. მე კი, თუშცა პატარა ვიყავ და მხოლოდ წვრილმანებისად შემწვევდა გონება, უკვე საკმარისი მქონდა ნანახი იმისათვის, რომ დამეს-

კენა: ეს გლეხის გოგო ჩვენს მყუდრო ბინას მოჰადოებულ სახლად აქცევს-მეტყი.

— წესიერი გოგო ჩანს, — თქვა დედაჩემმა, — იქნებ მოვახერხო და გამოვწვრთნა. თუ გინდა, ჟიუსტინი ვუწოდოთ, ჩემო.

## X X V I

### კ ა რ ი

ერთ დღეს, ერთ საათს დაბადებულნი ერთად გავიზარდებით. ჯერ პუკს ვეძახდით, ასე დაარქვა მამაჩემმა, მერე კერი ვუწოდეთ და თუ კარგ სახელს პატიოსნებას დავუკავშირებთ, ეს სახელის შეცვლა მის სასახელოდ არ მეტყველებდა. რაკი დავინახეთ, რომ სულ მოტყუებაზე, ქურდობაზე და თაღლითობაზე ეჭირა თვალი, თანაც იძულებულნი გავხდით საკადრისი მიგვეზლო მისი ჭკუა-გონებისათვის, ავ საქმეში რომ ჰქონდა გაშეცადინებული, რობერ მაკერი\* შევარქვეთ; იმ საუცხოო ყაჩაღის სახელი, ფრედრიკ ლემეტრმა რომ გამოიყვანა სცენაზე თხუთმეტი წლის წინათ და ონორე დომიეს მახვილმა ყალამმა სატირულ გაზეთებში ხან ფინანსისტად, ხან დეპუტატად, ხან საფრანგეთის პერად და ხანაც მინისტრად აქცია. მერე იყო და, რობერ მაკერი უსაშველოდ გრძელი გვეჩვენა და კერად ვაქციეთ. კერი თაფლისფერი ძალლი იყო, უჩიშო, მაგრამ მეტად საზრიანი. ჭკუა დედისგან დაჰყოლოდა. დედამისი — ფინეტი თვითონ ყიდულობდა საჭმელს კუჭმაჭის გამყიდველისაგან, ანგარიშს ნალდი ფულით უსწორებდა და თავის ულუფას ქალბატონ მათიასთან მიარბენინებდა, ჩქარა მომიხარშეო.

კერს უფრო სწრაფად გაეხსნა გონება, ვიდრე მე. ცხოვრების წესი და რიგი მაშინ შეითვისა, როცა მე არც ქვეყნისა და არც ჩემი თავისა ჯერ არაფერი გამეგებოდა. სანამ ხელით მატარებდნენ, შურდა ჩემი. მაგრამ ჩემი კბენა არასოდეს უცდია; იქნება ხედებოდა, რომ ეს საშიში იყო, იქნებ იმიტომ, რომ სიძულვილზე უფრო ზიზღს ვგვრიდი; ეს კია, დედაჩემსაც და მოხუც ძიძასაც, თავს რომ მეველებოდნენ, საცოდავად

და მოწყენით შესცქეროდა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ 'შური უღრღნიდა გულს. ამ საბედისწერო ვნებას, ცოტა არ იყოს, ჭკუა წაერთვა მისთვის, და ისიც გაურბოდა ჩემს დედას და ძიძას, რამდენადაც კი შეიძლება გაექცე ხალხს, ვის ჭერ-ჭვეშაც ცხოვრობ. მამაჩემთან აფარებდა თავს და მთელ დღეებს ექიმის კაბინეტში, მაგიდის ქვეშ ატარებდა, ცხვრის გაქუცულ ტყავზე მოკალათებული. როგორც კი ფეხი ავიდგი, მაშინვე მოუბრუნდა ჩემზე გული. გულთბილად დამიწყო ცქერა. ხალისით თამაშობდა პატარა, უგუნურ და მოუხერხებელ არსებასთან. როცა ცოტა ჭკუა და გონი დამაჩნდა, ალტაცებაში შომიყვანა, ვხვდებოდი, რომ ბუნების გაგებაში გაცილებით მჯობნიდა, თუმცა ბევრ რამეში მეც დავეწიე.

თუკი დეკარტემ ინდომა და ცხოველები მანქანებად გამოაცხადა\*, თუმცა ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, ეს უნდა შევუნდოთ, რადგან საკუთარი ფილოსოფია აიძულებდა ასე მოქცეულიყო; ფილოსოფოსი ხომ მუდამ უქვემდებარებს ხოლმე მისთვის უცხო ბუნებას თავის მოფიქრებულ სისტემას. დღეს კარტეზიანელნი აღარ არიან; მაგრამ იქნებ კიდევ დარჩნენ ადამიანები, ვისაც დაუჩემებია, ცხოველებს ინსტინქტი აქვთ, ადამიანს კი გონებაო. ჩემს პატარა ბიჭობაში ამას ხშირად გაიგონებდით. სისულელეა. ცხოველებსაც ისეთივე გონება გააჩნიათ, როგორც ჩვენ; მათი გონება ჩვენისაგან მხოლოდ იმდენად განსხვავდება, რამდენადაც ორგანოები გვაქვს განსხვავებული. ამ ორგანოებით ისინიც ჩვენსავით შეიცნობენ სამყაროს. ჩვენც მათსავით გვაქვს მომადლებული სიადუმლო რამ ნიჭი, იდუმალი სიბრძნე, ინსტინქტი, გონებაზე უფრო ძვირფასი რომაა, რადგან უმისოდ ვერც მდილი და ვერც კაცი წუთითაც ვერ იცოცხლებდნენ.

ლაფონტენისა არ იყოს, დეკარტზე უკეთესი ფილოსოფოსი რომ იყო, მეც მჯერა, ცხოველები, მეტადრე ველურ ყოფაში, გამჭრიახნი და ერთობ. მოხერხებულნი არიან. მოშინაურებით კი ვაკნინებთ, ვრყვნით მათ გულსა და გონებას. რა ჭკუა შერჩებოდა კაცს, ისეთ დღეში რომ ჩაგვეგდო, როგორშიაც, 'შინაურ ფრინველებზე რომ არაფერი ვთქვათ, ძაღლები და ცხენები გყავს? „ზევისი როს მონად მოაქცევს ვისმე, სანახევროდ ღირსებასაც ახდისო“.

მოკლედ, შინაურნი იქნებიან თუ გარეულნი, ჰაერში მონა-  
ვარდენი, მიწაზე მავალნი თუ წყალში მცურავნი, ცხოველთა  
გულის სიღრმეში ჩამარხულ უტყუარ ალლოს მუდამ თან  
ერწყმის გონება, რომელიც ცდება ხოლმე. ადამიანებისა არ  
იყოს, შეცდომა მათაც ხშირად მოსდით. ხანდახან ჩვენი კერიც  
ცდებოდა ხოლმე.

მას გაგიჟებით უყვარდა ზერბენი, წიგნების გამყიდველის,  
ბატონ კომონის პუდელი. ზერბენი პატიოსან და კეთილ ძალ-  
ლად იყო შობილი და კერის სიყვარულს კიდევ უფრო მეტის  
სიყვარულით პასუხობდა. ერთმანეთისათვის სულსაც არ იშუ-  
რებდნენ; კერის ცუდმა სახელმა ზერბენსაც შეუბღალა სახე-  
ლი და ზერბენს კი აღარ ეძახდნენ, არამედ — ბერტრანს —  
რობერ მაკერის მეგობრის სახელის მიხედვით. კერმა წააზ-  
დინა ზერბენი და თავაწყვეტილ ძაღლად აქცია. როცა გაქცევა  
მოუხერხდებოდათ, ერთად დაძრწოდნენ ქუჩა-ქუჩა, ღმერთმა  
იცის სად და, მთლად მტვერში ამოგანგლულები, კოჭლობით  
ბრუხდებოდნენ შინ. ხან ფეხი პქონდათ მომტვრეული, ხან  
ყური ჩამოხეული, მაგრამ თვალებანთებულნი იყვნენ და აღფ-  
რთოვანებულნი.

ბატონი კომონი თავის პუდელს ჩვენს ძაღლთან გავლას  
უკრძალავდა. მელანი, ჩხუბი და დამცირება რომ აეცილებინა  
თავიდან, სულ გადარაჯებული იყო, რომ კერი თავისზე უფრო  
კეთილშობილსა და ლამაზ მეზობელს არსად შეყროდა. მაგ-  
რამ მეგობრობა ყოველგვარ დაბრკოლებასა სძლევს. როგორ  
არ ვუთვალთვალდებდით, როგორ არ ვკეტავდით, მაინც ათას  
ოინს იგონებდნენ და მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან შეხ-  
ველრას. ფანჯრის რაფაზე შესკუპული კერი ყარაულობდა,  
ძისი მეგობარი წიგნის მალაზიიდან როდის გამოვიდოდა. ბერ-  
ტრანიც, ეზოში გამოჩნდებოდა თუ არა, მაშინვე ნაზ მზერას  
მოაპყრობდა ფანჯარას, საიდანაც კერი სიყვარულით უმზერდა.

რა ღონეც უნდა გეღონათ, ხუთი წუთის შემდეგ მაინც  
ერთად იყვნენ თავმეყრილნი. ბოლო არ უჩანდა მათ თამაშსა  
და იღუმალ გასეირნებათ. მაგრამ ერთ დღეს ბერტრანი, ჩვეუ-  
ლებრივ დროს ეზოში რომ გამოვიდა, ძალიან სასაცილო  
პატარა ლომად იყო ქცეული. ასე იმ ერთ მკრეჭავს მოექცია,  
ზაფხულის მზიან დღეს ძაღლებს რომ კრეჭენ სენის სანაპი-

როზე, ახალი ხიდის მახლობლად. მხრებზე ბეწვი ისე ჰქონდა დატოვებული, ფაფარი გეგონებოდათ; ტანი და მუცელი პირწმინდად ჰქონდა გაპარსულ-გაშიშვლებული და ბინძური ვარდისფერი, მოლურჯო ძარღვებით დაძაგრული ტყავი მოუჩანდა; თათებზე მანქეტებივით შეეტოვებინათ ბეწვი, კუდს სასაცილო, გაუბედურებული ფოჩი უმშვენებდა. კერი დიდხანს ყურადღებით უცქეროდა. მერე ზურგი აქცია: ველარ იცნო. ამოდ უნმოზდა ბერტრანი, ამოდ ემუდარებოდა, ევედრებოდა, ლამაზ, ცრემლიან თვალებს არ ამორებდა. კერი ზედაც არ უყურებდა და კვლავ მის გამოჩენას ელოდა.

ამბობენ, ძაღლები არ იცინიანო. მე კი ჩემი თვალითა ვნახე, როგორ იცინოდა ჩვენი კერი ნიშნის მოგებით. ჩუმად იცინოდა, მაგრამ ტუჩები ისე ჰქონდა დაჭიმული და ლოყებზედაც ისეთი ნაოჭი გასჩენოდა, რომელიც აშკარად გამოხატავდა მწარე დაცინვასა და სარკასტულ სიცილს. ერთ დღეს ჩემს მოხუც გამდელს სასყიდლებზე გავყვევი. მუტონი, ბაყალ კურსელის ძაღლი, ნიუფაუნდლენდი მუტონი, რომელსაც ჩვენი კერი ერთ ლუკმადაც არ ეყოფოდა, მშვენიერი მუტონი თავისი პატრონის ზღურბლზე გაწოლილიყო და თათებში ცხვრის გამობრული ბარკალი ეჭირა. კერმა დიდხანს უთვალთვლა, მაგრამ ახლოს არ გაჰკარებია, რაიც მის ძაღლურ უზრდელობაზე მიუთითებდა. მაგრამ კერი ზრდილობას არ დაგიდევდათ. მუტონმა ნაცნობ ცხენს მოჰკრა თვალი, ყოველდღე ურიკით ჰოლანდიური ყველი რომ მოჰქონდა ხოლმე, ძვალს თავი ანება, წამოდგა და თავისი მეგობრისაკენ გაეშურა საალერსოდ. კერი მაშინვე მუხანათურად დააცხრა მის ძვალს, პირში მოიგდო და რომ არაფერი შეემჩნიათ, მეხილე სიმონის დუქანში დამალა, ნატიფ ხელოვნებათა ქუჩაზე, სადაც ხშირად დაიარებოდა. შემდეგ უდარდელი სახით შემობრუნდა, მუტონი შეათვალიერა და რა დაინახა, თავის ძვალს ეძებსო, სიცილი დააყარა.

კერსა და მე ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა, მაგრამ ეს ამბავი არც კი ვუწყობდით, ეს კი სიყვარულში მეტად მოსახერხებელი და საიდუმლო რამ არის. უკვე რვა წელი იყო, რაც ამ პლანეტაზე მოვედით, თუმცა რა უნდა გვეკეთებინა, არც ერთმა ვიცოდით და არც მეორემ. სწორედ იმხანად იმ ჩემს



კბილას, ქონი რომ მოერია და ქოშინიც დაეწყო, საშინელი სენი შეეყარა — კენჭებმა გასტანჯეს. იტანჯებოდა და არ კი ჩიოდა, ბეწვი გაუხეშემდა და გამოუხუნდა, მოიწყინა და ჭამაც აღიკვეთა. ბეითალმა ოპერაცია გაუკეთა, მაგრამ ვერაფერი არგო; სალამოს სნეულის ტანჯვას ბოლო მოეღო. თავის კალათაში მოკუნტულმა მოსიყვარულე თვალებით შემომხედა, სანახევროდ ლიბრი რომ გადაჰკროდა, ერთი წამოიწია, კიდევ ერთხელ გააქიციანა კუდი, ისევ დაეცა და კიდევაც გათავდა. მაშინლა მივხვდი, რა სიცოცხლით სავსე იყო, რამდენს მოძრაობდა, რამდენს ფიქრობდა, რამდენი რამ უყვარდა, რამდენი რამ სძულდა, რამოდენა ადგილი ეჭირა ჩვენს სახლში და ჩვენს ფიქრებში. ვიტირე, მწარედ ვიტირე და ჩამეძინა. მეორე დილით ვიკითხე, კერის სიკვდილის ამბავი გაზეთში ხომ არ გამოუცხადებიათ, როგორც მარშალ სულტის\* გარდაცვალების ამბავი-მეთქი.

## X X V I I

### ბროგლოდიტაგის შთაფთავალი

არ შევმცდარვარ: რადეგონდმა, ან უკეთ ყიუსტინმა, რადგან დედაჩემმა მსწრაფლ ჩამოაცილა კითილშობილი ტურენელის მფარველ კალთას და იმ წმინდანს შეავედრა, რომლის სახელიც უფრო ადვილად წარმოითქმის ბაგეთაგან, მოკლედ, ყიუსტინმა ჩვენი მყუდრო ბინა მოჯადოებულ სახლად აქცია. გთხოვთ, კარგად გამიგოთ: ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ამ უბირ გლეხის გოგოს ნათლია ფერიამ იმ კედლების პორფირით, ოქროთი და თვალ-მარგალიტით შემკობის უნარი დაანათლა, რომლებსაც წმენდდა. არა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვესსა დადგა მოსამსახურედ, სახლში ყურთასმენის წამლები ხმაური და დგანდგარი იდგა, სულ კბილთა ღრჭენა და გულის გამგძმირავი სიცილი გაისმოდა; ადულებული ქონისა და დამწვარი ზორცის უსიამოვნო სუნი ტრიალებდა, სამზარეულოს ონკანიდან გამონადენი წყალი ოთახებში აღწევდა, უეცრად შოვარდნილი კვამლი თვალებს გვიწვავდა, ხედვას გვიშლიდა და სულს გვიხუთავდა, პარკეტს ჭრიალი გაჰქონდა, კარებს

ჯახაჯუხი გაუდიოდა, დარაბები ერთმანეთს ეხეთქებოდა, ფარ-  
დები აფრებივით იბერებოდა და ქარი ოთახში ქარიშხალივით  
დათარეშობდა. სხვაც ბევრი იყო საგანგაშო და საკვირველი,  
მამაჩემს საგონებელში რომ აგდებდა: მის საწერ მაგიდაზე  
სამელნე წამდაუწუმ ყირავდებოდა, ბატის ფრთებს წვერი  
უტყდებოდა, ლამპის შუშა ყოველ საღამოს იმსხვრეოდა. ეს  
ყოველივე ჯადოსნობა არ იყო განა? დედა ამბობდა, ჟიუსტინი  
ცუდი გოგო არაა, დრო და მოთმინება უნდა და გაიწვრთნე-  
ზაო; მაგრამ გამოწვრთნამდე კი ძალიან ბევრ რასიე გვიმტვ-  
რევდა; თუმცა მოუხერხებლობაც არ ეთქმოდა. ხშირად, პი-  
რიქით, თავისი სიმარჯვით ჩემიანები გაოცებაში მოჰყავდა.  
ოდონდ ველური იყო, ძალის მოიმედე, მუდამ საბრძოლველად  
შემართული და რაკი მის მარტივ სულში უძრავი მატერია  
ცოცხლდებოდა, კაცურ გრძნობებსა და ვნებებს იძენდა, ეს  
ლუარისპირელი ტროგლოდიტების ასული ისეთის ყოფით  
ეოძებოდა საოჯახო ნივთებსა და ჯამ-ჭურჭელს, თითქოსდა  
ავი სულები დახვევიანო.

ყველაზე უფრო გამძლე ლითონსაც რომ არ ეპუებოდა!..  
მოჰკიდებდა ხელს ფანჯრების ურდულებსა და ონკანის საკე-  
ტებს და ხელში შერჩებოდა ხოლმე. მოკლედ, მის შორეულ  
წინაპართა სული იღვიძებდა მასში და ყველაზე უფრო ველუ-  
რი ფეტიშიზმის ტყვეობაში აქცევდა. მაგრამ აბა, რომელი  
ჩვეხგანი არ გაბრაზებულა უსულო საგანზე, რომელმაც რამე  
გვატკინა, ანდა, უბრალოდ, წინააღმდეგობა გაგვიწია. ვინ არ  
შემოსწყრომია ქვას, ტოტს, ეკალს?

ჟიუსტინის ყოველდღიურ საქმიანობას ცნობისმოყვარეო-  
ბით ვადევნებდი თვალყურს და არ მწყინდებოდა. დედიკო  
ხშირად მსაყვედურობდა: მოეშვი მაგ სულელურ დოკლაპი-  
ობასო. მაგრამ ცდებოდა: ჟიუსტინს თვალს იმიტომ არ ვაცი-  
ლებდი, რომ დამაინტერესა თავისი საომარი ილეთებით და  
იმიტ, რომ ყოველი მისი საქმიანობა საშინელი და სახიფათო  
ბრძოლის სახეს იღებდა. როცა ცოცხითა და ბუმბულის ჯაგ-  
რისით შეიარაღებული ჟიუსტინი იტყოდა მტკიცედ: სასტუმ-  
რო ოთახი მაქვს გამოსაგველიო, გადაარაჯებული უკან მივ-  
დევდი.

სასტუმრო ოთახში ერთი წითელი ხის დივანი და რამდენიმე

სავარძელი გვედგა, რომელთაც თავიანთ გაცრეცილ, წითელ-  
ხავერდგადაკრულ საჯდომებზე ექიმის პაციენტები უნდა მოეს-  
ვეხებიანთ. კედლებზე მწვანე, ყვავილებიანი შპალერი იყო  
გაკრული და ზედ ორი გრავიურა ეკიდა: „ჟამთა როკვა“ და  
„ნაპოლეონის სიზმარი“. გვქონდა ორი ალაგ-ალაგ გახვრეტი-  
ლი სურათიც. ერთზე პაპაჩემის ძმა, შავ-შავი, ხშირულვაშა  
კაცი იყო გამოხატული. ფრაკზე უშველებელი საყელო ჰქონ-  
და, ყელსახვევიც სანახევროდ უმაღლავდა ნიკაპს და ოქროს  
ძეწკვით დაემაგრებინა. მეორეზე მისი ცოლი ეხატა. თმა  
ძალდა აევარცხნა და დაეხვია, შავი კაბა კი საგულდაგულოდ  
ჰქონდა დახურული. ერთიცა და მეორეც შარლ X-ის მეფობის  
დროს იყვნენ დახატულნი, მათ უდროო სიკვდილამდე რამდე-  
ხიმე ხნით ადრე. ეს გარდასულ დღეთა სახეები ღრმა მწუხარ-  
ებას აღმიძრავდნენ გულში. მაგრამ სასტუმრო ოთახის მთა-  
ვარი სიმდიდრე ბრინჯაოს პატარა ქანდაკებები იყო, განკურ-  
ნებულმა და მადლიერმა ავადმყოფებმა რომ მოართვეს თავი-  
ანთ ექიმს. ხელოვნების ამ ნიმუშთაგან თითოეული მიუქებ-  
ლის ხასიათს ამჟღავნებდა. ზოგი ნაზი და ნარნარი იყო, ზო-  
გიც — პირქუში. ერთმანეთს არც სიდიდით, არც ხასიათით არ  
უხდებოდნენ. კარის ერთ მხარეს, ბულის სტილის პატარა  
მაგიდაზე ყავისფერი ლითონისაგან ჩამოსხმული ვენერა მილო-  
სელი იდგა. მეორე მხარეს ბრინჯაოს ფლორა ღიმილით აბნეც-  
და მოოქრული თუთიის ყვავილებს. ორ ფანჯარას შორის  
შიქელანჯელოს წვეროსანი და რქიანი მოსე იჯდა. აქა-იქ, მაგი-  
დებზე ჩარიგებულიყვნენ ნეაპოლელი ჭაბუკი მეთევზე კიბოთი  
ხელში, მფარველი ანგელოზი, ზეცად ჩვილი ბალდის სულს  
რომ შიპროლებდა, სამშობლოს ბედზე დაფიქრებული მწუ-  
ხარე მინიონი\*, მეფისტოფელი, თავის ღამურის მსგავს ფრთებ-  
ში რომ გახვეულიყო და ლოცვად მდგარი ჟანა დ'არკი. ნახავ-  
დით სპარტაკსაც, ჯაჭვები რომ დაემსხვრია და მუშტმოდე-  
რებული კუშტად იმზირებოდა ბუხრის თავზე მდგარი საათის  
ზემოდან.

რომ გაეწმინდა, ჟიუსტინი გაქუცულ ჯაგრისს დაუზოგა-  
ვად უტყაპუნებდა სურათებსა და ბრინჯაოს ქანდაკებებს. ეს  
ცემა-ტყეპა მაინცდამაინც ვერას აკლებდა ჩემს ბევრის მომს-  
წრე და მნახველ პაპის ძმასა და მის მეუღლეს; ვენერასა და

მოსეს სადა, სავსე ფორმებსაც ბევრს ვერას ავნებდა, მაგრამ თანამედროვე ქანდაკებას კი შავი დღე ადგა. მტერის საწმენდი ჯაგრისის ბუმბული სადღა არ რჩებოდა: ანგელოზის ფრთებსა და კიბოს მარწუხებში, ჟანა დ'არკის ხმლის ქვეშ, მინიონის თმებში, ფლორას გვირგვინში, სპარტაკის ბორკილებში. ჟიუსტიანს არ უყვარდა ეს „ტიკინები“, როგორც თავად ეძახდა ხოლმე; განსაკუთრებით სპარტაკი ჰყავდა ათვალწუნებული. ყველაზე მეტიც იმას ხვდებოდა; ისე მაგრად დასცხებდა ჯაგრისს, რომ ქანდაკება ყანყალს იწყებდა ხოლმე. შებარბაცდებოდა, შეტორტმანდებოდა, გადმოსავარდნად მოიღირებოდა და თავხედი გოგო ლამის ქვეშ დაეტანა. მაშინ ჟიუსტიანი წარბებს შეყრიდა, შუბლზე ძარღვებს დაბერავდა და უყვიროდა: „ტპრუუ“! როგორც საქონელს, ბავშვობაში ბაგაში რომ შედენიდა ხოლმე. მერე ერთსაც გაულაწუნებდა და ისევ თავის ადგილას აბრუნებდა.

ამ დღენიდან ბრძოლებში ჯაგრისს მთელი ბუმბული შემოეფახტა. მას უკან ჟიუსტიანი მტვერს სპილენძის სახელურითა და შიშველი ჯოხით წშენდა. ასეთი მოპყრობით მფარველმა ახგელოზმა ცალი ფრთა დაკარგა, ჟანა დ'არკმა — თავისი ხმალი, ჭაბუკმა შეთევვებ — კიბო, მინიონმა — თმის კულული, ფლორამ — ყვავილები. ჟიუსტიანი ამას არ შეუშფოთებია; მაგრამ ხახდახან, როცა ამ გაპარტახებას ნახავდა, ეს ახალგაზრდა ტურენელი გოგო, ხელში თავისი ჯაგრისის ტარი მაგრად რომ ჩაებლუჯა, წამით ჩაფიქრდებოდა და ნაღვლიანი ღიმილით იტყოდა: მაინც რა აზიზები ყოფილხართ, თქვე ჩემი ცოდვით სავსეობო.

## X X V I I I

### ათასი ცხოვრებით სიცოცხლე

ჟიუსტინთან ყოფნა ჩემს დღეში არ მწყინდებოდა. დედა აბობდა, მეტიმეტს შერებო. ამ ამბის მიზეზთა ძებნა რომ დავიწყო, ბევრ რასმე ვნახავ ისეთს, რაც ჩემს უცოდველობასა და გულუბრყვილობას მოწმობს. ბავშვური მიმნდობლობა, მეგობრობის წყურვილი, მხიარული და მომცინარი ბუნება,

გულკეთილობა მისკენ მიბიძგებდნენ; მაგრამ ტროგლოდიტების ასული სხვა, ჩემთვის ნაკლებ სასახლო მიზეზთა გამოც მიზიდავდა. საქმე ის გახლავთ, რომ ცოტა ბრიყვი, ანუ, როგორც ძელანი ამბობდა, ცოტა აბდალი მეგონა, მოუაზრებელი და, რაღა თქმა უნდა, ჩემზე ნაკლებ ჭკვიანიც. ამიტომ მის სიახლოვეს თავმოყვარეობა საესებით დაკმაყოფილებული მქონდა. სიხარულით ცას ვეწეოდი, როცა რამეს ვუსწორებდი ან ვასწავლიდი ხოლმე. იქნებ ამ საქმეში დიდ შემწყნარებლობას არც კი ვიჩენდი. ბუნებით დამცინავი ვიყავ, ის კი უამრავ რასმე სჩადიოდა სასაცილოს. დიდებას დახარბებული ყოველ ნაბიჯზე ვანახვებდი ჩემს უპირატესობას და მინდოდა ჩემით აღტაცებაში მოსულიყო.

ძახამ ეცდილობდი, თავი მომეწონებინა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ შევნიშნე, რომ აღტაცებას ვილა ჩივის, თურმე ბოთე, უტვინო და სულელ ბიჭად მთვლიდა. არც ლამაზი ვეგონე და არც ღონიერი. მაგრამ როგორ მივუხვდი, როგორ 'შევნიშნე' ჟიუსტინის ეს გრძნობები? როგორ და, თვითონვე მითხრა ყველაფერი. ჟიუსტინმა ყველაფრის პირში მოხლაცოდა. წამში დამარწმუნა, სულაც არ მომწონხარო და მეც იძულებული ვიყავ, ყურად მელო ეს ამბავი. ჩემდა სასახლოდ უნდა გითხრათ, რომ არ გავბრაზებულვარ და არც ჟიუსტინის სიყვარული გამნელებია. ბეჯითად დავიწყე იმის გამოძიება, ამგვარი მსჯავრი რად გამომიტანა-მეთქი და ბოლოს მიზეზსაც მივუხვდი, რადგან, რაც უნდა ეფიქრა ტროგლოდიტების ასულს, მთლად უჭკუოც არ ვიყავ. ახლავე გეტყვით, რაც მოვიფიქრე. თავი და თავი მიზეზი ის გახლდათ, რომ მე ერთი სუსტი, გალეული, ფერმკრთალი ბიჭი ვიყავი და მის ძმა სიმფორიენს, ჩემზე ერთი წლით უმცროსი, მაგრამ ჩემზე ტანადი რომ იყო, სილამაზითაც და ღონითაც ჩამოვუვარდებოდი. ჟიუსტინისათვის რომ გეკითხათ, ბიჭის ჭკუა იმაში გამოიხატებოდა, მკვირცხლი, ღონიერი და ტანადი ყოფილიყო; არ იფიქროთ, ვამტყუნებდე. თანაც, შეიძლება გაგიკვირდეთ, ამ უწიგნურ გოგოს ასეთი აზრი რად დაეზადაო, უვიცად მივაჩნდი. თუმცა არას მეუბნებოდა, კარგად ვამჩნევდი, უკვირდა, რომ ჩემი ხნის ბიჭმა არ ვიცოდი ცხოველების ზნე-ხასიათი და იმგვარი რამეები, რაც მის ძმა სიმფორიენს უკვე

რახანია შეთვისებული ჰქონდა. ჩემი ეს უმეცრება სასაცილოდ ეჩვენებოდა, რადგან თუმცა პატიოსანი გოგო კი იყო, მაგრამ გულუბრყვილო სულ არ გახლდათ და გულუბრყვილობას არც სხვას აპატიებდა. დაბოლოს, თუმცა თვითონაც, როგორც თავად იტყოდა, მუცლის გასტკლევამდე შეეძლო ეკისკისა; ფიქრობდა, მთლად ჩერჩეტი უნდა ყოფილიყო კაცი, ჩემსავით წამდაუწუმ რომ ეცინა. მისთვის რომ გეკითხათ, ეს იმას მოწმობდა, რომ ცხოვრებისა არა გამეგებოდა რა; ცხოვრება სასაცილო არ იყო და რაკი ვიცინოდი, უგულობას მწამებდა. აი, მოკლედ, ის მიზეზები, რომელთა გამოც ჟიუსტინი თვლიდა, რომ ჰკუა-გონების ნატამალიც კი არ გამაჩნდა. საპატიო მიზეზები იყო და არც გაემტყუნებოდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბევრი რამის გაგების უნარი შემწევდა. მაგრამ, რაც მართალია, მართალია, ზოგჯერ უმსგავსადაც ვიქცეოდი.

ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია. აი, ერთი მათგანიც. თუ არ ვცდები, ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა ჟიუსტინი ახალი დამდგარი იყო ჩვენთან.

ვარდებიან ოთახში, თაროზე, მწვანეყდიანი, სურათებით სავსე წიგნები ეწყო. ამ წიგნებს ჩემი ტკბილი დედიკო ხანდახან მეც მაძლევდა წასაკითხად. ეს „ბავშვების მეგობარი“ გახლდათ. ბერკენის მოთხრობებს ძველ საფრანგეთში გადაყავდი და იმ გარდასულ დღეთა ზნე-ჩვეულებებს მასწავლიდა. იქ, სხვათა შორის, ერთი ათი წლის თავადის ამბავსაც წავაწყდი, ხმაღს რომ ატარებდა და უმაღვე ზედ გაივლებდა ხოლმე ხელს, როცა სოფლის ბიჭბუჭებს წაეკიდებოდა. მაგრამ ერთ დღეს ხმაღი რომ იშიშვლა, ფოლადის ნაცვლად ხელში ფარ-შევანგის ფრთა შერჩა. ხმაღის პირი ფრთით მის ბრძენ აღმზრდელს შეეცვალა. წარმოიდგინეთ მისი სირცხვილი და გაკვირვება. ის დღე იყო და ის დღე, აღარ ამპარტავნობდა და აღარც საჩხუბრად იწევდა. ამ ძველისძველ ამბებს ჩემთვის სინედლე ახლდა. ვკითხულობდი და ნეტარების ცრემლები მცვიოდა. მახსოვს, ერთ დღით წავიკითხე ამბები ორი ქანდარმისა, რომელთაც გული ამიჩუყეს თავიანთი კეთილი ქცევითა და თავდადებით. მახსოვს, რაღაცაში შეეწიენ ღარიბ გლეხებს, რომელთაც მათ ვახშამი აჭამეს. და რადგან მასპინძლებს თეფშები არ ეყოთ, კეთილმა ქანდარმებმა თავიანთი წილი ყაურმა

პურზე დაისხეს და ისე მიირთვეს. მათმა ამ ქცევამ ისე მომ-  
ხიბლა, რომ გადავწყვიტე, მეც მათთვის მიმებაძა და საუზმე-  
ზე ყური არ ვათხოვე დედის დარიგებას, გავჯიუტდი და ბატ-  
კნის რაგუ პურზე დავისხი და ისე დავუწყე ჭამა. წვენი გულზე  
გაღაძმესხა, დედამ მწარედ დამტუქსა, უიუსტინმა კი თანაგრ-  
ძნობით შემომხედა.

ეს უმნიშვნელო ამბავი გახლდათ. სხვა, მეორეც მახსოვს,  
რომელიც ამას ჩამოჰგავს, მეტი მნიშვნელობაც არ უნდა  
ჰქონდეს, მაგრამ მაინც გიამბობთ, რადგან ჩემს თბრობაში  
სიდიადეს კი არ დავეძებ, არამედ სიმართლეს.

ბერკენს ხომ ვკითხულობდი და ვკითხულობდი; ბუიითაც  
ნაკლებ როდი ვიყავ გატაცებული. ბუიი ბერკენივით ძველი  
არ იყო, მაგრამ ნაკლებ გულის ამაჩუყებელი როდი გახლდათ.  
მან პატარა ლიზა გამაცნო, რომელიც თავის ბელურას წერი-  
ლებს ატანდა ქალბატონ ჰელვეციუსთან და სთხოვდა, ამა და  
ამ გაჭირვებულ ოჯახს შეეწიეთო. ეს ლიზა ძალიან შემეყვარ-  
და, სიზმრადაც კი მეღანდებოდა ხოლმე. ჩემს ტკბილ დედი-  
კოს კიდევაც ვკითხე, ნეტა კიდევ თუ ცოცხალია-მეთქი. დედამ  
ძიპასუნა, თუ ცოცხალია, ძალზე მოხუცდებოდაო. ჭკუას  
ვკარგავდი ბუიის პატარა ობოლ ბიჭუნედაც, ავტორი ძალზე  
შომძხივლელი თვისებებით რომ ამკობდა. ეს ბიჭი ძალზე  
უბედური იყო, სახლ-კარი არ ჰქონდა და თითქმის შიშველი  
დაიარებოდა. მერე ერთმა მოხუცმა მეცნიერმა აიყვანა. თავის  
ბიბლიოთეკაში ამუშავებდა და თავის გამონაცვალ თბილ  
ტანსაცმელსაც აძლევდა. ბიჭს ტანსაცმელი გრძელი მოსდიო-  
და და ცოტათი უმოკლებდნენ ხოლმე. ჩემზე სწორედ ამან  
შოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება! ქვეყნად აღარაფერი  
მქონდა სანატრელი გარდა იმისა, რომ ბუიის პატარა ობოლი  
ბიჭივით ვყოფილიყავ ჩაცმულ-დახურული, ე. ი. მამაკაცის  
გამონაცვალი ტანსაცმელი მცმოდა. მამაჩემს ვთხოვე, რამე  
გადმომიგდე-მეთქი, ნათლიასაც დაველრიჯე, მაგრამ ორთავე  
მასხრად მიგდებდა. ერთ დღეს, როცა შინ ჩემს მეტი არავინ  
იყო, კარადაში ერთი რედინგოტი მოვიხელთე. საკმაოდ ძველი  
მეჩვენა; მაშინვე გადავიცვი და სარკეში ჩავიხედე. კალთები  
იატაკზე დამთრევდა და სახელოებშიაც თითები აღარ მიჩანდა.  
აქამდე რაც მოვიმოქმედე, დიდ დანაშაულად არ ჩამეთვლებო-

და, მაგრამ მე მგონი, მოთხრობაში აღწერილ ამბავთან უფრო ახლოს რომ მივსულიყავ, ამ რელინგოტს აქა-იქ მაკრატელიც გავუსვ-გამოვუსვი. ეს საქციელი ძვირად დამიჯდა. მამიდა შოსონმა არც აცია, არც აცხელა და წამხდარი ბავშვიაო, შემწამა. დედაჩემმაც მწარედ დამტუქსა ამ უშნო წამხედურობისათვის, როგორც თავად ამბობდა. ჩემი არავის ესმოდა. მე ხან ჟანდარში მინდოდა ვყოფილიყავი ბერკენის მოთხრობის გმირივით, ხანაც ბუიის ობოლი ბიჭი. მინდოდა, სხვადასხვა გმირის ტყავში შევმძვრალიყავ, ბევრის ცხოვრებით მეცხოვრა. მწვავედა სურვილი თავს განვდგომოდი, სხვად ვქცეულიყავ, ათას, ათი ათას სხვად, მთელ კაცობრიობად, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ყველა სულდგმულად და მთელ ბუნებად. ყოველივე ამისგან დღესაც შემომჩჩა იშვიათი უნარი სხვების გაგებისა. მე ძალიან კარგად, ხანდახან მეტისმეტად კარგადაც მესმის ის გრძნობები და მოსაზრებანი, ჩემს საზიანოდ რომ მოუმარჯვებიათ.

ამ ბოლო შემთხვევამ ყიუსტინი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ყეყეჩი ვიყავი. ტურენელ გოგოს ბევრი აღარ უფიქრია და ავზნიან იდიოტად მომნათლა.

როცა ჯვაროსნულ ლაშქრობათა ამბები შევიტყვე, ქრისტიან ბაროხთა საგმირო საქმეებმა აღტაცებაში მომიყვანა. სანაჰებოა, როცა შენი სათაყვანო გმირების მიბაძვა გწადია. რაც შეიძლება მეტად რომ ვგვანებოდი გოდფრუა დე ბუიონს\*, ჯავშან-ჩაჩქანი გავიკეთე მუყაოსაგან და ზედ ვერცხლის ქაღალდი შემოვაწებე, რომლითაც შოკოლადს ახვევენ ხოლმე. და თუ ვიხბე შიკიჟინებს, ასეთი საჭურველი XII და XIII საუკუნეების ჯაჭვის პერანგებს უფრო ნაკლებ მოჰგავს, ვიდრე XV საუკუნის მეომართა ჯავშანსო, თამამად გიპასუხებთ, ამ დარგში ცნობილი მხატვრებიც კი ბევრს სცოდავენ... მთავარი ჩემს საჭურველში, როგორც ახლავე დაინახავთ, ორლესული ჩუგლუგი იყო, მუყაოსაგან რომ მქონდა გამოჭრილი და ძველი ქოლგის ტარზე დამაგრებული. ასე აღჭურვილმა სამხარეულოს შევუტეე, რომელიც, ჩემის ჭკუით, იერუსალიმს წარმოადგენდა და ჩემი ჩუგლუგი ყიუსტინს დავცხე. ყიუსტინი ლუმელს ანთებდა და არ კი უწყოდა, რომ ჩემს თვალში ურჯულო სარაციანი იყო. რწმენამ ფრთა შემასხა და ძალა ვამი-



ათკეცა. ჟიუსტინი დიდი აზიზი გოგო არ ყოფილა და როგორც თავად იტყოდა ხოლმე, საკმაოდ სქელკანიანიც გახლდათ; ჩემს თავდასხმას მშვიდად შეხვდებოდა, ჩუგლუგი მის გლებურ ჩაჩს რომ არ მოსდებოდა. ეს ჩაჩი მისთვის უსაზღვროდ ძვირფასი რამ იყო. მარტო იმიტომ კი არა, რომ ბევრი მაქმანი ჰქონდა და ლამაზად მოყვანილი იყო, არამედ სულ სხვა, ღრმა და იღუმალ მიზეზთა გამო... ეთაყვანებოდა, როგორც მისი სოფლის სიმბოლოს, სამშობლოს სიმბოლოს, როგორც ნიშანს სათაყვანებელი მიწის ასულისა. ერთი სიტყვით, უზენაეს რამედ მიიჩნევდა, წმიდათაწმიდა რამედ. და აი, მე უკადრისად მოვგლიჯე თავიდან! თავისი ყურით გაიგონა, ჩაჩმა ფხრეწა როგორ გაადინა. თან ჩემდაუნებურად სხვა, უფრო უარესი რამეც ჩავიდინე. ჟიუსტინს შინიონი დავუშალე. ის კი თავისი თმის ვარცხნილობას ხელშეუხებლად თვლიდა. შმაგი სიმორცხვით აღევნებდა თვალს, რომ არათერს, არც დედის ხელს, არც ნიავის შემობერვას არ შეერხია მისი დატყეპხილი თმების და თხელი ნაწნავების მკაცრი და, კაცმა რომ თქვას, მეტისმეტად გონჯი სიმეტრია. ვერასოდეს, ვერავითარ ვითარებაში ვერ ნახავდით დაუვარცხნელს. ვერც მაშინ, როცა ავადმყოფობამ ექვსი კვირით ლოგინს მიაჯაჭვა და დედა ყოველდღე შედიოდა მის ოთახში მის მოსაგლეღად, ვერც იმ დამეს, როცა დაიძახეს, სახლს ცეცხლი გაუჩნდაო და ყველა თავზარდაცემული გაცვივდით ეზოში. ჟიუსტინიც გამოვარდა შვეიცარიის თვალწინ ფეხშიშველა, პერანგისამარა, თმა კი საგულდაგულოდ ჰქონდა დავარცხნილი. ამ ურყევი წესრიგის შენარჩუნებას თავისი ღირსების, ღიდებისა და სათნოების საქმედ მიიჩნევდა. ერთი ღერი თმაც რომ ჩამოვარდნოდა, თავს სახელგატეხილად ჩათვლიდა. როცა ჩაჩზე და თმებზე მოვდე ჩუგლუგი, ჟიუსტინი აკანკალდა და თავზე იტაცა ორთავ ხელი. ჯერ საბოლოოდ არ სჯეროდა თავისი უბედურება. სამჯერ მაინც მოისვა კეფაზე ხელი, რომ დარწმუნებულიყო, ჩაჩი ნეტა თუ მართლა გამხვეია და თმაც დამშლიაო. სიმართლეს სად წაუვიდოდა, მაქმანებში ისეთი ხვრელი გაჩენილიყო, რომ თითი ადვილად გაეტეოდა, შინიონიდანაც ერთი ბლუჯა თმა გადმოვარდნოდა, ვირთხის კუდივით სქელი და გრძელი. მაშინ კი უზომო ნაღველმა მოიცვა ჟიუსტინის სული.

— სულ წავალ აქედან! — შეპყვირა უბედურმა და საშინე-  
ლი შეურაცხყოფისათვის საზღაურიც არ უთხოვია, სასაყვე-  
დურო სიტყვაც არ დასცდენია, ერთიც არ შემოუხედავს,  
სამზარეულოდან ისე გავარდა.

დედამ ბევრი იწვალა და ძლივს გადაათქმევინა წასვლა.  
ცხადია, არ დაიშლიდა და ეს ტროგლოდიტების ასული წინ-  
საფარს ხელახლა არ აიფარებდა, დიდი ხნის ფიქრის შემდეგ  
რომ არ დაესკვნა, ახალგაზრდა ბატონმა რაც ჩაიღინა, უფრო  
სიბრიყვით მოუვიდა, ვინემ სიბოროტითო.

## X X I X

### მადმუაჲალ მერელი

იმხანად, თუ გრძნობა არ მატყუებს, მალაქეს თვალწარ-  
მტაც სანაპიროზე ცხოვრების დიდი სიხარული, სულდგმულთა  
და საგანთა გულითადი, შინაურული დამოკიდებულება და  
მადლი სუფევდა, რომელთა მსგავსსაც დღეს ვერსად შეხვდე-  
ბით. ან იქნებ ჩემი ბავშვური სიყვარული იყო, ასე რომ აახ-  
ლოებდა ამ ადამიანებს, ცხოველებსა და საგნებს. ასე იყო თუ  
ისე, ჩემი მშობლიური სახლის ეზოში დილდლილობით ნახავ-  
დით ბერძნული ჩაჩითა და საშინაო კუბოკრული ხალათით  
მორთული ბატონი ბელაგე როგორ ემასლაათებოდა ბატონ  
მორენს, მეზობელი სახლის შვეიცარსა და დეპუტატთა პალა-  
ტის წევრს. ვისაც ისინი ერთად არ უნახავს, კარგ სანახაობას  
გამოჰკლებია: რადგან ორთავე ერთად წარმოადგენდა მთელ  
რეჟიმს — სამმა სახელოვანმა დღემ რომ დააფუძნა. თუმცა  
ამ უბედურების გამოსწორება შეიძლება; ამ პერსონაჲებს  
ხშირად შეხვდებით დომიეს ლითოგრაფიებში. მაშინ ყველა  
იცნობდა ერთმანეთს და დედაჩემიც, როცა ნაშუადღევის სამ  
საათზე ფანჯარასთან იჯდა რეზედას ქოთნის უკან და კერავდა,  
შემინულ შემოსასვლელს რომ გახედავდა, იტყოდა:

— აი, მადმუაჲელ მერელი მიდის ბატონ ბელაგესთან, მის  
შვილიშვილს გრამატიკის გაკვეთილი რომ ჩაუტაროს. მშვე-  
ნიერი რამაა ეს მადმუაჲელ მერელი, საუცხოო მანერები აქვს.

ყველას ეს ეკერა პირზე, მადმუაზელ მერელს საუცხოო მანერები აქვს და ჰუდამ კარგად აცვიაო. მისი ტანსაცმლის აღწერისას თუ არ გავფრთხილდი, დღევანდელ კაბებს დაგიხატავთ. მე მგონი, ყველას ეს სენი გვკვირს: დრო მიდის და ჩვენც ჩვენს მეხსიერებაში ახალ მოდაზე ვაწყობთ იმ ყმაწვილ ქალებს, ოდესღაც რომ ვეტრფოდით. თეატრებშიც ასე იქცევიან, როცა ისეთ პიესას დგამენ, ათი, თხუთმეტი, ან ოცი წლის წინანდელ ამბებზე რომ მოგვითხრობს; გმირი ქალის ჩაცმულობას მუდამ თანამედროვე გემოვნებას უთანხმებენ ხოლმე. მაგრამ მე ისტორიული ალლო მაქვს და წარსულის ტრფიალიც გახლავართ. მე თავს შევიკავებ იმგვარი გაახალგაზრდავებისაგან, რომელიც ამახინჯებს წარსულის სახეს და ვიტყვი, რომ მადმუაზელ მერელს, როცა ოცდაექვსი თუ ოცდაშვიდი წლისა იყო, ბუფებიანი კაბა ეცვა, ქვედაწელიც დღევანდლებისაგან განსხვავებით ბოლოში უგანიერდებოდა. მხრებზე ქიშმირის შალი ეხვია და როგორც ამბობდნენ, ტანი კრაზანის ტანს ძიუგავდა. დამავიწყდა მეთქვა, რომ თმა კულულებად ჰქონდა დახვეული, ლოყებს რომ შემოსჯარვოდნენ თავიანთი ოქროსფერი დალალებით; თავზე ხავერდის ან იტალიური ჩალის ქუდი ეხურა იმისდა მიხედვით, თუ წელიწადის რა დრო იყო; ამ ქუდს კაპორს ეძახდნენ და სახეს სანახევროდ უფარავდა. მოკლედ, მოდაზე იყო ჩაცმული.

მაშინ რვა წლისა გახლდით. ბევრი არაფერი ვიცოდით, მაგრამ რაც ვიცოდით, საგულდაგულოდ მქონდა შეთვისებული; დედა მასწავლიდა ყველაფერს. შემეძლო წერა, კითხვა და ახგარიში. ჩემი ხნის ბიჭისათვის ძალიან კარგად ვწერდი, ოღონდ მიმღეობებისა არაფერი გამეგებოდა. მიმღეობები თურმე დედაჩემსაც ზარავდა ბავშვობაში და ეს შიში მერეც არ განელებია. ამიტომაც იკავებდა თავს და არ უნდოდა გამძლოლოდა გრამატიკის იმ ბილიკებზე, სადაც შეიძლებოდა თვითონაც გზა დაკარგვოდა. თავისი სიკეთის წყალობით მხოლოდ დედაჩემს მივაჩნდი ჰკვიანად; დანარჩენების, თვით მამაჩემისა და ჩემი ძიძის თვალშიც კი, საკმაოდ გონებაშეზღუდულ ბავშვად ვითვლებოდი, თუმცა ზოგ-ზოგ რამეებში საზრიანობასაც ვიჩენდი, მაგრამ ეს საზრიანობა სხვა ბავშვების საზრიანობისაგან განსხვავდებოდა. ის უფრო

გონებაჰკვრეტითი იყო და რაკი სხედასხვა, განსხვავებულ საგნებს ეხებოდა, ნაკლებად მტკიცე და ნაკლებად თავმოყრილი ჩანდა. ჩემი მშობლებისათვის რომ გეკითხათ, ძალიან პატარა და ძალიან სუსტი ვიყავ საიმისოდ, რომ პანსიონში ზივებარებინეთ, უბნის პატარა სკოლებში კი უსუფთაობა სუფევს და მოუწესრიგებელი არისო, ფიქრობდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ. მამას მარე-სენ-ეერმენის ერთ სკოლაში თავისი თვალით უნახავს აყროლებულ, მეღნით მოთხუპნულ და მტვრით გაბუქულ ბინძურ ოთახში აპობლექსიური აღნაგობის მასწავლებელს — ქონი და ბრაზი რომ ახრჩობდა — როგორ დაეჩოქებინა კათედრის წინ თორმეტი ბიჭუნა, დანარჩენებსაც წკეპლებით როგორ ემუქრებოდა და ძალიანაც გააკვირვებია; ეს დანარჩენნი, ოცდაათამდე პატარა ონავარი კი სიცილით, ტირილით, ღრიალით ერთმანეთს თავში ესროდა სამელნეებს, ჩანთებსა და წიგნებს.

ამ ვითარებაში იყო, რომ დედაჩემმა განიზრახა ჩემთვის მასწავლებლად მადმუაზელ მერელი, თვით მადმუაზელ პოლინ მერელი აეყვანა. ეს დიდი და ძნელად შესამართი საქმე იყო. მადმუაზელ მერელი მხოლოდ თავადების, ან ოქროთი გატეხილი ბურჟუების შვილებს ასწავლიდა ხოლმე — მხოლოდ მდიდარ, ან კეთილშობილთა სახლებში დაიარებოდა. მას ჩვენი სახლის პატრონი მოხუცი ბელაგე უწევდა მფარველობას, ეს მდიდარი ფინანსისტი, რომელმაც თავისი ქალიშვილები ვილერაგებსა და მონსეგლებს მიათხოვა და, საეჭვო იყო, ასეთი ქალი უბნის უბრალო ექიმის შვილის სწავლებაზე დათანხმებულიყო. მამაჩემი ხომ ღარიბი კაცი იყო, მკურნალობისთვის გასამრჩელოს მიღებაც ჭირის დღესავით ეჭავრებოდა, რაც, ცხადია, გამდიდრებაში ხელს ვერ შეუწყობდა; თან ბუნებითაც მეოცნებე და მჭკრეტელი იყო; ადამიანის ბედ-იღბალზე ფიქრს ანდომებდა ღროს, რომელიც ნაკლები ნიჭის პატრონსაც კი შეეძლო ოჯახის კეთილდღეობისათვის მოეხმარა. მოკლედ, ექიმი ნოზიერი მხოლოდ აზრებითა და გრძნობებით იყო მდიდარი. მაგრამ ამეებისდა მიუხედავად დედაჩემმა, რაკი მადმუაზელ მერელის ჩემთვის მასწავლებლად აყვანა ამოიჭრა გულში, ქალბატონ მონტეს სთხოვა მოლაპარაკებოდა მადმუაზელ მერელის დედას. ეს ქალბატონი მონტე „პტი-სენ-თომას“

შოლარე იყო, მამაჩემთან მკურნალობდა და მადმუაზელ მერელის დედის შეგობრად ითვლებოდა. მერელის დედა — ღვთისმოსიში ქერივი — მუდამ ცხენის ძუისაგან დაწნულ ხელჩანთას ატარებდა და ისეთი სახე ჰქონდა, თავისი ქალიშვილის ძიძა გეგობებოდათ. ამას განაგონით მოგახსენებთ, თორემ ის ქალი ჩემს დღეში არ მინახავს. ქალბატონმა მონტემ დაიყოლია ახალგაზრდა მასწავლებელი, ჩემთვისაც ესწავლებინა. გაკვეთილები ყოველდღე უხდა გვქონოდა, ასე, პირველიდან ორ საათამდე.

— პიერ, ხვალ მადმუაზელ მერელი პირველ გაკვეთილს ჩაგიტარებს, — მითხრა დედაჩემმა იღუმალი სიხარულით, რომელშიაც ცოტა სიამაყეც გამოსჭვიოდა.

ამ ამბავმა ისე ამაღელვა, რომ კარგა ხანს ვერ დავიძინე. ძილშიაც, მგოხი, მადმუაზელ მერელი მესიზმრებოდა.

შეორე დღეს დედამ საგულდაგულოდ მომკაზმა, დამვარცხხა, თმაზე საცხი გადამისვა. საცხი მერე მე თვითონაც მივიმატე. ხელებსაც ხელახლა დავიბანდი, მაგრამ გამოცდილებით ვიცოდი, ტყუილად გავირჩებოდი — პატარა ბიჭებს როგორადაც უნდა დაბანო ხელები, მაინც ჭუჭყიანი აქვთ.

მადმუაზელ მერელი ზუსტად დანიშნულ დროს მოვიდა და მთელი ბინა ჰელიოტროპის სურნელებით აავსო. დედამ პატარა, ვარდებიან ოთახში შეგვიყვანა, მის ოთახს რომ ესაზღვრებოდა. აქ წითელი ხის ერთფეხა, მრგვალ მაგიდასთან დაგვსხა, დაგვარწმუნა, აქ ხელს არავინ შეგიშლითო და კარი გაიხურა.

წავიდა თუ არა, მადმუაზელ მერელმა მყისვე რუსული ტყავის ერთი ბეწო ჩანთა გახსნა, საწერი ქალაღი და ზღარბის ეკლისაგან ნაკეთები კალმისტარი ამოიღო, ბოლოში პაწაწინა ბურთულა რომ ჰქონდა და წერას შეუდგა. გამალებული წერდა, მხოლოდ დროდადრო ჩერდებოდა და მოლიმარი ქერში იცქირებოდა; მერე ლაფონტენის იგავ-არაკებზე შეაჩერა მხერა, ბედად მაგიდაზე რომ იდო და მითხრა, ახლა ეს წაიკითხეო. ასე ჩაიარა პირველმა გაკვეთილმა და როცა ნამეცადინევს დედამ მკითხა, ხომ კარგად იმუშავეო, ჰო-მეთქი, ვუპასუხე და ნათლად ვერც კი ვხვდებოდი, რომ ვტყუოდი.

შეორე დღეს, როცა კვლავ მაგიდას მიუჯდა, ჩემმა მასწავ-

ლებელმა ისევ იგავის სწავლა მიბრძანა და კვლავ ალტაცებით შეუდგა წერას; ხანდახან ჩერდებოდა ისე, თითქოს, შთაგონებას ელისო და როცა შემთხვევით მისი ლამაზი თვალები მე შემომხედავდნენ, სახე მისი მშვიდსა და ნაზ გულგრილობას გამოხატავდა. მესამე გაკვეთილმაც ასე ჩაიარა; ასე ჩაიარა ყველა დანარჩენმაც. მე თვალებით ვჭამდი ჩემს მასწავლებელს; მთელი ორმოცდახუთი წუთი, რაც გაკვეთილი გრძელდებოდა, მის თვალთაგან მონადენ შუქსა ვსვამდი; მისი გუგები ნამდვილი სასწაული მეგონა. დღესაც კი, ამდენი წლის შემდეგაც მგონია, რომ მართლა სასწაული იყო. თითქოს პარმის იებისაგან იყო შეთხზული; თვალებს უჩრდილებდნენ გრძელი წამწაბები. ეს ლამაზი სახე ახლაც ცოცხალივით მიდგას თვალწინ: მადმუაზელ მერელს ცოტა გაბერილი ნესტოები ჰქონდა, შიგნიდან კნუტის ნოლა ცხვირივით წითელი. ტუჩის კიდევები ოდნავ აწეული ჰქონდა და საულვაშებზე პატარა ღინღლი აჩნდა, რომელსაც ჩემი ბავშვური თვალები გამადიდებელი შუშებივით აღივებდნენ და არჩევდნენ პაწაწინა თმის ღერებს. იმ თავისუფალ დროს, ჩემი მასწავლებელი თავსაყრელად რომ მიტოვებდა, ლაფონტენის იგავების კითხვას კი არ ვანდომებდი, მის მხერაში ვატარებდი და იმის ფიქრში ვიყავ, ნეტა რა წერილებს წერს-მეთქი. თავს ვირწმუნებდი, რომ ნამდვილად სასიყვარულო წერილებს წერდა და არცა ვცდებოდი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ იმხანად მადმუაზელ მერელსა და მე ერთხანრი წარმოდგენა არ გვქონდა სიყვარულზე. მერე იმის ფიქრი დავიწყე, ნეტა ვისა სწერს-მეთქი და გადავწყვიტე, ალბათ სამოთხის ანგელოზებს-მეთქი; იმიტომ კი არა, რომ ეს სიმართლეს ჰგავდა თვით ჩემს თვალშიაც კი; მაგრამ ეს აზრი მანუგეშებდა და შური აღარ მტანჯავდა.

მადმუაზელ მერელს მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს ჩემთვის. მისი ხმა მხოლოდ მაშინ მესმოდა, როცა ნაზი მელანქოლით, ხან კი ალტაცებით თავის რამდენიმე ახლად დაწერილ ფრაზას წაიკითხავდა. აზრს თვალს ვერ ვადევნებდი; მაინც მახსოვს, რომ ლაპარაკობდა ყვავილებზე, ჩიტებზე, ვარსკვლავებზე და სუროზე, რომელიც ზედ აკვდება იმას, რასაც შემოეხვევა. მისი ნარნარი ხმა ჩემი გულის იდუმალ სიმებს აჟღერებდა...

• ჩემი ტკბილი დედოცო, მიმღეობების დიდი შიში და რიდი რომ ჰქონდა, დროდადრო მეკითხებოდა, შენ და შენმა მასწავლებელმა გრამატიკის ამ ადგილს თუ მიაღწიეთო; მისთვის რომ გეკითხათ, ეს ყველაზე ძნელი საკითხი გახლდათ; განსაკუთრებით აწმყოს მიმღეობის ზმნური ზედსართავისაგან გარჩევა ჭირსო, იტყოდა ხოლმე. მეც ორჭოფულად მივეუგდებდი, ისეთნაირად, რომ ჩემს გონიერებაში ეჭვი ეპარებოდა. მაგრამ განა შემეძლო მეთქვა, რომ მადმუაზელ მერელი არაფერს მასწავლიდა და რომ მხოლოდ მისი თვალები, მისი ბაგეები, მისი ქერა თმა, მისი სურნელება მდევდა თან და მარტო მისი სუხთქვა, კაბის შარიშური და ქალაღზე მოსრიალე კალმის წრიპინი მესმოდა?

შევცქეროდი ჩემს მასწავლებელს და არ მწყინდებოდა. განსაკუთრებით მაშინ მხიბლავდა, როცა წერას შეწყვეტდა, ტუჩებზე თავის კალმისტრის ვერცხლის ბურთულას მიიდებდა და ჩაფიქრდებოდა. მოგვიანებით, როცა ნეაპოლის მუზეუმში პომპეუსიდან მოტანილი ნახატი ვნახე — მედალიონზე გამოსახული პოეტი ქალი, მუზა, რომელსაც ამგვარადვე ეჭირა ბაგეებთან სტილეთი, შემაყრყოლა ჩემი ბავშვობის ამ ნეტარების გახსენებაზე<sup>1</sup>.

ღიახ, მე ვეტრფოდი მადმუაზელ მერელს; მის სილამაზეზე არახაკლებ მის გულგრილობას ვცემდი თაყვანს. ეს გულგრილობა უსაზღვრო და ღვთაებრივი რამ მეგონა. ჩემი მასწავლებელი თავის დღეში სიტყვას არ მეტყოდა, არ გამიღიმებდა; მისგან არასოდეს მსმენია ქება, არც ოდესმე დავუტუქსივარ. შეიძლება სულ ცოტათი გულმოწყალებდაც რომ მომქცეოდა, ჯადო გაქრებოდა. მაგრამ იმ ათი თვის განმავლობაში, რაც გაკვეთილები გრძელდებოდა, ჩემდამი ერთი ბეწო ინტერესიც კი არ გამოუჩენია. ხანდახან ბავშვური ალალი გამბედაობით მის საკოცნელად მივიწვევდი; ხელს ვუსვამდი მის ოქროსფერ, ჩიტის ფრთებივით გაკრიალებულ კაბას, მინდოდა კალთაშიაც ჩავჯდომოდი, მაგრამ ისე მიცილებდა თავიდან, როგორც აბე-

<sup>1</sup> უთუოდ მუზა უნდა იყოს. მაგრამ იმავე მუზეუმში პომპეუსის სხვა ნახატიც არის — ხაზაჰ პროკულუსის ცოლი. ხელში საოჯახო დაეთარი უჭირავს. სტილეთი მასაც ასევე აქვს პირთან მიტანილი.

ზარ ფინიას იცილებენ ხოლმე და თავს იმითაც არ იწუხებდა, რომ დავეტუქსე. ამიტომაც, რაკი ვგრძნობდი, რომ ასეთი უკარება იყო, ამ მისწრაფებას იშვიათად ავყოლილვარ. თითქმის მთელი იმ დროის მანძილზე, რაც მის გვერდით გავატარე, ხახვერად გამოთაყვანებული და სანეტაროდ გაბრუებული ვიყავ. რვა წლისამ გამოვცადე, რომ უმაღლეს ნეტარებას აღწევს ის, ვინც სწყვეტს ფიქრს, განსჯასა და სილამაზის ჭვრეტაში ინთქმება; მივხვდი იმასაც, რომ უსაზღვრო ნდობა შიშისა და იბედის გარეშე, თავისი თავი თვითონაც რომ ვერ შეუცვხია, სულსა და გულს მოჰბერავს სრულყოფილ სიხარულს, რადგან თავისავე თავში ჰპოვებს სრულ ნეტარებას. მაგრამ ეს ყოველი გადამავიწყდა, როცა თვრამეტი წლისა შევიქეხი და შემდეგშიაც საბოლოოდ ვეღარ შევითვისე. მადმუაზელ მერელის წინ გაუნძრევლად ვიჩქე ლოყებზე ხელებშემოწყობილი და თვალებგაფართოებული მივჩერებოდი ჩემს მასწავლებელს. ბოლოს, როცა ექსტაზიდან გამოვდიოდი (რადგან ბოლოს მაინც გამოვდიოდი ხოლმე), სხეულისა და გონის გამოღვიძებას იმით აღვნიშნავდი, რომ წიხლებს ვუშენდი მაგიდასა და ლაფონტენის იგავებზე მელანს ვაღვენებდი. მაგრამ მადმუაზელ მერელის ერთი გამოხედვა კვლავ ნეტარ ატარაქსიაში მაგდებდა. ეს გამოხედვა, რომელშიაც არც სიძულვილი სჭვიოდა და არც სიყვარული, კმაროდა ჩემს ასაღამავად.

როცა წავიდოდა, იატაკზე ვიჩოქებდი მისი სკამის წინ. ეს პატარა, იაკარანდის ხის სკამი იყო, ლუი ფილიპის სტილისა, გოთურ სტილობას რომ ჩემულობდა. საზურგე ისრული ჰქონდა და საჯდომზე ატლასი გადაეკრათ. ატლასზე წითელ ბალიშზე შესკუპული ესპანური მეძებარი იყო ამოქარგული. ამ სკამის უკეთესი არაფერი მეგონა, როცა ზედ მადმუაზელ მერელი იჯდა. მაგრამ, სიმართლე თუ გნებავთ, ჩემი გარინდება ცოტა ხანს გრძელდებოდა და ვარდებიანი ოთახიდან ხტუნვა-ხტუნვით, ყიჟინით გამოვვარდებოდი ხოლმე. დედამ მითხრა, არასოდეს ყოფილხარ ისეთი თავაწყვეტილი, როგორც იმ დროსო. ოჯახის ანალებს თუ დავუჭერებთ, ხელმარცხიანობაში ჟიუსტინს ვეჯიბრებოდი. მაშინ, როდესაც ჟიუსტინი სამზარეულოს წყლით წალეკვას უპირებდა, მე ცეცხლს ვუკიდებდი



მწვანე, ჩინურ აბაჟურს, მამაჩემს ოჯახის წევრივით რომ უყვარდა. ხანდახან მე და ჟიუსტინის ერთად გვატყდებოდა თავს უბედურება: ერთ დღეს, მაგალითად, ბოთლებით ხელში სარდაფის კიბეზე დავგორდით, მეორე, ბედნავსიან დღეს კი, როცა ერთად ვრწყავდით ფანჯრის რაფაზე ჩამორიგებულ ყვავილებს, სარწყავი ძირს ჩავგვივარდა და ბატონ ბელაგეს თავში დაეცა. ეს იმ დროს იყო, როცა მეტიმეტი მგზნებარებით საომრად ვაწყობდი ჩემს ტყვიის ჯარისკაცებს სასადილო ოთახის მაგიდაზე, როცა საშინელ ომებს ვმართავდი და ყურს არ ვათხოვებდი ჟიუსტინის ჩივილს; მას კი სუფრის გაშლა ეჩქარებოდა. როცა გავკიუტდებოდი და არ მინდოდა ჩემი მეომრები თავიანთ ყუთში ჩამელაგებინა, ჟიუსტინი ჩემს ყვირილს აღარ დაგიდევდათ, დახვევდა ხელს გამარჯვებულებსაც და დამარცხებულებსაც და თავის წინსაფარში ჩაუძახებდა. ჯავრი რომ მეყარა, ხელსაქმის კოლოფს სამზარეულოს დუმელში ვუმალავდი და სულ იმის ცდაში ვიყავ, ეს უზაკველი გოგო „აბეზარს მომეყვანა“, მოკლედ, ნამდვილი ბალღი ვიყავ, ბიჭური ბიჭი; პატარა, ცოცხალი და მხიარული მხეცუნა. ამეების მიუხედავად მადმუაზელ მერელს ჩემზე ენით უთქმელი გავლენა ჰქონდა; ისე ვყავდი ჯადოთი შეკრული, როგორც არაბულ ზღაპრებშია ნაამბობი.

და აი, ერთ დღეს, ათი თვის ჯადოსნობის თავზე დედამ სადილად მითხრა, შენი მასწავლებელი ხვალიდან აღარ მოვაო.

— მადმუაზელ მერელმაო, — დააყოლა თან, — დღეს მი-თხრა, რომ საკმარისად წავიწევია წინ და შემოდგომას შეგიძლია კოლეჯშიაც შეხვიდე.

ჰოი საოცრებავ! ეს ამბავი არ გამკვირვებია, არც სასოწარ-კვეთილებაში ჩავვარდნილვარ, ის კი არა და, თითქმის სინანულიც კი არ მიგრძნია; ეს ელდა მოულოდნელი არ იყო ჩემთვის. პირიქით, ჩვენება რომ გამქრალიყო, ბუნებრივად ჭიმაჩხდა. მე, ყოველ შემთხვევაში, ასე ვხსნიდი იმ სულიერ სიმშვიდეს, დედის სიტყვებზე რომ არ შემმღვრევია. მადმუაზელ მერელი ისე შორეული იყო ჩემთვის, როცა გვერდით მყავდა, რომ შემეძლო მასთან განშორების ატანა; ესეც არ იყოს, რვა წლის ბაღს სად შეუძლია დიდ სინანულსა და მწუხარებას მისცეს თავი.

— მასწავლებლის წყალობით, — განაგრძო დედაჩემმა, — საკმაოდ კარგად შეითვისე ფრანგული გრამატიკა; ახლა შეგიძლია ლათინურის შესწავლას მიჰყო ხელი. მე ძალიან მადლიერი ვარ მისი, მიმღეობის ხმარების წესი რომ აგიხსნა. ჩვენს ეხაში ამაზე ძნელი არაფერია და მე საუბედუროდ ვერასდროს ვერ დავძლიე, რადგან იმთავითვე სწორ გზას ვერ დავადექი.

ჩემი ტკბილი დედიკო ცდებოდა. არა, მადმუაზელ მერელს ჩემთვის მიმღეობის ხმარების წესი არ უსწავლებია, მაგრამ უფრო საგულისხმო ჰეშმარიტებანი დამანახვა. გამიმჟღავნა უფრო სასარგებლო საიდუმლოებანი; მან ქალურ სიტურფესა და სინარხარეს მაზიარა; თავისი გულგრილობით მასწავლა, როგორ უნდა თუნდაც უგრძობელი და შორეული სილამაზით დატკობა, მასწავლა უნგარო სიყვარული, ეს კი მთელი ხელოვნებაა, რომელიც ხანდახან ძალიან სასარგებლოა ცხოვრებაში.

მადმუაზელ მერელის ამბავი აქ უნდა დამემთავრებინა. რა ვიცი, რა მავნე სული მეწევა, რა მრჯის ბოლოში გავაფუქო იგი. რაკი ეს მიწერია, იმას მაინც ვეცდები, მრავალსიტყვაობას არ მოვყვე. მადმუაზელ მერელი ბოლომდე მასწავლებლად არ დარჩენილა. კომოს ტბაზე წავიდა საცხოვრებლად ახალგაზრდა ვილერაგთან, რომელმაც აღარ ითხოვა იგი და ბიძამისს შერთო; ასე რომ, მისი ბედი ამ მხრივ ლედი ჰამილტონის ბედს ჩამოჰგავს. მაგრამ მისმა ცხოვრებამ უფრო წყხარად და შეუმჩნევლად განვლო. მე ბევრჯერ მომეცა შემთხვევა ხელახლა შენახა, მაგრამ საგანგებოდ გავურბოდი ამ შეხვედრას.

## X X X

### წმილათაწმილა სიუზანა

დაახლოებით იმავე ხანებში, ზაფხულის ერთი მშვენიერი დღის მიწურულს ფანჯარასთან ვიჯექ და სურათებიან ბიბლიას ვფურცლავდი. ძალიან ძველი წიგნი იყო, მთლად დაფურცლული, რომლის მდიდრული, მკაცრი სტილით შესრულებული ესტამპები ხანდახან მაოცებდა, მაგრამ არ მხიბლავდა, რადგან

აკლდათ ის სინაზე, ურომლისოდაც არაფერზე მიმსვლია გული. მხოლოდ ერთი მომწონდა. ზედ პაწაწინა ქუდიანი ქალი იყო გამოხატული. შუბლზე თმები გადაეტკიცა, ყურებზე კულულებად გაეშალა, კეფაზე კი შინიონად დაემაგრებინა. მაქმანების საყელო ჰქონდა, ლუი XIII-ის დროინდელ მოდაზე იყო შორთულ-მოკაზმული. იტალიური ყაიდის ტერასაზე იდგა და იესო ქრისტეს წყლიან სირჩას უწვდიდა. ვუსტქეროდი ამ ქალს, მე რომ ლამაზი მეჩვენებოდა, ვფიქრობდი ამ იღუმალეებით მოცულ სცენაზე და ყველაზე მეტად ის ნატიფად მოყვანილი, თლილფეხიანი სირჩა მომწონდა. იმის ნატვრაში ვიყავ, ერთი ასეთი ჭიქა მეც მომცა-მეთქი, როცა ჩემმა ტკბილმა დედიკომ მიხმო და მითხრა:

— პიერ, ხვალ მელანის სანახავად წავალთ. ხომ გინარია, შვილო?

დიახ, მიხაროდა. უკვე ორ წელზე მეტი იყო, რაც მელანი წავიდა ჩვენგან და თავის ძმისწულთან დასაბლდა, ყუი-ან-ჟოზაში ფერმა რომ ჰქონდა გამართული. ჯერ გაშმაგებით მინდოდა ჩემი შოხუცი გამდელის ნახვა, დედას ვეპუდარებოდი, წამიყვანე და მაჩვენე-მეთქი. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ეს სურვილი თანდათან ცხრებოდა; ახლა უკვე შეჩვეული ვიყავ უიმი-სობასა და ხანთან ერთად მისი ხსოვნაც თანდათანობით იშლებოდა ჩემს გულში. დიახ, კმაყოფილი ვიყავ, მაგრამ, სიმართლე თუ გხედავთ, ყველაზე უფრო მომავალი მოგზაურობა მახარებდა. მუხლებზე გადაშლილი ჩემი ძველი ბიბლია მედო, მელანიზე ვფიქრობდი, ვცდილობდი, წინანდებურად მყვარებოდა. ვუხმე მის ხსოვნას გულის სიღრმიდან, სადაც იყო შეხიზხული, გაეწმინდე, გავაკრიალე და მივალწიე იმას, რომ, ცხადია, ცოტა ნახმარი, მაგრამ სუფთა რამ საგნის სახე მივეცი.

სადილად დავინახე, რომ დედაჩემი უბრალო ჭიქით სვამდა ღვინოს და ვუთხარი:

— დედა, როცა გავიზრდები, ლამაზ, ყვავილების ლარნაკით გრძელ სირჩას გაჩუქებ; ზუსტად ისეთს, როგორითაც ძველ სურათზე გამოხატული ერთი ქალი ასმევს იესო ქრისტეს.

— წინასწარ გინდი მადლობას, პიერ, — მიპასუხა დედაჩემმა, — მაგრამ სჯობს იმაზე ვიფიქროთ, რომ საწყალ მოხუც

მელანისათვის ნამცხვრის წაღება არ დაგვაეწიყდეს; ტკბილეული ძალიან უყვარს.

ვერსალამდე რკინიგზით მივედით. ბაქანზე ერთი კოჭლ-ცხენშებმული ორთვალა გველოდა. მას ერთი ხისფეხა ბიჭი მართავდა. ჩაგვისწა და გზას გაგვიყენა. ჯერ ველი გადაგვატარა, რომელზედაც ნაკადულები მირაკრაკებდნენ, მერე ყანები და ხენილის ბაღები, რომელთაც გარს დაბურული ტყეები ეკრათ.

— ლამაზი გზაა, — თქვა დედაჩემმა, — გაზაფხულზე კი უთუოდ უფრო ლამაზი იქნებოდა, როცა ვაშლის, ალუბლისა და ატმის ხეები თეთრ-ვარდისფრად იყვნენ გადაპენტილნი. მაგრამ მაშინ ბალახებიდან მხოლოდ მორცხვი და ფერმკრთალი ბაია და ველის ზიზილა იმზირებოდა. ახლა კი, შეხედე: ზაფხულის ყვავილები უფრო თამამები არიან და მზეზე ათასფრად აელვარებულან. ეს ჭიოტებია, ეს ღიღილოები, ეს დეზურები, ეს ყაყაჩოები.

მე აღტაცებული ვიყავი ამ სანახაობით. ფერმას რომ მივადექით, ეზოში ქალბატონი დენიზო დაგვხვდა; ნეხვის გროვასთან იდგა ფიწლით ხელში.

ერთ გაჭვარტლულ ოთახში შეგვიყვანა, სადაც ბუხრის პირას, ხის უშნოდ გამორანდულ სავარძელში მელანი იჯდა და ლურჯ შალსა ქსოვდა. გარს ბუხრების გუნდი ეხვია ბზუილით. კერიაზე კარდალა ჩუხჩუხებდა. ჩვენს მისვლაზე მელანიმ წაძოდგომა სცადა. დედამ ალერსით აუქნია ხელი და არ დაანება. ერთმანეთს გადავეხვიეთ. ტუჩები მეფლობოდა მის რბილ, დამკვნარ ლოყებში. ტუჩებს აცმატუნებდა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა.

— საწყალი მოხუცი, ლაპარაკს გადაეჩვია, — გვითხრა ქალბატონმა დენიზომ, — ეს არცაა გასაკვირი. აქ ხმის გამტეში თითქმის არავინა ჰყავს.

მელანიმ წინსაფრის კუთხით მოიწმინდა მონისლული თვალები, გაგვიღიმა და ენაც ამოიდგა:

— დმერთო ჩემო, ნუთუ ეს თქვენა ხართ, ქალბატონო ნოზიერ? სულ არ გამოცვლილხართ. თქვენი პატარა პიერი კი როგორ გაზდილა! ველარც კი იცნობ... ვენაცვალე, ყველას სამარეში ჩაგვლაღავს...

შერე მამაჩემი მოიკითხა. ლამაზი კაცია და ღარიბებიც ებრალებო; მამიდაჩემი შოსონიც არ დავიწყებია. ტყუილ-უბრალოდ ქინძისთავსაც კი არ დაკარგავს, ბარაქალა მის ქალობას, ასეთი ყაირათიანობა ქების ღირსიაო. კეთილი ქალბატონი ლაროკიც გაიხსენა, მე მურაბიან ნამცხვრებს რომ მაჭმევდა და მისი თუთიყუში ნავარენიც, ერთხელ თითზე რომ მიკბინა და სისხლი მადინა. იკითხა, ბატონ დანკენს, პიერის ნათლიას, ისევ თუ უყვარს კალმახი, ან ქალბატონმა კომონმა უფროსი ქალი თუ გაათხოვაო. კითხვა კითხვაზე მოგვაყარა და პასუხს არც კი დალოდებია, ისევ თავის ხელსაქმეს მოჰკიდა ხელი.

— რასა ქსოვთ, მელანი? — ჰკითხა დედაჩემმა.

— ჩემს ძმისწულს ვუქსოვ კაბას.

ძმისწულმა მხრები აიჩეჩა და ხმამაღლა თქვა:

— თვლები უცვრედება და აღარ ამოჰყავს; ნაქსოვიც თანდათან ვიწროვდება და ვიწროვდება. ტყუილად აფუჭებს ძაფს.

ბატონმა დენიზომ საბოები ზღურბლზე გაიძრო, ოთახში შემოვიდა და თავი დაგვიკრა.

— ქალბატონო ნოზიერ, — უთხრა დედაჩემს, — ხომ თქვენნი თვალითა ხედავთ, რომ მოხუცს არაფერი აკლია.

— ძალიან ძვირი კი გვიჯდება, — ჩაურთო მისმა ცოლმა.

მე გადავხედე ქსოვაში გართულ მელანის, და გული მეტკიხა იმის გამო, რომ „ძაფს ტყუილად აფუჭებდა“. მის სათვალეს ცალი შუშალა შერჩენოდა; ისიც სამად იყო გაბზარული, მაგრამ მელანის, ეტყობოდა, ეს სულაც არ აწუხებდა.

გულითადი მეგობრებივით კი ვსაუბრობდით, მაგრამ სათქმელი ბევრი არაფერი გვექონდა. სულ ჰკუთხას მარიგებდა: დედამას პატივი უნდა სცე, პურის ნატეხი თავის ღლეში არ უნდა გადაავდო, უნდა ისწავლო, რომ სასახელო კაცი დადგეო. ძომწყინდა და საუბარი სხვა საგანზე გადავიტანე; ვუთხარი, ზოოპარკში რომ სპილო იყო, მოკვდა, სამაგიეროდ, მარტორქა მოიყვანეს-მეთქი.

მაშინ გაეცინა და მითხრა:

— ქალბატონი სენტ-ლუისი გამახსენდა, ჩემს ყმაწვილქალობაში მოახლედ რომ ვედექ და იმაზე მეცინება: ერთხელ საბაზრო შოედანზე წასულა მარტორქის სანახავად; თურქულ

ტახსაცმელში გამოწყობილ სქელ კაცს მიადგა და ჰკითხა, მარტორქა თქვენ ხომ არა ხართო. არაო, უბასუხნია იმ სქელ კაცს, მე მარტო ვუჩვენებ ხალხს მარტორქასო.

ძერე რატომღაც კაზაკებზე დაიწყო ლაპარაკი, 1815 წელს რომ შემოიჭრნენ საფრანგეთში. და მიაბმო ის, რაც წინათაც ათასჯერ უამბნია, როცა ერთად ვსეირნობდით ხოლმე.

— ერთმა ოხერმა კაზაკმა კოცნა დამიპირა. მე შორს დავიჭირე და ქვეყნად არც არაფრის გულისთვის არ დავყაბულდებოდი. ჩემი და სელესტინი მეუბნებოდა, ფრთხილად იყავი, ჩვენ ჩვენი თავი აღარ გვეკუთვნის და ემაგ კაზაკებს თუ ასე გააწბილებ, განრისხდებიან და მთელ სოფელს გადაწვავენო. მართლაც ყველაფერზე შურს იძიებდნენ ხოლმე. მაგრამ კოცნა მაინც არ დავანებე.

— მელანი, მაშინაც უარს ეტყოდი კაზაკს, დარწმუნებულნი რომ ყოფილიყავი, ამის გულისათვის სოფელს გადაწვავდნენ?

— უარს ვეტყოდი, თუნდაც მამაჩემი, დედაჩემი, ბიძები, დეიდები, დისწულები, ძმისწულები, და-ძმები, ბატონი მერი, ბატონი კიურე და სოფლის ყველა მცხოვრები თავიანთი საქონლითა და ავლა-დიდებით სულ ერთიანად ამოებუგათ.

— ძალიან უშნოები იყვნენ არა, ის კაზაკები?

— ო, ძალიან. ჩაჰყლეტილი ცხვირები ჰქონდათ, ვიწრო თვალები და ვაცივით წვერი. მაგრამ მალეები და ღონივრები კი იყვნენ. ის კი, ჩემი კოცნა რომ უნდოდა, ლამაზი და წარმოსადეგი კაცი იყო. მათი მეთაური გახლდათ.

— ძალიან ავები იყვნენ, არა?

— ძალიან! თუ რომელიმე მათგანს რამე მოუვიდოდა, სულ ერთიანად დაგვერეოდნენ ხოლმე! ხალხი ტყეებში იხიზნებოდა. წაძღაუწუმ „კაპუტო“, დაგვძახოდნენ და ხელით გვანიშნებდნენ, თავებს დაგაყრევინებთო სუყველას. როცა არაყით გამოიბრუებოდნენ, სიტყვა არ უნდა შეგებრუნებინა, რადგან მაშინ შმაგდებოდნენ ხოლმე და ყველას განურჩევლად ურტყამდნენ, არ დაგიდევდნენ არც მოხუცსა და არც ქალ-რძალს. როცა ფხიზლად იყვნენ, ხშირად ტიროდნენ ხოლმე, ნანობდნენ, რომ მშობელი მხარე მიტოვებული ჰქონდათ. ზოგი მათგანი პაწია გიტარაზე ისეთ ნაღვლიან სიმღერებს დამღეროდა,

რომ გული მოგიკვდებოდა. ჩემმა ბიძაშვილმა ნიკლოსმა ერთი კაზაკი მოკლა და ჭაში ჩააგდო, მაგრამ ვერაფერი შეუტყვეს... ჩვენს ფერმაში თორმეტამდე კაზაკი იღვა. ჭიდან წყალი ამოჰქონდათ, შეშას ეზიდებოდნენ და ბალებს ყარაულობდნენ.

მე ბევრჯერ მქონდა გაგონილი ეს ამბები და მაინც ინტერესით ვუსმენდი.

სახამ მელანისთან მარტონი ვიყავით, დედაჩემმა ერთი ოქროს ფული ჩაუდო ხელში. დავინახე, საბრალო მოხუცმა ხელის კანკალით როგორ გამოართვა და სასწრაფოდ როგორ ჩაიძალა წინსაფრის ჯიბეში. შიში, სიხარბე გამოსჭვიოდა მის ყოველ მოძრაობაში და გული მომიკვდა. განა ეს ის მელანი იყო, ვინც წინათ, დედაჩემის უჩუმრად თავის ჯიბიდან უკახასკნელ გროშებს იღებდა, რომ ჩემთვის ტკბილეული ეყიდა?..

ამასობაში კეთილი ქალი, წინანდებურად მიმნდობი და შოლაპარაკე რომ გახდა, ღიმილით იგონებდა ჩემს ოინებს; ამბობდა, როგორ გამომყავდა მოთმინებიდან. ხან ცოცხს ვუმალავდი, ხან ჩანთაში ვუწყობდი მძიმე საგნებს, როცა ბაზარში წასასვლელად ემზადებოდა. გამხიარულდა და თითქოს კიდევაც გაახალგაზრდავდა. მაშინ მეც აზრად მომივიდა მეთქვა მისთვის:

— და შენი ქობები, მელანი; შენი ლამაზი ქობები, ბზინვა რომ გაჰქონდათ და სულ თავს დაჰკანკალებდი?

ამ შოგონებაზე მელანიმ ამოიოხრა და მსხვილ-მსხვილი კურცხლები ჩამოუგორდა დამკვნარ ღაწვებზე.

მე და დედას სუფრა საძინებელ ოთახში გაგვიშალეს, სადაც სარეცხის სუნი იდგა. კედლები კირით იყო შეთეთრებული, ბუხრის თავზე, სარკის წინ ბატონ და ქალბატონ დენი-ჯოების პორტრეტები, დაგეროტიკები და სამფეროვანი აღმებით მორთული ფარიკაობის მასწავლებლის დიპლომი ჩაემწკრივებინათ. ვითხოვე, რომ ჩემს მოხუც გამდელსაც ჩვენთან ერთად ესაუზმა. მაგრამ მისმა ძმისწულმა შორს დაიჭირა, მაშიდაჩემს კბილები აღარა აქვს, ნელ-ნელა ილოდნება, შეეჩვია მარტო ჭამას და სუფრაზე გვერდით რომ მოისვათ, დაიშორცხვებს კიდევცო.

შადიანად შევექეცი მწვანილით შეკაზმულ ერბო-კვერცხს:

ზედ ერთი ნაჭერი ყველიც დავაყოლე და ბულიონიც, რომელ-  
შიაც წიწილის ფრთა იყო ჩადებული; ერთი თითის დადება  
ღვინოც გადავკარი და დედამ მითხრა, წადი, ფერმის შემოგა-  
რენში გაისეირნეო.

მზე გადახრაზე იყო და თავის ცეცხლოვან ისრებს ამსხვ-  
რევდა ხეთა უღრტვინველ ფოთლებზე. მსუბუქი, ქულა ღრუბ-  
ლები უძრავად გაჩერებულიყვნენ ცაზე. მინდვრად ტოროლები  
გალობდნენ. უცნაური სიხარული ჩამეჭრა გულში. ბუნება  
შემოდლიოდა ჩემს არსებაში ხუთივე გრძნობით და სანეტარო  
ძგზნებარებით მანთებდა. ვყვიროდი, ვხტოდი ხეებს შორის —  
ძთვრალი და იმ სიშმაგით შეპყრობილი, რომელიც მოგვიანე-  
ბით მენიშნა ბერძენ პოეტებთან, მენადების ცეკვას რომ  
ადიდებდნენ. და როგორც მენადების ცეკვისას, მეც ვიქნევედი  
ბახუსის კვერთხს — კაკლის ნერგებს რომ შევატეხე. ბალახებ-  
სა და ყვავილებს ფეხით ვქელავდი, ჰაერი და ათსგვარი სურ-  
ნელება თავბრუს მახვევდა, წვივებს მიკაწრავდნენ მოქნილი  
ტოტები და გავრბოდი უკანმოუხედავად.

დედამ დამიძახა, გულზე მიმიკრა და ცოტა აღელვებულმა  
მითხრა:

— მთლად გაოფლილხარ, პიერო! რა ცხელი შუბლი გაქვს,  
გულიც რა გამალებით გიცემს.

## X X X I

### პირველი შეხვედრა რომის ქუ ვვალთან

— სულ შინ ხომ არ იჯდება და დილიდან სალამომდე  
ჟიუსტინთან ერთად არ იმცონარებს, — თქვა დედამ.

— და ყველა წიგნს ხომ არ წაიკითხავს, რაც ხელთ მოხვ-  
დება ხოლმე, — დაურთო მამაჩემმა, — გუშინ ვნახე, მეანობის  
ტრაქტატში ჩაერგო ცხვირი.

ერთი სიტყვით, ჩემი პანსიონში მიცემა გადაწყვიტეს.

დიდი ძებნის შემდეგ მამამ იპოვა, რაც შემეფერებოდა:  
იპოვა სასწავლებელი, მღვდლები რომ განაგებდნენ და კარგი  
ოჯახიშვილებისათვის იყო განკუთვნილი. ეს ორი ძირითადი  
პუნქტი განლდათ ჩემი მშობლებისათვის, რაკი ღვთისმოსავები



იყვნენ და არისტოკრატიული მიდრეკილებები ჰქონდათ. მაგრამ რახან თავიანთ ერთასთან განშორება არ უნდოდათ, პანსიონხერად კი არ მიმცეს, რისთვისაც კუბოს კარამდე მადლიერი დავრჩები მათი. ექსტერნობაც რომ არ მიხერხდებოდა: ორი საათით დილით რომ გავეგზავნე და ორი საათით საღამოთი, ამის არც შესაძლებლობა ჰქონდათ და არც სასურველად მიიჩხიეს. დედას იმხანად გული აწუხებდა, ჟიუსტინიც საქმელის კეთებითა და საოჯახო საქმეებით ისე იყო დაკავებული, რომ დღეში ორჯერ იმ სიშორეს სკოლაში ჩემს წასაყვანად და მერე ორჯერ წამოსაყვანად დრო აღარ რჩებოდა. თან ეშინოდათ, რომ შინ რაკი შეთვალაყურე არ მეყოლებოდა, კეთილსინდისიერად ვერ შევასრულებდი ჩემს დავალებებს. ეს შიში საფუძვლიანი გახლდათ, რადგან მართლაც ძნელი იყო გულძოდგიხედ მემეცადინა მაშინ, როცა ჟიუსტინი სამზარეულოში წყალდიდობასა და ხანძარს აჩენდა, ანდა სასტუმრო ოთახში ეოძებოდა სპარტაკსა და მოსეს. ჩემიანებს მთლად რომ არ მოვწყვეტოდი და მაინც მკაცრ რეჟიმში ვყოფილყავ, ნახევრად პანსიონერად მიმცეს. ჟიუსტინს დილის რვა საათზე უნდა მივეყვახე სენ-ჟოზეფის პანსიონში და დღის ოთხ საათზე კვლავ უნდა მოსულიყო ჩემს წამოსაყვანად.

სენ-ჟოზეფის ამ სასწავლებელს ბონაპარტის ქუჩაზე ეჭირა ერთი დიდი, ძველებური შენობა და საკმაოდ შთამბეჭდავდაც გამოიყურებოდა.

ვერ ვიტყვი, მისი სტილი მომწონდა-მეთქი, ანდა სათანადოდ ვაფასებდი ქვის საუცხოო კიბეს, რკინის სხმული მოაჯირი რომ ამკობდა და დიდ, თეთრად შეფეთებულ საკლასო ოთახებს, ხეტა ფოთლების ანარეკლი ზურმუხტისფერად რომ აკიანთებდა — სადაც ბატონი გრეპინე გაკვეთილს გვიტარებდა. ჩემს გაუწყაფავ გემოვნებას უფრო ეკვდერი, შიგ დახატული ღვთისმშობელი, ლარნაკებში ჩადგმული, მინის ხუფებით თავდაცული ქალაღდის ყვავილები და ოქროს ლამპარი ატკბობდა, ვარსკვლავებით მოჭედული ლურჯი ციდან რომ ეშვებოდა.

სენ-ჟოზეფის სასწავლებელი X... კოლეჯისათვის ამზადებდა მოსწავლეებს. ყმაწვილები აქ უფროსკლასელთა საჩიჯგნად როდი იყვნენ მიღებულნი, როგორც ლიცეუმში, როგორც

ციმორები ქარიყლაპიების წერად ტბებსა და მდინარეებში. ყველანი პატარები ვიყავით, სისუსტით ერთმანეთს ვგავდით, დიდი სიავის ჩადენა არ შეგვეძლო და ერთმანეთს აგრერიგად არ ვჩაგრავდით. მასწავლებლები ალერსით გვეპყრობოდნენ; ზედამხედველების გულუბრყვილობა გვაახლოვებდა მათთან. თუმც ამ სასწავლებელში ყოფნა ძალიან არ მომწონდა, იქ მოწყენილობაც არ მიგრძნია, მოგვიანებით რომ მომიშხამა სკოლის წლები.

რაკი იფიქრეს, რომ მადმუაზელ მერელმა საკმაოდ კარგად შემასწავლა ფრანგული, პირდაპირ ლათინურის კლასში მიკრეს თავი და რატომღაც იმ ბავშვების გვერდით დამსვენს, რომლებსაც გრამატიკა ნასწავლი ჰქონდათ და უკვე „მოკლე წმიდა ისტორიას“\* კითხულობდნენ. მაგრამ განა აღვილია იპოვო მიზეზი საზოგადო ან კერძო დაწესებულებათა მოქმედებისა? მე ბატონ გრეპინეს კლასში ჩამრიცხეს, ლმობიერი გამოხედვა და გალური უღვაშები რომ ჰქონდა. მეტსახელად ვიქტორ კონსიდერანს ეძახდნენ. მე ხშირად მინახავს ეს მოაზროვნე საძეფო ხიდქვეშ ანკესით რომ თევზაობდა. თავისი მასწავლებლის ფურიეს კვალდაკვალ ამტკიცებდა, ადამიანები კარგ მშართველობას მაშინ ეღირსებიან, როცა ჰარმონიულობას ძიადწევენო. ჰარმონიულს კი იმ ყოფას ეძახდა, თვით ვიქტორ კონსიდერანსის მიერ რომ იქნებოდა დაფუძნებული. მაშინ ისეთი პატარა, უვიცი ცხოველი, როგორც მე ვიყავი, ბატონ გრეპინეს კლასში კი არ შევა და კაცთა ცხოვრება სხვაფრთვაც ბევრად გაუმჯობესდება. მხოლოდ იმას გავაკეთებთ, რაც მოგვეხალისება; მაიმუნებივით ყველას კულები გვექნება, ხის ტოტებზე რომ ჩამოვეკონწილოთ და ამ კუდის ბოლოს თვალი გამოგვებმება. ნათლიაჩემი, ყოველ შემთხვევაში, ასე გადმოსცემდა ამ ფალანსტერულ მოძღვრებას\*. მაგრამ ჯერ-ჯერობით ყველაფერი ისე მიდის, როგორც ჩემი ბავშვობის დროს და დღევანდელი მოწაფეების ბედი, კაცმა რომ თქვას, პატარა პიერის ბედს არც არაფრით სჯობს და არც არაფრით ჩამოუვარდება. ჩემი მასწავლებელი გვარად გრეპინე იყო-სეთქი, ეს უკვე გითხარით. ახლაც ისე თვალნათლივ ვხედავ, თითქოს წინ მეჯდეს. უზარმაზარი ცხვირი და გადმობრუნებული ლაში ჰქონდა და საოცრად მოჰგავდა ლორენცო მედი-

ჩის, თავისუფალი ზნეობით თუ არა, სიგონჯით მაინც. ამას მაშინ მივხვდი, როცა „მშვენიერის“ მედლები ვიხილე. ბატონ გრეპინეს მედალი რომ გაეკეთებინა ვისმე, ლორენცოს მედლებისაგან მხოლოდ ფაქტურით თუ გაარჩევდით: პროფილში გაჭრილი ვაშლივით ემსგავსებოდნენ ერთმანეთს. ან ძალიან ვცდები და ან ბატონი გრეპინე მეტად კეთილი კაცი იყო და ძალიან კარგადაც გვასწავლიდა. მისი რა ბრალია, თუ მე ამ გაკვეთილებიდან ბევრი ვერაფერი წამოვიღე. პირველმა გაკვეთილმა ალტაცებაში მომიყვანა. ბატონ გრეპინეს ხმაზე დავინახე თითქოს ჯაღოსნობის წყალობით „ვაჟკაცთა წიგნი-დახ“, რომელიც ჩემთვის ისევე ამოუცნობი იყო, როგორც სამისნო წიგნი, როგორ ამოდიოდნენ მომჯადოებელი სურათები. მწყემსი ტიბრის პირს ატეხილ ლერწმებში პოულობს ორ ჩვილს, რომელთაც ძუ მგელი აწოვებს ძუძუს, თავის ქოხში მიჰყავს, სადაც მისი ცოლი მათ ღვიძლ შვილებივით უვლის და პატრონობს. მწყემსი მათ მენახირებდად ზრდის და არ კი უწყის, რომ ბავშვების ძარღვებში მეფეებისა და ღმერთების სისხლი დის. ასეთი საუცხოო ამბის გმირებს თვალნათლივ ვხედავდი, როცა მასწავლებლის ხმას გამოჰყავდა ისინი ტექსტის წყვილიადიდან; ვხედავდი ნუმიტორსა და ამულიუსს, ალბალონგის მეფეებს, რეა სილვიას, ფაუსტულუსს, აკა ლაურენციუსს, რემსა და რომულუსს. მათმა თავგადასავალმა სული და გული წამართვა; მათი სახელების სიტურფე მათაც ალამაზებდა ჩემს თვალში. როცა ქრისტინმა მომაკითხა, გზაში დაწვრილებით ავუწერე ეს ორი ტყუპი ძმა და ძუ მგელი, მათ ძუძუს რომ აწოვებდა. საერთოდ ყველაფერი ვუამბე, რაც კლასში მქონდა განაგონი და ვფიქრობ, უფრო გულისყურით მომისმენდა, გონება ყალბი ორფრანკიანით რომ არ ჰქონოდა დაკავებული, რომელიც მენახშირეს შეეპარებინა იმ დღეს.

„ვაჟკაცთა წიგნმა“ კიდევ ბევრი სიხარული მაგვმა. მიყვარდა ნიძფა ეგერია, შადრეენის პირას, მღვიმეში მეფე ნუმას ბრძნულ კანონებს რომ უქადაგებდა\*. მაგრამ სულ მალე საბინელები, ეტრუსკები, ლათინები, ვოლსკები დამატყდნენ თავს და ქვეშ დამიტანეს. თანაც, თუ ფრანგული ცუდად ვიცოდი, ლათინურისა ინჩიბინჩი არ გამეგებოდა. ერთ დღეს ბატონმა გრეპინემ მთხოვა ამეხსნა ერთი ადგილი იმ ბნელით მოცული

„De viris“-ისა<sup>1</sup>, სადაც სამნიტებზე იყო საუბარი. ვერაფერიც ვერ ავუხსენი, საჯაროდ გამკიცხეს და მეც შევიძულე „ვაჟ-კაცთა წიგნიცა“ და სამნიტებიც. მაგრამ სულს მიძრავდა რეა სილვიას გახსენება, ღმერთებმა ტყუილი ვაჟი რომ აჩუქეს და დედის ძუძუს მოწყვეტილები ძუ მგელმა რომ გამოზარდა ტიბრის ლერწმებში.

ჩვენი დირექტორი, ბატონი აბატი მეიერი დიახაც მოგეწონებოდათ თავისი ლმობიერებითა და არისტოკრატიული მიხრა-მოხრით. დღესაც იმ აზრისა ვარ, რომ ეს კაცი დიდად მოსიყვარულე, გონიერი და სათნო იყო.

თერთმეტ საათზე სასაუზმეში საუზმობდა ჩვენთან ერთად და სალათს ხელით შეექცეოდა ხოლმე. ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ მისი ხსოვნისათვის ჩირქის მოცხება მწა-დია. მის ახალგაზრდობაში ეს კარგ ჩვევად ითვლებოდა: მამი-დაჩემისაგან გამიგონია, რომ ბიძაჩემსაც სხვაგვარად თავის დღეში არ უჭამია სალათი-რომენი.

ბატონი დირექტორი ხშირად დაგვხედავდა ხოლმე, როცა ბატონი გრეპინე გაკვეთილს გვიტარებდა. შემოსვლისას გვახიშნებდა, ნუ ადგებითო, მერე მერხებს ჩამოუვლიდა და სათითაოდ გვიძოწმებდა დავალებას. არ შემინიშნავს, რომ ჩემთვის ნაკლები ყურადღება მოექციოს, ვიდრე იმათთვის, ვინც სიმდიდრითა ან გვარიშვილობით მჯობდა. ყველას ერთნაირი გულითადობით გველაპარაკებოდა, და ეს მაშინ უფრო საგრძნობი იყო, როცა გვკიცხავდა. მისი საყვედურები სასოწარკვეთილებასში არ გვაგდებდა, რადგან ჩვენი შეცდომების გაზვიადება არ სჩვეოდა და არც ბოროტ განზრახვაში გვდებდა ბრალს; მისი საყვედურებიც ისეთივე უზაკველი და მსუბუქი იყო, როგორც ჩვენი დანაშაული. ერთ დღეს, როცა ჩემს აცაბაცა ნაწერს დახედა, მითხრა, რა ბატიფეხურით წერო. ჩემთვის ამ ახალმა შედარებამ გულიანად მაცინა. სიცილს კიდევ უფრო ვუმატე, როცა ბატონმა დირექტორმა, რომ ეჩვეხებინა ჩემთვის, როგორ უნდოდა წერა, აიღო ჩემი წვერწამტვრეული კალამი და ჩემზე უარესი ბატიფეხური გამოუვიდა.

მას შემდეგ ბატონ დირექტორს ისე არ ჩაუვლია ჩემს

<sup>1</sup> „ვაჟკაცთა შესახებ“ (ლათ.).

მერხთან, რომ არ დავერიგებინე, კალმებს გაუფრთხილდი, მაგრად არ ჩააწო სამელნეში, გაწმინდე, როცა იხმარო.

— კალამმა დიდხანს უნდა გაგიძლოს, — მითხრა ერთ დღეს, — მე ვიცნობ ერთ მეცნიერს, ვინც ერთი კალმით მთელი წიგნი დაწერა. აი, ამოდენა წიგნი...

აქ ღირექტორმა ცარიელ ოთახს მოავლო თვალი და ორთავ ხელით წითელი მარმარილოს ვეება ბუხარზე მიმითითა.

მე ალტაცებაში მოვედი.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ეიუსტინთან ერთად ვიე კოლომბიეს ქუჩაზე მივდიოდი, ანტიკვარის მალაზიის წინ, ეზოში, ქვის უზარმაზარი წმინდანი შევნიშნე, რომლის თავიც მეორე სართულის ფანჯრებს სწვდებოდა. ხელში ბუხარისტოლა წიგნი ეჭირა და ასეთსავე ვეება კალმით შიგ რაღაცას წერდა. ჩემს გაძდელს ვუთხარი, ეგ კაცი ჩვენი ღირექტორის მეგობარია-მეთქი და მანაც დამიჯერა.

ბედნიერება არ მღირსებია, მაგრამ ხანდახან სიმთვრალეს კი განვიცდიდი ხოლმე. მახსოვს, ერთხელ სკოლის ეზოში გაძეფებულმა ჟრიამულმა როგორ დამათრო. ეს დიდი შესვენების დროს მოხდა, საუზმობას რომ მოსდევდა. სიამოვნებაში ისევე, როგორც მუშაობაში, წესრიგს ვერ ვიტანდი. არ მიყვარდა ისეთი გეომეტრიული თამაშობანი, როგორც დაქერობახაა, სადაც ყველაფერი უბრალო კომბინაციებამდე იყო დაყვანილი. მათი სიზუსტე თავს მამბეზრებდა. სიცოცხლის სურათს არ ქმნიდა ჩემს თვალში. ჭკუას ვკარგავდი დედებისათვის საძულველ თამაშობებზე, რომლებსაც ზედამხედველები ადრე თუ გვიან გვაწყვეტინებდნენ ხოლმე, რადგან თან დიდი უწესრიგობა სდევდათ. მიყვარდა თავაწყვეტილი, შმაგი, გადარეული, საშინელებით სავსე თამაშობანი.

იმ დღეს, როგორც კი ზარის ხმაზე ეზოში გავიფანტენით, ჩვენი ამხანაგი ანგარი, ყველას რომ გვჯობნიდა სიმალლით, ომახიანი ხმითა და მბრძანებლური ხასიათით, ქვის სკამზე შეხტა და ორატორობას მოჰყვა.

ანგარი ცოტა ენაბრგვილი იყო, მაგრამ მკვევრმეტყველება არ აკლდა; ნამდვილი ორატორი, ნამდვილი ტრიბუნი იყო; ცოტათი კამილ დემულენსა\* ჰგავდა.

— ბაჰაჰყებო, — გადმოგვძახა, — განა არ მოგწყინდათ

კატა-თავგობანასა და ართურმის თამაში? რამე ახალი გამოვიგობოთ. ძოდით, დილიჯანსზე მოვაწყოთ თავდასხმა. ახლავე გიჩვენებთ, ეს თამაში როგორ უნდა. ნახეთ, რა თავშესაქცევი იქნება, — დაასრულა მან თავისი სიტყვა.

ჩვენ სიხარულის ყოყინითა და ტაშის ცემით შეეხვდით მის წინადადებას. სიტყვა მაშინვე საქმედ ვაქციეთ; ანგარმა როლები გაანაწილა. მას თურმე ყველაფერი წინასწარ გაეთვალისწინებოდა. წამში შევებით ეტლში ცხენები, მეეტლეებმა შოლტები აატყლაშუნეს, ყაჩაღები დანებითა და მუშკეტებით შეიარაღდნენ, მგზავრებმა ბარგი შეკრეს და ოქროთი გამოიტენეს ჯიბეები და ჩანთები. ეზოში დაყრილმა კენჭებმა და დირექტორის ბალის ირგვლივ ჩარიგებულმა იასამანმა მოგვამარაგეს. გზას გავუდექით. მე მგზავრი ვიყავ და თანაც ძალზე უჩინარი, მაგრამ გული ხარობდა ლამაზი სანახების ხილვით და მოსალოდნელი ფათერაკებით. ყაჩაღები ერთი საზარელი მთის გამოქვაბულში გველოდნენ, რომლის მაგივრობასაც მისაღებ ოთახში შემავალი შემინული სადარბაზო სწევდა. თავდასხმა მოულოდნელი და სასტიკი იყო. მეეტლეები ძირს ჩამოცივდნენ. მე გადამაყირავეს, ცხენებმა ფლოქვებით გადამქელეს და მომხდურთა ტყვიებით დაცხრილული მიცვალეებულთა ზვინის ქვეშ დავიმარხე. ანგარი ამ ადამიანთა გორაზე შეხტა და შეუვალ ციხესიმაგრედ აქცია; ყაჩაღებმა ოცქერ მაინც შემოუტყეს და ოცქერვე უკუიქცნენ. მე მთელი ნეკნი აღარ შემრჩა, ნიდაყვები და მუხლები მთლად გადამეტყავა, ცხვირის წვერი გადამეყვლიფა წვრილ კენჭებზე, ბაგე გამეპო, ლოყაზე ცეცხლი მეკიდა, ჩემს- დღეში არ მიგრძნია ამგვარი სიამოვნება. ზარის ხმა რომ გაისმა, გულში რაღაც ჩამწყდა, მომწყვიტა ჩემს ოცნებას. ბატონ გრეპინეს გაკვეთილზე გამოშტერებული უგრძნობლად ვიჯექი. ცხვირი და მუხლისთავეები მეწვოდა და ეს სიამოვნებას მგვრიდა, რადგან იმ საათს მახსენებდა, ასე საუცხოოდ რომ გავატარე. ბატონმა გრეპინემ ბევრი კითხვა დამისვა, ვერც ერთზე ვერ ვუპასუხე და ვირი ხარო, მითხრა. ეს ჩემთვის მით უფრო სამძიმო იყო, რომ „შეტამორფოზები“ წაკითხული არ მქონდა და არ ვუწყოდი, რომ საკმარისი იყო, ვარდის ფურცლები შემეჭამა და კვლავ ადამიანად ვიქცეოდი. როცა ეს ამბავი შევიტყვე უკვე

დაკაცებულმა, ჩემი სივირე ტატით ვასეირნე სიბრძნის ბა-  
ლებში და ძეცნიერებისა და მედიტაციების ვარდებით ვკეცებ-  
სადაც სურხელოვანი ბუჩქი შეხვდა, მუსრი გაავლო, ეკლე-  
ბიანა გადაუშვა ამოუქუპრავში, მაგრამ გაადამიანებულ თავზე  
მაინც შერჩა ორი პატარა, წვეტიანი ყური.

## X X X I I

### ფარვანას ფრთავი

ყოველთვის, როცა ნეის პარკში გავივლი, მაგონდება კლე-  
მან სიბილი, ყველაზე უწყინარი სული, რომელიც კი შემხვედ-  
რია ოდესმე დედამიწაზე. მგონი, ათი წლისა იყო, როცა გავი-  
ცანი. მე ერთი წლით უფროსი ვიყავ და ასაკიც უპირატესობას  
ძაძლევდა, მაგრამ ეს უპირატესობა ჩემმა უგვანო საქციელმა  
დაძაქარგვინა. ბედმა მხოლოდ ცოტა ხნით მარგუნა მასთან  
ყოფხა; და ამდენი წლის შემდეგაც მგონია, ისევ ვხედავ ცხა-  
ურს მიღმა ფოთლებიდან მომზირალს, როცა ნეის პარკში  
გავივლი.

ბატონ და ქალბატონ სიბილებს იქ სახლი ედგათ, სადაც  
ზაფხულობით, კვირა დღეს ჩემს მშობლებთან ერთად მეც მიე-  
დიოდნენ. ქალბატონი სიბილი, სახელად ერმანსი რომ ერქვა,  
ერთი პატარა, მოქნილი, თეთრი ქალი იყო; მწვანე თვალები  
ქქონდა, წინ წამოწეული ყვრიმალეები, მოკლე ნიკაპი და ქალად  
ქცეული კატა\* გეგონებოდათ, უწინდელი ყოფიდან ბევრი  
რამ რომ გამოჰყოლოდა. მისი ქმარი, ისიდორ სიბილი, მაღალი  
და ნაღვლიანი კაცი, წვივმადლიანთა მოდგმას განეკუთვნე-  
ბოდა. ასე ესახებოდა ეს წყვილი მამაჩემს, ვინც ლავატერისა  
არ იყოს, სულ იმაში იყო გამეცადინებული, ადამიანის შვილი  
რამე ცხოველისათვის მიემსგავსებინა, რომ მით ამოეცნო მისი  
ტემპერამენტი და ხასიათის თვისებები. მაგრამ ისეთი ბუნდო-  
ვანი და თანაც თამამი დასკვნები გამოჰქონდა, რომ ძალიან  
გამიჭირდება გითხრათ, ზუსტად რას ნიშნავდა მისთვის ეს  
კატისა და ფრინველის გარეგნობა. ყველაფერი, რაც ბატონ  
სიბილზე ვიცი, ისაა, რომ იგი ფრანგული ქიშმირის დიდ

ფაბრიკას ედგა სათავეში. დედაჩემისაგან გაგონილი მქონდა, რომ იმპერატორის მეუღლე ეყენი\* ხანდახან ამ ქიშმირის შალებს ატარებდა. უნდოდა წაექეზებინა სამამულო წარმოება და ეს ყველაზე უფრო სამძიმო მოვალეობა იყო, რომელიც კი ოდესმე შეიძლებოდა დასწოლოდა გვირგვინოსანს, იმდენად ჭრელა-ჭრულა იყო ეს შალები. ხალხს რას გამოაპარებ და ამბობდნენ, ერმანსს თავის დღეში არ მოუხვევია ფრანგული შალებიო.

ხეის პარკში ნაგები სიბილების სახლი თეთრი იყო, გვერდით პაწია კოშკი ჰქონდა, წინ — კართანა, ლამაზ მდელოზე რომ გამოდიოდა, რომლის შუაგულშიაც შადრევნიანი ქვის აუზი იდგა. სწორედ აქ, ქვიშამოყრილ ხეივანში გამომეცხადა სუსტი და სულ გასაფრენად გამზადებული კლემან სიბილი. ცისფერი, წყლიანი თვალები, თოვლივით თეთრი სახის კანი და საოცრად ნატიფი ნაკეთები ჰქონდა. ქერა, მოკლედ შეკრეპილი თმის კულულები გვირგვინივით ადგა თავზე; ოღონდ ყურები საფეთქლის ძელებზე კი არ ჰქონდა მიკრული, პერპენდიკულარულად ედგა და ორსავე მხარეს ფართოდ გაეშალა ვეება ხიჯარები, რომლებიც ბუნების უცნაური თამაშის წყალობით პეპელას ფრთებივით იყო გამოჭრილი. ეს გამჭვირვალე ყურები სინათლეზე ვარდისფრად და ალისფრად ღვიოდხენ და კაშკაში გაჰქონდათ. ერთი შეხედვით ვერც კი შეატყობდით, თუ ყურები იყო; გეგონებოდათ, პატარა ფრთები გამოძმიაო. მე, ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ხატი შემომჩა მხსიერებაში. კლემანი ძალზე ლამაზი, მაგრამ უცნაური ბიჭი იყო.

ვიტყოდი, კლემანს ფარვანას ფრთები აქვს-მეთქი, დედაჩემი კი მპასუხობდა:

— მხატვრები და მოქანდაკენი ფსიქესაც მაგგვარად, პეპლის ფრთებით გამოსახავდენ; ეგ ფსიქე კიდევ ამურმა შეირთო ცოლად და ღმერთებისა და ქალღმერთების დასში მიიღეს.

სხვა, მითოლოგიაში ჩემზე უკეთ განსწავლული კაცი ჩემს ტკბილ დედიკოს იმას მიუგებდა, ფსიქეს ფრთები თავზე კი არ ება, ყურების ადგილასო.

კლემანი ნამდვილად ჰაერისაგან იყო შეთხზული; სიარული არ იცოდა; ხტუხვა-ხტუნვით მიიწევდა წინ, გვერდულად და



ქარის სათამაშოს ჰგავდა. ბალური მანერები, გულუბრყვილობა, მიაძიბური გართობა და ბავშვური მოუხერხებლობა ქცევაში გულისამაჩუყებელ კონტრასტს ჰქმნიდა მის სიკეთესთან, მოწიფული კაცისას რომ უგავდა, იმდენ ძალასა და ვაჟკაცურ ერთგულებას იჩენდა. სულიც ისეთივე გამჭვირვალე და წმიდა ჰქონდა, როგორც სახის კანი, უშფოთველი, როგორც გამოხედვა. ცოტას ლაპარაკობდა და სულ თავლი სწვეთავდა ბაგეთაგან. თავის დღეში არ დაიჩივლებდა, თუმც საჩივლელი ბევრი ჰქონდა. სხვადასხვა სენი ხშირად იბუღებდა მის სუსტ სხეულში და სულის მოთქმას აღარ აცლიდა. ქუხთრუშა, ლორწოვანი გარსის ანთება, ტიფი, წითელა, ყვიანახველა და იქნებ ის სენიც, რომლის ბუნებაც მაშინ არ იცოდნენ — ტუბერკულოზიც მოერია მის ვიწრო გულ-მკერდს. როცა ავადმყოფობა წამით მოეშვებოდა, ბედი მისი მაინც სასწორზე იყო, ყველაფერი მას უნდა წაჰკიდებოდა, იფიქრებდით, რაღაც უხილავი ძალა გადაჰკიდებიაო. მაგრამ მთელი ეს უბედურებანი მის სასარგებლოდ შემოტრიალდებოდა, რაკი ვხედავდით, რომ ყველაფერს უღრტეინველად იტანდა ხოლმე. კაცი ვერ გაიგებდა როგორ და რანაირად, მაგრამ ხან ფეხი უცურდებოდა, ხან ფეხს წამოჰკრავდა, ხან ეჯახებოდა რამეს. ყველა კედელს ზედ ასკდებოდა, თითს იწეწკავდა ყველა კარებში და სულ ფრჩხილების ცვლაში იყო ხოლმე; ხელს იჭრიდა, როცა ფანქარს თლიდა, ყელში ეჩხირებოდა ყოველი თევზის ფხა, ტბები, ტბორები, გუბურები, ნაკადულები, დიდი და პატარა მდინარეები და ზღვები რომ სთავაზობდნენ და მალეინა, სიბილების მზარეული ქალი რომ ამზადებდა ხოლმე. რობერ უდენის\* სანახავად თუ დააპირებდა წასვლას ან ვირით გასეირნებას თუ ისურვებდა ბულონის ტყეში, ცხვირიდან უეჭველად სისხლი წასკდებოდა ხოლმე და როგორადაც უნდა ეწამლათ, მაინც თხვრიდა ახალ ჟილეტსა და თეთრ, ქათქათა შარვალს. ერთ დღეს, როცა ჩემს თვალწინ ჩვეულებისამებრ მინდორში დაფარფატებდა, აუზში ჩავარდა. ვაითუ გაგვიცივდეს, ფილტვების ანთება დაემართოსო და ძალიან შეფუთნეს. მე ვნახე როგორ იწვა საწოლში, ღუნღულა საბნის ქვეშ; თავზე ქალის ყვავილებიანი შალი ეხვია და გულიანად კისკისებდა. მე რომ დამინახა, ბოდში მოიხადა, მაპატიე, თამაშობაში მხარი რომ ვერ აგობი და მარტო დაგტოვეო.

მე არც ძმა მყავდა, არც ამხანაგი, ვისთვისაც შემეძლო  
შემედარებინა თავი. კლემანი რომ ვნახე, მივხვდი, რომ ბუ-  
ნებამ შშფოთვარე სული ჩამიდგა, ფუჟი სურვილებისა და  
უაზრო მწუხარების ტყვედ მაქცია. მას კი არაფერი უმღვრევ-  
და სიმშვიდეს. მხოლოდ ჩემზედ ეკიდა მესწავლა მისგან, რომ  
ჩვენი ბედი თუ უბედობა გარემოებებზე უფრო ნაკლებადაა  
დაძოკიდებული, ვიდრე ჩვენზე. მაგრამ დახშული მქონდა  
სასმენელნი და სიბრძნის გაკვეთილებს არად ვაგდებდი. კიდევ  
რა მიჭირდა, პატარა, კეთილი კლემანის თვალში თავაწყვე-  
ტილი, უგუნური და ავის მომქმედი ბიჭის სახელი რომ არ  
დამემსახურებინა. თავის გასამართლებლად აუცილებლობა  
უნდა დავიმოწმო, ადამიანთა და ღმერთების ეს მეუფე, რომე-  
ლიც მეცა და მთელ სამყაროსაც წინ ერთნაირად მიგვიძღვე-  
ბოდა. უნდა დავიმოწმო სილამაზის სიყვარული, ამკერადაც  
ისე რომ შთამავონებს, როგორც მთელი ჩემი სიცოცხლის  
ძანძილზე, სიცოცხლისა, რომლის სატანჯველიცა და სიხარუ-  
ლიც ის იყო. რისთვის? განა ოდესმე განუსჯიათ ვინმე ნატურ-  
ფილოსოფიის პრინციპებისა და ესთეტიკის კანონების მიხედ-  
ვით? მაგრამ სჯობს ჩვენს სათქმელს მივხედოთ.

შემოდგომის ერთ დღეს მე და კლემანს ნება დაგვრთეს  
შარტო გაგვესიერნა. ბულვარზე, რომელიც სიბილების სახლის  
წინ ჩადიოდა. ეს ბულვარი მაშინ ისეთი არ იყო, როგორიც  
დღესაა, სულ ერთიანად შეღობილ-შემესრული, ბაღებში შეს-  
ვლა რომ აღარ შეიძლება. უფრო სოფლური იყო, უფრო  
იდუძალი და უფრო ლამაზი შესახედობა ჰქონდა. კარგა ხანს  
კედლებით შემოზღუდულ სამეფო პარკს მიჰყვებოდა. მკენარი  
ფოთლები ცვიოდა დიდი ხეებიდან მზით აჭიატებულ ჰაერში  
და ოქროსფრად ეფინებოდა მიწას, რომელზედაც მივაბიჯებ-  
დით. კლემანი მიხტოდა, რამდენიმე ნაბიჯით გამისწრო კიდევ.  
და თვალში მომხვდა მისი ძოწისფერი სირმებით შემკული  
შავი მაუდის ქუდი. არც მოყვანილობა მომეწონა მისი და არც  
ფერი. სულ უფარავდა პაწია, ქერა კულულებსა და ყურების  
საოცნებო პეპლებიც მთლად მიეწეწკათ. შევცდი, თვალი არ  
შოვარიდე და ამ გონჯი ქუდის შემყურეს უსიამოვნო გრძნობა  
სულ უფრო და უფრო მეუფლებოდა. ბოლოს ვეღარ მოვით-  
მინე და კლემანს ვთხოვე, ეგ ქუდი მოიხადე-მეთქი. ვერ მიმი-

ხვდა, რატომ ვთხოვდი ამას ასეთის თავგამოდებით, პასუხის ღირსადაც არ ჩამთვალა. მშვიდად მიხტოდა და მიფარფატებდა ბალახზე. მეც დავუყვინე, მოიხადე და მოიხადე-მეთქი.

ასე რომ ჩამოვაცივდი, გაუკვირდა და, რატომო, მკითხა წყნარად.

— უშნოა და იმიტომ.

ეგონა, ვხუმრობდი, მაგრამ მაინც გაფრთხილდა და როცა შევეცადე ქუდი ძალად მომეგლიჯა თავიდან, არ დამანება და კვლავ მოირგო თავზე დიდი მზრუნველობით. ეტყობა, უყვარდა თავისი ქუდი და ლამაზიც ეგონა. ორჯერ კიდევ ვცადე წამერთმია, მაგრამ ორჯერვე მაჭობა და უფრო მაგრად ჩამოიფხატა თავზე ის საშინელი ქუდი და ამით კიდევ უფრო საზარელი გახდა იგი. განაწყენებულმა ვითომ თავი ვანებე, მაგრამ სხვა გახზრახვა ჩავიდე გულში. მისმა ლამაზმა სახემ, სევდიანი გოაცების ბეჭედი რომ ესეა, მალე მიიღო თავისი ბუნებრივი იერი მშვიდი უცოდველობისა. რატომ არ მომიღბო გული მისი მიმდობი მზერის სიწმინდემ? ვაი, რომ ძალმომრეობის უხი ჩასახლებულიყო ჩემში. დიდხანს ვუთვალთვალე ჩემს მეგობარს და უეცრად ელვის სისწრაფით ვტაცე ხელი მის ქუდსა და ყორეს იქით, ლუი-ფილიპის ბაღში გადავუძახე.

კლემანს ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს, არც დაუყვირია, მაგრამ ისეთი გაოცებითა და საყვედურით შემომხედა, რომ გული მომეწურა; თვალები ცრემლებით აევსო. მე გამტერებულ ვიდექ, ვერ დამეჭერებინა, რომ ასეთი საშინელი დანაშაული ჩავიდინე და კლემანის ფრთიან, ხუჭუჭა თავზე ისევ იმ წყეულ ქუდს დავეძებდი. მაგრამ ქუდი აღარ ეხურა და ვეღარც დაუბრუნდებოდა. ყორე მაღალი იყო, პარკი ვრცელი და უკაცური. მზე შუბის ტარზე გადახრილიყო. იმის შიშით, კლემანი არ გამიცვიდეს-მეთქი, თუ მისი შიშველი თავის ხილვით შეცბუნებულმა თავზე ჩემი ტიროლური ქუდი დავხურე, თვალებს სანახევროდ რომ უფარავდა და ვაგლახად უჭყლეტდა ყურებს. სიბილგების სახლში მდუმარედ დავბრუნდით. ალბათ მიხვდებით, რანაირად შემხვდნენ.

ის დღე იყო და ის დღე, ჩემს მშობლებს თავიანთ მეგობრებთან ნეიში აღარ წავუყვანივარ. კლემანი მეტად აღარც მინახავს. საწყალი სულ მალე გაქრა ამ სოფლიდან. ფარვანას

ფრთები გაეზარდა და, როცა იმოდენები გაუხდა, რომ მისი ზიღვა შეიძლო, გააფრინა კიდეც. სასოწარკვეთილმა დედამისმა ამოდ სცადა გააყოლოდა. და ცათა წყალობით კატად ქცეული ახლაც კნავილით დარაჯობს სახურავებზე.

### X X X I I I

#### პრალ-პრალი ფიქრები

მას შემდეგ, რაც ბევრი ქალაქი ავაჭრელე ჩემი ბავშვობის მოგონებებით, ჩემი მეხსიერების ერთ კუნჭულში ხელახლა შივაგების იმ სიტყვებს, რომლებითაც დედამ დამახასიათა ჩემს პატარა ბიჭობაში. ერთ დღეს, როცა სასეირნოდ უნდა წავეყვანე, ჩამას იმდენი დრო მოანდომა, რომ ლოდინით გული გადამელია და როცა ბოლოს გამოჩნდა მოლიმარი და შორთულ-მოკაზმული, მე, როგორც ამბობენ, შევუბღვირე და მივახალე, არც ეს გასეირნება მინდა, არც არავითარი სეირნობა, არც სიამოვნება, არც არავითარი სიკეთე ამქვეყნად — დღეიდან მოკიდებული მთელი სიცოცხლის მანძილზე-მეთქი.

— რა ფიცხი ბავშვია! — ამოიოხრა დედაჩემმა.

ეს მსჯავრი უსამართლო მეჩენა, თუმცა კი იმგვარი რამ მქონდა ჩადენილი, რომ არ უნდა გამკვირვებოდა. მას შემდეგ კი, რაც ჩემი თავი ჩემს ტკბილ მეგობარს შევაღარე, რომელიც ღმერთებმა ფარვანად აქციეს, უეცრად შევნიშნე, რომ მე არც მასავით ნაზი და არც მასავით თვინიერი ვიყავი. გამოტეხით რომ გითხრათ, ჩემი სურვილები უფრო მგზნებარე იყო, ვიდრე ჩემი კბილა ყმაწვილების უმეტესობისა, და მათსაზე უფრო მსწრაფლ უდრეკდა ქედს აუცილებლობას. სიყრმიდანვე გონებამ დაძადო თავისი მძლავრი ხელი და დამიმონა. ეს იმას ნიშნავს, რომ უცნაური არსება ვიყავ, რადგან ადამის ძეთა უმრავლესობა სხვანაირადაა მოწყობილი. ადამიანის განსაზღვრებათაგან ყველაზე უხეიროდ მიმაჩნია ის, რომელიც მას გონიერ ცხოველად მიიჩნევს. თავმოთნეობით არ ვიტყვი და, ბუნებამ უფრო მეტი გონიერებით დამაჯილდოვა, ვიდრე ჩემს მსგავსთა უმეტესობა, რომლებიც ახლოს მინახავს, ანდა ამბად

გამიგონია. გონება იშვიათადა აქვთ მიმადლებული ვაგლან სულებს და კიდევ უფრო იშვიათად — ზეგარდმო ნიჭით ცხებულთ. გონება-მეთქი, ვამბობ და თუ მკითხავთ, ეს სიტყვა როგორ გესმისო, ჩვეულებრივად-მეთქი, გიპასუხებთ. მას რომ შეტაფიზიკური მნიშვნელობა მივანიჭო, ველარც კი გავიგებ. ეს სიტყვა ისე მესმის, როგორც მოხუც მელანის ესმოდა, „წიგნი რომ არ სცოდნია თავის დღეში“. გონიერს ვუწოდებ იმას, ვინც თავის კერძო გონებას მსოფლიო გონებას შეუფარდებს ისე, რომ ძალიან არასოდეს გაუკვირდება ის, რაც ხდება და ავად თუ კარგად შეეგუება ყველაფერს. გონიერს ვუწოდებ იმას, ვინც ბუნების უწესრიგობისა და კაცთ სისულელის განხილვისას არ გაჩიუტდება და მათში წესრიგისა და სიბრძნის ძებნას არ დაიწყებს; და ბოლოს, გონიერს ვუწოდებ იმას, ვინც გონიერად ყოფნას არ ჩემობს.

ვფიქრობ, მეც ამგვარი კაცი ვიყავი. მაგრამ გულწრფელად რომ გითხრათ, როცა ამეებზე ვფიქრობ, დანამდვილებით აღარც კი ვიცი და ცოდნას მაინცდამაინც არ დაეეძებ. დელფოსის მისანს არ ვენდობი, არც ჩემი თავის შეცნობას ვცდილობ\*; ის კი არა და, სულ იმას ვლამობდი, სულ არ მცნობოდა ჩემი თავი. თავის ცნობა ბევრ სადარდებელს აგვიშლის, ესაა წყარო მწუხარებისა, მოუსვენრობისა და ტანჯვისა. ჩემს თავს იშვიათად ჩავკვირებებივარ. მუდამ მიმაჩნდა, რომ ყველაზე ბრძნულია თავს ზურგი აქციო, დაივიწყო, წარმოიდგინო სულ სხვა ვინმედ, არა ისეთად, როგორადაც გაგაჩინა ბუნებამა და შექმთხვევითობამ. ხუ შეიცნობ შენს თავს, ესაა სიბრძნის პირველი მცნება.

თუ მართალია, რომ მონტენმა\* იმისათვის შეთხზა თავისი „ფიქრები“, საკუთარი თავის შესწავლა სურდაო, ეს ძიება მისთვის უფრო მტანჯველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ის კენჭები, თირკმელებს რომ უფლეთდა. მაგრამ მე თუ მკითხავთ, ის წიგნი იმიტომ დაწერა, რომ თავი გაერთო, შეექცია და არა იმიტომ, რომ თავი შეეცნო.

ნურავინ იტყვის — „თავს გაექცითო“—ეს ქადაგება ცოტა უცნაურად ჟღერს წიგნში, სადაც ავტორი სულ თავის თავზე ლაპარაკობსო. მაგრამ მე სულ სხვა ვარ, ვიდრე ის ბავშვი, რომელზედაც გიამბობთ. მე და მას ერთი საერთო ზორციელი

და აზრობრივი ატომიც კი აღარ შეგვრჩა. ახლა, როცა იგი სრულიად უცხო შეიქნა ჩემთვის, შემძლია მისი წყალობით ჩემს თავს გავექცე და თავი მით შევიქციო. მე მიყვარს იგი, მე, ვისაც ჩემი თავი არც მიყვარს და არცა მძულს. მიხარის, როს ფიქრებში კვლავ ვაცოცხლებ იმ დღეებს, როცა ის ბალდი ცოცხლობდა და ვიტანჯები, დღეის დღის ჰაერს რომ ვისუნთქავ.

#### X X X I V

#### კოლეჯის მოწაფე

სკოლებში მეცადინეობა იწყებოდა. მე ამ წელს ექსტერნად ჩამრიცხეს კოლეჯში, მას შემდეგ, რაც რამდენიმე ხანს სენ-ჯოზეფის სასწავლებელში დავდიოდი, სადაც ბელურების ეივილ-ხივილში მასწავლებელს „საღვთო რჯულს“ ვუმარტავდი.

კოლეჯის მოწაფე რომ შევიქნენ, ცოტა არ იყოს, შევშფოთდი; მეშინოდა, ეს პატივი მძიმე ტვირთად არ დამაწვეს-მეთქი. არავითარი სურვილი არ მქონდა თავი გამომეჩინა მელნით შოთხვრილ მერხებზე, რადგან ათი წლისა რომ ვიყავი, პატივ-მოყვარეობის ნატამალი არ გამაჩნდა. კაცმა რომ თქვას, ამის არავითარი იმედიც არ მქონდა. მოსამზადებელ სკოლაში ყველაზე მეტად იმით გამოვიჩინე თავი, რომ გამუდმებით გაცელებული გამომეტყველება მქონდა, რაც სამართლიანად თუ უსამართლოდ დიდი ჭკუის ნიშნად არ ითვლება და ცოტა შოჩურჩუტოდ ჩამთვალეს. ნეტა რას მემართლებოდნენ. მეც ისეთივე ჭკვიანი ვიყავი, როგორც ჩემი ამხანაგების უმეტესობა, მაგრამ ჩემებურად. მათ თუ ჭკუა ცხოვრების ჩვეულებრივ ვითარებაში ეხმარებოდა, ჩემი მხოლოდ მეტად მოულოდნელსა და უიშვიათეს პირობებში მშველოდა, ანაზდად იჩენდა თავს შორეული სეირნობის ან უცნაური წიგნების კითხვისას. შერიგებული ვიყავ იმ აზრს, რომ ბრწყინვალე მოწაფე ვერ ვიქნებოდი და კოლეჯში შესვლისთანავე ვცდილობდი ამ ახალ ცხოვრებაში თავშესაქცევი რამ მეპოვა. ასეთი იყო ჩემი ბუნება და ხასიათი და არც არასოდეს გამოვცვლილვარ. თავის

გართობას კი მუდამ ვახერხებდი; ეს მთელი ჩემი ცხოვრებისეული ხელოვნება იყო. პატარა თუ დიდი, ახალგაზრდა თუ მოხუცი—მე რაც შეიძლება, მუდამ შორს ვცხოვრობდი ჩემი თავისა და სამწუხარო რეალობისაგან. სკოლის ამ პირველ დღესაც მით უფრო ცხოველი სურვილი მქონდა გავქცეოდი გარეშოს, რომ ეს გარემო განსაკუთრებით უსიამო მეჩვენა. კოლეჯი უშნო იყო, ბინძური და აქოთებული; ჩემი ამხანაგები — უხეშნი, მასწავლებლებსაც ძმარი ჩამოსდიოდათ სახეზე. დამრიგებელი უსიხარულოდ და უსიყვარულოდ გვიცქეროდა. ის არც საკმაოდ ტაქტიანი იყო და არც საკმაოდ წამხდარი იმისათვის, რომ თავი მოეკატუნებინა და გარეგნულად მაინც გამოემჟღავნებინა სიყვარული, რომელსაც არ გრძნობდა. სიტყვით არ მოუმართავს ჩვენთვის, ერთი შეგვათვალეირა, გვარები გამოგვკითხა და თავის კათედრაზე გადაშლილ დიდ საკლასო ყურნალში ჩაიწერა. ბებერი და უსულგულო მეჩვენა. გვარები რომ ჩაიწერა, ერთხანს ჩუმად იკითხა, ჩანდა, დამახსოვრება უნდოდა. გამოცდილებით იცოდა, რომ მასწავლებელს მხოლოდ მაშინ ჰყავს მოწაფეები ხელში ჩაქერილი, როცა მათი გვარები და სახელები ახსოვს.

— ახლა იმ წიგნების სიას ჩაგაწერინებთ, რომელთა შეძახაც სასწრაფოდ მოგიხდებათ, — გვითხრა მან.

მერე ნელი და მონოტონური ხმით ჩამოგვითვალა ისეთი სახელები, გულს რომ არ ეკარება. ეს ლექსიკაო, ეს საფუძვლებიო; (განა არ იქნება, ბავშვებისათვის მათ უფრო ნაზი და საამური სახელები დავარქვათ?) ჩაგვაწერინა ფედრუსის\* იგავები, არითმეტიკა, გეგოგრაფია, „Selectae e profanis“ და რა ვიცი, კიდევ რა. და თავისი სია ჩემთვის უცხო სახელებით „ესთერიითა“ და „გოთოლიათი“ დაასრულა.

მაშინვე თვალწინ დამიდგა საოცნებო ნისლში გახვეული ორი ტურფა ასული, ჩაცმული ისე, როგორც სურათებში მინახავს ხოლმე. ერთმანეთისათვის წელზე მოეხვიათ ხელი და რაღაცას ჩასჩურჩულებდნენ ყურში. რაზე საუბრობდნენ, მე არ მესმოდა, მაგრამ გუमानით ვგრძნობდი, რომ ამაღელვებელ

<sup>1</sup> „რჩეული ნაწყვეტები“... უფრო ზუსტად: „რჩეული ნაწყვეტები საერო მწერალთა თხზულებებიდან“ (ლათ.).

და წარმტაც რამეებზე ექნებოდათ სჯა-ბაასი. კათედრა და მასწავლებელი, საკლასო დაფა, ნაცრისფერი კედლები გაქრნენ უეცრად. ორი ქალი ნელა მირონინებდა ვიწრო ბილიკზე პურის ყახაში, საცა ღიღილოები, ყაყაჩოები ყვაოდნენ და მათი სახელები რეკდა ჩემს ყურებში: ესთერი და გოთოლია.

უკვე ვიცოდი, რომ ესთერი უფროსი იყო. კეთილი გული ჰქონდა. გოთოლია უფრო ახალგაზრდა გახლდათ და რამდენადაც გავარჩიე, ქერა ნაწნავები ჰქონდა. სოფლად ცხოვრობდებხ. გონების თვალთ ვხედავდი პატარა სოფელს, ქოხებს, საკვამურიდან კვამლი რომ ამოსდიოდათ, მწყემსს, მოცეკვავე გლეხკაცებს; მაგრამ სურათი მაინც ბუნდოვანი რჩებოდა და ძეც ერთი სული მქონდა გამეგო ესთერისა და გოთოლიას თავგადასავალი. მასწავლებელმა დამიძახა და ოცნებიდან გამომიყვანა:

— თქვენ რა, გეძინათ? მთვარეზე ხართ ასული. აბა, ყურადღებით იყავით და ჩაიწერეთ.

სახვალიო გაკვეთილებსა და დავალებებს გვკარნახობდა; ლათინურიდან უნდა გვეთარგმნა რალაც პასაჟი და ფენელონის იგავი გვესწავლა ზეპირად.

“შინ დავბრუნდი თუ არა, მამას მივეცი წიგნების სია, რაც შეიძლება ჩქარა რომ უნდა გვეშოვა. მამაჩემმა მშვიდად ჩაიკითხა სია და მითხრა, ეს წიგნები კოლეჯის მნეს უნდა გამოართვაო.

— მაშინ შენც ის გამოცემა გექნება, რაც შენს მასწავლებელსა და ამხანაგების უმეტესობას: იგივე ტექსტი, იგივე “შენი”შენები. ასე უკეთესი იქნება. — მითხრა მან და სია დამიბრუნა.

— კი მაგრამ, „ესთერი და გოთოლია“?

— მნე „ესთერსა“ და „გოთოლიასაც“ სხვა წიგნებთან ერთად მოგცემს, შვილო.

იმედგაცრუებული დავრჩი. „ესთერი და გოთოლია“ ახლაც მინდოდა ხელთ მეგდო. მათგან დიდ სიხარულს მოველოდი. გარშემო ვუტრიალებდი მაგიდას, რომელზედაც მამაჩემი წერდა.

— „ესთერი და გოთოლია“, მამი?

— ნუ უქნარობ. წადი, იმუშავე და თავი დამანებე!



ნაჩქარევად გავაკეთე ლათინურიდან თარგმანი, უხალისოდ და ცუდად.

სადილობისას დედა სულ მეკითხებოდა მასწავლებლებზე; ამხანაგებზე, გაკვეთილებზე.

მე ვუთხარი, ჩვენი მასწავლებელი ბებერია, ბინძური, ცხვირს ხმაურით იხოცავს, მკაცრია და ხანდახან უსამართლოც-მეთქი. ჩემს ამხანაგათაგან კი ზოგს გადაჭარბებით ვაქებდი, ზოგს კი სულ მიწასთან ვასწორებდი. ნიუანსებს სულ ვერა ვგრძნობდი და ჯერ კიდევ არ გამაჩნდა გამბედაობა, მეღიარებისა, კაციან-საგნიანა ყველაფერი ერთნაირად უღიმღამოაო.

უეცრად დედაჩემს ვკითხე:

— „ესთერი და გოთოლია“ ლამაზია, არა?

— კი, შვილო, მაგრამ ეგ ხომ ორი სხვადასხვა პიესაა.

მის ნათქვამზე ისეთი გამოთაყვანებული სახე მივიღე, რომ დედაჩემმა საჭიროდ ჩათვალა უფრო ნათლად აეხსნა ყველაფერი.

— ეს ორი პიესაა, შვილო, ორი ტრაგედია. „ესთერი“ ერთის სათაურია, „გოთოლია“ — მეორესი.

მაშინ კი სერიოზულად, მშვიდად და გადაწყვეტიტ ვუთხარი, არა-მეთქი.

გაშტერებულმა დედამ დამტუქსა, ასე უაზროდ და უზრდელად როგორ ამბობ არასო.

მე მაინც ჩემსას გავიძახოდი. ეს ორი პიესა არაა, „ესთერი და გოთოლია“ ერთი ამბავია, კარგად ვიცი, ესთერი მწყემსი ქალია-მეთქი.

— მაშ, ეს ის „ესთერი და გოთოლია“ ყოფილა, მე რომ არ წაშიკითხავს, — თქვა დედაჩემმა, — აბა, მიჩვენე წიგნი, სადაც ეგ ამბავი წერია.

რამდენიმე წუთს პირქუშად ვდუმდი, მერე გულმოკლულმა და დაზაფრულმა განვაგრძე:

— მე გეუბნები, „ესთერი და გოთოლია“ ორი პიესა არაა-მეთქი.

დედა ჩემს დარწმუნებას ცდილობდა, მაგრამ მამა გაცხარდა და უთხრა, თავი დაანებე, ქედმაღლობასა და სისულელეს დე, ნუ მოიშლისო.

— მთლად ჩერჩეტია, — დასძინა მან.

დედამ ამოიოხრა. მე დაეინახე, ახლაც ვხედავ, როგორ აუღ-ჩაუღის შავი თავისი კორსაჟში გამოკრული მკერდი. ვხედავ, როგორ თრთიან და კანკალებენ ყელთან მიბნეული პაწაწინა ოქროს ბაფთის ბოლოები.

მეორე დღეს, რვა საათზე ჩემმა ძიძამ კოლეჯში წამიყვანა. ცოტა როდი მქონდა სადარღებელი. ჩემი თარგმანი არ მაკმაყოფილებდა და ვფიქრობდი, ვერც ვერავის დააკმაყოფილებს-მეთქი. ერთი შეხედვითაც კი მიხვდებოდით, რომ უხეირო ნამუშევარი გახლდათ და შეცდომებით იყო გაჭედილი. ასოები, თავში გულმოდგინედ და წვრილად ნაწერი, თანდათან მსხვილდებოდნენ და ბოლოში კაცი ველარ გაიგებდა, რა იყო დაწერილი. მაგრამ ამ დარდს სულის ბნელ კუნჭულში ვძალავდი; შიგ ვახრჩობდი. ათი წლისა უკვე ბრძენი ვიყავ ამ საკითხში მაინც: ვხვდებოდი, რომ არაფერი უნდა დაგენანოს, რასაც აღარაფერი ეშველება, უწამლო უბედურებისათვის, ძალერბის\* თქმისა არ იყოს, არ უნდა ეძებო წამალი და რომ ცუდი საქციელის მონანიება ნიშნავს ბოროტებას ზედ კიდევ უარესი ბოროტება დაურთო. ბევრი რამ უნდა შეუნდო შენს თავს, რომ სხვების პატიებასაც შეეჩვიო. მეც ვაპატიე ჩემს თავს ეს თარგმანი. საბაყლოს რომ ჩავუარეთ, დაშაქრულ ხილს მოვკარ თვალი. ისე იყო ჩარიგებული, როგორც ძვირფასი თვლები თეთრი ხავერდის ბუდეში. ალუბალი ლალს მოჰგავდა, ლიღმანჭელა — ზურმუხტს, ქლიავი — მსხვილ ტოპაზს და რადგან ყველაზე უფრო ძლიერ და ღრმა შთაბეჭდილებებს ჩემი მხედველობა მაწვდის, მონუსხულივით შევდექ და ვწუხდი, რომ საიმისო ფული არ მქონდა, რომელიმე ასეთი კოლოფი მეყიდა. ყველაზე პატარაც კი ერთი ფრანკი და ოცდახუთი სანტიმი ღირდა. თუმც სინანულისთვის არასდროს მიმიცია თავი, სურვილმა დაიპყრო მთელი ჩემი ცხოვრება. შემძლია ვთქვა, რომ ჩემი არსებობა ერთი გრძელი ნატვრა იყო და სხვა არაფერი. მე მიყვარს ნატვრა; ნატვრის ბოძებული სიხარულიც მიყვარს და ტანჯვაც. ძლიერად ნატვრა თითქმის ფლობას უდრის. თითქმისო? ესაა ფლობა ზიზღისა და მოყირკების გარეშე. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ათი წლისა უკვე ნატვრის ამ ფილოსოფიას ვაღიარებდი და რომ იგი ჩემს ტვინში მზამზარეული სახით არსებობდა? ვერ დავი-

ჟინებ, ასე იყო-მეთქი. ვერც იმას დავიფიქრებ, რომ ბევრად უფრო გვიანაც ნატურის ცეცხლი ისეთი მწველი არ იყო, რომ ზოგჯერ ძალზე მტკივნეულად არ მჩვენებოდა. ბედნიერი კაცი ვიქნებოდნი, ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ დაშაქრული ხილი რომ მენატრა!

მე და ჟიუსტინი ძალიან შეამხანაგებული ვიყავით ერთმანეთთან. მე ალერსიანი ვიყავი, ის — ფიცხი. მიყვარდა ისე, რომ საპასუხო გრძნობა არ მეღირსა, თუმც კი ასეთი რამ, მართალი ვითხრათ, სულაც არ მახასიათებდა.

იმ დღით ორივე კოლეჯისაკენ მივაბიჯებდით. ორივეს ცალი ყურით ჩემი ჩანთის ღვედი გვეჭირა. და ისე ვქაჩავდით აქეთ-იქით, რომ შეიძლება წავექცეულიყავით კიდეც, მაგრამ ღონე არც ერთს არ გვაკლდა. ჩვეულებრივ სულ წვრილად ვუკაკლავდი ჟიუსტინს, რასაც მასწავლებლები მეუბნებოდნენ დღის განმავლობაში სამძიმოსა და ზოგჯერ გასაკიცხსაც. ისეთ-სავე ძნელ რამეებს ვეკითხებოდნი, როგორსაც მე მეკითხებოდნენ ზოლმე. ჟიუსტინი სულ არ მპასუხობდა, ანდა უსწორო პასუხს მაძლევდა და მაშინ ვეუბნებოდნი იმას, რასაც მე მეუბნებოდნენ: ვირი ხარ, ცუდ ნიშანს დაგიწერ-მეთქი. არ გრცხვენია, ასე რომ ზარმაცობ-მეთქი. ამ დღით ვკითხე, „ესთერი და გოთოლია“ თუ გაგიგია-მეთქი.

— ბატონიშვილო,—მიპასუხა მან,—ესთერი და გოთოლია სახელებია.

— შენ მაგ პასუხისთვის უნდა დაისაჯო, ჟიუსტინ!

— სახელებია, ბატონიშვილო. ესთერი, მაგალითად, ჩემს ძიძიშვილსა ჰქვია.

— შეიძლება; მაგრამ წიგნში არ წაგიკითხავს ესთერისა და გოთოლიას ამბავი. არ წაგიკითხავს. ჰოდა, ახლავე გიამბობ. ვუამბე კიდეც.

— ესთერი ჟუი-ან-ჟოზელი ფერმერი იყო. ერთ დღეს მინდორში სეირნობდა და დაღლილობით დამაშვრალ გოგონას შეხვდა, გზის პირას რომ ეგდო გულწასული. ესთერმა მოასულიერა იგი, პური და რძე მისცა, სახელიც ჰკითხა.

ასე ვუამბობდი, სანამ სკოლას არ მივალწიეთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი ნაამბობი მართალი იყო, რომ ზუსტად ასეთ ამბავს ამოვიკითხავდი წიგნშიც. რატომ ვიყავი

დარწმუნებული? წარმოდგენა არა მაქვს. მაგრამ დარწმუნებული კი გახლდით.

ეს დღე სამახსოვრო არაფრით ყოფილა. ჩემმა თარგმანმა "მეუძმეხველად ჩაიარა და ისე უსახელოდ გაქრა, როგორც აღაძიანების საქმეთა უმრავლესობა, დავიწყების წყვედიადი რომ მოსავთ. მეორე დღეს ბინესადმი მგზნებარე სიყვარული აღმძვრა გულში. ბინე პატარა იყო, გალუული, ამოლამებული თვალები, ვეება პირი და გამყინავი ხმა ჰქონდა. ფეხით ჩექმები ეცვა, ხაძღვილი, პატარა, თეთრკანტიანი შავი ჩექმები, გალაცხული და ამან დამაბრმავა. სამყარო გაქრა ჩემს თვალთაგან, ბინეს მეტს ველარავის ვამჩნევდი. დღეს ამ ალტაცების ვერც ერთ მიზეზს ველარ ვპოულობ, თუ არა ჩექმებს, გარდასულ დღეთა ამდენ დიდებასა და სიკობტავეს რომ მოგვაგონებდა. თუკი იფიქრებთ, ეგ ცოტააო, თავის დღეში ვერაფერს გაუგებთ მსოფლიო ისტორიას. განა ბერძნები უპირველეს ყოვლისა ტურფა ქლამიდებიანი ბერძნები არ იყვნენ? მეორე დღე ოთხშაბათი იყო და გაკვეთილები არა გვქონია. მნემ მხოლოდ ხუთშაბათს დაგვირიგა წიგნები. ხელი მოგვაწერინა, რომ წიგნები მივიღეთ და ამან დიდ მოქალაქეებად წარმოგვადგენინა თავი. სიამოვნებით ვყნოსავდით წიგნებს, წებოსა და ქალადის სუნი რომ უდიოდათ. სულ ახლები იყვნენ. თავფურცელზე ჩვენი გვარები დავაწერეთ. ზოგს გრამატიკისა თუ ლექსიკონების ყდაზე მელანი დაეღვენთა და ამოიოხრა. თუმცა კი ამ წიგნებს იმდენი მელნის ნალვენთის მიღება ეწერათ, რამდენი წვეთი ტალახიც სენ-პერის საბაყლოს ვიტრინებსაც კი არ ხვდება ზამთრობით. მაგრამ პირველი ლაქაა, სასოწარკვეთილებაში რომ გვაგდებს: დანარჩენი ისე არ გვადარდებს. ეს მსჯელობა ცოტაც რომ გავაგრძელო, ძალიან შორს წავგიყვანდა გრამატიკიდან და ლექსიკონიდან. ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, მე ჩემს წიგნებში მაშინვე „ესთერს და გოთოლიას“ დავუწყე ძებნა. ბედის დაცინვა იყო თუ რა, ჩემდა სავალალოდ ეს წიგნი დასტაში არ აღმოჩნდა. მნეს მივაკითხე; მითხრა, წურაფერს ნალვლობ, როცა დაგჭირდება, იმ დროისათვის გექნებაო.

მხოლოდ ორი კვირის თავზე, მიცვალებულთა დღეს ველირსე „ესთერს“ და „გოთოლიას“. პატარა წიგნაკი იყო, ლურჯი

ტილოს ყუა ჰქონდა, ზედ კი, ნაცრისფერი ქალაღლის ყდაზე, ეწერა: რასინი, „ესთერი“ და „გოთოლია“ (ბიბლიურ თემებზე დაწერილი ტრაგედიები, მოსწავლეთათვის). ეს სათაური არაფერს კარგს არ შიქადდა. წიგნი გავშალე: უარესი გამოდგა, ვიდრე ველოდი. „ესთერიცა“ და „გოთოლიაც“ ლექსად იყო დაწერილი. ცნობილია, რომ ყველაფერი, რაც ლექსადაა დაწერილი, ძხელი გასაგებია და ნაკლებ საინტერესო. „ესთერი“ და „გოთოლია“ ორი სხვადასხვა პიესა იყო და ისიც გალექსილი, გრძელ-გრძელი ლექსებით გამართული. ვაგლახ, დედაჩემი ძართალი გამოდგა. მაშ, ესთერი ფერმერი არა ყოფილა, გოთოლია კი — პატარა მათხოვარი; ესთერს იგი გზის პირას არ უპოვია. მაშ, სიზმრად მიხახავს ყველაფერის საუცხოო სიზმარი კი იყო! სინამდვილე კი რა სამწუხარო და მოსაწყენი გამოდგა ჩემს სიზმართან შედარებით! წიგნი დავხურე და დავიფიცე, ჩემს ღლეში აღარ გავხსნი-მეთქი, მაგრამ სიტყვას მაინც გადავედი.

ჰოი, ტკბილო და დიდო რასინო! საუკეთესოვ, უსაყვარლესო პოეტოა შორის! ასეთი იყო ჩემი პირველი შეხვედრა თქვენთან. თქვენ ახლა ჩემი სიყვარული და სიხარული ხართ, თქვენით ვპოვებ უზომო კმაყოფილებასა და უსაზღვრო ნეტარებას, მხოლოდ თანისთან, რაც წლები მომემატა, რაც ადამიანები და საგნები უკეთ გავიცანი, ვისწავლე თქვენი ცნობა და თქვენი სიყვარული. კორნელი თქვენთან შედარებით მხოლოდ მარჯვე დეკლამატორია და არ ვიცი, მოლიერი თუა ისეთი ძართალი, როგორც თქვენ, ო, უზეშთაესო ოსტატო; თქვენში თავმოყრილია მთელი ჰემმარიტება და მთელი სილამაზე! სიყმაწვილეში, ამ ბარბაროს რომანტიკოსთა გაკვეთილებითა და მაგალითებით წამხდარმა ერთბაშად ვერ გავიგე, რომ თქვენ იყავით ყველაზე უფრო ღრმა და ყველაზე უფრო წმიდა ტრაგიკოსებს შორის; ჩემს თვალებს ძალი არ შესწევდა თქვენი ბრწყინვალეების მხერად. თქვენზე მუდამ საკმარისი აღტაცებით არ მილაპარაკია; არასდროს მითქვამს, რომ თქვენ შექმენით ყველაზე უფრო ნამდვილი ხასიათები, რომლებიც კი პოეტს შეუთხზავს. არასდროს მითქვამს, რომ თქვენ თავად ცხოვრება და თავად ბუნება იყავით. მხოლოდ თქვენ გვიჩვენეთ ჰემმარიტი ქალები. რანი არიან სოფოკლესა და შექსპირის

ქალები იმ ქალებთან შედარებით, ვისაც თქვენ შთაბერეთ სული? ტიკიხები და მეტი არაფერი! მხოლოდ თქვენებს აქვთ გრძობები და ის შინაგანი ცეცხლი, სულს რომ ვეძახით. მხოლოდ თქვენს ქალებს უყვართ და სწადიათ; სხვები მხოლოდ ლაპარაკობენ; არ მინდა ისე ჩავიდე საფლავში, რამდენიმე სტრიქონი არ დავწერო თქვენს სადიდებლად და არ დავლო თქვენი ძეგლის ფერხთით, ო, ჟან რასინ, ჩემი თქვენდამი სიყვარულისა და მოწიწების ნიშნად; და თუკი არ დამცალდა ამ წმიდათაწმიდა ვალის აღსრულება, დე, ეს დაუღვეარი, მაგრამ გულწრფელი სტრიქონები დამირჩეს ანდერძად.

მაგრამ მე არ მიაშინია, რომ, როცა უარი ვთქვი მესწავლა ესთერის ლოცვა „მეფევ ძლიერო“ (ეს კი ფრანგული ენის საუკეთესო ლექსები გახლავთ), ჩემმა მერვე კლასის მასწავლებელმა ორმოცდაათჯერ დამაწერინა ეს ფრაზა: „გაკვეთილი არ მისწავლია“. ჩემი მერვე კლასის მასწავლებელი რეგვენი იყო. ასე არ უნდა იძიო შურის პოეტის დიდებისათვის. დღეს მთელი რასინი ზეპირად ვიცი და მაინც სულ ახლად მეჩვენება. შენ კი, ბებერო რიშუ (ასე ერქვა ჩემს მასწავლებელს), შენი გახსენებაც კი ზიზღსა მგვრის. შენ ბილწავდი ხოლმე რასინის ლექსებს, რაკი შენი სქელი, შავი ლაშებით წარმოთქვამდი. ჰარმონიის გრძობა არ გაგაჩნდა. შენ მარსიას ხვედრის ღირსი იყავ და მომწონს თავი, რომ გეურჩე და არ ვისწავლე „ესთერი“ მანამ, სანამ შენ იყავი ჩემი მოძღვარი. მაგრამ თქვენ კი, ძარია ფავარ, თქვენ, სარა, თქვენ, ბარტე, თქვენ, ვებერ, კურთხეულ იყავით, რამეთუ თქვენს ღვთაებრივ ბაგეთაგან წვეთდა, როგორც თაფლი და ნექტარი „ესთერის“, „ფედრასა“ და „იფიგენიას“ ლექსები.



### X X X V

#### ჩემი ოთახი

ბატონმა ბელაგემ სიცოცხლის ბოლო წუთამდე შეინარჩუნა პატივისცემა, რომლითაც ეკიდებიან ბლომა ფულიან გაიძვერებს. მადლიერმა ოჯახმა გასვენებაც დიდებული მოუწყა. კუბოს გვერდით რამდენიმე ცნობილი ფინანსისტი მიჰყვებო-

და. კატაფალკის უკან ცერემონმეისტერს ბალიშზე დაბნეული მისი ორდენები, მედლები, ჯვრები და ლენტები მოჰქონდა.

სამგლოვიარო პროცესიის გავლისას ქალები პირჯვარს იწერდნენ, უბირი ხალხი ქუდს იხდიდა და ჩუმ-ჩუმად გაიძახოდა: გაიძვერა, თაღლითი არამზადაო. ასე ათანხმებდნენ სიკვდილის პატივისცემასა და სამართლის გრძობას.

გარდაცვლილის ქონება რომ იგდეს ხელთ, მემკვიდრეებმა ბევრი რამ შეცვალეს სახლში და დედაჩემმაც მიაღწია იმას, რომ ჩვენთვის ბინა გადაეკეთებინათ და გაერემონტებინათ. ბნელი საკუჭნაოები და კედლის კარადები გააუქმეს და მათ ხარჯზე ერთი ზედმეტი პატარა ოთახი გააკეთეს, რომელიც ჩემი საკუთრება გახდა. აქამდე ხან სასტუმრო ოთახის მეზობელ კაბინეტში ვიწექი, ეს კაბინეტი ისეთი ვიწრო იყო, რომ ღამით კარის დაკეტვა ვერ მომეხერხებინა; ხან საგარდერობოში მიხდებოდა დაძინება, რომელიც უმისოდაც გამოტენილი იყო. მუშაობით კი სასაღილო ოთახის მაგიდაზე ვმუშაობდი. ჟიუსტიანი უბოდიშოდ მაწყვეტიებდა მუშაობას, სუფრა რომ გაეშალა და წიგნების, რვეულების, სამელნისა და კერძების თეფშებისა და დანა-ჩანგლის ეს მონაცვლეობა უჩხუბრად არასოდეს მთავრდებოდა. როგორც კი საკუთარი ოთახის პატრონი შევიქენ, თავს ველარ ვცნობდი. წინა დღით ბალლი ვიყავ, დღეს კი შოწიფულ ყრმად ვიქექ. ჩემი აზრები, ჩემი გემოვნება წამში ჩამოყალიბდა. მე უკვე საკუთარი არსებობა, საკუთარი სამყარო მქონდა.

ჩემი ოთახიდან ორც ლამაზი და არც ვრცელი ხედი არ იძლებოდა; მისი ფანჯრები უკანა ეზოს გადაჰყურებდა. შპალერი კრემისფერი იყო, ლურჯი ყვავილების თაიგულებით შოჩითული. მთელ ავეჯს საწოლი, ორი სკამი და ერთი მაგიდა შეადგენდა. თუჯის საწოლი ღირსია იმისა, რომ აღწეროს კაცმა. რა ფერისა იყო, ვერ გაიგებდით, სანამ არ მიხვდებოდით, რომ პალისანდრის ხისთვის სურდათ მიემგვანებინათ. ეს საწოლი. რენესანსის სტილზე ნაყშებით იყო მორთული, როგორც ლუი-ფილიპის დროს სჩვეოდათ. წინ ვითომ მარგალიტებით მოოჭვილი მედალიონი ჰქონდა, საიდანაც იმზირებოდა დიადემით თავშემკული ქალი. საწოლის თავსა და ბოლოს ფოთლებში განაბული ჩიტუნები ამკობდნენ. არ დაგავიწყდეთ,

რომ ეს თავებიც, ეს ჩიტუნებიცა და ეს ფოთლებიც თუჯისა იყო და იისფერი გადაჰკრავდა. როგორ იყიდა დედაჩემმა აძგვარი ნივთი? ესაა სასტიკი საიდუმლო, რომლის გამოსაძიებლადაც გამბედაობა არ მყოფნის. საწოლის ფერხთით დაგებულ პატარა ხალზე ძალღთან მოთამაშე ბავშვები იყვნენ გამოხატულნი. კედლებზე აკვარელები ეკიდა: ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი შვეიცარიელი ქალები. მქონდა ერთი თაროც, სადაც ჩემს წიგნებს ვალაგებდი, კაკლის ხის კარადა და ლუი XVI-ის სტილის ვარდისფერი ხის პატარა მაგიდა, რომელსაც სიამოვნებით გავცვლიდი ნათლიაჩემის წითელი ხის ვეება საწერ მაგიდაში, ჩემის აზრით მეტ სიღარბაისლეს რომ შემძენდა.

როგორც კი საკუთარი ოთახის პატრონი შევიქენ, შინაგანი ცხოვრებაც გამიჩნდა. ფიქრის, განსჯის საშუალება მომეცა. ეს ოთახი ლამაზი არ მჩვენებია; წუთითაც კი არ მიფიქრია, რომ ლამაზი უნდა ყოფილიყო; ულამაზოდაც არ მეჩვენებოდა; ჩემთვის ეს ერთადერთი იყო, შეუღარებელი. იგი სამყაროს მაშორებდა და მასში ვპოვებდი მთელ სამყაროს.

აქ ჩამოყალიბდა ჩემი გონება, გაფართოვდა და აჩრდილებით დასახლდა. ბაღის საცოდავო ოთახო, შენს კედლებში მეწვიენ მეცნიერების ფერად-ფერადი ლანდები და ილუზიები, რომელთაც ბუნება დაფარეს ჩემს თვალთაგან; ჩემსა და ბუნებას შორის დგებოდნენ, როცა კი ვცდილობდი მის დანახვას. სწორედ შენს ლურჯი ყვავილებით მოჩითულ ოთხ კედელშუა გამოშვებულდნენ ჭერ კიდევ ბუნდოვანი და შორეული, შიშისმგვრელი ლანდები სიყვარულის და სილამაზისა.







ეს წიგნი „პატარა პიერის“ გაგრძელებას წარმოადგენს. „სიცოცხლის ყვავილობა“ ჩემი მეგობრის სიყრმის ამბებსა და ცხოვრების სარბიელზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე უამბობს მკითხველს. ეს ორი ტომი, რომელთაც შეიძლება „ჩემი მეგობრის წიგნიცა“ და „პიერ ნოზიერიც“ დაუმატოს კაცმა, ჩემი სიყმაწვილის დღეთა მოგონებებს შეიცავს, ოღონდ, ცხადია, ზოგან სახელები მაქვს შეცვლილი და შიგადაშიგ გამონაგონიც გაუვრიე. ამ წიგნის ბოლოს მოგახსენებთ, რამ მაიძულა ზოგ-ზოგი ამბაეი გადამესხვაფერებინა, როცა ამ მოგონებების გამოკვეყნება გადავწყვიტე<sup>1</sup>. ჩემი თავგადასავლის წერას მაშინ მივყავ ხელი, როცა ბაღლობა ძალზე შორს დამრჩა, ის პატარა ბიჭიც, ოდესღაც მე რომ გახლდით, სრულიად უცხო შეიქნა ჩემთვის და მისით თავის შექცევა შევიძელ. მაგრამ დიდი ახირებული მეხსიერების პატრონი ვარ და, რაც უწინ გამახსენდა, პირველად ის ჩავწერე. უკვე მოხუცი და უამრავი საზრუნავით დამძიმებული ქალბატონი დე კელიუსიც\* ჩიოდა ერთ დღეს, ათასი საფიქრალი მაქვს და არ ძალმიძს ჩემი მემუარები უუკარნახო ვინმესო. „რა უშავს მერე, — უთხრა ვაჟიშვილმა; იგი მზად იყო, დედის ნაცვლად მოეკიდა კალმისათვის ხელი და მოხუცებული ასე დაამშვიდა: — ჩვენც ავდგეთ და მარტო „მოგონებები“ დავარქვათ; მაშინ მოვალე არ იქნებით ქრონოლოგია დაიცვათ და თანმიმდევრობით მოჰყვით ყველაფერს“. ვაგლახ, პატარა პიერის მოგონებებში ვერ შეხედებით ვერც რასინს, ვერც სენ-სირსა\* და ვერც ლუი XIV-ის სამეფო კარს; ქალბატონ დე მენტენონის ძმისწულივით ლამაზადა ვწერ-მეთქი, ვერც იმას დავიკვებნი. მის დროს ენა ჯერ კიდევ შეურყვნელი იყო, მას მერე კი ძალიან წახდა. მაგრამ ყველაფერსა სჯობს ისე ილაპარაკო, როგორც ყველა ლაპარაკობს. ეს წიგნი დიდი სიზუსტით აღწერს უამრავ წერილმან ამბავს; მე კი მსმენია, რომ კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების და ვფიქრობ, ჩემი ნაამბობიც მოგეწონებათ.

<sup>1</sup> იხ. ბოლოსიტყვაობა.

## I

### ცოტას ვაძლევთ

იმ დღეს მე და ფონტანე კოლეჯიდან ხუთის ნახევარზე გამოვედით და შერშ-მიდის ქუჩას დავეუყევით. მახსოვს, მეხუთე კლასში ვსწავლობდით და დამრიგებლად ბატონი ბრარი გვყავდა. მოვდიოდით და უკან ქალბატონი ტურტური და ჟიუსტიხი მოგვდევდნენ. ამ ჟიუსტინს მამაჩემმა „კატასტროფა“ შეარქვა, რადგან სადაც უნდა წასულიყო, რასაც უნდა სწეოდა, სულ უკუღმართად მიუდიოდა საქმე; ხან ცეცხლს გააჩენდა, ხან წყალდიდობასა და ხანაც ქარიშხალს ამოაგდებდა ხოლმე. რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა. შინ ვბრუნდებოდით და კარგა გრძელი გზა უნდა გაგვევლო. ფონტანე სენ-პერის ქუჩის ბოლოს ცხოვრობდა. დეკემბრის სუსხიანი საღამო იდგა. მწუხრი წვებოდა ირგვლივ. ტროტუარი სველი იყო და გაზის ნათურებიც ნისლში ძლივსღა ბეუტავდნენ. ყურში გამვლელების ყაყანი, ეკიპაჟთა სრბოლის ხმა ჩაგვესმოდა და გვამხიარულებდა გზად მიმავალთ. მაგრამ დროდადრო მთელ ამ ხმაურს ჟიუსტინის შევივლება და გულიანი კისკისი ფარავდა. ის უბედურ დღეზე გაჩენილი ხან შალის თავსაფრის ბოლოთი გამოედებოდა ვილაცას და ხან წინსაფრის ჯიბეებით.

— ძალზე ცოტას ვაძლევთ! — ვუთხარი უეცრად ფონტანეს. ეს ჩემი დიდი ხნის ნაფიქრ-ნააზრევი გახლდათ და მიტომაც ვამბობდი დაბეჯითებით. გულწრფელად მეგონა, ჩემი სინდისის ბნელ კუნჭულებში იშვიათ ჭეშმარიტებას მივაგენი-მეთქი და ფონტანეს დიდის ამბით ვამცნე. თუმცა, ადვილი

შესაძლებელია, ეს ფრაზა ვისმესგან გამეგონა, ანდა ამომეკითხა სადმე. იმხანად სხვათა აზრების მითვისება მჩვეოდა. მას შემდეგ გამოვსწორდი და ვიცი, რამდენადა ვარ დავალებული სხვებისაგან: ძველებისგანაც და თანამედროვეებისგანაც, ჩემი თანამეძაძულეებისგანაც და უცხოელებისგანაც, მეტადრე ბერძნებისაგან; მათგან მომმადლებია ყოველი და ნეტამც მეტიც შემეთვისებინა; აკი ყველაფერი, რაც რამ გონივრული ვიციტ სამყაროსა და ადამიანის შესახებ, ყველაფერი მათგან ვისწავლეთ. მაგრამ სჯობს თავი დავანებოთ ამას და ისევ ჩვენს სათქმელს დავუბრუნდეთ.

ფონტანე ერთი კიკნა ბიჭი გახლდათ, ცხვირ-პირი მელიის დრუხჩივით ჰქონდა წაწვეტებული. ისეთი გალუული იყო, თორმეტ წელს არაფრის დიდებით არ მისცემდით. ჩემგან ნათქვამი ბრძნული აზრი რომ მოისმინა, ერთი ალმაცერად ამომხედა და თვალებით მკითხა, მაგით რისი თქმა გინდაო. მუდამ მზად იყო, ყოველგვარი აზრი გულდასმით აეწონ-დაეწონა, ერთიც ვნახოთ, იქნებ კიდევაც გამოვრჩე რამესო. ჩემს ნათქვამში ჭერჯეობით ვერაფერი ნახა სახეირო და შემდგომ ახსნა-განმარტებას დაელოდა.

მეც უფრო მეტის სერიოზულობით მოვყევე მტკიცებას, ცოტას ვაძლევთ-მეთქი და დავსძინე:

— მოწყალებას ვაძლევთ ცოტას ღარიბებსა და ძალიანაც ვცდებით. რაც რამ ზედმეტი გვაბადია, ყველაფერი უზოვართ უნდა დავურიგოთ ხოლმე.

ფონტანე წამით ჩაფიქრდა და, შეიძლებაო, მითხრა.

ამ ერთმა სიტყვამ სიმხნევე შემმატა და ჩემს ძმაკაცს შევეთავაზე, მოდი, მე და შენ საქველმოქმედო საზოგადოება შევექმნათ-მეთქი. ვიცოდი, მარჯვე ბიჭი იყო, ჭკუა უჭრიდა, საქმეების გარიგებაც ეხერხებოდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ მე და ის ერთად დიად საქმეებს ჩავიდენდით.

ცოტა წავიკამათეთ და შევეთანხმდით.

— რამდენი ფული გაქვს ღარიბებისათვის მისაცემი? — მკითხა ფონტანემ.

შიეუგე, ორმოცდაცხრა სუ მაქვს საქმეში დასაბანდებლად-მეთქი და დავსძინე, შენც თუ ამდენსვე მოიტან, ახლავე შეგვიძლია მოწყალების გაცემას შევეუდგეთ-მეთქი.

ოლონდ აღმოჩნდა, რომ ფონტანეს, ძალზე მდიდარი ქვივის ერთას, სულ ახლახან საჩუქრად მშვენიერი პონი რომ მიეღო მთელი თავისი აღკაზმულობით, იმხანად რვა სუს მეტი არ გააჩნდა. მაგრამ შემნიშნა და სამართლიანადაც, რომ აუცილებელი არ იყო თავიდანვე ერთნაირი თანხა გაგვეღო. შემპირდა, მერე მე მოვიტან მეტსო.

ყველაფერი კარგად რომ ავწონ-დავწონე, მივხვდი, ჩვენი განზრახვა მეტად იოლი განსახორციელებელი გახლდათ და უბედურებაც სწორედ ეგ იყო. უნდა აგვეღო და ეს ჩვენი ორმოცდაჩვიდმეტი სუ პირველი შემხვედრი ბრმისათვის მიგვეცა, მაგრამ გამოგიტყდებით და, ჩემი გულუხვობის გასამრჯელოდ უკანა თათებზე ჩაცუცქული, პირში ფიალაგაჩრილი ფინიას მადლიერი მზერა არა კმაროდა. თორმეტი წლისა ცოტა ფარისეველი გახლდით და მოწყალებაც სხვაგვარად მინდოდა გაძელო. გთხოვთ, შემინდოთ; მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და მეც შევიცვალე.

ფონტანე სახლამდე მივაცილეო. მერე ჩემს საყვარელ ჟიუსტინს მკლავზე ჩამოვეკონწიალე და მომავალ ქველმოქმედებაზე ფიქრში გართულმა ვკითხე:

— როგორა ფიქრობ, განა ცოტას არ ვაძლევთ?

არაფერი მიპასუხა და მივხვდი, რომ ვერ მიმიხვდა სათქმელს; მაგრამ სულაც არ გამკვირვებია: თავის დღეში ყურს არ მიგდებდა და ძალზე იშვიათად ესმოდა ჩემი. სხვაფრივ კი შესანიშნავად ვეწყობოდით ერთმანეთს. კარგად ავუხსენი, რისი თქმაც მსურდა, მაგრად ვექაჩებოდი გრილსა და ღონიერ მკლავზე, მისი გულისყური რომ მიმეპყრო და ვუყვიროდი:

— ჟიუსტინ, როგორა ფიქრობ, ნუთუ საკმარის მოწყალებას ვაძლევთ ღარიბებს? მე მგონია, არა.

— მათხოვრებს მუდამ ბევრს ვაძლევთ ხოლმე, — მიპასუხა მან, — ისინი კი უქნარები და მუქთახორები არიან. მაგრამ ქვეყნად ნამუსიანი ღარიბიც ბევრია და სწორედ ისინი არიან შებრალების ღირსნი. ჰო, მრავლად არიან, მაგრამ იმალებიან. მოწყალების თხოვნას თაკილობენ და ჩუმად იტანჯებიან.

ჟიუსტინს კარგად გავუგე; გუნებაში გადაწყვეტილებაც მივიღე: ფონტანესთან ერთად მთელს ჩემს ძალ-ღონეს ნამუსიან ღარიბთა ძებნას მოვახმარ-მეთქი.

იმ საღამოს ბედმა გამიღიმა და პაპაჩემისაგან საჩუქრად ასი სუ მივიღე. პაპაჩემი ღარიბი, მაგრამ ძალზე ხელგაშლილი კაცი იყო. მეორე დღით, ბატონ ბრარის გაკვეთილზე ფონტანეს ვანიშნე, დღეიდან შვიდი ფრანკი და ოთხმოცდახუთი სახტიმი გვაქვს ნამუსიანი ღარიბებისათვის მისაცემი-მეთქი. ბატონმა ბრარმა შემნიშნა, ხელებს რომ ვიქნევედი, იფიქრა, გაკვეთილს ყურს არ უგდებსო და ყოფაქცევაში ცუდი ნიშანი დამისვა. ო, რა მწარე ღიმი გამიკრთა ბაგეზე და რა ზიზღნარევი მზერა შევაავლე ამ უბადრუკ მასწავლებელს, როცა ჩემი ცოდვებით ისედაც აპრელებულ დღიურში ნიშანს მიწერდა. რაღა დაგიმალოთ და, ბატონი ბრარისათვის რომ გეკითხათ, აურაცხელი ცოდვა მაწვა კისერზე.

შუადღის შესვენებაზე ფონტანემ ხელები მოიფშვნიტა სიხარულის ნიშნად და მითხრა, დეიდაჩემი ძალზე მდიდარი ქალია და დღეს იქნება თუ ხვალ, შენ რომ გაქვს, იმაზე ორჯერ ან სამჯერ მეტს მომცემსო. მანამ კი ეგ შვიდი ფრანკი და ოთხმოცდახუთი სახტიმი მე მომბაბარე, საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის ასე აჯობებსო.

გადავწყვიტეთ იმ საღამოსვე, კოლეჯიდან გამოსვლისთანავე შევდგომოდით ნამუსიანი ღარიბის ძებნას. გარემოებაც რომ ხელს გვიწყობდა; ქალბატონ ტურტურს ანთება სჭირდა და ლოგინში იწვა. მე და ფონტანეს შინ მხოლოდ ჟიუსტინი, ჩემი ჟიუსტინი მიგვაცილებდა, დამკრახული ლოყები რომ გასკდომაზე ჰქონდა. იმას თავისი გასაჭირი ადგა, ძლივს ართმევდა თავს მოულოდნელად დამტყდარ ფათერაკებს და ჩვენის აზრით, მკაცრ ზედამხედველობასაც ვერ გაგვიწევდა, რაკი მისი რიდი სულ არა გვქონდა. მაგრამ რა ღონეც უნდა გვეხმარა, განა შეგვეძლო ამ ზღვა ხალხში გამოგვეჩრია ნამუსიანი ღარიბები, როცა მათ შესახებ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ უსიტყვოდ იტანჯებიან და მოწყალების თხოვნას თაკილობენ? უცებ მოგვეჩვენა, რომ ერთ მათგანს გადავეყარეთ. ბინძური ხიფთანი ეცვა და კოჭლობით მოდიოდა.

- თვალეზანთებულნი შევაჩერდით; წამითაც არ მოგვიწყვეტია მზერა.

— ეგ უნდა იყოს, — ჩავჩურჩულე ყურში ფონტანეს.

— მეც მაგრე მგონია, — კვერი დამიკრა მანაც.

მაგრამ ვავენის კუთხეს რომ მიაღწია, კაცი ღუქანში შევიდა, ოკინისაგან ნაჭედი ვაზის ფოთლებით შემკული ცხაური რომ ჰქონდა. მერე დავინახეთ, როგორ აიღო ღვინით სავსე ჭიქა თუთიის დახლიდან, რომელსაც სინათლეზე ბზინვა გაჰქონდა.

— ლოთი ყოფილა, — ეთქვი მე.

— ზედვე ეტყობოდა, — შესძახა ფონტანემ და მეც აღტაცებით გავიფიქრე, ეს რა გამჭრიახი ვინმეა-მეთქი.

ამ მარცხმა ფარ-ხმალი ვერ დაგვაყრევინა; კვლავ ძებნა განვაგრძეთ. ჟიუსტინს ქოშინი აუვარდა, ძლივს გვეწეოდა სწრაფი ნაბიჯით მიმავალთ. რომელიღაც გზაჯვარედინზე ერთ ახალგაზრდა გლეხის ქალს მოვეკარით თვალი. ხელში კალათი ეჭირა და დამარცვლით კითხულობდა აბრაზე წარწერებს. ეტყობოდა, დიდ გასაჭირში იყო ჩაეარდნილი. გავიფიქრე, სწორედ ეგაა, რასაც ვეძებდით-მეთქი, მივუახლოვდი, ქუდი ძოვუხადე და რაც შემეძლო, თავაზიანად ვუთხარი:

— რითიმე ხომ არ შემიძლია დაგეხმაროთ?

ბასუხის ღირსადაც კი არ ჩამაგდო; ერთი შემომიბღვირა და მორჩა. მე კვლავ სამსახური შევთავაზე. ეტყობა, შინ დარჩეებით ყურები გამოუქედეს, ქალიშვილს პარიზში აუარება საფრთხე მოეღისო და თან ისიც ჩააგონეს, დიდ-დიდ ქალაქებში ბიწიერება აკენიდანვე რყენის ყმაწვილებსო; მეც, ჩემდა თავად, ჩემი ხნისათვის კარგა მოსული ბიჭი გახლდით, თუმცა ძალზე საშიში მაინც არ უნდა ეყოფილიყავი, მაგრამ ეტყობა, შიშმა დაუბნელა თვალები და მოეჩვენა, რომ სახეს კოკობი უღვაშიც მიმშვენებდა. მომაძახა, თავხედი ხარო და სილა გამაწნა. უმანკო ვიყავი და ვერ მივხვდი, რაოდენ სასიამოვნო იყო ეს სილა. ფონტანე, ცნობისმოყვარეობით რომ შესცქეროდა ამ ამბავს, გულიანად ახარხარდა. ისევ ჟიუსტინი გამომეხარჩლა; გლეხის ქალს გომბიო უწოდა, კარგა მაგრადაც გამოლანძღა და კიდევაც დაემუქრა, გცემო. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

— ეს ჭკუას გასწავლით, ბატონო პიერ, და აწი გოგოებს აღარ შეუჩნდებით ხოლმე. ძალიან ცუდად ირჩებით; კადნიერებაც რომ არ გაკლიათ!

— არაფერიც არ მოხდებოდა, სალაპარაკოდ მე რომ მიგე-



შვი იმ გლეხის ქალთან, — მითხრა ფონტანემ, — მაგრამ ყველაფერი შენით გინდა გააკეთო, სხვას თავის დღეში რჩევას არ ჰკითხავ ზოლმე.

ეს საყვედური მე არ დამიმსახურებია. მთელი ჩემი ცხოვრების თანამგზავრთ ვუხმობ მოწმედ.

დავრწმუნდით, რომ ნამუსიანი ღარიბის პოვნა მართლაც ძნელი და სათუო საქმე იყო; მაგრამ იმედი მაინც არ გადავიწყვეტია, ძებნასაც მეტის გატაცებით შევუღლებით. უკვე სენ-პერის ქუჩაზე გავდიოდით და დასაკარგი დრო აღარა გვქონდა. აქ ვილაც კაცს გადავეყარეთ. ზედვე ეტყობოდა, რომ უბედური იყო: ათას საზრუნავს წელში მოეხარა, მუხლებთან შარვალი გამობერვოდა, ქული გაქუქყიანებოდა, ცხვირიც ნიკაპამდე სწვდებოდა, პირწავარდნილი ნამუსიანი ღარიბი იყო. მიუვახლოვდით და ის იყო, უნდა გამოვლაპარაკებოდით, რომ ფონტანემ მუჯლუგუნი გამკრა:

— შეეშვი; ვერა ხედავ, ორდენი ჰკილია.

მართლაც, რედინგოტის საღილედან წითელი ლენტი\* მოუჩანდა. ამ ლენტით მივხვდით, რომ ეს კაცი ღარიბი კი არა და, ჩვენი საზოგადოების ყველაზე უფრო საპატიო წევრთაგანი იყო. შეიძლება ვაჭარბებდით, მაგრამ ჩინების პატივისცემა სიყრმიდანვე გულს გვქონდა ჩანერგილი.

ფონტანემ დალლა რა იყო, არ იცოდა; რამდენიმე ნაბიჯი გადავდგით თუ არა, შესძახა:

— აგე! უტკირე! — და დაუდევრად ჩაცმულ ბერიკაცზე მიმითითა.

ბერიკაცი მოდიოდა და თან ჯიბეებში იქეჭებოდა. ეტყობა, ვერ ეპოვნა ის, რასაც დაეძებდა, რადგან ძებნას არა წყვეტდა. ხეტა რას ეძებდა? ფულს? თუთუნს? ძნელი იყო ამის გამოცხობა. მაგრამ ფონტანესათვის რომ გეკითხათ, სწორედ ეგ გახლდათ უტყუარი საბუთი იმისა, რომ ჩვენ წინ ნამუსიანი ღარიბი იდგა. სამათხოვროდ ხელის გაშვერა ეთაკილება და თავის გამოფხეკილ ჯიბეებში ამაოდ დაეძებს იმას, რაც უკვე აღარ გააჩნიაო.

— მიდი, ელაპარაკე, — მითხრა ფონტანემ.

— შენ თვითონ ელაპარაკე, — შევესიტყვე მე, — წელან არ მითხარი, საუბარი არ გეხერხებოა? ესეც არ იყოს, ფული შენა გაქვს და შენ უნდა შესთავაზო.

ამ სიტყვამ გასჭრა და ფონტანეც წინ გადაუდგა ბერიკაცს, ჯიბეში რაღაცას გამწარებით რომ დაეძებდა; ვიწრო ტროტუარზე შეაჩერა, ქუდი მოუხადა და უთხრა:

— ბატონო...

თუშცა ბუნებით თამამი და, ცოტა არ იყოს, უტიფარიც იყო, მეტის თქმა ველარ მოახერხა. ბერიკაცი ახლოდან მდიდარი ჩანდა; ოქროს ქინძისთავი და ოქროს ძეწკვი ეკეთა. მე შეგობრის საშველად გავეშურე, მოხუცს მეც ქუდი მოვუხადე და თავაზიანად ჩავილულლულე:

— ბატონო...

გაბედლობამ მილალატა, ენა დამება და მეტი ველარაფრის თქმა ველარ შევძელ.

ჩვენი ნირის წახდომა რომ ნახა, მოხუცმა დაგვიყვავა, ჩემო პატარა შეგობრებო, რა გაგჭირვებიათ, რით შემძლია დაგეხმართო...

ფონტანე დიდი კუდიანი ვინმე იყო და ხელად იპოვა გამოსავალი.

— ბატონო ჩემო, — უთხრა ფარისეველურად, — ტურნონის ქუჩას ვერ მიგვასწავლით?

— ტურნონის ქუჩას?.. უკვე გამოსცდენიხართ, ჩემო პაწია შეგობრებო. მარცხნიდან პირველ ქუჩას დაადექით, მერე ისევ მარცხნივ შეუხვით, ისევ მარცხნივ და...

მოხუცი შეყოყმანდა. თან გვიხსნიდა, თან ფიქრობდა და თავისი ყილეტის ჯიბე-უბეებში ისე იქექებოდა, თითქოს პასუხი შიგ უნდა იპოვოსო. ფონტანე ვითომც სერიოზულად უსმენდა. დიდის ამბით მიებრუნებინა მისკენ თავის მელიას დრუნჩივით წაწვეტებული პირისახე. მე ტუჩებს ვიკვნეტდი. უცებ სიცილი წამსკდა, ფონტანემაც ბანი მომცა და ერთბაშად რაც ძალი და ღონე გვქონდა, მოვკურცხლეთ. მაგრამ მაინც გვესმოდა, საქციელწამხდარი მოხუცი როგორ მოგვეკიოდა, აი, თქვე ცუდლუბებო, თქვე სალახანებო.

ყიუსტინს ვერაფრით გავგო, ასე უეცრად რად მოვცოცხეთ, შეშინდა, ხელიდან სამუდამოდ არ დამისხლტნენ, ბიჭი არ დამეკარგოს, დედამისს რაღა პირით ვეჩვენოო და ისიც უკან გამოგვიდგა. გზად უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. ქუჩა ბნელი იყო და ხალხით გაჭედილი. ყიუსტინი ხან გამე-

ლელ-გამომვლელს ეჭახებოდა, ხან კიდევ რალაც საგნებსა და ბოლოს პაწია ურიკის ქვეშ ამოჰყო თავი.

როგორც იქნა, ოვერნელის ლუმლის წინ დაგვეწია, უნივერსიტეტის ქუჩის კუთხეში. ფონტანე ორ სულ წაბლს ყიდულობდა; ეს ფული ნამუსიანი ღარიბებისათვის მისაცემ თანხას მოაკლო. ჟიუსტინმა დაგეტუქსა, ასე რამ გადაგრიათო. ჩვენ წაბლი შევთავაზეთ; ხორცი სუსტია, ცდუნებას ვერ უძლებს; ცოტა კი წაიბუზღუნა, მაგრამ მაინც გამოგვართვა და შეჰკამა.

შინ გვიან მივედი. ადამიანებს აღარ ვგავდი. ჟიუსტინი მთლად გათხვრილიყო.

— ასეთი უშნო რამ დაგბადათ, — უსაყვედურა დედაჩემმა.

ჟიუსტინი სამზარეულოში შევარდა და დაკარგული დრო რომ აენაზღაურებინა, მთელი სათლი ნახშირი შეუკეთა ცეცხლს. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. ცეცხლის ანარეკლი წითლად უღებავდა სახეს და თითქოს მის ცრემლებსაც ცეცხლს უკიდებდა, სწორედ ისევე, როგორც აღშოდებულ ტროაში აპოლონის საყვარელ პრიამის ასულის ცრემლებს:

*Ad coelum tendens ardentia lumina frustra.<sup>1</sup>*

ნამუსიანი ღარიბის პოვნის იმედი მთლად გადამიწყდა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, შუადღის დასვენებაზე ფონტანემ ლა შენეს გაუმჟღავნა ჩვენი გეგმები და იმედისგაცრუება. ისე ოსტატურად უამბობდა ყველაფერს, რომ მსმენელის თვალში სასაცილოდ მხოლოდ მე გამოვჩენილიყავ. მერე ჰკითხა, ვინმე ნამუსიანი ღარიბი ხომ არ გეგულება, აი ისეთი, რომ უჭირს და მათხოვრობა ეთაკილებათ. ლა შენეს ჰკვიან ბიჭად ვთვლიდით და ყველანი დიდის მოწიწებით ვეპყრობოდით ხოლმე. გვიპასუხა, დედაჩემი ერთ ასეთ ღარიბ კაცს ეხმარებოდაო.

— ის კაცი მოკვდა, მაგრამ ცოლი და ორი წერილი შვილი დარჩა. დედა ჩემს ნახმარ ტანისამოსს აძლევს ხოლმე. ქვრივი ბარგულიე ჰქვია, დრაკონის შესახვევში ცხოვრობს.

ნომერიც გვითხრა, მაგრამ გადამავიწყდა. მე და ფონტანემ

<sup>1</sup> ზეცას ამაოდ მიაპყრობდა თვალებს ანთებულს (ლათ.).

გადავწყვიტეთ ნამუსიანი ღარიბებისათვის განკუთვნილი ფული ამ ქვრივისათვის წაგველო. მთლიანად თუ არა, ის მაინც, რაც გადაგვრჩა; რაც გადაგვრჩა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ფონტანე ყოველდღე მაქეზებდა და ფულს ხან ნამცხვრებში და ხან შოკოლადში მახარჯინებდა ხოლმე. მაგულიანებდა და თან მპირდებოდა, დახარჯე, რისა გეშინია, მალე საერთო სალაროში მე ასჯერ უფრო მეტს შემოვიტანო.

ოთხშაბათს, დასვენების დღეს, დედამ ნება დამართო ნასადილევს ფონტანესთან ერთად გამესეირნა. ამ ბიჭს თვალდასუკული ენდობოდა და, კაცმა რომ თქვას, არცა ტყუოდა. ფონტანე თავის დღეში არ ჩაიდენდა ბრიყვულ საქციელს, მართოსხვების გასულელება იცოდა ხოლმე. დედაჩემს აბა სად შეეძლო ფონტანეს ამ საიდუმლოს ჩასწვდენოდა; ყმაწვილი მუდამ კარგი მხრით ენახებოდა და ისეთი ფარისეველობით ექცეოდა, რომ მართლაც შეეძლო, ყველას გული მოეგო. მოკლედ, ამ ნდობით ვისარგებლეთ და ქვრივ ბარგუიეს სანახავად გავწიეთ. რენეს ქუჩა ჯერ გაყვანილი არ იყო და დრაკონის ჩიხში ვიწრო ქუჩით უნდა შევსულიყავით; იმ თალის ქვეშ უნდა გაგვევლო, რომლის თავზედაც საზარელი ურჩხული გაწოლილიყო. ეს ურჩხული დღესაც არსებობს; ლუი XV-ის დროინდელი საუცხოო ნაკეთობაა. ახლა მწვანედ შეუღებიათ, თუმცა ქვისფერი რომ დაეტოვებინათ აჯობებდა.<sup>1</sup> იმ შორეულ ხანაში კი, რომელზედაც მოგახსენებთ, ხასხასა წითელი იყო და უფრო საზარელი ჩანდა. იფიქრებდით, პირიდან ალს ადენს და შემაზრზენ ხმებს უშვებსო, რადგან მიუახლოვდებოდით თუ არა, ისეთი ხმაური შემოგესმებოდათ, რომელთან შედარებითაც იმ ქარის წისქვილების ხმა, სანჩო პანსა აგრერიგად რომ დააფრთხო, მტრედის ლულუნი გეგონებოდათ. სინამდვილეში კი ეს გამაყრუებელი დგანდგარი უამრავი ჩაქუჩის გრდემლზე დაცემის ხმა იყო. ამ შესახვევში ციკლოპები მოსახლეობდნენ და ყველგან თაღზე გაწოლილი დრაკონივით წითლად შეღებილი ცხაურები აღმართულიყო. ამ მოყლრიალე რკინებს

---

<sup>1</sup> ერთმა ჩვენი ქალაქისა და სიძველეთა მოყვარულმა პარიზელმა მითხრა, ემაგ დრაკონზე ოცნებას შეეშეით, თაბაშირისაა და არც ისე ძველია, როგორაც გამოიყურებაო.

შორის მივაბიჯებდით. ვგრძნობდით, თავს საუცხოო რამ უნდა გადაგხდებოდა. ბოლოს, ლა შენემ რომ გეასწავლა, იმ ნომერსაც მივაღიქით. კარი შევალეთ და რაღაც მქისე წყვილიადში ამოვყავით თავი. ცხვირში ობის სუნი გვეცა, ძველ კასრებს, აყუდებულ კიბეებსა და დამპალ ფიცრებს დავეტაკეთ. ასობით ჩაქუჩის ხმა, წელან ყურთასმენა რომ წაგვიღეკა, ახლა მიყრუებოდა შემოგვესმა და მხნეობა მოვიკრიბეთ. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი თვალები სიბნელეს შეეჩვია და ძალზე დამრეცი კიბე შევხიშნეთ; ზედ ვილაცას გასამაგრებლად მსხვილი, გაქონილი თოკი შეება. ხელის ცეცებით ავიარეთ ოციოდ საფეხური და კარს წავაწყდით; ზარი ვერა ვნახე და ფრთხილად დავაკაკუნე. რაკი არავინ გამოგვხედა, ფონტანემ უფრო მაგრად დასცხო მუშტი კარებს.

— ვინ არის? — გამოგვძახა ვილაცამ მკვახედ.

— ჩვენ.

— რა გნებავთ?

— ქალბატონი ბარგულიე.

ვილაც ნელი ნაბიჯით მოუახლოვდა კარებს. საკეტმა გაიჭრიალა და კარიც გაიღო. ქალბატონი ბარგულიე სახელაწილი გამოვიდა, თმა საშინლად აბურღოდა და დაკლანილი გველების კუდებს მიუგავდა. მკერდს ძლივს უფარავდა ყვავილებით მოჩითული პერანგი.

ფილებით მოგებული ოთახი სამზარეულოსა და საძინებლის მაგივრობას სწევდა; შიგ ერთი დიდი და ერთი პატარა საწოლი, ხის განჯინა და რამდენიმე ჩალის სკამი იდგა. ეს იყო და ეს. ერთ სკამს სამი ფეხილა შერჩენოდა. კედლებზე ქვაბები, ტაფები და ხატები ეკიდა. ბუხარზე ქუჭყიანი ბოთლები და ჭიქები ეწყო.

ქვრივი ცოტა დაგვიტკბა და გვკითხა, აქ რამ მოგიყვანათო.

— თქვენ ღარიბი ხართ, არა, ქალბატონო? — ჰკითხა ფონტანემ.

— სამწუხაროდ! — ამოიოხრა ქვრივმა და დასხედითო, შემოგვთავაზა.

ფონტანე თუმცა ჩემზე ბევრად გაღუული იყო, ეტყობა, შინც უფრო პატივსაცემად მიიჩნია, რადგან დაკონკილი ბალიშებით მორთულ სკამზე ის დასვა, მე კი სამფეხა სკამი

დამიდგა. მერე კენესა-კენესით გვიამბო, თავს რა უბედურებაც გადახდენოდა; წუწუნებდა, ქერივ-ოხერი რომა ვარ, ყველაფერი მისი ბრალიაო. უწინ რა მიჭირდა, ჩემს ქმარს ბერსიში კარგი სამსახური ჰქონდა; მაგრამ სენი შეეყარა, დიდხანს იავადმყოფა, ბოლოს გარდაიცვალა კიდევ და იძულებული გავხდით, რაც რამ გვებადა, ყველაფერი გავვეყიდაო. მე ლეიბების კერვას მივყავ ხელი, მაგრამ მუშტრებიც შემომეფანტნენო. ბევრი გველაპარაკა თავის შვილებზეც, ალისასა და ფირმენზე. ანგელოზებით ბავშვებია, მაგრამ მათი გაზრდა ძალზე მიჭირსო. ამჟამად შეეკეთა არა მაქვს და გოგო-ბიჭი მუშტრების საძებნელად გავგზავნეო.

ფონტანემ ისე კობტად და თამამად მისცა ფული, რომ მეც კი მოვიზიბლე; თუმც კი არ უთქვამს, მე რა წილი მეღონამ საქმეში; ჩემი თავმდაბლობის ამბავი რომ იცოდა, უთუოდ იმიტომ. ქერივმა, ბატონო ვიკონტო, უწოდა, მადლობა გადაუხადა და ბევრი ცრემლიცა ღვარა; თან ღმერთს მადლსა სწირავდა, მხსნელად ასეთი ანგელოზი რომ მოგვივლინეო.

მერე გვკითხა, შემთხვევით ძველი თეთრეული ან ნახმარი ფეხსაცმელები ხომ არა გაქვთ, ძალიან მჭირდებო. რასაც აღარა ხმარობთ, ყველაფერი მომეცით, ყველაფერი გამომადგებაო.

ბოლღს იმის გამოკითხვა დაგვიწყო, ვინ გამოგზავნათო და როცა შეიტყო, რომ მისი მისამართი ქალბატონ დე ლა შენეს ვაჟმა მოგვცა, ხმა გაკმინდა.

ამან, ცოტა არ იყოს, დამაეჭვა და მაფიქრებინა, თავის კეთილისმყოფელთან მაინცდამაინც კარგ დამოკიდებულებაში აღარ არის-მეთქი.

ქერივმა სახელები მოწიწებით გამოგვკითხა და ისიც არ დარჩენია გაუგებარი, ვინ იყვნენ ჩვენი მშობლები და რა შეიძლება ჰქონდათ. მისამართებიც ბევრჯერ გავვაშორებინა, თითქოს ზეპირად უნდა ისწავლოსო. მერე ავდექით და გამოვემშვიდობეთ.

ზღურბლზე რომ გადმოვავიჯეთ, კიდევ შეგვახსენა, ტანსაცმელი და თეთრეული არ დაგავიწყდეთ, ძალიან მჭირდება, ჩემთვისაც მინდა და ალისასა და ფირმენისთვისაცო, გულმხურვალედ შეგვევედრა, კვლავ მომინახულეთო; შეგვპირდა, ლოც-

ვისას თქვენს თავს ღმერთს შევავედრებო და გაგვაფრთხილა, კიბეზე ბნელა და ფრთხილად ჩადითო.

ამ უბადრუკი ბინიდან ისე გამოველ, რომ არც გული ამჩუყებია და არც ქვრივის სიბრალული მიგრძნია. ფონტანეს კი, პირიქით, სახეზე ისეთი საღვთო გულმოდგინება აღბეჭდოდა, ისე გაეცისკროვნებინა ქველმოქმედების სიხარულს, მოწყალე გულის მგზნებარებას, ჩემი თავი მეგობრისას რომ შევადარე, საშინლად შემრცხვა.

— ძალიან ცოტას ვაძლევთ! მერედა რა სიამოვნებას ვიკლებთ ხოლმე! — ამოიოხრა ჩემმა მეგობარმა და წაწვეტებული ცხვირ-პირი ღვთაებრივმა სიხარულმა კიდეც უფრო გაუცისკროვნა.

ამ სიტყვებმა, მისმა გამომეტყველებამ და დარწმუნებულმა კილომ ჩემზედაც მოახდინა შთაბეჭდილება; თავს ძალა დავატანე და შევეცადე, გულში მეც ფონტანესავით კეთილი გრძნობები გამლვიძებოდა.

— რა სუნი გიღის, პიერ? — მკითხა დედაჩემმა, შინ რომ მივედი.

მახვილი ყნოსვა ჰქონდა და მუდამ ხედებოდა, უმისოდ მისი საყვარელი ადამიანები რა წრეში ტრიალებდნენ. მაგრამ ფონტანესი ისე სჯეროდა, რომ ყოველგვარი ეჭვი მყისვე გაეფანტა და აღარ ჩამძიებია.

ქვრივი ბარგულიე მაინცდამაინც არ მომწონებია, მაგრამ გადავწყვიტე, წყალობა მაინც არ მომეკლო მისთვის. ეს ადვილი როდი იყო. მთელი კვირის განმავლობაში ოცდახუთი სანტიმის მეტი ვერ გადავინარჩუნე; ოცდახუთი სანტიმი კი რა ბედენა უნდა ყოფილიყო მარტოხელა დედისა და მისი ორი შვილისათვის. ფონტანესთვისაც ჯერ დეიდამისს არაფერი ჰქონდა მიცემული. გაცემის ეგოისტური ყინი რომ შემიჭდა, გამახსენდა, ქვრივი ბარგულიე სულ ძველ თეთრეულსა გვთხოვდა და თვალთვალი დავუწყე კარადას, სადაც დედაჩემი ჩემს პერანგებსა და საცვლებს ინახავდა ხოლმე. სული მიმდიოდა, მინდოდა, ზოგი რამ მაინც ამომეღო და მით ჩემი ქველმოქმედების მაღა დამეკმაყოფილებინა. როცა დრო-ჟამის ბრუნვამ კვლავ ოთხშაბათი მოიყვანა, სულმა წამძლია. თავს ვიტყუებდი, ვიცოდი, რომ ჩემი საქციელი დიდი კანდიერება და

უკანონობა იყო. მაშინ საკუთრებაზე უფრო მკაცრი და ტრადიციული წარმოდგენა მქონდა, ვიდრე დღეს. დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩემი საცვალი მე არ მეკუთვნოდა, რაკი ჩემი ხაყიდი არ იყო. დღეს ეს საკითხი უფრო რთულად მეჩვენება. საკუთრების წარმომავლობასა და ბუნებასაც როდი ვუმზერ ისე, როგორც ბევრი ჩემი თანამედროვე. იმ შორეულ ხანაში კი, რომელზედაც მოგახსენებთ, პრუდონელობა სულ არ მეტქმოდა და სხვის ქონებას ჩემისაგან ცხადად ვარჩევდი. არც ჩემის აზრით, არც ჩემი გულისა და სინდისის კარნახით, ჩემი სახმარი საცვლების ჩემს ჭკუაზე გაცემის უფლება მე არა მქონდა. სინდისი ამის ჩადენას სასტიკად მიკრძალავდა, მაგრამ მის კარნახს ყური არ ვათხოვე, ჩემს ოთახში შევიპარე და კარადას ვეცი. მახსოვს, პატარა, ინგლისური კარადა მქონდა, წითელი ხისა. მე საშინელი მეჩვენებოდა, მაგრამ მშვენიერი რამ კი უნდა ყოფილიყო, თუმცა არავის მოსდიოდა აზრად, ლამაზად მიეჩნია. დიდი რჩევა არ დამიწყია, რაც პირველად მომხვდა ხელში, ის ამოვიღე, პატარა ფუთა პალტოში შევმაღე და ფონტანესთან ერთად სახლიდან გავიპარე. თუ გნებავთ იცოდეთ, რა მიმქონდა, მოგახსენებთ: რამდენადაც მახსოვს, ხელს ორი თუ სამი ღამის პერანგი, ერთი შალის თუ ბამბაზის ჟილეტი და ექვსიოდე ჩაჩი წამოვაცოლე. აი, ის საშინელი ღამის ჩაჩები, ფოჩიან ქულებს რომ უწოდებენ და უწყინარ ბურჟუას სიმბოლურ თავსარქმელად რომ იქცა. ცხადია, სწრაფად კი ავარჩიე, მაგრამ, როცა ვამბობ, რაც პირველად მომხვდა ხელთ, ის წამოვიღე-მეთქი, სინამდვილეს ცოტა ვალამაზებ. ეს ღამის ჩაჩები ძალიან მძულდა; მათი სამოწყალოდ გაცემა ორმაგად მახარებდა და უთუოდ ამის გამო იყო, რომ ჩემს ნადავლში ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ისინი აღმოჩნდა.

ღამის ჩაჩს დღესაც საძაგლობად მივიჩნევდი, რომ არ შემეტყო, ენეტონს თურმე ასეთი ჩაჩით შეუმკია პაწაწინა მეფე ივეტო\*. მაგრამ ეს ამბები ჩემი თხრობის საგანს სცილდება და, სჯობს, თავი გავანებოთ. ფონტანეს, ერთი კვირის წინ დიდის ამბით რომ გაიძახოდა, მოწყალების გაცემაზე საამური ქვეყნად არაფერი იყო, სულაც აღარ აინტერესებდა ქვრივი ბარგუიე. წამოყოლაზედაც კი უარი მითხრა. უნდოდა, ობსერ-



ვატორიის ბულვარში შეგვევლო და ახლად გახსნილ ტირში კარაბიხიდან გაგვესროლა. ამაოდ ვუხსნიდი, უბეში საწყალი ქვრივის ბავშვებისათვის მისაცემი საცვლები მიდევს და მიტახა უნდა-მეთქი, ვერაფერი შევასმინე. მიიჩია, ეგ ფუთა ისევე შინ წაიღე, ანდა აიღე და სადმე თხრილში გადაუძახეო. ბევრი ვეხვეწე და ძლივს დავიყოლიე, დრაკონის შესახვევში დამლოდებოდა, სანამ მე შიშველთ შევმოსავდი და მით შეიდ მადლთაგან ერთს ვიქმოდი. ქალბატონი ბარგუიე უფრო აწითლებული დამიხვდა, უფრო აღგზნებულიც ჩანდა და თავზე გველის კუდებიც უფრო აშლოდნენ. მისვლისთანავე პატარა ვიკონტის ამბავი მკითხა (ასე ეძახდა ფონტანეს) და როცა ვუთხარი, მეტს აღარ მოვა-მეთქი, საშინელი წყენა დაეტყო. მითხრა, საუცხოო ბიჭია და ეტყობა, „მალიდან“ არისო.

ალისა და ფირმენი კვლავ მუშტრების საქებნელად იყვნენ წასული. მე თუ მკითხავთ, დედამათს მაინცდამაინც დიდი მადლიერებით არ გამოუერთმევეია მათთვის მოტანილი ტანსაცმელი. მთხოვა, სახლში ნუ იტყვი, ვის მიეცი ეს საცვლებიო და ბოლოს დამემუქრა კიდევც, თავს საშინელი უბედურება დაგატყდება, თუ ამ საიდუმლოს გაამხელო. რაკი არაფერს შევპირებივარ, ხელად მოლბა, კენესასა და ტირილს მოჰყვა, ღმერთი მოიყვანა მოწმედ — ასეთი და ასეთი უბედური და სათნო ქალი ვარო; შემდეგ პატარა სირჩაში ცოტა წითელი ლიქიორი დამისხა, მომაწოდა და მითხრა:

— წიპწისაა; დალიე და შეგერგება, შვილო.

მე შორს დავიჭირე; მაინც არ მომეშვა. თავზე რომ გველები ესხდა, უარესად აეშალნენ. სხვა რა გზა მქონდა, თავზარდაცემულმა გადავკარი. მკითხა, ცოტა ფულიც ხომ არა გაქვს, მებურის ვალი რომ გადავიხადოთო. დარცხვენილმა ვუპასუხე, არა-მეთქი და როგორც ტრაგიკოსი პოეტი ამბობს, „მსწრაფლ უკუვიქეც“.

ქუჩის ბოლოს ფონტანე მელოდა. წითელი დრაკონის ქვეშ იდგა და ჩაქუჩების ხმაურში ქლიავიან ნამცხვარს შეექცეოდა, იქვე, შეშაქარლამესაგან რომ ჰქონდა ნაყიდი. ყურს თითქმის სულ არ მიგდებდა, როცა ჩემი და ქვრივი ბარგუიეს საუბრის ამბავს გადაეცემდი. მითხრა, შენი საქციელი არ მომწონს და

მაგ. ბითურული ამბის გაგონებაც არ მინდაო. მერე ტირში წავედით. დამიჩემა, კარგად ვისვრიო, მაგრამ ლიტონი სიტყვებით მარწმუნებდა, თვალთ კი სულ სხვასა ვხედავდი და დაჯერება არ შემეძლო.

გუნება წამიხდა; შინ რომ მივედი და კიბეზე ავდიოდი, ჩემი შეშფოთება ყოველ საფეხურზე მატულობდა. მრცხვენოდა ჩემი ნამოქმედარისა და არცთუ უსაფუძვლოდ. გულისფანტკვალით ველოდი, დანაშაული როდის გამომიძღვანდებოდა. კარი უიუსტინმა გამიღო. ცისფერი თვალები ცრემლით ავსებოდა; მისი დაბრაწული ლოყები გასკდომას ლამობდნენ. ჩუმად, შიშით შემათვალეირა.

დედაჩემი ძალზე მშვიდად შემხვდა:

— არყის სუნი გიდის; საიდან მოდიხარ? ვის მიეცი ის საცვალი, შინიდან რომ წაიღე, შვილო?

— ერთ საწყალ ქვრივს, ქალბატონ ბარგუიეს, ღრაკონის შესახვევში რომ ცხოვრობს.

— ვიცნობ მაგ ქალს, — თქვა დედაჩემმა და მამას მიუბრუნდა, — ეს ის ლეიბების მკერავია, მატყლი რომ მომპარა. ლოთობის გამო ყველა სახლიდან დაითხოვეს.

გაბრაზებულმა იმით, რომ გამაცურეს, თავი გამოვიდე და შოვეყევი მტკიცებას, არაფერიც, ძალზე პატიოსანი და ღვთისმოშიში ქალია-მეთქი. თან დავსძინე, ორი ბავშვი ჰყავს-მეთქი გასაზრდელი.

— ეგ მართალია, — მითხრა მამამ, — ძალიან ცოდვები არიან. მაგრამ მითხარი, პიერ, სანამ მოწყალეებას გასცემდი, რატომ მშობლებს არ დაეკითხე? გაცემაზე ძნელი არაფერია. გამოგიტყდები და, კერძო ქველმოქმედების ამბავი ძალიან ძაფიქრებს. პიერ, შენი ხნის ბიჭისათვის დიდი კადნიერებაა იმის ფიქრი, რომ მარტოს, სხვის დაუხმარებლად შეგეძლო გაგეკეთებინა ის საქმე, რაც დიდ გამოცდილებასა და განსჯას მოითხოვს. შვილო, ბატონი ამაღეოს ჰენეკენი ერთნაირად გმობს კერძო ქველმოქმედებასაცა და საზოგადოებრივ ქველმოქმედებასაც, თუმცა ძალზე კეთილი კაცი კია. კომუნისტია და ირწმუნება, ამგვარი დახმარებით ვერაფერს გავხდებით, თუ სოციალური რევოლუცია არ მოხდაო. მე კი იმ აზრისა ვარ, რომ სოციალური რევოლუცია არ იკმარებს და მორალური რევოლუცია გახდება საჭირო.

დედამ სიტყვა გააწყვეტინა. ეტყობა, ეს ქადაგება უადგილოდ ჩათვალა.

— პიერ, — მითხრა მან, — რატომ ნებართვა არა მთხოვე, როცა საცვლები მიგქონდა?.. იმიტომ არა მთხოვე, რომ იცოდი, არ გაგატანდი. ეგ საცვლები შენი არ იყო. ბატონ ამადეოს ჰენეკენისა და ბატონ პრუდონის იდეები ჭერ არ განხორციელებულა. შენ ის ქონება გაცი, რომელიც შენ არ გეკუთვნოდა. მზადა ვარ, შეგინდო ეგ შეცოდება, თუმცა ეჭვი არ მეპარება, ეგ საქციელი სიამაყემ უფრო ჩაგაგონა, ვიდრე სიბრაულემა. ვიცი, დაუფიქრებლობით მოგივიდა. ფონტანე ხომ ასეთ სისულელეს თავის დღეში არ ჩაიდენს. დარწმუნებული ვარ, იმ ქალთან არც კი მიგყოლია, როცა შენი პერანგები და ჩაჩები მიგქონდა.

ველარ მოვითმინე და შეპასუხება ვცადე. ფონტანეს ქება დაუმსახურებელი მეჩვენა. ვიცოდი, იგი ჩემზე უკეთესი არ იყო და თუ დღეს ამაში დარწმუნებული აღარა ვარ, ეს იმიტომ, რომ ახლა ყველაფერს ეჭვის თვალით ვუმზერ ხოლმე.

— მისმინე, შვილო, — განაგრძობდა დედა ისეთი სიმტკიცით, რომლის მსგავსიც დღემდე არასოდეს გამოეჩინა ჩემი დატუქსვის დროს, — მინდა, შენი დაუფიქრებელი საქციელის ერთ სავალალო შედეგზედაც გიამბო. შენი წასვლიდან ხუთ წუთსაც არ გაველო და ჟიუსტინმა შენიშნა, რომ შენი კარადა ვილაცას დაერბია. ჟიუსტინი ზედმიწევნით პატიოსანი გოგოა; მადრამ რაკი მოსამსახურედ გვიდგას, სულ ეშინია, ეჭვი ჩემზე არ მოიტანონო. იმის შიშით, საცვლების ქურდობა მე არ დამბრალდესო, ნერვებმა უმტყუნეს და საშინელ დღეში ჩავარდა. კიხალამ ჭკუაზე გადავიდა. ამაოდ ვამშვიდებდი და ვუყვავებდი, შენში ეჭვი არავის ეპარება-მეთქი; გაპყვიროდა, ჟანდარმები მოვლენ ჩემს დასაჭერად და ციხეში მიკრავენ თავს იმ დანაშაულისათვის, რაც არ ჩამიდენიაო.

დედაჩემის ამ სიტყვებმა ძალიან დამაფიქრეს. კომტის თეატრში ნანახი მქონდა პიესა: „ქურდი კაჭკაჭი. ანუ პალეზოს მსახური ქალი“ და ადვილად წარმოვიდგინე, რა საშინელ დღეში ჩამიგდია ჩემი საყვარელი ჟიუსტინი.

სამზარეულოსაკენ გავქანდი. ჟიუსტინი კვლავ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დამიხვდა. მხურვალედ გადავებვიე

და პატიება ვთხოვე იმ მწუხარებისათვის, ჩემდაუნებურად, ჩემის დაუფიქრებლობით რომ მივაყენე.

— ოჰ, ბატონო პიერი — მეუბნებოდა და ქვითინს ძლივს იკავებდა, — უფრო ჭკვიანი რომ ყოფილიყავით, არაფრის დიდებით არ ჩაიდენდით ასეთ რამეს.

ჟიუსტინი მართალი იყო. უფრო ჭკვიანი რომ ვყოფილიყავ, ამგვარ რამეს მართლაც არ ჩავიდენდი.

## II

### ტროგლოდიტთა ასულის ღარღვაი

ჟიუსტინს ველარ ვამჩნევდი იმ ხელმარცხიანობას, ჩვენთან დადგომის პირველ ხანებში რომ სჩვეოდა; ისე ხშირად აღარ ამსხვრევდა ჯამ-ჭურჭელსა და ბრინჯაოს ნივთებს, ექიმ ნოზიერისათვის რომ მიერთმიათ განკურნებულ და მადლიერ ავადმყოფებს. სამზარეულოს ახლა იშვიათადღა არყევდა ძირს დავარდილი ჭურჭლის მტვრევის ხმა და შეკივლება ახალგაზრდა მსახური ქალისა, ხორცის დაკეპვისას თითსაც რომ იჭრიდა ხოლმე. ხანძარი და წყალდიდობაც იშვიათი გახდა; ქალებიც თავისით აღარ ცვიოდა იატაკზე და თუკი მამაჩემი შაინც გაიძახოდა, „კატასტროფა“ ხშირად მოსდისო და შივასი არ იყოს, ეს უბირი გოგოც ყველაფერს ანგრევს და ანადგურებსო, თუ ბრალად სდებდა, მეცნიერ კაცს მყუდროებას შიფრთხობს და მუშაობას არ მაცლისო, ეს იმიტომ, რომ ადამიანთა უმრავლესობასავით, მასაც უნარი არ შესწევდა ახლის დანახვისას აზრი შეეცვალა და ერთხელვე მიღებულ თვალსაზრისს ადგა წინასწარ გამოტანილ მსჯავრს აყოლილი. დედაჩემი უფრო სამართლიანი და საქმეში ჩახედული იყო და ამჩნევდა, რომ პირველი დღეების ქაოსის შემდეგ ამ დაუზარელი და მორჩილი ბუნების გოგოს ქცევაში ცოტა წესრიგმა და ჰარმონიამ იჩინა თავი.

ჟიუსტინი ჩვენი საათის სპარტაკსაც შეეგუა. დიდი ფრთებისგან გაკეთებულ, გაქუცულ ცოცხის ტარს დაუზოგავად აღარ სცემდა, გმირთგმირიც აღარ ტორტმანებდა და ყმაწვილ

ქალს გაჰყლეთით აღარ ემუქრებოდა. მაგრამ ჟიუსტინს არაფრის დიდებით არ სურდა იმის დაჯერება, რომ მას სპარტაკი ერქვა. რა არ ვიღონე, ცამეტი წლის ჰუმანისტის გულუბრყვილო და ჭირვეული პედანტიზმით აღჭურვილმა, ისტორიის სახელმძღვანელოთი და ლექსიკონით ხელში რამდენი არ ვეცადე მსახური ქალისთვის ქეშმარიტება ჩამეგონებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ჩემს მტკიცებასა და საბუთებს მშვიდ ღიმილს აგებებდა და სულ ასე მპასუხობდა:

— არა, არა, ბატონიშვილო! ალბათ მატყუებთ. თქვენ რომ ეძახით, ეგ სახელი როგორ ერქმევა. მაგას ჩემს დღეში ვერ დავიჯერებ.

— ვითომ რატომო?

— ეგ მე ვიცი.

— მაშ, რაღა ჰქვია, ჟიუსტინ, თუკი სპარტაკი არა ჰქვია?

— არაფერიც არ ჰქვია: ეგ უხეირო სახელი ამ მასხარას თქვენვე შეარქვით.

— ჟიუსტინ, გაიგეთ, რომ სპარტაკის მეთაურობით მონათა რაზმმა პრეტორიანულ არმიასა და სამ საკონსულო არმიას სძლია. ბოლოს სენატმა მის წინააღმდეგ კრასუსისა და პომპეუსის ლეგიონები გაგზავნა; სპარტაკიც იძულებული გახდა, ძიელო გამოწვევა. ბრძოლაში ცხენი მოუკლეს და...

ჟიუსტინმა შემაწყვეტინა:

— ცეცხლზე ოსპის შეჭამანდი მიდგას და უნდა მივხედო; საშინელი რამ არის; თუ დროზე არ მოვურიე, მიმეწვება.

წინსაფრის კალთაში ეწვდი და შევაჩერე:

— ჟიუსტინ, ეს სპარტაკი მამაჩემის მეგობრის, ბატონ ფუაიატიეს შედეგია. ბატონი ფუაიატიე ახლა უკვე ძალზე მხოხუცია. ბავშვობაში მწყემსი იყო, ფარას დასდევდა და თან ხისაგან დანით პატარა ცხოველებსა თლიდა.

— ჩემს ძმა ფლორიენსა მგვანებია, — გაეცინა ჟიუსტინს, — ჯერ თითის ტოლაც არ იყო და როცა საქონელს აძოვებდა, ჩიტების დასაჭერად კაკანათსა და ათასგვარ მახეს აკეთებდა. ამეებში დიდ ნიჭს იჩენდა ხოლმე. ახლა კი გამიშვი, ოსპის შეჭამანდს უნდა მივხედო.

და ჟიუსტინი ადგილს მოსწყდა და სამზარეულოსაკენ გაიქცა, საიდანაც უკვე საშინელი ხრაკის სუნნი გამოდიოდა.

კეთილი ფუაიატიეს ეს სპარტაკი, რომლის ორიგინალიც წინათ ტუილრის ბაღში იდგა მუშტმოდერილი და კოშკისათვის შიეპყრო შზერა, ისე ხშირად მეჩხირებოდა თვალში ბავშვობისას, ისეთი უშნო რამ იყო, რომ ბოლოს თავიც კი შემაძულა. ბატონი მენაჟი ამბობდა: დიდი უხიაკი ვინმეაო. მაჰაჩემს კი უყვარდა იგი. ჩვენში დარჩეს და, არა მგონია, ოდესმე დაკვირვებით, ან მუშტრის თვალთ შეეხედოს. თავის ხელობას გადაყოლილი სხვა რამეს ზედაც არ უყურებდა, მხოლოდ ბუნების საუცხოო, თვალმახარა ხედები ატკობდა ხოლმე. თავისი საყვარელი ფუაიატიეს სპარტაკშიც მხოლოდ იდგა, სიმბოლო მოსწონდა. სპარტაკს ჩაგრულთა მოსარჩლედ შიიჩნევდა და შეეტკბო კიდევ, რადგან უყვარდა სამართლიანობა და ტირანიის დიდი მოძულე განლდათ.

— რესპუბლიკელი რომ ვიყო,—ამბობდა ხშირად,—კიდევ შევუტირებდებოდი ჩაგვრას ძირითადი პრინციპის, ანდა უზენაესი ინტერესების გულისათვის, მაგრამ როიალისტი ვარ და მე რომ მკითხოთ, მეფე ტახტზე მხოლოდ იმიტომა ზის, რომ ხალხის თავისუფლება უზრუნველჰყოს. მეფემ თუ ხალხის ჩაგვრა დაიწყო, მისი ხელისუფლებაც უაზრობაა.

ამაზე ჩემი ნათლია მიუგებდა ხოლმე:

— სამწუხაროდ, მეფე ხალხს მუდამ აუცილებელ თავისუფლებას ართმევს ხოლმე, სხვაგვარი თავისუფლება რომ მიანიჭოს.

— ეგ მაშინ ხდება, როცა თვით ხალხი ბატონობს.

— განა ერთ კაცს უნდა ებარებოდეს ჩვენი დოვლათი, უკეთ რომ შეგვენახოს? ჩვენს ქონებას განა თვითონ ვერ ვუპატრონებთ?

— მეფეც ჩვენისთანა მოკვდავია და თუმც ყველაფერი ხელთა აქვს, მხოლოდ ფიქტიური მპყრობელია; ყველაფრით ისევ ხალხი სარგებლობს. დემოკრატიის დროს კი პირიქით ხდება, სიმდიდრეს ქეშმარიტად მხოლოდ ის პარტიები ფლობენ, რომლებიც ქვეყანას მართავენ და უმრავლესობას შეადგენენ. ისინი ხალხს უწყალოდ ყვლეფენ და მოსახლეობას აღარავითარი სიკეთე აღარ გააჩნია.

— თავისუფლება ყველა სხვა სიკეთესა სჯობს.

— ჰო, თუკი დაგიკარგავს. თავისუფლებას გემოს გავუსინ-  
ჯავთ თუ არა, მაშინვე ვთმობთ ხოლმე.

— ჭეშმარიტი რესპუბლიკელი იდეას თავის დღეში არ  
დათმობს. აი, ამაშია განსხვავება.

ასე გამუდმებით კამათობდა ეს ორი ჩინებული კაცი, დაბა-  
დებული იმ ქარიშხლის შემდეგ, რომელმაც ძირისძირობამდე  
შეარყია ძველი საზოგადოება. სულ კამათობდნენ, მაგრამ  
ვერასდროს შეძლეს ერთმანეთის დარწმუნება; ვერც იმას  
ძიხვდნენ, რაოდენ უსარგებლო იყო მათი შეხლა-შემოხლა.  
ფრანგები იყვნენ და მჭევრმეტყველების სიყვარული ძვალსა  
და რბილში ჰქონდათ გამჯდარი.

ჟიუსტინს კი მიჯნური ჰყავდა და ის უყვარდა. მე თვითონ  
შევნიშნე. რანაირად? იქნებ იმაზე შევატყვე, რომ ნალვლობდა  
და ფოსტალიონის მოსვლას მოუთმენლად მოელოდა? იქნებ იმ  
სიხარულზე, სახეს რომ უცისკროვნებდა, როცა წერილს მიი-  
ღებდა? ან იქნებ იმაზე, რომ უცნაური და ცვალებადი ზნე დას-  
ჩემდა? იქნებ იმაზე, რომ ერთბაშად აიტაცებდა სიხარული და  
სიხარულის ცრემლებსა ღვრიდა? ვერ გეტყვით. მაგრამ შეყვა-  
რებული რომ იყო, ამას ყველაფერი ამჟღავნებდა.

ერთბაშად წაუხდა გუნება. ფერიც დაკარგა. თვალებიც  
ამოუღამდა. გახდა, გაილია. ერთ სიტყვასაც კი ვერ ამოგლეჯ-  
დით პირიდან. მისი ჩავარდნილი, მოკუმული ბაგენი თითქოს  
ჩივილისა და საყვედურის შეკავებას ლამობდნენ. საღამოობით  
სამზარეულოში მაგიდაზე გაქონილ ქალაღს გაშლიდა, მარ-  
ჩიელობდა და ზედ ისე დასცქეროდა, თითქოს წინასწარმე-  
ტყველს უცქერისო; მერე კი ბრაზით აურ-დაურევედა ხოლმე.  
თანდათან სულ მთლად მიეღო ღონე. თავის ქვაბებს ზედაც  
არ უყურებდა. ჭამა-სმაც აღიკვეთა. მოძრაობა უჭირდა და  
ძალიან ზანტი შეიქნა; თუ რამ ჭურჭელს ამსხვრევდა, იმიტომ  
კი არა, რომ წინანდებურად ველურივით გააფთრებული ეტა-  
კებოდა ხოლმე, იმიტომ, რომ ენით უთქმელი სისუსტე უბორ-  
კავდა ხელებს და თითებშიაც ძალას აცლიდა. უკვე ეჭვი აღარ  
შეპარებოდა, რომ სიყვარული გახლდათ ამ უზომო მწუხარე-  
ბის მიზეზი და რომ ჟიუსტინი შეყვარებულმა მიატოვა. საექ-  
ვო არც აღარაფერი იყო. ქალბატონ ლეტორის მალაზიაში  
ხახახი მქონდა გრავიურა „მიტოვებული“. შავი ხავერდის

კაბაში გამოწყობილი ქალი ქვის სკამზე დამჯდარა, შემოდგომის ფოთლებშემოძარცულ ტყეში. ჟიუსტინიც, გაუნძრევლად რომ იჯდა სამზარეულოში თავის ჩალის სკამზე, ამ მიტოვებულ ქალსა ჰგავდა, ოღონდ მასზე უშნო შესახედავი იყო. ისე კი მასავით მწუხარე და პირქუში გამომეტყველება ჰქონდა, მასავით შორეთში გაიქცირებოდა, დაღლილი მკლავები მასაც მოწყვეტით ჩამოვარდნოდა მუხლებზე. ჟიუსტინის ამბავი საშინელ ცნობისმოყვარეობას აღმიძრავდა და რაკი მისი მწუხარების მიზეზს ვხვდებოდი, მინდოდა, თავისი სატკივარი ჩემთვის გაენდო და ნება მოეცა, მენუგეშებინა, თუმცა ამის დიდი იმედი არცა მქონდა. კარგად ვიცოდი, თავის ვარამს არ გამიმხელდა, ჭერ ერთი, ბიჭთან ამგვარ რამეებზე საუბარი მეტად საჩოთირო რამ არის და მეორეც იმიტომ, რომ ფიქრობდა, შაინც ვერაფერს გაიგებსო; უპკუო ვეგონე და მეც რაღა დამრჩენოდა, მისი საცოდაობით უსიტყვოდ ვიწვოდი.

ერთხელ, დილით, დიდხანს, თითქმის მთელ საათს დარჩა მარტო დედაჩემთან ვარდებიან ოთახში. მერე აცრემლებული გამოვიდა იქიდან, თუმცა შუბლი გახსნოდა და დამშვიდებულად ჩანდა. ექვი აღარ მეპარებოდა, ქალბატონს გაუმხილა თავისი სატკივარი და ქალბატონმაც ნუგეში სცა. უკვე აღარ მეშინოდა, ნათქვამს კადნიერებაში ჩამომართმევენ-მეთქი და დედაჩემს ვუთხარი:

— ჟიუსტინი საქმრომ მიატოვა. ძალიან საწყენი ამბავი კია...

დედამ გოცებით შემომხედა:

— ჟიუსტინმა გითხრა ეგ?

— არა დედა, მაგრამ ექვი არ მეპარება.

და აჭუხსენი, მარტოოდენ ჩემი გამჭრიახობის წყალობით როგორ ჩავწვდი ჟიუსტინის საიდუმლოს. ისიც დავსძინე, ნამუსს ვუნახავდი და აქამდე მიტომ არაფერი გაგიმხილემეთქი.

— ნამუსს რომ უნახავდი, კარგია, — მითხრა დედამ, — მაგრამ უკეთესი იქნებოდა, სხვის საიდუმლოში ცხვირის ჩაყოფას არ ცდილიყავ, მით უფრო, რომ ამ საიდუმლოს ცოდნა არც შეგეფერება.

მტუქსავადა, მაგრამ მომეჩვენა, რომ გულის სიღრმეში აღტაცებული იყო ჩემი გამჭრიახობით.



მოწმედ იმ უცოდველ, კეთილ ბაღს ვიმოწმებ, მაშინ რომ გახლდით: ჩვენი მასწავლებელი, ბატონი კროტუ უამრავ უსამართლობას სჩადიოდა. ეს კაცი უკანონობის ქსელში ისე გვახვევდა, როგორც ობობა ხვევს ხოლმე თავის მსხვერპლს. თავმოთნეობით არ ვიტყვი და, იმ ოცდაათ ყმაწვილთაგან, რომელთაც ის ასწავლიდა, მის ბოროტებას ყველაზე ხშირად მე ვუხდებოდი მსხვერპლად. მისდამი გულბრძოლა დიდხანს არ გამყვებოდა, რაკი სიყრმიდანვე შეჩვეული ვიყავი იმ აზრს, რომ ყოველი კაცი კადნიერი და სასტიკია, მაგრამ ვერაფრით ვერ შეპატიებინა მისთვის, დიდი მოუხეშავი და ულაზათო ვინმე რომ იყო. ეტყობა, ბაღობიდანვე გუმანით ვგრძნობდი უზენაეს ჭეშმარიტებათ, მოგვიანებით რომ შევისისხლხორცე და კეთილი ანგელოზი იმთავითვე ჩამჩურჩულებდა, ერთადერთი მიუტევებელი ცოდვა ისაა, რაც ბლაღავს სილამაზესო. ბატონ კროტუს ავუმხედრდი და მუხებისა და გრაციების მხარე დავიჭირე, რომელთაც ის უბედური მწარედ შეურაცხყოფდა თავისი გარეგნობით. სქელი, უხეში ტყავი ეკრა მსხვილ, კოტიტა თითებზე და ყველაფერს უმოწყალოდ ჭმუჭნიდა ხოლმე, რასაც მოტორავდა. ლამაზი საგნები არ ახარებდა; მისი ეჭვიანი მზერა ჩვეული არ იყო წარმტაცი სურათებით ტკობას. კუშტი სახე ჰქონდა; მხოლოდ მაშინ შეატყობდით კმაყოფილებას, როცა პირიდან ენის წვერს გამოჰყოფდა და ბინძურ უწყისში უსამართლოდ დასჯილთა გვარებს იწერდა. იმ ხეპრე კაცის მსგავსად, რომელზედაც ნეპომიუსენ ლემერსიე\* მოგვითხრობს, ცხვირს ხმაურით იხოცავდა და წამდაუწუმ მოურიდებლად იფურთხებოდა. სწორედ ამიტომაც დავასვი კბილი. მის საქციელზე უფრო მისი გარეგნობა და ხასიათი მეჭავრებოდა. დიახ, უსამართლობის გამო როდი მძულდა, საქმენი ჩვენნი წარმავალია და განსჯად არა ღირს. ბატონი კროტუ ხასიათის გამო ავითვალწუნე,—ბუნებისა, მარად უცვლელი რომ რჩება. შეიძლება ეს მძაფრი სიძულვილი თავის დღეში არ გამომყდავნებულიყო და ჩემს

გულში ჩამარხული საიდუმლოდაც დარჩენილიყო, ბატონ კროტუს ერთხელ საშინლად რომ არ გავეგულისებინე და ჩემი გრძნობა სამზეოზე არ გამოეტანა.

ერთ დღეს, რასთან დაკავშირებით, არ მახსოვს, სატირ მარსიას ამბავი გვიამბო; ეს სატირი ისე გაკადნიერებულა, რომ თავისი სალამურით აპოლონსაც გასჯიბრებია. მაგრამ დამარცხდა და მუსიკის ღმერთმა ცოცხლად ტყავი გააძრო.

— მარსიასაო, — გვითხრა ბატონმა კროტუმ, — ნადირის სახე, პაჭუა ცხვირი და აბურღული თმა ჰქონდა. შუბლს რქები უმშვენიებდა, გრძელი და ბანჯგვლიანი ყურები ესხა, ცხენის კუდი ება და ვაცის ფეხები.

ამგვარად აღწერილი სატირი პირწავარდნილი ბატონი კროტუ იყო; ზედგამოჭრილი ბატონი კროტუ იყო, ოღონდ რქები, ვაცის ფეხები და ცხენის კუდი არ ება. ან კი ამგვარი რამეები სკოლის მასწავლებელს საიდან უნდა ჰქონოდა. მაგრამ ბანჯგვლიანი ყურები, ნადირის სახე და სხვა დანარჩენი ხომ ემთხვეოდა და ემთხვეოდა. ჩუმ-ჩუმმა ჩაიცინებამ, გადაჩურჩულებამ და შეძახილებმა, რითაც მარსიას აღწერას შეხვდნენ, ცხადყო, რომ ეს მსგავსება მთელმა კლასმა შეამჩნია. მეც ალბათ სხვებთან ერთად შევეყვირე, ანდა სიცილში ავყევი დახარჩენებს, მაგრამ მალე სულ სხვა ფიქრებმა წამიღეს. თუმცა გულში მარსიას გამართლება წამითაც არ გამივლია, მთლად არც აპოლონს ვუწონებდი საქციელს. ვფიქრობდი, ასე სასტიკად რად მოეპყრა-მეთქი მეტოქეს; მაგრამ რაკი ასე მწარედ დაისაჯა სატირი, რომელსაც გუნებაში ბატონ კროტუსთან ვაიგივებდი, ბოლოს იმ აზრზე დავდექი, დამნაშავეს საკადრისი მიეზლო და მით აღსრულდა უზენაესი მართლმსაჯულება-მეთქი. რვეულში ხატვა დავიწყე და გაუწაფავი ხელით ვცდილობდი, სატირის ნაკვთები ჩვენი მასწავლებლის ნაკვთებისათვის მიმემსგავსებინა. სახემ უკვე გამომეტყველება შიილო და საზარელი შესახედავი შეიქნა; უცებ ბატონმა კროტუმ შემნიშნა, თავს დამაცხრა, ჩემს ნახატს ხელი დასტაცა, დახია და რაღაც უაზრო, უთავბოლო სასჯელი დამადო; მეტიც არ მინდოდა მყისვე მოსისხლე მტრად დავიგულე და მის რისხვას ზიზღნარევი სიცილით შევხვდი. ჭკუაში გვიან ჩავ-

ვარდი და მაშინლა მივხვდი, ჩემი სიძულვილი ასე ხელალებით არ უნდა გამოემქვადენებინა.

მას შემდეგ სულ ქედმაღლური ზიზლით ვექცეოდი და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გული ხომ მოვუკალიმეთქი. ჩემს სიძულვილსა და ზიზლს ყოველ ნაბიჯზე ვაგრძნობინებდი და საამისოდ ყოველგვარ ხერხს მივმართავდო, რასაც კი ჩემი ყმაწვილური გონება მიკარნახებდა. რა დასაძალია, რომ ეს შემნიშნა კიდევ და უარესად გადაემეტერა. ეს გულრძო კაცი გამუდმებით მითვალთვალეზდა და ყველა ჩემს ცდომილებასა და დანაშაულს სიხარულით აღნუსხავდა. თავს თუ რამით გამოვიჩენდი, მატადრე ის ახელებდა. ეს ამბავი ვერაფრით ვერ მოენელებინა. მაინცდამაინც ნიჭიერი არ მეთქმოდა, თავსაც დიდით ვერაფრით ვიჩენდი, მაგრამ მთლად ბრყვიც არ ვყოფილვარ და ხანდახან გონივრულ პასუხსაც ვახერხებდი. ამაზე სულ ირეოდა. სწორ პასუხს თუ მივცემდი, ჩემს ნაწერში მოხდენილ გამოთქმას თუ წააწყდებოდა, ვატყობდი, მყისვე წარბს შეიკრავდა და ბრაზით ტუჩები აუკანკალდებოდა. უსამართლო სასჯელთაგან წელში ვიყავ გაწყვეტილი. გაგულისებულმა გადავწყვიტე, მთელი კლასი ამემხედრებინა მჩაგვრელის წინააღმდეგ. დასვენების დროს ლანცლვა-გინებით ვიკლებდი, ამხანაგებს სულ იმას ჩავჩიჩინებდი, ხომ ხედავთ, რა უსამართლოდ გვექცევა, რა მახინჯია და რა გაბანჯგვლული, რა წვეტიანი ყურები აქვს-მეთქი. არ მეკამათებოდხენ, არც ერთს ხმა არ ამოულია მასწავლებლის დასაცავად, მაგრამ შიში ენას უბორკავდათ და ბატონ კროტუს ლანძლვაში მხარს არ მიბამდნენ. შინაც, სადილობისას, ხანდახან ვცდილობდი, ბატონი კროტუ დედაჩემთან მემხილებინა. სამწუხაროდ, დედაჩემს ქვეყნად ყველაზე ნაკლებ შესწევდა უნარი ბატონ კროტუს სიავეს ჩასწვდომოდა. ამ საუცხოო სულის ქალს, „ტელემაქიზე“ რომ იყო გაზრდილი, ჩემი მასწავლებლები ბერძენ ბრძენთა დარად წარმოედგინა და ბატონ კროტუს გულში მენტორის თვისებებით ამკობდა. მის წარმოდგენაში ეს პატივსაცემი გვამი რქოსან პირუტყვად რომ შექცია, ენით უთქმელი მოხერხება უნდა მქონოდა. მე კი ბოთე ვიყავ, ჩემს მიკერძობას ვერ ვფარავდი, ვაჭარბებდი, ბევრ დაუჭერებელ ამბავსა ვჩმახავდი და ვამტკიცებდი, თუმცა

საამისო საბუთი არ გამაჩნდა, ბატონ კროტუს ცხენის კუდი აბია და განიერ შარვალში იმაღავს-მეთქი. მამაჩემსაც შევეუჩინდი, მაგრამ ვერაფერმა შეუჩრყია მოწიწების გრძნობა, უფროს-უმცროსობის კანონი რომ შთააგონებდა. ასეთი ზნე სჭირდა, ყველაზე უღირს ადამიანებსაც კი მუდამ ნდობით ეკიდებოდა. რაძდენს არ ვეცადე, მაგრამ ვერც ჩემს კეთილ ჟიუსტინთან გავაწყვე რამე, ბატონ კროტუს მის თვალშიაც ვერ მოვცხე ჩირქი. არასოდეს არ მიჭერებდა, როცა ჩემი მასწავლებლის უსამართლობაზე მოვუთხრობდი და მეუბნებოდა:

— ბატონიშვილო, გაკვეთილებს კარგად რომ სწავლობდეთ და იმ საწყალ კაცს არ ლანძღავდეთ, საჩივლელიც არაფერი გექნებათ; ის კი არა და, სულ მის ქებაში იქნებით.

და მაგალითად თავის ძმა სიმფორიენს მომიყვანდა, სანიძეშო მოწაფედ რომ ითვლებოდა კლასში. მიაბობოდა, მასწავლებელმა თავის თანაშემწედ დანიშნა და სოფლის მღვდელიც წირვის დროს სულ იმას იმსახურებდა.

— თქვენ კი ჯვარს აცვამთ თქვენს კეთილ მასწავლებელს და ღმერთი მოგიზღავთ სამაგიეროს.

რა საბუთი არ მოვუყვანე. ჟიუსტინს არაფრის გაგონება არ სურდა. იმასაც კი არ მიჭერებდა, რომ ჩემს მასწავლებელს კროტუ ერქვა. გაიძახოდა, ასეთი გვარი არ არსებობსო.

ერთხელ ბატონ კროტუს აუგს ქალბატონ ლაროკს<sup>1</sup> ვეუბნებოდი; მოხუცი თავის მოქარგულ სავარძელში იჯდა, ფეხები სათბურზე ეწყო, ლურჯ წინდასა ქსოვდა და ისე მისმენდა. ჩემს ჩივილს გულისყურით შეხვდა; მაგრამ საბრალო, ძალზე მოხუცი იყო, წარსულსა და აწმყოს ერთმანეთში ურევდა, ხან რას მოედებოდა და ხან რას; ბატონი კროტუც რატომღაც გრანვილში რიტორიკის მასწავლებლად ნამსახური კაცი ეგონა, 1793 წელს ფლორიმონ შაპედელენი რომ დატუქსა, „ხალხს გაუძარჯოს“ რატომ არ შესძახეო. გულში დაგროვილი ღვარძლი ვერასგზით ვერ გადმოემენტხია და ბრაზით კინალამ გავიგუდე.

თავს დამარცხებულად არა ვთვლიდი, თუმცა უთქმელადაც მიხვდებით, რომ ამ ბრძოლაში ბატონი კროტუ მჯობნიდა.

<sup>1</sup> იხ. „პატარა პიერი“ (ავტ. შენიშენა);

გაზაფხულის ერთ დილას ჩიტების ჯღურტულმა გამომაღ-  
ვიძა; დარაბების ქუქრუტანებში შემოჭრილ სინათლის ისრებს  
ძთელი საწოლი დაეცხრილათ. დღის სინათლით მოხიბლულს  
ბატონი კროტუ გამახსენდა და სიკვდილივით მემწარა. იმ  
დილით ჩემმა საყვარელმა დედამ ჩვეულებისამებრ შემამოწ-  
მა, ყელი და ყურები დაბანილი თუ მქონდა და ისიცა მკითხა,  
გაკვეთილები თუ გაიმეორეო. არაფერი შევიმჩინე, მაგრამ  
გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა. პურითა და რძით  
რომ ვისაუზებ და რვის ნახევარი შეიქნა, ხელში ჩემი მუშამ-  
ბის ჩახთა ავიღე, ოღონდ შევეცადე, წიგნებით მაინცდამაინც  
არ გამომეტენა, კიბე ჩამოვირბინე, ვერცხლისფრად მოლივ-  
ლივე სენას გავუყვეი და კოლეჯისაკენ მიმავალ გზას დავადექი.  
ძერე უეცრად მარჯვნივ გადაუხვიე და იმ ქუჩას გავყვეი,  
რომელზედაც მანამდე ფენი არ დამედგა, მაგრამ ვიცოდი, რომ  
გრძელი იყო და უცნობ და საუცხოო ადგილებში მიმიყვანდა.  
სიხარულისაგან ტყავში ველარ ვეტეოდი და პატარა ვირუჯა-  
საც შევეუძახე, ბოსტნეულით სავსე ურიკაში შებმული რომ  
იდგა. გონება ამოდ ჩამჩიჩინებდა, დიდ ცოდვას სჩადიხარ  
და საშინელი საფრთხე მოგელის, დანაშაული თუ გაგიმელავ-  
ნდაო. გამელავნებით კი უეჭველად გამიმელავნებოდა, რად-  
გან კოლეჯში გაცდენებს მუდამ აღნუსხავდნენ ხოლმე. მაგრამ  
ბედნიერი შემთხვევის იმედი მქონდა და იმ უწესრიგობისა,  
ადამიანთა ხვედრს რომ განაგებს, სამართლიანობის სიმკაც-  
რესაც ანელებს და მჯეროდა, თავს როგორმე დავიძვრენ-  
მეთქი.

ესეც არ იყოს, ვფიქრობდი, ნეტა ისეთი რა უნდა მომი-  
ვიდეს, რომ ეს დიდი და იშვიათი სიამოვნება ამომაშხამოს-  
მეთქი. მოკლედ, სკოლის გაცდენა გადაწყვიტე. სასწავლე-  
ბელში არ მივიდოდი და იმ ოხერ კროტუს ერთი დღე მაინც  
არ ვნახავდი. ერთი დღე რაა, მაგრამ არიან დღეები, მარადი-  
ული რომ გვგონია და არცა ვტყუით, რაკი წარსულსაცა და  
მომავალსაც გვავიწყებენ. ამ ქუჩაში, მზეზე რომ იღვიძებდა,  
ყველაფერი მილიძოდა, მართობდა და თავშესაქცევად მეჩვენ-  
ებოდა. უთუოდ ირგვლივ მყოფი საგნები ჩემსავე სიხარულს  
ირეკლავდნენ და უკანვე მიგზავნიდნენ. თუმცა შემიძლია  
ისიცა ვთქვა, რომ პარიზი იმხანად უფრო საამური სანახავი

იყო, ვიდრე დღეს-მეთქი და იმის შიში არა მქონდეს, რომ მიეთმოეთები მსჯავრს დამდებენ, წარსულის განდიდებით დღევანდელობას ჩრდილსა ჰფენსო. სახლები მაშინ უფრო დაბალი იყო, ბაღებსაც უფრო ხშირად შეხვდებოდა კაცის თვალი. ყოველ ნაბიჯზე წააწყდებოდი ხეს, ძველ კედლებს თავისი გაბარჯლული ტოტებით რომ ეალერსებოდა. სახლები დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან და თითოეულს ცხადად ეტყობოდა, რა ხნისა იყო და მის პატრონს რა შეძლება ჰქონდა. ბევრი მათგანი, უწინ ლამაზი რომ ყოფილიყო, მელანქოლიურ სინატიფეს ინარჩუნებდა. ხალხმრავალ კვარტალებში ათასი ჯურის ცხენი ირეოდა; მიაქროლებდნენ ფიაკრებს, დროგებს, ფურგონებს, კაბრიოლეტებს და ფლოქვების ცემით ამხიარულებდნენ ქვაფენილს, სადაც ონავარი ბელურები გუნდ-გუნდად ირეოდნენ და ფუნაში იქექებოდნენ. ათასში ერთხელ ამაყ ცხენებშებმული, ყვითელი ომნიბუსიც ჩაიხრიგინებდა ოღროჩოღრო გზაზე. ქალაქს ასე ფართოდ არ გაეშალა მხრები და ჯერ კიდევ არ მიეღწია ციხე-სიმაგრეებამდე. პარიზი მსოფლიოს დედაქალაქად ჯერ კიდევ არ ქცეულიყო. დიდი პრეფექტი მხოლოდ იმხანად იწყებდა ფართო პროსპექტების გაყვანას, სადაც უხვად შემოიქრა ერთფეროვნება, უსახურობა, მოწყენილობა და სიმახინჯე. თუ მხოლოდ ცენტრალურ რაიონებს გადავხედავთ, ადვილად ვირწმუნებთ, რომ ანა ავსტრიელის რეგენტობის დროიდან მოყოლებული, მეორე იმპერიის შუახნამდე, ორი საუკუნის მანძილზე, პარიზმა თუმცა ამდენი რევოლუცია გადაიტანა, მაინც ნაკლებად შეიცვალა, ვიდრე იმ სამოც წელიწადში, რომელიც გვაშორებს იმ დროიდან, მე რომ ნეტარებით ვისხენებ.

მე, აგერ რომ გელაპარაკებით, პარიზი თითქმის ისეთივე ხმაურიანი და მოუწყობელი მინახავს, როგორსაც ბუალო აგვიწერს 1660 წელს თავისი სასამართლოს შენობის სხვენიდან. მასავით მეც ხშირად მსმენია, შუა ქალაქში დილის სიჩუმეს როგორ არღვევდა მამლის ყვირილი. სენ-ჟერმენის გარეუბანში თავლის სუნიც ხშირად მცემია, მინახავს უბნები, სოფლური იერი და წარსულის მომხიბვლელობა რომ შერჩენოდათ. ტყუილად ნუ გგონიათ, რომ თორმეტი წლის ბალდი თავისი ქალაქის სილამაზეს ვერ იგრძნობდა. ამ სილამაზეს მშობლი-

ური პაერივით შევისუნთქავდი და ბუნებრივად მიმაჩნდა. იმის მტკიცება, თითქოს ალტაცებაში მოვყავდი ოტელების საუცხოო პროპორციებს, ოტელებისა, თავიანთი კლასიკური სვეტები და კამარები, შუშაბანდები და ფრონტონები რომ აღეძართათ ეზოსა და ბალებს შუა, გადაჭარბებული იქნებოდა, მაგრამ რამდენადაც ღონე შემწვევდა, მეც ვტკბებოდი ამ სახანაობითა და გზად მიმავალს თავი ყველაფრის ბატონ-პატრონად წარმომედგინა. თუ რამ არ მესმოდა, დარწმუნებული გახლდით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი გაგებაც მეწერა. განა ხნიერი უნდა იყო, რომ ოცნებები აგიშალოს ნაკრძალმა ბაღმა, რომლის ღრიჭოდ დარჩენილი კარიდანაც რამდენიმე ტოტი და ყვავილი მოჩანს? განა ბავშვობას უნდა იყო გამოთხოვებული, რომ გული აგიჩქროლდეს ძველი კედლის დანახვაზე? წარსულის სიყვარული დედის მუცლიდან დაჰყვება ხოლმე კაცს. წარსული ერთნაირად აღელვებს ბაღსაც და მიხრწნილ მოხუცებულსაც; ამის საბუთად დედილო ბატის ზღაპრები და იმდროინდელი არაკები იკმარებს, როცა ბერტა ძათს ართავდა\* და როცა მხეცები ლაპარაკობდნენ. თუ გსურთ გაიგოთ, რატომაა, რომ ნორჩი ვიქნებით თუ მიხრწნილი, ძწუხარე თუ მხიარული, ჩვენი წარმოდგენა უეჭველად წარსულისაკენ შემობრუნდება და შიგ შეღწევას ღამობს, მიეხედებით, რომ მხოლოდ წარსულს შეგვიძლია ვესტუმროთ. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეგვიძლია გავექცეთ ყოველდღიურ საზრუნავს, გაკირვებასა და საკუთარ თავს. აწმყო ხრიოკია და ბუნდოვანი, მომავალი — დაფარული. სამყაროს მთელი ბრწყინვალეობა, მთელი სიტუარფე წარსულშია ჩამარხული. ეს ბაღებსაც ისევე კარგად მოეხსენებათ, როგორც მოხუცებს. უთუოდ ამიტომ იყო, რომ სიყრმიდანვე მღელვარებით ვუსმენდი, ჩემი ქალაქის ქვეები გარდასულ დღეთა ამბებს როგორ ყვებოდნენ. ვაგლახ! ძველმა ქვეებმა ადგილი ახლებს დაუთმეს. მაგრამ ოდესმე ეს ახლებიც დაძველდებიან და მეოცნებე სულებს გულს აუჩქროლებენ.

რაც უფრო წინ მივიწევი ამ გრძელ ქუჩაზე, სახლები სულ უფრო და უფრო ღარიბული და სოფლური ხდებოდნენ; აქ ბევრი ისეთი ხელობა და ზნე შეენიშნე, რომლის მსგავსიც თავის დღეში არ მენახა ღამაზ კვარტალებში, სადაც ბავშვობა

გავატარე. სწორედ აქ ვნახე პირველად დიდი ჩალისქუდიანი მემწვანილეები თავიანთ ბოსტნებს როგორა რწყავდნენ, მზეზე გარუჯული გოგოები ძროხებს როგორ წველიდნენ, შეშის გამყიდველები თავიანთ ფარდულებში შეშის ღერებისაგან ტრიუმფალურ თაღებს როგორ აგებდნენ და მკედელი თავისი სამკედლოს ზღურბლზე, დამწვარი რქის მკახე სუნში როგორ კედავდა ცხენს, მის შეგირდს ცალფეხაწეული რომ გაეკავებინა. ეს მკედელი საშინელი სანახავი იყო, ისეთი ხშირი ბაკები და გადაგრებილი უღვაშები ჰქონდა. პერანგის სახელოები აეკაპიწებინა და მარცხენა ხელზე ამოსვირინგებული საპატიო ლეგიონის ორდენი მოუჩანდა. ქვეშ წარწერაც იყო გამოყვანილი: „სამშობლო და სახელი“. ამ მკედელს მალე ისევ მოვკარი თვალი: მეზობლად, სირაჯის დახლთან მდგარი უღვაშებს ხელის ზურგით იწმენდდა და მოხუც მეფორნეს მხარზე მხიარულად ხელს უტყაპუნებდა.

ამ ხელოსანთა ნახვამ რამდენიმე წუთში უფრო მეტი სასარგებლო ცოდნა შემძინა, ვიდრე კოლეჯში მქონდა მიღებული მთელი სამი თვის მანძილზე. იქნებ სწორედ ამ დღეს ჩამესახა გულში ის მგზნებარე სიყვარული ყველა ჯურის ხელობისა და ხელოსნების მიმართ, რომელიც გამყვა მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე.

შეგოხა, ეს დღე არასოდეს დაღამდებოდა, მსურდა ტყეთა სიტურფით გული გამეხალისებინა და ვიმედოვნებდი, ვინძლო დღეის დღეს მთლიანად ამოვწურო ცხოვრების სიამენი-მეთქი. სენის ნაპირას, ხიდის მახლობლად, დასაკეც სკამზე მჯდარ მოხუც ქალს შევხვდი; გვერდით ნანტერის ნამცხვრებით სავსე პატარა შაგიდა ედგა; ზედ ლიმონით თავდაცობილი, ძირტკბილას ნაყენით სავსე სურაც ჩანდა. ამ ნამცხვრებითა და სასმელით პირი ჩავიგემრიელე და ახალი ძალით აღვსილს ბულონის ტყეში გასეირნება მომიხდა. ტყეში ოტელის მხრიდან შევედი. ოტელი მაშინ ჯერ კიდევ სოფელი გახლდათ. მოშრიალე ფოთლებით მოჩრდილულ მის ლამაზ სახლებს ჯერ კიდევ შემოენახათ მომხიბვლელ და სასახლო კმედებათა ხსოვნა, მაგრამ ამეებით დატკობა იმხანად კიდევ არ შემეძლო.

ამ სახლთაგან ბევრს უკვე წერაქვით მისდგომოდნენ და დაენგრიათ. გაკაფულ ბაღებში კი სხვა, უფრო მაღალი შენო-



ბები ჩაედგათ. ბულონის ტყეც სახეს იცვლიდა. ხიდებითა და ჩანჩქერებით წაბილწულს დაეკარგა ბუნებრიობა და სიხორჩე. მის ჩრდილიანში წმინდათაწმინდა ყრუანტელი აღარ გივლიდათ. დაბურული ტყე სიყრმიდანვე სევდანარევე სიამეს შგვრიდა, მაგრამ სიმართლეს არ ელაღატების და უნდა გითხრათ, რომ ხშირ ტყეში შევედი თუ არა, სადაც სინათლე ძლიეს ატახდა, სწრაფად უკუვიქვეც იმის შიშით, ვაითუ ვინმე მაწაწალას გადავეყარო-მეთქი. ნაბიჯს მხოლოდ მონადირის სახლთან, პატარა მდელოზე მოვეუკელი, სადაც ლორთქო ბალახზე ბავშვებს თამაშობა გაეჩაღებინათ. ბაფთებით მორთულ-მოკახშული დედები, უფროსი დები და ძიძვები წაბლის ხეების ჩრდილში, გრძელ სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ. ერთ სკამზე ჩემთვისაც მოინახა ადგილი, ერთი ბიჭის გვერდით, რომელიც მე მოწიფულად მეჩვენა, რაკი ჩემი ხნისა ჩანდა; ძალიან ლამაზი იყო. ისე ეცვა, როგორც მე მინდოდა მცმოდა: მოხდენილად და ცოტა დაუდევრად. თეთრი წინწკლებით დაწინწკლულ ცისფერ ყელსახვევს ქარი უფრიალებდა. ყილეტზე ოქროს ძეწკვით საათი ჰქონდა მიმაგრებული. მოკლედ შეკრეკილი თმები თავზე ოქროსფერ კულულებად ეხვეოდა, ხათელი თვალები უბრწყინადა, მკრთალ, საუტხოოდ ნორჩ სახეზე დაწვები ვარდისფრად უღვიოდა. ფანქარსა და უბის წიგნაკს ხელში მოუსვენრად ატრიალებდა, მაგრამ არ წერდა. დანახვისთანავე მომეწონა ეს ბიჭი და თუმცა ძალზე მორცხვი გახლდით, პირველი მე გამოველაპარაკე. აუჩქარებლად, მაგრამ ხალისით მიპასუხა და საუბარიც გაიმართა. მიაშბო, ოპოლი და სნეული ვარ და რენლაგის ქუჩაზე, დიდედასთან ეცხოვრობო. დიდდაჩემი ძველი ირლანდიული გვარის ქალია, საფრანგეთში დიდი ხნის წინათ გადმოსახლდა და ახლა ქვრივიაო; მისი ქმრის ნათესავები სულ იმპერიისდროინდელ არისტოკრატთა ოჯახებიდან იყვნენ და დიდდაჩემს მოყვრებად მოხედებიანო.

გულით ეწადა, ლიცეუმში ევლო, ესწავლა და ეთამაშა თავის ტოლებთან, ეხტუნავა და ებურთავა, პრიზი მიეღო კონკურსებში, მაგრამ მასწავლებლად ერთი აბატი ჰყავდა მიჩენილი. და თუმცა მასზე დიდი სიძულვილით არ ლაპარაკობდა, ეტყობოდა, რომ მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. მხოლოდ

იმას უძრახავდა, მღვდლის ქუდის ნაცვლად რაღაც წოწოლა, აბრეშუმის ქუდი ხურავსო. იმ დღესაც აბატს წამოეყვანა ტყეში. არ ჭავრობდა, მაგრამ უკვირდა, ამდენ ხანს მარტო როგორ დაძტოვებს, უწინ ასეთი რამ არასოდეს დამართნიათო. აღტაცებით მიამბო ყირიმის ომში გამარჯვების ამბები. ფანჯრიდან ჩემი თვალით ვნახე, ვანდომის მოედანზე აღმოსავლეთიდან დაბრუნებული ჯარის ნაწილებმა როგორ ჩაიარეს; მეომრებს გაქუცული და დაკონკილი ტანსაცმელი ეცვათო. დაჭრილები პოლკის თავში მოაბიჯებდნენ; ქალები მათ ყვავილებს ესროდნენ; ხალხი დროშებსა და არწივებს ტაშისცემით ხვდებოდა, მარტო ამის გახსენებაზედაც კი გული გამალებით მიძგერსო. მერე ტიულარიში გამართული სადილები და მეჯლისებიც ამიწვრა, თითქოსდა ყველაფერი თავისი თვალით ჰქონდა ხახახი, რაკი მის ბიძაშვილ კლარას, დედოფლის ბერეიტორს რომ გაჰყვა ცოლად, იქ ხშირად იწვევდნენ. გაგიყებით უყვარდა წარმოდგენები, გამოფენები, დღესასწაულები.

ნატრობდა, ნეტა გრიზიესა და გატეშერის ორთაბრძოლას დამასწრო, წმიდა ბართლომეს დარბაზში რომ იმართებო. იქადდა, რომ გავიზრდები, სულ კომედი-ფრანსეზში, ლირიულ თეატრსა და ოპერაში ვივლიო. მანამ კი ბიძამისისაგან გებულობდა, რა ხდებოდა ამ სამ დიდ თეატრში და დრამატულ ფელეტონებსაც კითხულობდა გაზეთებში. მითხრა, ქალბატონ შიოლან-კარვალოს ლირიულ თეატრში საუცხოო დებიუტი ჰქონდაო და მკითხა, მადლენ ბროანი თუ გიყვარსო; თან უბიდან შიშველი მკლავებით პატარა დივანის ზურგს დაყრდნობილი ლამაზი, ქერა ქალის სურათი ამოიღო და შესძახა:

— შეხედეთ ერთი, რა ლამაზია!

ერთბაშად მომხიბლა იმით, რომ თეატრის ამბები ასე კარგად იცოდა. ამეების ცოდნა მეც გულით მეწადა, მაგრამ საიდან უნდა შემეტყუო. მან კი რაღა არ იცოდა მაღალ საზოგადოებაზე, ხელოვნებასა და ლიტერატურაზე. პონსარიც ნანახი ჰყავდა და მასთან საფრანგეთის აკადემიაზე უსაუბრია. იცოდა კამელიების მოყვარული ქალის ნამდვილი სახელი და თავგადასავალი. ახლოს იცნობდა მოძღვარს, დიდმარხვისას რომ ჭადაგებდა ტიულარიში.

კითხვას კითხვაზე მაყრიდა და პასუხს არც კი ელოდებოდა.

— მოტრიალე მაგიდებზე რას ფიქრობთ? ერთხელ ჩემი თვალითა ვნახე ცალფეხა, მრგვალი მაგიდა როგორ დატრიალდა. შე დ'ესტ-ანჟინსაირი არ გინდათ იყოთ? მე სულ ამასა ვნატრობ. მინდა, დიდი ორატორი გავხდე. მაგრამ ბევრი ვიავადმყოფე და ყოველდღე ბეჭითად ვერ ვმეცადინებო. ექიმები ამბობენ, ჯერ კიდევ დიდი მოვლა სჭირდებაო. გამოსაზამთრებლად ნიცაში მიპირებენ გაგზავნას.

წამით დადუმდა, მერე რვეული გაშალა და თეთრ ფურცელზე გაუწაფავი ხელით რაღაც ტოლფერდა სამკუთხედის მსგავსი დახაზა, ღიმილით მიჩვენა და მითხრა:

— ხედავთ?

— როგორ არა, სამკუთხედი.

— ჰო, სამკუთხედი და ჩემს სიცოცხლეს მაგონებს.

მერე ქვემოდან მოჰყვა და სამკუთხედის ტოლ ფერდებს "შორის ფუძის პარალელურად ხაზები გაავლო. ცხადია, წვერს რომ უახლოვდებოდა, ეს ხაზები თანდათანობით სულ უფრო და უფრო მოკლდებოდა. ხაზავდა და თან ნაღვლიანად ჩურჩულებდა:

— ხუთი წელი... ათი წელი... თორმეტი, ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტი... ხომ ხედავთ, თანდათან როგორ მცირდება და ბოლოს როგორ მთავრდება ყველაფერი?

ცოტა შეეყოყმანდა და ფანქრის წვერით სამკუთხედის წვერს შეეხო.

— ჩვიდმეტი წელი! გავიგუდები და მორჩა!

შემდეგ სწრაფად დახურა თავისი წიგნაკი, თავი ასწია და მტკიცედ თქვა:

— არა, მოვრჩები. აუცილებლად მოვრჩები. ექიმებს ეგობათ, ფილტვები მქონდა სნეული. თურმე გული მქონია. გულის ფრიალი ვიცი ხოლმე. ყველაფერი გულის ბრალია.

ერთხანს ისევ დადუმდა და მერე მკითხა, საზღვაო ოფიცერი ხომ არ გინდათ იყოთო.

— მე ძალიან მინდა, — დასძინა და მიდამოს მეოცნებე თვალები მოაელო.

მკვანარი ფოთლებისფერკაბიანი მოხუცი ქალი მოგვიახლოვდა. კაბაზე არშიები ჰქონდა. შემოვლებული და დიდებულ კრინოლინს უბერავდა.

— ჩემი დიდედაა, — წაიჩურჩულა ბიჭმა.

ქალი გვერდით მიუჯდა, ხელთათმანი წაიძრო, ხელები დაუჭირა, მერე ხელი ლოყებზედაც შეახო და უთხრა:

— სირილ, ხელები ცხელი გაქვს, შუბლი — დაცვარული; ლაპარაკით დაიღლებოდი.

მერე ხმას დაუწია, მაგრამ მაინც გამაგონა:

— სირილ, უცნობ ბავშვს არ უნდა გამოელაპარაკო ხოლმე; მეტადრე თუ არავინ ახლავს.

თავი უკვე სირილის მეგობრად მიმაჩნდა და ძალიან დამწყდა გული, მას ასეთი ზიზღით რომ ჩამომაშორეს. არც ის გაძომპარვია, რომ სირილიც დუმდა და ცდილობდა აღარ გამოეხედა ჩემკენ. ავდექი და გულმოკლული გავეშორდი იქაურობას, უკან ერთხელაც კი არ მიმიხედიო.

კარგა ხანს ვიარე ასე. თან სულ სირილზე ვფიქრობდი. სინანულით ვფიქრობდი ასე უეცრად განასკვეულ მეგობრობაზე და მეგობარზე, თვალის დახამხამებაში რომ დავკარგე. უეცრად უკაცური ბილიკის პირას ბალახებში ჩამჯდარი დიდი გოგო და პატარა ბიჭი შეენიშნე. და-ძმასავით ჰგვანდნენ ერთმანეთს. ზედვე ეტყობოდათ, რომ გარეუბნისა და მინდვრების მკვიდრნი იყვნენ. ორთავეს საცრისტოლა თვალეები ჰქონდა. აწყებილი წარბები სასაცილოდ გადმორკალვოდათ; სახეზე ჭორფლი ასხდათ, ტუჩები ყურებამდე ჰქონდათ ჩახეული. თან ისე უტიფრად და მხიარულად გამოიყურებოდნენ, რომ არ შეიძლებოდა, მათ დანახვაზე არ გაგლიშებოდათ. გოგონას ყვავილებიანი ჩითის კაბა ეცვა, ბიჭს — ახალთახალი ლურჯი ხალათი. ყურძნის მურაბიან ნამცხვარსა ჰამდნენ, ყბებს მაგრად იქნევდნენ, დროდადრო, რიგრიგობით დიდ ბოთლსაც მიიყუდებდნენ ხოლმე და სულმოუთქმელად სვამდნენ.

რაკი ცნობისმოყვარეობით ვუმზერდი, ბიჭმა მუცელზე შოისვა ხელი, ბოთლი გამომიწოდა და მომაძახა:

— საუცხოო რამაა! მოდით, თქვენც გასინჯეთ.

პასუხი არ გამიცია, ისე გავეცალე. ეს უფრო მორცხვობით მომივიდა, ვიდრე ამპარტავნობით. და არ კი მიფიქრია, რომ იმაზე ნაკლებ თავხედურად როდი ვაგრძნობინებდი ამ ტყიურ წყვილს, მე, პატარა ბურჯუა, რა თქვენი ტოლი ვარ-მეთქი,

ვიდრე იმ კრინოლინიანმა მოხუცმა ქალმა მაგრძობინა, ვინ  
შენ, მაწანწალა ბალლი და, ვინ ჩემი შეილიშვილიო.

ამასობაში მომშივდა კიდეც. შევნიშნე, რომ ხეთა ჩრდი-  
ლებიც დაგრძელებულიყვნენ და თავზარი დამეცა. ჯიბიდან  
საათი ამოვიღე და დაეხედე. შინ დროულად მისასვლელად  
ოცდათხუთმეტი წუთილა დამრჩენოდა. რამდენი არ ვეცადე,  
მაგრამ ცოტა მაინც დამაგვიანდა. შინ აქოშინებული მივედი  
და თან ბალახის სუნიც მოვიყოლე. ჩვენსა მამიდა შოსონი  
დამიხვდა და მკითხა, კარგად თუ სწავლობ და ღლეს რა გაა-  
კეთეო.

ბედმა გამიღიმა. მამიდა შოსონის სტუმრობა პირდაპირ  
მისწრება იყო ჩემთვის. გამოკითხვა რომ დამიწყო, სიხარუ-  
ლით ცას ვეწიე. დედაჩემი რომ მომეტყუებინა, სინდისი ქენ-  
ჯნას დამიწყებდა, მამიდაჩემის მოტყუება კი დიდ ცოდვად არ  
მიმაჩნდა. ავდექი და ვუპასუხე, ღლეს უფრო მეტი რამ ვის-  
წავლე, ვიდრე ამ ექვს თვეში და დროც უქმად არ გამიფლან-  
გავს-მეთქი.

მამიდაჩემმა სიხარულით შეჰყვირა, დახეთ, რა კარგი ფერი  
აქვსო. მერე მე მომიბრუნდა და მოჰყვა ბრძნულ შეგონებას,  
ხომ ხედავ, სწავლა ჯანმრთელობას არა ვნებსო.

კოლეჯში მუდამ არეულობა სუფევდა და იმედი მქონდა,  
ჩემს იქ არყოფნას ვერავინ შენიშნავს-მეთქი. ასეც მოხდა. ამ  
ცოდვით სავსე და საუცხოო ღლეს, სხვათა შორის, ერთი მე-  
ტად უცნაური და სასიკეთო შედეგიც მოჰყვა: ბატონი კროტუ  
რომ ვნახე, უსიამოვნო გრძობა აღარ დამუფლებია. მასწავ-  
ლებელი უკვე აღარა მძულდა.

#### IV

#### ქალბატონი ლაროკი

ჩაცმას რომ ვათაეებდი, დედამ მითხრა:

— ქალბატონი ლაროკი ძალზე ავადაა; სიკვდილის პირასაა  
მისული: ორთავე ქალიშვილი დედას უზის სასთუმალთან.  
შენც მიგელიან; იჩქარე, შვილო.

სახტად დავრჩი. აქამდე ამბობდნენ, უბრალო გრიპი სჭირსო და მეც დიდი ყურადღება არ მიმიქცევია ამ ამბისათვის.

— ძლივს გაათენა, — დასძინა დელაჩემმა, — ეს ოთხმოც-დაცამეტი წლის ქალი სენს გააფთრებით ებრძვის. მარტო გამთენიისას დამშვიდდა.

ქალბატონ ლაროკის სახლს მივაშურე. ოთახის ზღურბლთან რაღაც უხილავი ჭებირი მომხვდა მკერდზე და შემაჩერა. სამარისებურ სიჩუმეში მომაკვდავის ხრიალილა ისმოდა. უფროსი ქალიშვილი, მონაზვნის ტანსაცმელში გამოწყობილი დაი სერაფინი საწოლთან იდგა. სახე ძველებური ცვილის ქანდაკებასავით გაყვითლებოდა. კიქაში პაწაწინა ვერცხლის კოვზს ურევდა. თავი უბრალოდ, მაგრამ დარბაისლურად ეჭირა; ავადმყოფს უვლიდა ასკეტურის სიმშვიდით, რომელიც კარგად შეეფერებოდა ამ შინაურულსა და საზეიმო სცენას. უმცროსი, ტერეზაც იქვე იჯდა უძილობისა და ცრემლებისაგან განაწაშები; ჭაღარა თმა ასწეწოდა, იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, ლოყები მუშტებში ჩაერგო, წინ გადახრილიყო და გამოშტერებული, ნაზად დასცქეროდა დედას: ოთახს ვეღარ იცნობდით, თუმც შიგ არაფერი შეცვლილიყო. მხოლოდ წამლის შუშები, კოლბები და ჭიქები დაეხვავებინათ ღამის მაგიდასა და ბუხრის თავზე. მარცხნივ საწოლი იდგა. მისი მაღალი ზურგი ჩემს თვალთაგან ფარავდა მომაკვდავს. საწოლის თავთან, კედელზე, სააიაზმე ჯამის გვერდით, ორ ფაიფურის ანგელოზს რომ ეჭირა ხელში, ჯვარცმა და პასტელით შესრულებული ახალგაზრდა და ტანწერწეტა ტერეზას პორტრეტი ეკიდა. სურათში ტერეზას დიდი, ყავისფერი ბაფთა ეკეთა, ტანთ მიხაკ-დარიჩინის ფერი, ფუმფულასახელოებიანი კაბა ეცვა. ეს კაბა ისე შემოტმასნოდა ტანზე, რომ ნამდვილ სილფიდს ამგვანებდა. ოთახის სიღრმეში, ფანჯრებზე, წითელი ბამბაზიის ფარდები ეკიდა. მარჯვნივ წითელი ხის კამოდი იდგა; ზედ ყავის თეთრი, მოვარაყებული სერვიზი დაედგათ. მაღლა, კედელზე ქალბატონ ლაროკის დაგეროტიპი და დავიდის ნახატის მიხედვით, შავი ფანქრით შესრულებული რომულის სურათი ეკიდა. ეს სურათი ჭერ კიდევ ბავშვობაში დაეხატა დაი სერაფინს. ირგვლივ არაფერი შეცვლილიყო, მაგრამ დღეს ამ უბადრუკ კედლებს დიდებული იერი ჰქონდათ.

— შემოდი, პიერ, რალას უცდი, — მითხრა მონაზონმა.

საწოლს მივუახლოვდი. ქალბატონ ლაროკის სახე შეცვლილი არ მეჩვენა. მაგრამ მის გაბერილ მუცელს საბანი ამოებურცა. მიწისფერი ხელებით ზეწარს ფხაჭნიდა. მომაკვდავს თვალები მიელულა და ველარავის ველარა ცნობდა. უთუოდ შიმშილით გული ელეოდა, რადგან ჩემს იქ ყოფნაში რამდენჯერმე მოითხოვა, მაჭამეთო და მკვახედაც იკითხა, სამიკიტნოში ხომ არა ვარ, ასეთ ღარიბულ კერძებს რომ მაძლევთო. მერე კვლავ ახრიალდა, მაგრამ წყნარად კი იწვა. თითქმის ნახევარი საათი იყო, რაც მის გვერდით ვიდექ; უცებ მოუსვენრობა დაეტყო. სახეზე აღმური მოედო, მეჩხერი, ქალარა თმა თავშალიდან გადმოეშალა და ოფლიან საფეთქლებზე შეეწება.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგრამ გარკვევით წარმოთქვამდა სიტყვებს:

— ჰეი, ჟანეტა! ვაიმე... ცოტა დამაცადე, დედაჩემო; ძროხა ბოსელში შემადენინე... თვალთ დამიბნელდა... იმათ მუხუდოს წვენი და ერბოკვერცხი მივეცი, დედი... ბრაკონიერები, ბრაკონიერები მოდიან!..

თავი კვლავ ბავშვად წარმოედგინა და ეგონა, ისევ თავის სოფელში იყო.

— ბნელა, დედა. თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი. ახლავე ჭრაქს ავანთებ.

ჭრაქსო, ამბობდა; ასე უწოდებდნენ ძველებურ ლამპას, ნორმანდიელები კერიანსთან რომ ჰკიდებენ.

— დედიკო, წიწიბურას ბლინებს დავაცხობ, პატარა პიერს ძალიან უყვარს...

დედის ასეთ ლაპარაკს რომ მოჰკრეს ყური, ქალიშვილები უცბად შეირხნენ. მეც უცნაური და საშინელი გრძნობა დამეუფლა, გარდასულ ღროთა ხალხსა და ნივთებში რომ მრევდნენ.

ტერეზა კვლავ თავის დაბალ სკამზე იჯდა. დაი სერაფინმა წინკარში გამომიყვანა და მშვიდად მითხრა:

— სრულ გრძნობაზე იყო, როცა ზიარებას ღებულობდა. აბატმა მუანიემ აზიარა. ექიმმა თავიდანვე ყოველგვარი იმედი გადაგიწურა, ხანიც ისეთი აქვს, მის გადარჩენაზე ფიქრიც ზედმეტია. პარასკევს ფილტვების ანთება გამოაჩნდა. ამას კუჭ-ნაწლავის დამბლაც დაერთო. ტერეზა უძილობას ვერ

იტანს და წელშია გამწყდარი. — მითხრა ესე და გულ-  
ხელდაკრეფილმა თავი ნელა დამიკრა. გონებაც ისეთი  
დარბაისლური და სადა ჰქონდა, როგორც ტანსაცმელი. მის  
ძწუხარებას სიმშვიდე ალამაზებდა. სამზარეულოს დახშული  
კარიდან თუთიყუშ ნავარენის ხმა მოისმოდა:

ჩინებული თუთუნი მაქვს  
სატუთუნში..<sup>1</sup>

სალამოს რომ დაებრუნდი, ფარდები ჩამოეშვათ. ღამის  
ძაგიდაზე აღარც ჰიქები, აღარც კოლბები და აღარც წამლის  
შუშები ეწყო. ზედ მარტო ორი სანთელი ბეუტავედა; ფიალაში  
ნაკურთხი წყალი ჩაესხათ და შიგ ბზის ტოტი ჩაედოთ. ქალ-  
ბატონ ლაროკს ჯვარცმაზე დაეკრიფა ნელები და მთლად  
გაფითრებულს მშვიდი, საუკუნო ძილისათვის მიეცა თავი.

— აკოცე და მშვიდობა უთხარ, პიერ, — მითხრა მონაზონ-  
მა, — ღვიძლი შვილივით უყვარდი. უკანასკნელ წუთებში,  
სახამ გონებაზე იყო, შენზე ფიქრობდა. დაგვიბარა: „პიერს  
ჩემს სამახსოვროდ ჩემი ოქროს საათი მიეცით და ხუფზე ამოაკ-  
ვეთინეთ თარიღი ჩემი“... და ველარ დაასრულა. მერე გონი  
წაერთვა და ველარავის ცნობდა.

## V

### ბატონი დიუბუა

იმ კვირას საშინელი ნიშნები მივიღე. სწავლით ხომ არა  
ვსწავლობდი და ყოფაქცევაც არაფრად მივიარგოდა. დარ-  
დით გულდამძიმებული საწყალი დედაჩემი ბატონ დიუბუას<sup>1</sup>  
შეევედრა:

— რაკი ამ ყმაწვილის ბედით თქვენცა ხართ დაინტერე-  
სებული, ერთი მაგრად შეახურეთ. ჩემზე უფრო თქვენ გაგი-  
გონებთ. შეაგნებინეთ როგორმე, შენს თავს ძალიანა ვნებ,  
რომ არ სწავლობ-თქო.

— მაგას როგორღა შევაგნებინო, უსწავლელობით რა ვნე-

<sup>1</sup> იხ. „პატარა პიერი“ (ავტ. შენიშვნა).



ბა მოაქვს თავისათვის, ძვირფასო ქალბატონო, — მიუგო ბატონმა დიუბუამ, — როცა ეგ მე თვითონაც ვერ შემიგნია?

მერე ჯიბიდან რაღაც წიგნი ამოიღო და ეს სიტყვები წაგვიკითხა:

— „ჰომეროსს კოლეჯში ათი წელი არ გაუტარებია; მისთვის არც მათრახით აუქრელებია ვინმეს ზურგი, ის სიტყვები რომ ესწავლა, რომელთაც შინ ხუთ-ექვს თვეში გაცილებით უკეთ ისწავლიდა“. იცით, ვინა თქვა ეს, ქალბატონო ნოზიერ? ვინმე უბირმა, უვიცმა კაცმა, სწავლა-განათლების მტერმა? არა, საოცრად ჭკვიანმა, სწავლულმა კაცმა, თავისი დროის—შატობრიანის დროის საუკეთესო მწერალმა, გონებამახვილმა პამფლეტისტმა, ბერძნული ენის დიდმა მოყვარულმა, „დაფნისისა და ქლოას“ პასტორალის საუცხოო მთარგმნელმა პოლ-ლუი კურიემ, კაცმა, რომელიც ქვეყნად ულამაზეს წერილებს წერდა.

იმედგაცრუებულმა დედაჩემმა წყენით გადახედა ბატონ დიუბუას. მოხუცმა ნაზად ამიწია ყური და მითხრა:

— ჩემო მეგობარო, მარტო ამ ბუნების მტრებისა და პედანტებისათვის ყურის მოყრუება არა კმარა; ბუნებისათვის ყურის გდებაც უნდა შეგეძლოს. მხოლოდ ამ გზით გაიგებ ვერგილიუსს და ჩასწვდები რიცხვთა კანონს. წუთსაც ხუ გააძღენ უქმად და ეცადე, აინაზღაურო ის დრო, კოლეჯში ტყუილუბრალოდ რომ კარგავ.

ბატონი დიუბუა იმხანად სამოცდაათ თუ სამოცდათორმეტ წელს იყო მიტანებული. მაღალი იყო, წელში გამართული დადიოდა. საუცხოო მოსალმება იცოდა. გულითადობაც ეხერხებოდა და აბეზართაგან თავის შორს დაქერაც. თმები ისე აეჩეჩა და მოკლე ქილვაშებიც ისე დაეყენებინა, როგორც მის ახალგაზრდობაში სჩვეოდათ. ეს კიდევ უფრო უგრძელეზობა ისედაც მოგრძო, გაპარსულ სახეს. კუშიტი გამოხედვა და მომხიბვლელი ღიმილი ჰქონდა. მუდამ გრძელ, მუქი მწვანე ფერის რედინგოტს ატარებდა, ბურნუთს კუს ფარისაგან გაკეთებული კოლოფიდან ყნოსავდა და ცხვირს უზარმაზარი წითელი ცხვირსახოცით იხოცავდა.

ჩვენს ოჯახს თავისი დის წყალობით დაუახლოვდა. მამაჩემი ამ დის მკურნალი ექიმი და მეგობარი იყო. ბატონ დიუ-

ბუას ჩვენსა სიარული დის სიკვდილის შემდეგაც არ შეუწყვეტია. ძალიან ხშირადაც მოდიოდა ხოლმე. მამაჩემის არც ერთ აზრს არ იზიარებდა და მათი საუბარი რომ არ მომესმინა, რომ არ მენახა, რა რაინდულის მოწიწებით ექცეოდა დედაჩემს, რომელიც ერთობ კდემამოსილი და მორცხვი იყო და მის ქათინაურებს ვერ იფერებდა, წარმოდგენაც კი არ მექნებოდა, რა სრულყოფილებამდე შეუძლია მიიყვანოს კეთილშობილ კაცს საუცხოო მანერები, თავშეკავება და ზრდილობა. პარიზის მსხვილ ბურჟუაზია, ძველი რეჟიმისდროინდელი ადვოკატებისა და მოსამართლეთა ოჯახიდან გამოსული ბატონი დიუბუა სწავლა-აღზრდითა და განათლებით ნამდვილი ძველი საზოგადოების პირმშო შვილი იყო. მასზე ამბობდნენ, დიდი ეგოისტი და ძუნწი ვინმეაო. მე მგონი, მართლაც ბევრს ზრუნავდა თავის თავზე, ძალიან ხელმომჭირნედ ცხოვრობდა და შემთხვევასაც არ დაეძებდა ხელგაშლილობა გამოეჩინა. ჩვეულების მონა იყო, უყვარდა სისადავე, სადაც ცხოვრობდა, სისადავე გაეხადა თავშესაქცევადაც და ამით კიდევაც თავშომძვობნობდა. მარტოდმარტო ცხოვრობდა მოხუც მნე ქალთან, კორინასთან ერთად. ეს კორინა უზომოდ ერთგული იყო მისი, მაგრამ „სვამდა“; ამის გამო ძნელი ასატანი გახლდათ და იქნებ ბატონი დიუბუაც ასე ხშირად იმიტომ დაიარებოდა ჩვენსა, რომ თავის სახლს გაურბოდა.

ბატონი დიუბუა ძალიანა მწყალობდა და ეს მით უფრო მეამაყებოდა, რომ საერთოდ ახალგაზრდები არ უყვარდა. მე მგონი, კეთილი თვალით იმიტომ მიცქერდა, რომ მუდამ ყურადღებით ვუსმენდი ხოლმე. უყვარდა მოყოლა და თუმცა მთლად ბალღი ვიყავ, რასაც ამბობდა, თითქმის ყოველთვის მაინტერესებდა. ცამეტ-თოთხმეტი წლისა რომ შევიქენი, მისი გული მთლად მოვიწინადირე. თავმოთნეობით როდი მოგახსენებთ, მაგრამ ჩემთან მგონი უფრო სიამოვნებით საუბრობდა, გიდრე მამაჩემთან. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მისი ხმა ახლაც ცოცხალივით ჩამესმის ყურში. სუსტი ხმა ჰქონდა, არც არასოდეს აიმაღლებდა ხოლმე. მისი გამოთქმა, მისი თანამედროვეთა გამოთქმისა არ იყოს, დღევანდელულების გამოთქმისაგან დიდად განსხვავდებოდა; უფრო იოლი და მსუბუქი იყო. ბატონი დიუბუა „ქაბატონოს“ ამბობდა

„ქალბატონის“ ნაცვლად, „სევს“ — „სევრის“ წაცვლად, და „ლუსელს“ — „ლუვესიელის“ ნაცვლად. „საიდუმლოს“ მაგივრად „საიდუმლოს“ ამბობდა, ორმაგ თანხმოვანს ხომ თავის დღეში არ წარმოთქვამდა. ის კი არა და, ზოგიერთი სიტყვის ბოლო თანხმოვანსაც ყლაპავდა ხოლმე.

მისი ცხოვრებიდან ცოტა რამ ვიცოდი და მეტის გაგება არც მაინტერესებდა. მაშინ დღევანდელივით წარსულის ტრფიალი როდი გახლდით. ოცი წლისა, იმპერიის მიმწუხრის ჟამს, არმიაში შესულა, გენერალ დ.ს ადიუტანტი გამხდარა და 1812 წლის ლაშქრობაშიც მიუღია მონაწილეობა. სმოლენსკში ყურები მოყინვია. ნაპოლეონი არ უყვარდა და ერთნაირის გამწარებით უკიჟინებდა რუსეთში ხუთასი ათასი კაცი რომ დაღუპა და იქაური ბრძოლების დროს პოლოწურ, ფართოფარფლებიან ქუდს რომ იხურავდა. გაიძახოდა, ეს ქუდი მაგნატებს ძალიან შევნით, მაგრამ მას კი დედაბერს ამსგავსებდაო.

— კაცმა რომ თქვას, — დასძინდა ბატონი დიუბუა, — ერთობ ცნობისმოყვარე და ყბედი იყო; პირწავარდნილი ქორიკანა დედაკაცი გახლდათ. მე რომ ვნახე, სქელი და ჩაყვითლებული იყო, თუმცა ბიუსტები და პორტრეტები სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენენ. მხატვრები და მოქანდაკეები მისი ბრძანებით სახეს ულამაზებდნენ და ანტიკურ გმირებს ამსგავსებდნენ. მდაბიური მანერები ჰქონდა, ქალებს უდიერად ეპყრობოდა, თამბაქოთი ითითხნებოდა და ხელით ჰამდა.

ჩემი ნათლია, ბატონი დანკენი იმპერატორის დიდი თაყვანისმცემელი იყო და ამგვარი რამეების გაგონებისას პირდაპირ ცოფებს ყრიდა.

— ნაპოლეონი მეც მინახავს, — მაპყვიროდა იგი, — 1815 წელს რვა წლისა ვიყავი და მამაჩემს ვეჭექი მხრებზე. ლიონში შემოდრიოდა თავის ამალით. მეფურად ლამაზი თავი ჰქონდა. მე დიდებულად მეჩვენა. შესახვედრად ზღვა ხალხი გამოსულიყო და ყველა ქედს იხრიდა მის წინაშე. მისი მეფური სახე ხალხს ისევე სცემდა თავზარს, როგორც მედღუზის თავი. ვერავენ უსწორებდა მზერას. ხელები, რომლითაც მთელი მსოფლიო გარდაქმნა, ქალივით პატარა და საუცხოო მოყვანრილობისა ჰქონდა.

იმხანად ყველას ნაპოლეონის სახელი ეკერა პირზე: ჭერ ორ თაობასაც არ გაეგლო იმპერატორის დიდების დღეებიდან. ოცი წელიც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც სამგლოვიარო ეტლით სენის ნაპირებთან მოსულიყო საუკუნოდ განსასვენებლად. მისი ორი და, ვაჟიშვილი, მისი მარშლები ჩვენს ხელში დაიხოცნენ და იმ ქვეყნად გამგზავრებისას ამ დიდი კაცის სახელის ექო გამოადვიძეს. ერთ-ერთი მისი ძმა, ბევრი გენერალი, უთვალავი ჯარისკაცი და თანამებრძოლი ჭერ კიდევ ცოცხლობდა. ზოგიერთ გულუბრყვილო მოხუცს კი, ჩემი კეთილი მელანისა არ იყოს, სწამდა, რომ თვით იმპერატორიც ცოცხალი იყო.

მასზე ჩამოვარდებოდა თუ არა ლაპარაკი, მოსაუბრეებს უმაღვე ცეცხლი შემოეგზნებოდათ ხოლმე.

— უდიდესი მხედართმთავარი იყო, — ამბობდა ბატონი დანკენი.

— კი, ბატონო, — კვერს უკრავდა ბატონი დიუბუა. — თუკი მის სიდიადეს დამარცხებებით გავზომავთ.

და მყისვე გაცხოველებული კამათი იმართებოდა. ამ კამათის დროს ბატონი დანკენი და ბატონი დიუბუა მუდამ ერთსა და იგივეს ამბობდნენ ხოლმე.

### **ბ-ნი დანკენი**

დიდი მხედართმთავრის ნიჭი ჰქონდა, საერთოდაც დიდ ხიქს იჩენდა ყველაფერში. მის არწივისებრ მზერას არაფერი გამოეპარებოდა. გასაოცარ გამჭრიახობას ამჟღავნებდა ყველაფერში, საუცხოო მეხსიერება ჰქონდა, კარგად იცნობდა ადამიანებს, ბრბოს სულისკვეთებასაც ზედმიწევნით სწვდებოდა; არაჩვეულებრივი შრომის უნარიტაც იყო დაჯილდოებული, თვით უმცირესი წვრილმანიც კი არ გამოეპარებოდა მხედველობიდან და ზოგადს უმორჩილებდა. იმგვარი რამ მოიმოქმედა, რაც ადამიანის ძალ-ღონეს ბევრად აღემატება.

### **ბ-ნი დიუბუა**

ადამიანებს კი იცნობდა, მაგრამ თავისზე ღირსეული ხალხი სძულდა. გარს სულ გონებაშეზღუდულ ხალხს იკრებდა, მარტო უბადრუკი კაცუნების, წვრილ-წვრილი მოხელეებისა

და ლეიტენანტებისა სწამდა. და როცა განსაცდელის უამს კაცი დასჭირდა, ირგვლივ ველარავინ ნახა. ცხადია, ჰკვიანი იყო; შორსმჭვრეტელობაც არ აკლდა ხოლმე, თუ პატივმოყვარეობა არ აბრმავებდა. მაგრამ ამალღებული სული არ ჰქონდა. ადამიანებსა და საგნებს ფილოსოფოსივით კი არა სჭვრეტდა, ადმინისტრატორივით უცქეროდა. თეორიები ფეხებზე ეკიდა, არავითარ ფილოსოფიას არ იცნობდა; რაც მის გეგმებში არ შედიოდა, სრულიადაც არ აინტერესებდა. თუმცა მექანიკაში კარგად ერკვეოდა, აქაც უკუაგდებდა ყველაფერს, რისგანაც უშუალო სარგებელს არ გამოელოდა. ამიტომაც არ ინება ორთქლის გემებისა და ორთქლმავლების აგება. უანგარო აზრი და განყენებული იდეა თავის დღეში არ გასჩენია. არც ერთხელ არ უფიქრია, რომ ლაფუაზიე, ბიშა, ლაპლასი ზეგარდმო ნიჭით ცხებული ადამიანები იყვნენ. აზროვნება ჭირის დღესავით ეჯავრებოდა.

## ბ-ნი დანკენი

ეს იმას მოწმობს, რომ მისი გონება ვერ ურიგდებოდა ფუჭ იდეოლოგიასა და ცარიელ აზრებს. ნამდვილი ქმედების კაცი იყო.

## პ ნი დიუბუა

ზომიერების გრძნობა არ გააჩნდა. მის ხასიათში იმდენი კონტრასტია, რომ განცვიფრებაში მოდიხარ ადამიანი. ქმედების კაცი იყო და რომანტიზმში გადავარდა. ბევრი რამ დიდი ადამიანისა აქვს, მაგრამ ბავშვისაც ბევრი სცნია. ნახეთ, როგორ გამოიყურება ჟიროდეს\* ნახატზე სენ-კლუს თეატრში გჯდომარე: სახე ბალღისას მიუგავს. ტიტანი ბალღია, გეთანხმებით, მაგრამ მაინც ბალღია და ბალღი. მორალის სფეროშიაც ბალღივით აპყოლია ილუზიებს, უყვარს ყოველივე წრეგადასული, გადაჭარბებული და საუტეხოო; თუ რამ სურვილი ჩაიდო გულში, ნდომას ველარ იოკებს. ქარაფშუტობაც ბავშვისა მოსდგამს და ყველაზე უფრო სერიოზულ ვითარებაშიც კი ზერელობას იჩენს; ბავშვისა მოსდგამს გულმავიწყობაც, ადამიანთა უმეტესობა სიყრმეშივე რომ ეთხოვება, მას კი მოწიფულობაშიც გაპყვა.

## ბ-ნი დანკენი

ეგ იმიტომ, რომ ხანდახან მაინც უნდა განეტვირთა გონება, უკიდურესობამდე დაძაბული რომ ჰქონდა: აკი ერთბაშად მთელ ქვეყანაზე ფიქრობდა.

## ბ-ნი ღიუბუა

ყომარბაზი იყო და როგორც ყოველ მოთამაშეს, ბოლოს შავი ღლე გაუთენდა. ერთხელა თქვა: „კაცი ხელსაც ვერ გასძრავს, თუკი უცადა, წარმატების ყველა შანსი ერთბაშად როდის მომივაო“. ამ სიტყვებში ყომარბაზის სული მოჩანს. ყომარბაზებს უყვართ ძლიერი მღელვარება, რისკო ნეტარებას ანიჭებთ. ვერავითარ სიამოვნებას ვერ იგრძნობენ, წინასწარ რომ იცოდნენ, უეჭველად გამარჯვებას მოვიპოვებთო. მშვიდობას ომი ერჩია, იმიტომ, რომ ომში მეტი რისკი და მეტი შანსია. და როცა ომობანას თამაში წააგო, შეეცადა ისევ ამ თამაშით აენაზღაურებინა დანაკლისი.

მაინც რა დაგვიტოვა იმ თქვენმა გმირთგმირმა? თავის თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი მიუნხენში, 1805-სა თუ 1809 წელს: როცა ოთახში კარლოს XII-ის პორტრეტი დაუკიდეს, აძრეზითა თქვა: „მოაშორეთ აქედან ეგ პორტრეტი. კარლოს XII ცუდად დამაშვრალი კაცია“. სწორედ იმ ღლეს უკარნახა საკუთარი განაჩენი ისტორიის ტრიბუნალს, აკი დიდ ადამიანთაგან ყველაზე ცუდად თვითონ დაშვრა.

## ბ-ნი დანკენი

ცუდად დაშვრაო? მან საფრანგეთი ანარქიას გადაარჩინა, განამტკიცა რევოლუციის მონაპოვარნი, თავისი გენიის ბრძმედში გადაადნო ძველი და ახალი საზოგადოება, შეადუღა და საოცრად მტკიცე, გამძლე, ლამაზ შენადნობად აქცია, ვერც ცეცხლმა რომ ვერ დააკლო რამე და ვერც მახვილმა, ვერც სამოქალაქო ომმა და ვერც მტრის ზარბაზნებმა. შექმნა ახალი საფრანგეთი და სამშობლოს მისცა ის, რაც მისთვის ოქროზე უფრო ძვირფასი და პურზე უფრო აუცილებელია: დ ი დ ე ბ ა.

ასე ამბობდა ბატონი დანკენი და ბრელოკები მის მუცელზე საბრძოლო ყიჟინას სცემდნენ; ბატონი ღიუბუა კი ამასი-

ბაში თავის სათუთუნეს ატრიალებდა ხელში, თითქოს შთაგონებას მის გეომეტრიულ ფორმებში დაეძებსო. ისეთი სანახავები იყვნენ, რომ რაფაელის „ათენის სკოლაში“\* ორთავე საპატიო ადგილს დაიჭერდა.

ნათლიაჩემს უყვარდა ბრძოლები, თუმცა ომები მხოლოდ სურათებში თუ ენახა; ბატონ დიუბუას კი, ბერეზინა რომ გადმოელახა, ომი მას შემდეგ ჭირის დღესავით შესძულებოდა. 1814 წელს სამსახურიდან გადამდგარა. სამსახური რესტავრაციის დროსაც არ განუახლებია, რადგან გულზე არც რესტავრაცია ეხატებოდა. თავისი დღე და მოსწრება სულ მარკუს ავრელიუსის დროს მისტიროდა.

## VI

### გზის განსაუბრება

იმ წელს, სკოლაში მეცადინეობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ფონტანეს შევხვდი. ეტრეტაში დაესვენა, მზეზე გარუჯულიყო და ხმაც საგრძნობლად დაბოხებოდა. ტანად ისევ დაბალი იყო და თავისი ტანის სიმცირეს აზრთა სიმალლით ინაზღაურებდა. მიამბო, როგორ თამაშობდა, როგორ ბანაობდა, როგორ სეირნობდა ნავით და სად რა ხიფათი შეემთხვა; მერე წარბი შეიკრა და პირქუშად მკითხა:

— ნოზიერ, ჩვენ ახლა უფროს კლასებში გადავდივართ; გზაჯვარედინზე ვდგავართ და ჩვენ-ჩვენი გზა უნდა ავირჩიოთ. ეგ სახუმარო საქმე როდია. გიფიქრია ამაზე?

გუპასუხე, არა-მეთქი და იქვე დავსძინე:

— ალბათ, ისევ ლიტერატურას გავყვები. შენა?

ეს რომ ვკითხე, შუბლზე ღრუბელთ ჯარი შეჰყარა და მიპასუხა, ეგ ერთობ რთული საკითხია და ასე იოლად ვერ გადაწყვეტო. მერე წავიდა და მისი სიბრძნის მოშურნე, დაბნეული და დამცირებული დამტოვა.

ჩემი და ფონტანეს საუბრის გაგება თუ გინდათ, უნდა იცოდეთ, რომ იმხანად საფრანგეთის კოლეჯის მოსწავლეებს დაწყებითი კლასების დამთავრების შემდეგ, მესამე კლასში

შესვლისას, ევალეზობდათ აერჩიათ, რის შესწავლას ისურვებდნენ: ფილოლოგიისა თუ ზუსტი მეცნიერებისას. მოკლედ, თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლის ყმაწვილები, „გზის გასაყართან“ რომ აღმოჩნდებოდნენ, იძულებულნი იყვნენ, თავი-ახთი ჭკუით, ან მშობლების კარნახით გადაეწყვიტათ, მეცნიერების რომელ შტოს გააყვებოდნენ. თუმცა კაცმა რომ თქვას, დიდად არც ენაღვლებოდათ, რომ ალგებრის გულისათვის მჭევრმეტყველების შესწავლაზე ხელს იღებდნენ და დღეის ამას იქით ყურს აღარ მიუპყრობდნენ მუშათა მთელ ქოროს, რომლის გახცალკეევბაც ბატონმა ფორტულმა ინება.

რა გზასაც უნდა ღავდგომოდით, მაინც წაგებულნი ვიყავით, რადგან ჰუმანიტარულ საგნებს მოწყვეტილი ზუსტი მეცნიერებანი მექანიკური და უსახური ხდებოდა; მეცნიერებას მოწყვეტილი ლიტერატურაც მწირი და უაზრო ჩანდა, რამეთუ მეცნიერება ფილოლოგიის არსია. მაგრამ უნდა ვალიარო, რომ ამას ჩემი ვიწრო გონება ჯერ ვერა სწვდებოდა.

უთუოდ გაგიკვირდებათ, რომ ჩემს მშობლებს ჩემთან საუბარში არასდროს კრინტიც არ დაუძრავთ ამ საგანზე. თუ მათი დუმილის მიზეზებს გამოვიძიებ, ადვილად მივხვდები, რომ ეს ნაწილობრივ მამაჩემის მორცხვობის ბრალი იყო (ექიმი ნოზიერი ხომ ვერასოდეს ბედავდა საკუთარი აზრები შოეხვია ვინმესთვის თავზე), ნაწილობრივ კი იმისა, რომ დედაჩემიც დაბნეული იყო, რაკი ვერაფრით გადაეწყვიტა, ჩემთვის რა უკეთესი იქნებოდა. მაგრამ მათი დუმილის უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ დედას ექვიც კი არ ეპარებოდა, რა გზასაც უნდა ღავდგომოდი, უეჭველად ბრწყინვალე ნიქს გამოვამქლავნებდი, თუმცა ამ უნარს დღემდე ფრთები ფართოდ არ გაეშალა. მამაჩემი კი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ვერც ფილოლოგიაში და ვერც მეცნიერებაში ვერაფერს შევქმნიდი სასიკეთოს. ამას რომ თავი დავანებოთ, მამაჩემს კიდევ ჰქონდა ერთი მიზეზი, არაფერი ეთქვა იმ ღონისძიებაზე, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, 1852 წელს რომ გაატარეს უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ იპოლიტ ფორტულის დეკრეტის საფუძველზე. ეს დეკრეტი უმწვავეს პოლიტიკურ საკითხებთან გახლდათ დაკავშირებული, როგორც თავდადებული კათოლიკე, მამაჩემი იწონებდა რე-



ფორმას, ერთი შეხედვით ეკლესიის სასარგებლოდ რომ იყო მოგონილი და უნივერსიტეტს ცოტა ფრთებს აკვეცდა. მაგრამ იმპერიის მიმართ მტრულად განწყობილი უნდობლად ეკიდებოდა მტრის საჩუქარსა და აღარ იცოდა, რა ეფიქრა. მისი დუმილი ხელ-ფეხს მიბორკავდა; აღარ შემეძლო ჩვეული გზით ჩამომეყალიბებინა ჩემი თვალსაზრისი: ამელო და მამის ჭიბრზე მის საწინააღმდეგო აზრს დაედგომოდი. გული ლიტერატურისაკენ მიმიწევდა. უფრო იოლად, მოხდენილად და მახლობლად მეჩვენებოდა. თავს მხოლოდ იმიტომ ვიკატუნებდი, ურთულესი პრობლემა მაქვს-მეთქი გადასაჭრელი, რომ დიდ ვინმედ მივეჩნიე ყველას და ფონტანეზე ნაკლებ სერიოზულად არ ვჩვენებოდი. იმ ღამეს მშვიდად მეძინა. მეორე დილა კი ჟიუსტინს ვეახელ, სასადილო ოთახის დაგვაში რომ იყო გართული, კოპები შევიკარი და დიდის ამბით ვუთხარი:

— ჟიუსტინ, წელს უფროს კლასებში შევდივარ. გზის გასაყართან ვდგავარ და სერიოზული გადაწყვეტილება მაქვს ძისაღები, მთელი ჩემი შემდგომი ბედი ამ ნაბიჯზეა დამოკიდებული. წარმოგიდგენია, ჟიუსტინ, გზის გასაყართან ვდგავარ-მეთქი!

ეს სიტყვები რომ გაიგონა, ტროგლოდიტების ასული ცოცხის ტარს დაეყრდნო, როგორც მინერვა-სჯულმდებელი ეყრდნობოდა ხოლმე თავის შუბს, ჩაფიქრდა, მერე განცვიფრებული მზერა მომაპყრო და შეჰყვირა:

— დმერთო ჩემო, ნუთუ მართლა?

სიტყვა „გზის გასაყართან“ თავის სიცოცხლეში პირველად ესმოდა და მისი მნიშვნელობაც, ცხადია, არ იცოდა; მაინც არა მკითხა, რას ნიშნავსო, იფიქრა, რამე საშინელება იქნებაო. მე მგონი, „გზის გასაყარიც“ ისეთივე დიდი უბედურება ეგონა, სახელმწიფო რომ გვახვევს თავს: გამოსაღებისა და სამხედრო ბეგარის მსგავსი რამ და თუმცა მაინცდამაინც გულკეთილი არ ეთქმოდა, გულწრფელად შევებრალე, რაკი ასეთი დიდი უბედურება დამატყდა თავს.

დილის მზე სხივებსა ჰფენდა ტროგლოდიტების ასულის ცისფერ თვალებსა და ვარდისფერ ლოყებს; სახელოები აეკაპიწებინა და მისი ქათქათა, დაკაწრული მკლავები პირველად მოჰჩვენა ლამაზი. ქვეყნის ლექსები მქონდა წაკითხული და

ჟიუსტინი აპოლონის ახალგაზრდა და დიდებულ ქურუმ ქალად წარმოვიდგინე; თავიც ორქომენელი ჭაბუკი მწყემსი შეგონა, დელფოსს რომ მივიდა, რათა ეკითხა მისნისათვის, ცოდნის რა სფერო აერჩია. ექიმის სასადილო ოთახი სრულიადაც არა ჰგავდა წმიდა პითიონს, მაგრამ ქაშანურის ბუხარი, რომელზედაც ტროფონიუს იუპიტერი, იდგა, საკურთხეველს მოჰგავდა და ჩემი ფანტაზიაც, იმხანად ყველაფერს რომ ავსებდა, პუსენის პეიზაჟის მსგავს სურათს მიხატავდა თვალწინ.

— ან ფილოლოგია უნდა ავირჩიო, ან ზუსტი მეცნიერება, — ვუთხარი დიდის ამბით.

აპოლონის ქურუმმა ქალმა სამჯერ გააქნ-გადმოაქნია თავი და მითხრა:

— ჩემს ძმა სიმფორიენს ბადალი არა ჰყავს ზუსტ მეცნიერებაში. ანგარიშსა და კატეხიზმომი პრემიებიც დაიმსახურა.

შერე ისევ ხვეტა დაიწყო, გამშორდა და საქმეს უნდა მიეხედო, მითხრა.

მანც არ მოვეშვი, ვემუდარებოდი, მითხარი, ზუსტ მეცნიერებას ხომ არ გავყვე-მეთქი.

— ეგ აშბავი წამითაც კი არ გაივლოთ გულში, — მითხრა გულწრფელად, — საამისოდ ჭკუა არ მოგდევთ.

და რომ ვენუგეშებიანე, დასძინა:

— ჭკუა დიდი ღვთის წყალობაა და ყველას როდი აქვს მომადლებული.

ვიფიქრე, იქნებ მართლაც ისეთი ბრიყვი ვარ, როგორც ამ ტროგლოდიტების ასულს ჰგონია-მეთქი, მაგრამ ამაში, ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეში, დარწმუნებული არ გახლდით. სულაც არ ვაპირებდი ჭკუისათვის საზრდო მიმეცა და გონება გამეწვრთნა; გზის გასაყართან მდგარი მხოლოდ დასვენებასა და გართობაზე ვფიქრობდი და როგორც მოგახსენეთ, მერჩია ფილოლოგიას გავყოლოდი, რაკი ის უფრო იოლი და სახალისო მეჩვენებოდა. გეომეტრიული სხეულების დანახვა ცნობისმოყვარეობას არ მიღვიძებდა; ის კი არა და, მათ შემხედვარეს გულს ნადველად შემომამწყვებოდა ხოლმე. წრებახს კიდევ არა უშავდა, მაგრამ კუთხე? კონუსი? განა შემეძლო ამ მწუხარე, მშრალ, კუთხოვან, აჯაგრულ სამყაროში ტრიალი, როცა ლი-

ტერატურის კლასში იმდენი ფორმა და ფერი იყო, დროდადრო ფავნები, ნიმფები და მწყემსებიც ჩნდებოდნენ, პოეტთა საყვარელი ხეებიცა და ჩრდილიც მოჩანდა, საღამოობით მთებიდან რომ ეცემა. აბა, როგორ გამეწირა თავი და არჩევანი ზუსტ მეცნიერებაზე როგორ შემეჩერებინა?

დღეს გეომეტრია აღარა მძულს, ვგმობ ჩემს სიბრიყვესა და მოკრძალებით ვიხრი ქედს თქვენს წინაშე ბებერო თალეს, პითაგორა, რიცხვთა ზღაპრულ მოუფევე, ჰიპარქევ, პირველმა რომ სცადეთ სამყარო გაგეზომათ; თქვენც თავყანსა გცემთ, გალილეი: ბრძენკაცი იყავით, წამება გძულდათ და მაინც იტვირთეთ ტანჯვა ქეშმარიტების გულისათვის; თქვენს ბედს შევნატრი, ვიეტ, ფერმა, ჰიუგენს, ცნობისმოყვარე ლაიბნიცი, ეილერ, მონჟო და ანრი პუანკარე, თქვენი ბრძნული, გულჩათხრობილი სახე ხომ თავად ვიხილე... ო, კაცთა შორის უპირველესნო, გამირებო, ნახევრად ღმერთებო, თქვენს საკურთხეველზე მომაქვს ჩემი ურგები ქება-დიდება ვენერა ურახოსისადმი, რომელმაც თავისი უძვირფასესი ძღვენით აგავსოთ.

მაგრამ იმ შორეულ ხანაში ერთი საწყალი, პაწაწინა ვირუკა ვიყავ და ერთი სული მქონდა განუსჯელად, ქვეყნის გასაგონად მეყვირა, ფილოლოგიას ვირჩევ-მეთქი.

მახსოვს, ალგებრასა და გეომეტრიას ლანძღვა-გინებით ვიკლებდი, როცა ნათლიაჩემი დანკენი გვეწვია, ვარდისფერი და ალაქლაყებული. ჩემ წასაყვანად მოსულიყო, თავის ერთ-ერთ უსაყვარლეს გასართობზე მეპატიყებოდა.

— პიერო, — მითხრა მან, — ამ ექვსკვირიანი არდადეგების დროს უთუოდ მოიწყენდი; წამოდი ჩემთან, ბატონ ვერნიეს ლექციაზე წაგიყვან. საპაერო ბურთის მართვაზე ექნება საუბარი.

ბატონმა ვერნიემ უჩვეულო გამბედაობით ჯერ კიდევ ჭაბუკობისას გაითქვა სახელი. რამდენჯერმე აფრინდა საპაერო ბურთით და ბევრი თავყანისმცემელიც გაიჩინა. მისი ერთუზიაზმი და შეუპოვრობა ნათლიაჩემსაც ალაგზნებდა, რაკი აერონავტიკის განვითარებით ისიც დიდად იყო დაინტერესებული.

გზაში, ომნიბუსის იმპერიალზე, ჩემი ტკიბილი ნათლია

გატაცებით მელაპარაკებოდა საჰაერო ნავიგაციის მომავალზე. ცქვი არ ეპარებოდა, რომ ღირიყაბლების მართვის საკითხი ძალე გადაიჭრებოდა და მიწინასწარმეტყველებდა, შენ მოესწრები იმ დროს, როცა საჰაერო გზებით უამრავი მგზავრი ისარგებლებსო.

— მაშინ,—ამბობდა იგი,—საზღვრებიც მოიშლება, მსოფლიოს ხალხები ერთ ერთად გადაიქცევიან და ქვეყნად სამუდამო მშვიდობა დამყარდება.

ბატონ ჟოზეფ ვერნიეს მოხსენება გრენელის ვრცელი ქარხნის ერთ-ერთ დარბაზში უნდა წაეკითხა. შიგ რომ შესულიყავით, ფარდული უნდა გაგველოთ, სადაც ის აეროსტატი იდგა, რომლითაც ახალგაზრდა აერონავტი მეტად სახიფათო გაფრება განახორციელა. საჰაერო ბურთი ფარდულში ეგდო დაჩუტული და ზღაპრული ურჩხულის უსიცოცხლო ლეშს ჩამოჰგავდა. ერთ ადგილას გაფხრეწილიყო და ეს დიდი ნახევი ყველას ყურადღებას იპყრობდა. აეროსტატის ახლოს რაღაც ხრახნი ჩანდა, რომლითაც, როგორც ამბობდნენ, ვერნიე რამდენიმე წუთით თავის აეროსტატს მართავდა. მეზობელ დარბაზში შევედი, შიგ ჩამწკრივებული სკამები დაგვხვდა. ზევრი მათგანი უკვე დაეკავებინათ. აქა-იქ ქალების ქუდეებიც მოჩანდა და ყრუ გუგუნი ისმოდა. დარბაზის თავში ესტრადა აღმართულიყო. ზედ მაგიდა და ცარიელი სავარძლები იდგა. ყველაფერს ხარბად ვუმზერდი. ათი წუთის შემდეგ დარბაზში ახალგაზრდა აერონავტი შემოვიდა და დამსწრეთა ტაშის გრი-ალში ესტრადისაკენ გაემართა. თან თაყვანისმცემელთა გუნდიც ახლდა. ყმაწვილ კაცს მქრქალი სახის ფერი ჰქონდა; უწვერული იყო, გამხდარი. ნიღაბივით უმოძრაო სახე სიფერძკრთალითა და კუშტი გამომეტყველებით ნაპოლეონისას მიუგავდა. ორი მოხუცი აკადემიკოსი აქეთ-იქიდან შემოუხსნდა. ორივე საოცრად უშნო იყო და იმ პავიანებს ჰგავდა, რომელთაც ძველი ეგვიპტელები, სამგლოვიარო რიტუალებს რომ ხატავენ, ზეციერი მსაჯულის წინაშე წარმსდგარ მკვდარს მარჯვნივ და მარცხნივ ამოუყენებენ ხოლმე. ორატორის უკან რამდენიმე წარჩინებული პირი ჩამწკრივებულიყო. მათ შორის ერთი მაღალ-მაღალი, ერთობ ლამაზი, მწვანეკაბიანი ქალი გამოირჩეოდა. იმ ქალსა ჰგავდა, ნატიფ ხელოვნებათა აკადე-

1 მისი ამფითეატრში პოლ დელაროშის<sup>1</sup> ფრესკაზე ქრისტიანულ ხელოვნებას რომ განასახიერებს. გული გამალებით მიცემდა. ჟოზეფ ვერნიე ყრუ და მონოტონური ხმით ლაპარაკობდა. ეს ხმა საუცხოოდ შეეხამებოდა მის გაქვეავებულ სახეს. თავიდანვე გაგვაცნო თავისი თვალსაზრისი.

— ჰაერში საფრენად საჭიროა ორთქლის მანქანა, რომელიც ხრახნიან ძრავას აამოძრავებს, — თქვა მან, — ეს ძრავა მათემატიკურად იქნება გამოანგარიშებული ზუსტად ისევე, როგორც ტურბინის ფრთებისა და საზღვაო ხრახნის ლაპოტების მორძაობა.

შემდეგ ვერცლად ილაპარაკა აეროსტატის ფორმაზე, იგი რაც შეიძლება წაგრძელებული უნდა იყოს იმ მხარეს, საითაც მიფრინავსო.

ერთ-ერთი პავიანი თავს უკანტურებდა და ხალხს ანიშნებდა, ტაში დასცხეთო, მეორე კი თავისთვის წყნარად იჯდა.

ბოლოს ორატორმა თავისი სახიფათო გაფრენების ამბავიც გვიამბო; მოგვიყვა, ერთხელ მიწაზე დაშვებისას ღუზა გამიტყდა და გაქანებული აეროსტატი ლამის მიწას ეხლებოდა, ამსხვრევდა ხის ტოტებს, მესრებს, ღობეებს და ნამსხვრევებს შორის თავის კალათას მიახრიგინებდა ეკიპაჟიანადო. ყველა ცახცახმა აგვიტანა, როცა გვიამბო, მეორედ სარქველი არ ამოქმედდა და ბურთი იმსიმალღეს ავიდა, სადაც სუნთქვა აღარ შეიძლებოდაო; თან ბურთიც ისე ყოფილიყო გაბერილი, რომ გასკდომას ლამობდა; მაშინ ტილო ცოტაზე ჩავეჭერი, მაგრამ ბოლომდე ჩაიხა, ბურთი ტყვიასავით წამოვიდა ძირს და კისერსაც მოვიტეხდით, ბედად კალათი ტბაში რომ არ ჩავარდნილიყოო. დასასრულ გამოგვიცხადა, ხელმოწერას ვატარებ, რათა საჰაერო ნავიგაციისათვის გამოსადეგი ძრავები ავაგოო.

მქუხნარე ტაშით დააჩილღოვეს. ორივე პავიანმა ხელი ჩამოართვა. მწვანეკაბიანმა ქალმა თაიგული მიართვა. თვალეზე სიხარულის ცრემლი მომადგა და გულათანცქალებულმა მეც აერონავტი გავსდები-მეთქი, გადავწყვიტე გუნებაში.

იმ ღამეს არ იქნა და არ დამეძინა. ჟოზეფ ვერნიეს გმირობით აღფრთოვანებული წინდაწინ ვამაყობდი იმ გაფრენებით, რომელთა განხორციელებაც მეწერა. მაგრამ აეროსტატის აგება და მართვა რომ მესწავლა, საფუძვლიანი ტექნიკური

განათლება უნდა მიმეღო და მეც გადავწყვიტე, სკოლაში ზუსტ მეცნიერებას გავყოლოდი.

სისხამ დილითვე ჟიუსტინს გავუმჯღავშე ჩემი გადაწყვეტილება. ისიც ვუთხარი, ამ გზას რატომ დავადექი. მიპასუხა, ჩემი ძმა სიმფორიენიც აკეთებდა ქალაქის ბურთებს, მერე ხალვერდალზე გააჩერებდა და ჰაერში უშვებდაო. მაგრამ ამას მხოლოდ თავის "შესაქცევად სჩადიოდაო. მერე ისიცა თქვა, კაცი რომ ცოცხლად ავიდეს ცაში, სად გაგოშოილაო. ან კი მთვარეზე გაფრენა როგორ იქნება, იქ ხომ კაენი განაძევესო. ხათელ ღამეებში აქედანაც მოჩანს, ზურგზე ეკლის გუდღურა-აკიდებული როგორ დაძრწისო.

სამი დღე ხელი არ ამიღია ჩემს განზრახვაზე, მაგრამ მეოთხე დღეს ისევ მომხიბლეს ვერგილიუსის მურტებმა და ჩრდილუხვი ტყეების საიდუმლო ბილიკებმა. უარი ვთქვი ჰაერის დაპყრობაზე, დიდებასა და სახელსაც ზურგი ვაქციე და გულარხინად გავყევი გზას, ბატონ ლერონის კლასში რომ მიმიძლოდა. თან ცოტა არ იყოს, გავყოყოჩდი და ამრეზით დავუწყე ცქერა ჩემს ამხანაგებს, სხვა გზას რომ დაადგენ. ბუნებრივია, გზის გასაყართან მიღებულ არჩევანს ასეთი შედეგი უნდა მოჰყოლოდა. როგორც მოსალოდნელი იყო, როგორც კასტური წარმოდგენის ტყვეობაში მყოფ ხალხს შეეფერებოდა (ამ წარმოდგენის ტყვეობაში ხომ ყველა ვარდება, ვისაც საკუთარი ჭკუა არ გააჩნია), იმ მოწაფეებს, ვინც ლიტერატურა აირჩია და იმ მოწაფეებს, ვინც ზუსტ მეცნიერებას გაჰყვა, ერთმანეთი სძულდათ. მე ფილოლოგია ავირჩიე, ჩემი კასტის ყველა ცრურწმენით გახლდით აღჭურვილი და ზუსტი მეცნიერების მიმდევართა ზანტ გონებას აბუჩად ვიგდებდი. იქნებ მართლაც აკლდათ სინატიფე და კლასიკური განათლება, მაგრამ ჩვენ, ფილოლოგებიც კაი ბრიყვები ვიყავით.

არ ძალმიძს საკუთარი გამოცდილების საფუძველზე განვსაჯო, რა შედეგები მოიტანა მოსწავლეთა ამგვარმა დაყოფამ, რადგან ისეთი ზნისა ვარ; მიჭირს იმის ათვისება, რასაც საჯაროდ გვასწავლიან ხოლმე. მათემატიკის გაკვეთილებზედაც და ლიტერატურის გაკვეთილებზედაც უთუოდ გამომქლავნდებოდა, რომ ურჩი და დახშული გონების პატრონი ვიყავ. ის ცოტაოდენი, რაც ვისწავლე, მარტოკამ ვისწავლე.

მე ვფიქრობ, სწავლების ახალმა წესმა დააჩქარა კლასიკურ მეცნიერებათა დაცემა. ისინი უკვე აღარ პასუხობენ ინდუსტრიითა და ფინანსებით გატაცებული ბურჟუაზიული საზოგადოების მოთხოვნილებებს. ამბობდნენ, რომ როცა განათლების მინისტრი 1852 წელს რეფორმას ახდენდა, შეეცადა გადაეხალისებინა საუნივერსიტეტო სწავლება, რადგან მაღალ წრეებში მიაჩნდათ, სწავლების ძველებური სისტემა საზოგადოებრიობას საფრთხეს უქადისო. მინისტრმაც სასკოლო პროგრამიდან ყოველივე კეთილშობილური და ამაღლებული ამოიღო და კადხიერად გაიძახოდა: „ისტორიული და ფილოსოფიური დისკუსიები სულ არ შეჭფერის ყმაწვილთა გონებას. ეს ნაადრევი ძიებანი ყმაწვილებს მხოლოდ პატივმოყვარეობასა და ეჭვებს აღუძრავთ!“ ცხადია, ასე არ უნდა მსჯელობდეს ადმზრდელი, თუკი შართლაც ესწრაფვის გააღვიძოს ყმაწვილის გონება. ფორტული იმასაც იქადდა, მშვიდობისმოყვარე თაობებს აღვზრდიო და გადაწყვეტილი ჰქონდა, ლიბერალური მონარქიის წლებში გაზრდილ ბურჟუათა შვილებისათვის იმ საქმიანი ცხოვრების შესაფერისი განათლება მიეცა, რომელიც მომავალში ელოდათ. იმხანად ბურჟუაზიული სულისკვეთებით განმსკვალულმა ერთმა პროფესორმა, ივლისის მონარქიის ერთგული რომ დარჩა, ეს მიზანსწრაფვა საკმაოდ კარგად გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენს შვილებს სწავლულებად ყოფნა არ უწერიათ. ჩვენ არ გვსურს პოეტებად, ლიტერატორებად ვაქციოთ ისინი. პოეზია და ლიტერატურა არასანდო დარგებია; ჩვენ არ გვსურს, ჩვენი შვილები ადვოკატები გახდნენ; ადვოკატები ისედაც ბლომად გვყავს. ჩვენ გვინდა, ისინი კარგი კომერსანტები, კარგი სოფლის მეურნეები გამოვიდნენ. საზოგადოებას ძირითადად ეს ხალხი შეადგენს და ჩვენს შვილებსაც რაში სჭირდებათ ბერძნული და ლათინური, ნიადაგ რომ ზუთხავენ, ზუთხავენ და მყისვე ავიწყდებათ? ყველას არ ძალუძს წერა, ვეჭილობა, სწავლება. უმეტესობას არ უწერია სწავლულად ყოფნა. რას აკეთებენ თქვენი კოლეგები ამ უმეტესობისათვის? არაფერს, ან უკეთ, არაფერს სასიკეთოს“.

არ შეიძლება ყოველ ცოტად თუ ბევრად კეთილშობილ სულში ამ მდაბალმა და უხეშმა სიტყვებმა ზიზღი არ გამოიწ-

ვიოს. მეც მხოლოდ იმიტომ მოგახსენეთ, რომ გუნებაგანწყობილება, რამაც იმ პროფესორს ეს ათქმევინა, ისევ ცოცხლობს. საშუალო განათლების საქმე უკან-უკან წავიდა ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე და დაღუპვა არ ასცდება. ჩვენს საზოგადოებას უკვე აღარ შეჰფერის, რომ გლეხის შვილმა დაწყებით სკოლაში იაროს, მდიდრის ბავშვი კი სპეციალურ ლიცეუმში დაიარებოდეს, სადაც, კაცმა რომ თქვას, ბევრს არც არაფერს სწავლობს ხოლმე. ამ ჯოჯოხეთური ომის შემდეგ, ხუთ წელიწადში ყველა დაწესებულება რომ დააძაბუნა, ხელახლა უნდა ავაგოთ სახალხო განათლების დიდებული და სადა შენობა ახალი გეგმის შესაბამისად. მდიდართა და ღარიბთა შვილები ერთად უნდა სწავლობდნენ. ყველამ დაწყებით სკოლაში უნდა იაროს. ისინი, ვინც მეტ ნიჭსა და უნარს გამოიჩენს, საშუალო სკოლაშიაც შევლენ. სწავლება აქ უფასო იქნება. სკოლის მერხზე ერთად ისხდებიან ბურჟუაზიული ახალგაზრდობისა და პროლეტარული ახალგაზრდობის რჩეული წარმომადგენლები. ეს ელიტა მეცნიერებისა და ხელოვნების უმაღლეს სასწავლებლებში საუკეთესოებს გაგზავნის. ამგვარად, დემოკრატიას რჩეულთა შორის რჩეულები ჩაუდგებიან სათავეში.

მაგრამ კვლავ ჩემი ბავშვობის საარაკო წლებს დავუბრუნდები და გეტყვით, რომ ალლო, რომელიც ლიტერატურის შესწავლისაკენ მიბიძგებდა, მთლად როდი მატყუებდა. ამ საზარელ სასწავლებელში რომი და საბერძნეთი მხსნელად მოქმედებდნენ, საბერძნეთი, ადამის ძენი მეცნიერებასა და ხელოვნებას რომ აზიარა და რომი, რომელმაც სამყაროს მშვიდობა მოუტანა.

## VII

### მურონ-საპონელა, ჩიტავის კარმი<sup>1</sup>

ჩემს პატარა ბიჭობაში, ყოველი წლის 28 იანვარს, კარლოს დიდის დღესასწაულის დღეს\* მოსწავლეები, რომლებიც რაიმე საგანში პირველ ადგილს დაიკავებდნენ, საზეიმო ბანკეტზე

<sup>1</sup> სიტყვა „მორუნი“ (Mouron) ფრანგულად საპონელას ნიშნავს (შთარგმნ. შენიშვნა).



იკრიბებოდნენ ხოლმე. მესამე კლასის მოსწავლეს ძალზე ცოტა იძედი შქონდა იმისა, რომ ამ მეფურ წვეულებაზე მეც მოვხვდებოდი. პირველ მოწათედ არასოდეს ვითვლებოდი და იმაზედაც მადლობელი ვიყავ, რომ მთლად კუდშიც არ მივჩანხალებდი. ეს იმის ბრალი კი არ გახლდათ, რომ ვზარმაცობდი; სხვებზე მეტს თუ არა, ნაკლებს არ ვმუშაობდი, მაგრამ რაც უფრო მეტს ვცდილობდი, პირველ რიგებს მით უფრო ვშორდებოდი. მიზეზი ამისა ის იყო, რომ გაკვეთილების სწავლით თავს არ ვიტკიებდი და სულ სხვა საგნებით ვიყავ გატაცებული. აქვებში კი იმდენ ენერგიასა ვხარჯავდი, რომ სხვა რამისად ძალა აღარ შემწვევდა. ჩემი დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობა ხან ერთ საგანს ამოიჩემებდა, ხან მეორესა და მათ შესწავლას ვწირავდი მთელ სულსა და გონებას. იმ წელს, სწავლის დაწყების პირველი სამი კვირის განმავლობაში დედოფალმა ნიტოკრიდამ\* დამატყვევა. მხოლოდ მასზე ვფიქრობდი, მხოლოდ მას ვხედავდი, მხოლოდ მისით ვსულდგმულობდი. პროგრამით გათვალისწინებული მასალა: ფრანგულიდან უცხო ენაზე და უცხო ენიდან ფრანგულად თარგმნა, მოკლე შინაარსები, ეზოპეს იგავ-არაკები, კორნელიუს ნეპოტუსის „ცხოვრებათა აღწერა“\*, პუნიკური ომები ვილას ახსოვდა. გული აღარაფერზე მიმდიოდა, რაც დედოფალ ნიტოკრიდას\* არ შეეხებოდა. სიყვარულს არავის გული არ დაუპყრია აგრე ძალუმად. მაგრამ ამ გრძნობასაც აღსასრული დაუდგა (რადგან მარადიული არაფერია) და მას შემდეგ, რაც ერთ მშვენიერ დღეს დედამ ფითრიანი ტოტი მომცა და მითხრა, დრუიდებს\* ფითრი წმიდა მცენარედ მიაჩნდათო, რამდენიმე კვირის განმავლობაში სულ უღრანი ტყეები, სპეტაკ სამოსელში გამოწყობილი ქურუმი ქალები, ოქროს ნამგლები და ფითრიანი კალათები მელანდებოდა. მერე არისტოსის ფუტკრებმა და ჰესპერიდების ოქროს ვაშლებმა გამიტაცეს; ამგვარი რამეებით ისე ვიყავ გართული, რომ მთლად ბრიყვი ვჩანდი და ცხადია, ჩემი მასწავლებელი— ბატონი ბოსიეც მემდუროდა. ბატონი ბოსიე სამართლიანი კაცი იყო, სერიოზული და ცოტა პირქუშიც; რამდენადაც მახსოვს, ხათელი, მაგრამ ცოტა შეზღუდული გონება ჰქონდა. მკაცრად შექცეოდა, სულ არ ვებრალეობდი, რადგან სულის სიღრმეში წამხდარ და გაფუჭებულ ყმაწვილად მთვლიდა. გამოგიტყდეთ-

ბით და, ჩემი მკერეტელობითი ბუნების მიუხედავად, ერთი ზნე მჭირდა, რომელიც მოგვიანებით მთლად გამიქარწყლდა. დიდების მოყვარული გახლდით. დიახ, თუმცა დიდი საზრია-ხოზა არ მეთქმოდა, ვერაფრით შევედრებოდი წარჩინებულ მოწაფეებს და ბატონმა ბოსიემაც ამითვალწუნა, მინდოდა პირველობისათვის მიმეღწია სწავლაში და ანტიკური გმირების დარად დაფნის გვირგვინით შემემკო შუბლი. დიახ, დიდება მიყვარდა! სკოლაში ცოტა რამ მაინც შევითვისე და ერთნაირად აღტაცებული ვიყავ სალამინის ბრძოლაში\* გამარჯვებულებითა და ჩემი შუბლდადაფნული ტოლებით. დიდება მიყვარდა. ნაპოლეონ III-ის დროინდელი სკოლის რეჟიმის ტყვეობაში მყოფი მწვანე ქალაღის გვირგვინზე ვოცნებობდი, როგორც ჩინ-მედლებზე და მოსირმულ ტანსაცმელზე ვიოცნებებდი, ცუდად რომ არ წამსვლოდა საქმე. დიახ, დიდება მიყვარდა და მშურდა ჩემი სახელოვანი თანატოლებისა.

განსაკუთრებით სამისა მეზარბებოდა. სამივე დინჯი, სერიოზული და მედიდური იყო. შეიძლება ცოტა უგერგილობაც სჭირდათ, მაგრამ დარბაისლობა და სიმტკიცე არ აკლდათ; მთელ დაფნის გვირგვინებს ისინი იმკიდნენ და მუდამ პირველ ადგილებს იკავებდნენ. რადელზე, ლაპერლიერსა და მორისეზე მოგახსენებთ. სამივე პანსიონერი იყო, ინტერნატს თითქმის სამხედრო ყაიდაზე გაეწვრთნა მათი გონება და როგორც სამხედროებს სძულთ სამოქალაქონი, ისე ეჯავრებოდათ ჩემისთანა ექსტერნები. ისინი თავიანთი ამქრის წევრებად არ მიაჩხდათ. კასტური სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულნი, მეკი ამ გრძნობის ნატამალიც არ მედო გულში და ჩემდა ჭირად ვერც ვერასოდეს შევეგუე. დასვენებებზეცა და გაკვეთილებზედაც პირველობდნენ და ათურმასა და სირბილშიაც ისევე გეჯობნიდნენ, როგორც ბერძნულად თარგმანსა და ლათინურ სიტყვიერებაში. ასეთი მრავალმხრივი ნიჭი უფრო მათეებდა, ვიდრე მხიბლავდა; მათდამი აღტაცებას უფრო მეტს ვგრძნობდი, ვიდრე სიყვარულს.

ყოველ კვირას, შაბათ საღამოს, როცა გვიცხადებდა, ვერა ადგილი დაიჭირა უცხო ენაზე ან უცხო ენიდან თარგმანში, ლათინურ თხზულებასა. თუ შინაარსის გადმოცემაში, ბატონი ბოსიე აღიარებდა, გულდასმით რომ ვამოწმებ ამ სამი სანიმუ-

შო მოსწავლის ნაწერს, ყოველთვის მიჭირს იმის დადგენა, რომელი მათგანის ნაშრომი სჯობიაო. მისთვის რომ გეკითხათ, რადელი, ლაპერლიერი და მორისე ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, რომ რადელი უფრო მარჯვე გამოთქმებს არჩევდა, ლაპერლიერი უფრო მოხდენილად წერდა, მორისე კი უფრო ლაკონიური იყო. ლაკონიურობა, ბატონ ბოსიეს აზრით, იქნებ მორისეს უმთავრესი ღირსებაც გახლდათ. რაკი კლასში რაც ითქმოდა და კეთდებოდა, ყურს არ ვუგდებდი, მასწავლებლის მითითებებს არად ვაგდებდი და ელემენტარული წესებიც კი არ ვიცოდი, ჩემი თხზულებები ვერ დაიტრაბახებდნენ ვერც სიზუსტით, ვერც მოხდენილობითა და ვერც ლაკონიურობით. ყველაფერი, რაც ხელიდან გამომდიოდა, სავსე იყო სოლეციზმებითა და ბარბარისმებით, შეცდომებითა და წინააღმდეგობებით. ჩემი ნაწერის დანახვაზე ბატონი ბოსიე ერთბაშად მოიღუშებოდა ხოლმე; მისი სახეც მწარე საყვედურს გამოხატავდა. წვრილი ტუჩები მწუხარებით მოედრიცებოდა, როცა მათახავდა, ნაწერი შეცდომებით აჭრელებული გაქვსო და მსაყვედურობდა, გემოვნება ასე რამ წაგიხდინაო. ჩემი ცუდი გემოვნება პირდაპირ სასოწარკვეთილებაში აგდებდა, სულ ამას მსაყვედრიდა ხოლმე და ეს ამბავი მით უფრო სამძიმო იყო ჩემთვის, რომ არ ვიცოდი, გემოვნება როგორ გამოემსწორობინა. დღეს, ამდენი წლის შემდეგაც კი არ ვიცი, რად თვლიდა ბატონი ბოსიე ჩემს გემოვნებას ასე უხეიროდ. მაგრამ რომ მიწუნებდა, ცხადზე ცხადი იყო; ზედვე შეატყობდით, როცა ცალი თითით ჩემს ნაწერს ფურცლავდა და ავის მომასწავებლად ქირქილებდა. მე კი ვიტანჯებოდი და ქირის ოფლში ვცურავდი, ასე აბუჩად რომ მიგდებდა. ვგრძნობდი, სამუდამოდ უარი უნდა მეთქვა დიდებაზე და თავი ბედნიერად ჩამეთვალა, რომ მთლად კულში არ მივიჩნაჩალებდი. ერთი რამ, ცოტა არ იყოს, შვებას მანიჭებდა. ბოლო სამ ადგილზე არასოდეს გამოვსულვარ. ეს შეუძლებელიც იყო. ეს ადგილები მორლოს, ლაბორიეტსა და შაზალს სამუდამოდ დაეკავებინათ. რა დავალებაც უნდა მოეცათ, რა საგანშიაც უნდა გამოვეცადეთ, ზუსტ მეცნიერებასა თუ ფიტერატურაში, ცოცხალ თუ მკვდარ ენებში, მორლო, ლაბორიეტი და შაზალი მუდამ უკანასკნელები იყვნენ. ეს ამბავი ყოველ კვირას მეორ-

დებოდა და ისევე ურყევი ჩანდა, როგორც ის კანონები, მნათობთა მოძრაობას რომ განაგებს და წელიწადის დროთა ცვლას განაპირობებს. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ბოლოდან მეორე ხან ლაბორიეტი გამოდიოდა და ხან—მორლო. უკანასკნელი კი მუდამ "შაზალი გახლდათ. პირდაპირ აღტაცებაში მოვდიოდით, ეს ბოლო ადგილი ხელთ ისე მტკიცედ ეპყრა. ბატონ ბოსიესაც რაღა ეთქმოდა ამ ფაქტზე, ასეთის კმასაყოფელი და უზადო სიზუსტით რომ მეორდებოდა; ისიც ქედს იხრიდა აუცილებლობის, ამ ადამიანთა და ღმერთთა-განმგებლის წინაშე და როცა ნიშნების სიას კითხულობდა, ბოლო ადგილებზე გამოსულ მორლოს, ლაბორიეტისა და შაზალის გვარებს ისე ჩაძოთვლიდა, რომ ზედ ახსა-განმარტებას აღარ ურთავდა. მოკლედ, რაც უნდა ცუდად წამსვლოდა საქმე, მორლო, ლაბორიეტი და შაზელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუდამ ზურგს ძიმაგრებდნენ ხოლმე. ეს დიდი ნუგეში იყო ჩემთვის და რაც დრო გადიოდა, მით უფრო მჭირდებოდა. ყოველ ცისმარე დღეს უკან ვრჩებოდი, რაღაც იდუმალი და ბოროტი ძალა უკანასკნელი რიგებისაკენ მეზიდებოდა. როგორ დამემალა ეს ჩემი თავისათვის, როცა ბატონი ბოსიე ამ ამბავს ისეთი სიხარულით ხვდებოდა, როგორც შეშენის პირუთვნელ კაცს, სამართლიანობის მკაცრ განაჩენს მუდამ ტაშის კვრით რომ ეგებება. დედაჩემს ეს ჩემი ჩამორჩენა გულს უკლავდა, ხშირად ჩიოდა სადილობისას და მისი საყვედურებისაგან გამწარებულს ლუქმა ყელში აღარ გადამდიოდა. მამაჩემი არას ამბობდა, მაგრამ სულ ყვედრებით მიცქერდა. თვით კეთილ ქრისტიანსაც კი ყოველგვარი პატივისცემა დაეკარგა თავის პატარა ბატონისადმი. მისაბამ მაგალითად თავის ძმა სიმფორიენს მისახავდა, ჯერ თითისტოლაა, მაგრამ სამრევლო სკოლაში ყველა პრემიას ისაკუთრებსო. დღითი დღე უკან რომ მივდიოდი, ეს ამბავი მეც ძალიანა მწყინდა. მაგრამ აზრად არ მოძდიოდა ყველაფერი იმისათვის დამებრალებინა, რომ კლასში უგულისყუროდ ვიჯექ და მასწავლებლის ნათქვამს ყურს არ გუგდებდი. საქმეც სულ უფრო და უფრო ცუდად მიმდიოდა. დეკემბრის ერთ შაბათ დღეს ბერძნულ თარგმანში პირდაპირ მორლოს, ლაბორიეტისა და შაზალის წინ აღმოვჩნდი (უკვდავო მუზებო, უბიწო დებო, ჰოი, მნემოსინე\*, ამ სამარ-

ცხვინო მოგონებით გულს ნულა მიწყლავთ!). დიახ, მორლოსა და მურონს შუა მოვექეცი; მორლო როგორღაც უკან ჩამოვიტოვე, მურონმა კი, საძაგელმა მურონმა, ჩემდა გასაოცრად რაღაც განგების ძალით მაჯობა. ეს მურონი ჭირის დღესავით მძულდა. უკ მურონს, პაწია მურონს, მურონ-საპონელას, ჩიტების კერძს ვეძახდით, რადგან ხუმრობა გვიყვარდა. იგი უზომოდ ბრიყვი მეგონა და ბოლოს გაიგებთ, მართალი ვიყავი თუ არა. შორლოზე, ლაბორიეტსა და შაზალზე გონებაშეზღუდულადაც კი მიმაჩნდა. შაზალი ერთი ტლუ ბიჭი იყო და ხანდახან გვაოცებდა და გვამხიარულებდა თავისი გულუბრყვილობით; მყვირალა, შმაგი და ველური ლაბორიეტი დასაბმელ გიყსა ჰგავდა; მორლოს სულ ეძინა, გრძელი, ხვერდოვანი წამწამები ჰქონდა და არაბული ზღაპრების მოჯადოებულ უფლისწულს შოჰგავდა. სამივე რაღაცით მაინც დაგაინტერესებდათ. მურონი კი, ჩემთვის რომ გეკითხათ, არაფრით იყო საინტერესო და, მგონი, კლასში ყველა ასე ფიქრობდა. გამხდარი, სუსტი და გალეული მურონი სულ მუდამ ავადმყოფობდა და ბევრი გააცდინა. ხშირმა ავადმყოფობამ სწავლაშიაც შეუშალა ხელი და ძალიან ჩამორჩა. ზანტი გონება ჰქონდა, მეხსიერებაც წამდაუწყუმ ღალატობდა; მისი მიამიტობა ხომ მისი გონების ყოველ ნაკლს კიდევ უფრო საცნაურს ხდიდა. ჩვენც გონჯი გვეგონა, რაკი პატარა და სუსტი იყო, ბრიყვად მიგვაჩნდა, რაკი შორცხვი იყო, გვეზიზღებოდა, რაკი უწყინარი გახლდათ. თუმცა მურონის ხასიათში იყო რაღაც საიდუმლოებით მოცული და იდუმალი, რასაც უნდა დავეფიქრებინეთ და ჩვენი გახაჩენიც შეეცვალა, მაგრამ სულსწრაფები ვიყავით, ჩვენი სიბრიყვეც განსჯის უნარს გვართმევდა და მურონის დაცინვა და წვალება ჩვეულებად გვექცა. მურონს მეც აბუჩად ვიგდებდი, რადგან იმხანად ფეხის ხმას ვიყავ აყოლილი და ჩვეულებას ბრმად ვცემდი თავყანს. ეს ზნე რომ არ მომეშალა, თავი მომძულდებოდა, მაგრამ საზოგადოებაში კი წარმატებას მივალწევდი. მურონი მეზიზღებოდა, ამრეზით ვუცქერდი და ვცდილობდი, ყოველნაირად დამემციოებინა და გამეშავებინა; სხვებზე უფრო ბრიყვეულად ვექცეოდი და სხვებზე უფრო დამნაშავეც ვიყავი, რადგან გულის სიღრმეში მურონი ისე არ მძულდა, როგორც ჩემს ამხანაგებსა და მასწავლებლებს. მაგ-

რამ გულწრფელად ვფიქრობდი, რომ მურონი ჩემზე ბევრად უფრო უარესი იყო; ბეჩაე, უბადრუკ არსებად მიმაჩნდა, სრულ არარაობად, ამიტომაც იყო ზიზღით რომ ვექცეოდი და მასხრად ვიგდებდი.

ბატონი ბოსიე, გიმეორებთ და ამას ჩემზე უკეთ მისი საქციელი მოწმობს, მეტად სამართლიანი კაცი იყო. მისი თეძიდა შეიძლება გულთამხილველი და მოწყალე არ ყოფილა, მაგრამ სასწორის პინები მუდამ თანაბრად ეჭირა ხოლმე. უცხაური შემთხვევა, რომელიც ახლა უნდა გაიმბოთ, ამტკიცებს, რომ ბატონი ბოსიე სიძულვილისა და სიყვარულის გარეშე სჯიდა და ზოგჯერ საკუთარი განაჩენი თავადაც გულსა სტკენდა. აი, რა მოხდა: ერთ შაბათს, უცნაურ შაბათ დღეს, ბატონმა ბოსიემ გამოგვიცხადა, რომ ლათინურიდან თარგმანში ყველას ბე ვაჯობე. ეს ნაღვლიანადა და უხალისოდ აღიარა. გვაგრძნობინა, მათად სავალალო, სამწუხარო და უმსგავსი რამ მოხდაო. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ხმამაღლა, მთელი კლასის გასაგონად გამოაცხადა, ყველას პიერ ნოზიერმა გაჯობათო და თუმცა გული ეთანაღრებოდა, პირველი ადგილი თვითონვე ძომაკუთვხა. თარგმანი თურმე ძნელი ყოფილა. ყველაზე მოხერხებულებმაც კი ბევრ ადგილას კისერი წაიმტვრიეს. ბევრს კი ცდილან, მაგრამ თავი ვეღარ გაურთმევიათ. მე კი ჩემმა დაბნეულობამ მიშველა. არაფერზე არ მიფიქრია და რაკი სიძხელები ვერ შევნიშნე, ადვილად დავძლიე. სხვისა არ ვიცი და, ბატონმა ბოსიემ სწორედ ასეთი ახსნა მოუძებნა ამ უცნაურ შოვლენას. მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, პირველობაში ვერავინ შემეცილებოდა; რადელს, ლაპერლიერსა და მორიესს ამ ერთხელ მაინც ვაჯობე.

პირველი ვიყავი. მიყვარდა დიდება, მაგრამ დიდებისათვის გაჩენილი არ ვყოფილვარ. დიდება ვერ შევიფერე. მისი პირველი სხივი, ასე მოულოდნელად რომ მომხვდა, თავში ამივარდა და ყოყოჩობა დამჩემდა. გონთ მთლად დამიბნელდა და ჩემი პირველობა ბუნებრივად მივიჩინე, თუმცა ერთხელ და ისიც შემთხვევით გამიღიმა ბედმა. თავში უეცრად ერთი ახრი მომივიდა და გული სიხარულითა და სიამაყით ამეკსო. წარმოვიდგინე, რომ კარლოს დიდის ნაღიმზე მიმიწვევდნენ და იქ დიდთა და ძლიერთა შორის მეც მოვლხენდი, მარტო

ჩემი, მესამე კლასის მოსწავლეებთან კი არა, უფროსი, რიტორიკისა და უმაღლესი მათემატიკის კლასების უძლიერეს მოწაფეებთან. რა სახელს გავითქვამდი! პოი, ნეტარება! კარლოს დიდის ბანკეტზე მოხვედრა მარტო სანაქებო კი არ იყო, იქ ძოღებნაც ზღაპრული გველოდა. ერთმა უფროსკლასელმა შიამბო, კრემებსა და ნაყინს ჩამოარიგებენ და შამპანიურს ბროლის ჭიქებით სვამენო.

მოკლედ, იმ ზომამდე გავყოყნობდი, რომ სასაცილო შევიქნენ და მორალურად მორლოზე, ლაბორიეტსა და შაზალზე უარესიც გავხდი. მურონმა, პაწია მურონმა რვეულში ჩუქურთმების ხატვას თავი ანება, ჩემკენ შემობრუნდა, ფერმკრთალი ბაგე გააპო, ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა და დამცინავი და თან კეთილი ღიმილით გამიღიმა; თავი ისე დავიჭირე, თითქოს ბუზიც არ ამფრენოდეს. აბა, ასეთ უბადრუკ ვინმეს თავს ზომ არ გავუყადრებდი და ჩემს მეზობელ ნუფლარს ჩავჩურჩულე: — დიდი შტერი ვინმეა ეგ მურონი!

ზარი რომ დაირეკა, კლასიდან გამოსვლისას შევეცადე, ჩემი ამ ერთხელ დამარცხებული, მაგრამ მაინც გოროზი და საშიში მეტოქეების: რადელის, ლაპერლიერისა და მორისეს მგლური ნაბიჯებისათვის მიმებაძა.

სამწუხაროდ, მეტი გამარჯვება წილად არ მრგებია. შემდეგ კვირას ბატონმა ბოსიემ კმაყოფილებით ამცნო კლასს ჩემი დამარცხების ამბავი. თარგმანში იმდენი შეცდომა მქონდა, იმდენი სოლაციზმი და ბარბარიზმი გამპარვოდა, რომ უეცრად კვლავ მაჩანჩალათა რიგში აღმოვჩნდი, მორლოს, ლაბორიეტისა და შაზალის სიახლოვეს. ეს სამი იმით მაინც მჯობნიდა, რომ მტკიცედ იდგნენ თავიანთ ადგილზე და ფეხს წამითაც კი არ იცვლიდნენ. მე მათ სიმტკიცეს ვინ მომაშავებდა. ჩემდა საუბედუროდ, ეს პირველი ადგილი, მხოლოდ ერთხელ რომ მოვიპოვე, უფრო საცნაურს ხდიდა ჩემს უნიჭობას და კიდევ უფრო მიბღალავდა სახელს. მაგრამ კარლოს დიდის ბანკეტზე წასვლა მაინც განადღებულნი მქონდა.

თანდათან სულ უფრო და უფრო დიდებულად მესახებოდა ეს ბანკეტი. იმას როდი ვამბობ, უკვდავი ღმერთების ნადიმის მსგავსად წარმომედგინა-მეთქი, რაფაელმა რომ დახატა ფარნეზეს\* კერზე. საამისოდ საკმაო საბუთი მქონდა და მათი ჩა-

მოთვლა ზედმეტად მიმაჩნია. მაგრამ ამ ბანკეტს გუნებაში ისეთი ბრწყინვალეებითა და ფუფუნებით ვამკობდი, რომლის წარმოდგენაც კი ჩემს ყმაწვილურ და სუსტ, მაგრამ უკვე ცხოველ ფანტაზიას ძალუძდა. სულ ამ ნადიმზე ვფიქრობდი, სულ მასზე ვლაპარაკობდი, მაგრამ მამაჩემთან ხმის ამოდებას ვერ ვბედავდი, მეშინოდა, ვაითუ აბუჩად ამიგდოს-მეთქი. დედაჩემთანაც კრინტს ვერა ვძრავდი, რადგან ერთხელ მითხრა, შენ მაგ ნადიმზე ჯდომის ღირსი არა ხარ, პირველი ადგილი მხოლოდ ერთხელ და ისიც შემთხვევით დაიჭირეო. ჟიუსტინს კი ყურები გამოვუქუქე და ერთხელ, როცა სამზარეულოში ფაცხაფუცხით წვაედა კარტოფილს, ისიც კი ვუთხარ, კარლოს დიდის ნადიმზე კუდგაშლილი ფარშევანგები მოაქვთ და რქიან ირმებსა და ტყავგაუხდელ ტახებსაც მოგვართმევენ-მეთქი. ეს მთლად ჩემი გამონაგონი როდი გახლდათ. ამ კულინარიული სასწაულების ამბავი ძველებურ ზღაპრების წიგნში ამოვიკითხე და დარწმუნებული ვიყავი, რომ 28 იანვარსაც ასე გაგვიმასპინძლებოდნენ. მაგრამ ჟიუსტინი არ მისმენდა და ისეთი საშინელი ხმაურით ურევდა მაყალს, რომ სავარძელში მჯდარ მამაჩემსაც აკრთობდა სახლის მეორე ბოლოში.

ამასობაში მურონი, პაწია მურონი, მშვიდი და მოკრძალებული, მუდამ მორცხვი და ცოტა არ იყოს ზანტი გონების ბიჭი, ყოველ კვირას ახალ და ახალ წარმატებებს აღწევდა; ერთ დღეს თანაკლასელებისა და თვით ბატონ ბოსიეს გასაოცრად, მორისესაც კი გაუსწრო და ლაპერლიერის მომდევნო ადგილი დაიჭირა. ეს გამარჯვება უფრო დიდი და მაღალი წარმატების საწინდარი იყო. იანვრის მეორე კვირას მურონმა ბერძნულ თარგმანში პირველი ადგილი დაიკავა. იოტას ხმარების წესს უკეთ აუღო ალღო, ვიდრე ლაპერლიერმა და რადელმა და მი-ანი ზმნების უკეთესი ცოდნა გამოამჟღავნა, ვიდრე თვით მორისემ. მურონის წარმატებას მთელი კლასი მხიარული ჟივილ-ხივილით შეხვდა. პატარა ჩიტუნების გალობას ბაძავდნენ იმის საპატივცემულოდ, ვინც მათი საყვარელი მცენარის სახელს ატარებდა; ამ ტყის სიმღერამ, მი-ანი ზმნების გმირს რომ განადიდებდა, თვით ბატონ ბოსიესაც კი ღიმილი მოჰგვარა, ტუჩები ისე აზიდა, რომ ბებერ ფავნს დაემგვანა. ამბობენ, თოვლით დაფარულ შტოებზე შემომსხდარმა



ბელურებმაც თავიანთი ხმა მათი მიმბაძველების ხმას შეუერთესო. მე კი, ჩემდა თავად, გამოგიტყდებით და, იმის გაფიქრებაზე, რომ კარლოს დიდის ნადიმის დროს მურონს გვერდით მომისვამდნენ, გუნება გამიფუჭდა. მურონთან გაყოფილი დიდება აღარ მემამაყებოდა, ნადიმის დღესაც გულისფანქალით აღარ ველოდი, რაკი იმ სუფრაზე ჯდომა, სადაც მურონსაც მოიწვევდნენ, დიდ პატივად აღარ მიმაჩნდა. ამას გულწრფელად ვაღიარებ და ჟან-ჟაკ რუსოსავით გეკითხებით, თუ მოიძეება თქვენში ისეთი კაცი, ვინც დაიჩემებს, მე უკეთესი ვარო. ამ დღეს, როცა ასეთი გულნამცეცობა გამოვიჩინე, სხვა, უფრო დიდი უბედურებაც დამატყდა თავს. ბატონმა ბოსიემ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ჩემს უვიცობას აორისტის ხმარებაში საზღვარი არა ჰქონდა და თარგმანშიაც იმდენი 'ხეცდომა დავუშვი, რომ მორლოს, ლაბორიეტსა და შაზალს ბევრად არ ჩამოვრჩენილვარ.

შინ ძალზე უგუნებოდ დავბრუნდი და მაშინვე სამხარეულოს მივაშურე. ჟიუსტინი უზარმაზარი დანით სტაფილოს ფხეკდა. შიშველი ხელები სულ ნაკაწრებითა და ნაიარევებით ჰქონდა აკრელებული. მისი ლოყები სიწითლით მუგუზლებს არ ჩამოუვარდებოდა. ვუთხარი, კარლოს დიდის ნადიმზე მარტო უვიცებს, ყეყჩებსა და შტერებს იწვევენ და იქ არც ფარშავანები მოაქვთ, არც ირმები და არც გარეული ტახები, მარტო ვირთევზასა და ლობიოს ჩამოგვირიგებენ-მეთქი. მერე იმის მტკიცებაც დავუწყე, მურონ-საპონელა ჩიტების კერძს თავში ტვინის ნაცვლად ბზე უყრია-მეთქი. ჟიუსტინმა ქვაბს სახურავი ახადა და რაკი თვალები მდუღარე ორთქლმა დაუბრძავა, თაროზე შემოდგმულ მარილს რომ დასტაცა ხელი, თავზე მთელი ბოთლი ზეთი გადაისხა, მაგიდას წამოედო, ლამპა გადმოადგო და თვითონაც იატაკზე მოადინა ბრავგანი. ამგვარი უბედურება თავს ხშირად დასტყდომია, ამიტომ ნირიც არ შეიცვალა, მაგრამ განა ასეთ მარცხიან ქალთან სერიოზული საუბარი შეიძლებოდა?

კარლოს დიდის დღესასწაული წვიმიანი და მოლუშული გათენდა. ბანკეტი კოლეჯის სასადილოში იმართებოდა, სადაც არასოდეს დამედგა ფეხი. ოლონდ კარს წინ რომ ჩავუვლიდი, საშინელი ჭონას სუნი მცემდა და გულს მირევდა. ჟიუსტინი

მეუბნებოდა, დიდი აზიზი გულის პატრონი ხარო. დარბაზში შავი მარმარილოს მაგიდები ჩაერიგებინათ, კედლები უბრალო, ქყეტელა ქაღალდის ყვავილწუნულებით მოერთოთ და სასადილო ყაზარმასა თუ ტაძრის სალაროს მოჰგავდა. მაგიდებზე სუფრები არ ეფარა; ხელსახოცები ჩიტებივით გაეკეცათ და თეფშებზე ისე დაელაგებინათ. ამ თეთრმა აჩრდილებმა ისე მომხიბლეს, თითქოს ოცნებაში აფროდიტეს მტრედები\* ამფრეხოდეს. ლაპერლიერისა და მურონის შუაში ჩამსვეს. მარცხნივ ლაპერლიერი მეჯდა, მარჯვნივ — სუფრის ბოლოში მოქცეული მურონი. იქვე ესტრადა აღემართათ, რომელზედაც ჩვენი შოშიმარი დირექტორი, ღირსი აბატი დელალობი ბრწყინავდა შაოსან მასწავლებელთა კრებულში. მე მურონი მძაგდა, ლაპერლიერს კი მე ვძულდი. ერთმანეთისათვის სიტყვაც კი არ გვითქვამს. ლაპერლიერს რადელთან მაინც შეეძლო ესაუბრა, მარჯვნივ რომ უჯდა, ჩვენ კი, მურონსა და მე სხვა გზა არ გვქონდა და ორივე ვდუმდით. არც ფარშავანგები შოუტანიათ, არც ქორბუდა ირმები და არც გარეული ტახები. ლოდინით გული რომ გაგვიწყალდა, მერე მარტო ბოლოკი და ძეხვი ჩამოგვირიგეს. მასწავლებელთა დასს გავცქეროდი. მათ შორის ბატონი ბოსიეც ერია. ვიცანი მისი მოღრეცილი ტუჩები, შექალაქებულნი ქილვაშები, სუფთად გაპარსული ხიკაპი. აქ ნაკლებ თვითდაჯერებული ჩანდა, ვიდრე გაკვეთილზე. გულზე ხელსახოცი აიფარა და ჭამას შეუდგა. ამ ამბავმა ძალიან გამაოცა. აქამდე არ მიფიქრია, რომ ჭამდა ხოლმე, თუშცა ამის წარმოდგენა ძნელი არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ როდესაც მავანსა და მავანს ვუცქერით, მისი სხეულის მოთხოვნილებებზე არა ვფიქრობთ და ეს აბსტრაქციის უნარი ადამიანს საგრძნობლად ამაღლებს ჩვენს თვალში. კერძები ნელა მოჰქონდათ. წვეულთა ჟრიაშული დარბაზს ამხიარულებდა. მესმოდა, ჩემს გვერდით მჯდარი ლაპერლიერი რადელს როგორ უხსნიდა იმ რევოლუცერებისა და კარაბინების მოწყობილობას, საახალწლოდ რომ მიეღო საჩუქრად. სწავლის გმირებს ხომ გმირული თამაშობანი უყვართ. რადელი ცხენოსნობაზე და მწვევარ-მეძებრებით ნადირობაზე ჭაქანებდა, მაგრამ მისი სიტყვები ცუდად მესმოდა. მე, ხელმოკლე ხალხის უბანში მცხოვრები ექიმის შვილს, აბა, სად შემეძლო ასეთ საუბარში

მონაწილეობის მიღება, თუმცა ამ საუბრიდან ისედაც გამო-  
რიცხული ვიყავ. მურონი კი სულ იმის ცდაში იყო, როგორმე  
საუბარში ჩაეთრიე, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე  
ვუბზუებდი ცხვირს, როგორც მე მიბზუებდნენ რადელი და  
ლაპერლიერი. მურონის საბრალო, თვინიერ და ნატიფ სახეს  
შალულად რომ შევავლე თვალი, კედევ უფრო მტკიცედ გადა-  
ვწყვიტე, თავი არ გამეყადრებინა ასეთი უბადრუკი სულდგმუ-  
ლისათვის. მაგრამ რაღაც იღუმალი ხმა ჩამძახოდა, რომ ზიზ-  
ღი ძალე გამიქრებოდა და მის ადგილს სრულიად სხვა, უკე-  
თესი გრძნობები დაიწყებდნენ ბრწყინვას. მე კი ვეურჩებოდი  
ამ საიდუმლო ხმათა შემოსევას, რასაც ძველები უთუოდ ღმერ-  
თების გაფრთხილებად მიიღებდნენ. შემწვარის შემდეგ, როცა  
პოძეროსის თქმისა არ იყოს, უღმობელი შიმშილი მოვიკალით,  
ისეთი ღრიახცელი ატყდა, რომ ყურთასმენა აღარ იყო. ცალი  
თვალი მურონისაკენ გავაპარე და დავინახე, მარჯვენა ხელი  
ძოეშუშტა, ზედ ხელსახოცი შემოეხვია თავსაფარივით, ცერი  
სალოკ თითსა და შუა თითს შორის გამოეყო და მუშტი კაცის  
სახისათვის დაემსგავსებინა. შევნიშნე, ამ ცოცხალ თოჯინას  
ძოჩვენებითი, და მაინც ჭეშმარიტი მწუხარებით რომ შესც-  
ქეროდა და ისიც გავიგონე, როგორ ეჩურჩულებოდა:

— რასა იქმ, ჩემო საბრალო, პატარა მურონ? ხმის გამ-  
ცემი არავინა გყავს? ძნელია, მაგრამ გულს ნუ გაიტეხ. მე და  
შენ ვიბაასებთ და თავს როგორც იქნება, ისე შევიქცევთ; ერთ  
უცნაურ ამბავს გიამბობ, მოსწავლე პიერ ნოზიერს რომ  
გადახდა თავს. პიერ ნოზიერი კარლოს დიდის ნადიმზე უსუ-  
ლოდ მოსულა. სულიც რომ მოჰყოლოდა, ერთ სიტყვას მაინც  
ძეტყოდა. ეხლა კი დუმს, რადგან მის სხეულში სული აღარა  
ბუდობს. სად წავიდა? რომელ მხარეში? მიწაზეა თუ მთვარე-  
ზე? რა გითხრა. სანამ მისი სული ღმერთმა უწყის, სად და-  
ფარფატებს, შენ ქეიფი ჩამწარებული გაქვს, ჩემო საბრალო,  
პატარა მურონი უსულო სხეულის გვერდით მოხვდი, ცვილის  
ქანდაკების გვერდით, რომელიც არც იცინის და არც ლაპარა-  
კობს; ანკი სიტყვა როგორა თქვას, როცა ქანდაკებად ქცეულა.  
რას იტყვი ამაზე, საბრალო, პატარა მურონ, საბრალო პატარა  
საპონელა — ჩიტების კერძო?

ამ პაწაწინა კომედიის დასაწყისში ცხვირი ავიბზუე, ჩემი

აბეზარი მეზობლისათვის თავი რომ არ გამეყადრებინა, მაგრამ თახდათანობით მისი ხმისა და აზრის სილამაზემ, მისი მწუხარე და სათნო სულის სიტურფემ გული მომიღბო და მიმახედა. უეცრად ვიგრძენი, რომ მურონმა მაჯობა ჭკუითა და გონებით, ჩემზე დიდსულოვანი გამოდგა და გულში მისდამი მგზნებარე სიყვარული ჩამესახა; სიტყვაც ვერ დავძარი, მაგრამ ძიძიხვდა. გულის პასუხს, ყველაფერი ამოიკითხა ჩემს თვალეებში და დავინახე, როგორ გაუნათა სახე სიხარულის დიძილმა. ერთ წამში უერთგულეს მეგობრებად ვიქეცით. რა არ ვუთხარით ერთმანეთს. მურონს ახლა ისე კარგად ვიცნობდი, თითქოს ერთი დღეც არ გამეტარებინოს უმისოდ.

მურონ-საპონელა, ჩიტების კერძი, ჟაკ მურონი, ჩემი საყვარელი მურონი დედასთან და დასთან ერთად ცხოვრობდა სეხის ქუჩაზე. პატარა ბინა ჰქონდათ, ცისფერ და ვარდისფერ ხავერდგადაკრული ავეჯით გაწყობილი. მამამისი, ფილიპ მურონი, ნორმალურ სკოლაში ფიზიკის კურსს რომ კითხულობდა, სრულიად ახალგაზრდა გამოაკლდა ამ წუთისოფელს, სწორედ მაშინ, როცა მნიშვნელოვან აღმოჩენათა ზღურბლზე იდგა. ჟაკ მურონსაც სურდა მეცნიერებისათვის შეეწირა თავი.

— დამერწმუნე, ზუსტ მეცნიერებათაგან ბევრი ძალზე საჩტერესოა, — მითხრა მან, — მაგრამ არა მგონია, მათი შესწავლა შეეძლო. ჯანი არ მომდევს. წელსაც ბევრი ვიავადმყოფე.

— ეგ საშიში როდია, — ვუთხარი მე.

— საშიში არაა, — მიბასუხა ღიმილით. მთლად გაცრეცოდა ბაგეები, — ჩემი დაც ავადმყოფობს ხოლმე. სამი თვე გააცდინა. გრამატიკაში მიმღეობები გამოტოვა, ისტორიაში — ფეოდალიზმი; წარმოგიდგენია?

— მე მიყვარს ისტორია, ბევრ საუცხოო ამბებს გვიამბობს, — შევძახე მე.

— მეც მიყვარს. მაგრამ იმპერიებსა და მონარქიებში გზას ვეღარ ვიგნებ. იქნებ იმიტომ, რომ ასეთი პატარა ვარ.

— შენ სულაც არა ხარ პატარა.

— დავპატარავდები. მართლა გეუბნები! თანდათან ვილევი და მალე სულ ერთი ბეწო გავხდები.

ხადიმი მართლაც საუცხოო იყო. დიდი სასალათეებით ბეზე მოგვართვეს და შამპანურიც ჩამოგვირიგეს. ძალიან გავძხიარულდით. ლაპერლიერმაც კეთილი ინება და ჭიქა ჭიქაზე მომიჯახუნა. მეც სულ ცოტა, ოცჯერ მაინც მივეუჯახუნე ჭიქა ჩემს საყვარელ მურონს. მერე მეკარე ქალის ამბავიც ვუამბე, მთელი სათლი წყალი რომ შეასხა სახეში სახლის პატრონს; ეგონა, კარებზე ისევ ვილაც ონავრები მიკაკუნებდნო. სიცილით მითხრა წაბლის გამყიდველის ამბავი. საწყალს თურმე ღუმელი ეტლის თვალზე თოკით მიუბეს და ეტლი რომ დაიძრა, ღუმელიც თან გაიტაცა. ამას რომ მიაბობდა, მშრალი ხველა აუვარდა. მერე ერთხმად მოვეყვით სპარტაკის, ეპამინონდისა და გენერალ ჰოშის ქებას. კარლოს დიდი კი ცოტა არ იყოს, სასაცილოდ გვეჩვენებოდა, იმსიგრძე წვერი რომ ჰქონდა.

— იცი, — მითხრა მურონმა, — ნორმანებს შეებრძოლა მარტო 20 000 ფრანკით.<sup>1</sup>

მე მგონი, კიდევაც შევთვერით. ეს კია, რომ, როცა ბანკეტიდან ვბრუნდებოდი, ჯიბით ხელსახოცი გამომყევა. მურონი სახლამდე მივაცილე. ჭიშკართან მაგრად ჩავბლუჯე მისი პაწია, თბილი ხელი და საუკუნო მეგობრობა შეეფიცე.

ეს ფიცი არ გამიტეხია და სანამ ცოცხალი იყო, მისთვის მეგობრობა და სიყვარული არ დამიკლია. მურონი ოცი წლისა გამოესალმა ამ წუთისოფელს.

## VIII

### რ. მ. მ. ა. ნ. ბ. ი. შ. მ. ი.

ბატონი მარკ რიბერი, ხშირად რომ დადიოდა ჩვენსა, როცა ცამეტი წლისა ვიყავი, დიდი ახირებული ვინმე გახლდათ. ჩია ტანის, შავგვრემანი კაცი იყო, ასე, ორმოცდაათ-ორმოცდა-თხუთმეტი წლისა; მუდამ აბურძგნული ჰქონდა თმა-წვერი; ამობურცული შუბლი და ჩავარდნილი ლოყები უცნაურ იერს

<sup>1</sup> სიტყვათა თამაშია: ფრანკი გერმანულ ტომთა წარმომადგენელსაც ნიშნავს და ფულის ერთეულსაც (მთარგმნ. შენიშვნა).

ახიჭებდა. 'შეხედავდით თუ არა, მაშინვე იტყოდით, ერთი სასოწარკვეთილი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული კაციი-ასეთი გაძომეტყველება რომ ჰქონდა, ამას მისი აწეწილი საქმეებიც უწყობდა ხელს. ამბობდნენ, პირდაპირ შავი ღღე ადგასო. ბერსის მსხვილი სარაჯის შვილი იყო და ჭაბუკობისას სულ „ახალგაზრდა საფრანგეთის“\* წრეში ტრიალებდა, კოკოტებისა და ბულვარების თეატრების ხშირი სტუმარი გახლდათ, დიდებულ ნადიმებს მართავდა, სულ დროსტარებას იყო გადაყოლილი, კლამარში გოთური სტილის პატარა კოშკიც ააგებინა და ასე გაანიავა მამის დანატოვარი ქონება. ცოლი ახალგაზრდა მოუკვდა სენით, რომელსაც ჯერ კიდევ სიმკლის სენს ეძახდნენ. ერთი ქალიშვილია შერჩა. გოგონაზე ამბობდნენ, კალმით ნახატია, მაგრამ სუსტი ჯანის პატრონიაო. ბატონმა რიბერმა ძალიან გვიან მოითოჯა თავი და ექვობდნენ, ალბათ დასახარჯიც აღარაფერი შერჩაო. მოკლედ, სადარდებელი და თავში საცემი ბევრი ჰქონდა, მაგრამ ისინი, ვინც შამაჩემივით კარგად იცნობდნენ, თავქარიან, ფუქსავატ და გულმავეიწყ კაცად თვლიდნენ და ფიქრობდნენ, თავს დამტყდარი უბედურებანი ისე არ ადარდებს და მკმუნვარებასა და სასოწარკვეთილებას მხოლოდ იმიტომ მისცემია, რომ მიდრეკილება აქვს ასეთი და ასე მოგუნებებიაო. პირწავარდნილი რომანტიკოსი იყო. ამგვარი ტიპის ადამიანებს უკვე ვეღარ 'შეხვდებით ჩვენს დროში. იმიტომ ბატონი მარკ რიბერი ჩემში უზომო აღტაცებას იწვევდა. მის ყოველ სიტყვაში, გამოხედვა-სა და მიხრა-მოხვრაში მისი საუცხოო ნიჭი და ფანტაზია გამო-სკვიოდა. მეჩვენებოდა, რომ სულ სილფიდებით, ჯუჯებით, ფუძის ანგელოზებით, სერაფიმებით, დემონებითა და ფერიე-ბით იყო გარშემორტყმული. უნდა მოგესმინათ, როგორ წამო-იწყებდა რამე სევდიან სიმღერასა ან ფანტასტიკურ ბალადას. დაეჩემებინა, გონჯი ლამაზია და ლამაზი გონჯიაო და მეც უყოყმანოდ ვუჯერებდი. ღღეს ამას აგრე იოლად ვეღარ ვირ-წმუნებ. მარკ რიბერი ჩამჩიჩინებდა, რასინი პედანტი, კონსერ-ვატორი და ბებერი შლეგიაო. მეც ბრმად ვუჯერებდი, რაკი ეს აზრი საწინაღმდეგო იყო იმისა, რასაც ჩვენი მასწავლებე-ლი, ბატონი ბონომი გვასწავლიდა. მასწავლებლის სიტყვას ჩემს თვალში მაშინ არავითარი წონა არ ჰქონდა. ო, რა მგზნე-

ბარებით მომიწოდებდა ეს ბებერი რომანტიკოსი, შიშის ზარი ღაცვით ობივატელებსა და ფილისტერებს, კუდიტ ქვა ვასრო-ლიხით რუტინიორობის ჰიდრასო და მეც რა ცეცხლი შემო-მეგზნებოდა ხოლმე. ერთი სული მქონდა, დამემხო ბატონი ბონომი და ხელოვნების თავისუფლება გამომეცხადებინა.

დედაჩემი ძალიან დარდობდა, რომ ბატონ მარკ რიბერს ასეთი გავლენა ჰქონდა ჩემზე. ხანდახან ამოიოხრებდა ხოლმე, ეს კაცი პიერსაც თავისავით გააგიყებსო და ბატონ დანკენზე-ლა აძყარებდა იმედს, ფიქრობდა, ეგებ ნათლიამისმა მაინც მოიყვანოს ჰკუაზეო. მაგრამ ბატონ დანკენს გაუჭირდებოდა ჩემი გადაბირება: ის საღად მოაზროვნე კაცი იყო და ბატონი რიბერი გიჟად, დასაბმელ გიჟად მიაჩნდა. ჩვენში დარჩეს და, ბატონ დიუვერჟიე დე ორანისა არ იყოს, მასაც ეგონა, რომ რომანტიზმი ისეთივე სენი იყო, როგორც ცისად ცისად მავ-ლობა და ბნედა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ეს სენი გადაგვარების გზაზე იყო დამდგარი.

ბატონ მარკ რიბერსაც ნათლიაჩემი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა. მისთვის რომ გეკითხათ, ბატონი დანკენი პირ-წავარდნილი ბურჟუა იყო. „ბურჟუაო“, იტყოდა და ამით ყველაფერი იყო თქმული. ამ სამარცხვინო კასტაში რომ არ გათქვეფილიყო, ბატონი რიბერი შავი ხავერდის კამზოლსა და ფართო, განიერტოტებიან შარვალს იცვამდა. თმა გრძლად მოეშვა, უკან ჰქონდა გადავარცხნილი, მაგრამ შუბლზე უღვთოდ იჩეჩავდა ხოლმე და წვერიც მეფისტოფელივით დაეყენებინა. ამგვარად მორთულ-მოკაზმული მწარედ დასცინოდა ნათლია-ჩემს, დაბალი და ღიპიანი რომ იყო, გრძელ რედინგოტს რომ ატარებდა. ცხვირზე ბატონ პრუდომივით\* ოქროს სათვალე წამოესკუპებინა, მასავით მაღალი საყელო გაეკეთებინა, რომ-ლის ორი წვერიც ლოყებამდე უწევდა; ყელს კი შავი აბრე-შუმის ყელსახვევი უმშვენებდა, ყელზე სამჯერ რომ შემოეხ-ვია. რაკი უჩვეულოდ დაჟდაჟა ლოყები ჰქონდა, მარკ რიბერი მეუბნეოდა, მაგ შენი ნათლია, უზარმაზარ საყელოს რომ იკეთებს, თეთრ ქაღალდში გამოხვეულ ვარდების თაიგულს ჰგავსო. ეს შედარება ისეთი მოსწრებული იყო, რომ ყოველ წუთს მაგონდებოდა, როცა ნათლიაჩემს ვუმზერდი და გიჟი-ვით ვხარხარებდი.

ნათლიაჩემი რაღაცას ხვდებოდა, მხრებს იჩეჩავდა, ბრიყვი ხარო, მეუბნებოდა და მიჩეხვდა: წადი, მაგ ცუდლუტობას გაკვეთილები ისწავლე, ის გირჩევენიაო. ბატონი მარკ რიბერი კი პირიქით, სულ იმას ჩამჩიჩინებდა, მასწავლებლებს ყურს ნუ უგდებო.

— ნამდვილი ვირები არიან. პირწავარდნილი ფონტანები\*.

თან ზმაც გამოჰყავდა, ჩემის აზრით, ძალიან მოსწრებულად:

— ფონტანე! ფონტანები faciunt asinos!†

ვინ შოთვლის, რამდენჯერ მომისმენია მამაჩემის პატარა სალონში ჩემი ნათლისა და ბატონ რიბერის კამათი. ნათლიაჩემი პირწავარდნილი ჟერომ პატურო იყო. მე ჟერ უხარი არ შემწევდა თვალყური მედევნებინა ამ კამათისათვის და მით უმეტეს, ამეწონ-დამეწონა ის საბუთები, მოწინააღმდეგეები რომ იშველიებდნენ და მტყუანი და მართალი გამერჩია; თუმცა რა დასამალია და, თავიანთი ნააზრევის დასაბუთებით თავს მაინცდამაინც არ იტკივებდნენ. მაშინ პატარა და ბრიყვი ვიყავი, სულ ბატონ რიბერს ვუდგებოდი და ნათლიაჩემს ვამტყუნებდი. მიზეზი ის გახლდათ, რომ ნათლიაჩემი თავის მოწინააღმდეგესავით ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს არ ისროდა. ბატონი რიბერი სულ ჯაქვის პერანგებზე, საბარკულეებზე, ჩაჩქნებზე, მუზარადებზე, გოლიათებზე, დრაკონებზე, საჭურველთმტვირთავებზე, ჯუჯებზე, კოშკის მეპატრონე ქალებზე, პაყებზე, ეკვდერებზე, მეუდაბნოეებზე ლაპარაკობდა. ქალბატონ ნოზიერის პაწია სალონიც თითქოს მოჯადოებულ სამყაროდ იქცეოდა და ამ ფეერიასში ბებერი რომანტიკოსის წყევლა-კრულვა, ღვარჯლიანი სიტყვები და ხრინწიანი სიცილი გაისმოდა.

რა სუსტი მოჩანდა მაშინ წიკვინა ხმა ნათლიაჩემისა, რომელიც მუცელზე დაკიდულ ბრელოკებს აყდარუნებდა და რომახტიკოსის შემოტევას „მეფე ივეტოთი“ და „უღარდელი მეწისქვილეთი“ იგერიებდა.

სად ძალმიძს მათი საუბრის ზუსტად გადმოცემა. უთუოდ მთავარი მხედველობიდან გამომრჩა კიდევც. როცა თავს ძალას

---

† შობენ ვირებს (ლათ.) — ფრანგულში ზმაა: „faciunt asinos“ და გვარი ფონტანე თითქმის ერთნაირად ეღერს.



ვატან და ვცდილობ, მათი ნათქვამიდან ზოგი რამ მაინც გავიხსენო, მეჩვენება, რომ ბატონი დანკენი შეიძლება ყოველთვის მტყუანი არც იყო, როგორც უწინ ვფიქრობდი... ნათლიაჩემი ხშირად ჩიოდა, ბევრი რამ ენაში, წინათ ადვილი გასაგები და საყოველთაოდ ცნობილი რომ იყო, ახლა აირ-დაირია და დღეს უფრო უარესად და ბუნდოვნად წერენ, ვიდრე წინათო. იმასაც ნაღვლობდა, გონებამ დაჰკარგა თავის მეუფება და ადამის ძეთა ქცევას აღარ წარმართავსო. მაგრამ ბატონ მარკ რიბერი თან სად მოვიდოდა. ბებერი რომანტიკოსი იმითა სჯობდა, რომ ძნელად გასაგები აზრების კორიანტელს აყენებდა. ამ აზრებისა მე არაფერი მესმოდა და ამიტომაც იყო, მისი ნათქვამი ანდამატურის ძალით რომ მიზიდავდა. რაც ნათელია, ალტაცებას იშვიათად იმსახურებს ხოლმე. ალტაცება გაოცების გარეშე არ იბადება. მეც აღფრთოვანებაში მოვდიოდი, როცა ვუსმენდი, როგორ ახასიათებდა მარკ რიბერი რომანტიკულ ნაწარმოებს:

— ესაო, — ამბობდა იგი, — ჯანყისა და კაეშნის ნაწარმოებია; მწარე გლოვია უსასრულობის დაუცხრომელ ძიებასთან შერწყმული; ესაა გესლიანი ირონიით შენიღბული სასოწარკვეთა.

და კიდევ ვინ მოსთვლის, რაებს არ ჩმახავდა. ვუსმენდი სულგანაბული და შიშისა და ალტაცებისაგან ვცახცახებდი.

ამ ერთმანეთისაგან ჭკუითაც და ხასიათითაც აგრერიგად განსხვავებულ ადამიანებს შორის გამართული პოლიტიკური დისკუსიები ლიტერატურულ დისკუსიებზე ნაკლებ მშფოთვარე როდი გახლდათ, მაგრამ ბევრად უფრო მოკლე კი იყო. პოლიტიკაში ნათლიაჩემი მხოლოდ ნაპოლეონსა სცნობდა. ბატონი რიბერი კი სულ ღრჯუ ლუის\* დროებას მისტიროდა. ნატრობდა, ნეტა მის დროს მეცხოვრაო და არა ვტყუიო, ყველა წმიდანს ფიციულობდა. ნათლიაჩემს ეგონა, ხუმრობსო, მაგრამ მწარედ ცდებოდა. მარკ რიბერი თავის დღეში არა ხუმრობდა და ის სერიოზულობა, მის ყოველ ახირებულ ქცევას თან რომ ახლდა, ძალიან მხიბლავდა გულუბრყვილო ბაღს და მის ყურმოჭრილ ყმად მაქცევდა. მისი ფეხის ხმას აყოლილი სულ იმის ნატვრაში ვიყავი, ნეტა მეც ღრჯუ ლუის დროს მეცხოვრა-მეთქი. ეს აზრი ისე ღრმად ჩამეჭედა თავში, რომ დედას,

ჩემს კეთილ ქრისტიანსა და სკოლის ამხანაგებს ყურები გამოვუჭედე.

ერთ დღეს, შუადღის დასვენების დროს, ფონტანესაც გაუუმხილე ჩემი ხვაშიადი. ის ჩემზე გონიერი და ამაღლებული სულის პატრონი გამოცა და მიპასუხა, მე წმიდა ლუის\* მეტობის დროს ცხოვრებას ვარჩევდიო.

ჩემს დღეში არ ვყოფილვარ ბატონ მარკ რიბერთან, თუმცა ამაზე უკვე დიდი ხანია ვოცნებობდი და აი, ერთ დღით, მამაჩემმა, რომელიც მასთან ხშირად დაიარებოდა, თან წამიყვანა. მარკ რიბერი სენის მარჯვენა სანაპიროზე ცხოვრობდა, წმ. მადლენის ეკლესიის მახლობლად, დიუფოს ქუჩაზე. ამ ქუჩას არაფერი ეცხო რომანტიკული; რომანტიკული არც სახლს ეთქმოდა. ღრჯუ ლუის დროისაც როდი გახლდათ, ლუიფილიპის დროს იყო ნაგები. კიბეს თეთრად შეღებილი თუჯის შოაჯირი ჰქონდა, საფეხურებზე ღია ყავისფერი ხალიჩა ეგო. ამგვარი რამ სულაც არ შეეფერებოდა მარკ რიბერის გემოვნებას; არ შეჭფეროდა არც წინკარი, სადაც საქოლგე და პალტოების საკიდი იდგა. მაგრამ მოთმინება იქონიეთ! მამაჩემი მარტო შევიდა დერეფანში, რომელსაც უთუოდ ბატონ რიბერის ოთახში შევყავდით; მე კი მსუქანმა მსახურმა ქალმა, კარი რომ გაგვიღო, პატარა სალონში შემიყვანა. სალონში შოქარგული ბალიშებითა და აღმოსავლური ხალიჩებით. მორთული დივანი იდგა. კედელზე ერთი უზარმაზარი სურათი ეკიდა. ამ სურათმა ერთბაშად მაგრძნობინა მწუხარების მომხიბვლელობა. მწუხარება კეთილშობილ გულებს მაშინ უფრო მეტად აღელვებს, როცა ლამაზია. ამ სურათის ნახვამ ამიტომაც ამაღელვა ასე ძალიან. ზედ ქერა და მშვენიერი ოფელია იყო გამოსახული, ბაგეზე ღიმმორეული მდინარეში რომ იხრჩობს თავს. წყალზე სამოსი გადაშლოდა და წყლის დინებას მიყოლილი ნელა ირწეოდა მდინარის გლუვ ზედაპირზე. ბალახბულახებითა და ყვავილებით მორთული თავი ტალღაზე ისე ესვენება, როგორც სასთუმალზე. ნაკადული და მის პირას მდგარი ხეები ფერმკრთალსა და მომწვანო ფერის სხივსა ჰფენდნენ და ყოველივე ეს არეკლილიყო ყმაწვილი ქალის თვალებში. ეს თვალები გიჟის გულუბრყვილო გაოცებას გამოხატავდნენ. ამ მშვენიერსა და სიბრაღელის აღმძვრელ სურათს რომ შევც-

ქეროდი, წკრიალა ხმა ჩამესმა ყურში. ვილაც უგულისყუროდ, ხაწყვეტ-ხაწყვეტ მღეროდა რომანსს: „მშვიდობით, ჩემო ლამაზო გემო“. ეს სიმღერა სხვა დროს უთუოდ არც ამალღევებდა, მაგრამ ახლა ძარღვები დამაწყვიტა და ამაჟვითინა. სიმღერა შეწყდა. მე ისევ ვცახცახებდი. უეცრად კარის კრი-ალი შემომესმა, მიეტრიალდი და კარის ზღურბლზე ოფელია-სავით სპეტაკ სამოსელში მორთული ქალიშვილი შევნიშნე; მასავით ქერა იყო და ხელში მასავით თაიგული ეჭირა. ჩემს დანახვაზე ერთი შეჰკივლა და თვალს მიეფარა.

მას შემდეგ სულ ის ოფელია და მისი მინამგვანი ქალიშ-ვილი მედგა თვალწინ. დედოფლის ნაამბობი შექსპირის პიე-სიდან იმდენჯერ წავიკითხე, რომ ზეპირადაც ვისწავლე:

„ერთი ტირიფი დგას, მკრთალ ფოთოლთ წყალში მჩინარე,  
იქ მოსულიყო ოფელია და მოეგროვა  
ჭინკარ-ყაყაჩო, გულისაბა, კრელი ბალახი,  
რომელსაც მწყემსნი ენამეტნი ცუდ სახელს სდებენ  
და ჩვენნი მორცხენი სოფლის ქალნი უხმობენ ჭიკას;  
დაუწნავს მათგან გვირგვინები სხვადასხვა ფერი,  
ასულა ხეზე, იქ ნდომებია მათ დაკიდება,  
მაგრამ უეცრად მოტეხილა ბედკრული ხის შტო  
და ოფელიაც ყვავილებით თან ჩაჰყოლია.  
წყალზე სამოსი გარდაშლია, არ ჩაუძირავს,  
და სირინოზის მსგავსად იგი ძველსა სიმღერებს,  
თვის ბედშაობის უგრძნობელი, ამბობდა თურმე;  
იგი ჰგავდაო წყალში აღზრდილს მდინარის შვილსა“...<sup>1</sup>

რამდენიმე დღის, ან იქნებ რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც დიუფოს ქუჩაზე გახლდით, სადაც ღრმა მღლეჯარება განვი-ცადე, სადილობისას სხვა ახალ ამბებთან ერთად მშობლებისა-გან ისიც შევიტყვეე, რომ ბატონ მარკ რიბერს საბოლოოდ მიეტოვებინა პარიზი, რაკი აქ აღარ დაედგომებოდა და საცხო-ვრებლად ჟირონდის პირას მდებარე პატარა სოფელში გადა-სულა ნათესავებთან, რომელთაც ერთი პატარა ვენახი ჰქონიათ გაშენებული და თავისი ქალი ბერანჟერიც თან წაუყვანია. ისიცა თქვეს, ამ ბერანჟერის ჯანმრთელობა მაინცდამაინც კარგად ვერააო. ამ ამბავმა დამამწუხრა, მაგრამ სულ არ გავუ-

<sup>1</sup> თარგმანი ივ. მაჩაბლისა.

კვირებზე. გული წინდაწინვე მიგრძნობდა, რომ რიბერებზე ცუდ რასზე შევიტყობდი.

გამოხდა ხანი. შეუმჩნევლად, ისე ვით ჰამლეტის სატრფოს შშვენნიერი ტანი მდინარეში, თაიგულიანი ქალიშვილის ხსოვნაც გაქრა ჩემი მეხსიერებიდან. მერე კი უეცრად კვლავ ამოტივტივდა შემოდგომის ერთ დილას, როცა გავიგონე, როგორ მღეროდა ჩემი საყვარელი დედა რომანსს: „მშვიდობით, ჩემო ლამაზო გემო“.

ვკითხე:

— დედი, რა ბედი ეწია მარკ რიბერს? უკვე ხუთი წელია, რაც მასზე და მის ქალზე არაფერი მსმენია.

— ბატონი მარკ რიბერი მოკვდა, შვილო. განა არ იცოდი?.. მისი ქალი ჭკუაზე შეცდა და წყნარ გოჯად დარჩება სიკვდილამდე. ყუთში დიდის ამბით ინახავს კენჭებს, მარგალიტი და ბრილიანტის თვლები ჰგონია. ყველას უჩვენებს და ჩუქნის, ვინც კი მის სანახავად მივა ხოლმე. სხვა უცნაური ზნეცა სჭირს. დაუჩემებია, კითხვა არ ძალმიძს, როცა წიგნს ავიღებ და ნაბეჭდს დავხედავ, ასოები ბუზებივით ბზუილით გაფრინდებიანო. ამიტომ მხოლოდ თაიგულებს ჩაჰკირკიტებს და რადგან ყვავილების ენა კარგად იცის, მშვენვირად არჩევს მათ მნიშვნელობას. მაგრამ ამ ბოლო ღროს აიხირა, შევხედავ თუ არა, ყვავილებიც პეპლებივით მიფრინავენო.

— იციან, რამ გააგოჯა?

— უიღბლო სიყვარულმა. დანიშნული იყო, მაგრამ საქმრომ როგორც კი შეიტყო, ბატონმა მარკ რიბერმა მთელი თავისი სიმდიდრე გაანიავა და ქალიშვილის პატარა ქონებაც თან მიაყოლაო, უკანვე წაიღო თავისი სიტყვა.

მე აღვშფოთდი.

დედაჩემმა ნალვლიანად გაიღიმა.

— შვილო, ადამიანებს ხშირად არც სიმამაცე მოსდგამთ და არც სინდის-ნამუსი გააჩნიათ.

ამ აზრმა განცვიფრებაში მომიყვანა. თუმცა იშვიათს არაფერს შეიტავდა, მაინც მეხამუშა დედაჩემისაგან, რაკი დარწმუნებული ვიყავ, კაცთა მოდგმის სიკეთისა სწამდა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთი ამბავი მოხდა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს მენსიერებაში. თეატრში ერთ წარმოდგენას დავესწარი. ჩემი მშობლები თეატრში არ დადიოდნენ და იქ რომ მოვხვედრილიყავი, გარემოებათა უჩვეულო დამთხვევა გახდა საჭირო: მოხდა ისე, რომ მამაჩემმა თავისი ხელოვნებითა და მეცადინეობით მოარჩინა ცოლი ერთი დრამატურგისა; და მანაც ამ იღბლიანი განკურნებიდან ცოტა ხნის შემდეგ ისტორიული დრამა დადგა პორტ-სენ-მარტენის თეატრში. მაღლიერმა ავტორმა მამაჩემს ლოყა შესთავაზა ამ სპექტაკლზე; ბილეთები ვარგისი იყო მხოლოდ კვირა საღამოსათვის, როცა მე შემეძლო გვიან დავწოლილიყავ. მოგეხსენებათ, რომ ამ დღეს თეატრის დირექცია ბილეთებს განსაკუთრებით ხელს უჭერს. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ პიესა ისეთი ჩანდა, ყმაწვილის უცოდველ ყურებს არ შებღალავდა.

მთელი დღე შიში და იმედი მიფორიაქებდა სულს, ციებიანივით ვცახცახებდი ამ ენით უთქმელი ნეტარების მოლოდინში. მეშინოდა, უეცრად რამე არ გამომხტარიყო და სპექტაკლის ხახვაში ხელი არ შეეშალა. უკანასკნელ წუთამდე იმის შიშში ვიყავ, ვაითუ მამაჩემი ავადმყოფთან გამოიძახონ-მეთქი. დღეც ისე უსაშველოდ გაიწელა, რომ მეგონა, მზე აღარასოდეს ჩავიდოდა. სადილიც ძალიან გრძელი მეჩვენა, ლუკმა არ ჩამიდევს პირში და შიშით სული მელეოდა, ვაითუ დაგვაგვიანდეს-მეთქი. დედაჩემმაც ველარ მოათავა ჩაცმა-დახურვა. ეშინოდა კია, პირველი სცენები რომ გამოგვრჩეს, ავტორი გავვინაწყენდებო და მაინც უზომო დრო მონადომა თქმებში და კორსაჟზე ყვავილების დაბნევას. ჩემი საყვარელი დედა სარკიანი კარადის წინ ტრიალებდა და გულდასმით აკვირდებოდა თავის თეთრ მარამაშის კაბას, გამკვირვალე, მწვანე წინწყლებიან მოსაცმელსა და ეტყობოდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის თმის ვარცხნილობას, იმას, თუ მოსასხამი ტანთ როგორ ედგა. ასე საგულდაგულოდ ამოწმებდა სახელოებზე ამოქარგულ ყვავილებსა და ათას სხვა წვრილმანს, მე

სრულიად უმნიშვნელოდ რომ მეჩვენებოდა. მას შემდეგ ძალზე გამოვიცვალე და უწინდებურად როდი ვფიქრობ. ჟიუსტინმა ფიაკრს დაუძახა და მეეტლეც უკვე გველოდა. დედაჩემმა ცხვირსახოცზე ლავანდის წყალი იპყურა და ძირს ჩამოვიდა. კიბეზე გაახსენდა, რომ სასუნებელი მარილის შუშა დარჩენოდა თავის მაგიდაზე და მის მოსატანად გამაგზავნა. ბოლოს, როგორც იქნა, თეატრს მივალწიეთ; მებილეთე ქალმა წითელ ლოჯიაში შეგვიყვანა. ეს ლოჯია ვრცელ, ხმაურიან დარბაზს გადაკეფებდა. მუსიკოსები საკრავებს აწყობდნენ და არაპარძონიული ბგერები ყურსა გვჭრიადა. სცენაზე სამჯერ დააკაკუნეს; ირგვლივ საზეიმო განწყობილება სუფევდა. ანაზღად გაძეფებულმა სამარისებულმა სიჩუმემ ძალიან ამაღელვა. ფარდა რომ აიხადა, ასე მეგონა, ერთი სამყაროდან მეორეში გადავედი-მეთქი. მერედა რა საუცხოო სამყაროში მოვხვდი! აქ სულ რაინდები, პაეები, დიდგვაროვანი ქალბატონები და ქალწულები მოსახლეობდნენ. ცხოვრებაც უფრო დიდებული და ბრწყინვალე იყო, ვიდრე იმ სამყაროში, სადაც დაბადება მარგუნა ბედმა. ვნებები აქ უფრო შმაგი და ძლიერი ჩანდა, სილამაზე — უფრო თვალში საცემი. ვრცელი, გოთური დარბაზები, მდიდრული კოსტიუმები, მსახიობთა მიხრა-მოხრა, საამო ხმები მნახველს ხიბლავდნენ, ანცვიფრებდნენ, გულსა და გონებას აჯადოებდნენ. ჩემთვის აღარაფერი არსებობდა ამ მოჯადოებული სამყაროს მეტი, ასე უეცრად რომ გადაიშალა ჩემს თვალწინ, ცნობისმოყვარეობა გამიღვიძა და გული სიყვარულით ამიჩქროლა. ილუზიის მონა შევიქეჩნ და ყოველივე, რასაც ეს ილუზია უნდა დაენგრია და შეეხსენებინა ჩემთვის, რომ თეატრში, წარმოდგენაზე ვიყავ: სცენა, დეკორაციები, ფარდები, კიდეც უფრო მეტად მაქცევდნენ მაგიურ წრეში. დრამას შარლ VII-ის მეფობის უკანასკნელ წლებში გადაყავდით\* და ყველა პერსონაჟმა, რომელიც სცენაზე გამოჩნდა, თვით ლამის გუშაგმაცა და უბრალო ათისთავმაც კი წარუშლელი კვალი დატოვა ჩემში. მაგრამ, როცა მარგარიტა შოტლანდიელი გამოჩნდა, ვნით უთქმელი მღელვარება დამეუფლა; ვიგრძენი, რომ აღმური მედებოდა სახეზე და თან სისხლი ძეყინებოდა ძარღვებში. კინალამ გულიც შემიღონდა. დანახვის უმაღლე შემიყვარდა ეს ქალი. ლამაზი იყო. ჩემს დღეში არ

მიფიქრია, რომ ქალი შეიძლებოდა ამ ზომამდე ლამაზი ყოფილიყო. ღამეში ფერნამკრთალები და ნაღვლიანი ჩანდა. მთვარესაც წამსვე შეატყობდით, რომ შუა საუკუნეების მთვარე იყო, რაკი გარს პირქუშ ღრუბელთა ჯარი ერტყა და გოთურ სამრეკლოებს ეტანებოდა. მისი ნათელი უფლისწულის ახალგაზრდა მეუღლეს ვერცხლისფერ სხივებში ხევედა. გულში იმდენი მოგონება მოზღვავედა, რომ არც კი ვიცი, პირველად რომელი გადმოვიტანო ქალაღზე, ან როგორ დავასრულო ჩემი მოთხრობა. აღფრთოვანებაში მოვდიოდი, რომ მარგარიტა შოტლანდიელი ასეთი თეთრი იყო და როცა ცისფერი ქუთუთოებიც შევნიშნე, ვიფიქრე, ეს არისტოკრატობის ნიშანია-მეთქი. უფლისწულ ლუის ცოლი იყო, მაგრამ ახალგაზრდა და მშვენიერი მშვილდოსანი რაული უყვარდა. ამ რაულმა არ იცოდა, ვინ იყო მისი დედ-მამა და ამის გამო საშინლად იტანჯებოდა. ქალს აბა, ვინ დაძრახავდა მისი სიყვარულისათვის — სულ მალე შევიტყვეთ, რომ ეს მშვილდოსანი შარლ VII-ის კახონიერი ძე გახლდათ. მეფეს ასტროლოგებმა უწინასწარმეტყველეს, ამ შვილის ხელით სიკვდილი გელისო, მეფემაც ჩვილი სხვას მიუგდო და მის ნაცვლად ნაპოვნი ბავშვი იშვილა, რომელმაც შემდგომში მარგარიტა შოტლანდიელი შეირთო ცოლად. ასე რომ, სინამდვილეში მარგარიტა რაულის საბედო იყო. ქალმა ეს არ იცის; არც რაულმა იცის, მაგრამ რაღაც იღუმალაი ძალა ერთმანეთისაკენ ეზიდებათ.

ასტრაქტები, ერთბაშად რომ მაბრუნებდა ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალში, თავისი უხეშობით გულს მიწყლავდა. გამყიდველები სიროფს, ლიმონათსა და ლუდს სთავაზობდნენ მაყურებელს და მათი ყვირილისაგან ყურთასმენა იყო წადებული. ყოველივე ეს ახალი იყო ჩემთვის, მაგრამ მაინც საშინელ უხამსობად მეჩვენებოდა.

პროგრამაში ამოვიკითხე, რომ მარგარიტა შოტლანდიელის როლს მადმუაზელ იზაბელა კონსტანი ანსახიერებდა და ეს სახელი და გვარი ცეცხლის ასოებით ჩაიწერა ჩემს გულში. იმდენი ჭკუა კიდევ შემრჩენოდა, პერსონაჟი მსახიობისაგან გახმესხვავებინა, მაგრამ იზაბელა კონსტანს მარგარიტა შოტლანდიელის ზნეს მივაწერდი, ხასიათს, რომლითაც დრამატურგმა შეამკო ეს გმირი. ვფიქრობდი, ისიც ლიტერატურის

მოყვარული, სულგრძელი, კდემამოსილი, ნაღვლიანი და რომანტიკულია-მეტქი.

უკანასკნელი ანტრაქტის დროს ავტორი, მაღალ-მაღალი, ჭალარაშერთული და დამუწუკებული კაცი ლოჯიაში გვეწვია. თავაზიანად მიესალმა დედაჩემს, მეც თავზე გადამისვა ხელი, როგორც ოდესღაც რაშელმა და სწავლის ამბავი გამომკითხა. მერე შემაქო, ადრეულად შეგყვარებია ლიტერატურაო და დარიგება დამიწყო, საფუძვლიანად შეისწავლე ლათინური ენაო. მე ლათინური ჩინებულად ვიცი და სტილიც ამიტომ მივარგაო. დანარჩენები ჩემთან ვერ მოვლენ, უწიგნურები არიან და ავის და კარგის გარჩევაც არ შეუძლიათო. მე კანტიკუნტად ვკასუხობდი და ზედაც არ ვუყურებდი. ჩემი გულგრილობის მიზეზი რომ სცოდნოდა, იცოცხლე, საამურად დაურჩებოდა, მაგრამ არ იცოდა და ეტყობა, ბრიყვად ჩამთვალა. ვერ მიხვდა, რომ იმ არაჩვეულებრივმა შთაბეჭდილებამ გამომათაყვანა, მისმა ნაწარმოებმა რომ მოახდინა ჩემზე. ფარდა კვლავ აიხადა. ისევ ცას ვეწიე სიხარულით. მარგარიტა შოტლანდიელი ისევ დაძიბრუხდა. ვაგლახ! ვნახე თუ არა, მყისვე დაეკარგე. უფლისწულ ლუის ხელით დაიღუპა სწორედ მაშინ, როცა მშვილდოსანი რაული ჩაუვარდა მუხლებში და სიყვარულში გამოუტყდა. მშვილდოსან რაულსაც იმავე ხანჯალმა გაუპო გული; სიკვდილის წინ გაიგო, რომ სატრფოსაც ყვარებია. ო, როგორ მშურდა მისი ბედი!

ორშაბათს, გაკვეთილზე რა ქედმაღლური ზიზღით შევცქეროდი ჩემს მასწავლებელს, სულ იმას რომ ჩაგვჩიჩინებდა, ბერძნული ზმნების სამ გვარს ერთმანეთში არ უნდა ურევდეთო. თითქოსდა ქვეყნად სხვა რამესაც ჰქონდა მნიშვნელობა მადმუაზელ კონსტანის, მისი დიდებისა და სიტურფის გარდა. ჩემს გულში ამოკვეთილ სახეს ველოლიავებოდი და სულ არ მესმოდა ბატონ ბოსიეს სიტყვები: საშუალო გვარის ზმნები არასოდეს არაა უკუქცევითი, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათო. ამ უყურადღებობამ დამღუპა და როდესაც მასწავლებელმა მკითხა *παρὰμῆς* წარდგომას ნიშნავს, თუ წარდგინებასო, ვერაფერი ვუპასუხე, თუმცა ამ სიტყვებს შორის რა განსხვავება იყო, კარგად მესმოდა. იმის მაგივრად, ალალბედზე მეპასუხა იმ იმედით, იქნებ ბედმა გამიღიმოს და ნი-



შანში სწორად მოვარტყა-მეთქი, ბრიყვეულად ვდუმდი. ბატონ-მა ბოსიემ დამტუქსა და ჩერჩეტი და უქნარა მიწოდა. ეს 'შეურაცხყოფა მწარედ მომხვდა გულზე, რადგან შეყვარებული გახლდით და მოგეხსენებათ, რომ სიყვარული კაცს აამაყებს ხოლმე.

დასვენებაზე იმ წარმოდგენის ამბავი მურონს ვუამბე. სატიფი სულის პატრონი იყო და მეგონა გამიგებდა გულის ხადებს. მაგრამ წარმოდგინეთ ჩემი იმედის გაცრუება, როცა დავინახე, რომ ნაცვლად იმისა, მოხიბლულიყო და აღელვებულიყო, ჩემს ნაამბობს დამცინავი ღიმილით უსმენდა. მერე კი, როცა იზაბელას მშვენიერება ავუწერე, მთლად ცივი წყალი გადამასხა: კალამბურების გიჟი იყო და ახლაც ეშმაკურად მომადახა:

— *Isabella bella dona!*, მოკლედ, იზაბელადონა, რაღა.

ღიახ, მურონის ხუმრობა ყოველთვის მოსწრებული როდი გახლდათ.

სალამოს, როცა ილღიებში ჩანთებამოჩრილნი ერთად მივუყვებოდით შერშ-მიდისა და სენ-პერის ქუჩებს, თავი ვეღარ შევიკავე და ფონტანესაც ჩემს სანუკვარ საგანზე ჩამოვუგდე სიტყვა. რაკი მისი ენაკვიმატობის ამბავი კარგად მომეხსენებოდა, ვშიშობდი, ვაითუ სასაცილოდ აიგდოს ჩემი მგზნებარე გრძნობები-მეთქი. მაგრამ ფონტანემ სერიოზულად მომაპყრო ყურნი და თავისი დუმილით თითქოს კიდევაც მაქეზებდა, გული მთლიანად გადამიშალეო. რაკი მოულოდნელად ისეთ კაცს წავაწყდი, რომელსაც შეეძლო ჩემი გაგება, მეც მოგხსენი გუდას პირი და ჩემს ძვირფას თანაკლასელს დაწვრილებით ვუამბე, რა დღეში ჩამაგდო მთვარის სხივებით გასპეტაკებული მარგარიტა შოტლანდიელის გამოჩენამ.

ფონტანემ კოპები შეიკრა და მითხრა:

— ფრთხილად იყავი, ნოზიერ, ფრთხილად! ქალი ვერაგია, — და მოულოდნელი გზნებით დასძინა: — როცა ქალი შეგყვარებია, როცა მასთან ერთად ტყის ხავსი გითელია, როცა მის თმებში ასკილის ყვავილი ჩაგიწნავს, როცა ცაცხვის ქვეშ მისი ფიცი მოგისმენია და ეს ქალი მოლალატე გამოდგება,

<sup>1</sup> იზაბელა ლამაზი ქალი (იტალ.).

ამაზე საშინელება აღარაფერია! ამქვეყნად აღარ დაგედგომება, ცოცხლებში აღარ წერიხარ, მარტოოდენ ჩრდილი და გვაში ხარ.

მე ერთს ვამბობდი, ის მეორეს მპასუხობდა, მაგრამ მისი სიტყვები სიყვარულით სუნთქავდნენ, მალამოდ ედებოდნენ ჩემს ტრფიალ გულს და მალე ორთავემ სიცილიელი მწყემსების დარად შევეუწყვეთ ხმები ერთმანეთს.

წინათ ფონტანეს თავის დღეში არ უსაუბრია ჩემთან ქალთა ვერაგობაზე და არც არასოდეს ულაპარაკია ამგვარის გზნებით. ჩვეულებრივ, მის საუბარში პრაქტიკული ჭკუა გამოსჰქვიოდა და მეც თაყვანსა ვცემდი, რაკი დარწმუნებული ვიყავ, დიდი შომაველი ელოდა და უეჭველად სახელმწიფო მოღვაწე გახდებოდა. მაგრამ იმ დღეს ფონტანე საზოგადოებრივ საქმეებზე აღარ ფიქრობდა. საბედისწერო ტრფობით ატანილი შფოთავდა და ბრდღვინავდა:

— ო, რა ნეტარებით შევსვამდი შურისძიების ფიალას, — შესძახა მან.

— ნეტავ კიდევ მომაკვრევინა თვალი, თუნდაც ერთის წაპით, — ამოვიოხრე მე, — ჩემთვის, ჩრდილში ვიდგე სადმე, როცა გვერდით ჩამივლის.

ფონტანე ვილაც მადლენის სახელს ჩურჩულებდა და ეტყობოდა, ძალიანაც იტანჯებოდა.

— ვინაა მადლენი? — ვკითხე აღელვებულმა, — სად გაი-ცანი?

ფონტანემ დიდის ამბით მიპასუხა:

— მადლენი გმირია რომანისა, რომელიც ნამდვილ ამბაეზეა აგებული. კვირას წავიკითხე, ლუქსემბურგის ბაღში, ველედას\* ქანდაკების წინ მჯდარმა. წიგნს „ცაცხვების ჩრდილში“ ჰქვია. ეგ წიგნი წაკითხული უნდა გქონდეს, თუ გსურს გაიგო, ქეშმარიტი ვნებები რაა. თუ გინდა, გათხოვე.

დღეები დღეებს მიჰყვებოდა, მაგრამ იზაბელა ვერ იქნა და ვერ ამოვიგდე გულიდან. ვფიქრობდი, ნეტა რომელ სასახლეში ცხოვრობს, რომელ წალკოტში დაგოგავს-მეთქი. მაგრამ ვინ იყო პასუხის გამცემი. თეატრალურ სამყაროში ნაცნობი არა მყავდა. რაკი დანამდვილებით არაფერი ვიცოდი, ბინა ჩემი

გემოვნებით მოეუწყვე. XV საუკუნის კოშკში დავასახლე და გარს აღმოსავლეთის მთელი ბრწყინვალეობა შემოვახვიე.

ერთ ხეთშაბათს, ტურნონის ქუჩაზე ჩემს მეზობელ ბატონ მენაქს<sup>1</sup> შევხვდი; ლუქსემბურგის მუზეუმიდან ბრუნდებოდა. ლუქმა პური რომ ეშოვა, უზარმაზარ სანტიმენტალურ ტილოს — „მსჯავრდადებულთა ძახილს“ იხატავდა, მაგრამ სულ იმას გაიძახოდა, ეს სურათი გულს მირევსო. ჩიოდა, ხელოვნება დაეცაო; ლანძღვა-გინება არ დააკლო ფილისტერებს, გენიის სიძულვილი დედის მუცლიდან რომ დაჰყოლიათ, სულ ნაცარტუტა აღინა არი შეფერის\* სისხლნაკლულ მხატვრობასა და ღღევანდებლობის მიმართ სიძულვილითა და ზიზღით აღვსილმა წყველით ამოავდო თანამედროვე პოეზია, რომანი და ბურჟუაზიული თეატრი. ბევრი ეშმაკობა და მოთმინება დამჭირდა, მაგრამ ბოლოს მაინც ვეწიე საწადელს, საუბარი თეატრზე ჩამოვუგდე და ვკითხე, მადმუაზელ იზაბელა კონსტანი ხომ არ გაგიგონიათ-მეთქი.

— რაო? — შესძახა მან და უეცრად გაეღიმა, — პაწია კონსტანი? ეგ ხომ იმ კონსტანის ქალიშვილია, ვავენის ქუჩაზე სადალაქო რომა აქვს გამართული; აქედანაც კი მოჩანს მისი ცისფერი ღუქანი. კარებთან ოქროსფერი ბურთულა აქვს მიძაგრებული და ზედ ცხენის ძუა ჰკიდია. ანტრესოლის ერთ-ერთ ფანჯარაზე დაკიდებულ გალიაში პაწია კონსტანის იადონები გალობენ. თვითონაც ამ იადონებს ჰგავს სიტურფით, ჰიკჰიკა ენითა და ჰკუით... დედამისის, ქალბატონ კონსტანის ნახვა ერთ რამედა ღირს, როცა ყაყაჩოებიან ქუდს დაიხურავს, წითელი ზონრებით კავენს ყურებზე მიიმაგრებს, ზედ ბაჟთებს დაიკოსებს, ყვითელ შალს მოისხამს და საფულეს აიღებს ხელში. შვილს გვერდიდან არა სცილდება, თეატრშიაც დაჰყვება და თოხლო კვერცხებს აყლაპებს, ხმა რომ ჩაუწმინდოს; პაწიას საპირფარეოში მოიკალათებს, ჟურნალისტებსა და თაყვანისმცემლებს ღებულობს, მებილეთე ქალებს ყურებს უჭედავს, ჩემი იზაბელა ასეთი და ასეთი მშვენიერიაო. იმასაც ეუბნება, ეჭიმებმა ესა და ეს წამლები გამოუწერესო და „უკანასკნელი ომნიბუსით“ შვილი შინ მიჰყავს... თუ მაგ პაწია

<sup>1</sup> იხ. „პატარა პიერი“ (ავტ. შენიშენა).

კონსტანის ნახვა გინდა, არ გაგიჭირდება. ყოველ ორშაბათს ქამაძისი ქინაქინით ბანს თავს, მერე, თუ კარგი დარია, ოთხი საათისათვის ლუქსემბურგის ბაღში მიჰყავს, სკამზე სვამს, თვითონაც გვერდით მიუჯდება და ყალიონს აბოლებს, სანამ ინფატს მზეზე თმები უშრება...

## X

### უხანო მავოზროა

მურონთან და ფონტანესთან ერთად მეც ვეკუთვნოდი პერიპათეტიკოსთა\* ჯგუფს; შესვენების დროს ეზოში ბოლთასა ვცემდით და ყოველ შეცნობადსა და შეუცნობად საგანზე ვმსჯელობდით. ბრძენთ არ გაუკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ რაც უფრო საძნელო იყო პრობლემები, რომელთაც განვიხილავდით, მით უფრო იოლად ვჭრიდით ხოლმე.

მეტაფიზიკური სიძნელები არა გვხვდებოდა და არავითარ დაბრკოლებას არ ვაწყდებოდით დროსა და სივრცეზე, სულსა და მატერიაზე, სასრულსა და უსასრულოზე მსჯელობისას. მე ჩემს ამხანაგებზე ცოტა უფრო მეტად მიჭირდა იმ სიძნელებისათვის თავის გართმევა, ამგვარი საკითხები რომ სთავაზობენ გონებასა და ფონტანესაც ეჭვი ეპარებოდა ჩემს ნიჭიერებაში.

ხშირად ვლაპარაკობდით პროფესიის არჩევაზე და რაც დრო გადიოდა, მით უფრო გვიტაცებდა ეს საკითხი. მურონი გრძობდა, მასაც ის სენი შეჰყროდა, რომელმაც მამამისს მოუსწრაფა სიცოცხლე და თავი რომ მოეტყუებინა, უამრავ გეგმას სახავდა. ნიჭი ენათმეცნიერების შესწავლისაკენ უბიძგებდა და მისთვის მართლაც რომ ზედგამოჭრილი იყო უმაღლესი სკოლის პედაგოგის ბეჭითი და მუყაითი შრომით აღსავსე ჯდომელა ცხოვრება. მაგრამ შიშობდა, ვაითუ, ჯანმრთელობამ ნება არ მომცეს მეცნიერულ მუშაობას მივყო ხელიო და ზღვაოსნობას ამჯობინებდა; თუმცა ენტომოლოგიისკენაც ჰქონდა მიდრეკილება და პირდაპირ განცვიფრებას ვიყავით, ისე კარგად იცნობდა ჭიანჭველათა ზნე-ჩვეულებას.

ფონტანე კარიერის არჩევისას აგრერიგად არ ყოყმანობდა. უნდოდა ვეჭილი გამოსულიყო და მიზნად ჰქონდა დასახული სასამართლოში მოწყობილიყო, როგორც კი მოიწიფებოდა. ჩვენი ენაწყლიანი მეგობარი ოცნებობდა ახალი ბერიე\* გამხდარიყო და დაეძებდა რაიმე დიდ, წაგებულ საქმეს, ხელი რომ მოეკიდა. გაიძახოდა, მხოლოდ დამარცხებულთა ინტერესების დაცვაში მოჩანს სულის სიღიადეო.

მე კი, რაკი ვგრძნობდი, არავითარი მოწოდება არ გამაჩნდა, თავიდანვე შევურიგდი იმ აზრს, რომ რაიმე მოკრძალებულ საქმეს შოვეყიდებოდი და ჩემი ბედი ჩემივ მიდრეკილებებისათვის რომ შემეგუებინა, უფერული ცხოვრებისათვის ვემზადებოდი. მართალია, გამოუჩინებელ ცხოვრებას კი ვჭერდებოდი, მაგრამ იდეები მეტად ამალღებული მქონდა. მინდოდა, ყველაფერი მენახა, ყველაფერი შემეტყო, ყველაფერი გამომეცადა, მთელი სამყარო მომეხილა; მაგრამ ამ სურვილს ბოლომდე განხორციელება არ ეწერა.

ხშირად შაზალიც შემოგვეერთლებოდა ხოლმე. ჩვენ ამრეზით ვუყურებდით მის მოუქნელ გონებას, მაგრამ იძულებულნი ვიყავით, მისი გულუბრყვილო სიკეთისათვის საკადრისი მიგვეზღო. მასწავლებლები და ამხანაგები სულ მის დაცინვაში იყვნენ, მასხრად იგდებდნენ მის პროვინციულ კილოს, ძველებურ მეტყველებას; უკიჟინებდნენ, ხელოვნებასა და ლიტერატურაში აგრე უვიცი რადა ხარ, ან ყველაფერს გამორჩენის თვალთ რად უცქერო; თუმცა დიდი ფიზიკური ძალის პატრონი იყო, ხშირად სცემდნენ კიდევ, რადგან თავ-პირიც რომ დაგემტვრიათ, ხელს არასდიდებით არ გამოიღებდა. მაგრამ შაზალი არაფერს დაგიდევდათ, სულ კარგ გუნებაზე იყო, მოთმინება არასდროს ღალატობდა და ბრაზი რა იყო, არ იცოდა. სოფელზე ჰქუას კარგავდა. მსხვილი მესაკუთრის ვაჟი იყო და ოჯახის კუთვნილი მიწებიდან სარფის მიღებას აპირებდა. მეც მასზე ნაკლებ როდი მიყვარდა სოფელი, მაგრამ ეს სულ სხვაგვარი სიყვარული გახლდათ. მას მიწა უყვარდა შრომისმოყვარე და ხარბი გლეხის სიყვარულით. შიგ მხოლოდ საჯაფსა და სარგებელს დაეძებდა. მე კი ბუნების წიაღში სიტკბოების მძებნელი ვიყავ. მას შემდეგ სულაც არ შევცვლილვარ. ამ სტრიქონებს რომ ვწერ, ვგრძნობ, როგორ ამიტანა

ერეოლა-კანკალმა, ბავშვობისას რომ ამივარდებოდა ხოლმე. მწაბდა, მეგობრობა შემეძლო და კიდევაც ვმეგობრობდი ძურონთან. ჩემმა სიყვარულმა, ხანგრძლივ მტრობას რომ მოჰყვა, უეცრად მთელი ძალით ამოხეთქა და მურონის სიკეთე მას კიდევ უფრო მეტ სიტუარფეს მატებდა. მხიბლავდა მისი ნათელი, ნატიფი გონება და მისი თვინიერი, მაგრამ მაინც მტყიცე ხასიათი. ერთადერთი საფრთხე, ჩვენს სრულ თანხმობას რომ ემუქრებოდა, გაზვიადების ის ნიჭი გახლდათ, მე რომ მჩვეოდა. ამან ბევრი ჩემი საუკეთესო განზრახვა წაახდინა. მურონს წინათ ზედაც არ ვუყუარებდი და ახლა, ცოდვები რომ გამომესყიდა, გადამეტებულის აღტაცებით ვეპყრობოდი; ეს მეტისმეტი აღფრთოვანება მეცა და მასაც ერთნაირად გვექანცავდა. მურონი მორცხვი ბიჭი იყო და ჩემი თაყვანისცემა დაეთრებს ურევდა. თან გადამეტებულიც არაფერი უყვარდა, რაკი ზომიერების გრძნობა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჭდარი.

მაშინ ვერა ვხვდებოდი, რომ შაზალიც გულით მიყვარდა; ეს ამბავი ძალიან გაგიკვირდებათ, როცა გეტყვით, რომ მის დახახვაზე ან მისი სიტყვის გაგონებისას სიხარულით ცას ვეწეოდი ხოლმე. მისი ტეტოური სულის სილამაზეს აღტაცებაში მოვეყავი, მომწონდა მისი ძარღვიანი, გლახური ენა, მაგრამ საზოგადო აზრის მონურად მორჩილს შაზალი სხვებივით მეც ბრიყვად მიმაჩნდა და თავადაც იმდენ სიბრიყვეს ვიჩენდი, რომ ვფიქრობდი, შაზალი ერთი შტერი ბიჭია, მაგრამ მე ჰკუა მიჭრის და მისი საქციელი სასაცილოდ მიტომ შეჩვენება-მეთქი. ჰო, ისიც უნდა მეთქვა, შაზალი ოფლის სუნად ყარდა და მე კი მერჩია, იისა და ვარდის სურნელი ეფრქვია.

ფონტანეს ამბავს თუკი მკითხავთ, მას ისე დიდი ხანია ვიცნობდი, რომ უკვე აღარ ვეძიებდი მიზეზებს ძველთაძველი მეგობრობისა. და ეს მეგობრობაც ურღვევად მიმაჩნდა. მე აღტაცებული ვიყავი ფონტანეს გამჭრიახობით, მას კი ჩემი შიამიტობა ანიჭებდა უდიდეს სიამოვნებას. ეს ამბავი დღითი დღე უფრო გვაკავშირებდა ერთმანეთთან. ფონტანე, ცხვირპირი მელიისას რომ მიუგავდა, მელიისავე ზნეს ამქლავნებდა და ადამიანის გაპამბულება რომ არ ჰყვარებოდა და სულ სხვი-

სი მოტყუების სადერდელი არ ჰქონოდა აშლილი, ვფიქრობ, სხვა, ჩემზე ნაკლებად მიამიტ მეგობარს გაიჩენდა.

პერიპათეტიკოსთა რიცხვში ცეროდენა, მაგრამ არტაბანი- ვით ამაყი სოვინიც შემოდოდა. მეზღაურად გახდომას ხატრობდა, მაგრამ გეოგრაფიის სწავლით თავს არ იტყვიებდა, დაეჩემებინა, ცურვის დროსაც მშვენივრად ვისწავლიო. კიდევ გვყავდა ერთი მაქსიმ დენიც, ლათინურ პოემას რომ წერდა ოვიდიუსის მიბაძვით. ბატონ მეზანეის<sup>1</sup> ჩიტად გადაქცევის ამბავსა თხზავდა. შეიძლება არ იცოდეთ და მოგახსენებთ, რომ ბატონი მეზანეი ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი გახლდათ; ამ წუთისოფელს უზარმაზარი, ზონზროხა და მოუქნელი სხე- ულით მოვლენოდა და საკუთარი ტანის სიმძიმეს ძლივს დაათ- რევდა. ეს სქელ-სქელი, ჩაგოდრებული კაცი სულ მუდამ ოფლში ცურავდა, სულ ოხშივარი ასდიოდა და ბუზებიც ძა- ლიან ეტანებოდნენ. მაგრამ დახეთ ბუნების განუსჯელობას! ამ გოლიათური ტანის კაცისათვის ბალღის ხელები გამოეყო- ლებინა და ბატონი მეზანეიც რის ვაივაგლახით ახერხებდა ფროსისანი მწერების მოგერიებას, მის გაქონილ, მელოტ თავს გუნდ-გუნდად რომ ეხვეოდნენ.

რიცხვთა თავისებურებას რომ გვიხსნიდა, ცალი თვალით შურით შესცქეროდა მსუბუქ ჩიტებს, პურის ნამცეცებს რომ კენკავდნენ სკოლის ეზოში. მაქსიმ დენიც აღტაცებით უმღე- როდა ამ ზონზროხა კაცის გადაქცევას პაწია ჩიტად, რომელიც მუსრს ავლებს ფუტკრებსა და რომლის სახელსაც ჩვენი ძვირ- ფასი მასწავლებელი ატარებდა. ამ პოემიდან მხოლოდ ერთი სტრიქონი დამამახსოვრდა; მისმა სინატიფემ არ შეიძლება თქვენც არ მოგხიბლოთ:

Versicolorque merops, apibus certissima fessis  
Pernicies<sup>2</sup>...

ზედამხედველ პელისიეს ექვიანი მზერის ქვეშ ასე ვუზნია- რებდით ერთმანეთს მზიარულსა თუ სერიოზულ აზრებს. მაგ- რამ ამ რჩეულ საზოგადოებას მალე მომაცილა გრძნობამ, რომელსაც უცნაურის მგზნებარებით მივეც თავი. ბიძგი სულ უმნიშვნელო შემთხვევამ მომცა. მამაჩემმა შემთხვევით შენიშ-

<sup>1</sup> სიტყვა მეზანეი (Mésange) ფრანგულად წიწკანასაც ნიშნავს.

<sup>2</sup> „პაწია წიწკანა ჩიტი, ფრთადალილ ფუტკართა რისხვა“.

ხა, რომ ძალიან მიჰქირდა გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა, თუმცა ამ ამოცანებს ძნელი სულაც არ ეთქმოდა. ყველაფერი ჩემს უფიცობას მიაწერა, იფიქრა, შეთვისებული არა აქვს საფუძვლები იმ მეცნიერებისა, სადაც ქეშმარიტებანი ერთიმეორიდან გამომდინარეობენო და რომ ეწამლა რამეთი, ბატონ მეზანესა სთხოვა, ჩემს ბიჭს გეომეტრიაში კერძო გაკვეთილები ჩაუტარეთო. ბატონი მეზანეც დათანხმდა და კვირაში ორჯერ, ხუთის ნახევრიდან ექვსის ნახევრამდე ჩემს ამხანაგ ტრისტან დერესთან ერთად მამეცადინებდა. ამ ტრისტან დერეს ცნობით კი ვიცნობდი, უკვე ექვსი თვე იყო, რაც ერთ კლასში ვსწავლობდით, მაგრამ დაახლოებული არ ვყოფილვარ მასთან. დიდი-დიდი თითო-ოროლს სიტყვა გვეთქვა ერთმანეთისათვის ხატვის გაკვეთილებზე, როცა ის ძალიან უყურადღებოდ იჯდა, მე კი გულმოდგინედ ვიხატავდი ერსილიას\* თავს. დერე თუმცა ჩემი ხნისა და ჩემი სიმაღლისა იყო, მაგრამ უფრო ყმაწვილი ჩანდა. მისი სახის ნაკეთებს მაინცდამაინც არ დაეკვირვებივარ, მაგრამ მისი წითელი, თითქოს შეღებილი ტუჩები თვალს ახარებდა. შემჩნეული მქონდა მისი წაბლისფერი, დატალღული თმაც, ალაგ-ალაგ ოქროსფერი რომ გადაჰკრავდა, მხიბლავდა მისი გრძელი წამწამები, მქრქალი პირისახეცა და პანტურა ყურებიც. ცივი და უხეში მოეჩვენებოდა კაცს, ღიმილი რომ არა, სახეს ასე ხშირად რომ უნათებდა. ფრჩხილებს იმ ზომამდე იკვნეტდა, ლამის სისხლი სდიოდა და ხელებიც უშნო შესახედავი ჰქონდა. თვითონ კი ისეთი მოხდენილი იყო და ისეთი წერწეტი ტანი ჰქონდა, ერთბაშად ვერც კი შეამჩნევდით კუნთმაგრობას. მის სიჩაუქეს არ შეიძლებოდა არ მოვეხიბლე, მე ხომ სიყრმიდანვე ანტიკურ ქანდაკებათა ტრფიალი ვიყავ. ყველანი ერთხმად ვაღიარებდით, რომ სპორტში ყველასა გვჯობნიდა და ჩვენს შორის ისე გამოიყურებოდა, როგორც ქეშმარიტი ინგლისელი. მოწაფეობა იმხანად სპორტს მაინცდამაინც არ მისდევდა. ფიზკულტურაზე წარმოდგენაც არ გვქონდა; ტანვარჯიშის გაკვეთილებს, მეხანძრეთა რაზმის კაპრალი რომ გვიტარებდა, ცოტა ვინმე თუ ესწრებოდა. ზიზლით ვუყურებდით სკოლის ეზოში გამართულ ორძელს. მაგრამ ზოგიერთი თამაში, მაგალითად, დაჭერობანა და ბურთაობა, ჩვენს შორის უძლიერესთ თავის გამოჩენის



საშუალებას აძლევდა. დერე იმეებში პირველობას მხოლოდ  
ლა ბერთელიერს უწილადებდა. მე გავუბრძოდი ამ ათლეტურ  
თამაშებს; არც თავის გამოჩენის იმედი მქონდა, არც საიმისო  
შიდრეკილებები გამაჩნდა და დერეც სულ არ იზიდავდა ჩემს  
ყურადღებას. მაგრამ გეომეტრიის პირველ გაკვეთილიდანვე,  
ბატონმა მეზანქმა ცალკე რომ ჩაგვიტარა, ერთბაშად შევეთ-  
ვისე.

კაცმა რომ თქვას, ეს გეომეტრიის გაკვეთილები ვერაფერი  
შვილი გამოდგა. ბატონი მეზანქი ერთად გვამეცადინებდა მე  
და დერეს, თუმცა ის სენ-სირში გამოცდების დასაჭერად ემზა-  
დებოდა, მე კი გეომეტრიის ინჩიბინჩი არ გამეგებოდა. გაკვე-  
თილები კოლეჯის ერთ-ერთ საკლასო ოთახში გვქონდა ხოლ-  
მე, სამხრობისას; ვცდილობდით: გამოგვეთვალა სფეროების  
წრეხანთ სიმრავლე და გამოგვეცნო, რას უდრიდა A-ს მიუ-  
შატოთ B. ვხაზავდით ფიგურებს შავ დაფაზე და პურთან და  
შოკოლადთან ერთად ცარცის მტვერსაც ვყლაპავდით ხოლმე.  
გვერდით ოთახში კი კონსერვატორიის ლაურეატი ბატონი  
რენიე ლა ბერთელიერსა და მორლოს ვიოლინოზე დაკვრას  
ასწავლიდა. იქიდან ისეთი ხმები გამოდიოდა, კატების კონ-  
ცერტი გეგონებოდათ. ეს მქაზე ხმები ბატონ მეზანქს თვალის  
დახამხამებაში ძილსა ჰგვრიდა და ისიც ხვრინვას იწყებდა.  
მასწავლებლის სიმშვიდე რომ არ დაეფრთხო, დერე ხმადაბლა  
მესაუბრებოდა და არ ვიცოც რატომ, მის სიტყვებს მუდამ ალტა-  
ცებაში მოვყავდი. ხშირად მელაპარაკებოდა თავის ყელსახვე-  
ვებზე, ტრაბახობდა, ჩინებული აჭრილია და საუცხოო ფერი  
აქეთო; მერე ცხენოსნობის ამბავს მოაყოლებდა და მეუბნე-  
ბოდა, ცხენოსნობაში ისე გავიწაფე, რომ არდადეგების დროს  
დედაჩემი უთუოდ ლაფშას მაჩუქებსო. ლაპარაკი რომ მო-  
ბეზრდებოდა და იფიქრებდა, გაკვეთილი ერთობ გაგვიგრძელ-  
დაო, ბირლიად მძინარ მასწავლებელს მტვრიან ჩვარს დააფერ-  
თხავდა ხოლმე. ცარცის ღრუბელი ბატონ მეზანქს სულს უხუ-  
თავდა და საწყალს მყისვე ეღვიძებოდა.

გეომეტრიისა ბევრი არაფერი მისწავლია ამ გაკვეთილებ-  
ზე, მაგრამ მეგობრობის სიტკობება კი უხვად ვიგემე. დერეს  
ნახვა, მასთან საუბარი და სიცილი უზომო ნეტარებას მგვრი-  
და. მას შემდეგ სულ მის გვერდით ყოფნასა ვცდილობდი და

თუ რამ თამაშს წამოიწყებდა, მეც ვღებულობდი მონაწილეობას. როცა მოდაში ოჩოფეხებით სიარული შემოვიდა, დერემ, ძულამ მოდას რომ იყო აყოლილი, მაშინვე შეიძინა ერთი წყვილი. მეც მივბაძე და მასავით გრძელ ოჩოფეხებზე შევდექი, თუმცა ჩემი მოუხეშაობის ამბავი რომ ვიცოდი, შიშით გული მეღეოდა, ვაითუ ჩამოვეარდე-მეთქი. იმ დღიდან მოკიდებული აღარც დაქერობანა და აღარც ბურთაობა არ გამიცდენია, თუმცა გამოგიტყდებით და ეს თამაშობანი მაინცდამაინც გულზე არ მეხატებოდა. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, და გაცემა მულამ მიყვარდა, მაგრამ საამისო შემთხვევა არ მომცემია. მას შემდეგ კი, რაც დერეს დაუუმეგობრდი, ამის საბაბიც უხვად მომცა. შევნიშნე, რომ დერე ქალაღებზე ჭკუასა კარგავდა და ვჩუქნიდი საუკეთესო რვეულებს, რაც კი მოიძებნებოდა ქალბატონ ფუზელიეს მალაზიაში. მთლად ავაგსე თეთრი აბრეშუმის, შავი ტყავისა და ლავალიერის ტარსიკონისყდიანი რვეულებით, მოოქრული შემონაჭრები რომ ჰქონდათ. ერთხელ ჯიბის სამელნე და მაჩვზღარბას ეკლისაგან გაკეთებული კალმისტარიც ვაჩუქე, რომელსაც ბოლოში ვერცხლის ბურთულა ჰქონდა მიმაგრებული. ამეებში იმდენ ფულს ვხარჯავდი, რომ აღარაფერი მრჩებოდა. დედაჩემს უყვირდა, ფული ხელში ასე სწრაფად რომ მადნებოდა და კიდევ თავს ვაბეზრებდი ფულის თხოვნით:

დერეს, თუმცა არც ძალიან გონიერი იყო და არც შრომისმოყვარეობა ეთქმოდა, მიხვედრილობა არ აკლდა, თავსაც ადვილად აწონებდა ყველას და ახერხებდა კლასის ელიტას შეჭკედლებოდა და დამკვიდრებულყო იმათ შორის, ვისაც ჩემი პალეონთოლოგი ნათლია „პრიმატებს“ უწოდებდა. მასთან მეგობრობით გათამამებულმა მეც ქეზი გამოვიბი და შევეცადე ბობოლებში გავრეულიყავ, მაგრამ საამისოდ ტყავიდან გამოძრომა დამჭირდა, რაკი დერეს მარიფათი არ მომდევდა.

მასთან ყოფნას მე უფრო ვცდილობდი, ვიდრე ისა და გეომეტრიის გაკვეთილების შემდეგ შინ, სენ-დომინიკის ქუჩაზე მივაცილებდი, თუმცა გზა აქეთ არა მქონდა. ერთ საღამოს, კრუა რუჟის გზაჯვარედინზე ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელს, მეხანძრეთა კაპრალ დიუულიუეს გადავეყარეთ.

— მოდი, დავათროთ, — მითხრა ყურში დერემ.

მერე ქალიშვილივით მორცხვ ახალგაზრდა ჯარისკაცს მიუახლოვდა, მთლად აქარხლებული ღუქანში შეათრია და არყითა და სიგარეტებით გაუმასპინძლდა. ჩვენც ავწიეთ ჭიქა მასწავლებლის სადღეგრძელოდ. დერემ მეხანძრე ვერ დაათრო, მე კი საშინელი თავის ტკივილი ამიტეხა. მეორე ღღეს მერილენდის სიგარეტი მომაწევინა. ამ სიგარეტმა გული ამირია და სულ თავბედი მაწყევლინა. მოკლედ, ჩემს მეგობარს ყოველდღე ახალ რასმე ვამჩნევდი ქების ღირსსა და მოსაწონარს.

დერეს გვარში მამით-შვილამდე ყველანი ოფიცრები იყვნენ და თვითონაც არმიაში შესვლას აპირებდა. მაშინ ჩემს თავს მეც სამხედრო საქმისადმი მიდრეკილება შევნიშნე, თუმცა აღრე ეს ამბავი აზრადაც არ მომსვლია. უკვე ლეიტენანტად, კაპიტნად მომქონდა თავი და მეგონა, მეც ისეთი გმირთაგმირი, ლმობიერი და მელანქოლიური ვიქნებოდე, როგორც ალფრედ დე ვინის ოფიცერი\*. მანამ კი ამაოდ ვეძებდი შემთხვევას, რაიმე გმირული საქციელით დერესათვის ჩემი უზომო სიყვარული დამემტკიცებინა.

ერთ ღღეს ბერძნულ პოეზიაზე დაწერილ თხზულებაში ფილიპის ძის, ამინტორის ეპიტაფია ამოვიკითხე. ჭაბუკი ბრძოლაში დაღუპულა, რადგან თავისი ფარით ამხანაგი დაფარა. ამას რომ ვკითხულობდი, ტანში ჟრუანტელმა დამიარა და სურვილი აღმეძრა, ამინტორის მსგავსად მეგობრისათვის მეც გამეწირა თავი.

მაგრამ ეს რაინდული მეგობრობა თვალის ერთ დახამხამებაში გაცამტვერდა. შემოდგომის ერთ მშვენიერ ღღეს, დიდ დასვენებაზე, როცა ბურთაობა დავაპირეთ, დერემ და ლა ბერთელიერმა არჩევან-არადნობა იგდეს ხელთა და თავ-თავიანთი გუნდის წევრები აირჩიეს. დერემ ეტყობა, გაითვალისწინა, რომ დიდი ვერაფერი შვილი მოთამაშე ვიყავ და თავის გუნდში არ ჩამრიცხა. მაშინვე ჩამოვეცალე გულმოსული; დერეზე ისე წამიხდა გული, რომ მასთან განშორება სანანებლადაც არ დამრჩენია. დარწმუნებული ვიყავი, ჩემს ღღეში აღარ შევეურიგდები-მეთქი.

და მეგობარზე, რომლის გულისთვისაც გუშინ თავის გაწირვას ვაპირებდი, სამუდამოდ ავიყარე გული.

Sanguineis frontem moris et tempora pingit<sup>1</sup>.

ვერგილიუსი, ეკლ., VI.

— პიერს ველარა ვცნობ, — თქვა დედაჩემმა, — მეტად უცნაური, ცვალებადი ზნე დასჩემდა. სულ უმიზეზოდ ხან მხიარულობს და ხან მწუხარებაში გადავარდება.

— სუფთა ჰაერი და მოძრაობა სჭირდება, — უთხრა მამაჩემმა.

შერე მოითათბირეს, სოფელი მოუხდებოდა და რაკი თვითონ პარიზიდან გასვლა არ შეეძლოთ, აგვისტოს თვეში პანსიონერად გაძაგზავნეს ქალბატონ ლაროკის დის შვილიშვილთან, გრანვილის მახლობლად, სენ-პიერში რომ მისდევდა მიწათმოქმედებას.

რკინიზგა მაშინ მარტო კარანტანამდე მიდიოდა. ამ პაწაწინა ხავსადგურის მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ძველ კედლებზე მხიარდობილი, მზეზე გარჟკული მემკვამნეები მუშაობდნენ. დილიჯანსმა აქედან გრანვილამდე მიმიყვანა.

ბიძია გონზი იქ მიმელოდა. გარეუბნის ერთ-ერთ დუქანში ორ-ორი კათხა სიდრი დავლიეთ და ცოტა არ იყოს, თავის ტკივილი ამივარდა. მერე ჩემმა მასპინძელმა თავის ორთვალათი სენ-პიერის სოფელში მიმიყვანა. ბიძია გონზი ამ სოფლის მერი იყო და ნოყიერი მიწდვრებიც ჰქონდა. ეს მიწდვრები მას გაურჯელად აძლევდნენ სარჩოს.

ამ სახელაქლავა, ჩასკენილ კაცს ძალიან ემარჯვებოდა სმა და ქოხების მოხვეჭა; წერა-კითხვა ძლივს იცოდა, მაგრამ კანონებში ნოტარიუსზე უკეთ ერკვეოდა. თუმცა სამხრეთულ კილოზე კი უქცევდა, მაგრამ ბეროლდ დე ვერვილივით საუცხოო მთხრობელი გახლდათ. მისი ცოლი, კაფანდარა და გალეული დედაკაცი, თავის ხანთან შედარებით მოხუცებულად გამოიყურებოდა. თავდაჭერილობით, ჩაცმულობითა და მიხრა-მოხრით ნამდვილ მონაზონს ჩამოჰგავდა, როგორც იმდ-

<sup>1</sup> შავი მავკლის წვენით შეუღება შუბლი, საფეთქლები...

როინდელ შეძლებულ გლეხ ქალთა უმრავლესობა. მათი ერთადერთი ქალი, მათილდა, ჯან-ლონით მამას დამსგავსებოდა. შეიძლება ლამაზიც იყო ეს ლოყებდა-აქა-სოფლის გოგო, მაგრამ გემოვნებაზე ცოტა მწყურალად გახლდათ და ტანთ ცუდად ეცვა. ისე კი, მისი მშობლებისა არ იყოს, უჭკუობა არც მას ეთქმოდა. მაგრამ მე ზედაც არ ვუყურებდი; მორცხვი და ველური ჩემს მასპინძლებს მხოლოდ ჭამის დროს ვხედავდი. სძა-ჭამას კი ჩემის აზრით უზომოდ დროს ანდომებდნენ. ყავასა და ლიქიორს, სოფლელებმა რომ იციან, ისე ზანტად წრუპავდნენ და მათ შემხედვარეს გული მეღეოდა. ერთი სული მქონდა, კვლავ განვმარტოებულიყავ, ველად გავჭრილიყავ და ჭრელ-ჭრელ ოცნებებისათვის მიმეცა თავი.

სოფელს სამხრეთით შარაგზა ესაზღვრებოდა. ჩრდილოეთით კი ერთი ტბა ეკრა, რომლის თავზედაც წყვილ-წყვილად ფრენდნენ მოფარფატე თეთრი პეპლები. წყლის პირას პაწია ჭალა იყო, სადაც თითო-ოროლა მაღალი ხეც ხარობდა. ლამაზი ხეები იყო და მეც აღტაცებით შევეცქეროდი. ამ კორომიდან ხუთას ნაბიჯზე ღრმა თხრილებით შემოსაზღვრული სენ-პიერის მიტოვებული კოშკი აღმართულიყო. თხრილების თავზე საღამოობით ძირიადი მწერი უვლიდა ფერხულს, თვითონ კოშკში კი ჭკებს დაედოთ ბინა. ჭერი ჩამოქცეულიყო და სართულების სიმაღლეს მხოლოდ კედლებზე შერჩენილი საკვამლე მილებიდა ცხადყოფდა. აქ ხშირად მოვდიოდი და დავცოცავდი ნანგრევებში, სადაც ქარი დათარეშობდა.

ისე გამოვიცვალე, რომ თვითონაც ველარა ვცნობდი ჩემს თავს. მარდად დავრბოდი ჯაგებში და მსიამოვნებდა კიდევ, ეკალბარდებისაგან მუხლები მთლად გადაყვლეფილი რომ მქონდა. თუმც უწინ მარჯვე არ მეთქმოდა, ახლა კატასავით მარდად ვცოცავდი ხეებზე, მუხის მაგარ და დიდებულ ტოტებს შორის მოვიკალათებდი, გოლიათ ხეს ცად რომ აეზიდა და მთელ დღეებს იქ ვატარებდი უძრავად და უფიქრელად. ან არა და, ღრმად ვიჭრებოდი ტყეში, ხავსზე გულადმა გავიშოტებოდი და ვთვლემდი ფოთოლთა ამო შრიალში.

ერთ დღეს ფეხით წავედი გრანვილამდე. ეს დაბა სენ-პიერიდან ორი ლიეთი იყო დაცილებული. საავდროდ მოქუფრული ცის ქვეშ მივბიჯებდი; ქარს ზღვიდან მარილის სუნი მოჰქონ-

და. სულ მოვიარე ის ადგილები, სადაც თითქმის საუკუნის წინ ახალგაზრდა და ლამაზი ქალბატონი ლაროკი ვაშლის ხეს-ავით ტურფად ყვაოდა. ვათვალთვლებდი ძველ კედლებს, რომლებშიაც შეუნებმა თავიანთი ხიშტები შეარქვეს, საფეხურები რომ განეკეთებინათ და როგორმე ქალაქში შეედწიათ<sup>1</sup>. მოაჯირზე იდაყვდაყრდნობილი დიდხანს გავცქეროდი ჭიფერ კლდეებს, წყალმცენარეებით მოფენილ სანაპიროს; უეცრად მოვარდნილი ტალღა ნაპირზე ქაფსა ფენდა, ქარიც წყლის შხეფებს აქეთ-იქით ისროდა. ვიდრე უსიტყვოდ და თვალს არ ვაცილებდი ნაღვლიან პორიზონტს; ეს მხარე ისეთი პირქუში მეჩვენა, როგორც კიმერიელთა ნაპირი იყო, რომლის შესახებაც ბებერი ჰომეროსი მოგვითხრობს.

გულს ნაღველი შემომამწვა და მოუსვენრობამ შემიპყრო. ვქვითინებდი და სიკვდილს ვნატრობდი; იმიტომ კი არა, რომ ცხოვრებამ დამალა და თავი მომაბეზრა, იმიტომ, რომ სიცოცხლე ერთობ ლამაზი და მომნიბვლელი მეჩვენებოდა და არ შემეძლო მუდამ მასთან გადაჯაჭვული მისი და დაღობილი სიკვდილიც არ შემეტკბო. იმ ზომამდე ვეტრფოდი დედა ბუნე-ბას, რომ მსურდა მის წიაღში დავნთქმულიყავ. ჩემს დღეში არ მჩვენებია იგი ასე საამურად. თბილი და სურნელოვანი ჰაერი ბეკრდში ჩამდიოდა; საღამოს სიო სახეზე მელამუნებოდა და ტანში უცნაური ჟრუანტელი მივლიდა.

ბიძია გონზს ეგონა, მოწყენილი ვიყავი, - თავისი ძველი სანადირო თოფი მათხოვა და დამარიგა, ნადირს თუ შეხედე, დახოცე და მიწ გაერთეო. მეც ავდექი და ძველ კოშკს მივაშურე; იქ ჭკები ბუდობდნენ და იმათ ავუტეხე სროლა. ერთი ჩამოვაგდე კიდევ. დავინახე, როგორ ჩამოვარდა ძირს ფრთებგახვევებული. ერთი ბუმბული მოსწყვეტოდა და უკან მოსდევდა ტრიალ-ტრიალით. ნანგრევების სხვა ლამაზი ბინადარნიც აიშალნენ, შეშინებულნი თავს დამტრიალებდნენ და გამყინავად გაჰკიოდნენ. ეს ყვილი წყევლა-კრულვასავით ჩამესმა ყურში. თავზარდაცემული გამოვიქეცი იქიდან. ჩემი დანაშაული მევე მაძრწუნებდა. დავიფიცე, ჩემს დღეში აღარ მოვკლავ არც ნადირს და არც ფრინველს-მეთქი.

<sup>1</sup> იხ. „პატარა პიერი“ (ავტ. შენიშვნა);

ოტა ხნის შემდეგ ვერგილიუსის წიგნი ამოვიღე, ჩემოდანში რომ მეგდო და კითხვას შევუდექი; კიდევ ბევრჯერ გადავიკითხე, ცრემლმორეული გულში ვმღეროდი მის ლექსებსა და ტანში ნეტარების ჟრუანტელი მივლიდა. მინდორ-მინდორ სირბილს თავი ვანებე, საამურმა გარინდებამ მომიცვა და ჩემს მღელვარე, შფოთიან დღეებსაც მშვიდი დღეები მოჰყვა.

ერთხელ ჩემს საყვარელ ტყეში ვთვლემდი მუხის ძირას, ხეთა ხშირ ფოთლებს მზე თავის ოქროს ისრებით ცხრილავდა, ახაზდად ვილაცის შეხებამ გამომალვიდა. ვილაც ხელს მადებდა სახეზე. ეს ჩემი მასპინძლის ასული, მადმუაზელ მათილდა იყო; მაყვალს მასრესდა ლაწვებზე და საფეთქლებზე და არ უწყოდა, რომ ეგლეს ჰბაძავდა, უტურფეს ნაიადას. ისიც ხომ ამ ძეწამული წვენით უთხუპნიდა სახეს ჩაძინებულ სილენს. მაგრამ მათილდა გონზმა ჩემი უნიჭობის ამბავი კარგად იცოდა და არ მთხოვია, როგორც ეგლემ ღვთაებრივ სილენს, ერთი ის სიმღერა მიმღერე, ასე რომ ხიბლავს მწყემსებს, ფაგნებს და გარეულ მხეცებსო. ჩემს გაღვიძებას არც დალოდებია, ზე წამოიჭრა და ფიცხლად მოკურცხლა დამცინავი კისკისით.

## XII

### ბაქალავრის ხარისხი

ბატონმა დიუბუამ სიყრმიდანვე ხელოვნებისა და ლიტერატურის შესასწავლად გადადო თავი. ბერძნულის სწავლასაც მიჰყო ხელი, რომ ორიგინალში წაეკითხა ჰომეროსი და სახელგანთქმულ კლავიეს\* მიეზარა შეგირდად. როცა მე გავიცანი, გატაცებით უყვარდა ანტიკური ხელოვნება და პოეზია და ცდილობდა, ჩემთვისაც შეეყვარებინა იგი. ხანდახან გადმოიხრებოდა წიგნზე, ხელში რომ მეჭირა და ბრძნულ დარიგებებს შაძლევდა; მის ნათქვამს ისე ვერ გავიხსენებ, თვალწინ რომ არ დამიდგეს ცნობილი ჭანდაკება სატირისა, ახალგაზრდა ფაგნს რომ ასწავლის ლერწმის სალამურზე დაკვრას:

გვერდით მომიჯდა ტლუ, უბირ ყრმას და  
ტბილ სალამურზე მასწავლა დაკვრა.

ბატონმა დიუბუამ, ვინკელმანზე ჰკუას რომ კარგავდა, მათხოვა ამ სახელგანთქმული არქეოლოგის წიგნები და რით საწყალი დედაჩემი დიდად შეაშფოთა; ქალბატონი ნოზიერი შიშობდა და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ეს სქელტანიანი წიგნები, რომელთა კითხვითაც თვალებს ვიწყალებდი, მეცადინეობაზე გულს ამაყრევიებდა.

სწავლაზე მართლაც გული ამიცრუვდა. როცა ნატიფი და კუთილშობილური გემოვნების პატრონსა და საოცრად განსწავლულ ბატონ დიუბუას ჩემი ფილოსოფიის მასწავლებელს, ზედშიწევნით პატიოსან, პირდაპირ, მაგრამ პოეზიისა და ხელოვნების გრძნობას მოკლებულ კაცს ვადარებდი, ჩემდა სავალალოდ გული აღარ მიმდიოდა მშრალ და ულაზათო სწავლებაზე და მის სარგებლიანობასაც ვერა ვგრძნობდი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ კოლეჯში ყველაფერი სწავლას მძულებდა და სიცოცხლეს მიმწარებდა. ვერაფრით ვერ შევეგუე ჯილდოებისა და სასჯელების ბითურულ სისტემას, ხასიათებს რომ აკნინებს, მოზარდებს ჰკუას ურევს და უყალბებს გონებას. ახლაც იმ აზრზე ვდგევარ, რომ ყრმათა შორის ქიშპის ჩამოგდება საძრახს საქმეა; ეს ნიშნავს, ისინი ერთმანეთს გადაჰკიდო. მაგრამ კოლეჯში დღეს ყველაზე უფრო ის მიშხამავდა, რომ ირგვლივ სამარცხვინო სიბინძურე სუფევდა; ჰუჰყიანი მაგიდები და კედლები, ცარცის ნამსხვრევეები და მელნის ლაქები კლასს ნამდვილ სოროს ამსგავსებდა. ზამთარში, როცა თუჯის ღუმელი წითლდებოდა და საზარელ სიმყრალეს ავრცელებდა, პირდაპირ გული მერეოდა და მთელი ძალ-ღონის დაძაბვა მიხდებოდა, რომ ზიზღი დამეთრგუნა და სილამაზითა და დიდებით დავმტკბარიყავ; ასეთ დღეში მყოფს, ცხადია, მიჭირდა წარმომედგინა ტურთა კასანდრა, ცისკენ ცეცხლოვანი შხერა რომ მიუჰყრია. არც მისი დარდები და არც პოლ-ემილის ტრიუმფი ჩემს სულსა და გულს არაფერს ეუბნებოდა. ჰოდა, მოგვიანებით ყველაფრის თავიდან სწავლა მომიხდა. წიგნებს ჩავუჯექი და მარტოკამ ვისწავლე ის, რაც აგრე ცუდად მასწავლეს მოწაფეობისას. ჩემი მასწავლებლების გასამართლებლად უნდა მოგახსენოთ, რომ საჯარო სწავლებას მაინცდამაინც გულს ვერ ვუდებდი. ჩემს თანატოლებზე უჰკუო არ ვყოფილვარ, იქნებ ზოგიერთ მათგანს კიდევაც ვკობდი,



მაგრამ გონება სხვანაირად მქონდა მომართული; ზოგ რამეს ჩემი ხნისათვის გასაოცარი ძალითა და სიღრმით ვწვდებოდი; სხვა რამეები კი, ადვილად რომ ითვლებოდა, თავში არაფრის დიდებით არ შემდიოდა. ამიტომ ჩემი ცოდნაც არცოდნას ვერ მხიზლავდა. მე მუდამ წყნარი და თვინიერი ბიჭი ვიყავ, მაგრამ ეს პირქუში სიწყნარე იყო, სიყრმითვე მარტოობის მძებნელი. ტყის ბილიკის, ველად მოწანწკარე ნაკადულის გახსენება მერხზე მჯდომს თრთოლასა მგვრიდა და ისეთ სიყვარულსა და სინანულს აღმიძრავდა გულში, რომ სასოწარკვეთას ვეძლეოდი.

იქნებ ნაღველით ავადაც გავმხდარიყავ ამ დაწყევილი კოლეჯში, ერთ თვისებას რომ არ გადავერჩინე, თვისებას, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვა. გონება სიყრმითვე ისე მქონდა მომართული, რომ სასაცილო რამეების შემჩნევა ძალიან მემარჯვებოდა. ჩემი მასწავლებლები: კროტუ, ბრარი და ბოსიე თავიანთი სასაცილო და მანკიერი მხარეებით კომედის გმირებს მაგონებდნენ. თვითონაც არ უწყოდნენ, ისე იქცეოდნენ ჩემთვის მოლიერებად; მოწყენილობას მიქარებდნენ და ამის გამო დღესაც მათი დიდი მადლიერი ვარ.

ისეთი ახირებული მეხსიერება მქონდა, რომ კლასში ახსნილ გაკვეთილს ვერ ვითვისებდი. ჩემი ამხანაგები სწრაფად სწავლობდნენ ყველაფერს და ასევე სწრაფად ივიწყებდნენ, მე კი, მათგან განსხვავებით, ნელა ვითვისებდი, მაგრამ სამუდამოდ ვიმახსოვრებდი იმას, რაც ერთხელ ნასწავლი მქონდა. ასე რომ, მუდამ ძალიან გვიან გამოვდიოდი განსწავლული. საბოლოო ჯამში ეს თვისება ჩემთვის სასიკეთოც გამოდგა; მართალია, ბევრჯერ ჩავფლავდი გამოცდებზე, წარმატება არ მელირსა კონკურსებში, აგრერიგად რომ რყენიან ყმაწვილის გონებას, მაგრამ მისი წყალობით, რაკი სხვა რამ ღირსება არ გამაჩნდა, ცინცხალი გონება მაინც შემრჩა. კლასში ვერა და ვერ ვივარგე, საჯარო სწავლებისათვის გაჩენილი არ ვიყავ, ამგვარი სწავლება მხოლოდ მეხსიერებას წვრთნის, მექანიკურ მეხსიერებას და არა ესთეტიკურ მეხსიერებას, ღვთაებრივ მხეშოსინეს, მუხათა დედას. მაგრამ მოიცათ; იქნებ ასე რომ ვლაპარაკობ, ფონტანესადმი ღვარძლი ისევ გულში მაქვს ჩახვეული. მეგობრის ბრწყინვალე მეხსიერება, კეისრის გამარ-

ჩვენებივით ელვისებური, კადნიერი და მოზეიმე, ალტაცებითა და შურით მავსებდა.

თექვსმეტი წელი რომ შემისრულდა, რის ვაივავლახით ჩავბარე ის ბითურული გამოცდა ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად. ეს გამოცდა ისეა მოწყობილი, რომ ერთნაირად ამცირებს კანდიდატებსაცა და გამომცდელებსაც. ხარისხის მოსაპოვებლად ზოგი ზუსტ მეცნიერებაში აბარებს გამოცდას, ზოგიც — ფილოლოგიაში. მე ფილოლოგიაში მიწვედა გასვლა; ეს გამოცდა კი პირველზე უარესი იყო, რადგან საცოდავ ყმაწვილს რომ ჰკითხოთ, რას წარმოადგენს პნევმატური მანქანა, ანდა ჰიპოტენუზის კვადრატი, ეგ კიდევ არაფერი, მაგრამ სთხოვო გიამბოს, რა დამოკიდებულებაშია ჰელიკონელ ბუზებთან, ეს უკვე საშინელი მკრეხელობაა. ორი დღე გვეძლეოდა ჩვენი ცოდნის გამოსამზეურებლად; პირველ დღეს წერილობით ვამუდავენებდით ჩვენს განსწავლულობას, მეორე დღეს კი — ზეპირ.

სწორედ ამ მეორე დღეს, დილით, ჩემმა საყვარელმა დედამ ასი სუ მომცა და მითხრა: სორბონის მოედანზე ისაუზმე და აღარ გამოგრჩება შენს გვარს როდის გამოიძახებენო. მაშინ რომანტიკულად გახლდით განწყობილი, ეს ასი სუ შევიანახე, ჯიბეში რომ გროშები მქონდა, იმით პური ვიყიდე და მის საჭმელად ღეთისმშობლის ტაძრის კოშკზე ავედი. აქედან მთელი პარიზი ხელისგულივით მოჩანდა. სახურავებს, გუმბათებსა და სამრეკლოებს შორის მდორედ მიედინებოდა მდინარე სენა და სადღაც შორს იკარგებოდა რძისფერ ნისლში, მწვანე ბორცვებს შორის ვერცხლისფრად გაძაფული. ჩემს ფერხთით ათას ხუთასი წლის შრომა-რუდუნება, დიდება, ღვაწლი, დანაშაული და გაჭირვება გაწოლილიყო და დიდ საფიქრალს უჩენდა ჩემს ჯერაც გაუწაფავსა და უმწიფარ გონებას. არ ვიცი, რაზე ვოცნებობდი, მაგრამ როცა ძველ სორბონში მივედი, ჩემი ჯერი უკვე გასული დამხვდა. უნივერსიტეტის დარაჯს ჯერ ასეთი რამ არ მოსწრებოდა. ბოდიში მოვიხადე, ვუამბე, რაც შემემთხვა. არავინ დამიჭერა. სიმართლე დაუჯერებლად ეჩვენათ და სიის ბოლოს მიმაწურეს. გამოცდაზე რომ შევედი, გამომცდელები დაღლილები იყვნენ და პირქუშად გამოიყურებოდნენ. მაგრამ მაინც ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მითხრეს, ღეთის არსებობა დაგ-

ვიმტყიცო და მეც წამში დავუმტყიცე. ერთმა გამომცდელმა, სახელად ჰაზმა, მეტად განსწავლული რომ ჩანდა, თავის კოლეგებზე მეტი გონებამახვილობა გამოიჩინა. სანამ ვუბასუხებდი, სკამზე იყო გადაწოლილი, ფეხი ფეხზე გადაედო, მსუქან კანკებზე ხელებს ითათუნებდა და ისე მისმენდა. ბოლოს მკითხა, რონა ონტარიოს ტბას თუ ერთვისო. არა ვერ შევკადრე იმის შიშით, უზრდელობაში არ ჩამომართვან-მეთქი და ვდუმდი. მაშინ მისაყვედურა, გეოგრაფიაში მოიკოტლებ, ყმაწვილოო და გამოცდაც ამით გათავდა.

წამიც და, ფერხთაგან მტვერი მოვიშორე ძველი სორბონის ზღურბლზე.

### XIII

#### როგორ გავხდი აკადემიკოსი

სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდებოდა. ეს ჩვენთვის, ფილოსოფიის კლასის მოსწავლეებისათვის, კოლეჯის უკანასკნელი წელი იყო. მომავალი თავისუფლება ყველას გვახარებდა, მაგრამ ვინც სხვაზე ჰკვიანი იყო, იმასაც ფიქრობდა, მალე ძველ ჩვეულებებს უნდა გამოვეთხოვოთო და გული ეთანადრებოდა. მაქსიმ დენიმ, ლათინურ ლექსებში ბადალი რომ არ ჰყავდა და ბუნებითაც მოსიყვარულე ბიჭი იყო, ერთ დღეს, დიდი დასვენების დროს აკაციების ქვეშ გაგვიხმო და გვითხრა:

— მალე სოფელ-ქვეყანაში გავალთ და დავიფანტებით; ყველა თავის გზას მონახავს. მაგრამ კოლეჯში ბევრი მეგობარი გავიჩინეთ და ეს მეგობრობა ქარს არ უნდა გავატანოთ. სიყრმეში ჩასახული მეგობრობა მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გავყვეს. კოლეჯის ზღურბლზე რომ დავაგდოთ, არ იქნება; ეს ჩვენი ყველაზე უფრო ძვირფასი განძის წყალში გადაყრას ნიშნავს. მოდით, ნუ ჩავიდნთ ამ შეცდომას; ახლავე, კოლეჯშივე ჩამოვაყალიბოთ ცენტრი, სადაც კვლავ შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს. რა შეიძლება ვუწოდოთ ამ ცენტრს, მეგობრებო, — კლუბი, წრე, საზოგადოება, აკადემია, ეს თავად განსაჯეთ.

ეს წინადადება ყველას მოეწონა. მაშინვე ბჭობას შევეუდეთ და მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ რაიმე საზოგადოების,

წრის ან კლუბის დაარსება დიდძალ თანხებს, დიდ ორგანიზაციულ ნიქსა და კანონის ცოდნას მოითხოვდა. ჩვენ კი, რიტორიკოსებსა და ფილოსოფოსებს არც ერთი არ გავგაჩნდა, არც მეორე და არც მესამე. მართალია, ფონტანე კისრულობდა, სამ თვეში საუცხოო წრეს შეექმნო, მაგრამ მისი სახარბიელო წინადადება რატომღაც უკუაგდეს. უმრავლესობამ აკადემიას დავეჭირეთ მხარი, თუმცა როგორი უნდა ყოფილიყო ეს აკადემია, კარგად არც კი გვეჩონდა წარმოდგენილი. მაგრამ სიტყვა „აკადემია“ ჩვენს პატივმოყვარეობას ესალბუნებოდა.

ერთხანს გაცხარებით ვკამათობდით; ბოლოს იზამბარმა, ფილოსოფიის კლასში რომ სწავლობდა, შემოგვეთავაზა, წესდება შევადგინოთ. ყველამ მხარი დაუჭირა; მაგრამ ეს უმაღური საქმე გამოდგა და არავინ მოჰკიდა ხელი. მარტო ის გადაწყვიტეთ, რომ აკადემიკოსებს ერთმანეთი აგვეჩიჩია რიტორიკოსებს და ფილოსოფოსებს შორის და დროდადრო სხდომებიც გავვემართა. ამ სხდომებზე ბევრ საინტერესო წიგნს გავიცნობდით და თავშესაქცევ, მაგრამ სერიოზულ მოხსენებებსაც წავიკითხავდით ხოლმე.

ოცი აკადემიკოსი ავირჩიეთ და დავადგინეთ, კიდეც გავეზარდა ეს რიცხვი, საჭირო თუ იქნებოდა. დღეს ოცივე გვარის გახსენება უთუოდ გამიჭირდება. ნუ გაიოცებთ, რადგან ამბობენ, ქვეყნად ერთი სახელგანთქმული აკადემიაა, რომლის ორმოცი წევრის ჩამოთვლასაც ვერავინ შეძლებსო.

ერთი სული გვეჩონდა, ჩვენი აკადემიისათვის სახელი შეგვეჩიჩია. ხან რა მოვიფიქრეთ და ხან რა:

— მეგობართა აკადემია, — თქვა ერთმა.

— მოლიერის აკადემია; თან კომედიებსაც დავდგამთ ხოლმე, — თქვა მეორემ.

— ფენელონის აკადემია.

— რიტორიკისა და ფილოსოფიის აკადემია.

— შატობრიანის აკადემია.

ფონტანემ გულში ჩამწვდომი კილოთი ილაპარაკა:

— ამხანაგებო, ერთმა ენაწყლიანმა კაცმა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე დამარცხებულთა საქმის სამსახურს შეაღწია. პატივი ვცეთ ამ საუცხოო ადამიანის ხსოვნას და ჩვენს აკადემიას ბერიეს სახელი ვუწოდოთ.

მის ნათქვამს დაცინვითა და სტვენით შევხვდით; იმიტომ კი  
წრა, რომ დიდი აღვოკატი ამგვარი პატივის ღირსად არ მიგ-  
ვაჩნდა; მაგრამ გაგვახსენდა, რომ ფონტანე, ვეჭილად გახლო-  
მას რომ აპირებდა, კადნიერად გაიძახოდა, ბერიე უნდა შევ-  
ცვალო.

მაქსიმ დენიმ დაიყვირა:

— მოდით, ბარემ ეს ჩვენი აკადემია ახლავე ფონტანეს  
სახელით მოვნათლოთ.

ლაბორიეტის ხმა თოფის გასროლასავით გაისმა:

— სჯობს, ისევ ფრანგული აკადემია დავარქვათ.

ყველამ სიცილი დააყარა. სიცილის მიზეზს ვერ მიგვიხვ-  
და და გაბრაზდა, რადგან დიდი ფხუკიანი ვინმე იყო.

ლა ბერთელირემა, ვის სიტყვანაც დიდი გასავალი ჰქონდა,  
მტკიცე ხმითა თქვა:

— მე თუ მკითხავთ, ყველაფერსა სჯობს, ზღეზ ბასკალის  
სახელი ვუწოდოთ.

ეს წინადადება ერთხმად, სიხარულით მივიღეთ.

ჩვენს აკადემიას უკვე ჰქონდა სახელი. ახლა ისდა გვაწუ-  
ხებდა, რომ ბინა არ გააჩნდა.

ტეტია შაზალმა შემოგვეთავაზა, სხდომები რეგარის ქუჩა-  
ზე, თივით მოვაჭრის სხვენზე ჩავატაროთ.

— იქ საუცხოოდ მოვეწყობით, — თქვა მან, — მაგრამ  
სინათლეს კი ვერ დავანთებთ, თორემ შეიძლება ხანძარიც  
გავაჩინოთ.

ეს ბინა ვირთხებისთვის უფრო სახარბიელო ჩანდა, ვიდრე  
აკადემიკოსებისათვის და არც არავის მოეწონა. ფონტანესა-  
თვის რომ გეკითხათ, ყველაფერს სჯობდა, ჩემს ოთახში მო-  
გვეყარა თავი; აიჩემა, დიდი ოთახია, ჰაერიანი და პარიზის  
ულამაზეს სანაპიროს გადაჰყურებსო. ეს რომ გავიგონე, თავ-  
ზარი დამეცა. ემანდ აკადემია მართლა არ გამიხდეს დასაბინა-  
ვებელი-მეთქი და დავიფიცე, ეგ ჩემი ოთახი ერთი საძაგელი  
სენაკია და შიგ თაგვი კუდს ვერ მოიქნევს-მეთქი.

მურონმა მაქმანების ატელიე შემოგვეთავაზა, იზამბარმა —  
წიგნის მაღაზიის უკან მდებარე ოთახი, სოვინიმ — ბიძამის  
მორისის ბინა. ისლა დაგვრჩენოდა, გაგვეგო, შიგ შესვლა თუ  
მოგვიხერხდებოდა. მეორე დღეს ბიძია მორისის ბინა, წიგნის

მალაზიის უკანა ოთახი და მაქმანების ატელიე რალაც მისნობის წყალობით გაქრა. ისე დაინთქნენ, როგორც ალაღინის სასახლე, ბოროტმა ჯადოქარმა წკეპლა რომ დაუღირა. უკვე ბინის შოვნის ყოველგვარი იმედი გადაწყვეტილი გვექონდა, როცა სოვინი შეგვეპირდა, ტრისტან დერეს ოთახს მოგიხერხებთო. ეს ის ტრისტან დერე გახლდათ, რომელიც თავდავიწყებით მიყვარდა სამი თვის განმავლობაში მისი მოხდენილობის გულისათვის და ვისთანაც ახლა უმძრახად ვიყავ, რაკი ერთხელ ბურთაობის დროს თავის გუნდში არ ჩამრიცხა. დერე სენდომინიკის ქუჩაზე, ერთი ძველებური ოტელის მესამე სართულზე ცხოვრობდა. მისი ოთახი მშობლების ოთახებისაგან გრძელი დერეფნით იყო გამოყოფილი. სოვინის ნანახი ჰქონდა იგი და ირწმუნებოდა, საუცხოო რამ არისო. დერე ამ დროს დაქვრობანას თამაშში იყო გართული და ჩვენთვის არ სცხელოდა; მაგრამ სოვინი მაინც მიუჩოჩდა. თუ დერეს თავი უკვე სენ-სირის მოსწავლედ მოჰქონდა, სოვინის „ბორღას“ ეკიპაჟის წევრობამდე ბევრი აღარაფერი უკლდა. რა უთხრეს იმ დღეს ერთმანეთს ახალგაზრდა არმიამა და ფლოტმა, ისტორიას არ შემოუნახავს, მაგრამ ცეროდენა და ამაყმა სოვინიმ, კუდი სულ ყავარზე რომ ჰქონდა გაღებული, გვამცნო, დერემ თქვა, ეგ თქვენი ბლეზ პასკალის აკადემია ფეხებზე მკიდია, მაგრამ ჩემს ოთახს აკადემიკოსებს სიამოვნებით დაგიტოებთო. ეს პასუხი რომ მოვისმინეთ, სოვინის დავავალეთ, დერესათვის აკადემიის მადლობა გადაეცა. მე, რალა დაგიმალეთ და, მადლობის თქმას გული არ მეუბნებოდა; ჯერაც ვერ მეპატიებინა დერესათვის, უწინ მეტისმეტად რომ მიყვარდა. ჩემს სიმაბლემში გამოგიტყდებით და, კიდევაც მოვითხოვე, ჩვენს აკადემიაში ნუ ჩავრიცხავთ-მეთქი. თანამოძმეებმა ერთმად მიპასუხეს, აბა როგორ იქნება აკადემიაში არ მივიღოთ კაცი, ვინც ბინას გვთავაზობსო. მე კი კარგად ვიცოდი ჩემი ყოფილი მეგობრის ზნე და ვწინასწარმეტყველებდი, სენ-დომინიკის ქუჩაზე დაბინავებით ჩვენს სანაქებო დაწესებულებას სიცოცხლეს მოვუსწრაფებთ-მეთქი, მაგრამ ყური არავინ მათხოვა. აკადემიის წევრთა სია შეადგინეს და სულ თავში ტრისტან დერეს სახელი ჩაწერეს.

ნუფლარსა და ფონტანეს დაევალოთ პირველსავე დასვე-

ნების დღეს ბლევ პასკალის ბიუსტი ეყიდათ სადმე, რომ მით მოგვერთო ჩვენი სხდომათა დარბაზი.

პრეზიდენტად მურონი ავირჩიეთ. შესავალი სიტყვის წაკითხვა კი მე მომანდეს. ეს არჩევანი ნაზად ესალბუნა ჩემს პატივმოყვარეობასა და უხვადაც ვიგემე დიდების სიტკბოება, რაიც შემდეგ ჩემს დღეში აღარ მღირსებია: სიხარულით ცას ვეწიე, მიწას ფეხს აღარ ვაკარებდი. იმავე საღამოს შევეუდექი საზეიმო სიტყვის წერას. სერიოზულ სიტყვას ვამზადებდი, მაგრამ შიგადაშიგ ბევრ მოსწრებულ თქმასაც ვურთავდი. ზიზილ-პიპილებიც არ დამიკლია; ათასჯერ მაინც გადავაკეთ-გადმოვაკეთე ნაწერი. უკანასკნელ წუთამდე ვხვეწდი და ვალამაზებდი. ქვეყნად არც ერთი სიტყვა არ ყოფილა ასე მორთულ-მოკაზმული; არც უშუალობა ჩანდა სადმე, არც ძალადაუტანლობა, არც გულწრფელობა და ბუნებრიობა; მთელი სიტყვა ზიზილ-პიპილებად იყო ქცეული.

დანიშნულ დღეს ჩვენმა ორმა დელეგატმა რასინის ქუჩის მეყალიბესთან იპოვა ბლევ პასკალის თაბაშირის ბიუსტი. უზარმაზარი რამ იყო; ღრმად ჩაფიქრებულ ფილოსოფოსს კოპები შეეკრა და პირქუშად გამოიყურებოდა. მაშინვე იყიდეს და „ბატონ ტრისტან დერეს“ გაუგზავნეს სენ-დომინიკის ქუჩაზე. ჩვენს აკადემიას ისეთი პირი უჩანდა, რომ სერიოზული, მკაცრი და ცოტათი პირქუში დაწესებულება იქნებოდა.

საზეიმო გახსნისათვის დანიშნულ საღამოს კოკისპირული წვიმა წამოვიდა; ნიაღვრებს წაელეკათ ქვაფენილი და ტროტუარები; ჩასადენი ღარის წყლებს ნაპირები გადმოეხეთქათ და ქუჩებში შეტბორებულებიყვნენ. ქარი ხელიდან ქოლგებს სტაცებდა გამვლელ-გამომვლელს. ისე ჩამობნელდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ორთავ ხელით ჩემს საზეიმო სიტყვას ვიკრავდი გულში, წარღვნისაგან რომ გადამერჩინა და ისე მივაბიჯებდი. ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით სენ-დომინიკის ქუჩასაც მივალწიე და მესამე სართულზე ავედი. კარი მოხუცმა მსახურმა გამიღო და უსიტყვოდ გამიძღვა ბნელი დერეფნით, რომლის ბოლოშიც იყო ჩვენი აკადემიის სხდომათა დარბაზი. ჯერ მხოლოდ სამი აკადემიკოსი მოსულიყო. მაგრამ უფრო მეტნი რომ ყოფილიყვნენ, სად უნდა დამსხდარიყვნენ? ოთახ-

ში მართო ორი სკამი და ერთი საწოლი იდგა; ზედაც სოვინი და შაზალი წამოსკუპებულიყვნენ ჩვენი მასპინძლის, დერეს გვერდით. დიდ, სარკიან კარადაზე პასკალის ბიუსტი მოჩანდა, ერთადერთი ნივთი, რომელიც სულს ესაუბრებოდა ამ ოთახში, სადაც ყველა კედელზე დაშნები, ხმლები და სანადირო თოფები ეკიდა.

დერემ ბიუსტზე მიმითითა და მკვახედ მითხრა:

— შენა გგონია, მშვიდად დაგეძინება, როცა ამ გამოთავანებული თავი ლამის ზედ დაგეცეს?

ორმოცდახუთ წუთში კიდევ ორი აკადემიკოსი მოვიდა: იზამბარი და დენი. მერე ფონტანეც გამოჩნდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მეტი არც არავინ მოვიდოდა.

— კი მაგრამ, ჩვენი პრეზიდენტი, მურონი რალა იქნა? — შეეყვირე მე. მღელვარებამ ამიტანა იმ ორატორის მსგავსად, რომელიც ხედავს, რომ თითო-ოროლა მსმენელის მეტი არ გამოუჩნდა.

— გაგიუდი? — მომადება იზამბარმა, — გინდა, ამ თავსხმასა და ქარში გამოუშვან გარეთ ის, ჭლექიანი ბიჭი? ხომ გააცხო სული.

რაკი მიეხვდი, რომ პრეზიდენტი აღარ მოვიდოდა და სიტყვას აღარ მომცემდა, გადავწყვიტე, თვითონ მეთავა ყველაფერი და ჩემი საზეიმო სიტყვის კითხვას შევუდექი. ამ სიტყვით თავი კი მომწონდა, მაგრამ ვეჭვობდი, მგონი მთლად იმ ტონში ვერაა დაწერილი, ამ ვითარებას რომ შეეფერება-მეთქი.

— ბატონო აკადემიკოსებო და ძვირფასო მეგობრებო! — დავიწყე მე, — ჩემთვის დიდი პატივია, რომ წილად მხვდა შეგახსენოთ ყველა ის განზრახვა, რომლებითაც ვხელმძღვანელობდით, როცა ამ ლიტერატურულსა და ფილოსოფიურ აკადემიას ვაარსებდით. ჩვენი დაწესებულება დიდი პასკალის სახელს ატარებს, ბრძენკაცისა, ვისი სახეც დღეს ღიმილით გადმოგვყურებს. ორმა ნათელმა მიზანმა ორ ნაყოფიერ მდინარესავით გადმოხეთქა თქვენი გულებიდან და გონებიდან და...

ამ ადგილას რომ მივედი, დერემ, ჩემი სიტყვის დასაწყისის ირონიული ტაშისკვრით რომ შეხვდა, მკვირცხლად მომადება:

— კმარა, ნოზიერო! დიდხანს ნულა შეგვაწყენ თავს!..

ერთმა-ორმა კაცმა ხმა აიმაღლა ჩემს დასაცავად, მაგრამ



მაინცდამაინც თავი არ გამოუღვიათ და დერეს ნირი ვერ შეარხვენიეს. ჩვენი მასპინძელი ისევ თავისას გაიძახოდა:

— მორჩი ლაქლაქს, ენა დააყენე. ხომ ხედავ, აგერ ჩაიც მოაქვთ.

მართლაც, მოხუცი მოახლე შემოვიდა, ჩაის ჭიქებით სავსე ლანგარი შემოიტანა და მაგიდაზე დადგა. როცა წავიდა, დერე დაიმანჭა და გვითხრა:

— ეს ჩაი ჩემმა მშობლებმა გამოგვიგზავნეს. — მერე ეშმაკურად ჩაიცინა და დასძინა: — მაგრამ მე უკეთესი რამეცა მაქვს.

ადგა, კარადიდან ერთი ბოთლი რომი გამოიღო და გამოგვიცხადა, პუნშის გაკეთებას ვაპირებ, მაგრამ თასი არა მაქვს და ჩემს პირსაბან ტაშტში უნდა შევამზადო.

ასეც მოიქცა; ტაშტში რომი ჩაასხა, შაქარი აურიო, შუქი ჩააქრო და პუნშს ცეცხლი წაუკიდა.

მაშინ კი მივხვდი, რომ ხელი უნდა ამელო საზეიმო სიტყვის წაკითხვაზე. კალთებიც არავის ჩამოუხვევია, გააგრძელო და ამან საშინლად დამწყვიტა გული.

აკადემიკოსებმა აღმოდებული პუნშის გარშემო ფერხული ჩააბეს; ხელი ხელს ჩაჰკიდეს და როკვას მოჰყვნენ. ფონტანე და სოვინი, ორ ჯუჯა ეშმაკს რომ ჩამოჰგავდნენ, სიშმაგით თავზარსა სცემდნენ მნახველს. უცებ ვილაცამ დაიძახა:

— ბიუსტს, ბიუსტს უცქირეთ!

კარადის თავზე შემომდგარი, მიმტანარებული ალით განათებული ბიუსტი მწვანედ მოჩანდა და საზარელი შესახედავი იყო. საფლავიდან ამოსულ მკვდარსა ჰგავდა. ლამპა ისევ ავანთეთ და პუნშით სავსე ჭიქები შევსვით.

დერემ მშვიდად და აუმღვრევლად კედლიდან დაშნები ჩამოხსნა და დაიძახა, ვის გინდათ ფარიკაობაში გამეჭიბროთო.

— მე, — თავი გამოიღო შაზალმა.

თუმცა დაშნა თავის დღეში არ სჭერია ხელში, გააფთრებით შეუტია და ისე მწარედ მოახვედრა დერეს, რომ მან მხეცი, ნადირი და ველური უწოდა: მაგრამ ეტყობოდა, გუნებაში მოსწონდა ეს ბიჭი. ნაძლევი დაუდო, აბა თუ შეძლებ, სკამის ზურგს ჩასკიდო ხელი, ასწიო და ხელგაწვდილმა ერთ წუთს ჰაერში გააჩერო. შაზალიც დაენაძლევა და მოუგო

კიდევ. დერემატ უფრო მოწიწებით დაუწყო ცქერა. ორივეს უყვარდა თავისი ღონის გამოჩენა.

— მოდი, ახლა კრივში შემეჯიბრე, — უთხრა დერემ.

ბატონი ხარო, მიუგო შაზალმა.

წელამდე გაშიშვლდნენ და ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს. შავტუხა, ხმელ-სმელი და ნაწგალივით მოხრილი შაზალი საოცარ კონტრასტს ქმნიდა ტრისტან დერესთან, მირონის\* ათლეტივით და კემბრიჯისა ან იტონის fellow-ვით<sup>1</sup> რომ იყო ჩამოსხმული. დერეს ჩვეული სიმშვიდემ არც აქ დალატობდა და წესისამებრ იბრძოდა. შაზალი კი, რომელმაც კრივის ილეთები სულ არ იცოდა და ბევრჯერ წამოეგო მოწინააღმდეგის ხრიკებს, გულუბრყვილოდ იყენებდა აკრძალულ ფანდებს.

ბოლოს მეტოქეს ორთავ ხელი კისერში ჩაავლო და დააპროწიალა, თუმცა დერე აღშფოთებით გაიძახოდა, ეგ წესი არ არისო.

— მერე რა ვუყოთ, — მიუგო გულუბრყვილო ღიმილით ტეტია შაზალმა, — ხომ მაინც მოგიგე.

დერემ უზომო პუნში გვასვა. მერე ქაღალდი აიღო, სოეინისთან განმარტოვდა და მასთან ეკარტეს თამაშს მოჰყვა. აკადემიკოსებს ისევ სიმშაგემ წამოუარათ; ლანძღავდნენ და ლანძღავდნენ პასკალს, ამას წინათ პატრონად რომ გაიხადეს. სულ მთლად აიკლეს გინებით, რაები არ აკადრეს: ფონტანე წაღებს ესროდა, კედლის განჯინიდან რომ დაეთრია. დერე ბანქოს თამაშით იყო გართული და ზორბადაც აგებდა, მაგრამ მაინც შენიშნა ფონტანეს საქციელი და უთხრა, ჩემს ჩექმებს თავი დაანებეო და დასძინა:

— ემაჯ ბიუსტს კი, თუ მომაშორებ, ძალიან დაგიმადლებ.

იმ გადარეულმა ფონტანემაც ბევრი აღარ ახვეწინა. სკამზე აძვრა, ბლუზ პასკალის საყრდენს მოეკაუწა, რაკი უფრო ზევით ვერ მისწვდა, იატაკზე ბრაგვანი მოადენინა და სულ ნამსხვრევებად აქცია. აკადემიკოსებმა ვაშა დასძახეს ხატისმგმობელს. საშინელი ღრიანცელი ატყდა. ამ ვაი-უშველებელში რომ ვიყავით, მოახლე ქალი ისევ გამოჩნდა ოთახში და თავის ახალგაზრდა ბატონს მოახსენა:

<sup>1</sup> კაბუჯი (ინგლ.).

— მამამ შემოგითვალათ, ახლავე დაითხოვეთ შინიდან თქვენი ამხანაგები; ეგ რა ხმაური შეგიდგათ, ვერ ხედავთ, შუალამე გადასულიაო უკვე.

დერეს, თუმცა გულადი ბიჭი იყო, ვერ გაებედა, მამის ბრძანებას გადასულიყო და მისმა დუმილმა შეგვაცბუნა. კუდ-ამოძუებულები გამოვიძურწეთ იქიდან. გარეთ კვლავ წვიმა და ქარი შემოგვეგება.

ბლუზ პასკალის აკადემია მას მეტად აღარც შეკრებილა.

#### XIV

### კოლეჯის უკანასკნელი დღე

ბოლოს სწავლის უკანასკნელი დღეც დადგა.

ჩემს მშობლებს ეგონათ, კარგად ვირჩებითო და დამატებით ფილოსოფიის კლასშიაც მიკრეს თავი. მაგრამ იმედები ვერ გავუშართლე და იქ ნასწავლიდან ბევრი არაფერი გამომყოლია. თუმცა დიდი ჰკუეის პატრონი არა ვყოფილვარ, ფილოსოფია, კლასში რომ გვასწავლიდნენ, იმდენად სულელური, იმდენად უნიჭო, იმდენად უსუსური და უაზრო მეჩვენა, რომ ვერ ვირწმუნე ვერც ერთი ის ჰეშმარიტება, რომელთაც ის აფუძნებს და რომელთაც უნდა მისდიო, თუ გსურს ნამუსიან კაცად და კარგ მოქალაქედ ითვლებოდე.

სასწავლო წლის უკანასკნელი დღე იყო; მოსწავლეთა უმეტესობა მხოლოდ ორი თვით შორდებოდა სკოლას; ზოგიერთები კი, უფრო იღბლიანები, სამუდამოდ ეთხოვებოდნენ აქაურობას. ყველა წიგნებსა კრავდა შინ წასაღებად. მე ჩემი წიგნები კოლეჯს შევწირე.

მასწავლებელმა გაკვეთილი აღარ ჩაგვიტარა. მხოლოდ მეომართა დაჯილდოების ამბავი წაგვიკითხა ბატონ ტიერის „კონსულობა და იმპერიიდან“. ასე რომ, ჩემი სწავლა-განათლება რომ დაეგვირგვინებინათ, გამაცნეს მწერალი, ვინც ყველაზე უხეირო ფრანგულით წერდა.

ძალიან მიმძიმდა იმის გაფიქრება, რომ მურონს უწინდებურად ყოველდღე ვეღარ ვნახავდი. მაგრად ვბლუჯავდი მის

პატარა, თბილ ხელს, მაგრამ ვცდილობდი, მღელვარება არ დამჩნეოდა, რადგან იმ ასაკში გახლდით, როცა თვით უკეთესობილესი გულჩვილობაც კი მამაკაცისათვის უღირს სისუსტედ გვეჩვენება. რაკი სასწავლებელში შეხვედრის იმედი აღარ უნდა გვქონოდა, შევთანხმდით, ერთმანეთში მისვლამოსვლას ნუ შევწყვეტთო.

მე დღე გამწარებული მქონდა კოლეჯში და ვფიქრობდი, ძალიან გამიხარდება აქედან წასვლა-მეთქი, მაგრამ სკოლის კარი გამოვიხურე თუ არა, ვიგრძენი, რომ იმედი გამიცრუვდა. ჩემი სიხარული არც ისეთი დიდი იყო და არც ისეთი გულწრფელი ჩანდა, როგორსაც მოველოდი. ეს ნაწილობრივ ჩემი სუსტი და მორცხვი ბუნების ბრალი იყო, ნაწილობრივ კი იმ საზიზღარი დისციპლინისა, მოწაფეებს წლიდან წლამდე ხელის განძრევის საშუალებას რომ არ აძლევს, ფიქრის უნარსაც ართმევს და ისე აკნინებს ყმაწვილის გრძნობა-გონებას, რომ სკოლადამთავრებულსაც კი ძალა არ შესწევს დატყბეს მოპოვებული თავისუფლებითა და საზოგადოებაში გაიკაფოს გზა... ამ დისციპლინის მუხრუჭებს მეც ვგრძნობდი, თუმცა ექსტერნი ვიყავ და ყოველ საღამოს ხელიდან გუსხლტებოდი მკაცრ ზედამხედველებს. პანსიონერებზე ხომ რაღა ითქმის, ისინი არასოდეს ტოვებდნენ თავიანთ ციხეს. საჯარო სწავლება, დღეს რომა გვაქვს დაწესებული, მოსწავლეს არა თუ არ ამზადებს მომავალი ცხოვრებისათვის, არამედ მისთვის გამოუსადეგარსაც კი ხდის, მით უფრო, თუ ყმაწვილს მორჩილი და დამყოლი ბუნება აქვს. პატარა ონავრების მოსათოკად დაწესებული მკაცრი დისციპლინა ძნელი ასატანი და დამამცირებელი ხდება, როცა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ჭაბუკებს იძულებით მოახვევენ თავს. სავარჯიშოთა ერთფეროვნება მათ გემოვნებას ურყვნის და ათაყვანებს. საწყლებს მთლად თავგზას უბნევთ ჭილღოებისა და დასჯის რთული სისტემა, რომლის მსგავსიც არაფერი შეხვდებათ ცხოვრებაში. ცხოვრების სარბიელზე რომ გამოვდივართ, ჩვენი მოქმედებანი ხომ თავად იწვევენ კარგ თუ ავ შედეგებს. ამიტომ კოლეჯს რომ ვეთხოვებით, თავისუფლებისა კიდევაც გვეშინია, რაკი სამოქმედოდ ძალა არ შეგვწევს. აი, ამეებსა ვგრძნობდი ბუნდოვნად და ჩემს ბედნიერებასაც ჩრდილი ეფინებოდა.

ქარიერის არჩევნა

მეტი დახანება აღარ იქნებოდა, დაუყოვნებლივ უნდა მოეკიდებოდი რაიმე საქმეს. ჩემი მშობლები ისეთი შეძლებისა არ იყვნენ, რომ დიდხანს მეცხოვრა მათ ხარჯზე. მომავალზე ზრუნვით შეშფოთებულს მოსვენება დაკარგული მქონდა. იმთავითვე ვგრძნობდი, რომ ამ საზოგადოებაში, სადაც წინ რომ წაიწიო, მუშტის ტრიალი უნდა შეგეძლოს, ადვილად ვერ გავიკათავდი გზას; მუშტის ტრიალი მე არ შემეძლო.

ვამჩნევდი, სხვებისაგან განსხვავებული რომ ვიყავი, მაგრამ არ ვიცოდი, ვჯობდი თუ ჩამოვუვარდებოდი ჩემს ტოლებს და ეს თავზარსა მცემდა. თან იმანაც გამაოცა და გამამწარა, რომ ჩემს მშობლებს ჩემთვის არც რჩევა მოუციათ რამე და არც გზა უჩვენებიათ, თითქოსდა ჩემი შესაფერი ხელობა ქვეყნად არც იყო. ისევ ფონტანეს მივმართე; იგი უკვე ჩაწერილიყო იურიდიულ ფაკულტეტზე. მიირჩია, შენც ვეჭილობისათვის მოემზადეო, თუმცა დარწმუნებული იყო, ამ დარგში მასავით დიდ წარმატებას ვერ მივალწევდი. თვითონ კი ისეთი ზათქით იცოდა ლაპარაკი და თავიც ისე ჰქონდა გამოტენილი გაზეთში დაბეჭდილი „სხვა და სხვა ამბებით“, რომ ეჭვი არ ეპარებოდა, სხვაზე უკეთესი თუ არა, ნაკლები ადვოკატი არ დავდგებო. თავდაპირველად ვეჭილობამ კიდევაც მომხიბლა. მკვევრმეტყველება, იცოცხლე, მიყვარდა; ვფიქრობდი: ახალგაზრდა ქვრივს დავიცავ, დიდ ნიჭსა და უნარს გამოვიჩენ და ისიც შემიყვარებს-მეთქი. იმხანად ყველაფერს სიყვარულს ვუკავშირებდი ხოლმე.

ნიადაგი რომ მომესინჯა, ფონტანეს გავყევი სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. მშობლიური ქალაქის ღირსშესანიშნაობათა და სიძველეთა ტრფიალი ვიყავ და სენტ-ჟენევიევის მთაზე რომ ავდიოდით, მოწინებით ვისუნთქავდი ამ სწავლულთა გორაკის მტვერს.

სუფლოს ქუჩა რომ გავიარეთ, ლამაზ მოედანზე ამოყავით თავი, რომელსაც მარჯნივ მერიის მაღალი შენობა ეკრა, მარცხნივ კი — სამართლის სკოლა. თავს საუცხოო გუმბათია-

ნი, დიდებული პანთეონი გადმოგვცქეროდა. ჩვენს მარცხნივ სენტ-ჟენევიევის ბიბლიოთეკა ჩანდა. მისი კედლები ისე იყო აჭრელებული წარწერებით,\* რომ ძველ ყაიდაზე ნაგებ, უზარმაზარ მავზოლეუმს უფრო წააგავდა, ვიდრე სასწავლებელს. სიღრმეში თვალი ვკიდეთ სენ-ეტიენ-დიუ-მონის ეკლესიის მდიდრულ, მოჩუქურთმებულ ფასადასა და სენტ-ჟენევიევის მონასტრის ძველებურ, ისრულ სარკმლებს. ჰოი, საუკუნეო! ჰოი, მოგონებანო! ჰოი, თაობათა დანატოვარო დიდებულო ძეგლებო!

მაგრამ ფონტანეს სულაც არ ეპიტნაებოდა ამ ქვების ცქერა; დიდ ამფითეატრში შემაგდო, სადაც პროფესორი დემანჟა რომაულ სამართალს კითხულობდა. უამრავი სტუდენტი სულგანაბული უსმენდა ლექციასა და მის ნათქვამს ისე გამალებით იწერდა, თითქოს ეშინოდათ, ერთი სიტყვაც არ გამოგვრჩესო.

— ბებერი ბიუნიეც ამ კურსს კითხულობს, — მითხრა ფონტანემ, — მაგრამ ცოტა მსმენელი ჰყავს. საძაგელი მოხუცია; გამუდმებით წვინტლი ჩამოსდის ცხვირიდან და ზეწრისტოლა წითელი ცხვირსახოციით იხოცავს. დამანჟას ლექციებზე კი, როგორც ხედავ, ტევა არ არის; მაგას აქ ძალიან დიდ პატივსა სცემენ.

ეს დამანჟა სულაც არ მომეწონა. ჩემთვის რომ გეკითხათ, მძიმე ენა ჰქონდა და მონოტონური საუბარი; არც ვცდებოდი, თუმცა უფრო დიდი ჰკუთს პატრონი რომ ვყოფილიყავი, მიგხვდებოდი, სტუდენტებს სწორედ თანმიმდევრობა და აზრის სიციხადე მოსწონდათ მის გადმოცემაში.

ფონტანემ მოსვენება რა იყო, არ იცოდა, სხვასაც არ ასვენებდა ხოლმე და ახლაც სულის მოთქმაც არ მაცალა, ისე მიკრა თავი დიდ ამფითეატრიან დარბაზში, სადაც კანდიდატები სალიცენციო გამოცდას აბარებდნენ. გამომცდელებს საზეიმო გამომეტყველება ჰქონდათ; ზედვე ეტყობოდათ, დიდად მოჰქონდათ თავი. მანტიამოსხმულნი იხდნენ მწვანემაუდგადაფარებულ მაგიდასთან; სულ სამნი იყვნენ, როგორც ჯოჯოხეთის მსაჯულნი და მალლიდან დაჰყურებდნენ შიშით დაპატარავებულ კანდიდატს. მსაჯული, შუაში რომ იჯდა, ზორბა, ამპარტავანი და ბინძური კაცი იყო. როცა დარბაზში შევედით,

სწორედ ის ეკითხებოდა. ზედვე ეტყობოდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე თავისი ძლიერება გამოეჩინა და დავთრები აერია საბრალო სტუდენტისათვის. კითხვებს უცნაურის რიხით წარმოთქვამდა ხოლმე. ხანდახან ეშმაკობდა კიდეც და სტუდენტს თავსატეხ, გაუგებარ შეკითხვებს აძლევდა სფინქსის, უღმობელი ქალწულის დაარად. ხარივით თავს დაბლაოდა კანდიდატს, ათრთოლებული; მიკნავეებული ხმით ძლივს რომ პასუხობდა. მერე სიტყვა იმ მსაჯულმა აიღო, მარჯვნივ რომ იჯდა. ჩია კაცი იყო, თუთიყუშივით მწვანე, მთლად გაძვალტყავებული და გამყინავი ხმით ლაპარაკობდა. ეტყობა, კანდიდატის ცოდნის შემოწმებაზე უფრო მეტად თავისი სქელი თანამოდმის აბუჩად აგდება სურდა და თუმცა უმისამართოდ ლაპარაკობდა, გესლიან, გამქირდავ მზერას არ აცილებდა. სამივეს ისე სძულდა ერთმანეთი, რომ სხვებისათვის აღარა სცხელოდათ. რაკი კანდიდატს შიშის ზარი დასცეს და მისი წამებითაც გული იჯერეს, საწყალს ნიშანი დაუწერეს და ყველაფერი დამთავრდა ტირილისა და კბილთა ღრჭენის გარეშე.

ბოლოს სამედიცინო ფაკულტეტის გამოცდაზედაც ამოეყავით თავი. აქ სულ სხვა ამბავი დაგვხვდა. კანდიდატს მთლად ახალგაზრდაც აღარ ეთქმოდა: უკვე გამელოტებულიყო და ქონიცი მორეოდა ტანზე. სკალპელს რის ვაივაგლახით დაატარებდა მის წინ გაშხლართულ ცხედარზე. ჩია მოხუცის ცხედარი იყო, ბაგეზე დამცინავი ღიმილი უკრთოდა. პროფესორი, უღვაშები თათრისას რომ მიუგავდა, სავარძელში გადაწოლილიყო და ისე ეკითხებოდა სტუდენტს:

— გლანდი სადღაა? ნეტა მიაგნებთ ღღეს თუ არა?

პასუხი არ მიუღია. მისი ორი თანაშემწე ხან წერილებს წერდა, ხან ნაწერებს ასწორებდა. ერთ მათგანს თავზე ბეწვით მორთული, უზარმაზარი და წოპწოპა ქუდი ეხურა. მეტად უცნაური რამ იყო. თავის მოყვანილობით ბოხოხს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ ქუდებს. ფონტანემ ამიხსნა, ეგ იმ ქუდის მოდელია, ლუი დავიდმა რომ დახატა 1792 წელს; დღემდე ფაკულტეტის ეიტრინაში იყო გამოდებული და პროფესორმა ძალით წაართვაო ზედამხედველს. გამომცდეღმა,

თავი უფრო ძირს რომ ჰქონდა, ვიდრე ფეხები, განაგრძო — გლანდი სადაა-მეთქი?

ამჯერად, როგორც იქნა, პასუხს ელირსა.

— ატროფირებული აქვს, — ჩაიღუღუნა სტუდენტმა.

ამაზე პროფესორმა უპასუხა, მაშ, გვამის ბრალი ყოფილა და გვამს დაუწეროთ ცუდ ნიშანსო.

თუმც პროფესორები დაუდევრად და უცერემონიოდ ირჯებოდნენ, ეს გამოცდა მაინც უფრო სერიოზული მეჩვენა, ვიდრე სამართლის გამოცდა, უწინ რომ დავესწარიო.

დარბაზიდან რომ გამოვედი, მეც მედიცინის შესწავლას ვნატრობდი. თუმცა გამოგიტყდებით და, ეს სურვილი არც ისე მტკიცე იყო, რომ ვეიძულებინე, ხანგრძლივი და ძნელი მეცადინეობისათვის მიმეყო ხელი. ცოდვა გატეხილი სჯობია და გეტყვით, რომ ვგრძნობდი, საამისოდ სულაც არ ვიყავ მომზადებული. მეშინოდა, ვაითუ შეუახანს მიტანებულმა, იმ მსხვილი სტუდენტისა არ იყოს, მეც ვერ ვიპოვო გლანდები დამცინავად მომღიმარი გვამის ყელში-მეთქი და წუთის წინ მიღებულ გადაწყვეტილებაზე უმაღვე ავიღე ხელი.

შემდეგ სანანებლად დამირჩა ეს საქციელი. ქვეყნად არაფერი მეგულება კლოდ ბერნარის\* ცხოვრებაზე მშვენიერი; სოფლის ექიმთა ყოფაც შურს აღმიძრავს თავისი სისავსითა და კეთილშობილებით. მამაჩემიც ექიმი იყო, თავის ხელობას მთელ ძალ-ღონეს ალევდა, მაგრამ არ უნდოდა მეც მის კვალს გავყოლოდი.

სადილობისას გადავწყვიტე, სამართალი შემესწავლა; მაგრამ ჩემს ოთახში რომ დავრჩი და დამის სიმშვიდეში ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონე, მივხვდი, რომ ძუნწმა ბუნებამ მქვერმეტყველების ნიჭი არ მიწყალობა, ჩემს სიცოცხლეში სახელდახელოდ ოთხი სიტყვაც კი არ მომიგონია და ცხადია ჩემს ღლეში ვერ შევძლებდი დასაცავი სიტყვის წარმოთქმას. რაკი ვექილობაზე, მოსამართლეობასა და ნოტარიუსობაზე ხელი არ მიმიწვდებოდა, ვიფიქრე, სამართლის სწავლა რომ წამოვიწყო, ჩემიანებს ტყუილად გავტანჯავ, ფულს ტყუილუბრალოდ დავახარჯვინებ-მეთქი და იუსტინიანეს კანონებისა და ნაპოლეონის კოდექსის გამოწვლილვით შესწავლაზე სამუდამოდ ავიღე ხელი. მაშინ კი ვინანე, რომ სენ-სი-



რისათვის არ ვიყავი მომზადებული. ვფიქრობდი, ოფიცრად ყოფნას არაფერი სჯობს, ოღონდ იმ პირობით, თუ ალფრედ დე ვინის დიდსულოვანსა და მელანქოლიურ ოფიცერს ვემგვანები-მეთქი. გატაცებით გადავიკითხე „ჯარისკაცთა მონობა და დიდება“ და წარმოვიდგინე კიდეც, ნელი ნაბიჯით, მღუმარედ ყაზარმის ეზოს როგორ გადავკვეთდი. სამხედრო ფორმა მეც-მეოდა, ქურთუკში მოხდენილად ვიქნებოდი გამოკვართული. ქვეყნის ერთგული ვიქნებოდი და სამშობლოსათვის თავდადებული. სასადილოში შევიტყობდი, რომ მტერი დაგვსხმია თავს. მშვიდად, ღირსეულად მოვემზადებოდით საბრძოლველად იმ გადაწყვეტილებით ანთებულნი, დავიდმა რომ შეძლო აღებეჭდა ლეონიდასისა და სამასი სპარტელის სახეებზე\*. მერე გავემგზავრებოდით კიდეც. ჩემს რაზმთან ერთად მივაგვლვებდი ცხენს. გზა ილეოდა ჩვენს ფეხქვეშ, თვალს ეფარებოდნენ მინდვრები, სოფლები, ტყეები, კლდეები, მდინარეები. აგერა მტერიც! თავგამოდებით ვიბრძოდი, თუმცა მტრის სიძულვილი არ მედო გულში. მომხდურს ვძლიეთ და ტყვეებიც შევიპყარით. ყველას ლმობიერად მოვექეცი და ჩემს ჯარისკაცებს ვუბრძანე, დაჭრილ მტრებსაც ისევე კარგად მოუარეთ, როგორც ჩვენიანებს-მეთქი. მეორე შეტაკებისას, უფრო სისხლისმღვრელი რომ გამოდგა, ორდენით დამაჯილდოეს ზედ ბრძოლის ველზე. მართალი თუ გინდათ, საუცხოო ოფიცერი ვიყავი. ჩემს ამხანაგებთან ერთად კოშკში დამაბინავეს, რომელიც ტყეს დასცქეროდა თავს. იქ მხოლოდ ერთი გრაფის მეუღლე ცხოვრობდა. მისი ქმარი გენერალი გახლდათ, მაგრამ უხეში კაცი იყო და ცოლს არ უყვარდა. ერთმანეთი შეგვიყვარდა შმაგი და მომჭადოებელი სიყვარულით. მერე მტერსაც ვძლიეთ და მოყვრებად გავუხდით.

მეორე დღეს ეჭვი შემეპარა, ნეტა სამხედრო ცხოვრება სწორად თუ მაქვს-მეთქი წარმოდგენილი.

ფონტანე დილაადრიან დამაცხრა თავს. ახლაც საკუთარი უპირატესობის გრძნობით მელაპარაკებოდა, როგორც ყოველთვის. გამაფრთხილა, ახლავე უნდა ჩაეწერო ლექციებზეო და შემპირდა, დღესვე წამოგყვები სასწავლებლის სამდივნოში, იქ ნაცნობი მყავსო. ვთხოვე, ტყუილად ნუ გაირჩები, სამართლის შესწავლას აღარ ვაპირებ-მეთქი და მიზეზებიც დავუსა-

ხელე. არაფრის გაგონება არ ისურვა. დამიწყო დარწმუნება, ცოტას წაივარჯიშებ და დასაცავ სიტყვას სხვაზე უარესად არც შენ იტყვი, ამისათვის დიდი ნიჭი სულაც არაა საჭიროო. სასამართლოში ხშირად დავდივარ, იქ ერთ ადვოკატს ვიცნობ, მეხსიერებასთან მწყურალადაა, მაგრამ სათქმელს ხელისგულის-ტოლა ქალაღზე იწერს და შესანიშნავად ლაპარაკობსო...

— ერთხელ ენაბრგვილ ადვოკატსაც მოვუსმინე; ენა ხომ ებმოდა და ებმოდა, თან ძალღვიით იყეფებოდა, მაგრამ ჩინებულად დაიკვა ძნელი საქმე და ბოლოს მოიგო კიდევ. იმას როდი ვამბობ, — დასძინა ფონტანემ, — რომ დიდი ნიჭითა ხარ დაჯილდოებული, მაგრამ ჭიუტი შრომით სასწაულებს ახლენენ. Labor improbus-ითო!, როგორც ბატონი კროტუ ამბობდა, როცა სიზარმაცეს გიკიჟინებდა ხოლმე. უნდა გაიწაფო, ესაა და ეს. მოდი, ახლავე შევუდგეთ საქმეს; მე რჩევით შეგეწევი და შენ თვითონვე გაგიკვირდება, ისეთ წარმატებას მიაღწევ.

ღმერთი გამიწყრა, უხეშად ვიუარე და მით ვაგრძნობინე, ეგ ვარჯიში არაფრად მეპიტნავება-მეთქი. ამას ისედაც ხვდებოდა და როცა დარწმუნდა, ნამდვილად აგრეაო, მთლად გამაგდა. მაგიდა, სკამები და საწოლი მისწი-მოსწია, წიგნები მიჰყარ-მოჰყარა, აურ-დაურია ჩემი ქალაღები, გადააყირავა სამელნე, წყლიანი დოქი ხალიჩაზე მოაპირქვევა, კედელსა და ტუალეტის მაგიდას შორის მომიმწყვდია და მიბრძანა:

— მანდედან არ გაინძრე! ეგ ტრიბუნაა. შენ დამცველი ხარ! მე — მოსამართლე. სიტყვას მოგცემ და დაიწყე.

მოდი და ნუ შეგეშინდებოდა.

რა ხელობა არ გავისხენე, რალას არ მოვედე, მაგრამ ჩემი შესაფერისი საქმე ვერ იქნა და ვერ ავირჩიე. ჩემსას მაინც არ ვიშლიდი. უეცრად ინჟინრად გახდომის სურვილმა მომიარა. ფფიქრობდი, აბა, რა სჯობია იმას, ხიდები, გზები, მანქანები წაგო და ათასობით მუშის სული იყო-მეთქი. იმხანად ინჟინრები საზოგადოებაში ისეთი პატივისცემით სარგებლობდნენ, როგორსაც დღეს სიზმარშიაც კი ვერ ნახავენ. ინჟინრები ასე მრავლად არ გვყავდა და შემოსავალიც მეტი ჰქონდათ. ოდელი-

ნის კომედიებში ხშირად ნახავდით ახალგაზრდა ინჟინერს, მეჯლისზე კოტილიონი რომ მიჰყავდა, ყმაწვილ ქალებს გულებს უჩქროლებდა და ბოლოს საუცხოოდაც ქორწინდებოდა. ვაგლახ! რაკი გზის გადასაყართან კოლეჯში ფილოლოგია ავირჩიე, საინჟინრო კარიერა სამუდამოდ დახშული იყო ჩემთვის. მშვიდობით, გზებო, ხილებო, შახტებო და საუცხოო ქორწინებავ!

ისევ სხვა გზას უნდა დავდგომოდი..

დიპლომატობაც მხიბლავდა, რაკი დიპლომატებს ყველგან დიდის პატივით ეპყრობიან ხოლმე; იმის გაფიქრებაზე, რომ ელჩი გავხდებოდი და უცხოეთის სამეფო კარზე ჩემი ქვეყნის სახელით ვილაპარაკებდი, სიხარულით ცა მეხსნებოდა. ველოლიავებოდი ამ აზრს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მწარედ დამეცინა ჩემი თავისათვის. სიმართლე თუ გნებავთ, მთელი ჩემი დღე და მოსწრება თუმცა დაცინვაში გამიტარებია, ისე მწარედ და ისეთის ნეტარებით არასოდეს დამიციანია ვინმესთვის, როგორც საკუთარი თავისათვის. მაგრამ მწამდა, რომ კაცს თუ ძალიან გაუგრძელდა, ვერაფერიშვილი ხუმრობა გამოუვა და ამიტომ მეც კონსულობას დავკერდი; გადავწყვიტე, ნეაპოლში დავსახლდები, ვენახში ჩადგმულ ვილას ვიქირავებ ფირუზისფერი ზღვის პირას-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ მურონი მოვინახულე, მურონ-საპონელა, ჩიტების კერძი, კოპწია ბინაში რომ ცხოვრობდა, სენპერის ქუჩაზე, დედასთან და დასთან ერთად. მასთან ტეტია შაზალი დამიხვდა; უკვე კარგა მაგრად მოეშვა წვერი. სიამოვნებით ჩავბლუჯე ხელში მურონის პაწია, თბილი მარჯვენა და შაზალსაც მაგრად ჩამოვართვი ხელი. შაზალი გავლით იყო პარიზში და ძალიან ჩქარობდა სოლონში დაბრუნებას, სადაც მეურნეობას უძღვებოდა. ამ ორ გულითად მეგობარს გავანდე, ვერაფრით ვადამიწყვეტია, რა ხელობას მოვკიდო-მეთქი ხელი.

მურონმა მკითხა, სახელმწიფო სამსახურში, კერძოდ, ფინანსთა სამინისტროში შესვლაზე ხომ არ გიფიქრია, იქ ცოტა ნიჭი თუ გაქვს, ან პროტექტორი თუ გამოგიჩნდა, ადვილად შეიძლება ინსპექტორის ადგილის შოვნაო. მირჩია, მოდი, ამ გზას დაადექიო. შევპირდი, მასეც ვიზამ-მეთქი. მაშინ კი გამა-

ფრთხილა, იქ შემსვლელთათვის კონკურსი ტარდება; გამოცდა ძნელი არ არის, ჩემმა ბიძაშვილმა ჩააბარა და იქიდან ვიცო. ცოტა ანგარიშს მოითხოვენ, ფრანგულის ცოდნასა და კარგ ხელს.

— გირჩევ, — დასძინა მან, — სპეციალისტს მიმართო; ერთ კაცს მიგასწავლი, დიუბლუაიე ჰქვია; ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, უკმეხია და პირდაპირი. ყველა, ვისაც ფინანსებში სურს მუშაობა, მას მიმართავს ხოლმე. ალჟირის ქუჩაზე ცხოვრობს, შვიდ თუ ცხრა ნომერში.

შაზალი გაიძახოდა, სამინისტროში გამოკეტვა რა ბედნააო.

— რა ძალა გადგია, პატიმრად იქცე? სჯობს, მე მომბაძე და მიწის დამუშავებას მოჰკიდე ხელი. სოფლად ცხოვრებას არაფერი შეედრება. დიდი ჯაფა კი გადგას, მაგრამ თავსაც ჩინებულად გრძნობ. დამიჯერე და, მეცხოველეობას მიჰყე ხელი. ამაზე საინტერესო არაფერია. სწორედ აქა ჩქეფს სიცოცხლის წყაროსთვალი. თუმცა სოფლად ყოველი სამუშაო სახალისოა. მე მცენარეულთა ჯიშების ცვლილებათა შესწავლა მომიხდა. ვერ წარმოიდგენ, რაები აღმოვაჩინე. დამიჯერებ? ეს ცვლილებები უეცრად ხდება და თაობიდან თაობას გადაეცემა ხოლმე. ჩემი თვალითა ვნახე, კუნელს როგორ დასცვივდა ეკლები და ასჯერ მეტი ყვავილიც გამოისხა, ნოყიერ მიწაზე რომ დავრგეთ. მაშა, ძმაო. ტყუილი არ გეგონოს, მართალს გეუბნები.

აღფრთოვანებული იყო. უფრო ტყუილად და უფრო ძლიერად მეჩვენა, ვიდრე უწინ; გაზრდილიყო და დაკაცებულიყო. მურონი კი მთლად დალეულიყო და დაპატარავებულიყო, მაგრამ მე იმ ხნისა ვიყავი, როცა მოსალოდნელ უბედურებას წინასწარ ვერ გრძნობენ ხოლმე.

მეორე დღეს ალჟირის ქუჩაზე მდებარე სახლის პირველ სართულზე აღმოჩნდი, სადაც ბატონი დიუბლუაიე გაკვეთილებს ატარებდა. მკითხა, ვისი შვილი ხარო, საკმაოდ ცივად და უბოდიშოდ მიმიღო და შემპირდა, იმპერიის დიდი მოხელის შვილთან, ახალგაზრდა ფაბიო ფალკონესთან ერთად გამეცადინებ, ისიც ფინანსთა სამინისტროში შესასვლელი გამოცდებისათვის ემზადებაო. დიუბლუაიე მთელი თავისი დღე და მოსწრება გამოცდებისათვის ამზადებდა კანდიდატებს

და ნამდვილ საქმოსანს ჰგავდა. ორ კვირას დავდიოდი მასთან გაკვეთილებზე და ერთხელაც არ მოუცია ჩემთვის წარმატების რბილი. ფალკონეს კი, თუმცა ჩემზე უკეთ არ ანგარიშობდა, ჩემზე გაცილებით ცუდად წერდა და ნაწერიც ბატიფეხურს მიუგავდა, სულ იმას ჩასჩინებდა, უეჭველად მოხვდებიო. ცოტა რომ დავფიქრდი, მივხვდი, რაზე ამყარებდა დიუბლუაიე თავის წინათგარძნობებს, გუნებაში მადლობა მოვახსენე გულწრფელობისათვის და შევწყვიტე ამ უსარგებლო გაკვეთილებზე სიარული. მოგვიანებით გავიგე, რომ კარგადაც მოვქცეულვარ, რაკი არ გავედი ისეთ გამოცდაზე, სადაც უეჭველად ჩამჭრიდნენ. ასე ექცეოდნენ ყველას, ვისაც საქმაო პროტექცია არ გააჩნდა.

ყერომ პატიუროსავით კვლავ თანამდებობას დავეძებდი. ვერა და ვერ შევძელი კეთილი შაზილის რჩევას ავყოლოდი. მიყვარდა სოფელი, გაგიჟებით მიყვარდა; მის გახსენებაზე ვღელავდი, ვთრთოდი და ნეტარების ქრუანტელი მივლიდა ტანში. მხოლოდ სოფლის სიყვარულისათვის ვიყავ შობილი. სოფლად უნდა გამეტარებინა ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები; მაგრამ ჯერ ამის დრო არ დამდგარიყო. არ მინდოდა დამეტოვებინა ხელოვნებათა და სილამაზის ქალაქი, მომღერალი ქვეები. მიზეზად ის მოვიდე, მიწა ან როგორ უნდა დავამუშავო, მე ხომ ერთი მტკაველი მიწაც არ გამაჩნია-მეთქი. რაკი მიწათმოქმედი ვერ გავხდებოდი და მალლა-მალლა ფრენასაც შეჩვეული არ ვიყავ, ვაჭრად გახდომას ვნატრობდი. ეს აზრი იმიტომ დამებადა, რომ XVIII საუკუნის ინგლისურ რომანებში ვაჭრები საქმაოდ კარგად გამოიყურებიან წითელ, ან წაბლისფერ მაუდის ტანსაცმელში და საწყობებიც ფუთებითა და სკივრებითა აქვთ გამოტენილი. ფრანგულ თეატრში სედენის\* ერთ პიესას დგამდნენ. იქ ერთი მეტად ღირსეული ნეგოციანტი იყო გამოყვანილი, ხელგაშლილად რომ ცხოვრობდა და შინაც საუცხოო ხალათი ეცვა. ცხოვრებაშიც ბევრი მინახავს შეძლებული ვაჭარი. მოკლედ, გადავწყვიტე, ვაჭარი, ან უფრო უკეთ, ნოქარი გავმხდარიყავი, თუმცა არც საქონელი მებადა და არც ფული გამაჩნდა მის შესაძენად. თავს მაინც იმაზე ვიმტვრევდი, რა სახის ვაჭრობისათვის მომეკიდა ხელი. სიძნელებიც სწორედ აქ დაიწყო. ვაჭრობის რამდენიმე ღარგი არ-

სებობდა. მათი არც უპირატესობანი ვიცოდი და არც ჩრდილო-  
ვანი მხარეები და აბა, როგორღა უნდა ამერჩია. ცნობარში  
ვიქექებოდი და თან ჩემს თავს ვეკითხებოდი, რის გაყიდვას  
მივყო ხელი: სახლებისას, სურათებისას, თოფ-იარაღისას, სამ-  
კაულებისას, ლუდისას, ნახშირისას, ქვაბებისას, ცემენტისას,  
ფეხსაცმელებისას, მარმარილოსი, სადღურგლო ხელსაწყოები-  
სას, წამლებისას, თუ ოპტიკური მოწყობილობისას-მეთქი და  
პასუხი ვერ მეპოვნა. ცოტათი მხოლოდ ის მანუგეშებდა, რომ,  
ჩვენში დარჩეს და, წინასწარ ვგრძნობდი, მე არც იარაღის, არც  
სამკაულების, არც ლუდის, არც ნახშირის, ქვაბების, ცემენტის,  
ფეხსაცმელებისა და სათვალეების გაყიდვის უნარი არ შემ-  
წევდა. ვრწმუნდებოდი, რომ ასარჩევად არაფერი მქონდა, მაგ-  
რამ ეს ფიქრი სასოწარკვეთილებაში მაგდებდა.

ამ გაჭირვებიდან მაშინ დამიხსენეს, როცა ყველაზე ნაკლებ-  
ბად ველოდი. ეს მოხდა შაბათს, ხუთის ოც წუთზე. იმ სამა-  
ხსოვრო დღეს კონფერანსის სანაპიროზე ვსეირნობდი. ეს ად-  
გილი მაშინ უფრო სოფლური ყაიდისა, უფრო უკაცური და  
უფრო ლამაზი იყო, ვიდრე დღეს. გზად ბატონ ლუი დე რონ-  
შოს\* გადავეყარე. ცენტრიდან მოდიოდა; იქ წიგნებითა და  
გრაფიურებით გაჭედილი პატარა ბინა ჰქონდა. ეს კაცი გულით  
მიყვარდა, მაგრამ იშვიათად დავდიოდი მასთან, იმედი არ  
მქონდა, რომ ჩემთან საუბარი მისთვის საინტერესო იქნებოდა.  
იქნებ კიდევ ცოცხლობენ ადამიანები, რომელთაც ეს საუცხოო  
კაცი ახსოვთ; თუმცა თვალთ არ მინახავს, მაინც გულით მიყვარს  
ეს ხალხი, ლუი დე რონშომ დაგვიტოვა ლექსები, მისი სულის  
სილამაზეზე რომ მეტყველებენ და ჩინებული გამოკვლევები  
ბერძნულ ხელოვნებაზე, რომელიც მას გატაცებით და ბრძნუ-  
ლის სიყვარულით უყვარდა. რონშო ლამარტინსაც მეგობრობ-  
და და მანაც თავისი „ლიტერატურის მოკლე კურსის“ მთელი  
ნომერი მიუძღვნა. იმ დროს, რომელშიაც ჩემს მოგონებებს  
გადავყავარ, ბატონი დე რონშო ახალგაზრდა აღარ იყო, მაგრამ  
ჰერ მოხუციც არ ეთქმოდა. ვინც იცნობდა, კარგად იცის, რომ  
მოხუცი არც არასოდეს ყოფილა თავისი ხანგრძლივი ცხოვ-  
რების მანძილზე, რაკი სიყვარულზე არასოდეს აუღია ხელი.  
რამდენიმე ოქროს დერი კიდევ შერჩენოდა თმაში. შუბლის  
სალუქი კანი ვარდისფრად უღვიოდა. წინანდებურად ალის-

ფერ ტუჩებს სანახევროდ უფარავდა უღვაშები. მთლად გაქუცულსა და დალაქავებულ ფრანგულ სერთუქსაც მოხდენილად ატარებდა. გულში ჩამწვდომი ხმა ჰქონდა და თუმცა ენაწყლიანი არ ეთქმოდა, მისი საუბარი მოგეწონებოდათ და მიგიზიდავდათ. გატაცებით მელაპარაკა რომაულ მოზაიკაზე, რამდენიმე დღის წინათ რომ აღმოეჩინათ. ლამბესაში. მახარა, აკვარელით შესრულებული ასლი უკვე მივიღეო. მერე იმპერიკაზე ჩამოაგდო სიტყვა. მის დაცემას წინასწარმეტყველებდა და გულითაც ნატრობდა. ბოლოს რომელიღაც წიგნიც გაიხსენა, დიდი მითქმა-მოთქმა რომ გამოიწვია საზოგადოებაში და გამოწვლილვით გააჩრია. ლაპარაკით გული რომ იჭერა, გამოემეშვიდობა და უკვე წასვლას აპირებდა, მაგრამ უცებ რაღაც გაახსენდა:

— მინდოდა მეთხოვა თქვენთვის, შინ მეწვიეთ-მეთქი. მოსალაპარაკებელი მაქვს. მე და ჩემი მეგობრები ერთ დიდ გამომცემელთან მხატვართა ცხოვრებას ვაქვეყნებთ ნაკვეთ-ნაკვეთ. შარლ ბლანის\* მოძველებული ნაშრომი გვინდა შევცვალოთ. საშვილიშვილო საქმე ვიტვირთეთ. თქვენც სამსახურს გაგვიწვეთ, თუკი მასალის შეგროვებაში დაგვეხმარებით, კორექტურებს გაასწორებთ და თუ გაჭირდა, თანამშრომლობაც გასწვეთ; მოკლედ, თუკი შეასრულებთ იმ საქმეს, რასაც უურნალებში რედაქციის მდივნები უძღვებიან ხოლმე. სამუშაო თავზე საყრელი იქნება, ყოველ ცისმარე დღეს მოგიწვეთ შრომა, მაგრამ საქმე დაგაინტერესებთ. ხელფასს გამომცემლობა გადაგიხდით და სამუშაო კაბინეტსაც მოგიჩენთ.

სამი დღის შემდეგ ამ სასიამოვნო საქმეს ჩაუუჯექი. იქნება იგი მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე არც გაგრძელებულიყო, მაგრამ აქ ნამსახურს ჩემთვის შესაფერისი სხვა სამუშაოების შოვნა აღარ გამიჭირდებოდა. გული სიხარულით მეცხებოდა იმის გამოც, რომ ცნობილ გამომცემელთან სასკიას, ლავინიასა და დახეულხელთათმნიანი კაცის\* ლამაზი ფოტოსურათებით მორთული ოთახი მქონდა მოჩენილი.

ხელოვნების დიდი ტრფიალი ვიყავ. რაკი ჩემი სახლიდან ლუვრში მისასვლელად მარტო სენის გადალახვა მჭირდებოდა, თითქმის ყოველდღე იქ დავდიოდი და თამამად შემძლია გითხრათ, რომ სიჭაბუკე ამ დიდებულ სასახლეში მაქვს გატარებული. სიმართლეს ვერ დავუკარგავ ჩემს პედაგოგებს და ვიტყვი, რომ მათი შემწეობით ჩავწვდი ბერძნულ გენიას, თუმცა თავად მისი ბევრი არა გაეგებოდათ რა. დიდხანს დავდიოდი კამპანას მუზეუმში, იმხანად რომ გახსნეს და იმ დარბაზების ხშირი სტუმარიც ვიყავ, სადაც ბერძნული ლარნაკები იყო გამოფენილი, რომელთაც ბევრი ისევ ეტრუსკულ ლარნაკებად მიიჩნევდა. ზედ გამოხატული სურათები გულდაგულ შევისწავლე, ამან შემაყვარა ლამაზი ფორმა და ჩემდაშეუმჩნევლად ენგრის გენიასაც ჩავწვდი.

იმას ვერავინ იტყვის, ენგრმა ძველების ნახატი გააცოცხლაო. ეს არცა ჰქონია მიზნად დასახული. მისი ხელწერა მისი დროის პირმშო შვილია, მაგრამ მის ნაწარმოებებში არის რაღაც ისეთი, რასაც მხოლოდ ბერძენ მხატვრებთან თუ შეხვდებით. ოცი წლის ჭაბუკს ათასი ვნება და გატაცება გააჩნია. ძალიან მომწონდა დელაკრუას ხელოვნებაც. სენ-სულპისის ანგელოზთა ეკვდერს პირდაპირ აღფრთოვანებაში მოვყავდი და როცა ამბობდნენ, კედლის მხატვრობას ნაკლები რელიეფურობა და მეტი სიმშვიდე სჭირდებაო, ვფიქრობდი, მარტო საუცხოო სიმშაგეს შეეძლო ამ ოცი კვადრატული ფუტის მანძილზე მშვენიერი სვეტები, ცხენები, ანგელოზები, მთები, აქოჩრილი ხეები, სხივოსანი სივრცე, ფირუზისფერი ზეცა გამოეხატა-მეთქი. დღესაც მადლობას ვწირავ ღმერთებს, დელაკრუას ნიჭის უგრძობელი რომ არ დამტოვეს. მაგრამ ენგერმა\* უფრო ძლიერი გრძობა — სიყვარული ჩამისახა გულში. კარგად ვიცოდი, მისი ხელოვნება ძალზე ამალღებული იყო, ყველას არ ესმოდა და თავი მომწონდა, რომ მის გენიას ჩავწვდი. მხოლოდ სიყვარული ახდენს ასეთ სასწაულებს. შევიტკბე მისი ნახატი, ზედმიწევნით რომ მისდევს ბუნებას და მით აღწევს



სრულყოფილებას. მიყვარდა მისი გრძნობადი, ნეტარების  
ქრუანტელის მომგვრელი მხატვრობა, დიდებულიც რომ იყო  
და დარბაისლურიც. ენგრი ჩვენი სახლიდან ორას ნაბიჯზე  
ცხოვრობდა, ვოლტერის სანაპიროზე. სახით კიდევაც ვიცნობ-  
დი. უკვე ოთხმოც წელს იყო გადაცილებული. სიბერე ჩვეუ-  
ლებრივ მოკვდავთ გადაგვარების გზაზე აყენებს, გენიოსები-  
სათვის კი ნამდვილი აპოთეოზია. როცა ვხვდებოდი, თავისი  
შედევრებით გარშემორტყმული მეჩვენებოდა და ენით უთქ-  
მელი მღელვარება მეუფლებოდა.

ერთხელ შატლეს თეატრში წავედი. იმ დღეს პირველად  
იდგმებოდა „ჯადოსნური ფლეიტა“\* კრისტინ ნილსონის  
მონაწილეობით. ადგილი პარტერში მქონდა. დარბაზი ფარ-  
დის ახდამდე დიდი ხნით ადრე უკვე გაჭედილი იყო. უცებ  
ბატონ ენგრს მოვკარ თვალი; ჩემკენ მოემართებოდა. ნამდვი-  
ლად ის იყო; თავი ხარისას მიუგავდა, შავ, ახალგაზრდულად  
გამჭრიახ თვალებს აცეცებდა, ჯმუხი იყო და ტანად დაბალი.  
ბავშვმაც კი იცოდა, რომ მუსიკის დიდი მოყვარული იყო;  
ყველას მისი ვიოლინოს ამბავი ეკერა პირზე. პარიზის თეა-  
ტრების კარი მუდამ ღია იყო მისთვის. მივხვდი, ადგილს დაე-  
ძებდა და ვერ მიეგნო. მინდოდა, ჩემი ადგილი შემეთავაზე-  
ბინა, მაგრამ არ მაცალა.

— ყმაწვილო, — მითხრა, — დამითმეთ ეგ ადგილი; მე  
ენგრი ვარ.

გახარებული წამოვხტი ფეხზე. დიდებულმა მოხუცმა პა-  
ტივი დამლო, ამდენ ხალხში მე გამომარჩია და მე მთხოვა  
ადგილი.

ნაწილობრივ მეორე ფრანგმა მხატვარმაც შეძლო გად-  
მოეცა ანტიკური სილამაზე. პუსენზე მოგახსენებთ; ისიც  
კლასიკურია თავისი კომპოზიციებით, ფიგურათა მოყვანილო-  
ბითა და განლაგებით. მაგრამ მხოლოდ ენგრმა აღბეჭდა თა-  
ვისი ნახატები წარმართული სენსუალიზმით. ძველებსაც არქე-  
ოლოგიის უბადრუკი ხერხებით კი არ დაუკავშირდა, არამედ  
თავისი გენიის ძალით.

ბატონი დიუბუა გრამატიკაში ისე იყო განსწავლული, რომ პირდაპირ შიშის ზარსა მცემდა. სიტყვების აზრის გაგებასა და მათ შეკავშირებაში შიშაღალი არ ჰყავდა; სამაგიეროდ ორთოგრაფიას დიუბუადი ეკიდებოდა და წერაში მოიკოჭლებდა კიდევ. ამბობდა, ვერ გამიგია, ასეთ წვრილმანებში ძვირფას დროს რად ხარჯავენო. ნოელისა და შაქსალის გრამატიკას ყაზარმათა გრამატიკას უწოდებდა და გაიძახოდა, ეგ გრამატიკა თავს ნაპოლეონის გაუმადლარმა ტირანიამ მოგვახვია, ბონაპარტი ხომ ზელ-ფეხის განძრევასაც არ ანებებდა ხალხს, თავისუფლად აზროვნებასაც უშლიდა და გონების დამოუკიდებლობასაც სდევნიდაო. დედაჩემმა მიმღეობათა რიგიანი ხმარება არ იცოდა და როცა ბატონ დიუბუას ამ თავის სატკივარზე ჩამოუგდებდა სიტყვას, მოხუცი მეტად აცბუნებდა თავის პასუხით: მიმღეობებზე იმაზე მეტი ნუ მაცოდინა ღმერთმა, ვიდრე პასკალმა და რასინმა იცოდნენ, იმათ კი ამეებზე წარმოდგენაც არა ჰქონდათო.

ბატონ დიუბუას ლიტერატურულ გემოვნებას ძალიან ვენდობოდი, მაგრამ შიშის ზარსაც მგვრიდა.

კლასიციზმის დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ, მაგრამ ხშირად აკრიტიკებდა კიდევ; თავისებური ფილოსოფია ჰქონდა, რომელიც მის ყოველ მსჯელობას დაღს ასვამდა. სენტ-ევრემონი პასკალზე უფრო ჰკვიანად მიაჩნდა. ბოსუე კი, მისთვის რომ გეკითხათ, უხეირო ენით გადმოსცემდა უბადრუკ აზრებს. მისი „საუბრები მსოფლიო ისტორიაზე“ ისეთივე სულელურიცაა, როგორც პოლ ოროზის „ისტორია“ და კაცმა რომ თქვას, გადმოწერილიც იქიდან აქვსო.

— კორნელი, — ამბობდა იგი, — არ შეიძლება ბრძენ კაცს მოეწონოს, რაკი ნაპოლეონს მოსწონდა. მის ტრაგედია „პორაციუსს“ მართლაცდა სასაქლავოს სუნი უღის.

ბატონი დიუბუა მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ „კანონთა სული“ და „ზნე-ჩვეულებათა შესახებ“ ადამიანის გონების ორი უმშვენიერესი ძეგლი გახლდათ. უყვარდა ვოლტერის

ტრაგედიები, თუმცა მასაც სტილის სისუსტეს უკიყინებდა. პოეტთა შორის კი, მისთვის რომ დაგეჟერებინათ, მხოლოდ ბერძნები და რომაელები იყვნენ სათვალავში ჩასაგდები. მათ კითხვაში ეძლეოდა ნეტარებასა და ჯიბეში მუდამ პატარა ფორმატის, საუცხოოდ გამოცემული თეოკრიტეს, ან კატულის\* ტომი ელო, რადგან ბიბლიოფილი გახლდათ.

ვერგილიუსი ზეპირად იცოდა და გვიამბობდა, ერთხელ გენერალ მიოლისთან ერთად „ენეიდას“ მეოთხე წიგნს ვკითხულობდი და ორთავეს ცრემლი მოგვევრიაო. თანამედროვე ლექსი რითმის გამო სძულდა. რითმა ბარბაროსობად მიაჩნდა და გაიძახოდა, მხოლოდ ტაქტს აღნიშნავს და მარტო იმის მაქნისია, რომ უვიც და უხეშ კაცთა უბადრუკი ყურადღება მიიპყროს და გაუწაფავი ყურები დაატკბოსო. ამტკიცებდა, ბგერების ეგ გამეორება თავდაპირველად მხოლოდ მნემონიური ხერხი იყო იმათთვის, ვინც ჩვევის უქონლობის გამო ადვილად ვერ ზეპირობდაო. მაგრამ ყოველივე ზემოთ თქმული ხელს არ უშლიდა ალტაცებაში მოსულიყო ლაფონტენის, ვოლტერისა და პარნის ლექსებით. ამას იქით თავის დღეში არ მიდიოდა, რადგან რომანტიკოს პოეტებს სულაც არ იცნობდა. თანამედროვე პროზიდანაც მხოლოდ ის ჰქონდა წაკითხული, რაც პოლიტიკასა და ისტორიას შეეხებოდა. „ხმა სამარხიდან“, რომელიც საზოგადოებამ ცუდად მიიღო, ბატონ დიუბუასაც არაფრად ექაშნიკებოდა. შატობრიანს სულ ღვარკნილ სტილსა და აზრის სიმწირეს უკიყინებდა.

ასეთ მკაცრ გემოვნებას, ცხადია, სხვა ადვილად ვერ გადაიღებდა. ჩვეულებრივ, კაცის გემოვნება ხომ მოგვიანებით, ისიც ხანგრძლივი და ზოგჯერ მძიმე გამოცდილების შედეგად ყალიბდება. გემოვნება საამურისადმი ლტოლვაა და ტანჯვაში იხვეწება. ღირსმა მოხუცმა, კეთილ რომ ინება და ჩემი სიყრმის დროს დიდი ინტერესი გამოიჩინა ჩემდამი, კარგი ენა ვერ მასწავლა, მაგრამ გულში ჩამინერგა ხელოვნებათა სიყვარული და სილამაზის ტრფიალად მაქცია.

ბატონი დიუბუა, როგორც მისი დროის ყველა არქეოლოგი, ბერძნულ ქანდაკებას უმთავრესად რომაული პერიოდის ძეგლებით იცნობდა. სიდიადისა და უბრალოების გრძნობა აჰყვარდა, მაგრამ ძალზე გვიან ნახა პართენონის მარმარილოები

და ლაოკონის უკეთესი ქვეყნად არაფერი ეგულებოდა. ამ დარგში მაინც საუცხოო მცოდნედ ითვლებოდა.

იტალიაში მაშინ იმოგზაურა, როცა იქ თითქმის არავინ დადიოდა; თავისი დროის ხელოვანთა ხშირი სტუმარიც იყო და დიდძალი თანხის დაუხარჯველად შეძლო შეექმნა საუცხოო კოლექცია, რომლითაც მღუმარედ ტკებებოდა ქვეყნის ყაყანს მოშორებული. მაგრამ ამქვეყნად ყოველი სიხარული ჩამწარებული გვაქვს და საწყალ დიუბუასაც მოურავი ქალი ურღვევდა ამ მორთულ-მოკაზმული ბინის მყუდროებას. კლორინდი „სვამდა“ და თუმცა ბატონი დიუბუა ერთობ გულჩათხრობილი კაცი იყო, მაინც გაანდო დედაჩემს, ერთ საღამოს უგონოდ მთვრალი კლორინდი აღმოდებულ სამზარეულოში ვნახეო. მე მიკვირდა, რატომ არ გააგდებს-მეთქი, მაგრამ დედაჩემს ეს ამბავი, როგორც ჩანს, ნაკლებად აოცებდა...

ღროდადრო, როცა ბატონი დიუბუა კმაყოფილი იყო ჩემი წარმატებით, მეტყოდა ხოლმე:

— შვილო, ჩემი სიძველეთა კოლექცია უნდა განახო და რამდენიმე ისეთი სურათიც უნდა გიჩვენო, რომელთა მსგავსსაც ახლა უკვე ვეღარ ხატავენ. ბარბაროსებმა წაგვლეკეს და დღეს ხატვა აღარავინ იცის.

ბარბაროსებს კუტიურებს, კონიეებს, დევერიებსა და მეტადრე დელაკრუას ეძახდა; ეს დელაკრუა ხომ თვალის დასანახავად ეჯავრებოდა. მისი არ ესმოდა. ყველაფერი არ ესმოდა, მაგრამ რომელ ჩვენგანს შეუძლია დაიქადოს, ყველაფერი მესმისო?

ჩემს დაპატიჟებას რომ განიზრახავდა ბატონი დიუბუა, სიხარულით ცას ვეწეოდი ხოლმე, მაგრამ ეს ბედნიერება მეტად იშვიათი იყო. თავის ბებერ მოურავ ქალთან განმარტოებით, უნათესავოდ და უმეგობროდ მცხოვრები მოხუცი ძეხორციელს არ უღებდა სახლის კარს. ამიტომ უცნაურ ზღაპრებს ყვებოდნენ მის ბინაზე, სადაც თავის დღეში არავის დაედგა ფეხი. ბინა სენტ-ანის ქუჩაზე მდებარე ძველი ოტელის მესამე სართულზე ჰქონდა; მისი ფანჯრები ეზოს გადაჰყურებდა. ბატონ დიუბუას თავისი დღე და მოსწრება ამ სახლში გაეტარებინა:

ნეტარ არს იგი, მეგობრებო, ვის დაბადება,  
სიცოცხლე და სულის დაღევა ერთ სახლში ერგო\*...

ბატონ დიუბუას საუცხოო დედა ჰყავდა და კიდევაც აღ-  
მერთებდა. ქალი ლამაზი იყო, ქალბატონ დე ქანლისივით  
უკრავდა ქნარზე და ყვავილებს ვან სპანდონკივით ხატავდა.  
სიკვდილმა უეცრად უწია 1815 წელს და მის ვაჟს ხელუხლებ-  
ლად დაუტოვებია მისი ოთახი. ქნარი ისევ ისე იდგა, კლავე-  
სინზე ძველებური რომანსი იყო გადაშლილი, საღებავების  
კოლოფი გახსნილი დარჩენილიყო ყვავილებიანი ლარნაკის  
გვერდით, რომლის ხატვაც ის იყო დაეწყო ქალბატონ დიუ-  
ბუას. ყოველივე ეს ორმოცი წელია, მტერის სუდარის ქვეშ  
იყო დამარხული. ამბობდნენ, ბატონ დიუბუას სალონში ერთი  
შეპუდრული ქალის პორტრეტიც ჰკიდიაო. ქალის მარჯვენა  
ხელი ვარდების თაიგულით გახლდათ დაფარული; ფიქრობ-  
დნენ, ამ პორტრეტზე ბატონ დიუბუას პაპის დედაა გამოხა-  
ტული, სიკვდილის წინ თავის ვაჟს წყევლა-კრულვა რომ შეუ-  
თვალაო. მაგრამ მის დასაფლავებიდან ექვსი კვირის შემდეგ,  
ერთ მშვენიერ დილას ნახეს, რომ სურათზე მარჯვენა ხელი  
ვიდაცას წაეშალა და მის ნაცვლად ვარდების თაიგული მიეხა-  
ტა. საღებავები ჯერ კიდევ არ გამშრალიყო და დაასკვნეს,  
თვითონ მიცვალებული მოსულა ამ საქმის ჩასადენად, რათა  
ენიშნებინა შვილისათვის, წყევლა აგხსენიო. ამ სახლში ტერო-  
რის მსხვერპლიც ბევრი იყო და მათი მიუსათარი აჩრდილები  
დაძრწოდნენ კიბეებსა და დერეფნებში.

დროდადრო ბატონი დიუბუა მეტყოდა ხოლმე:

— შეილო, ამ დღეებში უთუოდ უნდა მოხვიდე ჩემთან ჩე-  
მი სიძველეთა კოლექციის სანახავად.

ნათლიაჩემი, ჩინებული და ქვეყნად ყველაზე უფრო დამ-  
ყოლი ბუნების კაცი, ზოგჯერ უკიყინებდა ბატონ დიუბუას  
სიძველეთა მომეტებული სიყვარულის გამო. ნათლიაჩემისთვის  
რომ გეკითხათ, ანტიკური ხანის ძეგლები ლამაზი, მაგრამ ცო-  
ტა ცივი იყო და გულს არაფერს ეუბნებოდა. გოტიესი არ  
იყოს, ისიც ძველი გერმანული სკოლის სურათებისა და იტა-  
ლიელი პრიმიტივისტების ტრფიალი გახლდათ.

ერთ დღეს, როცა კვატროჩენტოს\* ოსტატებს განადიდებ-  
და, ბატონმა დიუბუამაც მხარი აუბა:

— მანტენია მართლაც დიდებული რამაა. ამ ოცდაათი წლის წინათ ვერონაში მისი „ქრისტეს საფლავად დადება“ ვნახე; ძლიერი ნახატია და საუცხოოდაც არის შესრულებული. ჰეშმარიტად დიდებული ნაწარმოებია.

მერე მე მომიბრუნდა და მითხრა:

— უეჭველად უნდა გიჩვენო, შვილო.

ამჯერად ჩემი სტუმრობა საბოლოოდ გადაწყდა. დღეც კი დავთქვი. რამდენადაც მახსოვს, აღდგომის შემდეგ პირველი ხუთშაბათი იყო. საუკეთესო ტანსაცმელი ჩავიცვი და მაღალი ქუდი დავიხურე. იმ დროს ქვაბურა ქუდს ჩემისთანა ყმაწვილებიც კი არ კადრულობდნენ ხოლმე. ორის ნახევარი რომ შეიქნა, ძალიან აღელვებული გამოვედი შინიდან.

კიბის მოედანზე გავედი თუ არა, ისეთი ქოშინი შემომესმა, ჩემს გამდელ მელანის რომ სჩვეოდა და კიბის საფეხურზე ჩამომჯდარი დედილო კოშლუე დავინახე. თავი მუხლებში ჩაერგო და ხროტინებდა. მართლაც საზარელი სანახავი იყო; მეჭექო, მარჯვენა თვალს რომ უფარავდა, ახლა მუქის სისხო გახდომოდა და ამ თვალიდან მიწით მოთხვრილ ლოყაზე ფისივით მწებარე და ქანგიანი ცრემლები მოედინებოდა. ბინძური ქუდი და თალხი თავშალი ხველისაგან უტახტახებდა და მელოტი და მთლად გაზინთული კეფა მოუჩანდა. მსხვილი, ოქროს საყურეები, ყურებს ქვემოთ რომ მოჰკონწიალებდა, კიდევ უფრო გონჯს აჩენდა. შევცდი, წინ რომ ჩავუარე, თავი შევებრუნე და ნაბიჯს ავუჩქარე. აქოშინებულმა მკვახედ მომაძახა:

— ჩემო პატარა მეგობარო, ჩემი ქოშინი რომ შემოგესმა, გაიფიქრე, სელაპიაო, არა? თორემ ქალი რომ გგონებოდი, უთუოდ ქუდსაც მომიხდიდი.

მერე თავი მუხლებში ჩარგო და კვლავ ქოშინს მოჰყვა.

გავწითლდი, ჩურჩულით ბოდიში მოვუხადე და ხელიც შეეთავაზე, კიბეზე აგიყვანთ-მეთქი. უხეშად იუარა და მეც დამწუხრებული და შერცხვენილი განვშორდი.

მაგრამ გარეთ გამოვედი თუ არა, ცივმა სიომ, ამო ჰაერმა, მოკამკამე ცამ გული სიხარულით ამივსო და ყველაფერი გადამავიწყდა. მიყვარდა ჩემი, დიდი ქალაქი, გულით მისი ხატი დამქონდა და ვულოლიავებდი. მიყვარდა ჩემი მეფურად მდინარე სენაც, დიწჯი და წყალუხვი, ქვის სამკაულებით მორთუ-

ლი და ქალაქურად მოკაზმული; მიყვარდა დიდი, მშობლიუ-  
რი და სახელოვანი, ტანაყრილი ჭადრების ჩრდილით მოჩრდი-  
ლული, ძველი ოტელებითა და სასახლეებით შემოფარგლული  
სანაპიროებიც... მაშინ ხომ სიმშვიდე და მღუმარება იდგა ამ  
მშვენიერ სანაპიროებზე. ტრამვაიების უშნო ხრიგინი როდი  
ურღვევდა მყუდროებას. თუჯის ხიდზე გავედი, ოთხი ქვის  
ქალი რომ ედგა დარაჯად; ეს ქალები არავის უნახავს გაღიმე-  
ბული. ლუვრის ეზო გადავქერი; შიგ ტიულრის სასახლე აღ-  
მართულიყო, რომლის ყოველი ქვაც ჩვენს წარსულ დიდებაზე  
ღალღებდა. ეს სასახლე ათი წლის შემდეგ ცეცხლს მისცეს  
დამარცხებულებმა\* და მერე გაბოროტებულმა ბურჟუეზმა  
აღგავეს პირისაგან მიწისა. ჭიშკრიდან რომ გამოვედი და რი-  
ვოლის ქუჩა გადავქერი, ვიწრო და მიხვეულ-მიხვეული ქუჩე-  
ბის ლაბირინთში ამოვყავი თავი. ეს ქუჩები შემდეგ დაანგრი-  
ეს. ცოტაც და, სენტ-ანასა და ტერეზას ქუჩების კუთხეს მი-  
ვალწიე. აქ ცხოვრობდა ბატონი დიუბუა ბავშვობიდანვე, ლუი  
XV-ის დროინდელი სახლის მესამე სართულზე. კარი კლორინ-  
დმა გამიღო. თუმცა ბევრჯერ მსმენია, „სვამსო“, მაგრამ გარე-  
გნულად ვერაფერს შეატყობდით. ჩემს დღეში არ მინახავს უფ-  
რო დარბაისელი, უფრო მშვიდი, უფრო სუფთა და უფრო  
უსიტყვო მოხუცი. ბატონ დიუბუას ბინაში შესვლისთანავე  
შეატყობდით, რომ აქ სიძველეთა დიდი მცოდნე ცხოვრობდა  
და ბევრი რამაც იყო საინტერესო. წინკარი სავეს გაზღდათ  
ქანდაკებათა ფრაგმენტებით და რომაული სარკოფაგებით.  
სასადილო ოთახში უამრავი მარმარილოს ძეგლი და შავი ფიგურ-  
რებით მორთული წითელი ლარნაკი ეწყო. საუცხოო ბერ-  
ძნული სტილის ლარნაკები იყო, იმხანად ეტრუსკულს რომ  
უწოდებდნენ. ბატონმა დიუბუამ თავმომწონედ მიჩვენა ახალ-  
გაზრდა ფავნის ტორსი, მხარზე იზმის ტყავი რომ ჰქონდა მოგ-  
დებული; შეუქო უბრალოება, მოხდენილობა, სინატიფე. ეტყო-  
ბოდა, ეს მისი კოლექციის უძვირფასესი განძი იყო.

— ამგვარი ქმნილების დამახინჯება, — მითხრა მან, —  
კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი დანაშაულია. მაგრამ როცა  
ძეგლი ასეთ სრულყოფილებას აღწევს, მისი სიმშვენიერე  
თითოეულ მის ნაწილშიაც კარგად გამოსჭვივინს. ჩვენს თანა-  
21. ან. ფრანსი

შედროვე ნაწარმოებებში კი, თუ გამომეტყველებას, ესე იგი, გრიმასას მოვაშორებთ, ალარაფერი რჩება ხოლმე.

და ბატონი დიუბუა ენაწყლიანად მოჰყვა საუბარს:

— პოეზიაში, ხელოვნებასა და ფილოსოფიაში ისევ ძველებს უნდა მივუბრუნდეთ. რატომ? იმიტომ, რომ ველარაფერსა ვქმნით კარგს, ბრძნულსა და მშვენიერს. ბერძნებს ისეთი ნიჭი ჰქონდათ მომადლებული, რომ შეძლეს სრულყოფილებამდე მიეყვანათ ხელოვნების ყველა დარგი. ეს იყო ზეგარდმო ნიჭით ცხებული ერის პრივილეგია, ერისა, რომელიც საუცხოო ჰავაში, უღრუბლო ცის ქვეშ, ჰარმონიულად მოხაზულ მიწაზე, ლაევარდოვანი ზღვის ნაპირას ცხოვრობდა თავისუფლად და უშფოთველად.

პეროდოტეს ერთი სიტყვა აქვს, რომელიც უეჭველად უნდა დაიხსომო, შვილო. მოხუცი ისტორიკოსი მას სპარტელ დემარატეს ათქმევინებს ქსერქსესთან საუბრის დროს: „ჰოი, მეფეო, უწყოდე, რომ სიღარიბე ბერძენთ ერთგული მეგობარია; მას სათნობაც მუდამ თანა სდევს, ასული სიბრძნის და სანიმუშო მმართველობის“. ბერძნებისა ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ადამიანი დასახეს ყველაფრის საზომად და ირწმუნეს ღმერთების სამართლიანობა თუ არა, ზომიერება მაინც.

ბატონმა დიუბუამ ჩემს პატივმოყვარეობას რომ ესალბუნებოდა, იმგვარის მზრუნველობით მიჩვენა სურათები და ნახატები, ოდესღაც იტალიიდან რომ ჩამოეტანა ანდა პარიზში შეეკრიბა. ჩემი ყურადღება უპირატესად იმ ოსტატებს მიაპყრო, რომელთაც ყველაზე მეტ პატივსა სცემდა: გვიდოს, კარაჩის, სპანოლეტოს, ბატონისა და რაფაელ მენგს\*. მაგრამ მწუხრით მოსილი მახარობელთა და წამებულთა ეს ბანჯგვლიანი ფიგურები კაეშანს მგვრიდნენ. დავიდის ეტიუდებმაც, თუმცა აღრე ძალიან მიქვს, ვერ შეძლეს ჩემი გამხიარულება. თვითონ ბატონი დიუბუა დავიდს ცოტა უხეშობას უკიჟინებდა, მაგრამ მაინც მადლიერი იყო მისი: ბუშეს, პიერისა და ფრაგონარის უხამს გემოვნებას ზურგი აქციაო.

ჩემმა მასპინძელმა ერთ ოთახში შემეყვანა, სადაც ტრიუმოებზე, ფერდაკარგულ სარკეებს ზემოთ შემომჭდარი მტრედები ნისკარტებით ეალერსებოდნენ ერთმანეთს. ეტყობა, სიმართლეს მოკლებული არ უნდა ყოფილიყო ის ხმები, ამ



საიდუმლოებით მოცულ ბინაზე რომ დადიოდა. მე ჩემი თვალით ვნახე სიმებმოფლავებული ქნარი და ნოტების გრაგნილი, კლავესინზე რომ იღო; ვნახე კედელზე დაკიდებული შეპუდრული ქალის პორტრეტი; ქალს მკერდზე თეთრი შალი ჰქონდა გადაჯვარდინებული. მისი მარჯვენა მთლად დაეფარა ვარდებს და ეს ვარდები მართლაც მოგვიანებით, ნაჩქარევად მიხატულსა ჰგავდა. მაგრამ ბატონმა დიუბუამ მხოლოდ ის მითხრა, ამ ოთახის ავეჯი ჩემი მშობლების კუთვნილება იყო.

მერე ინკრუსტაციებით დაფარული და ოქროს ორნამენტებით შემკული კამოდი, ბოვესური ფარდები და მოვარაყებული სავარძლები მიჩვენა, რომლებზედაც პასტორალური სცენები იყო ამოქარგული და ღიმილით წაიჩურჩულა:

— ეს პაპაჩემის დედის ავეჯია. წინათ მათ გამო სულ თავბედს ვიწყევლიდი. ხომ იცი, დირექტორიისა და კონსულობის დროს დიდი რევოლუცია მოხდა ხელოვნებაში. გემოვნება, თანდათან რომ იხვეწებოდა მონარქიის დაკნინების ხანაში, მთლად ანტიკურ ყაიდაზე გარდაიქმნა და ძველი დროების ზიზილ-პიპილები ხალხს სასაცილოდაც აღარ ჰყოფნიდა. მაშინ ჩემს მშობლებთან ვცხოვრობდი; ახალგაზრდა ვიყავ, ჩემი თავმოყვარეობა მქონდა და მიმძიმდა ამ ძველმანებს შორის ცხოვრება, მეტადრე მეგობართა მიღება ამ გარემოში. მათ შორის ბევრი მხატვარი იყო, სულ დავიდის მოწაფეები და მასავით ბერძნული და რომაული ხელოვნების მოტრფიალენი. მახსოვს, ერთ დღეს ქალბატონ დე ნოაის\* წარუდგინეს ჩემი თავი. მას შემდეგ, რაც ემიგრაციიდან დაბრუნდა, შოსე დ'ანტენზე ცხოვრობდა დავიდის მიერ მორთულ ოტელში. პერსიესა და ტონტენის ნახატების მიხედვით გაკეთებული ავეჯი ედგა. კედლებზე ბრონზით მიეხატათ ერთმანეთში არეული მუზარადები, ფარები, ხმლები და ფრიზები გმირთა გამოსახულებით. აქ ნახავდით რემსა და რომულს, ძუ მგელს ძუძუს რომ სწოვდნენ, ნახავდით ბრუტუსს\*, თავისი ვაჟებისათვის რომ გამოჰქონდა განაჩენი, ვირგინიუსს, თავის ასულს ყელს რომ დადრავდა და რა ვიცი, კიდევ რას... სტუმრებიცა და მასპინძლებიც კურულთა სავარძლებში\* სხდებოდნენ. ბუდუარის კედლები წითლად გახლდათ შეღებილი და ჰერკულანუმის ფრესკების მსგავსი ნახატებით იყო აქრელგებული. ეს მორთულობა,

ეს ავეჯი საუცხოოდ მეჩვენა მაშინ. იქნებ დიასახლისის სიტურფემ მომხიბლა, მისი ქერა თმა და მარმარილოს თლილი თითები მართლაც სასწაულმოქმედი ჩანდა, იქნებ სწორედ მან გაზარდა ჩემი აღტაცება და უფრო ლამაზიც იმიტომ მეჩვენა კედლები, ეს მშვენიერი ბანოვანი რომ შესცქეროდა და სკამებიც, რომლებზედაც ის მოსვენებას ეძლეოდა; ეს კია, რომ ქალბატონ ნოაის ოტელიდან გაგიყებული გამოვედი. და როცა შინ დაბრუნებულმა დიდმუცლიანი კამოდი, დაგრეხილფეხებიანი სავარძლები, მწყემსი ქალებითა და ცხვრებით აჭრელებული ფარდები ვნახე, კინალამ ვიტირე ჯავრისა და სირცხვილისაგან. მერე მამაჩემსაც ავუხირდი და შევეცადე დამერწმუნებინა, ეგ ძველმანები სასაცილოა, თვით ჩინელებსაც კი თავის ღღეში არაფერი შეუქმნიათ ასეთი უაზრო და გროტესკული-მეთქი. მამაჩემმაც კვერი დამიკრა: „ვიცი, რომ ახლა უკეთეს რამეებს აკეთებენ და გემოვნებაც გაუმჯობესდა; თუ ჩემს ძველმანებს ბატონ პერსიესა და ბატონ ფონტანის ნახატების მიხედვით გაკეთებულ ავეჯში გამოიცვლიან, სიამოვნებით დავთანხმდები; მაგრამ რაკი ასე არავინ გაბრიყვდება, იმ ავეჯსაც დავერდები, ჩემი მშობლები რომ სჯერდებოდნენ, რადგან აღარც ისეთი ახალგაზრდა ვარ და არც ისეთი მდიდარი, რომ მოდაზე მოვიწყო სახლი“. ეს სიტყვები ძალიან მემწარა, — დასძინა ბატონმა დიუბუამ, — და მაინც, ხომ ხედავ, ჩემო მეგობარო, მე თვითონაც იქნებ სიძუნწის, იქნებ შვილური პატივისცემის, იქნებ წმინდა წყლის დაუდევრობის გამოც შევინარჩუნე მამა-პაპისეული ავეჯი და როგორც მეუბნებიან, არაფერი წამიგია, რაკი ამდენი ფული დავზოგე. ის კი არადა, ხეირიც დამადგა: ეს ავეჯი, ოდესღაც აგრერიგად რომ ავინებდნენ, ღღეს კვლავ მოწონებას იმსახურებს და ძალიან ძვირადაც ფასობს.

სანამ ის ლაპარაკობდა, მე თვალს არ ვაცილებდი პატარა ტილოს, საწოლის თავთან რომ ეკიდა. აქამდე ბატონ დიუბუასას მხოლოდ გვიდოსა და კარაჩების მოხუცები, რიბერას წამებულნი, ბატონის უცნაური აქლემებით გარშემორტყმული საშინელი ელიაზარი, მანტენას ულმობელი სრულყოფილებით აღბეჭდილი „ქრისტეს საფლავად დადება“ მქონდა ნანახი. გამოგიტყდებით და, მათი ხილვა სამძიმო იყო ჩემი ხნის ყმაწვილისათვის.

ის კი, რასაც ამ კედელზე მოვკარ თვალი, მეტად საამური მეჩვენა. სურათზე მომხიბვლელი, ლამაზად მოყვანილი თავი მოჩანდა, ოქრონაყარი, ქერა კულულებითა და მიბნედილი იისფერი თვალებით; მხრებიც მეტად ღბილი და საამო შესახედავი ჰქონდა.

— რა ლამაზია! — შევეყირე მე.

— ვერა სცნობ?.. ეს ჟერარის „ფსიქეა“. სურათი 1796 წელს იყო გამოფენილი სალონში, ეხლა ლუვრში ჰკიდია. ნამდვილი შედევრია მხატვრობაში, მაგრამ ეს ეტიუდი ბევრად სჯობს ტილოს ამავე ნაწილს. რა განსხვავებაა ამ პირველ, ბედნიერ ჩანაფიქრსა და საბოლოო ხორცშესხმას შორის! ფსიქეას თავი დასრულებულ ნაწარმოებშია, ცხადია, ჩინებულად და დიდის გულმოდგინებით არის შესრულებული, მაგრამ ცოტა ცივია, მეტისმეტად გაპრიალებულ-გაქრიალებული და გაყინული. ამ ესკიზში კი უფრო თავისუფალი ხელწერა მოჩანს, მეტი გრძობა და ნაზი ალია ჩაქსოვილი; ხორცის სილბილეც უფრო თვალში საცემია და მეტი ქალური სინაზე გამოკრთის. ყოველივე ეს უკვალოდაა დაკარგული ლუვრის დიდ კომპოზიციაში. აქ მსგავსებაც მეტია, ბუნება, სიცოცხლე კარგადაა დაჭერილი, მოდელმა შთააგონა მხატვარი.

— არა, ბატონო, — შევეყირე მე, — მოდელი ასეთი ლამაზი ვერ იქნებოდა.

— როგორ არა, ასეთი ლამაზი იყო. ჟერარი საუცხოო პორტრეტისტად ითვლებოდა და მის შემოქმედებაშიც ყველაზე მეტად მისი პორტრეტებია ფასეული. შენ აქ პორტრეტსა ხედავ, ჩემო მეგობარო; მართალია, მთლად დასრულებული არაა, მაგრამ იმ ზომამდეა მიყვანილი, რომ კიდევაც წახდებოდა ხელის ხლებით. მერწმუნე, ეს ესკიზი ძალიან ერთგულად, ყოველგვარი თნევის გარეშე გადმოსცემს ორიგინალის სიტურფეს... იცოდე, შვილო, რომ პირმოთნეობა მუდამ შეურაცხყოფა და შეგინებაა სილამაზისათვის. მოდელი, ვისი სახის მიხედვითაც ხელოვანმა ფსიქეა შექმნა, დიდხანს სახელგანთქმული იყო მხატვართა წრეში. სელინა ერქვა... იმპერიის ხანის ბევრ სურათში იპოვი სელინას სახეს. დავიდიც ხშირად ხატავდა, მერე წაიჩხუბნენ: დავიდი უხეში იყო, სელინა — ერთობ ამაყი და საძაგელი ხასიათი ჰქონდა. მერე გერენტან გადავიდა,

მერე — ჟიროდესთან, მერე — ბატონ რენიოსთან, მოგვიანებით კი — ერსანთან\*. მარგარიტ პრუდონისა არ იყოს, ისიც იმ დროის უმშვენიერეს მენატურე ქალად ითვლებოდა. მაგრამ სელინა უფრო ტანწერწეტა იყო, უფრო ნატიფი, უფრო მოხდენილი; უფრო ხშირი და ხვეული თმა ჰქონდა და უკეთესი სახის ფერი. 1815 წელსაც, თუმცა მთლად ყმაწვილი აღარ ეთქმოდა, ისეთი დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი, რომ იმპერატორმა ალექსანდრემაც მოისურვა მისი ნახვა, როცა პარიზს ეწვია და სახარჯოდ პეტერბურგის ბანკის უამრავი ბანკნოტი მისცა. ამბობენ, ანგულემის ჰერცოგის მეუღლემაც მოინდომა მისი ნახვა და საჩუქრებიც ბლომად უბოძაო. ერთხელ ბატონ ფორბენის სახელოსნოში შეეხვდი, ჯერ კიდევ ლამაზი ჩანდა, მაგრამ ძალიან იყო გასუქებული. მას შემდეგ ორმოცი წელია დღეს ძალზე მოხუცი იქნება... თუკი არ მომკვდარა და ისევ ცოცხლობს.

ბატონ დიუბუას ბინიდან რომ გამოვედი, ნაირ-ნაირი სურათები მიტრიალებდა თვალწინ. წლები უცნაურად აღრეოდნენ ერთმანეთს. მოვდიოდი და თან სელინას აჩრდილი მომაცილებდა. ამ ქალმა მრავალი დღის განმავლობაში მთელი სამყარო დაჩრდილა ჩემს თვალში, მის მეტს ვერავის ვხედავდი. გაგიჟებული ვიყავი; მთლად გამოვტვინდი.

## XVIII

### თვით უბრავენი ვარჯიხი კი...

ლუქსემბურგის ბაღში ფონტანესა და მურონს ბატონ დიუბუაზე, ჟერარზე, „ფსიქეასა და ამურზე“ ველაპარაკებოდი. უგულისყუროდ მისმენდნენ. ფონტანე, სამართლის სკოლაში რომ ჩაწერილიყო, მხოლოდ მიხარწნილებაში შესულ ბერიზე ფიქრობდა და მის შეცვლასა ნატრობდა. მურონი თავის მშვენიერ, მონისლულ თვალებს არ აცილებდა ფინიკიურ ანბანს, რომელიც ის იყო, ჩავარდნოდა ხელში. სელინას სიტურფის ამბავი ველედასაც ვუამბე, ფერმკრთალი და ჩაფიქრებული რომ იდგა ბალის ერთ კუთხეში, სადაც ფუტკრები ზუზუნით

თავს დასტრიალებდნენ აყვავილებული ტირიფნარის რტოებს. ტურფა წალკოტში ჭადრები ნაზად და ამოდ ჩურჩულებდნენ, ესმინი მაცდურ სურნელს აკმევდა ირგვლივ და ყველაფერი დროის წარმავლობასა და საგანთა დღემოკლეობაზე მეტყველებდა.

ცოტა ხნის შემდეგ სელინას სანახავად ლუვრში წავედი, იმპერიის დარბაზში, სადაც ყველაფერი: წითელშალ-მოსხვეული ქალები, დაჭრილი კერასირები, ქირიანები, მებრძოლი არმიები, თავის დანგრეულ კერას დაბრუნებული გადასახლებული, ღვთაებრივი საძარბაღი, დანაშაულს რომ სდევნის, ლეონიდასი, საბინელი ქალები, გმირები და ღმერთები სულ ნაპოლეონსა და მის ეპოქას განადიდებდნენ. ამ ბრბოში, ამ დიდებაში სელინა ისევ ძალიან ლამაზად მეჩვენა, მაგრამ მის თვალებს დაჰკარგვოდათ საიდუმლო შეფერილობა და ღვთაებრივ ყვავილებს აღარ მოჰგავდნენ; სახის ოვალიც უფრო მოგრძო ჰქონდა და ისე აღარ მომეწონა. კისერიც აღარ ჰქონდა ისე მოქნილი და ვენერასა და მის მტრედებს აღარ მაგონებდა. შეეცქეროდი და ვფიქრობდი: პირველი სელინა, ნამდვილი სელინა უფრო თვალწარმტაცია-მეთქი. ამ მეორე სელინას ზურგი ვაქციე და კვადრატულ სალონში გავედი, სადაც ყველა ცნობილი სურათის წინ ტაბურეტზე მხატვარი მოკალათებულიყო. მათ შორის ბევრი ქალიც ერია. ერთს ქერა დალალები, საუცხოო სახის ფერი და საძაგელი პირი ჰქონდა. მნახველის მიახლოებისას ზედ ისე იდებდა ხელს, თითქოს ფიქრებს გაუტაციაო. ამ მუზის უკან ნახევრად დამალულ ჩემს მეზობელსა და მეგობარს, ბატონ მენაქს მოვკარი თვალი. აგერ უკვე მეოცეჯერ იხატავდა რაფაელის „ტურფა მებაღეს“.

ვეჭვობ, ოდესმე დაელიოს აღმოდებული პუნში მკვდრის თავის ქალიდან, როგორც ნათლიაჩემი ბრძანებდა, მაგრამ სიჭაბუკეში სიმდიდრესა და დიდებაზე კი ეოცნება. ეგონა, მის „გედთან მოალერსე ედვიგეს“ ბრბო აღტაცებით მიესეოდა. მაშინ მკვებარა და ბაქია იყო, მაშინ რომანტიკოსი გახლდათ. რომანტიკოსობას უფრო სხვების მიბაძვით ჩემულობდა, როგორც ადამიანთა უმეტესობას სჩვევია, ისე კი მეტად ჭკუა-დამჭდარი კაცი გახლდათ.

ვერ იტანდა დავიდს და მის სკოლას. ჟიროდეს სახელის

გაგონებაზედაც კი ცოფებსა ჰყრიდა. მაგრამ განსაკუთრებით რაფაელი და ენგრი სძულდა. სხვაფრივ კი უზადო გემოვნება და ნათელი გონება ჰქონდა.

— არ იფიქროთ, რომ ხატვის მხოლოდ ერთი მანერაა კარგი ფერწერაში, — ამბობდა იგი, — ყველა მანერა კარგია, როცა სასურველ ეფექტს აღწევს.

ამასაც კი ამბობდა:

— სანამ სურათს განსჯიდეთ, ეცადეთ, მიხვდეთ, რისი თქმა სურდა მხატვარსა და ნუ დასძრახავთ იმ მსხვერპლისათვის, რომლის გაღებაც მოუხდა, რათა უკეთ გამოეხატა თავისი აზრი. ჭეშმარიტი ნიქი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ გაბედლო მსხვერპლის გაღება, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ეს მსხვერპლი.

ძველი დარღმინდობიდან აღარაფერი შემორჩა, რუბენსის ქუდის მსგავსი ფეტრის ქუდისა და ჰუსარული შარვლის მეტი. ახლა, როცა სიჭაბუკე უკან დარჩა და ილუზიებიც მოეშალა, ხელმოკლეობით გატანჯული იმაზედა წუხდა, რომ იძულებული იყო, რის ვაი-ვაგლახით გაეტანა თავი და ცხოვრების სახსარი უხეირო ასლების გადაღებით ეშოვნა, ასლებისა, რომლებშიაც გროშებს უხდიდნენ. მაგრამ ჯერ მთლად არ გაჰქრობოდა ის ხალისი, ხელოვნება რომ მიმადლებს ხოლმე თავის ყველაზე უფრო უიღბლო მსახურთაც კი.

ნაღვლიანად გამიღიმა და მითხრა:

— ჩემო პატარა ნოზიერ, დედაშენს ახლაც არ უნდა თავი-ნი პორტრეტი დამახატვინოს? ეცადე, დაიყოლიო.

ერთხანს უსიტყვოდ მუშაობდა. მერე ფუნჯის წვერით მიმითითა პანოზე, რომელსაც იხატავდა:

— ეგ მყვარი (ასე რაფაელს იხსენიებდა ხოლმე) უზომო ძალ-ღონეს ხარჯავს, თავისი შრომა რომ მიჩქმალოს. არსად ყალმის მონასმი არა ჩანს, მხატვრის ხელი არსად იგრძნობა. ეს მხატვრობა არაა. გალაქულ-გაპრიალებულ-მომინანქრებულ-ია, დახატული კი არა. შეიძლება ნახატი გალაქო, თვით ტიცი-ანიცა და რუბენსიც კი ხშირად ხატავდნენ ასე, მაგრამ აქცენტი მაინცა აქვთ. აქ კი არაფერი ამქლავნებს ავტორის ნება-სურვილს. მაგაც ჩინელია, რაღა! ენგრიც ჩინელია. და ბრიყვებიც ამგვარ რამეებზე კარგავენ ჭკუას.

როგორც კი სიტყვის თქმის შესაძლებლობა მომეცა, ისე გავიბღინძე, თითქოს ხელოვნებაში მეც დიდად განსწავლული კაცი ვიყავ და ვუთხარი, ლუვრში ჟერარის „ფსიქეას“ სახაზავადა ვარ მოსული, მინდოდა ეგ ტილო შემედარებინა ესკიზისათვის, ამას წინათ რომ მიჩვენეს-მეთქი. ჩემმა ნათქვამმა ღიმილი მოჰგვარა.

მე ნირი მაინც არ შემიხრია და რიხით განვაგრძე:

— მხატვარს ფსიქეად ცნობილი მენატურე ქალი, სელინა ჰყავს გამოყვანილი.

შეიძლებაო, გულგრილად წაიჩურჩულა ბატონმა მენაქმა.

— ძალიან ლამაზი იყო?

— ამბობენ... მე ახალგაზრდა არ მინახავს.

— გერენსაც დაუხატავს, ჟიროდესაც, ბოლოს ერსანსაც.

— ყველა თხუპნიას? საწყალი!..

— ნეტა თუ კიდევ ცოცხლობს?

— როგორ არა... აკი შენც იცნობ! ჩვენს სახლში ცხოვრობს, იმ დერეფნის ბოლოს, სადაც მე სახელოსნო მაქვს გამართული.

— სელინა?

— ჰო, სელინა, სელინ კოშლე...

— რას ბრძანებთ?.. ის ისეთი ლამაზი იყო... ოქროსფერი თმა ჰქონდა, იისფერი თვალები!..

— რა ვუყვით მერე!.. თვით უტურფესი ვარდებიც კი...

## XIX

### როგორ ახელავდა ბატონი დიუზუა დედაჩემს

ბატონი დიუბუა ზოგჯერ თავს იქცევდა დედაჩემის გახელებით. ერთ დღეს წიგნით ხელში ნახა; ეს ნიკოლის\* ტრაქტატი იყო, რომელსაც დედაჩემი ხელიდან არ უშვებდა; სულ ჩაჰკირკიტებდა, თუმცა თავის დღეში არ წაუჟიოთხავს. მაგრამ რაკი ძალიან უქვს, უთუოდ იმედოვნებდა, იქნებ რამეს გამოვრჩე ასე ხელში ჰკერითო. აკი მუცლის ტკივილსაც ირჩენენ წმიდა ეკატერინეს ლოცვის მუცელზე დადებით. ამ წიგნმა

საუბარი მორალზე ჩამოაგდო. ბატონი დიუბუა გაიძახოდა, მორალი მეცნიერებაა ბუნების კანონთა შესახებ, ანუ იმის შესახებ, თუ რა ჩაითვლება კარგად და ავად კაცთ საზოგადოებაში.

— მორალი არ იცვლება, — დასძინა მან, — რადგან თვით ბუნებაა უცვლელი. მორალი ცხოველებსაცა აქვთ და ასე გასინჯეთ, მცენარეებსაც. ბუნება მათთვისაც ზოგჯერ დედაა, ზოგჯერ კი ავი დადინაცვალი და მათაც უჩნდებათ ავისა და კარგის გარჩევის უნარი. მგლისთვის ბატკნების ჭამა ცოდვა არაა, ბატკნებს კი ზნედ ბალახის ჭამა სჭირთ.

დედაჩემი დარწმუნებული იყო, რომ ავისა და კარგის გარჩევა მართო აღამიანებს შეეძლოთ და ძალიან გაწყრა.

მაშინ ბარონმა დიუბუამ უძრახა, აგრე ზვიადი რადა ხართ და რად ვერ აგიტანიათ, რომ ცხოველებსა და მცენარეებსაც თქვენსავით შესწევთ კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარიო. დედაჩემმა ურჩია, წადით, მგლებს სახარება შეუდგინეთ და ჭინჭრებს — მაქსიმებო.

რაკი ხედავდა, რომ დედაჩემი ძალზე მორწმუნე ქალი იყო და თავისი რელიგიაც გულით უყვარდა, ბატონი დიუბუა თავს იმითაც იქცევდა, რომ უამბობდა, რა უთხრა ერთხელ ტკბილმა ზაირამ თავის მეგობარს იერუსალიმის პარამხანაში:

„რამეთუ რწმენას სიყრმით გვინერგავენ, ჩემო ფატიმა, დასტურ ვიწამებდი ინდოთ ცრუ ღმერთებს განგის ნაპირას; კათოლიკე ვიქნებოდი პარიზს — ქრისტეს რჯულზე მდგარი, ალაჰს ვთხოვდი მოწყალებას, აქ რომ ამხელოდა თვალი“.

ზაირას მხოლოდ იმას უკიჟინებდა, ინდოთ ღმერთებს ცრუ ღმერთები რად უწოდა, როცა ეტყობა ისინიც ისევე ჭეშმარიტად მიაჩნია, როგორც დანარჩენებო.

ქოლერის ეპიდემია რომ გაჩნდა და რამდენიმე ჩვენი ნაცნობიც იმსხვერპლა, ერთ დღეს დედაჩემმა, მამაჩემმა და ბატონმა დანკენმა სიკვდილზე ჩამოაგდეს საუბარი. ჩემი მშობლები იმგვარად სჯიდნენ, როგორც მორწმუნე ქრისტიანებს ეკადრებოდათ. მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია. ნათლიაჩემიც იმედს გამოთქვამდა, იმქვეყნად უთუოდ ხელგაშლით მიმიღებს კეთილთა ღმერთი, რომელზედაც ბერანეე მოგვითხრობსო. ამ



ღმერთისა ძალიან სწამდა და მისი დიდი ნდობაცა ჰქონდა.

ამ საუბარს ბატონი დიუბუაე შეესწრო, მაგრამ ღუმდა და თითქოს სულაც არ აინტერესებდა მათი ნალაპარაკევი. მაგრამ როცა სხვებს სათქმელი ამოეწურათ, მიუახლოვდა დედაჩემსა და უთხრა:

— მოუსმინეთ, რას ამბობს სიკვდილზე ლათინ პოეტთა შორის ყველაზე ბრძენი კაცი. სამწუხაროდ მის კილოსა და ლექსის ჰარმონიას ვერ გადმოგცემთ. მაინც დამიგდეთ ყური:

„რომისა ჳირი განა გულებს შეგვიშფოთებდა\*  
ჯერ არშობილებს, უხსოვარ დროს, როს იმპერიას  
მთელი აფრიკა პირაშკმული მედგრად უტევედა .  
და შემართა მძლე ყიეინა ზეცას სწვდებოდა.  
ქვეყნის ვარამი აღარც მაშინ არ შეგვაწუხებს,  
როს სულს დაეღვეთ და მზის ნათელიც დაგვიბნელდება“.

ბატონმა დიუბუამ ერთხელ ისიცა ჰკითხა ქალბატონ ნოზიერს, თქვენის აზრით, ყველაზე საშინელი დღე რომელი იყო ისტორიაშიო.

ქალბატონმა ნოზიერმა არა უწყოდა. \* —

— ეს პუატიეს ბრძოლის დღე იყო, — უთხრა ბატონმა დიუბუამ, — როცა 732 წელს არაბულმა მეცნიერებამ, ხელოვნებამა და ცივილიზაციამ უკან დაიხიეს ფრანკი ბარბაროსების წინაშე.

ბატონი დიუბუას ფანატიკოსისა არაფერი ეცხო. სულაც არ ცდილობდა თავისი აზრები ვინმესთვის მოეხვია თავზე. ის ერჩია, თავისთვის შეენახა, როგორც საპატიო რამ ნიშანი, მაგრამ უყვარდა სხვების გამოჯავრება და რაკი დედაჩემს მეგობრობდა, უპირატესად მას ახელებდა ხოლმე. ასე მხოლოდ მათ აჯავრებენ, ვინც გულით უყვართ. მე მიკვირდა, რომ ეს დროული კაცი თავს ამგვარი რამეებით იქცევდა. მაშინ რა ვიცოდი, რომ ზნე წლების მომატებასთან ერთად როდი გვეცვლება ხოლმე.

ოზის ააოლოგია

— ჩემი დედ-მამა, — გვითხრა ბატონმა დანკენმა, — ლიონში ცხოვრობდა. მეც იქ დავიბადე. ჯერ სულ პატარა ვიყავ, როცა ერთ საკმაოდ გრილ დილას მამამ სანაპიროზე გამიყვანა, სადაც ზღვა ხალხს მოეყარა თავი; ვილას არ ნახავდით აქ: მუშებს, ბურჟუებს, დედაკაცებს. მამაჩემმა მხარზე შემისვა; უნდოდა კარგად დაენახებინა ჩემთვის იმპერატორი, გრენობლიდან რომ ბრუნდებოდა. ნაპოლეონი რონის ხიდზე ფეხით, მარტოდმარტო გადმოდიოდა. წინ, ასი მეტრის დაშორებით, ცხენოსანთა ოცეული მოუძლოდა; უკან, ისიც საკმაოდ მოშორებით, შტაბი მოსდევდა. კარგად დავინახე მისი უზარმაზარი თავი, ფერმკრთალი სახე, მკერდზე საგულდაგულოდ შეკრული ნაცრისფერი სურთუჯი. უჩინ-მედლებოდ, უიარალოდ მოდიოდა; ხელში ერთი კაკლის ტოტი ეჭირა, რომელსაც აქა-იქ კიდევ შერჩენოდა ფოთლები. რომ მოგვიახლოვდა, ხალხმა სანაპიროზე ვაშა შესძახა და მათი ძახილი ერთ, გამაყრუებელ ყიჟინად იქცა. ეს სურათი არასოდეს წაიშლება ჩემს თვალთაგან.

ბატონი დიუბუა უფრო ხნიერი იყო, ვიდრე ნათლიაჩემი და ნაპოლეონიც უკეთ ახსოვდა. მაშინვე გვიამბო:

— მე ვნახე და კიდევაც მოვუსმინე ამ არაჩვეულებრივ კაცს, როცა მისი დიდების მზე ჩასასვენებლად მიწურვილიყო, 1812 წელს, მდინარე მოსკოვის პირას მოპოვებული მძიმე გამარჯვების შემდეგ. გენერალთა თანხლებით მკვდრებითა და დაჭრილებით მოფენილ ბრძოლის ველს ათვალიერებდა და ეტყობოდა, ჯერაც არ გამორკვეულიყო იმ გაშეშებიდან, წინა დღეს, ბრძოლის დროს ერთბაშად რომ შეუბორკა ხელ-ფეხი. მსუბუქად დაჭრილი ვიყავ და ჩემს ნაწილს დავეძებდი, როცა თავს წამომადგა. სწორედ იმ წუთას ერთმა გვარდიის პოლკოვნიკმა უთხრა: „მეფეო, ამ ხევის უკან ყველაზე მეტი მტერია“. ამ სიტყვებზე იმპერატორს ენით უთქმელი გულისწყრომა გამოეხატა სახეზე და მთქმელს ბრახით შეუტია: „რას ამბობთ, ბატონო, ბრძოლის ველზე მტრები კი არა, მხოლოდ ადამიან-

ნები არიან“. ბევრი ვიფიქრე ამ სიტყვებზე. არა მგონია, ეს იმას ამჟღავნებდეს, რომ ნაპოლეონი სულგრძელობამ ააღაპრაკა მაშინ. უბრალოდ, უნდოდა გრძნობები მოეთოკა და პოლიტიკური რეჟიმისათვის დაემორჩილებინა.

1855 წელს იტალიისათვის ატეხილმა ომმა ერთმანეთს წაპკიდა საფრანგეთი და ავსტრია. ეს ბრძოლები, ლომბარდიას სისხლის რუები რომ აღინა, ძალიან აშფოთებდა დედაჩემს. ჩვილი რომ ვიყავ, მაშინაც კი სულ იმის შიშში იყო, ვაითუ შვილი წამართვან და ომში უკრან თავიო.

აი, რა სიტყვები უთხრა მაშინ ბატონმა დიუბუამ დედაჩემს. წერილობით გადმოგცემთ ისე, როგორც დამახსოვდა:

— ჩემს სიჭაბუკეში ერთი კაცი, ნაპოლეონი, მარტოღმარტო წყვეტდა მშვიდობისა და ომის საკითხს. ევროპის ჭირად ომი ერჩია მშვიდობიან მმართველობას, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩინებული მმართველი იყო. მაგრამ ომს სახელი და დიდება მოჰქონდა მისთვის. უწინაც, ყველა დროში, მეფეებს გაგიჟებით უყვარდათ დიდება. მათ რევოლუციის ბელადებიც არ უდებდნენ ტოლს ამ საქმეში. ვშიშობ, რომ ფინანსისტებიცა და მსხვილი მრეწველებიც, თანდათანობით ევროპის ბატონპატრონები რომ ხდებიან, ისეთივე მოსისხარნი არ გამოდგნენ, როგორც მეფეები და ნაპოლეონი. სარფაც აქეთკენ უბიძგებთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ომის დროს მეტი დაკვეთა ექნებათ და სარგებელსაც მეტს ნახავენ; თუ გავიმარჯვებთ, მაშინ ხომ მათი წარმოება ერთი-ორად გაიზრდება. გამარჯვებაში კი ჩვეულებრივ ეჭვი არ ეპარებათ: პატრიოტიზმი ამგვარ ეჭვს დანაშაულად გვითვლის. ომის ამბავს უპირატესად ერთი მუჟა ხალხი სწყვეტს ხოლმე. ეს გაიძვერები ისე იოლად ითრევენ ხალხს ომში, რომ გოცდები კაცი. საამისოდ რომ ხრიკებს მიმართავენ, დიდი ხანია, ყველასთვისაა ცნობილი, მაგრამ მაინცა სჭრის. აყაყანდებიან, სხვა სახელმწიფომ ასეთი და ასეთი შეურაცხყოფა მოგვაყენაო და გაიძახიან, ამ სირცხვილს მხოლოდ სისხლი გადარეცხსო. თუმცა სინდისის წინაშე რომ ითქვას, სისასტიკე და მუხანათობა, ყველა ომს თან რომ ახლავს, მათ ჩამდენ ხალხს კი არ ამკობს, სამარადეამოდ უტეხს სახელს. ის გაიძვერები კი ხმამაღლა გაჰყვირიან, სამშობლოს ინტერესები მოითხოვს იარაღი ავისხათო, თუმცა ეს სამშობლოები

მუდამ აოხრებულნი გამოდიან ომებიდან და სისხლისმღვრელი შეტაკებებიც მხოლოდ ერთ მუქა ხალხს ამღიდრებს ხოლმე. ხალხის შესათოფიარალებლად ამდენი ლაპარაკიც არა სჭირიათ. საკმარისია, დოღს დასცხონ, დროშები ააფრიალონ და ფრთა-შესხმული ბრბოც მყისვე აღსდგება: ხოცვა-ჟლეტისათვის და სასიკვდილოდაც კი გადასდებს თავს. სიმართლე თუ გნებავთ, ყველა ქვეყანაში უმეტესობა ხალისით მიდის ომში, რადგან ომს გამოჰყავს ისინი შინაური ცხოვრების საშინელი მოწყენილობიდან, უამრავ ღვინოს სთავაზობს და მრავალ ფათერაკს აღუთქვამს. ჭამაგირის მიღება, სხვა ქვეყნების ნახვა, სახელის მოხვეჭა სწადიათ და საფრთხეც ფეხებზე ჰკიდიათ. უფრო მეტიც, ხალხს გაგიჟებით უყვარს ომი, რადგან მოკვდავთ ანიჭებს უდიდეს სიამოვნებას, რომელიც კი შეუძლიათ განიცადონ ამქვეყნად; კაცის კვლის სიხარულზე მოგახსენებთ; ცხადია, შეიძლება თავიც წააგონ, მაგრამ აბა, ვინ დაიჭერებს, რომ მოკვდება, როცა ჭაბუკია, სისხლი უდღულს და მკვლელობით მთვრალს რისკი დავიწყებია. მეც მიომია და შეგიძლიათ მენდოთ, რომ მტერთან შებმა და მისი მოკვლა ათი კაციდან ცხრისათვის უზომო ნეტარებაა; ამასთან შედარებით ყველაზე უფრო ამო ალერსსაც კი ფერი ეკარგება. შეადარეთ ომი მშვიდობას. მშვიდობიანი სამუშაოები დიდ დროს მოითხოვს, ერთფეროვანი, ხშირად საძნელოცაა და უმეტეს შემთხვევაში სახელსაც არ სძენს იმათ, ვინც მათ მისდევს. საქმენი ომისანი კი სწრაფია, იოლი, გონებაჩლუნგთათვისაც კი ადვილად მისაწვდომი, მეთაურებისაგანაც კი არ მოითხოვს დიდ ჭკუას; ჯარისკაცებზე ხომ რალა ითქმის. ომი ყველას შეუძლია. ამის უნარი დედის მუცლიდან დაგვყვება ხოლმე.

უწინაც მითქვამს, რომ დედაჩემი თავის დღეში არ ეთანხმებოდა ბატონ დიუბუას. ქვეყნად უდიდეს უბედურებად დედებისათვის საძულველი ომი მიაჩნდა, მაგრამ მაინც არ სურდა, ომზე ასე ელაპარაკათ. ის კი არა და, ბატონ დანკენის ზრახვები უფრო შესაწყნარებლად ეჩვენებოდა, ნათლიაჩემისა, რომელსაც სურდა ფრანგებს ხიშტების შემწეობით მსოფლიოში თავისუფლება დაემყარებინათ და მეც სულ იმას ჩამჩინებდა, სამშობლოსათვის სიკვდილი ყველაზე მშვენიერი, ყველაზე უფრო შესაშური ხვედრიაო.

დედა ერთხანს ჩაფიქრდა; მერე ის რომანსი გაახსენდა, აკვანთან რომ მიმღეროდა ხოლმე და ძლივს გასაგონად წაიღილინა:

...ხდება გენერალი,  
მიქრის, მუსრავს მტერს, ხდება მარშალი.

ახლა კი იყუჩე, მკერდზე მომეკარი,  
ტკბილად დაგაძინო ჩემი გენერალი.

## X X I

### ზიჰრავი ბელნიერავაზე

იმ დილით ფონტანე მეწვია და მითხრა, ერთ მდიდარ და დიდგვაროვან ქალს ვიცნობ; საუცხოო მეჭლისებს მართავს, სადაც უმშვენიერესი ბანოვანნი იყრიან თავს. მეც შინაურულად მღებულობს და მთხოვა, მოცეკვავეები მომიყვანეო. მეც მაშინვე შენ გამახსენდიო. ვუპასუხე, ცეკვა არ ვიცემეთქი. ნამდვილად ასე იყო. ფონტანემაც უწყოდა ეს ამბავი და მოპატიებებაც იმიტომ გადმომცა, რომ ჩემი აღსარებით დამტკბარიყო.

რამდენიმე დღის შემდეგაც თავმომწონედ მითხრა, ცხენოსნობასა ვსწავლობ მანეჟში და მალე ბულონის ტყეში გავისიერნებ ამხანაგებთან ერთადო. დამიჩემა, ცხენი იჭირავე და შენც თან გამოგვყევით. ცხენებზე ჭკუას ვკარგავდი, მაგრამ ფული არა მქონდა. უარი ვუთხარი. ფონტანემ თავი მოიკატუნა, ვითომც უარის მიზეზს ვერ მიმიხვდა და მითხრა:

— ტყუილად უარობ; მანეჟში ძალიან მშვიდ ცხენს მოგცემდნენ, ზედ ისე შეჯდებოდი, არაფრის შიში არ გექნებოდა.

იმხანად კაპუცინების ბულვარზე, სახელგანთქმულ ვერდიეს ვიტრინაში გამოდებულ ლილაქვის ბუნიაიანი ხელჯოხი ვნახე და მის მიმართ ისეთი გრძნობა ჩამესახა გულში, რომელიც თავისი სინაზითა და მგზნებარებით სიყვარულს მოკავდა. საუცხოო რამ იყო! მაგრამ მისი ნახვა მხოლოდ მალაზიის ვიტრინაში მეწერა. კაპუცინთა ბულვარი მაშინ ძალზე

ელეგანტური იყო და ვერდიეს ღუქანიც ისეთი მდიდრული ჩანდა, რომ შიგ შესვლა ვერ გამებედა.

ლამაზი ბიჭი არ შეთქმოდა და ჩემდა ჭირად სითამამეც მაკლდა. ეს ძალიან გვნებდა ქალების თვალში. თავდავიწყებით ვეტრფოდი ლამაზმანებს, ქალობა რომ დაემშვენებინათ, მაგრამ ყველანი ისე მაკრთობდნენ, მათ სიახლოვეს ყოველგვარ უნარს ვკარგავდი და მხოლოდ უშნოებთან ვახერხებდი საუბარს, თუმცა მათი სიგონჯე ზიზღსა მგვრიდა. სიმახინჯე ხომ ქალისათვის უდიდეს ცოდვად მიმაჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ ისიც შევნიშნე, რომ ბევრი ყმაწვილი კაცი, ჩემზე უარესები რომ იყვნენ, საზოგადოებაში მოსწონდათ და ჩემზე მეტ წარმატებასაც აღწევდნენ. ეს ვერაფერიშვილი ნუგეში იყო, მაგრამ უკვე საკამოდ ჰკვიანი ვიყავ და სხვების წარმატება აღარ გამკვირვებია.

მაშინლა შევიტყვე, რომ ბუნებამ არაფრით დამაჯილდოვა და ბედიც არა მწყალობდა. ჯერ იყო და, ჩივილი დავიწყე. ყოველთვის მეგონა, ერთადერთი გონივრული რამ ჰქვეყნად სიახლოვნების ძებნა-მეთქი და თუკი მართლაც, როგორც მეჩვენებოდა, ნიჭი არ შემწევდა ამ ძიებაში წარმატების მისაღწევად, ლაფონტენის ლერწმის დარად, მეც მქონდა საბაბი ბუნებისათვის დამედო ბრალი. მაგრამ მალე აღმოვაჩინე მეტად მნიშვნელოვანი რამ: სულაც არ არის ძნელი, შენიშნო, ადამიანი ბედნიერია თუ უბედური. სიხარულსა და ნალველს ძნელად თუ ვინმე დამალავს, მით უმეტეს, სიჭაბუკის ჟამს. მოკლედ, სულ მალე დავრწმუნდი, რომ ჩემი ამხანაგები, ჩემზე უფრო ლამაზები და ბედსვიანები, ჩემზე ბედნიერები როდი იყვნენ. რაც უფრო ახლოდან ვაკვირდებოდი, მით უფრო ნათლად ვხედავდი, რომ ცხოვრებას ჩემთვის მოჰქონდა ისეთი სიამენი, რომელთა მსგავსიც მათთვის არ გაემეტებინა. მათი მწირი და უღიმღამო საუბარი, მათი მოუსვენრობა და შეშფოთებული იერი ნათლად მეტყველებდა ამაზე. მე ლალი და გიჟმაჟი ვიყავ, ისინი — არა. ჩემი ფიქრი თავისუფალი იყო და მსუბუქ ფრთით დაჰქროდა, მათი კი დედამიწასაც ვერ ასცილებოდა. მაშინ კი დავასკვენი, თუმცა ბუნებამ უხვად არ დამაჯილდოვა, ჩემს ხასიათსა და ყოფასაც ბევრი რამა აქვს კარგი და კეთილი, რაიც ბოროტს აწონასწორებს-მეთქი. ჩემი და

ჩემი ტოლების ხასიათთა სხვაობას რომ ჩავუყვირდი, შევნიშნე, რომ ჩემი ამხანაგები შმაგ ვნებათა ტყვეობაში იყვნენ მოქცეულნი, ჩემი გრძნობები კი სინაზით გამოირჩეოდნენ; მათ მათი ვნებები სტანჯავდათ, მე კი ჩემები ნეტარებას მგვრიდა. ისინი შურიანები, ღვარძლიანები და პატივმოყვარენი იყვნენ. მე — მშვიდობიანი და სხვათა შემწყნარებელი. პატივმოყვარეობის ნატამალიც კი არ გამაჩნდა. არ იფიქროთ, რომ ამის გამო მათზე უკეთესად მომქონდა თავი. შმაგი ვნებები ხომ დიდ აღამიანებს აყალიბებენ; არა, მათ მოდგმას მე არ ვეკუთვნოდი, მაგრამ ამაზე როდია საუბარი. მე მხოლოდ იმის ჩვენება მინდა, თუ როგორ მივხვდი, რომ ჩემმა ვნებებმა, თუმცა აღამიანთა უმეტესობის ვნებათაგან ეგზომ იყვნენ განსხვავებულნი, მაინც სიმშვიდესა და ბედნიერებას მაზიარეს. ძალიან დიდი დრო მოვანდომე იმის გაგებასაც, რომ ამ ჩემს ხვედრს, თუმცა უამრავი ნაკლიც ჰქონდა, უპირატესობანიც გააჩნდა, ამ ნაკლს რომ აბათილებდნენ. მე ჩემს მოკრძალებულ ყოფაზე მოგახსენებთ და არა იმ სიდუხჭირეზე, თვით უმამაცესთაც კი რომ გადრეკს წელში. უფულობის გამო ბევრ ისეთ რამეზე არ მიმიწვდებოდა ხელი, რაზედაც თვალი მრჩებოდა და მივხვდი, რომ ლამაზ ნივთებს ყოველთვის სათანადოდ ვერ აფასებენ ისინი, ვისაც ფული თავზე საყრელადა აქვს და ადვილად შეუძლია ყველაფრის შექენა. ცხადია, სურვილი ზოგჯერ უღმობელია და აბეზარი. ამას რა დიდი ფიქრი უნდა. მაგრამ ბევრი ფიქრი დამჭირდა იმის გასაგებად, რომ სურვილი ალამაზებს საგნებს, რომელთაც თავის ცეცხლოვან ფრთებს შეახებს ხოლმე. საწადლის აღსრულებას ხშირად იმედის გაცრუებაცა სდევს და ილუზიის მოშლაც; ილუზია კი ერთადერთი სიკეთეა ამქვეყნად. საწადლის აღსრულება კლავს სურვილს, რაიც სიცოცხლის ერთადერთი სამკაულია. მე მთელის არსებით შევფრფინვოდი სილამაზეს და მივხვდი, რომ მშვენიერების ეს სიყვარული, რომელსაც ცოტა ვინმე თუ გრძნობს ჩემსავით, სიამოვნებისა და სიხარულის ცინცხალი წყაროს-თვალია. ეს ჰეშმარიტებანი, თანდათანობით რომ აღმოვაჩინე, ჩემთვის მეტად ძვირფასი შეიქნა. მათ დამარწმუნეს, რომ ჩემი ბუნება და ჩემი ხვედრი ბედნიერებაში ხელს ვერ შემიშლიდა.

ჩემი სიყმაწვილე, მცირე გამოცდილება და უზრუნველი ცხოვრება ხელს მიშლიდა დამენახა წუთისოფლის მუხანათობა და ბედისწერის ცვალებადობა; ბედისწერისა, თვით უძლიერეს ნებისყოფასაც რომ აძაბუნებს და წამისყოფით ცვლის ადამიანთა ცხოვრებას.

ჰე, თებეელნო, დამერწმუნეთ, სიკვდილის ღღემღე\*  
შურით ნურავის ნუ შეხედავთ; ჯერ ის გაიგეთ,  
თუ რა განსაძღვლს განუმზადებს განგება კაცს და,  
სვებედნიერად ნუ მიიჩნევთ აღსასრულამდე.

პირველი შემთხვევა, რომელმაც ბედის უკუღმართობაში დამარწმუნა, ჩემთვის მაინცდამაინც ტრაგიკული არ ყოფილა. მაინც მოგახსენებთ, რაკი ჩემს ყმაწვილურ გონებაზე მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აი, როგორ ამეხილა თვალი:

ერთხელ სუფლოს ქუჩის კაფეში ფონტანეს ველოდი. გვერდით მაგიდაზე ვილაც იჯდა. დავაკვირდი და ჟოზეფ ვერნიე შევიცანი, ის ახალგაზრდა აერონავტი, ექვსი წლის წინათ რომ მოვუსმინე, როცა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის ტაშსა და ვაშას ძახილში ლექციას კითხულობდა. მაშინ მომხსენებელს ორი აკადემიკოსი უმშვენებდა მხარს ესტრადაზე; მწვანეკაბიანმა ქალმა თაიგულიც კი მიართვა. ბონაპარტივით ფერმკრთალი იყო და მეც სულითა და გულით მშურდა მისი დიდება და პატივი. ახლა ჟოზეფ ვერნიე რალაც წერილსა წერდა კაფეს მაგიდაზე და იაფფასიან სიგარას ლეჭდა. ბინძური პერანგი, გაქუცული კოსტიუმი, გაცვეთილი შარვალი და მოღრეცილი ფეხსაცმელები ეცვა. სახეზე აღმური მოსდებოდა და ხელები უკანკალებდა. ნუთუ ეს იყო ის ახალგაზრდა გმირი, ვისიც მშურდა და ვის მიბაძვასაც ვაპირებდი? ვაგლახ! რა იქნენ ის ორი აკადემიკოსი, მწვანეკაბიანი ქალი, აღტაცებული ბრბო, ყვავილები, ვაშა და ტაში? როგორც კი ფონტანე გამოჩნდა, ხმადაბლა ვუამბე ვინ იყო ჩვენი მეზობელი და რით გამოეჩინა თავი.

— ჟოზეფ ვერნიე? კარგად ვიცნობ, — თავი გამოიღო ფონტანემ, თუმცა ზედვე ეტყობოდა, რომ ამ კაცის სახელი პირველად ესმოდა თავის სიცოცხლეში. ნახვითაც არასოდეს ენახა უწინ. მაინც, როგორც კი ჟოზეფ ვერნიემ წერა შეწყვიტა,



მისკენ მიბრუნდა, მიესალმა და ჰკითხა, აწი როდისლა გაფრინდებიო.

— მე აღარ ვფრინავ, — მიუგო აერონავტმა დაღლილი ხმით, — ვერსად ვიშოვნე საჭირო თანხა აეროსტატის ასაგებად. არავის ესმის, რომ ჩემი ბურთის ფორმა სხვისას სჯობია; ხრახნზე მედავებიან; დაუეინიათ, ძალზე სუსტი რამ არისო; კი მაგრამ, სიმსუბუქე ხომ უნდა შეეუნარჩუნო. გამინაპირეს; ახლა ყველა ტისანდიესა და ნადარს ემხრობა. წედან მინისტრსა ვწერდი, უწინაც ხშირად გამიგზავნია წერილი, მაგრამ არ უპასუხნიათ. ვიცი, ამაზედაც პასუხი არ მეღირსება.

თქვა ეს, მწარედ ჩაიქნია ხელი, თითქოს გარს შემოჭარულ სადარდებელთა თავიდან მოშორება უნდაო, თავი ჩაღუნა და დადუმდა.

მე სად შემეძლო გამერკვია, ჰქონდა თუ არა ეოზეფ ვერნიეს ნიჭი და უნარი წარმატების მისაღწევად. მასში მხოლოდ ბედშავ კაცსა ვხედავდი, ბედმა რომ უმუხთლა და ამ ახალმა სანახაობამ გული ნაღველით ამივსო და შემამუფოთა.

## X X I I

### ნ ა თ ლ ი ა ჩ ე მ ი

დანკენები სენ-ანდრე-დეზ-არის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, ერთ ძველ ბინაში, სადაც ლიგის დროებაში პიერ დე ლ'ეტუალი\* იდგა. შეძლებულად კი ცხოვრობდნენ, მაგრამ შვილი არა ჰყავდათ. ამ საუცხოო ხალხმა 1858 წელს ქალბატონ დანკენის უბედური ძმის ქალ-ვაჟი, პატარა მარტა და კლოდიუს ბონდუები იშვილა. და-ძმა ლიონში იყო დაბადებული; ერთი ციდა, სანდომიანი ბავშვები იყვნენ; ორთავეს გაოცებული გამოხედვა ჰქონდა. ქალბატონი დანკენი ძალზე გულკეთილი ქალი იყო, და-ძმა ღვიძლი შვილებივით უყვარდა და დედობრივ აღერსს არ აკლებდა, მაგრამ პატარები მაინც თავიანთ კერას მოცილებული ობლებივით ეკვროდნენ ერთმანეთს. ბუნებით მხიარული, ფაშფაშა და სნეული ქალბატონი დანკენი მთელ თავის დაუცხრომელ ენერგიას საოჯახო საქმეებს ახმარდა. უნდოდა

სახლი გაემხიარულებინა და რაც გოგო-ბიჭებს იცნობდა, ყველას თავისთან ეპატიებოდა. მეც, რაკი ბატონ დანკენის ნათლული ვიყავ, სადილად და ოჯახურ საღამოებზე ხშირად მიწვევდნენ ხოლმე. ბატონმა დანკენმა იცოდა ცხოვრების გემო და ჩინებულადაც ატარებდა მთელ თავისუფალ დროს, რაც პალეონთოლოგიურ კვლევა-ძიებათაგან გადაურჩებოდა. თავში საფრანგეთის გასტრონომიული რუკა ჰქონდა; რაღას არ ნახავდით აქ: შარტრის, ამიენისა და პიტივიეს ნამცხვრებს, სტრასბურგულად შემზადებულ ბატის ღვიძლს, ტრუას ძეხვეულს, მანის ყვერულებს, ტურის წვრილად დაჭრილ და ქონში შემწვარ ღორისა და ბატის ხორცს, კოტანტენურად დამზადებულ ბატენებს.

იმდროინდელ პარიზელ ბურჟუათა უმრავლესობისა არ იყოს, მასაც საუცხოო სარდაფი ჰქონდა და თავის ღვინოებს ბრძნული სიფხიზლით მეთვალყურეობდა. ამ ჩინებულ კაცს სრულიადაც არ ეთაკილებოდა, თუ ნესვს თვითონ იყიდდა. ამას იმით ასაბუთებდა, ქალს არ ძალუძს მწიფობაში შესული თავლა ნესვი მკვახის, ან გადამწიფებულისაგან განასხვავოსო. ამიტომ სენ-ანდრე-დუბ-არის ქუჩაზე მუდამ საუცხოო სადილები იმართებოდა. მამაჩემსა და დედაჩემს ამ სადილებზე ხშირად იწვევდნენ; აქ ხშირად ნახავდით ქალბატონ ჟირეისა და ქალბატონ დელარშსაც თავიანთი ტურფა ქალიშვილებით, კონსერვატორიადამთავრებულ მადმუაზელ გერიეს, მხიარულსა და თან პირქუმ ექიმ რენოდენს, ქალბატონ მირბელის\* ნამოწაფარ მოხუც მინიატურისტ ქალს, ქალბატონ გობლენს, კეთილშობილებით რომ გამოირჩეოდა და მის ქალს — ფილიპინს, გამხდარ, უშნოდ მოყვანილ, თმაგამოხუნებულ, წვრილთვალა, გრძელცხვირა ქალიშვილს. ცხვირი ხომ ისედაც გრძელი ება და მოგრეხილი, ბოლოში კიდევ ბურთივით, ან უკეთ, კვერცხივით ჰქონდა გაბუმტული. კეთილი გოგო იყო, დიდპირა, ფერმიხდილი, სარივით გამხმარი და წვეტიანმუხლება. ხელები ლამაზი აქვსო, ვერ იტყოდით, მაგრამ უსაშველოდ გრძელი კი ჰქონდა და სულ მკლავტიტველი დადიოდა. ეს კეკლუცობას არა ჰგავდა, რადგან ხშირად უთქვამს, იმ ხელუმარჯვმა თუ დაუდევარმა ბუნებამ მკლავები უფრო წვრილი გამომაბა, ვიდრე მაჯებით. გულისხმიერი გოგო იყო, მომცინარი და მელანქო-

ლიური, მასხარა და მოსიყვარულე, დაუშრეტელი ფანტაზიის პატრონი და ისეთი ცოცხალი, ისეთი ცვალებადი, რომ მისი შემხედვარე იტყოდით, ჭოკივით ქალიშვილების მთელ გუნდს შევცქერიო და იფიქრებდით, მადმუაზელ გობლენების მთელი დასი ჩაბმულაო გიყურ ფერხულში. ზოგი მათგანი ძალიან უშნო იყო, ზოგი — თითქმის ლამაზი, მაგრამ ყველანი სანდომიანები იყვნენ და მეტისმეტად შემაქცევარნი. მადმუაზელ გობლენი დედასთან ცხოვრობდა; თვითონაც ბავშვების პორტრეტებს ხატავდა და ასე ეხმარებოდა დედას ლუკმაპურის შონაში. ბედს არ უჩიოდა, თუმცა მათი სახლის სახურავზე, მინის გალიაში მოკალათებული ბინძური ფოტოგრაფი ყველა მუშტარს ართმევდა. უზომოდ შრომისმოყვარე იყო, იცოდა ოთხი თუ ხუთი ენა, წაკითხული ჰქონდა უამრავი წიგნი და რიგიანი მუსიკოსიც გახლდათ.

ნათლიაჩემი თავისი ხელით ჭრიდა ხორცსა და სტუმრებს ისე აწვდიდა. ეს ძველთაძველი ჩვეულება იყო, რომელსაც წინათ საუკეთესო ოჯახებში მისდევდნენ. პრინცი ტალეირანი, გულუხვი და პურადი მასპინძლის სახელი რომ დაიმკვიდრა, თავისებურად იყენებდა ამ ჩვეულებას. ხორცს თავად ჭრიდა და ნაჭრებს წვეულთ უგზავნიდა. ზოგს საუცხოოს არგუნებდა, ზოგს — უფრო მდარეს, იმისდა მიხედვით, თუ ვის რა ჩინი ჰქონდა. ბატონმა ამედე პიშომ, „რევიუ ბრიტანიკის“ დამფუძნებელმა, გვიამბო, როგორ ურიგებდა არქიკანცლერი ხარის ნაჭრებს პრინცებსა და პერცოგებს. ღიმილით შეხედავდა და ეტყოდა, ჩემთვის დიდი პატივი იქნება, თუ არ გამაწბილებთო; შემდეგ სხვა რჩეულ პირებს მიუბრუნდებოდა და სთხოვდა, ინებეთ, გეთაყვა, ხარის ხორციო; ბოლოს სუფრაზე მჭდარ წვრილფეხობას გადახედავდა, მაგიდაზე დანის ტარს დააკაკუნებდა და ხარი თუ გინდათო, მოკლედ ჰკითხავდა. ბატონ დანკენს, რევოლუციის პირმშოს, წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, რომ ძველი დროის დიდ ბატონთა დარად ირჩებოდა, როცა სუფრაზე ხორცს თავად ჭრიდა.

საჭმლის დარიგებისას ჩინებზე უფრო სტუმრის მადას აქცევდა ყურადღებას. მსხვილ-მსხვილ ნაჭრებს უდებდა დამშეულთ და უღონოთათვის და ნაავადმყოფართათვის მუდამ მოეძეებოდა ერთი კოვზი სისხლით გაჭერებული წვენი. ყველას გულმო-

წყალედ გვექცეოდა, მაგრამ საუკეთესო ნაჭრებს მაინც მადმუა-  
ზელ ელიზ გერიეს უგზავნიდა ხოლმე. ეს ელიზ გერიე ყველას  
ერჩია, თუმცა გარეშე თვალი ამას ვერც კი შეატყობდა. ხბოს  
ხორცი თუ ჰქონდა, უექველად თირკმელს ამოუჩრჩევდა, შემ-  
წვარი გოჭის ხორციდან ყველაზე უფრო შებრაწულ ნაჭერს  
მას უღებდა საინზე და ოქროს სათვალის მიღმა თვალეები კე-  
თილად უტყინოდა.

უკეთ რომ მიგახვედროთ, რაში გამოიხატებოდა ის მოწი-  
წება და პატივისცემა, ნათლიაჩემი კონსერვატორიადამთავრე-  
ბულ მადმუაზელ ელიზ გერიეს მიმართ რომ იჩენდა, მოგახ-  
სენებთ იმას, რაც ბატონმა დე კურტენმა დაწერა პარიზში,  
XVIII საუკუნის დამდეგს, თავის წიგნის, „საფრანგეთის კე-  
თილშობილთა წრეში მიღებული სტუმარ-მასპინძლობის ახალი  
წესების“ ფურცლებზე:

„რაკი ძროხის სუკი ყველაზე უფრო გემრიელია, ყველაზე  
სასურველადაც ის ითვლება ხოლმე. მთელად მოხარშულ ხბოს  
ჩვეულებრივ შუაში, ყველაზე უფრო ხორციან ადგილას ჭრიან  
და ყველაზე უფრო საპატიო ნაჭრად თირკმელს მიიჩნევენ“.

ბატონი დე კურტენი იქვე დასძენს: „ძუძუთა გოჭის ხორცი-  
ში პირის გემოს კაცნი ყველაზე სასურველად კანსა და ყურებს  
თვლიან“.

აკი ვთქვი, ნათლიაჩემი ელიზ გერიეს საგულდაგულოდ  
ურჩევდა-მეთქი კერძებს და ეს თვითონაც უდიდეს სიამოვნე-  
ბასა ჰგვრიდა. ამ კულინარიულ პატივზე, ცხადია, შურის გარე-  
შე მოგახსენებთ. შური უადგილო იქნებოდა და ბოროტი გუ-  
ლიდან მონადენი, რადგან ნათლიაჩემს კარგად მოეხსენებო-  
და, რომ მე ნამცხვრებზე ვკარგავდი ჰკუას და ტორტისა და  
შაქარლამას უზარმაზარ ნაჭრებს მიგზავნიდა.

თუკი ამ ტკბილად მოსაგონარ სადილებთან დაკავშირებით  
კამბასერესისა ან ტალეირანის საუცხოო ნადიმებსა და ჰერცოგ  
დე შევრეზის სახელგანთქმულ მასპინძლობას ვიხსენებ, რომ-  
ლისგანაც ბევრი რამ ისწავლა ბატონმა დე კურტენმა, ტრადი-  
ციის სიყვარული მალაპარაკებს და სურვილი იმისა, მემკვიდ-  
რეობითობა ვიპოვო თაობათა სწრაფ ცვლაში. სინამდვილეში  
ბატონ დანკენის სუფრა ბევრად უფრო ღარიბული იყო და  
კონსტიტუციური მონარქიის უკანასკნელ წლებსა და იმპერიის

პირველ წლებში მცხოვრებ ბურჟუაზია ბრძნულ მომჭირნეობაზე მეტყველებდა. კეთილი ქალბატონი დანკენი სულ უბრალოდ ცხოვრობდა და თავის დღეში არ ჰყოლია ერთ მსახურზე მეტი. მაგრამ სადილები ბარაქიანი იცოდნენ და სუფრაზედაც დიდხანს გვიწევდა ჯდომა<sup>1</sup>. ზოგჯერ ამ სადილებს ოთხმოცდაცხრა წლის პაპა დანკენიც ესწრებოდა. ჩაროზზე სთხოვდნენ, რამე გვიმღერეთო. ისიც დგებოდა და ჩიფჩიფით ჩაიდუღუნებდა დეზოჟიეს\* სუფრულ სიმღერას:

დამისხი, დამალეინე...

სადილის შემდეგ სალონში გავდიოდით. ეს დიდი ოთახი გახლდათ, რომლის კედლების გასწვრივაც ქვეწარმავალთა და თევზთა ჩონჩხებით, კიბოსნაირთა, ცხოველ-მცენარეთა, მწერებისა და მცენარეების ანაბეჭდებით, კოპროლითებით, დიდი გველების ყბებითა და მამონტების ეშვებით სავსე კარადები იყო ჩარიგებული. ნათლიაჩემი პირდაპირ გადამკვლარი იყო პალეონთოლოგიაზე; ასეთ მგზნებარებას ვერც კი წარმოიდ-

---

<sup>1</sup> დღეს, დემოკრატიულ ევროპაში მდიდარი კლასები, ნადიმებს რომ მართავენ, უფრო ცერემონიულნი და ნაკლებ თავაზიანი ბრძანდებიან, ვიდრე ძველი დროის არისტოკრატები იყვნენ. ნათლიაჩემი პირწავარდნილი წერილი ბურჟუა გახლდათ და აბა, სად შეეძლო თავისი დროის მდიდრებისთვის მიეზამა, რევოლუციამა და იმპერიამ რომ წარმოშვეს. ამიტომ მისი მასპინძლობაც ძველებურს უფრო ჩამოგავდა, ვიდრე შეიძლებოდა მოჩვენებოდა ზერელე დამკვირვებელს. წაიკითხეთ ეს გვერდი, პალე-რუა-ნალის ხშირი სტუმარი ქალი, ქალბატონი დე ჟანლისი\* რომ წერს ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ და დარწმუნდებით, რომ ძველი თავდაზნაურობა ზოგ შემთხვევაში ნაკლებ კულაბზიკობას იჩენდა, ვიდრე ჩვენი ბურჟუაზია.

ჟანლისი, V, 101. „როცა სუფრაზე ვსხდებოდით, ოჯახის თავი არ მიეარდებოდა ყველაზე უფრო საპატიო მანდილოსანს, ზარ-ზეიმით არ გაატარებდა ყველა სხვა ქალის წინ, რათა დიდის ამბით დაესვა სუფრაზე თავის გვერდით. სხვა მამაკაცებიც არ ჩქარობდნენ ბანოვანთათვის ხელის შეთავაზებას. ასეთი რამ პროვინციულ ქალაქებში თუ შეგხვდებოდით. ჯერ ყველა ქალი გავიდოდა სალონიდან; ვინც კართან ახლოს იდგა, უწინ ის გავიდოდა ხოლმე. ერთმანეთს ქათინაურებს სძღვნიდნენ, მაგრამ მოკლე-მოკლეს, მსვლელობა რომ არ შეეფერხებინათ... შემდეგ კაცებიც მიჰყვებოდნენ. როცა ყველა სასადილო ოთახში მოიყრიდა თავს, სუფრაზე როგორც მოესურვებოდათ, ისე სხდებოდნენ ხოლმე“.

გენდით ამ პატარა, ბურთივით მრგვალ, სიცოცხლით სავსე კაცში, საუცხოო ჟილეტებს რომ იცვამდა და ასე მხიარულად აცეკვებდა ბრელოკებს თავის მუცელზე.

ერთ საღამოს, როცა ახალგაზრდობა კადრილისათვის ემზადებოდა, მე და მადმუაზელ გობლენს, რაკი დანარჩენებზე ბევრად უფრო ჰკვიანებად გვთვლიდა, თავმომწონედ გვიჩვენა ადამიანის ჩამოსხმული ყბა, მის მეგობარს, ბუშე დე პერტს\* რომ გამოეგზავნა აბევილიდან. გარდასულ დროთა ამ ნაშთს რომ უცქეროდა, ოქროს სათვალის მიღმა თვალები უცნაურად უელავდა, უცებ ამ მშვიდმა კაცმა თოფის წამალივით იფეთქა:

— ამბობენ, ქვის ხანის ადამიანი არ არსებობსო. გინდა, კაჟისაგან გამოკვეთილი ისრები უჩვენე, გინდა სპილოს ძვლის ფირფიტები, რომლებზედაც მას ცხოველთა ფიგურები გამოუსახავს, არაფრის გაგონება არ სურთ, არც არაფრის დანახვა და მაინც თავისას გაიძახინ, ქვის ხანის კაცი არ არსებობსო. როგორ არა, ბატონებო! არსებობს! აი ისიც!

ასეთის გააფთრებით კუვიეს\* მიმდევრებს ესხმოდა თავს, იმხანად რომ ბატონობდნენ აკადემიაში. საწყალი ნათლიაჩემი ძალიან შეურაცხყოფილი იყო ოფიციალური მეცნიერებისაგან, იტანჯებოდა ამით და არ კი უწყოდა, რომ დიდებისაკენ მავალ კაცს გზად ბევრი ლანძღვა-გინების ატანა უხდება, და მათთვის, ვინც ფიქრობს და მოქმედებს, ცუდი ნიშანიც კია, თუ არავინ ამცირებს, არ ემუქრება და შეურაცხოფას არ აყენებს. უთუოდ გამორჩენოდა მხედველობიდან, რომ ყველა დროში იმათ, ვინც სახელი გაუთქვეს თავის სამშობლოს თავიანთი ნიჭით ან სათნოებით, უხვად იგემეს შეურაცხოფა, დევნა, ტყვეობა, გადასახლება და ზოგჯერ სიკვდილიც. ეს აზრი წამითაც კი არ მოსდიოდა თავში.

— ქვის ხანის კაცი არსებობს, — იმეორებდა იგი, — აი ისიც!

და გამარჯვებულის იერით ბუშე დე პერტის მიერ მულენკინონში ნაპოვნ ყბას მაღლა სწევდა. ეგონა, ნახავენ თუ არა, ჩემი მტრები უმაღვე ფარ-ხმალს დაყრიანო. მიამიტი კაცი იყო და სჯეროდა ჭეშმარიტების ძალისა. თუმცა ამქვეყნად მხოლოდ სიცრუეა ძლიერი და ადამიანთა გონებასაც ადვილად ინადირებს თავისი მომხიბვლელივით, თავის მრავალფეროვნებით, პირფე-

რობით და კიდევ იმით, რომ თავშემაქცევარია და ნუგეშისმცემელი. ბატონმა დანკენმა კიდევ ერთხელ შეათვალა, კიდევ ერთხელ მიუსვ-მოუსვა ყბას ხელი.

— ჯერ ისევ ნადირისას ჰგავს, — თქვა მან, — მაგრამ მაინც ეტყობა, რომ კაცს ეკუთვნის.

— ნათლი, როდის ცხოვრობდა ეგ კაცი?

— ვინ იცის; უთუოდ ორასი, სამასი ათასი წლის წინათ; იქნებ უწინ. მიწა კი მაშინაც ძალზე ბებერი იყო.

ბატონმა დანკენმა სათვალადან მშერა მიმოავლო თავის კარადებს, ხელითაც მიგვანიშნა და გვითხრა:

— მიწა!.. როცა ეს კაცი ცხოვრობდა, დედამიწას უკვე მცენარეებისა და ცხოველების უთვალავი თაობა ჰყავდა ნაშობი და აღმოცენებული. მადრებორთა, მოლუსკების, თევზების, ქვეწარმავლების, ამფიბიების, ჩიტების, ჩანთოსნების, ძუძუმწოვართა ბევრი მოდგმა გადაშენდა მის მკერდზე. დიახ, უკვე ძალზე ბებერი გახლდათ!.. გოლიათი ხელიკების ეპოქა დიდი ხნის წინათ ჩაბარდა წარსულს. მასტოდონტი, რომლის ჩონჩხის ნამუსრევსაც აქ ხედავთ, უკვე გადაშენებული იყო.

ფილიპინ გობლენმა ხელში აიღო უზარმაზარი ეშვი და გულში ჩამწვდომი ხმით წაიკითხა ნაწყვეტი ლორდ ბაირონის „კაენიდან“, სადაც ლაპარაკია მირიადობით ცხოველებზე, ადამიანების გაჩენამდე რომ დაინთქნენ სიკვდილის უფსკრულებში.

...And those enormous creatures...

And tusks projecting like the trees stripp'd of  
Their bark and branches...

...აგე ლანდები, ვეებერთელა ქმნილებანი,  
მსგავსნი მიწაზე, უღრან ტყეში ბინადარ მხეცთა,  
რომელთა ყეფა და ღრიალი შიშის ზარსა სცემს  
თვით დედამიწას, მაგრამ ათჯერ მათზე დიდები  
და შემზარაენი, გაცილებით მაღალნი უფრო,  
...ვით ხეები კანშემოცილი, ისე უბზინავთ მათ ეშვები...  
ის, რაც ახლანდელ მიწისათვის მამონტებია,  
ისინი ახლა დამარხულნი არიან მის ქვეშ  
მირიადობით, გადაშენდნენ სრულიად უკვე!...

<sup>1</sup> თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა.

ამ პოეტის ლექსის გაგონებისას, პოეტისა, ვისი ხმაც იმ-  
ხანად ჭერ კიდევ გულში გვწვდებოდა, ვიგრძენი, როგორ დამე-  
უფლა საუცხოო სასოწარკვეთა; წარმოვიდგინე სიკვდილის  
უფსკრულები, ჩვენამდე ურჩხულების, მცენარეთა და ცხო-  
ველთა ურიცხვი თაობა რომ შთანთქა და ახლა ჩვენი და ჩვენი  
ყვავილების გადასაყლაპადაც პირაშკმით მოიწევდა. ადამიან-  
თა ცხოვრება მეტად ხანმოკლე მეჩვენა მაშინ და კარგად მივ-  
ხვდი, რომ წუთისოფლის ხანმოკლეობა ამას ხდიდა ჩვენს  
სურვილს, იმედს, ძალდატანებასა და მით ყველა შიშისაგან  
გვანთავისუფლებდა, ყველა სატკივარს გვიქარებდა.

ქალბატონმა დანკენმა დამიძახა:

— მოდით, პიერ, მარტა აცეკვეთ.

ექიმმა რენოდენმა მადმუაზელ გობლენი გაიწვია; მანაც  
მკვირცხლად დადო ეშვი თავის ადგილას, კარადაში, ხელთათ-  
მანები წამოიცივა და შესძახა:

— წავიდეთ, ერთი ჩვენც გამოვიჩინოთ თავი!

## XXIII

### უთავმოლო აზრები

ერთ დღეს ჩემს ოთახში ვიჯექ და ვერგილიუსსა ვკითხუ-  
ლობდი. ვერგილიუსი ჭერ კიდევ კოლეჯში შევიყვარე; მაგრამ  
მას შემდეგ, რაც მასწავლებლები აღარ მიმარტავდნენ, უკეთ  
მესმოდა მისი და უფრო უკეთ ვწვდებოდი მის სილამაზესაც.  
აღტაცებით ვკითხულობდი VI ეკლოგსა და ჩემი პატარა, უშნო  
ოთახი სადღაც გაქრა; მღვიმეში ვიჯექ, სადაც დაძინებულ  
სილენს გვირგვინი დაუვარდა. ნორჩ ქრომისესთან, ნორჩ მნასი-  
ლესა და ნაიადთა შორის უტურფეს ეგლესთან ერთად ვუსმენ-  
დი მაყვლის წვენით სახემოთხუპნულ მოხუცს, რომლის სიმ-  
ღერის ტაქტს აყოლილი ფაუნები და გარეული მხეცები იქვე  
თანდავიწყებით როკავდნენ. მუხებიც ნელა არხევდნენ თავიანთ  
მეფურ კენწეროებს. მოხუცი მღეროდა იმაზე, თუ როგორ შე-  
ნივთდა დიდ სიცარიელეში მიწის, ზღვისა და ჰაერის ნაწილა-  
კები, ქვეყნის თხიერმა სფერომ როგორ იწყო გამაგრება, ოკე-



ანემ ნერევს როგორ უყო პირი და თანისთანობით როგორ შეიქმნა სახე ყოვლისა ტანისა; მღეროდა იმაზე, თუ დედამიწა ვით გააოცა ახალი მზის კაშკაშმა, როგორ მოდიოდა წვიმა ცის ტატნობზე დაკიდებული ღრუბლებიდან. მაშინ პირველად იწყეს ტყეებმა ზრდა და ნადირიც ძვირად თუ გაივლიდა უკაცურ მთებში. შემდეგ მოჰყვა სიმღერას\* პირას ნასროლ ქვებზე, სატურნის მეფობაზე, კავკასიონის ფრთოსნებსა და პრომეთეოსის ქურდობაზე.

იმ დღეს სილენს ამას იქით არ გაეყოლივარ. ვტკბებოდი ბუნების ამ ძლიერი ფილოსოფიით, პოეზიის ცისარტყელის ყველა ფერებით აკიაფებულ იალქანთა ქროლვაში რომ იბადებოდა. მას შემდეგ, რაც დედამიწის წარმოშობის ამ თვალსაზრისის ეზიარები, აღმოსავლური კოსმოგონია და მისი ველური იგავეები სასაცილოდაც აღარ გეყოფა. ვერგილიუსი თავის სილენს ლუკრეციუსისა და ალექსანდრიელი ბერძნების ენით ალაპარაკებს. დედამიწის წარმოშობაზედაც ისეთ თვალსაზრისს გამოთქვამს, რომელიც, ჩვენდა გასაოცრად, ზედმიწევნით შეესაბამება თანამედროვე მეცნიერების მონაპოვრებს. დღეს ყველას სჯერა, რომ მზის მხურვალეობა უწინ ძალიან მაღალ ტემპერატურას აღწევდა. მერე მზემ თანდათანობით გაცივება იწყო, დაპატარავდა და გზადაგზა ცეცხლოვანი რგოლები დატოვა. ეს რგოლები თანდათან იმსხვრეოდა, ნამსხვრევები იკუმშებოდა და მზის სისტემის პლანეტებს ქმნიდა. ფიქრობენ, რომ ამგვარად შეიქმნა მიწაც; თავდაპირველად ისიც დიფუზური და თხიერი იყო, მერე კი ნელ-ნელა გაცივდა და გამაგრდა. გამდნარი მეტალის წვიმების შემდეგ ზეციდან მაცოცხლებელი წვიმის წყალიც ჩამოვარდა. სწორედ ამას ამბობს მოხუცი სილენიც. დედამიწა ჯერ მთლიანად თბილი და თავთხელი ზღვით იყო დაფარულიო: მერე კონტინენტებიც ამოიზიდნენ წყლიდან. ბოლოს ჰაერიც გაგრილდა, დაიწმინდა და ცხრათვალა მზემ გამოანათა ციდან. ბალახმა და გოლიათურმა გვიმრამ დაფარეს მთები. ასე აღსრულდა ამ უხსოვარ დროს ბედი, რომელსაც დედამიწა დანაშაულის სამუდამო სადგურად უნდა ექცია. მცენარეები, თავიანთი ფესვებით მიწის წვესს რომ შეისრუტავდნენ, ადვილად იკლავდნენ შიმშილს. ქვეყნად მხოლოდ ისინი იყვნენ უცოდველნი და სწორედ მათ წარმოქმნეს

ცოცხალი ნივთიერებანი, როს თავიანთი საუცხოო ინსტინქტის წყალობით უსულო, ან უკეთ, არაორგანულ ნივთიერებებს გარდაქმნიდნენ. უსულო, ტყუილად წამომცდა, ქვეყნად არაფერზე არ შეიძლება ითქვას, სული არ უდგასო პირში. მცენარეები გაჩნდნენ ამქვეყნად და ახლა ცხოველებზე მიდგა ჯერი.

*Rara per ignolos errant animalia montes!*

პირველი ცხოველები საბრალონი იყვნენ; უხერხემლონი და უჭკუონი. ტყის ბალახსა სძოვდნენ და თავს იმით ირჩენდნენ. ასე რომ, სულდგმულთა ცხოვრება მკვლელობით დაიწყო. ო! კარგად ვიცი, არავინ იტყვის, ხე მოკლესო, თუმცა ასე კი უნდა ითქვას, რადგან ისიც სულდგმულია. გრძნობს რასმე? არაო, დაუყინიათ; ამტკიცებენ, ხეს არ გააჩნია გრძნობის ორგანოები, ინდივიდი არაა და არ შეუძლია შეიცნოსო თავისი თავი. აბა, უტკირეთ! ყვავილობის ჟამს ყოველი ხე ისეთ ქორწილს იხდის, რომელსაც ვერავინ მეტობს სიტურფითა და ნაყოფიერებით. მე გრძნობიერი მგონია და, თუ უგრძნობია, მით ნაკლებ ცოცხალი როდი ეთქმის; მისი მოჭრაც სიცოცხლეზე ხელის აღმართვაა ისევე, როგორ პირუტყვის მოკვლა.

თანდათანობით ცხოველთა ჯიშები განვითარდნენ. მხეცებიც უფრო გონიერნი და ძლიერნი გახდნენ; გაუჩნდათ ტვიინი და ნერვები, შეიცნეს თავიანთი თავი და გარეგან სამყაროსთანაც ურთიერთობა დაამყარეს. ზოგი კვლავ ბალახსა სძოვდა, მაგრამ უმეტესობა იმ ცხოველების ხორციით ძლებოდა, მათზე სუსტ ჯიშებს რომ ეკუთვნოდნენ. ტყეებისა და მთების ამ უბედურ მკვიდრთა გაჭირვებას ის არ ეყოფოდა, რომ დღენიდაგ შიმშილი, სხვადასხვა სენი და სიკვდილი ემუქრებოდათ? მუდამ ნადირის შიშში უნდა ყოფილიყვნენ და ძრწოლით უნდა ეფიქრათ იმ სატანჯველზე, სულის ამონდომისას რომ ელოდათ მტაცებელთა კლანჭებში მოქცეულებს. მერე რა, რომ დიდი ჰკუა არ გააჩნდათ, მაინც ხვდებოდნენ, რა საშინელი იქნებოდა ეს სატანჯველი. კაცი ყველაზე გვიან იშვა, ყველას ნათესავი და ზოგიერთის ახლობელი. დღეს რომ სახე-

<sup>1</sup> ნადირი ძვირად თუ გაივლიდა უკაცურ მთებში (ლათ.), ვერგილიუსი, მკლოგები, VI, 40.

ლებს ვარქმევთ, მის წარმოშობას მოგვაგონებენ. მას მიწის შვილსა და მოკვდავს ვეძახით. სხვა რა სახელი უხდება უკეთ გარეულ ნადირს, ვინც მიწაზე იშვა და სიკვდილის შვილია. ადამიანი გაცილებით უფრო ჭკვიანია, ვიდრე მისი ტყიური ძმები; მაგრამ მისი ჭკუა სხვა ბუნებისა როდია. ის ყველას მეტობს, თუმცა არაფერს შეიცავს ისეთს, რაც დანარჩენებს არ გააჩნიათ. ანკი სხვათაგან როგორ გამოვწყვიტოთ, როცა ისიც სხვასავით იძულებულია შთანთქმას ცოცხალი არსებანი, თავი რომ დაირჩინოს; მკვლევლობის კანონს ისიც მონებს და ისიც სისხლისმსმელ მტარვალად ქცეულა. ისიც მოსისხარი ნადირია და რომ არ შერცხვეს, ჩემს თანამოძმეებს ვჭამო, მათ უარყოფს; ტრაბახობს, ზეციური წარმოშობის ვარო, მაგრამ ყველაფერი მოწმობს მის ნათესაობას ცხოველებთან; ისიც მათსავით იბადება, მათსავით იკვებება, მათსავით მრავლდება და მათსავით კვდება. ისიც მორჩილებს მკვლევლობის კანონს, დედამიწის ყველა სულდგმული რომ მონებს. თავის უბადლო ჭკუის შემწეობით იმორჩილებს ცხოველებსა და თუმცა საუცხოოდ გამართული ბოსელი და საჩიხე აქვს, ნადირობა მაინც ყველაფერს ურჩევნია. ნადირობა მეფეთა უსაყვარლესი გართობა იყო; ახლაც ასეა. ადამიანებს ხოცვა-ჟლეტა სიამესა ჰგვრით. სხვა ნადირები კი ასეთ რასმე არ განიცდიან. მტაცებელ ნადირთა დარად, ერთურთის ხორცს რომ არა ჭამენ, ისიც კაცის ხორცს არ გეახლებათ; მაგრამ სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით კლავს თავის მოძმეთ, საჭმელად კი არა, იმისათვის, რომ ქონება წაართვას, რომელზედაც დიდი ხანია, უჭირავს თვალი, თავის მონაგარზე არ გაახაროს და მით მოიკლას ჟინი. სწორედ ამას ეძახიან ომს; ომობენ თავგამეტებით და უეჭველია, აზრადაც არ მოუვიდოდათ ამ საზარელი ცოდვის ჩადენა, ლუკმა პურის საშოვნელად ნადირთ კვლა რომ არ უხდებოდეთ და სისხლის ღვრას არ იყენენ ჩვეულნი. ასე ისურვა ბედმა: სიცოცხლის გაჩენის დღიდან დღემდე მთელი დედამიწა მკვლევლობას მისდევდა და არ მოიშლის მანამ, სანამ თვით სიცოცხლე არ შეწყდება ჩვენს პლანეტაზე. საკუთარი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად სხვების გაჟლეტაც წესად ექნება უკუნისი უკუნისამდე.

დიდხანს ვფიქრობდი ამ დაწყევლილ ბედზე, რომელსაც ვერც

ერთი ჩვენგანი ვერ გაეჭკევა. მზე ჩავიდა: სარკმელი გამოვალე, ვუმზერდი, როგორ ინთებოდნენ პირველი ვარსკვლავები და შეძრწუნებული ვფიქრობდი ამ ქვეყნის ბედზე, მის სისასტიკეზე. უეცრად აზრად მომივიდა, იქნებ ასეთივე ხვედრი მირიად და მირიად სამყაროთა და უსასრულო სივრცეში, ყველგან, სადაც კი სულიერნი ბინადრობენ, იქნებ იგივე კანონებია გამეფებული, რომელთაც ჩვენ ვმონებთ-მეთქი. ნეტა სხვა პლანეტებზეც თუ ცხოვრობს ვინმე? მათგან ბევრს ვერცა ვხედავთ, ვერც ვერასოდეს დავინახავთ; ჩვენ მხოლოდ ჩვენი სისტემის პლანეტებზე მიგვიწვდება თვალი. ისინი ღვიძლ დებად მოგვხვდებიან და ჩვენსავით მზის შვილები ჰქვიათ. მაგრამ იმავე დროს არ შობილან, როცა ჩვენ დავიბადენით და სიცოცხლის მომნიჭებელი მნათობისაგანაც იმავე მანძილით როდი არიან დაშორებულნი. ერთნი იქნებ ძალზე ახალგაზრდებიც არიან საიმისოდ, რომ სიცოცხლე წარმოქმნან, მეორენი კი — ძალზე ბებრები. ზოგს სქელი, სულის შემხუთველი ატმოსფერო აკრავს გარს, ზოგზე კი ისეა ჰაერი გაიშვიათებული, რომ ჩვენი მსგავსი არსებანი ზედ სუნთქვას ვერ შეძლებენ; იმათ, რომლებიც მზისგან ძალიან არიან დაშორებულნი, ცივ და წყვილიაღში დანთქმულ მხარეში უხდებათ მოძრაობა. მაგრამ მაინც არ შეგვიძლია ვთქვათ დაბეჭითებით, რომ მათ ზურგზე არ ყოფილან, არ არიან, ან არ გაჩნდებიან რაიმე სულდგმულნი. ჩვენ ხომ ბევრი არა ვიცით რა იმის შესახებ, თუ რა გარემოში შეიძლება სიცოცხლე წარმოიშვას. ნეტამც დედამიწის ეს შორეული დები მასზე უფრო იღბლიანნი გამოდგნენ, ცხოვრება უკეთ მოაწყონ და თავიანთ მკვიდრთ აშორონ ყველა ის სიმწარე, რაც მიწაზე მავალ კაცსა თუ პირუტყვს უწამლავს ყოფის დღეს. ყველა იმ მზეს, ცეცხლის ბურთივით რომ მოჩანან ეთეროვანი სივრცის შორეთში, ნეტა გარს თავის პლანეტათა გუნდი თუ ახვევია და ნეტა რომელიმე მათგანზე მაინც თუ ჩქეფს სიცოცხლე? ჩვენ გვჯერა ეს, რადგან ვუწყით, რომ მზეები ყველგან დაახლოებით ერთი და იგივე ნივთიერებათაგან არიან შექმნილნი და ცის შორეულ მნათობებზე ვმსჯელობთ იმ მზის მიხედვით, ჩვენ რომ გვიგზავნის ცხოველმყოფელ სხივებს.

და თუ სალად ვიმსჯელებთ, თუ ჩვენი ქვეყნის მსგავსად

შექმნილ ყველა პლანეტაზე ცხოვრობს, ან იცხოვრებს სულ-  
დგმული, თუ იქაური მცხოვრებლებიც იმავე კანონებს ემორ-  
ჩილებიან, რომელთაც ჩვენ ვმონებთ, ბოროტებას არა ჰქონია  
საზღვარი; მას უსასრულო სამყარო მოუცავს და ბრძენ კაცს  
ისლა დარჩენია, გაექცეს სიცოცხლეს, ანდა მასხრად აიგდოს იგი.

*Rara per ignotos errant animalia montes.*

ბებერო სილენო, ულამაზესმა ნაიადამ მაყვლის წვენით  
რომ მოგიტხუპნა შუბლი და საფეთქლები, აი, სად მიმიყვანეს  
იმ სიმღერებმა, შენ რომ უგალობდი მნასილეს, ნორჩ ეგლეს,  
ფავნებსა და ულრანი ტყის ასწლოვან მუხებს. კიდევ მიმღერე,  
ღვთაებრივო ლოთო, უგალობე პასიფაესა და ეს შავბნელი  
ფიქრები გამიქარვე.

#### X X I V

#### ფილიპინ ვოგლენი

ზამთრობით, როცა პარიზის ბნელ, ცივსა და სველ ქუჩებ-  
ში ნავალთ უფრო საამურად გვეჩვენებოდა თბილი და ნათელი  
სალონები, საღამოებს მხიარულად ვატარებდით ბატონ და  
ქალბატონ დანკენებთან, სენ-ანდრე-დეზ-არის ძველ ქუჩაზე.  
თუმცა შიგ მინერალებითა და ჩონჩხებით გამოტენილი უამრავი  
კარადა იღვა, ბატონ და ქალბატონ დანკენების სალონში  
კიდევ მოიძეებოდა საკმაო ადგილი მოცეკვავე გოგო-ბიჭები-  
სათვის და ჩვენც თავბრუდამხვევი სისწრაფით ვტრიალებდით  
უხსოვარი დროის მოწმეთა თვალწინ. ვცეკვავდით, ვბტოდით  
და ისევე არ გვადარდებდა საგანთა სწრაფი წარმავალობა, რო-  
გორც პლანეტებს, ჩვენსავით რომ უვლიდნენ ფერხულს ზაფ-  
ხულის თბილ საღამოებში.

ამ სახლის სტუმართა უმეტესობა მეცნიერთა და ხელო-  
ვანთა ხელმოკლე ოჯახებიდან იყო გამოსული. მამაკაცები ქურ-  
თუკებით დაიარებოდნენ, ქალები — ყელზე მჭიდროდ მომ-  
დგარი კაბებით. არავითარი ზიზილ-პიპილები, არავითარი  
ელეგანტურობა, მხოლოდ გულთბილობა და მხიარულება სუ-  
ფევდა ირგვლივ.

ყოველ შაბათს ერთი და იგივე ხალხი იყრიდა თავს: მარტა და კლოდიუს ბონდუგები, ედმე ჟირეი და მადლენ დელარში, ორი ბიძაშვილი. ერთი ჭათვანი მაღალი იყო, ფერმკრთალი და მუდამ ცისკენ ჰქონდა თვალები აპყრობილი; მეორე — ქორფა, ტანდაბალი იყო და სულ კისკისებდა. მე მათ ღვთაებრივი სიყვარული და მიწიერი სიყვარული შევარქვი. ამბობდნენ, ღვთაებრივ სიყვარულს დიდძალი მზითვეი აქვსო... ქალბატონ დანკენის ძმისწულები და ძმის შვილიშვილებიც სულ აქ ირეოდნენ. ჩვენს მასპინძლებს შვილები არა ჰყავდათ და მზე და მთვარე ამ ნათესაეების ბავშვებზე ამოსდიოდათ. ნათლიაჩემს იმ ხანებში ჩემი მეგობარი ფონტანეც გავაცანი და ათასში ერთხელ ისიც შემოვივლიდა ხოლმე; ჯერ ფეხი არ ჰქონდა შემოდგმული ამ ოჯახში და უკვე მბრძანებლობას აპირებდა. აქ ხშირად შეხვდებოდით ბატონ რენოდენსაც, ახალგაზრდა ექიმს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დამკვიდრებულყო ამ უბანში და უკვე პაციენტებიც გაეჩინა. ტანად დაბალი იყო, წაბლისფერი თმა ჰქონდა და მე მოხუცი მეგონა, რადგან უკვე ოცდათხუთმეტ წელს იყო მიტანებული; თუმცა რის მოხუცი, ჩვენს შორის სწორედ ის იყო ყველაზე გადარეული. ბოჰემური ყოფის დიდი ტრფიალი გახლდათ, ცოტათი პედანტიც. საჯარო მეჯლისებისა და ამფითეატრების სუნით იყო გაყდენთილი და ყველას გვაოცებდა თავისი გამჭრიახობით. განზრახ უხეშად ლაპარაკობდა ხოლმე. მისი საუბარი მაინტერესებდა და ცოტა არ იყოს, კიდევაც მაცბუნებდა. ძალზე უვიცი ვიყავ და ძალზე მწადდა ბუნების საიდუმლოებათა გაგება, მაგრამ მთლად უცოდველიც არ მეთქმოდა და მისი წრეგადასული გულახდილობა და უკაცრაული სიტყვა-პასუხი ფრთებს უკვეცდა ჩემს ოცნებებსა და ილუზიებსაც მიმსხვრევდა.

თვითონაც არ ვიცოდი, მიყვარდა თუ მიძულდა ეს დაბალდაბალი, შავგვრემანი კაცი, ლოყებზე ლურჯი ფერი რომ გადაჰკრავდა და მასხარაობაცა და ბრძნული საუბარიც ერთნაირად ემარჯვებოდა. ოცი წლით უფროსი რომ ვყოფილიყავ, რენოდენს უთუოდ საუცხოო თანამეინახედ ჩავთვლიდი და ვინატრებდი, ნეტა მასთან და ანატოლ დე მონტეგლონთან\* ერთად მაქეიფამეთქი. მაგრამ იმ დროს, რომელზედაც მოგახსენებთ, ცოტა უკადრისი გახლდით..

ჩვენს კეთილ მასპინძლებთან ხშირად დაიარებოდა ელიზ გერიეც, რომელსაც კონსერვატორიის პრიზი ჰქონდა მიღებული ფორტეპიანოზე დაკვრაში. არ ვიცი, რატომ ერჩია ნათლია-ჩემს ელიზ გერიე ყველა იმ ასულს, სუფრას რომ უმშვენებდნენ და მის სახლში პეპლებივით დაფარფატებდნენ. ამ ორ ადამიანს ხომ არაფერი ჰქონდა საერთო: ნათლიაჩემი ლოყებ-ლაჟღაჟა, ჩაგოდრებული კაცი იყო, პირწვეარდნილი ბურჯუა გახლდათ და ცოტათი შინაბერასაც კი ჩამოჰგავდა. ელიზ გერიე კი ტანწერწეტა იყო და ბიჭივით მოქნილი; დიდრონი, მშვენიერი ნაკეთები ჰქონდა და მუდამ დაღვრემილი დაიარებოდა.

მე რომ მომწონებოდა ეს გოგო, არც არაფერი იქნებოდა გასაკვირი, მე ხომ ანტიკური ხელოვნების ტრფიალი სიყრმი-დანვე ძვალსა და რბილში მქონდა გამჭდარი და შეუძლებელი იყო, არ დავეტკბე ელიზ გერიეს სილამაზეს, რომელშიც ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს ორთავ სქესის თვისებები; მაგრამ ეს ყმაწვილი ქალი ცოტა უფრო გულთბილადაც რომ მომპყრობოდა, ვეჭვობ, ჩემი სიმორცხვის დაძლევის მაინც ვერ შეძლებდა; მისი სიახლოვე თავზარსა მცემდა. ეს შიში მას მერე უფრო გამიცხოველდა, როცა შევნიშნე, რომ ჩემდამი საშინელ გულგრილობას იჩენდა და ბევრჯერაც მაგრძნობინა, სულაც არ მაინტერესებს შენი ასავალ-დასავალიო.

ტურფა მოკვდავთაგან ის გახლდათ პირველი, ვინც მე ქალღმერთად მივიჩინე.

ადამიანი, ვისაც ყველაზე უკეთ იგუებდა ჩემი სიმორცხვე, რომელთან საუბარიც ყველაზე უკეთ მიკლავდა ცნობისწადილს და თან უზომოდაც მამზიარულებდა, ფილიპინ გობლენი იყო, საუცხოო დიასახლისი და კითხვის დიდი მოყვარული. ნამდვილი ჭკუის კოლოფი იყო, საზრიანი და გადარეული, მასხარა და მელანქოლიური; ქვეყნად ყველაფერი წაეკითხა და ყველაფერი დაეხსომებინა; იცოდა და არც იცოდა, რომ უშნო იყო: დასცინოდა თავის გაბუშტულ ცხვირს, საამისოდ თავის უჩვეულო ვანსწავლეულობას იშველიებდა და ამტკიცებდა, ცხვირის ბოლოს რომ კვერცხი მაბია, ორფეოსისა და ოზირისის კვერცხებივით ნაყოფიერი და მისტიურიაო\*.

— ერთ დღესაც იქნება და, — ამბობდა სერიოზულად, —

ცხვირის ცემინების დროს უამრავ ნამცეცა სულებს გადმოვსხამ, ზოგს მხიარულსა და ზოგს — მწუხარეს; ისინი მოედებიან სამყაროს, ადამიანთა ტვინებში დასახლდებიან, დღევანდელზე მეტად გადარევენ და ცოტა ჭკუაზე მოიყვანენ.

იცინოდა, მაგრამ მთელ თავის ჭკუასა და გონებას მიწყებდა, ოღონდ ედმე ჟირეის სახე, ან მადლენ დელარშის ტანი ჰქონოდა.

ეს ხშირად შემინიშნავს; მეტადრე ერთმა შემთხვევამ ჩამაფიქრა და ჩემს სიცოცხლეში პირველად მაზიარა ქალის გულის იღუმალ კუნჭულებს. მადმუაზელ გობლენმა იმ სადამოს ბატონ დანკენისას დიდი ჭკუა გამოიჩინა; მერე დახვეწილად, კომიკური ხელოვნებით რალაც ესპანური ცეკვაც იცეკვა. გულწრფელი ქათინაური ვუთხარ: თქვენ ისეთი ჭკვიანი ხართ, რომ ჭკუას მარტო საუბარში კი არა, სიმღერაში, სიცილში და ცეკვაშიაც ამეყაფნებთ-მეთქი. მწყრალად მისმენდა. მე კი დავსძინე, რომ ალტაცებული ვიყავ მისი ჭკუის სიმკვირცხლითა და კიდევ დიდხანს ვასხამდი ხოტბას მის ნიჭსა და გონიერებას. რომ დავასრულე, ერთი ზიზღით შემომხედა და ზურგი მაქცია. ჩემგან განაწყენებულს ექიმი რენოდენი მიუახლოვდა და უთხრა:

— ქალიშვილო, თქვენ მუდამ ლამაზი ხართ, მაგრამ ჩვეულებრივზე მეტად თვალწარბატი ბრძანდებით, როცა ფანდანგოს ცეკვავთ ხოლმე.

ეს ქათინაური საკმაოდ ბრიყვულად მეჩვენა, მაგრამ ფილიპინმა ბედნიერი და მოსიყვარულე მზერა მიაპყრო რენოდენს. ეს მზერა ამართლებდა მლბქვენელს, რამეთუ სიხარული ყმაწვილ ქალს თითქმის ლამაზად ხდიდა.

ნათლიაჩემისას ბევრს ვცეკვავდით და ახლაც თვალწინ მიდგას მარტა ბონდუას სახე, ვალსის შემდეგ ოფლით დაცვარული და გადაღანებული. ექიმი რენოდენი კლასიკურ ცეკვაში ხანდახან თავისი ჭაბუკობის ეამს, ლათინური კვარტალის საჯარო მეჯლისების დროს ნასწავლ ანტრეშასაც გამოუჩვენდა ხოლმე, მაგრამ ქალბატონი დანკენი ერთობ უცოდველი იყო და ამას ვერ ამჩნევდა. მე ძალიან ცუდად ვცეკვავდი. ყველაზე ხშირად მადმუაზელ გობლენს ვიცეკვებოდი, რადგან მას ისე



ხშირად არ იწვევდნენ და ისიც, ჩემი მოუქნელობით განაწამები, სულ მთავაზობდა, ცეკვას გასწავლიო.

ცეკვას პატარ-პატარა თამაშობანი და შარადები მერჩია, რომელთაც ნათლიაჩემისას დიდი გასაავალი ჰქონდათ. მახსოვს, სკამის ზურგს უკან როგორ ვკოცნიდი ედმე ჟირეის, მადლენ დელარშს და თუმცა ეს კოცნა ნებადართული იყო, სიტკბოება მაინც არ აკლდა. მაგრამ ყველაზე მეტად შარადები მიყვარდა. შარადა რომ წარმოგვედგინა, კომედიების დადგმაც გვიხდებოდა და დრამისაც; არც პანტომიმაზე, ბალეტსა და ოპერაზე ვამბობდით უარს. დეკორაციებად, კოსტიუმებად და აქსესუარებად ჩვენი მასპინძლის კარადებს, ავეჯს, ტანსაცმელსა და ჯამჭურჭელს ვიყენებდით ხოლმე. ამიტომ ჩვენი წარმოდგენები საკმაოდ მდიდრულად გახლდათ მოწყობილი. სცენარებს ყველაზე ხშირად მე და ფილიპინს გვიკვეთავდნენ. მაშინ შარადა, ბუალოს მითითებათა საწინააღმდეგოდ, უმდაბლესსა და უმხიარულეს ტაკიმასხრობაში გადადიოდა. ფილიპინ გობლენს ამეებში მართლაც რომ არ ჰყავდა ბადალი. შეუდარებელი მსახიობი იყო, თავის გამონაგონ მხიარულ სცენებს ისე ოსტატურად განასახიერებდა, მის შეხედვას არაფერი სჯობდა.

ჩვენ ორის შედეგრი (მის შექმნაში ფილიპინთან ერთად წვლილი მეც მიმიძლოდა) იყო ერთი სამნაწილიანი შარადა, რომლის „პირველი“ და „ბოლო“ დამავეიწყდა; ასე რომ, ეს დრამატული ნაწარმოები ჩემს მეხსიერებას შემორჩა ისე, როგორც ბერძნული თეატრის ტრილოგიებმა მოაღწიეს ჩვენამდე. კი, ბატონო, გეთანხმებით, რომ ეს ნაკლებ სამწუხარო რამ არის. მახსენდება მხოლოდ „მეორე“, „ცეკვა“ რომ ერქვა სახელად. მასში მეფე დავითი იყო წარმოდგენილი. სჯულის კიდობანს როკვით უვლიდა გარს და თან თავის წინასწარმეტყველურ ქნარს აუღერებდა. დავითი მადმუაზელ გობლენი იყო. ყურებზე ლურჯი ქსოვილის გრძელი წვერი მოება, რომელიც მის ბუნებრივ ცხვირთან მეზობლობაში კიდევ უფრო სასაცილო მოჩანდა. თავზე ქიშმირის ჩალმა ეხვია, ზედ სპილენძის ჩაიდანი წამოესკუპებინა და ყუმაშის მოსასხამში გახვეული ქნარის მაგივრად მოოქრულ, მოწნულ სკამის ზურგზე უკრავდა და საღვთო ცეკვას სრული სერიოზულობით ასრულებდა. ეს ცეკვა კიდევ უფრო თვალში საცემს ხდიდა მისი

ხელ-ფეხის სიგრძეს და წაწვეტებულ ნიდაყვებსა და მუხლებს. მის უკან ელიზ გერიე უკრავდა ქაფქირზე და ზედ დამლეროდა.

სჯულის კიდობანი კი, რომელმაც  
იორდანეს მჩქეფარ ტალღებს პირი აღმა აქნევინა  
და დაეთ მეფის მხედრიონს მტრის კოშკი დააქცევინა,

ქალბატონ დანკენის ხელსაქმის მაგიდა იყო. სალონის კუთხეში მჯდარმა პატრონმაც თვალი მოჰკრა თუ არა, რომ მასაც იმ ცნობილი სჯულის კიდობნის ბედი ეწია და აყირავდა, გველ-წაკრავივით შეჰყვირა, არიქა, ჩემი საქარგავიო და ფეხზე წამოიჭრა. თურმე ნუ იტყვიოთ და, ამ კიდობანაკში ფლოსტები ეწყო, ქალბატონი დანკენი თავისი ძვირფასი მეუღლისათვის რომ ქარგავდა.

მაგრამ ყველაზე მეტი წარმატება ექიმ რენოდენსა ხვდა წილად. პოლიციელად გადაცმული თავს წამოგვადგა, უზარმაზარი მუშტები მოგვიღერა ყვირილით: გაიარეთ, გაიარეთო და გაფანტა მთელი ისრაელი. ეშმაკმა უწყის, სად გამოჩხრიკა ეს პოლიციელის ფორმის მინამგვანი კოსტიუმი, ან რა ჯადოთილისმა იხმარა, მაგრამ საუცხოოდ კი გამოუვიდა.

ბატონი დანკენი ისე იცინოდა, რომ მის მუცელზე ბრელოკებს სულ წკარაწკურით გაჰქონდათ. გამალებით უკრავდა ტაშს ექიმ რენოდენს, რაკი პოლიციელთა ასეთი გამასხარავებით გულსა ფხანდა პარიზელებს, რომელთაც იმპერატორისა და მისი მთავრობის ზურგს ამოფარებული პოლიციელები მეტად უდიერად ეპყრობოდნენ.

— ყოჩაღ, ბიჭო! — ყვიროდა ჩემი კეთილი ნათლია. თუმცა ნაპოლეონ I სალოცავ ხატადა ჰყავდა, არავისათვის იყო საიდუმლო, რომ მისი ძმისწული ჭირის დღესავით ეჯავრებოდა.

## X X V

### გაღდადს მიმავალი გზა

უზომოდ ბევრს, მაგრამ განურჩევლად ვკითხულობდი და მალე ჩემდა გასაკვირად შევნიშნე, რომ არაფერი არ ვიცოდი; რომ სწავლა როგორ უნდოდა, ისიც კი არ შემეფიქრებინა და

ჩემი ბრწყინვალე ცოდნაც მხოლოდ მსუბუქი ფარდა იყო, ღრმა უვეიცობაზე ჩამოფარებული. მაშინდა ვიგრძენი სავალალო შედეგი იმისა, რომ ბოლო კლასებში ფილოლოგები და მათემატიკოსები ერთმანეთს გაგვეყარეს და მივხვდი, რა ზარალი მომაყენა იმან, რომ თავის დროზე ყურადღებით არ ვუსმენდი ბატონ მეზანჯის გაკვეთილებს. მალე იმ დასკვნამდე მივედი, რომ მხოლოდ ზუსტ მეცნიერებას შეეძლო გაეწვრთნა და შეეიარაღებინა კაცის გონება. ჩვენი ლიტერატურის მასწავლებლები კი ჩვენგან მხოლოდ ზიზილ-პიპილებით მორთული, გამოფიტული გონების ხალხს აყალიბებდნენ, ცუდა-უმაქნისებს, რომელთაც ძალა არ შესწევდათ, სერიოზული საქმისათვის მოეკიდათ ხელი. ყველაფერში მამას გამოვუტყუდი და მანაც არაფერი დაიშურა, მცოდნე კაცები მომიჩინა, რომელთა შემწეობითაც მათემატიკა, ქიმია და ბუნებისმეტყველება. საკმაოდ კარგად შევისწავლე; სწავლით იმიტომ კი არ მოვიკალი თავი, რომ ამ საგნებში გავწაფულიყავ, მინდოდა, გონება გამხსნოდა ცოდნის შესაძენად. ჩემს გონებაში წესრიგი დაეამყარე და განსჯის უნარიც გამომიკეთდა. სამწუხაროდ, ჩემმა თვითკმაყოფილებამაც საგრძნობლად იმატა. ძალზე მორცხვი ვიყავ და კარში ყოყორობას ვერა ვბედავდი, შინ კი მთლად აუტანელი გავხდი; ჩემი წყეული გამჭრიახობის წყალობით, გამჭრიახობისა, რომელმაც ამდენი ზიანი მომაყენა ცხოვრებაში, შევნიშნე, რომ მამაჩემი მუდამ სწორად არა მსჯელობდა და იმდენი სიბრიყვე გამოვიჩინე, ისე გავკადნიერდი, რომ კრიჭაში ჩავუდექი.

თუმცა საკმაოდ გავიწვრთენ და დავეკვიანდი, ზედვე მეტყობოდა, რომ საზოგადოებაში სახარბიელო ადგილს მაინც ვერ დავიჭერდი. ჭერ კიდევ არ ვიცოდი, რა ხელობის კაცი დაედგებოდი. დედ-მამა სულაც არ მეხმარებოდა არჩევანში; დედა იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, ყველაფერში ვივარგებდი, მამა კი იმიტომ, რომ ეგონა, არც არაფრისად შემწევდა გონება.

ამასობაში ფონტანე ერთ ფართიფურთში იყო; დროს უქმად არ კარგავდა, საზოგადოებაში გაჩვეულ კაცად მოჰქონდა თავი, ზიზლით უცქეროდა დანკენებს და მხოლოდ სიმდიდრესა და გვარიშვილობას სცემდა პატივს. მურონი, მაქსიმ დენი და

ჩემი თავი სენ-ჟერმენის გარეუბნის ერთ სალონში დააბატი-  
 ებინა. ეს სალონი ცნობილი იყო იმით, რომ ოპოზიციაში ედგა  
 იმპერიასა და კარსაც ძვირად თუ გაუღებდა ვინმეს. მაგრამ ეკლე-  
 სიას, ამ უბადლო დემოკრატს, ჩვენი მასპინძლების ძველ-  
 ბურ ბინაში რომ ბატონობდა, აქ მრავლად შემოჰყავდა ხალ-  
 ხის წიაღიდან გამოსული ყმაწვილკაცები იმ იმედით, რომ მათ  
 შორის ახალ ვეიოს\* აღმოაჩენდა და თავის გუნებისად გაწვრ-  
 თნიდა. აქ ხშირად დაიარებოდნენ საფრანგეთის ყოფილი პე-  
 რები, ნაციონალური ასამბლეის გადამდგარი დეპუტატები, აკა-  
 დემიკოსები, დიდ-დიდი ბატონები, რომლებიც თუმცა ბუნე-  
 ბით ამპარტავანნი და ქედმაღალნი იყვნენ, საუბარში ამეღავ-  
 ნებდნენ იმ თავდაპირილ ზრდილობიანობას, წაგებული საქმის  
 დამცველთათვის რომაა დამახასიათებელი. სალონში ფეხზე  
 მდგომელა ვსვამდი ჩაის, ხელში ქუდი მეჭირა და თუმცა ფონ-  
 ტანე წამდაუწუმ მუჯღუგუნებსა მკრავდა, სერიოზული სახით  
 ვუსმენდი ძველ, ცნობილ პოლემისტს, ლუზინიანის\* დარად,  
 სამოცი წლის განმავლობაში ღვთის სადიდებლად წარმოებული  
 ბრძოლების შემდეგაც ჰაბუკად რომ დარჩენილიყო; ვნებათა  
 ალი არ ჩაქრობოდა, არც მის ნაქებ მჭევრმეტყველებას გასე-  
 ლოდა ყავლი და გააღპასებული ახალ თაობებს იაკობინელთა  
 დანაშაულობებზე და ბონაპარტის თავგასულობაზე მოუთხრობ-  
 და. ისეთის გატაცებით ლაპარაკობდა, რომ ვერც კი შენიშნა,  
 მთელი ჰიქა ჩაი როგორ გადაისხა ცილინდრზე. ქალებს ერთ-  
 ერთ სალონში მოეყარათ თავი და ისე ჩარიგებულიყვნენ, რო-  
 გორც თეატრში. უმეტესობას, რამდენადაც მახსოვს, კოშკში  
 ცხოვრებისაგან საუცხოო ფერი დასდებოდა, მიხრა-მოხრაშიაც  
 დიდი თავისუფლება ეტყობოდა და ცოტა ხმამაღლა ლაპარაკი  
 სჩვეოდა. ჩემს დღეში არ შევხვედრივარ ასეთი სადა და უბრა-  
 ლო მანერების მქონე მანდილოსნებს, თუმცა ყველა მათგანი  
 საფრანგეთის უწარჩინებულეს გვარს ეკუთვნოდა. ამ საზოგა-  
 დოებამ დიდი მოწიწების გრძნობა აღმიძრა გულში, ან კი, რა  
 შვილია, არ მომეწონებოდა, მაგრამ იქ თავი ვერავის მოვაწო-  
 ნე და მეტად აღარც გამოვჩენილვარ.

ფონტანემ საქმოსანთა ორ-სამ სალონშიც შემიყვანა, სადაც  
 ყველა მოცეკვავეს გულთბილად ხვდებოდნენ ხოლმე. საუბე-  
 ღუროდ, ვერაფერიშვილი მოცეკვავე ვიყავ და ეს ვიცოდი კი-

დევ. ფონტანეც ცუდად ცეკვავდა, მაგრამ რაკი თვითონ ვერაფერს გრძნობდა, სხვებიც ვერაფერს ამჩნევდნენ, სალონი, სადაც ყველაზე მეტი წარმატება მხვდა წილად და სადაც ამის გამო თავს ყველაზე კარგად ვგრძნობდი, ინჟინერ ერიოს სალონი იყო. ერიოს სახელი იმხანად ჯერ კიდევ უცნობი გახლდათ. ახალგაზრდა ინჟინერი თავისი ბრწყინვალე კარიერის ზღურბლს ვერ გასცილებოდა. ვანდომის მოედანზე იდგა. ბინა საკმაოდ ლამაზად და მდიდრულად ჰქონდა მოწყობილი. ფრანგი საზოგადოება იმხანად სულ დროსტარებაზე იყო გადაგებული და თუმცა ამეებში ბევრი ვერაფერი მსაჯული ვარ, მაინც გეტყვით, რომ ბატონი და ქალბატონი ერიოები ჩინებულ მეჯლისებს აწყობდნენ. პირველმავე მეჯლისმა, რომელზედაც მოვხვდი, დამაბრმავა და წარუშლელი კვალი დატოვა ჩემს მეხსიერებაში.

მანდილოსანთა ძვირფასი თვლები და მარგალიტი ზღაპრულად ელვარებდნენ ურიცხვი სანთლისა და ბროლის ჭაღების შუქზე; მთელი ეს ბრწყინვალეობა სენ-გობენის სარკეებში არეკლილიყო, იმხანად ყველაზე უფრო სერიოზული ხალხიც კი ალტაცებაში რომ მოჰყავდა. ქალებს გარს სათბურის მცენარეები, თაიგულეები და ყვავილწნულეები ერტყათ, რომელთა შექმნაშიაც ბუნება ხელოვნებას ტოლს არაფრით უდებდა. თმაც ჩიტის ფრთებივით ჰქონდათ გაკრიალებული, შიგ ბუმბულები გაერჭოთ და მიხრა-მოხრით, ჩაცმულობითა და შიშველ მხართა ამო შეთამაშებით იმპერატორის მეუღლე ეყენისა ჰბაძავდნენ. ნაზად რონინებდნენ სალონი და თავიანთ კრინოლანებს მიაარხევდნენ. ეს კრინოლანები დღეს სასაცილოდ გვეჩვენება, მაგრამ მაშინ ისე იყო მოდაში შემოსული, რომ მქადაგებლები ჯოჯოხეთის მოციქულთა გამონაგონად თვლიდნენ და კიდევაც შეაჩვენებდნენ თავიანთი კათედრებიდან. სტუმრად მოსული ბანოვანები ბუმბულის მარაოებით შუბლს იგრილებდნენ, არხევდნენ თბილსა და სურნელოვან ჰაერს, მტრედებივით ღულუნებდნენ, ნაზად ილიმებოდნენ, ვნებიანად იზმორებოდნენ, ხიბლავდნენ მოწიფულ კაცებსა და მოხუცებს, ათრობდნენ ჩემისთანა ახალგაზრდებსა და მათაც მოჯადოებულ ქვეყანაში ეგონათ თავი.

ქალბატონ ერიოს, რომელსაც იმ დღეს ვესტუმრე, ცხადია, ისეთი უბრალო მანერები არა ჰქონდა, როგორც სენ-ეერმენის

ცივ სალონში ნანახ ქალებს, მაგრამ გაცილებით უფრო სასიამოვნო ჩანდა. თხელ-თხელი და ფერნამკრთალები ოქტავ ფეიეს\* გმირ ქალსა ჰგავდა. მისი მეგობრები დარდობდნენ, ცუდი ფერი აქვსო, მაგრამ ფერ-უმარილს უხვად იცხებდა და მის ლამაზ სახეზე მხოლოდ იისფერ თვალებს, თლილ ცხვირსა და მწუხარე ბაგეს ვამჩნევდი. რაღაც ნაღველი შემოსწოლოდა გულზე და თუმც ამ კავშანს ცოტა კიდევაც აზვიადებდა, ეტყობოდა, მართლაც ჰქონდა იღუმალის დარდი და მით უზომო ინტერესს აღუძრავდა მნახველს. ქალბატონ ერიოს უბედურად მიაჩნდა თავი. ლიტერატურის დიდი მოყვარული იყო და როცა მირელზე\* ლაპარაკობდა, ცრემლით ევსებოდა თვალები. მოვეწონე და რაა დასამალი, ამ გრძნობას მხოლოდ უკეთესი წარმოდგენა შეუძლია შეგიქმნათ ამ ქალზე, რადგან ჩემი მოუხერხებლობა, სიმორცხვე და დაბნეულობა ყოვლად უცოდველი და სათნო კაცის იერს მანიჭებდა.

ქალბატონმა ერიომ ერთ დღეს „Vita nuova“<sup>1</sup> მათხოვა და მითხრა, საუცხოო რამ არისო. ამ წიგნმა მეც აღტაცებაში მომიყვანა, თუმცა ბევრი ვერაფერი გავუგე. მაგრამ არავინ იცის რატომ და, ლიტერატურული ნაწარმოების გაგება სულაც არაა საჭირო, რომ აღტაცებაში მოხვიდე მისით. შთაბეჭდილებები გავუზიარეთ ერთმანეთს და გამოიჩქვა, რომ ერთი აზრისანი ვიყავით, ასე დაგვაახლოვა დანტე ალიგიერმა ერთმანეთს სულიერად, სწორედ ისე, როგორადაც ეკადრებოდა. რაკი ცოლსაც და ქმარსაც ერთნაირად მოვეწონე, შინაურულ სადილებსა და საღამოებზედაც დამიწყეს დაპატიება.

მაშინაც ხშირად მიძახდნენ, როცა მათ სახლში მამაკაცების მეტი არავინ იყრიდა თავს. ასეთ სადილებზე სულ ფინანსისტები, საქმოსნები, ინჟინრები, ოპერის ერთი მომღერალი, ერთი თურქი სახელმწიფო მოღვაწე და ერთი სპარსი დიპლომატი დაიარებოდნენ. ნასადილევს, როცა ყველანი მოსაწევ ოთახში გაიკრიფებოდნენ, ჩვენი მასპინძელი მოოქრულ გასაღებს აიღებდა ხელში, აბანოზის ხის პატარა კარადას გამოაღებდა, უამრავი ბრტყელი უჯრა რომ ჰქონდა და იქიდან დიდსა და პატარა, სხვადასხვა არომატის მქონე, შავ და მოყვითალო

<sup>1</sup> „ახალი ცხოვრება“ (იტალ.) — დანტეს ლირიკულ ლექსთა კრებული.

სიგარებს ამოალაგებდა და გულუხვად ურიგებდა თავის სტუმრებს. სიგარებს ყველას მისი ღირსებისდა მიხედვით ურჩევდა, მაგრამ ამას ისე ოსტატურად სჩადიოდა, რომ მხოლოდ ისინი ამჩნევდნენ, ვისაც ძვირფას ჰავანურ სიგარას სთავაზობდა ხოლმე. ამის შემხედვარე თანდათან მივხვდი, მის გარეგნულ ხელგაშლილობაში რა ანგარიშიანი სიძუნწეც იმალებოდა.

ერთოს იმხანად გრანდიოზული რამ ჰქონდა განზრახული; ბალდადის რკინიგზის აგებას აპირებდა და მის გეგმას განხორციელება რომ დასცლოდა, უდიდეს რევოლუციას მოახდენდა კაცობრიობის ისტორიაში. ჩემი მასპინძელი ძალზე ანგარიშიანი კაცი იყო და მოხერხებულობაც არ აკლდა. მიუხედავად ამისა, თავი ფილანტროპადა და ჰუმანისტად მოჰქონდა. ძველი სენ-სიმონისტების მოძღვრებაზე გახლდათ გაზრდილი და კიდევ შემორჩენოდა ინდუსტრიული იდეალიზმი, ეკონომიური მისტიციზმის მსგავსი რამ და ბანკისადმი პოეტური დამოკიდებულება. ეს თვისებები მის ყველაზე უფრო მერკანტილისტურ ზრახვებსაც კი დიდსულოვნების ბეჭედს ასვამდა და კაცს წრეგადასულ თალღითობასაც კი მოციქულთა საკადრის წმიდა საქმედ მოაჩვენებდა.

გაიძახოდა, დღეს ერები ერთობისაკენ ისწრაფიანო და რწმენას გამოთქვამდა, ინდუსტრია და ბანკი მსოფლიოს ხალხებს შეადრულაბებს და საყოველთაო მშვიდობას დაამყარებსო. მაგრამ რაკი ფრანგი იყო და მამულის სიყვარულით გულანთებული, მშვიდობიანობა ნაპოლეონით ესმოდა და ფიქრობდა, ერთა ძმურ კავშირს მხოლოდ საფრანგეთი შექმნის და ჩვენმა მხარემ ერთპიროვნულად უნდა მართოს მსოფლიოს შეერთებული შტატებიო.

როცა მცირე აზიას ჰკვეთდა, თავრისა და ამენის ქედებს ლახავდა, ევფრატსა და ტიგროსს სჭრიდა, ეს პატარა, შავგვრემანი კაცი უზომო აღტაცებას იწვევდა ჩემში. მილიონებს ატრიალებდა და სანტიმებს მისტიროდა. ნაპოლეონისა არ იყოს, ყველა წვრილმანის ზედმიწევნით განჭვრეტა შეეძლო და მასავით არც ძირითადი გამორჩებოდა ხოლმე მხედველობიდან.

უვიცსა და რომანტიულად განწყობილს ნაპოლეონით სულ ისტორიის დიდ-დიდი სახელები: ბაბილონი, ნინევი, ალექსანდრე, სულთანი ჰარუნ-ალ-რაშიდი ეკერა პირზე. პირა

დაპირ საუცხოო სანახავი იყო ეს შავტუხა, უმცროსი ლეიტენანტივით უღვაშებაწყვილი პატარა კაცი, როცა ამბობდა, ორთქლმავლების სასტვენის ხმით უნდა გამოვადვიდო სარგონის სასახლის\* ფრთიანი ხარებო. ნაპოლეონს იმითაც ჩამოკვავდა, რომ მასავით ბრმად სჯეროდა თავისი ვარსკვლავის, მომავალსაც მასავით იმედის თვალთ შეჰყურებდა და გაიძახოდა, საქმე საბოლოოდ მხოლოდ მაშინაა წაგებული, როცა ხელი ჩაქნეული გაქვსო.

მერე მკვერმეტყველების უნარიც რომ არ აკლდა! საშველად მოუხმობდა ყველა პოლიტიკურ პარტიას: ლეგიტიმისტებს, ორლენისტებს, იმპერიის მომხრეთ, რესპუბლიკელებსა და ყველა ჯურის მეცნიერებს, ინჟინრებს, არტისტებს, მრეწველებს, ბანკირებსა და პოეტებს და ცივილიზაციის დიდ ნადიმზე ყველა მუშასა და ყველა გლეხს იწვევდა.

ერთ დღეს, როცა სტუმრად მიველ, ქალბატონმა ერიომ მითხრა, ჩემი ქმარი სამი თვის შემდეგ სამეცნიერო ექსპედიციას აწყობს ტიგროსის ნაპირებზე და თქვენც სიხარულით გაიხლებთ თან, პირად მდივნადო.

— ამ მოგზაურობისას, — დასძინა მან, — ბევრ ახალსა და საინტერესო რასმე შეიტყობთ და თქვენს მომავალსაც უზრუნველყოფთ. დღეს ნურას მეტყვით. იფიქრეთ, მშობლებსაც დაეკითხეთ და მხოლოდ მას შემდეგ უთხარით ჩემს ქმარს პასუხი.

## XXVI

### ფილიპ გოგლენის ნაღველი

თერმიდორის თაკარა მზე თავის ცეცხლოვან სუდარაში ზვევდა სანაპიროებს, მდინარესა და ბალებს. ლუვრში შევედი შინაურულის მოწიწებით. სიგრილეში ბანაობდნენ ანტიკური ქანდაკების უკაცური დარბაზები.

ამ უბადლო ხელოვნების ნიმუშთა სიახლოვეს, რომელთა წინაშეც ყოველივე საცოდავად და გონჯად მოჩანს, სიხარულმა და სასოწარკვეთამ შემიპყრო. ლუდოვიზის არესის\* წინ სკამზე ჩამოვჯექი; სიკვდილს ვნატრობდი და სიცოცხლესაც გაგიჟებით მწყუროდა, საოცნებო ტკივილსა ვგრძნობდი და უკი-



დეგანო ნალველი გულიდან ვერ გადავიგდე. ეს მშვენიერება მათობდა და თან თავზარს მცემდა. სურვილი მწვაავდა, ყველაფერი მეხილა, ყველაფერი მესწავლა, ყველაფერი გამეცნო, ყველაფერი ჩემს თავზე გამომეცადა და თანაც მინდოდა აღარ შეფიქრა, აღარაფერი მეგრძნო და სანატრელ არყოფნაში დავმტყმულიყავ.

ქანდაკეებით მოფენილ გალერეებში მოვყევ ხეტიალს, ამ ბუნებრივად და ბრძნულად გამოკვეთილ ფიგურებს შორის, რომლებიც ერთსა და იმავე დროს სხეულის ჰარმონიასაც გადმოსცემდნენ და მსოფლიო ჰარმონიასაც, გვიმხელდნენ სამყაროს ყველა საიდუმლოს, რომელთა გაგების უნარიც კი კაცის გონებას შესწევდა. თანდათანობით, ამ საუცხოო ხელოვნების წყალობით მეც ნათელი აზრებითა და უღრუბლო ფიქრებით განვიმსჭვალე. ჩემს თავს აღვუთქვი, ამიერიდან მშვიდის თვალთ მტყპირა სიცოცხლისა და სიკვდილისათვის; სიკვდილსიცოცხლე ხომ ძმები არიან, ბუნება ხან ერთის, ხან კი მეორის სახეს ღებულობს და ეს სახეებიც ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ანტიკურ საარქიტექტურაზე გამოქანდაკებული ორი ყმაწვილი: ეროსი და ანტეროსი\*.

მერე ასირიულ დარბაზებში გავედი და სარგონის სასახლის კაცისსახიანი, ფრთოსანი ხარების წინ გადაეწყვიტე, გავყოლოდი ინჟინერ ერიოს იმ ქვეყნებში, სადაც ჩემის ფიქრით ბედს უნდა ვწეულიყავ, საითაც მეწეოდა კეთილშობილური ცნობისმოყვარეობა, ცოდნისწადილი და ბევრი სხვა მიზეზი, რომელთა შორისაც ზობეიდას\* საფლავის ნახვის სურვილი ყველაზე სუსტი როდი იყო.

მთლად დაბეჭითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ვფიქრობ, ჩემს გადაწყვეტილებაზე ქალბატონ ერიოს ზემოქმედებამაც იქონია დიდი გავლენა. სწორედ მან წამაქეზა სამოგზაუროდ. მისმა იისფერმა თვალებმა, მისმა ენით უთქმელმა სილამაზემ, მისმა საოცნებო სახემ მოხიბლეს ჩემი ჰაბუკური გონება. ეს ქალი საოცრად მიზიდავდა. რაკი წასვლა ვარჩიე, უნდა დავშორებოდი კიდევ, რადგან ცხადია, თვითონ პარიზიდან ფეხს არ მოიცილიდა და მაინც ცხრა მთას იქით მივემგზავრებოდი მისი ლამაზი თვალების გულისათვის, თუმცა ვიცოდი, რომ ამ თვალების ნახვა დიდხანს აღარ მეღირსებოდა. ..

ჩემს მშობლებს აღარდებდათ ჩემი ხანგრძლივი მოგზაურობის ამბავი. მეუბნებოდნენ, გზაში ბევრ ხიფათს გადაეყრები და გაილახები კიდევცო. მაგრამ როცა კარგად აწონ-დაწონეს ყველაფერი, მიხვდნენ, რომ აქ საზოგადოებაში გზას ვერ გავიკაფავდი, ბედსაც ვერ ვეწეოდი და თავისუფალი არჩევანის უფლება მომცეს, ჩემს ნება-სურვილსაც წინ აღარ აღსდგომიან, თუმცა ჩემი წამოწყება, ცოტა არ იყოს, თამამად ეჩვენებოდათ. დედა, როცა ამ მოგზაურობაზე ველაპარაკებოდი, მიღიმოდა, მაგრამ თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

ახალი წლის წინა დღეებში პარიზის ქუჩები კანფეტებით, სათამაშოებით, დაშაქრული ხილით, სამკაულებითა და ტყავეულობის ნაწარმით სავსე უზარმაზარი ყუთების წყებასა ჰგავდა; ყველაფერი ეს ისე იყო ნისლში გახვეული და ჰირხლიც ისე სქლად მოსდებოდა, იტყოდით, ბამბით შეუფუთავთ და ტილოში გამოუკრავთო.

ჩემს საწყალ ნათლიას ვეწვიე გამოსამშვიდობებლად: ეს ერთი წელია, სულ დავიწყებული მყავდა. თავის სავარძელში ჩამჯდარი დამიხვდა; დაპატარავებულიყო, თავი მუშტისტოლა გახდომოდა, ფეხები დასიებოდა, ნაღველი შემოსწოლოდა და სახეზედაც ღრმა მწუხარება აღბეჭდოდა. საწყალს უკვე მორეოდა გულის ავადმყოფობა, რომელმაც მოკლევ ხანში კიდევაც გამოასალმა ამ წუთისოფელს. პალეონთოლოგიური ჟურნალი შეარხია და მითხრა:

— ისევ არა სჯერათ ქვის ხანის ადამიანის არსებობა.

მწარედ იცინოდა და ბრელოკები გამალებით უხტოდნენ დამდნარ მუცელზე.

ქალბატონი დანკენიც მთლად მოუძღურებულებოდა; ბუხრის მეორე მხარეს მიმჯდარიყო სავარძელში, აქეთ-იქიდან ყავარჯნები შემოეწყო და მაინც წინანდებურად მხიარულად გამოიყურებოდა. საუბარი ჩამოაგდო ახალგაზრდებზე, რომელთა ბედითაც დაინტერესებული იყო: ილაპარაკა პატარა ბონდუებზე, ედმე ჟირეიზე, ელიზ გერიეზე და თან ჩიოდა, ჩვენსა აღარ მოდიან და სულ ვეღარა ვხედავო. მერე ახალი ამბავიც მაცნობა, მალე ქორწილსა ვკამთ, მადლენ დელარში ექიმ რენოდენს მიჰყვება ცოლადო. ექიმი შეიძლება ცოტა ხნიერიცაა მისთვის,

არც ქონება გააჩნია, თავს საკუთარი შრომით ირჩენს, მაგრამ რა უშავს, დიდი მომავალი ელისო.

— მადლენი, — დასძინა მან, — ლამაზია და მომხიბლავი; თქვენ ღვთაებრივ სიყვარულს ეძახდით, ტანწერწეტა რომ იყო და მეოცნებე თვალები რომ ჰქონდა, იმიტომ. მზითევიც საუცხოო აქვს.

ქალბატონი დანკენი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე ისევ გატაცებით განაგრძო:

— მე და ჩემი კაცი ვერ მოვრიგებულვართ, რა საქორწილო საჩუქარი მივართვით მადლენს; ჩემს ქმარს სურს ვერცხლის სერვიზი აჩუქოს ყავისათვის. მე კი ვფიქრობ, წყვილი კანდელაბრი პირდაპირ მისწრება იქნება და ექიმის სალონსაც ძალიან დაამშვენებს. პაციენტებს ცოტათი მაინც ხომ უნდა დაუბრმავონ თვალი... ქალბატონი დელარში სხვა ხვედრსა ნატრობდა თავის ქალიშვილისათვის, მაგრამ ყველაფერი კარგად რომ აწონ-დაწონა, კიდევაცა თქვა, ბავშვები თავიანთთვის ქორწინდებიან და არა ჩვენთვისო...

ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— პიერ, — მითხრა საწყალმა ნათლიაჩემმა; ხმაში ისევ შერჩენოდა ძველებური მგზნებარება, — თუ პრესტორიულ რამეს წააწყდე, მე მომიგონე.

ნაახალწლევს გობლენებთანაც შევიარე გამოსამშვიდობებლად. ბაკის ქუჩაზე მდებარე მაღალი სახლის ზედა სართულზე ცხოვრობდნენ, ლურჯი მინის გალიის ქვეშ, რომელიც ერთ ფოტოგრაფს ეჭირა სხვენზე. ამ სახლში უამრავი სახელოსნო იყო. პირველი სართული და ანტრესოლი ჩაის, ჩინური ლარნაკებისა და აღმოსავლური ფარჩეულის მაღაზიებს ეკავა. ყოველ სართულზე კარებს მიხრახნილი ფირფიტები აღნიშნავდნენ რა ხელობას მისდევდნენ ამ კარს მიღმა. ერთზე წაიკითხავდით: მადმუაზელ ეჟენი — მკერავი ქალი, მეორეზე: ერიკური — კბილის ექიმი, მესამეზე: ქალბატონი უბერი — კორსეტების მკერავი, მეოთხეზე: „ყრმა იესო“ — ყოველკვირეული ჟურნალი. დედა-შვილი სწორედ მის თავზე იდგა. ფილიპინი ისევ ისეთი აწოწილი და უშნოდ მოყვანილი იყო, როგორც უწინ. თვალებიც წინანდებურად წვრილი ჰქონდა. თმები — გამოხუნებული, ტუჩები — ყურებამდე ჩახეული. მწუ-

ხარებისგან მიწისფერი დასდებოდა. დედამისიც მთლად გაქალაქავებულიყო, თვალები ამოღამებოდა და ლოყებიც ჩასცვენოდა, ჩამოჰკნობოდა და საგრძნობლად მობერებულნი ჩანდა. დედაც და შვილიც ბავშვების ფოტოსურათებს აფერადებდნენ. ვუთხარი, სამოგზაუროდ მივდივარ-მეთქი. ქალბატონმა გობლენმა მაშინვე მომაგება, დანკენებმა უკვე გვამცნეს ეგ ამბავიო. ფილიპინმა კი ტუჩები მოკუმა და ხმა არ გაუღია. მომეჩვენა, რომ ნაწყენი იყო, რატომ სხვაზე უწინ მე არ გავიგე ეს ამბავიო. თითქოს უსიტყვოდ მსაყვედურობდა, მისი თვალებიც ვგონებ, ყვედრებით მიცქერდნენ და ამის გამო უზომოდ მაღლიერი ვიყავი მისი.

გადავწყვიტე, როგორმე მომეღობო მისთვის გული და დიდის ამბითა ვკითხე, სალონში თავის მინიატურების გამოფენას ხომ არ აპირებდა და შევპირდი, ბაღდადში თქვენს საყვარელ სპარსულ მინიატურებს თუ წავაწყედი სადმე, უეჭველად გამოგიგზავნი-მეთქი.

ერთბაშად გამოცოცხლდა და განზრახ კიდევაც მოიმხიარულა თავი.

დედამისმა პიანინოზე მღგარი ლამაზი იელი მიჩვენა და მი-თხრა:

— ხედავთ, რა გამოუგზავნა დაბადების დღისათვის ჩემს შვილს კეთილმა ბატონმა დანკენმა, თუმცა საერთოდ ამგვარი დღესასწაულები დიდად არაფრად მიაჩნია ხოლმე.

მერე სიყვარულითა და შეშფოთებით გადახედა თავის ქალსა და დასძინა:

— ფილიპინი ოც იანვარსაა დაბადებული; მას შემდეგ ჯერ იმდენი დროც არაა გასული, რომ არ შეიძლებოდეს ამ თარიღის აღნიშვნა.

— დიახ, — ჩაილაპარაკა ფილიპინმა, — მე ოც იანვარს დავიბადე, მერწყულის უიღბლო ნიშნის ქვეშ.

და მკითხავივით განაგრძო:

— იმათ, ვინც ამ ნიშნის ქვეშ იშვნენ, მუდამ ავიწყდებათ ქოლგის წადება შინიდან, როცა გარეთ წვიმას აპირებს. ყოველთვის, როცა ახალი ქუდი ხურავთ, გაივლიან თუ არა ქუჩაში, ყვავილების ქოთნით დამშვენებული სარკმლის ქვეშ, თავზე წყალი ესხმებათ; თუ ქარი ქრის, თავში ქოთანიც კი

ხვდებათ ხოლმე. სურდოს ხომ ვერაფრისდიდებით ვერ იცი-  
ლებენ თავიდან.

— გადარეული! — ამოიოხრა ქალბატონმა გობლენმა.

ფილიპინი ერთხანს კიდევ მასხარაობდა, მაგრამ ზედვე  
ეტყობოდა, რომ ტირილი უნდოდა. ვიფიქრე, ასე ჩემი გამ-  
გზავრების ამბავმა დაამწუხრა, ნაღველი ვერ დაუფარავს და  
უთუოდ ვუყვარვარ-მეთქი. აქამდე ეს არ შემინიშნავს; პირი-  
ქით, დღემდე მეგონა, არაფრით გამოვერჩეოდი ამდენ კარგ  
ამხანაგებში, თავაზიანადა და შინაურულად რომ ეპყრობოდა  
ხოლმე. ეს ამბავი თუმცა მოულოდნელი იყო ჩემთვის, დიდად  
მანც არ გამკვირვებია. ფილიპინის სიყვარული მყისვე სარ-  
წმუნოდა და ბუნებრივად მივიჩნიე და გადავწყვიტე, ქალიშვი-  
ლის მახვილ ჭკუასა და ნატიფ გემოვნებას ეს გრძნობა მის  
გულში აქამდისაც უნდა ჩაენერგა-მეთქი.

დავაკვირდი და, უფრო ლამაზი თუ არა, უფრო გულმისასვ-  
ლელი მანც მეჩვენა. რაკი საუბარი მიჭირდა, წარმოვიდგინე,  
გამოთხოვებისას უთუოდ ყურში მეტყვის, ნუ წახვალთო და  
მეც ვუპასუხებდი, კეთილი, ფილიპინ, თქვენი ხათრით დავრ-  
ჩები-მეთქი; ამის გაგონებაზე სიხარულით სახე გაუცისკროვნ-  
დებოდა და მისი სიხარული მეც ბედნიერებით ამავსებდა. და  
ვინ იცის? იქნებ სიხარულმა კიდევაც გაალამაზოს ეს მოსიყვ-  
არულე გოგო, სახე ისეთი ცოცხალი და ცვალებადი აქვს-მეთქი,  
ვფიქრობდი გულში.

წასასვლელად წამოვიწიე. ამ დროს ფილიპინმა შენიშნა,  
რომ ღუმელში ცეცხლი მინავლულიყო და ლანძღვა-გინებით  
გაემართა მის ასანთებად. ცალ ხელში სათლი ეჭირა, ცალში —  
გელა, როცა მაცილებდა.

— მშურს თქვენი, — მითხრა გამომშვიდობებისას, —  
საუცხოო მხარის სანახავად მიდიხართ... რომ შემეძლოს, მეც  
ქვეყანას მოვივლიდი!.. მშვიდობით, ბატონო პიერ!

კიბეზე ჩამავალს მესმოდა, როგორ ილანძღებოდა, ღმერ-  
თმა დასწყევლოს ის ოხერი ღუმელიო.

ზანტად დავეშვი ძირს; „ყრმა იესოს“ ზღურბლს მიღწეუ-  
ლი ეფიქრობდი; არაფერი უთქვამს, არაფერი უგრძნობინებია;  
უთუოდ დედისა მოერიდა, თავდაპერილობამ და სიმორ-

ცხვემ სძლია. რალა ვქნა, ხომ ვერ დავბრუნდები და ხომ ვერ დავუყვირებ, ვრჩები-მეთქი.

გზად მსუქან ქალს გადავეყარე, მეკორსეტე ქალბატონ უბერთან მიდიოდა.

„მასთან ყოფნას და საუბარს არაფერი შეედრება, ძალზე გულმისასვლელი გოგოა, პატივისცემის ღირსი, ალტაცებასაც ბრვევს ჩემში, — ვფიქრობდი გზადაგზა, — მაგრამ არ მიყვარს და ვერც ვერასოდეს შევიყვარებ. მის შერთვას აზრადაც ვერ გავივლებ გულში, ჩემს ცხოვრებას მტლად ვერ დავუღებ“...

ამ ფიქრში რომ ვიყავ, ჩემი მზერა კბილის ექიმ ერიკურის აბრას მოხვდა, საშინელი გრძნობა აღმიძრა სულში და მაიძულა ფიცხლად ჩამევილო კიბე. მადმუაზელ ეჟენის კართან ზამბახის ამო სურნელი იფრქვეოდა. აქ შევჩერდი წუთით და გავიფიქრე:

„არა, არ მინდა, ეგ გოგო დაიტანჯოს ჩემი გულისათვის, თორემ ლოგინად ჩავარდება და შეიძლება მოკვდეს კიდეც. ხვალვე მოვბრუნდები ამ სახლში, მარტოს მოვიხელოებ, აღსარების სათქმელად გამოვიწვევ, ან ჩემით მივუბზვდები გულის ნადებს... ვეტყვი, ვრჩები-მეთქი, გადავარჩენ და გულით შევიყვარებ“.

გადავწყვიტე, მის სამსხვერპლოზე დამედო თავი და წინდაწინვე ვტკბებოდი ჩემი სულგრძელობით. ანტრესოლის მოედანზე მადმუაზელ ელიზ გერივს შევხვდი. დღეს უფრო უცნაური მეჩვენა, ვიდრე ოდესმე, რადგან ყინვა უფაკლავდა ლაწვეებს. უკვდავ ქალღმერთსა და გარეულ ნადირს უფრო ჰგავდა, ვინემ ქალს. შორეული იყო, იღუმალი. ახლაც გამოყეყეჩებული ვიდექ მის წინ და სიტყვის თქმაც ვერ მომეხერხებინა.

— გობლენებიდან მოდიხართ? ფილიპინი რასა იქმს?

— არა უშავს რა...

— არაფერი უთქვამს, არაფერი უგრძნობინებია?

— არა...

— რა ნებისყოფა აქვს...

— ნებისყოფა? ძალიან... — წავიბუტბუტე მე.

— სჭირდება კიდეც იმ უბედურების გადასატანად, თავს რომ დაატყდა.

— რა უბედურების?

— ექიმ რენოდენისა და სულელი პატარა დელარშის ქორწილისა.

— ექიმ რენოდენის ქორწილისაო?..

— საწყალი ფილიპინი! კაცმა რომ თქვას, ექიმს თავის დღეში არ ჰყვარებია, მაგრამ აფიქრებინა კი, ვუყვარვარო. გოგო კი ჰკუას კარგავდა მისთვის. რენოდენმა პატარა დელარში მზითევის გამო შეირთო. მადლენი ნამდვილად გააუბედურებს, მაგრამ ფილიპინს რა? ის ამ ელდას ვერ გადაიტანს.

და მადმუაზელ გერიეს ნაღვლიანი სიცილი აუტყდა. იცინოდა და თან წყევლიდა ქალების სიბრიყვეს.

## X XVII

### მარი გაბრაბიონი

თვალად ვერაფერიშვილი ვიყავ, ცუდადაც ვცემკავდი; საუბრისას ხან მეტად სერიოზულ მსჯელობას მოვყვებოდი, ხან უთაებლო მასხრობას, ვერასოდეს ვახერხებდი უბრალო, წვრილმან რამეებზე მასლაათს, როგორც საზოგადოებაშია მიღებული; ყოველთვის უკიდურესობაში ვვარდებოდი, ან სხვებზე სულელი ვჩანდი, ან სხვებზე ჰკვიანი და ორსავე შემთხვევაში ერთნაირად აუტანელი გახლდით; ქალები იმ ზომამდე მიყვარდა, რომ ვერ ვბედავდი ამის გამხელას, სიმორცხვე მათ სიახლოვეს ხელ-ფეხს მიბოროკავდა და ცხადია, მათ გულსაც ვერაფრით მოვიგებდი. კარგად ვხედავდი, რომ იმ სახლებში, საცა ერთხელ შევდგამდი ფეხს, მეორედ აღარ მპატიეებდნენ. მაგრამ იყო ერთი სალონი, სადაც თითქოს სიხარულით მღებულობდნენ; ეს ქალბატონ ერიოს სალონი გახლდათ, იმ ინჟინრის ცოლისა, რომელსაც აზიის სამეცნიერო ექსპედიციაში უნდა გავყოლოდი. ქალი ვანდომის მოედანზე მდებარე სახლის მდიდრულად მორთულ ბინაში ხელოვანთ, მეცნიერებს, საქმოსნებსა და რჩეულ ბანოვანთ ღებულობდა; მანდილოსნებ ნაზად მოარხვედნენ თავიანთ დიდებულ კრინოლინებს და ძვირფასი თვლების ელვარებით თვალს სჭრიდნენ მნახველს.

წვეულთა შორის, მგონი, ბევრი ებრაელიც არაა. მაგრამ ამას არავინ დაგიდევდათ, რადგან იმხანად საფრანგეთში ანტისემიტობის ჯერ კიდევ არ გაედგა მაგრად ფესვი. ის კი არა და, ებრაელებს, ფულდისა და პერეირისა არ იყოს, დიდ-დიდი თანამდებობები ეკავათ ივლისის მონარქიასა და მეორე იმპერიის პირველ წლებში. ერიოს სალონში უცხოელებსაც ღებულობდნენ: თურქებს, ავსტრიელებს, გერმანელებს, ინგლისელებს, ესპანელებს, იტალიელებს და ამაშიც ვერავინ ვერაფერს პოულობდა დასაძრახისს. პარიზი ნაპოლეონ III-ის მეფობის დროს მსოფლიო ფუნდუკი იყო. იქ გულუხვ მასპინძლობას უწევდნენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს. ვერავის შეატყობდით უცხოელთა სიძულვილს, დღეს ასე ფართოდ რომ გავრცელდა ჩვენში. ეს სიძულვილი და ეს ეჭვები დამარცხების მოწამლული ნაყოფი გახლავთ, გამარჯვებამ ორმოცდაათი წლის შემდეგ რომ ამოაყვავილა და აწი აღარასოდეს განქარდება. ქალბატონ ერიოს სალონში ყველაზე მეტად თვით ქალბატონი ერიო მხიბლავდა; უჩვეულოდ ლამაზი, გამხდარი, ტანწერწეტა, კარგი მოსაუბრე და ჩემი მოყვარული ქალი იყო. მაგრამ ერთ საღამოს, როცა მასთან მივედი, სახლის ხშირ სტუმრებს, თურქებს შორის ვნახე ქალი, რომელსაც არ ვიცნობდი. ეს ქალი დიასახლისმა თავად ბაგრატიონის ქალად, მარი ბაგრატიონად გამაცნო. თვალთ დამიბნელდა, მზერა ვერ გავუსწორე, სიტყვაც კი ვერ დავძარი. უეტრად კაცთა შორის უსაბრალოეს არსებად წარმოვიდგინე თავი, ერთბაშად წამერთვა ნიჭი და ძალი. ჰკუა და გონი წარმტაცა ქალმა, ვინც ამქვეყნად ჩემთვის ყველაზე მეტად შორეული და მიუწვდომელი იყო. თუმცა, ჩვეულებრივ, ჩაცმულობის არც ერთი წვრილმანი არ გამომეპარებოდა ხოლმე, ახლა მხოლოდ ისღა შევნიშნე, რომ ამ ქალს ტანთ სპეტაკი სამოსი ემოსა და ყელს მარგალიტის ფარღული უმშვენებდა; ხელები რამდენადაც მახსოვს, შიშველი ჰქონდა, თუმცა ამასაც კი ვერ ვხედავდი გარკვევით. ქალს თითქოს მიმქრალი შარავანდები მოსავდა და მის დანახვაში ხელს მიშლიდა. თანდათანობით გავარჩიე, რომ ფერმკრთალი იყო, მუქი წაბლისფერი თმა და მაყვალივით შავი თვალეები ჰქონდა. ისიც შევნიშნე, რომ მაღალ-მაღალი იყო და სრული. როცა მისი ხმა ჩამესმა ყურში,



თრთოლამ ამიტანა. ეს ხმა უჩვეულოდ მეალერსებოდა და თან გულსაც მიწიწკნიდა. საუბარიც უცნაური ჰქონდა, უცხოურად უქცევდა და გეგონებოდათ, მღერისო. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავ ასე ენადაბმული... სალონი ისე აივსო, არაფერი შემიტყვია. ბატონ მილსანის გვერდით აღმოვჩნდი. ეს კაცი ძალიან მომწონდა და ნდობითაც ვეკიდებოდი. ვერ გეტყვით, ჯერ რაზე მელაპარაკა, ან ბაგრატიონის ქალზე როგორ გადაიტანა საუბარი; საუბრის ბოლო კი, პირიქით, კარგად დამამახსოვრდა. რომ შეიტყო, ჩემს დღეში არაფერი მსმენოდა ამ ქალზე, გაოცება ველარ დამალა. თუმცა თავადაც მხოლოდ ის იცოდა, რასაც სხვები ლაპარაკობდნენ.

— რუსი თავადის ნაცოლარია. ცოლ-ქმარი კარგა ხანია, გასცილდა ერთმანეთს. თავადი სულ მოგზაურობს და მოგზაურობს. მარი ბაგრატიონი კი პარიზში ცხოვრობს დედასთან ერთად, რომელიც ეთერის სმასაა დაჩვეული. მისთვის ჯერ არავის მოუყრავს თვალი. დიდი ქონების პატრონები უნდა იყვნენ, მაგრამ ბევრს ეჭვი ეპარება მაგათ ბაგრატიონობაში. ამბობენ, ქანდაკებითაა გატაცებულიო; სხვაფრივ კი მისი ცხოვრება დიდი საიდუმლოებითაა მოცული. თქვენ როგორ მოგეწონათ?

ვერაფერი ვუპასუხე; ბატონმა მილსანმა განაგრძო:

— რას გირჩევთ, იცით? რაკი გაგაცნეს, ადექით და შინაც ეწვიეთ. სტუმრებს ყოველდღე ღებულობს თავის სახელოსნოში, ბას-დიუ-რამპარის ქუჩაზე. ხუთი საათიდან იკრიბებიან. მეტად საინტერესო ხალხს ნახავთ იქ: ტურგენეცს, ბატონ და ქალბატონ ვიარდოებს\*, პიანისტ ალექსანდრ მაქსსა და საუცხოო ქალებს.

გადაეწყვიტე, არ წავსულიყავი, დავიფიცე კიდევ, მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ წაუსვლელობას ვერ შევძლებდი და ბას-დიუ-რამპარის ქუჩა სანუკვარი შეიქნა ჩემთვის.

როცა ბაგრატიონის ქალმა ჩაი დალია, მივუახლოვდი; ისევ შარავანდედით მოსილად მეჩვენა, მაგრამ ისიც შევნიშნე, რომ მკვეთრად გამოხატული ნაკვთები ჰქონდა და სხვათაგან, უწინარეს ყოვლისა, ამით გამოირჩეოდა. მიხრა-მოხრა და მოძრაობაც უფრო თავისუფალი და რიტმული ჰქონდა, ვიდრე სხვა ქალებს. მაგრამ გულგრილი გამომეტყველება, მის სახეზე რომ

აღბეჭდილიყო, მაოცებდა და თავზარსა მცემდა. მშვენიერი სახე სამარესავით ჰქონდა დახშული და მაშინ რომ გეკითხათ, რასა ვგრძნობდი ამ ქალის მიმართ, უთუოდ გეტყოდით, სიძულვილს-მეთქი, მაგრამ ეს იარაღაყრილი სიძულვილი იყო, მშვიდი და ისეთვე მშვენიერი, როგორც მისი საგანი. აღრე წავიდა. მე კი მაინც მეგონა, რომ არ განვმორებოვარ და დღე-იდან სადაც უნდა წასულიყო, მაინც ჩემს სიახლოვეს იქნებოდა.

სიმართლე რომ ითქვას, მისი წასვლის შემდეგ უფრო გარკვევით ვხედავდი, ვიდრე აქ ყოფნისას. ყველაფერი ერთბაშად დამიდგა თვალწინ: მისი დაბალი შუბლიც, თითქმის სწორი ხაზით ცხვირთან რომ იყო შერწყმული, მისი თვალების გუგაც, სადაც გამდნარი ოქრო დაცურავდა მელნის ტბაში, ამაყი ნესტოები, გაპობილი, მარწყვივით ბაგე, საკოცნელად რომ იწვევდა მნახველს, ღონიერი და სპეტაკი კისერი, ფართო მკერდი. დიახ, მძულდა იგი, რადგან სიცოცხლე მომტაცა ისე, რომ თავდაც არა უწყოდა რა და არაფერი მომცა სანაცვლოდ უხორცო აჩრდილის გარდა. მე ხომ წამითაც არ მიფიქრია, რომ ოდესმე მოვეწონებოდი; მაშინ ქალთა სიახლოვეს საშინლად ვიცოდი დამორცხვება და ამ სენისაგან დიდხანს ვერ განვიკურნე; მარი ბაგრატიონის წინაშე კი ვმორცხვობდი კი არა და, პირდაპირ შიშის ზარი მეცემოდა და ვძრწოდი წმიდათაწმიდა ქარით ატანილი. გამოთხოვებისას ქალბატონმა ერიომ გესლიანად მითხრა:

— ნახვამდის, ბატონო, და მეორედ რომ მოხვალთ, ეცადეთ სხვაგვარად გამოიყურებოდეთ.

მაშინ კი მიხვდები, რომ თავს უფრო დიდი უბედურება დამტყდომოდა, ვიდრე მე მეგონა, ყველაფერი თურმე სახეზე მეწერა და ჩემი დაბნეულობაც თვალში საცემი გამხდარიყო. უგუნებოდ შევიქენ. უგუნებობამ უფრო დამრია ხელი, როცა ჩემს ოთახში შეველ; გული ზიზლით ამევსო. ჩემს ოთახს ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ უწინ ძალიან მომწონდა და გულითაც მიყვარდა; ახლა კი ყველაფერი, რაც გარს მერტყა, უგემური და სიძულველი გამხდარიყო ჩემთვის და არ ვიცოდი, სად დამებინავებინა ძვირფასი აჩრდილი, თან რომ მოვიყვანე.

მეორე დღით კვლავ ვიხილე იგივე აჩრდილი.

ნაციონალურ ბიბლიოთეკაში წავედი და რაღაც წიგნები მოვიტხოვე. სტატია უნდა დამეწერა პაოლო უჩელოზე\*. ფიქრის თავი არა მქონდა, გონებას ვეღარ ვიმორჩილებდი, მაგრამ სამუშაო გვარიანად შევასრულე და მივხვდი, რომ ამგვარ საქმეებში, თუ ნიჭი მოგდევს, ცოტადენი ყურადღებაც საკმარისია საწადლის მისაღწევად და რომ უმეტეს შემთხვევაში ზეშთავონებას მხოლოდ ლაჩრული სიზარმაცის გამო ველით ხოლმე. ექვსი მაისი იყო; გადავწყვიტე, ბას-დიუ-რამპარის ქუჩაზე თოთხმეტ მაისამდე არ მიმედგა ფეხი. მანამ სიყვარულის ქარი ცოტა დამიცხრა და უფრო საამური შეიქნა ჩემთვის. ვიგრძენ, რომ სჯობდა სულაც აღარ მენახა ის, ვინაც თავისი აჩრდილი დამიტოვა, მაგრამ მისი უნახაობა ვეღარ შევიძელე: თოთხმეტი მაისი შესრულდა თუ არა, საგულდაგულოდ მოვიკაზმე, საუკეთესო ყელსახვევი შევიბი. ორი ქინძისთავი მქონდა: ერთი ორ ოქროს ფოთოლს შორის გამომტკიერალი მინანქრის კოკორი იყო, მეორე კი ვერცხლისაგან იყო ნაკეთები და ალექსანდრესდროინდელი მედალი გახლდათ იუპიტერ-ამონის გამოსახულებით. მედალი უფრო ოსტატური ნახელავი იყო და მეც მასზე შევჩერდი. მერე გამახსენდა, რომ როცა ბაგრატიონის ქალი გამაცნეს, ენა ჩამივარდა და სიტყვაც ვერ დავძარი და ვიფიქრე, ჩემს მიღებას არ ინდომებს-მეთქი. მაგრამ უკან გზა უკვე მოჭრილი იყო, ან კი რისა უნდა მშინებოდა, ყოველგვარი იმედი ხომ იმთავითვე მქონდა დაწურული?

სახლი დაბალი იყო; სახელოსნომდე რომ მიგელწიათ, მარტო სამი საფეხური გქონდათ ასავლელი. შევედი. ისე მიმილო, თითქოს თავის დლე და მოსწრება მიცნობდა; საჭრეთლისათვის ხელი არ უშვია, მომიბოდიშა, ხელები თიხითა მაქვსო მოსვრილი. ნაცრისფერი, სადა ხალათი ეცვა: ეს ხალათი საამური სახილველი იყო და საოცარიც ჩანდა იმ დროში, როცა ქალები ტანს მომდგარ კაბებს არ ატარებდნენ და სხეულის ნაკვთებს მკერავთა მიერ გამონაგონი ზიზილ-პიპილებით იმაღავდნენ. დღეს ვერც წარმოიდგენთ, როგორ შევენოდა მარი ბაგრატიონისთანა ქალს ეს უხეში სამოსელი. სადა ხალათი თითქოს მაღალი საზოგადოებიდან შორს მიაქროლებდა ნიმფებისა და ქალღმერთების სამყოფელში. კანი ისეთი ხორბლისფერი აღარა მქონდა, როგორც ქალებისა და სანთლების უუქზე მომეჩვენა,

მაგრამ სახელოსნოს ჰერიდან მონადენი შუქი უწყვეტ ნაკადად სცემდა შუბლსა და ცხვირზე და მის სახეს ღვთაებრივ სიწმინდეს ანიჭებდა. მარი ბაკრატიონი ბატონ ვიარდოს ბიუსტს ასრულებდა. ბატონი ვიარდო მოხუცი იყო და ნახევრად კიდევაც თვლემდა სკამზე მჯდარი. ქალი დროდადრო თავის ნახელავს რამდენიმე ნაბიჯით შორდებოდა, უკეთ რომ შეეველო თვალი და ისევ მუშაობას განაგრძობდა. ეტყობოდა, ცოტა ბეციც უნდა ყოფილიყო. მომეჩვენა, რომ მისი ნაძერწი ოდნავ უხეში იყო, მაგრამ ძლიერება არ აკლდა. სახელოსნო სავსე იყო თაბაშირის ფიგურებით, ძველებური ხატებით; აქა-იქ დაუდევრად ეფინა სპარსული ფარჩეულიც. ჩემი ძველი ნაცნობი ბატონი ვიარდო მარტო არ ყოფილა ქალთან. დივანზე კიდევ სამი კაცი იჯდა; ერთი ახალგაზრდა და ორიც — ხანში შესული. ჭერ არ ვიცოდი, ვინ იყვნენ ისინი, რადგან დიასახლისს არავინ გაუცვინია ჩემთვის. სტუმრები სიგარეტს ეწეოდნენ და ერთმანეთს იშვიათად თუ გადაულაპარაკებდნენ რაიმეს. უკვე ოცი წუთის მისული ვიქნებოდი, როცა მარი ბაკრატიონმა მაღალ, ქერა ჭაბუკს მიმართა:

— კირილ, დაუკარით რამე.

ისიც დაჯდა და ვირტუოზულის ოსტატობით დაუკრა ფორტეპიანოზე. შემრცხვა, რომ ვერ მივხვდი, რას უკრავდა. ისევ ნოტებს დავხედე და ზედ ამოვიკითხე: „შოპენი. სკერცო“. ვუსმენდი ამ საუცხოო მელოდიასა და თან თვალს არ ვაცილებდი ჩემი ტურფა მასპინძლის მოძრაობას, ჩემთვის ქვეყნად უმშვენიერესი მუსიკა რომ იყო.

ქალმა მუშაობას თავი ანება და ბიუსტს სველი ტილო გადააფარა. ბატონი ვიარდოც შეირხა და რაკი ადგომის ნება მისცეს, თანდათანობით კიდევაც გამოერკვა გარინდებიდან. მოხუცი ხელოვნების დიდი მოყვარული კაცი იყო და ესპანურ მხატვრობაზე საუცხოო წიგნებიც ჰქონდა გამოქვეყნებული. კაცად კაციც ჩინებული იყო. გულთბილად მომილოცა, მიხარია, რომ თქვენც შეგაქვთ წვლილი დიდ მხატვართა ცხოვრების ამსახველი ნაშრომის შექმნაშიო. თავისი დროის საუკეთესო მომღერლის მეუღლემ არც კირილ ბალაშოვი დაივიწყა, შეუქო მგზნებარება და უთხრა, იშვიათია, რომ კაცი ასეთის გატაცებით უკრავდესო. მისგან გავიგე ჭაბუკი ვირტუოზის

გვარი. ახალ სამყაროში მოვხვდი, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი ვიცოდი. ისე წამოვედი იქიდან, რომ მარი ბავრატონისათვის ორი სიტყვაც არ მქონდა ნათქვამი.

არ ვიცნობდი და ვგონებ, არც მინდოდა გამეცნო. უფრო ჭკვიანი გახლდით, ვიდრე ამ ამბების წამკითხავს შეიძლება მოეჩვენოს, უფრო ჭკვიანი, ვიდრე თავად მეგონა და ჩავწვდი კიდევაც ეროსის საიდუმლოს, მივხვდი, რომ წმიდა სიყვარული არ დაეძებს არც საპასუხო გრძნობას, არც პატივისცემასა და არც მეგობრობას; რომ ის წადილით სულდგმულებს მხოლოდ და სიცრუით იკვებება. მარტო ის გვიყვარს ჭეშმარიტად, რასაც არ ვიცნობთ. რა გზით მივალწიე კაცის გონებისათვის ამ მიუწვდომელ ჭეშმარიტებას? მე მქონდა ყველაფერი, რაც კი სიყვარულში შეიძლება მოიხელთო: აჩრდილი, ლანდი. ჩემს აჩრდილს მედონისა და სენ-კლუს ტყეებში დავატარებდი და ბედნიერი ვიყავი.

ქალბატონ ერიოს ვეწვიე. თითქმის ისეთივე სიხარულით შემომეგება, როგორც უწინ, მაგრამ მარი ბავრატონზე არაფერი უთქვამს. ბატონი მილსანიც იქ დამიხვდა; დრო იხელთა, როცა არავინ გვადევნებდა თვალყურსა და მკითხა, ბას-დიურამპარის ქუჩაზე თუ დადიხართო. დიახ, მაგრამ იშვიათადმეთქი, ვუთხარი.

— სტუმრების მიღება სულ არ იცის, — განაგრძო მან, — ნამდვილი ველურია...

ბას-დიურამპარის ქუჩაზე სიარულს მოვეუხშირე. ყოველთვის, როცა სახელოსნოს ზღურბლს გადავაბიჯებდი, მეგონა, სხვა პლანეტაზე მოვხვდი-მეთქი. ერთხელ ბავრატონის ქალი მარტო დამიხვდა; თავის მერხთან იდგა და თითებით შიშველი ქალის პაწია ქანდაკებას ეალერსებოდა. მინდოდა საუბარში გამომეწვია, მის ხელოვნებაზე ჩამოვადგე სიტყვა; შევეცადე, ბანალური ხოტბა არ გამომსვლოდა და ვუთხარი, თქვენს ქანდაკებებში ისეთი სიმტკიცე მოჩანს, რომლის მსგავსაც იშვიათად თუ შეხვდებით ქალთა ნახელავში-მეთქი. შევატყვე, ეამა ჩემი ნათქვამი, მაგრამ საუბარში მხარი არ ამიბა. ისევ შევეცადე გამენასკვა საუბრის ძაფი და ახლა ბერძნულ ხელოვნებაზე დავუწყე ლაპარაკი. ამ შორეულ მხარეში არ გამომყვა და საუბარიც საბოლოოდ მიწყდა. გავჩუმდი და მშვი-

დად მუშაობის საშუალება მივეცი. კარგა ხნის დუმილის შემდეგ ერთი აკინძული წიგნი მიჩვენა, დივანზე რომ იდო და მთხოვა, ის გვერდი წამიკითხეთ, რომლის კუთხეც შეეკეცილი მაქვსო. პლატონის უბრალო გამოცემის ტომი იყო, ფრანგულად ვიღაც პროფესორის მიერ ნათარგმნი. „ნადიმის“\* ერთი ადგილი ჰქონდა დანიშნული და მეც ხმამაღლა წავუკითხე:

„და თუმცა მრავალს განუთქვამს სახელი თავისი მაღალი საქმეებით, მხოლოდ მცირერიცხოვან რჩეულთა სულები დაუხსნიათ ღმერთებს ჰადესის ტყვეობიდან; ხოლო ალკესტიდას გმირობამ\* ისე მოხიბლა არა მარტო მოკვდავნი, არამედ უკვდავნიც, რომ პელეასის ასულის თავდადებით აღფრთოვანებულმა ღმერთებმა მისი სული უყოყმანოდ გამოიწვიეს ჰადესიდან. ამრიგად, თვითონ ღმერთებიც დიდ პატივს სცემენ უანგარო და თავგანწირულ სიყვარულს!

ორფეოსს კი, ეაგრეს ვაჟს, მეუღლეს დანატრებული ჯოჯობეთს რომ ჩავიდა, ვერიდიკეს ნაცვლად ღმერთებმა მხოლოდ აჩრდილი აჩვენეს მისი და ხელცარიელი გამოისტუმრეს ჰადესიდან, რადგან იგი მუსიკოსი იყო და შემართება აკლდა: ნაცვლად იმისა, რომ, ალკესტიდას მსგავსად, თავი დაედო საყვარელი არსების გულისთვის, შეეცადა როგორმე ცოცხალი ჩასულიყო ჰადესს. ამიტომაც დასაჯეს იგი ღმერთებმა და დიაცთა ხელით სიკვდილი არგუნეს წილად“:

ბაგრატიონის ქალი ყურადღებით მისმენდა, მაგრამ ჩვეულ სიმშვიდეს არც ახლა უღალატნია მისთვის. უკანასკნელ წინადადებაზე კითხვა შემაწყვეტინა და შენიშნა:

— მაშ, პლატონს სცოდნია, რომ ქალები უფრო მამაცები არიან, ვიდრე მამაკაცები. აბა, რატომღა აგებს თავის სიყვარულის თეორიას საწინააღმდეგო აზრზე?

მერე მთხოვა, კითხვა განაგრძეთო. ცოტა ხნის შემდეგ ერთი რუსის ქალი მოვიდა. მისი სახელიც მალე გავიგე: ნატალი შერერი ერქვა. ერთმანეთი გადაკოცნეს და შინაურული საუბარი გააბეს. ნატალი ასე, ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა; წარმოსადეგი ქალი იყო, ჩამოსხმული ტანი ჰქონდა; მისი პაჭუა ცხვირი და ამოზნექილი ყვრიმალეები შეხედვის უმაღვე გეც-

მოდათ თვალში. მეტად ლამაზი იყო და თავისი ველური სიტურფით ახალგაზრდა ფაენს ჩამოჰგავდა.

ექვს თვეს დავდიოდი მარი ბაგრატიონის სახლში, მაგრამ მასპინძელს ოდნავადაც ვერ დავუახლოვდი. ვერც მის სილამაზეს შევაჩვიე თვალი; ისევ შარავანდელით მოსილად მეჩვენებოდა და ეს ამბავი კიდევ უფრო მაშორებდა მასთან. მაგრამ ეს ქალი, ესოდენ შორეული რომ ჩანდა, როცა მის სიახლოვეს ვიყავ, გავეყრებოდი თუ არა, უჩვეულოდ მახლობელი ხდებოდა ჩემთვის. ვერსალის მახლობელ ტყეებში სახეტილოდ გაჭრილს ისიც მუდამ თან მახლდა ხოლმე. ღმერთმანი, არა ვტყუი, ეს სრული ჭეშმარიტება გახლავთ. ერთმანეთს გადახვეულები მივყვებოდით საიდუმლო ბილიკებს, სიხარულითა და კაეშნით მთვრალნი.

ერთ დღეს გაზეთში ამოვიკითხე:

„თავადის ქალი, მარი ბაგრატიონი წუხელ, შუალამისას გარდაიცვალა თავის ბინაში, ბას-დიუ-რამპარის ქუჩაზე მდებარე სახლში“.

გაზეთი მეტს არაფერს იტყობინებოდა. მე ისე ახლოს არ ვიცნობდი მიცვალებულს, რომ დამეტირებინა, მაგრამ მაინც დანა არ მიხსნიდა პირს. თითქოს დედამიწამ პირი ქნა და ჩემი განძიც თან ჩაიტანა, ნაცარტუტად აქცია ის, რაც ჩემს თვალში ქვეყნის მთელ მშვენებას შეადგენდა.

ბატონ ვიარდოსთან გავიქეცი. კირილ ბალაშოვთან, პიანისტთან ერთად დამიხვდა.

— რა თავზარდამცემი ამბავია! — შევბლავლე მე.

კირილმაც ბანი მომცა:

— თავზარდამცემი ამბავია!

— მარი ბაგრატიონმა თავი მოიკლა, — მითხრა ბატონმა ვიარდომ, — ქალთაგან ასე არავინ ისწრაფებს სიცოცხლეს: დილით ნახეს, თეთრ კაბაში გამოწყობილი იწვა თავის ლოგინზე; ყელზე ისევ მარგალიტის ფარღული ეკეთა, მარჯვენა საფეთქელი კი ტყვიით ჰქონდა გახვრეტილი. ხელიდან ჯერ კიდევ არ გავარდნოდა რევოლვერი.

ვკითხე, თვითმკვლელობის მიზეზი თუ იციან-მეთქი.

— დედა შეშლილი ჰყავს. მამამისმა, გენერალმა ბაგრატიონმაც თავი მოიკლა. უთუოდ რალაც გადამწყვეტი მიზეზიცა ჰქონდა, მაგრამ მე არა ვუწყვი რა.

კირილი დიდხანს იქნევდა ხელებს. მერე გვითხრა:

— ვის სიყვარულს არ სწამებდა ხალხი. უცნაურია, მაგრამ ვინც მასთან ჩემსავით ხშირად დაიარებოდა, მათაც კი თავის დღეში არ შეუტყვიან, რომ საყვარლად ჰყოლოდა ვინმე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. წავიდეთ, მშვიდობა ვუთხრათ მის ნეშტს.

მიცვალებული თავის სახელოსნოში დაესვენებიათ. მარი ბაგრატიონი სარეცელზე იწვა, საფეთქელზე წითლად აჩნდა პაწია ნაჭრილობევი. სანთლების კამკამა ალი სახეს უცოცხლებდა. მხოლოდ ღაწვების უჩვეულო სიფერმკრთალე ამეღვენებდა, რომ ამ სოფლიდან წასულიყო. სახეზე ისევ ის აუმიდრეველობა ეწერა, სიცოცხლეში რომ სჩვეოდა. არასდროს აღელდებოდა; იქნებ იმიტომ, რომ ძველების მსგავსად, ვნებათღელვა მასაც სილამაზის მტრად მიაჩნდა... თეთრი, გულდახურული კაბა ჩაცემიათ. დედამისი გვერდით უჯდა, გამხდარი, თმაგაჩეჩილი და კუდიანივით იცქირებოდა აქეთ-იქით. მეგობრები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ და ნელა სცილდებოდნენ იქაურობას.

## X XVIII

### „წუარაფერს ღაწვიო“

უკვე ორი წელი იყო, რაც ბატონი დიუბუა იშვიათად დაიარებოდა ჩვენთან, თუმცა წინათ ჩვენი ხშირი სტუმარი გახლდათ. ეტყობა, ჩვენთან ყოფნა აღარ სიამოვნებდა. ცოტა ხნით თუ შემოივლიდა და დედაჩემსაც აღარ ახელებდა ქრისტიანული სარწმუნოებისა და მორალის განქიქებით. მკაცრი დიდებულებით აღბეჭდილი სიტყვებით აღარ მომმართავდა, აღარც მანებევრებდა შინაარსიანი, ენაწყლიანი საუბრებით, როგორც ჩემს პატარა ბიჭობაში, თუმცა რაც წამოვიზარდე, უკეთ შემწევდა მათი გაგების უნარი. ნეტა რამ დაღალა? ფიქრმა, თუ საუბარმა? იქნებ სიბერე აწვა მძიმე ტვირთად? გარეგნულად არაფერი ეტყობოდა; სულ არ შეცვლილა და საღ-საღამათიც ჩანდა. იქნებ მე აღარ მიგულებდა დამყოლ ცვილად, უწინ ზედ



თავის აზრს რომ აჰდევდა ხოლმე და აღარ სიამოვნებდა ჩემის-  
თანა ოტროველასათვის გაეზიარებინა თავისი ნააზრევი, რაკი  
ხედავდა, რომ მის მოსაზრებათ ჩემსას ვუპირისპირებდი და  
საკადრისი პატივისცემითა და მოწიწებითაც არ ვექცეოდი.  
მაგრამ აი, შემოდგომის ერთ ღღეს, ნასადილევს, ჩვენს კარ-  
თან მაინც გაისმა მისი ზარის ხმა, მოკლე და მბრძანებლური.  
ბატონი დიუბუა შემოვიდა. თვალებს დიდი ლურჯი სათვალე  
უფარავდა. სავარძელში ჩაესვენა, თავისი გრძელი, მუქი მწვა-  
ნე სერთუკის კალთები გაისწორა და წინანდებურად ენაწყლიან  
საუბარს მოჰყვა. მის ბაგეთაგან უხვად დიოდნენ „ღვთაებრივი  
სიტყვები, ვით მთის კალთებზე გადმომჩქეფარე წყაროს  
წყალი“.

— მე ვფიქრობ, — თქვა მან სხვა ღირსსახსოვარ სიტყვა-  
თა შორის, — მე ვფიქრობ, ჩემო მეგობარო, რომ შენთვის  
უცხო არ უნდა იყოს პროგრესის ცნება. ღღეს ყველას ეგ  
სიტყვა აკერია პირზე და პირდაპირ გაოცებას ეძლევა კაცი,  
პროგრესის იდეა ასე რომ ამოაყვავილეს იმ თაობის წარმო-  
მადგენლებმა, რომელსაც თავისი უხეირობის წყალობით ყვე-  
ლაზე ნაკლებ ძალუძს დაამტკიცოს მისი მართებულობა. მაგ-  
რამ რაკი ხალხს ღვთის რწმენა შეერყა, სტაბილურობის იდეა,  
რომელსაც დოგმა გვახვევდა თავს, თანდათანობით საყოველ-  
თაო, მზარდი პროგრესის იდეით შეცვალეს. ეს იდეა ათნევეს  
ადამის ძეთ და ისინიც ბევრ გამოჩხრეკას აღარ შესდგომიან,  
კაცობრიობის პროგრესი სრულ ჭეშმარიტებად მიიჩნიეს; ერთ-  
ხმად მხოლოდ იმ იდეებს აღიარებენ, რომლებიც მათ პატივ-  
მოყვარეობას ელაქუცება, ანდა იმედს აღუძრავს გულში, მაც-  
დურ იმედს და აღარ დაეძებენ, ეს იდეები საფუძვლიანია თუ  
უსაფუძვლო. ვნახოთ ერთი, რას გულისხმობს, რას წარმო-  
ადგენს ეგ ყბადაღებული პროგრესი? თუ კარგი გრამატიკოსე-  
ბივით გაეჩხრეკათ ამ სიტყვას, ვიტყვი, რომ იგი კეთილისა  
ან ბოროტის ზრდას უნდა ნიშნავდეს, თუკი საერთოდ კეთი-  
ლისა და ბოროტის გარჩევის უნარი შეგვწევს. მაშასადამე,  
კაცობრიობა საითკენღაც მიემართება. მაგრამ თუ თანამედრო-  
ვეთა მსგავსად, ლაპარაკი რომ არ იციან და აზროვნებაზედაც  
მწყურალად არიან, მოვეყვებით ღაღადისს, კაცობრიობა სულ  
წინ და წინ მიიწევს და თანდათანობით სრულყოფილებასაც

აღწევსო, სულ ტყუილი ტრამაზი გამოგვივა. ისტორიაში არავითარი წინსვლა არ შეინიშნება; ხალხთა ისტორია მხოლოდ უბედურებათა წყებაა და სხვა არაფერი, დროებით პროგრესსაც მუდამ რეგრესი მოსდევს ხოლმე. პირველყოფილი ადამიანები, ცხადია, უბადრუკნი და ძალზე უმწეონი იყვნენ, არაფრის უნარი არ შესწევდათ, მაგრამ მათ შთამომავალთა წარმატებებმა მრეწველობაში იმდენივე სიავე მოგვიტანეს, რამდენიც სიკეთე და კაცთა მოდგმის ტანჯვა-ვაებაც იმდენადვე გაამრავლეს, რამდენადაც მათი კეთილდღეობა და სიძლიერე. შევხედოთ ერთი უძველეს ხალხებს, რომელთაც დიადი ძეგლები დაგვიტოვეს და შევადაროთ მათი ნახელავი ჩვენსას. განა ეგვიპტელებზე უკეთ ვაგებთ? რითი ვჯობივართ ძველ ბერძნებს? მათ მანკიერებასა და ნაკლს არა ვფიცავ; ხშირად უსამართლონიც იყვნენ და მეტისმეტ სისასტიკეს იჩენდნენ, ძმათამკვლელ ომებშიც ქანცს იწყვეტდნენ... მაგრამ ჩვენ?.. განა ჩვენი ფილოსოფოსები უფრო ბრძენნი არიან მათ ფილოსოფოსებზე? ან საფრანგეთსა და გერმანიაში თუ მოიძევება ისეთი ღრმა მოაზროვნე, როგორიც ჰერაკლიტე ეფესელი\* იყო? ისეთსავე ლამაზ ქანდაკებებს თუ ვაკეთებთ, ან ისეთსავე ნათელ ტაძრებს თუ ვაგებთ, როგორსაც ისინი აკეთებდნენ და აგებდნენ? ვის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, ჩვენს დროში „ილიადაზე“ უფრო ლამაზი პოემა დაიწერა? სანახაობას დახარბებული ვართ, მაგრამ ჩვენი წარმოდგენები განა უტოლდებიან ათენის თეატრში დადგმულ სოფოკლეს ტრილოგიას\*? სულიერ საგანძურზე გსურთ საუბარი? ისევ ელევსინურ მისტერიებს\* უნდა მივმართოთ, რადგან სწორედ იქ შეხვედებით ყველაზე მაღალ კონცეფციას სიკვდილისას, რომელიც კი ჩვენს მოდგმას ჰქონია ოდესმე. ახლა ხელისუფლებისა და მართვის ამბავს აღარ იკითხავთ? მმართველობა რომ გაეუმჯობესებინათ, ოდესღაც ბევრი რამ იღონეს. ეს მოხდა მაშინ, როს ავგუსტუსმა იანუსის ტაძრის კარი დარაზა\* და ქალაქ რომში მშვიდობის საკურთხეველი აღმართა; როს რომაული მშვიდობის შუქი მოეფინა მსოფლიოს. მაგრამ ძველი რომიც დაეცა. მსოფლიო მისი დაცემის შემდეგ ბარბაროსთა ანაბარაა მიგდებული; ისინი დღესაც კი არ ფიქრობენ კეისრისა და ავგუსტუსის საქმეთა გაგრძელებას, გმობენ მათ წამოწყებას იმის შიშით, რომ

ეს იდეა ხელ-ფეხს შეუკრავთ და მკვლელობისა და ძარცვა-გლეჯის ჟინს ისე თავისუფლად ვერ მოიკლავენ. მთელ მტრულად განწყობილ ერებში არც ერთი კაცი არ ფიქრობს იმ დაწესებულების დაფუძნებაზე, საყოველთაო მშვიდობას რომ უზრუნველყოფს; არავინ არ ზრუნავს ძღვევამოსილი ამფიქტიონების დაარსებაზე, რომლებიც სახელმწიფოებზე იბატონებენ და მათ უკანონო ქვეყას ცოტათი მაინც ლაგამს ამოსდებენ. და თუ გამოჩნდა კაცი, ვისაც ძალუძს ამ სიახლის დანერგვა, კაცობრიობას ხსნას რომ მოუტანს, მისივე ქვეყნის პატიოსანი მოქალაქენი და სხვა ხალხებიც ყიჟინას დასცემენ: „მამულიშვილურ გრძობებს გვიბლალავს, მტრის უღეტას გვიშლის და სხვის ნაოფლარზე არ გვახარებბს“. მეზობლის ავი ყველას გულით სწადია და ის ერთსულოვნება, მსოფლიოს ხალხები შურსა და მტრობაში რომ იჩენენ, კარგად მოწმობს, თუ რა სახის პროგრესისაკენ მიეზიდებიან ისინი.

მეცნიერებაში დიდად გავუსწართ ძველებს; ეს მეც მახარებს. მეცნიერებათა განვითარებაში ყველა თაობას შეაქვს თავისი წვლილი. მაგრამ მეცნიერებათ საძირკველი ბერძნებმა ჩაუყარეს და საამისოდ მეტი ნიჭი და უნარი იყო საჭირო, ვიდრე მეცნიერებათა ამ დარგების იმ გასაოცარ საფეხურამდე მიყვანისათვის, ჩვენ რომ მივიყვანეთ. ისტორია იმასაც გვიჩვენებს, რომ ყველა თაობას თანაბარი წვლილი როდი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში. ვინ არ იცის, რომ იყო ეპოქები, როცა მთელი კულტურა ერთბაშად ჩაკვდა უზარმაზარ ტერიტორიაზე; და მაშინაც კი, როცა ბედი გვიღიმოდა და ყველა თაობას შეუფერხებლივ შეჰქონდა წვლილი მეცნიერებათა განვითარებაში, ცოდნის გაღრმავებასა და გამოგონებათა სიუხვეს დიდად არ გაუუმჯობესებია ზნეობანი. მაგრამ მე თუ მკითხავთ, ყველაზე უფრო სავალალო და სამწუხარო სწორედ ის არის, რომ მაშინაც კი, როცა მეცნიერება არნახულ წარმატებას აღწევს, თან მოაქვს ახალი და სარწმუნო ცოდნა, როს მაგალითად, ასტრონომია ფარდასა ხდის ბუნების საიდუმლოებასა და სამყაროს აგებულებას გეაცნობს, თვით განათლებულ კაცთაც კი არ ძალუძთ იქამდე აამაღლონ თავიანთი გონება, რომ უკუაგდონ დრომოქმული რწმენა, მეცნიერების უკანასკნელ მონაპოვართა საფუძველზე სამყაროს სურათი

ახლებურად წარმოიდგინონ და ახალ თვალსაზრისზე დადგენენ. ისევ ძველ ცდომილებათ ებლაუჭებიან, რომელთა სიყალბეც უკვე დამტკიცებულია და მით სავალალო სიბრყვეს ამჟღავნებენ. აქეთ პროგრესი, ბატონებო, იამაყეთ, სულ წინ და წინ მივდივართო, შეიქეთ თავი, უმღერეთ ქებათა ქება, სანამ კისერს არ მოიტეხთ.

ბატონმა დიუბუამ თავი ანება მსჯელობას, ჯიბიდან პატარა, in 18 ზომის წიგნი ამოიღო; ეს ევრიპიდეს ტომი გახლდათ, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისს ბუასონადის მიერ გამოცემულ ბერძენ პოეტთა საუცხოო კოლექციაში შედიოდა. „იპოლიტეზე“ გადაშალა და ძიძის სიტყვები ფრანგულად წაგვიკითხა. ჩვენს საუბარს დედაჩემიც ესწრებოდა და არ ვიცი, მის საპატივეცემლოდ მოიქცა ასე თუ იმიტომ, რომ მაინცდამაინც არა სწამდა ჩემი ბერძნულის ცოდნის. ფიქრობდა, მეორე იმპერიის სკოლებში ბერძნულს უხეიროდ ასწავლიანო და ღმერთმანი, არცა სტყუოდა.

„კაცთა ცხოვრება სულ ჭირია და ჩვენს ტანჯვასაც არ უჩანს ბოლო; და თუ რამ არის ამ ცხოვრებაზე უფრო ძვირფასი, წყვედიადი ფარავს, მზერას ვერ ვუწვდენთ; ამიტომ ვეტრფით ამ სიცოცხლეს, აგრე რომ ბრწყინავს დედამიწაზე, რამეთუ დღემდე სხვას არ ვიცნობთ, არც ის ვუწყით, შავეთს რა ხდება და ცრუ ზღაპრები თავზარსა გვცემენ“.

ბატონმა დიუბუამ თავიდან წაიკითხა ეს ადგილი: „ამიტომ ვეტრფით ამ სიცოცხლეს, აგრე რომ ბრწყინავს დედამიწაზე, რამეთუ დღემდე სხვას არ ვიცნობთ, არც ის ვუწყით, შავეთს რა ხდება და ცრუ ზღაპრები თავზარსა გვცემენ“.

— ევრიპიდე, — გვითხრა მან ბოლოს, — ბრძენი ფილოსოფოსი იყო და გულუხვად უწყალობა თავისი ჭკუა დედოფლის გამდელს. ძიძა არ ტყუის, როცა ამბობს, სული ტკბილია და ადამიანებსაც გვიყვარს სიცოცხლე, რა უბედობაც არ უნდა შეგვხვდესო. ისიც მართალი ბრძანებაა, რომ საიქიოზე შეთხზული ზღაპრები თავზარსა გვცემენ. რაღა დაგიმალოთ და მეც, ჩემდა თავად, თუმც ჯოჯოხეთის არ მეშინია და ცრუ ზღაპრებიც ვერ მაკრთობენ, მგონი, კიდევ შემრჩენია სიყვარული ამ ცხოვრებისადმი, „ასე რომ ბრწყინავს დედამიწაზე“, თუმცა აგერ უკვე სამოცდათხუთმეტი წლისა მოვიყარე და აქ

ერთი ბედნიერი დღეც კი არ მინახავს. ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ ბედმა სხვა არაფერი დამაკლომეთქი, ვერ ვიტყვი: არც მძიმე რამ სენი შემყრია, არც დიდი გლოვა შემხვედრია, ბევრ მოკვდავს გაჩენის დღეს რომ აწყევლინებს, მაგრამ სიხარულიც ცოტა მინახავს და არ ვისურვებდი თავიდან მეცხოვრა ჩემი სიცოცხლის თუნდაც ერთი დღე. მაინც ვეჭვობ, რომ კიდევ გამოველი რაღაც სიკეთეს ამ წუთისოფლიდან, თუმცა გონება სხვაგვარადა სჯის და ამ ცხოვრების გზაც თითქმის ბოლომდე გავლიე. ამით მეც კაცთა ვგავარ. მიყვარს სიცოცხლე. და უნდა ვაღიარო, თუ პირადი გამოცდილების საფუძველზე არა, გონების კარნახით მაინც, რომ ამ ძალღატაკ სიცოცხლეს (ეს სიტყვა ქალბატონ დე სევინეს დავესესხე) ზოგჯერ სიკეთეც ახლავს ხოლმე. სიკეთე ახლავს-მეთქი, ვიმეორებ, თუმცა თავად მე არაფერი მიგემნია. რაკი ამ ცხოვრების მეტი სხვა არ გვინახავს, კეთილისა და ბოროტის ცნებაც მისგან ვისესხეთ. მაგრამ ბედნიერების ნიჭი ყველას თანაბრად როდი აქვს მიმადლებული. მე თუ მკითხავთ, ეს ნიჭი უბრალო ხალხს უფრო უხვადა აქვს ბოძებული, ვიდრე გამოჩინებულთა და ბრყვეებს. მაშ, მოდით, ვურჩიოთ ადამიანებს, გულსა და გონებას აგრერიგად ნუ გაიწვრთნიან, უბადრუკი გრძნობები იკმარონ და უღიმღამო ყოფას დასჯერდნენ.

ამეებს მისთვის ჩვეული აუზღვრეველობით ამბობდა. საუბარს რომ მორჩა, ჯიბიდან უზარმაზარი წითელი ცხვირსახოცი აწოილო და ტუჩებთან მიიტანა. მერე ერთ კუთხეს კბილი ჩაასო და ორთავ ხელით ცხვირსახოცის დაგრეხას შეუდგა. ასე მოხუცი შატობრიანი სჩადიოდა თურმე აბეი-ო-ბუაში, როცა თანამოსაუბრეებს სურდათ აეყოლებინათ ქებაში, ერთ ახალგაზრდა პოეტს რომ სძღვნიდნენ. ამ ამბავს ბატონი ერიო გვიამბობს თავის „ქალბატონ რეკამიეს\* ცხოვრებაში“. ბატონი დიუბუა დიდხანს აცოდვილებდა ცხვირსახოცს, მერე როგორც იქნა, ჯიბეში ჩადიო და მკითხა, რა დღეშია თქვენი „მხატვართა ცხოვრება“, მალე მორჩებით თუ არა, რა ხანია, მის შესახებ აღარაფერი ისმისო.

მეც გამოტეხილად ვუთხარი, ჩვენს „მხატვართა ცხოვრებას“ ისე არ გაუღიმა ბედმა, როგორცა გესურდა და იძულებული

გავხდით, დასაწყისშივე ხელი აგველო ამ საქმეზე-მეთქი. ისიც მოვახსენე, მეტად საინტერესო და სახარბიელო სამსახური დაკარგე და ახლა სიძველეთა დიდი ლექსიკონის შედგენაში ვღებულობ მონაწილეობას\*, მაგრამ ეს საქმე უფრო ძნელია და გასამრჯელოსაც ნაკლებს იძლევიან-მეთქი.

— მაგვარი საქმიანობა, შენიშვნების წერა ძველ ხელოვნებაზე და სტატიების თხზვა არქეოლოგიის საკითხებზე ღია სანაქებო რამ არის, — მითხრა ბატონმა დიუბუამ, — ეგ საქმე, მართალია, კუჭს არ გაგიძლებს, მაგრამ თუ კაცს საამისო უნარი შეგწევს, ნაყოფიც კარგი მოაქვს და სარგებლობაც ბევრი მოსდევს. კარგი კომპილაცია სახელს არ უტეხს მის ავტორს, ის კი არა და, შეიძლება პატივიც კი მოუხვეჭოს; ამგვარი შრომების შემქმნელთ დიდი საფრთხეც არ ემუქრებათ. სულ სხვა საქმეა, მეგობარო, როცა ლიტერატურული ნაწარმოების წერას მივყოფთ ხელს; მწერალი ხომ თავის ნაწარმოებში სულსა და გულს აქსოვს, ნათქვამს საკუთარი გონების დაღს ასვამს, გულის ნადებს გვიმხელს, ცდილობს კვალი გაავლოს პოეზიაში, პროზაში, ფილოსოფიასა და ისტორიაში. ამგვარ რამეს კი ხელი არ უნდა მოჰკიდო, თუ სიმშვიდე და დამოუკიდებლობა გიღირს რადმე. ორიგინალური წიგნი თუ გამოაქვეყნე, ვაი შენს დღეს! მერწმუნე, მეგობარო, შენს ჭკუას ნურვის ნუ დაანახვებ. ნურაფერს დაწერ! თუ უხეირო რამ გამოაქვეყნე, ყველაზე მოსალოდნელი კი ეგაა, რადგან ტალანტი იშვიათად გვხვდება, ერთი სიტყვით, თუ უხეირო წიგნი დაწერე, ისეთი, რომ თვალში არავის მოხვდეს და სახელიც არ გაგიოქვას, მადლობა შესწირე ღმერთებს, ვეება ჭირი აგიცილებია თავიდან, დიდი-დიდი სასაცილო გამოჩნდე ამხანაგთა თვალში. ამას კი როგორმე გაუძლებს კაცი. მაგრამ თუ ღმერთმა ქნა და საქმაო ნიჭი გამოგაჩნდა საიმისოდ, რომ შეგნიშნონ, ცოტა სახელიც გაითქვა (დიდება მოიპოვო-მეთქი, როდი ვამბობ), თუ შეგაქვს, მშვიდობით, ძილო და მოსვენებაც, მშვიდობით, უშფოთველო ცხოვრებაც, სულის სიმშვიდეც! მოშურნეთა ხროვა ყიყინას დაგცემს, უნიჭოთა ურიცხვი არმია, თეატრთა დარბაზებსა და გაზეთების რედაქციებს რომ ავსებს, თვალთვალს დაუწყებს შენს ყოველ ნაბიჯს, მცირეოდენ შეცოდებასაც კი დანაშაულად ჩაგითვლიან, შეურაცხყოფენ, გაგათრევენ, შენ-

ზე ათასგვარ ცილისწამებლურ ხმას დაარხევენ და მათ ყველა სინამდვილედ მიიჩნევენ. ავყოობისა ყოველთვის როდი სჯერათ, ყოველთვის არც სიმართლისა სჯერათ ხოლმე; ცილისწამება კი მუდამ სარწმუნოდ მოჩანს, რადგან უფრო ლამაზია. ჟურნალისტები, ვისაც საზოგადოებრივი აზრის შექმნა ევალებათ, იტყვიან, რომ შენ ნამუსი ახადე მშობელ დედასა და ყელი გამოლადრე მამაშენს; უნიჭობასაც შეგწამებენ. შენი წიგნები, ცხადია, მეგობრებსაც შეგძენს, მაგრამ ისინი შორს იქნებიან, დაფანტულები, დამუნჯებულნი; და არც არაფრით შეგეწევიან, შენს დასაცავად ხმასაც არ ამოიღებენ. ეს კი ძალიან საწყენად დაგირჩება. თანაც ყველაზე მეტად შენი უხვირო წიგნები მოეწონებათ და როცა თამამ და ბრძნულ რასმე დაწერ, თუ მათი ვიწრო გონების ფარგლებს გასცილდები, აღარ გამოგყვებიან. მოშურნენი კი მუდამ გადარაჯებულნი იქნებიან, რომ დრო გიშოვონ და გამოგასალმონ წუთისოფელს.

ნურაფერს დაწერ!

ეს ჭეშმარიტად წინანდელი ბატონი დიუბუა იყო. ბატონი დიუბუა ხელახლა იშვა ჩვენს თვალწინ. დედაჩემსაც კი დაუწყო გამოჯავრება, სამლოცველო წისქვილებზე\* ჩამოუგდო სიტყვა და დიდი ღვთის წყალობა იყო, უთხრა დაცინვით.

რომ მიდიოდა, დედამ თვალი გააყოლა და მითხრა, უფრო მტკიცედ მიაბიჯებს და უფრო მხნედაც გამოიყურება, ვიდრე დღევანდელი ყმაწვილკაცებო. მერე ყელზე მომეხვია და ყურში ჩამჩურჩულა: „წერე, შვილო, წერე! დიდ ნიჭს გამოიჩენ და მოშურნეთაც ჩააჩუმებ“.

მეორე დილით მოხუცი მოურავი ქალის, კლორინდის, გამოგზავნილი კაცისაგან შევიტყვეთ, რომ ბატონი დიუბუა გარდაცვლილიყო. თვალის დახამხამებაში წმიდა ანას ქუჩაზე გაეჩნდი და ბატონ დიუბუას კარზე დავრეკე. მისი ბინა მხოლოდ ერთხელ მქონდა ნანახი და მახსოვს, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემში. წინკარში კლორინდი იდგა და სტუმრებს უყვებოდა: ბატონს არ გაუღვიძია, როცა საუზმე მივართვი; დავუძახე, მხარზეც შევახე ხელი, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ ეტყობოდა. ექიმის მოსაყვანად გავიქეცი, დახედა თუ არა, თქვა, რამდენიმე საათის წინ გარდაცვლილა.

ყვებოდა ამას, გულამოსკენით ტიროდა და თან ღვინის სუნადა ყარდა.

მერე ბატონი დიუბუაჲ ვიხილე სასიკვდილო სარეცელზე გაშოტილი. მისი ოდესლაჲ დაჲდაჲ სახე ახლა თეთრი მარმარილოსაგან ნაქანდაკევესა ჰგავდა; გეგონებოდათ, ძლიერი და ჯერ კიდევ ჰარმაგი კაცის სახეაო. თავთან იტალიური სკოლის საუცხოოდ ნახატი შიშველი ფიგურები ეკიდა, აგრევიგად რომ უყვარდა სიცოცხლეში. იქვე იყო ჟერარის „სელინაც“, ყმაწვილს ოდესლაჲ გრძნობები რომ ამიფორიაჲა.

მზერა ისევ ამ შემადრწუნებლად ლამაზ მიცვალებულზე გადავიტანე. ბატონი დიუბუა იყო ყველაზე უფრო ბრძენი ადამიანი, ვისთან შეხვედრაჲ კი მარგუნა ბედმა ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, თუმცა ისეთი ხალხიც მცნობებია, ვინც სახელი გაითქვა თავისი ნაწერებით. მაგრამ ბატონ დიუბუასა და ზოგიერთ სხვათა მაგალითმა, ვისაც მასავით ნაშრომები არ დაუტოვებია, მაფიქრებინა, რომ კაცთა შორის უნიჭიერესნი შეიძლება უკვალოდ გაჰქრნენ; და რაღად უნდა გვიკვირდეს, რომ ის, ვინც დიდებასა და სახელს არ დაეძებს, ბევრად მეტობს იმას, ვინც ამ დიდების მოხვეჭას პირმოთნე სიტყვებით ცდილობს ხოლმე.

## X XIX

### მუხათა თეატრი

ბალდადში გამგზავრებას სულ სდებდნენ და სდებდნენ.

ამასობაში ქალბატონ ერიოსთან ერთი მსხვილი მრეწველის ვაჟი გავიცანი, ვიქტორ პელერენი, რომელსაც გატაცებით უყვარდა თეატრი. წარმოსადეგი ბიჭი იყო, სულ გახვითქული და აქოშინებული; თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, გულფიცხი იყო და თანაც მეტად მოსიყვარულე. გაზის დიდი კომპანიისაგან როგორღაც ვრცელი დარბაზი აეღო იჯარით ბერსიში, თეატრი დაეარსებინა და წარმოდგენებს მართავდა. მის თეატრს არაფერი არ აკლდა: სცენაცა ჰქონდა, დეკორაციებიც, კულისებიცა და საპირფარეშოებიც მსახიობებისათვის.



სახელად „მუზათა თეატრი“ ერქვა და თუ მაინცდამაინც არა სწყალობდნენ ეტერპესა და ტერფსიქორეს ხელოვნებას, თალიასა და მელპომენეს ერთგულად მსახურებდნენ. ერთი სიტყვით, მისი სახელი გამართლებული იყო, მაგრამ ძალიან კლასიკური ჩანდა იმ დროისათვის, როცა რომანტიული გამოვნება გახლდათ გაბატონებული და მაყურებელი ვერ მიიზიდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს მაინცდამაინც დიდი უბედურება არ უნდა ყოფილიყო თეატრისათვის, სადაც უფასოდ, მოპატიჟებით დაიარებოდნენ. მე, ჩემდა თავად, ეს სახელი ძალიან მომწონდა. კაცი მსახიობები სულ მაღალი საზოგადოების ხალხი იყო, ახალგაზრდა სცენისმოყვარეები, ვიქტორ პელერენის მეგობრები. მსახიობ ქალებად კი პროფესიონალები ჰყავდათ, ოდენიდან და პარიზის სხვა თეატრებიდან საგანგებოდ მოწვეულნი. მათ შორის კომედი-ფრანსეზის დასის ორი წევრიც ერია. თუმცა გასამრჯელოს მცირეს უხდიდა, პელერენი თავის თეატრისათვის მაინც საკმაოდ კარგ მსახიობებს შოულობდა ხოლმე; მისი დასის წევრები სამუშაოს თავს ჩინებულად ართმევდნენ. ამ ბრგვე ბიჭში თავმოყრილი იყო თეატრის კარგი დირექტორის ყველა თვისება და მათ შორის უპირველესი — სიძუნწეც — უხვად ჰქონდა ბოძებული. უმისობა არც იქნებოდა, თეატრს ხომ არავითარი შემოსავალი არ მოჰქონდა მისთვის, ხარჯს კი ბევრს მოითხოვდა. ხარჯი იმდენი ჰქონდა, რომ თუმცა მდიდარი ოჯახის ერთადერთი მემკვიდრე იყო, ფული მაინც არა ჰყოფნიდა. მაინც ვეჭვობ, რომ ასეთი ცოტა სახსრების გაღებით ხელოვნების სხვა დარგში ოდესმე ამგვარი წარმატებისათვის მიეღწია.

ერთმა შემთხვევამ საშუალება მომცა დავსწრებოდი მუზათა თეატრის რეპეტიციებს. აკი მოგახსენეთ, ვიქტორ პელერენი თეატრის საუცხოო დირექტორი იყო-მეთქი; მშვენივრად არჩევდა პიესებს. რაკი ყოველი ნაწარმოები მხოლოდ სამჯერ იდგმებოდა, მაინცდამაინც აუცილებელი არ იყო აჰყოლოდნენ ფართო საზოგადოების გემოვნებას. პელერენიც მართო იმაზე ზრუნავდა, რომ მისი წარმოდგენები თეატრალებს მოსწონებოდათ და ადვილდაც აღწევდა საწადელს. მე რომ გავიცანი, უკვე დადგმული ჰქონდა ბენ ჯონსონის „ალქიმიკოსი“\*, გოეთეს პირველი „ფაუსტი“, მარივოს\* „გულწრფე-

ლობა“. ამ პიესებს სხვაგან ვერსად ნახავდა კაცი. მერე გადა-  
წყვიტა, „ლისისტრატეს“<sup>1</sup> დაედგა. ამგვარი რამ იმხანად ძვი-  
რად თუ მოუვიდოდა ვინმეს თავში. ნუ დაგავიწყდებათ, რომ  
ეს ამბავი ძალინ დიდი ხნის წინათ ხდებოდა. რაკი ყურში  
ჩასწვდა, რომ მეც ძველი საბერძნეთის ლიტერატურისა და ხე-  
ლოვნების ტრფიალი ვიყავ, იფიქრა, რჩევით შემეწევა, არის-  
ტოფანეს პარიზს გადმოყვანაში მიშველისო და რეპეტიციებზე  
მიმიწვია. მას შემდეგ არც ერთი რეპეტიცია არ გამიცდენია;  
განა იმასა ვფიქრობდი, მართლა რაიმე სარგებლობის მოტანა  
შემძლია-მეთქი, უბრალოდ, მომწონდა იქ ყოფნა. თეატრს  
გამიჩნურებული გოეთე ამბობდა, უღიმღამო და სუსტად  
ნათამაშევი პიესაც კი საუცხოო სანახაობააო. მეც ამ ღვთაებ-  
რივი კაცივით ვფიქრობდი და რეპეტიციებზედაც ამიტომ  
მიმიხაროდა. მაღალბედა ცქერა იმისა, ჯერ დაუხვეწავი, უთავ-  
ბოლო ფრაზები მწყობრ დიალოგად როგორ გადაიქცეოდა და  
მსახიობთა ჟესტ-მიმიკაც თანდათანობით როგორ იხვეწებოდა.  
ჯანა საამო საცქერელი არაა, როცა ქალები და მამაკაცები,  
რომლებიც სხვებს არც არაფრით სჯობიან და არც არაფრით ჩა-  
მოუვარდებიან, სხვასავით ეგოისტები, ხარბები, შურიანები,  
ექვიანები, გაუტანლები არიან, მაინც თავგამოდებით მუშაობენ  
საერთო ინტერესისათვის, ჯიუტი შრომით ჰქმნიან ბედნიერ  
ანსამბლს, ხმაშეწყობით ლაპარაკობენ და სრული თანხმო-  
ბით ირჯებიან? ლისისტრატეს ოდენიდან მოწვეული მარი  
ნევე ანსახიერებდა, ჩვენი ულამაზესი და საუკეთესო მსახიო-  
ბი ქალი. მის ნახვას არაფერი სჯობდა: თმები ყვითლად შეე-  
ღება, თვალები შავი ჰქონდა და დაბინდული. მისი უკითხავი  
არაფერი იყო მუზათა თეატრში.

— მე უპირატესობას არც ერთ ქალს არ ვანიჭებ, — იტყო-  
და ხოლმე ვიქტორ პელერენი, — გამორჩევით თუ შევიყვარე  
ვინმე, მართვას ვეღარ შევძლებ.

ამგვარი რამის თქმა თეატრის იმისთანა კარგ დირექტორს  
არ ეკადრებოდა. სიმართლე თუ გნებავთ, ყველას მარი ნევე  
ერჩია და ძალიანაც უჭირდა თავის პატარა დასის მართვა.  
ამიტომაც დასჩემდა გულფიცხოზა, ნაღვლიანიც ამიტომ იყო  
და მუდამ წარბშეკრულიც ამიტომ დაიარებოდა. მაგრამ გამორ-  
ჩევითაც რომ არ ჰყვარებოდა ვინმე, მაინც უამრავ დაბრკო-

ლებას წააწყდებოდა თავის გზაზე, რადგან თეატრის ხელ-  
 მძღვეანელობა ისეთი საქმეა, თან ათასგვარი, მოულოდნელი  
 ფათერაკი რომა სდევს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ვიქტორ პე-  
 ლერენს თავისი ხელობაც სწორედ ამიტომ უყვარდა და კიდევ  
 იმიტომ, რომ შეეძლო ვინმე თავის რჩეულად დაესახა და გაე-  
 ნებივრებინა კიდევ. ამ საქმეში მას არც მისი ამხანაგები, მსა-  
 ხიობი მამაკაცები ჩამორჩებოდნენ. ყველა მათგანს თავისი რჩეუ-  
 ლი ჰყავდა და რაკი გემოვნება განსხვავებული ჰქონდათ, ეს დიდ  
 არეულობას იწვევდა დასში, მაგრამ ბოლოს ყველაფერი მშვი-  
 დობიანად გვარდებოდა ხოლმე. მეც პირველი დღიდანვე გავი-  
 ჩინე სათაყვანო კერა. ეს ლამპიტო გახლდათ, ლაკედემონე-  
 ლი ქალი, რომლის როლსაც ოდეონის ყოფილი მსახიობი ჟანა  
 ლეფუელი\* ასრულებდა. როლი უმნიშვნელო იყო და ჟანა  
 ლეფუელმა მთხოვა, რაღაც-რაღაცები ჩაუმატეო. მეც ბევრი  
 აღარ ვახვეწინე, ავდექი და, ვაი სირცხვილო, სატრფოს საამებ-  
 ლად არისტოფანეს ტექსტი გავავრცე! ნამუსის მოსაწმენდად  
 გეტყვი, რომ „ლისისტრატემ“ მუზათა თეატრში იმდენი  
 ცვლილება განიცადა, რაღაც სასწაულად თვით არისტოფანეც  
 რომ წამომდგარიყო, თავის პიესას ვერც კი იცნობდა. მაგრამ  
 რად უნდა ვეძიოთ მიზეზი. სხვაგან, როცა ყველაფერი ჟანა  
 ლეფუელის ლამაზი თვალების ბრალი იყო? ისეთი ნაცრისფე-  
 რი თვალები ჰქონდა, ისეთი ნაცრისფერი, რომ ნაცრისფერს  
 ჰგავდა და არცა ჰგავდა; ასეთი თვალები თავის დღეში არ  
 უნახავს ვინმეს და ალბათ ვერც ვერასოდეს ნახავს. ღია ნაც-  
 რისფერი თვალები ჰქონდა, წყლიანი, კამკამა, მოუხელთებე-  
 ლი, ეთეროვანი, ჰაეროვანი. შიგ ძლივს შესამჩნევი სხივოსანი  
 წერტილებიც ტივტივებდნენ; ჯერ ზედაპირზე იყრიდნენ თავი,  
 მერე ერთბაშად ჩაყვინთავდნენ და ისევ ამოიყურყუმალავებ-  
 დნენ ხოლმე. ჟანა ლეფუელი არც მარი ნევესავით ქორთა იყო,  
 არც მასავით ბრწყინვალე გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ უფრო  
 კობტად იყო მოყვანილი; ეს დიდი ღვთის წყალობაა, მაგრამ  
 მამაკაცთა უმრავლესობის თვალში ბევრს არაფერს ნიშნავს  
 ხოლმე. კაცთა უმეტესობას ხომ ოღონდ ლამაზი სახე უჩვენე  
 და დანარჩენს ეგრერიგად არ დაგიდევნენ. ეინ თქვა ეს? ამ  
 დარგის დიდოსტატმა: კაზანოვამ\*. მას შეეძლო ისიც დაემა-  
 ტებინა, რომ ცოტას თუ ძალუძს ფორმათა სიმშვენერის შეფე-

სება. მე კი, ჩემდა თავად, ძალიან მადლიერი ვიყავე უანა ლეფუელისა იმის გამო, რომ ისეთი საუცხოო ტანი ჰქონდა.

ლამპიტოს როლი, მართალია, გავავრცე, მაგრამ მაინც მოკლე გამოვიდა. ამიტომ უანა ლეფუელს დრო თავზე საყრელად ჰქონდა და ჩემთან საუბარში კლავდა. თავისუფლად რომ გვეპუქუქუა, სცენიდან მოშორებით უნდა ვმდგარიყავით, რადგან ვიქტორ პელერენი დარბაზში მცირედ ხმაურს მოჰკრავდა თუ არა ყურს, ბრაზით ცოფებსა ჰყრიდა და ლანძღვა-გინებას იწყებდა. უანა ლეფუელის ყოველ სიტყვას ალტაცებაში მოეყავდი. ბუნებით ნიჭიერი იყო და შესაძლოა, ჩვენს სხვა მსახიობ ქალებზე უფრო ნაკითხიც გახლდათ, მაგრამ მართო ამით როდი მომხიბლა. საუბარში, საზოგადოდ, საუბრის საგანს ცოტა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის; პატარაცა და დიდი თემაც ადვილად გამიტაცებს, თუკი მასზე ჩემ გუნებისად მსჯელობენ ხოლმე. მაინცდამაინც მომთხოვნიც არა ვარ, კაცს ჰკულის ნატამალი თუ გააჩნია, ადვილად შეძლებს თავი მომაწონოს, თუმცა ბევრი მეტისმეტად ზავთიანი მოლაპარაკეც ხშირად შეურაცხყოფს ჩემს გემოვნებას. ქალთა უმეტესობას უჭირს ჩემი გულის მოგება. მათი საუბარი ძვირად თუ მომეწონება, მაგრამ თუ მომეწონა, ალტაცებას ველარა ვფარავ. გამოგიტყდებით და, ვბრაზობ ხოლმე, როცა კერძო საუბარში მეტისმეტად სწორად ლაპარაკობენ, ეს მომხსენებლის საქმეა. მომხსენებლის სიტყვა ხომ სურათია, დასრულებული მხატვრობა. კერძო საუბარი კი ჩანახატთა წყებას მაგონებს; მე კი ჩანახატებშიაც ის მომწონს, რაც ფერწერაში. ჩანახატი ლალი, მკაფიო, გამომწვევი და დაძაბული უნდა იყოს; ცოტა ზომასაც უნდა გადადიოდეს, სინამდვილეს აჭარბებდეს, რათა უკეთ დაგვანახოს ეგ სინამდვილე. საუბრისგანაც ამას მოვითხოვ: საუბარი მაშინ მემამება, თუ თვალწინ ესკიზთა მთელ წყებას გამიტარებს. მაღალი საზოგადოების ქალთა უმრავლესობას ეს როდი ძალუძს. უანა ლეფუელი კი ამას ჩინებულად ახერხებდა, ბუნებრივად და სულ იოლად. მისთვის რომ გეგდოთ ყური, გეგონებოდათ, დომიეს ალბომსა ვფურცლავო; ბრწყინვალე სალონებში თავშეყრილ ბანოვანთა მეტყველებას რომ ისმენ, მაშინ კი გეჩვენება, „რევიუ დე დე მონდის“ სტატიას ვლექავო. მართალია, უანა ლეფუელი ამადლებულ საგნებზე არა მსჯელობდა და მი-

სი საუბრის საგანიც კნინი იყო, მაგრამ ისე ცოცხლად დაგიხატა ედა ყველაფერს, შენდა უნებურად მნიშვნელოვანი გეგონებოდა. ყველაზე ხშირად კულისების ამბებსა ყვებოდა, პროფესიულ მეტოქეობასა და მიჯნურთ რაყიფობაზე ჩამოაგდებდა სიტყვას; მიაშობდა ეჭვიან ცოლთა სიშმაგეზე, მსახიობ ქალთა უხანო მეგობრობაზე, ერთ საღამოს განასკვეული წამში რომ ირღვეოდა, კვლავ შერიგება მოსდევდა და კვლავ ჩხუბით მთავრდებოდა. ზოგჯერ კომედიანტთა ოინებზედაც მიყვებოდა ხოლმე. ერთხელ ისიც მიაშობ, როგორ შეაჩეჩა პიროსმა სცენაზე ანდრომაქეს ხელში კვერცხი\* და ჰექტორის საბრალო ქვრივიც მეფეს ვედრებით რომ უწვდიდა ხელებს, კვერცხს ხან ერთ ხელში მალავდა და ხან მეორეში.

ასეთ უღმობელ სასჯელს, მარქვი, ვით განუმზადებ!..

ამგვარი რამეების დახატვა ძალიან ემარჯვებოდა; ამაში ბუნებრივი ნიჭიც უწყობდა ხელსა და პროფესიაც. მსახიობს ხომ მისი ხელობა ასწავლის ხედვასა და გრძნობას, აჩვევს საგანთა ფორმისა და ნიშანთვისების უკეთ გარჩევას. რა საამური წუთები მიტარებია მისი წყალობით მუზათა თეატრის დიდ, ცარიელ, ჩაბნელებულ დარბაზში.

რეპეტიცია შუალამისას თავდებოდა და ჰქვიანი ხალხი იშლებოდა კიდევ. ჩვენ კი ვრჩებოდით და სულეებს მოგუხმობდით ხოლმე. ყველა ქალი სპირიტი იყო. არ ვიცი, ჟანა ლეფუელს, თავისი ხელით უსინდისოდ რომ ატრიალებდა მაგიდას, სულებისა მართლა სჯეროდა თუ არა. მაგიდა ხანდახან ნელა მოდიოდა ეშხში, მაგრამ ბოლოს მაინც აიწეოდა ხოლმე. ან კი გამუღმებით წინააღმდეგობა როგორ უნდა გაეწია ამდენი მოუთმენელი ხელის დაწოლისათვის? სულეებს ტიფტოლოგიური მეთოდით ვეკითხებოდით, ესე იგი, ვუთანხმდებოდით, რა ასოს ნიშნავდა ერთჯერადი, ორჯერადი ან სამჯერადი დაკაკუნება. ერთი დარტყმა ა-ს ნიშნავდა, ორი ბ-ს, სამი გ-ს და ასე შემდეგ. ერთი დარტყმა კიდევ ჰო-ს უღრიდა, ორი — არას. სულელებიც ამ ენით გვესაუბრებოდნენ და ზოგჯერ ისეთ პასუხებს გვაძლევდნენ, აზრის გამოტანა ჰქირდა. მიკვირდა, ეს სულეები ასე რამ გამოათაყვანა-მეთქი და როცა ჩემი გაოცება სხვასაც გაგანდე, ჩვენმა გადიამ, ტერეზა დიუფლონმა საკმაოდ გონივრული პასუხი მომცა:

— მიცვალებულთა სულებს რასა სთხოვთ; განა სიკვდილი  
კაცს აჰკვიანებს?

რამდენი არ ვეცადეთ, მაგრამ ლეიბების მჩეჩავი ქალისა-  
გან, იმხანად რომ გარდაიცვალა ამიენში, მის ახლანდელ ყო-  
ფაზე ვერაფერი შევიტყვეთ. საბრალო ქალმა ისე განვლო ეს  
სოფელი, ბევრი არაფერი სცოდნია სიცოცხლეზე და მის-  
მა სულმაც ველარაფერი გაუგო სიკვდილის სამყოფელს.  
სიკვდილ-სიცოცხლისა ბევრი არაფერი გაეგებოდა იმ სულთა  
უმეტესობასაც, რომლებიც ჩვენ გამოვიხმეთ. ტერეზა დიუ-  
ფლონს შემოჩვეული სულებიც ჰყავდა; ერთი მათგანი, შარლოდ  
წოდებული, დიდი ყიამყრალი ვინმე იყო. მეორეს გონზალვი  
ერქვა სახელად და მადმუაზელ ბერჟე დაბეჯითებით ამბობდა,  
ჩემი უდროოდ დაღუპული მიჯნურია, მეც რომ გაგიყებით მი-  
ყვარდაო. ჩვენ დიდი მღელვარებით ვესწრებოდით მიცვალე-  
ბულისა და ცოცხლის ამ შეხვედრებს. მაგრამ მაგიდის ფეხის  
ბრაახუნი სიყვარულისათვის საკმაოდ მდიდარი ენა არ იყო და  
გონზალვმა მალე თავი მოგვაბეზრა. ერთი მსახიობი ქალი,  
ტურფა როზამონდი სხვაზე მეტ ცნობისმოყვარეობას იჩენდა  
და ნეკრომანტიასაც სხვაზე მეტის გატაცებით მისდევდა;  
ამეებში თვით მადმუაზელ ბერჟეც კი უკან მოიტოვა. განსა-  
კუთრებით მას შემდეგ გამოიღო თავი, როცა დარწმუნდა,  
უდროოდ დაღუპული პატარა გოგონას, ლუსის სული გამო-  
ვიხმეო. ეს ის ლუსი გახლდათ, შვიდი წლისამ რომ ითამაშა  
ოდენონში და ცოტა ხნის შემდეგ სულიც დალია. მოკლედ,  
გაიზიარა ბედი ყრმა სეპტანტრიონისა, რომელმაც სულ ორჯერ  
იცეკვა ანტიპოლისის თეატრში და ყველას გული დაიპყრო  
(Biduo saltavit et placuit). როზამონდი კითხვას კითხვაზე  
აყრიდა საბრალო ლუსს. ეკითხებოდა, როგორ ცხოვრობდი,  
როგორ განვლე წუთისოფელი, ან ახლა რა დღეში ხარო. ლუ-  
სი თითქმის არ ლაპარაკობდა და ჩვენთანაც ძალიან ცოტა  
ხანს რჩებოდა. შევატყვეთ, რომ სხვა სულეებზე ბევრად უფრო  
სუსტად აბრაახუნებდა და მისი სწრაფი გაქრობაც მის ბავშვურ  
დაუდგრომლობას მივაწერეთ. როზამონდმა იმდენი ჰქნა, იმ-  
დენს ეცადა, რომ ტიფტოლოგიური მეთოდით ლუსის დეიდა-  
საც დაუკავშირდა და მიცვალებულს სხვათა შორის, ისიცა.  
ჰკითხა, ლუსი ვისი შვილი იყოო და რაკი დეიდას, პასუხმა

არ დააკმაყოფილა, ბოლოს და ბოლოს ლუსის ოჯახის ყველა გარდაცვლილი წევრი გაიცნო, ყველას წვრილად გამოჰკითხა მისი ამბავი, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დაადგინა, ვინ იყო ბავშვის დედა და ვინ დიდედა. მოკლედ, ამოდ დაშვრა; ცნობისმოყვარეობა ისევე ვერ დაიკმაყოფილა, როგორც იმ ერუდიტებმა, დიდის ამბით რომ იკვლევდნენ, ვისი ქალი იყო ყმაწვილი მენუ, მოლიერის დასში რომ თამაშობდა.

მოცეკვავე მაგიდის ირგვლივ შეკრებილ დედაკაცებს თუმცა ჰქუა არ აკლდათ, სპირიტული სეანსების დროსაც ნიადაგ ენაკვიმატობდნენ, ურცხვად თაღლითობდნენ და ყალთაბანდობასაც არ იშლიდნენ, გულის სიღრმეში მაინცა სწამდათ, რომ მიცვალებულთა სულები მართლა დაფარფატებდნენ ამ სამი სანთლით განათებულ დიდ დარბაზში, სადაც ისე, ვით ულისე კიმერიელთა მხარეში, ჩვენც ნეკიას ვწირავდით სულეთის ღმერთს.\* სანთლები მხოლოდ მაგიდას ანათებდნენ, დარბაზი კი წყვდიადში იყო დანთქმული. ქალებს ანაზღად უმიზეზო შიში აიტანდათ, გაბმით კიოდნენ და თავტანდაკარგულები უზარმაზარი ჩიტებივით აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ერთმანეთს დაეძებდნენ და ხელსა ჰკრავდნენ, ფეხები ებლანდებოდათ თავიანთ კაბებში, ეცემოდნენ, დედებს უხმობდნენ საშველად და გამალებით პირჯვარს იწერდნენ. ხუთი წუთის შემდეგ კი მოხტუნავე მაგიდის ირგვლივ ისევ გაისმოდა მხიარული შეძახილები, ყივილ-ხივილი და სიცილ-ხარხარი. ასე გრძელდებოდა ღამის ორ საათამდე ან სამის ნახევრამდე.

მერე მე ჟანა ლეფუელი უნდა მიმეცილებინა სახლში, ასასის ქუჩაზე. ეს წუთის საქმე როდი იყო; ჯერ ეტლი უნდა დამეჭირა, ეტლის შოვნა კი არცთუ ისე იოლი გახლდათ, განსაკუთრებით წვიმის დროს. თუ ბედი გაგვიღიმებდა, თხუთმეტი ან ოცი წუთის ლოდინის შემდეგ წითელფარდებიან ეკიპაჟს ვიჭერდით, რომლის კოფოზედაც მოსასხამში გახვეული მოხუცი მეეტლე წამოსკუბებულებიყო; ეტლში ყოველთვის უხეირო ჯაგლაგი ება ხოლმე და კოჭლობით ძლივს მიდიოდა. ერთი საათი მაინც გვეკირდებოდა ლუქსემბურგის მისადგომებთან მისასვლელად, მაგრამ მე როდი ვჩიოდი. მარტონი ვიყავით და საუბარიც უფრო ინტიმური ხდებოდა. უსაზღვრო ნდობით ვეკიდებოდი ჟანა ლეფუელს, თავდავიწყებით ველაპარაკებო-

დი, მის სიახლოვეს რომ ვიყავ, მინდოდა გული მთლად გადამეხსნა. ისიც თავის თავზე მესაუბრებოდა, თავისუფლად, შინაურულად, მაგრამ ყველაფერს როდი მიმხვლდა. ვგრძნობდი, რომ ყველაზე უფრო გულახდილი აღსარების დროსაც კი თავისი ცხოვრების, თავის გრძნობათა დიდ ნაწილს ფარავდა და არც თავის ნამოქმედარს მიმეღვენებდა ბოლომდის. ალბათ სიფრთხილით მოსდიოდა, ან არა და, ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ წარსულიცა და მომავალიც არ ანაღვლებდა. არ მეგულება ქვეყნად ქალი, ვინც თავის ცხოვრებას მასავით მხოლოდ აწმყოთი ფარგლავდეს. ამიტომაც იყო, რომ სულის სიმშვიდე თავის დღეში არ ღალატობდა. არ უწყოდა, რა იყო სინანული და მწუხარება. მშვიდ ზღვასა ჰგავდა წყნარი და უშფოთველი.

ფიაკრი ასასის ქუჩაზე, თვრამეტი ნომერი სახლის წინ ჩერდებოდა. როცა კიდევ გვქონდა სათქმელი, მეეტლეს გავუშვებდი და ჟანას მეოთხე სართულის პაწია ბინამდე მივაცილებდი. შიგ რომ შეგეღწიათ, მაგრად უნდა ჩამოგერეკათ ზარი. მაგრამ მეკარემდე ხმის მიწვდენა ძალიან ჭირდა. „საქმეც ეგ იყო საძნელო და სახათაბალო“\*, როგორც ვერგილიუსი ამბობს ერთგან. ჩვენ მაინც არ ვეშვებოდით, მაგრად ვარყევდით ზარს, კარებს მუშტებსა და წიხლებს ეუბრაახუნებდით და მეკარესაც რის ვაივაგლახით ვაღვიძებდით. სეზამი იღებოდა. და ჩვენც ჩვენი ჯაფის საზღაურს ვღებულობდით. მსახიობი ქალის ოთახი მდიდრულად მორთული არ იყო; შიგ მხოლოდ ერთი რკინის საწოლი, კაკლის კამოდი და სარკიანი კარადა იდგა, მაგრამ სარცარი სისუფთავე სუფევდა ირგვლივ. ჟანა უცნაურად რთავდა თავისი ბინის კარებს: ზედ წყლის საღებავებით დახატულ ჩარჩოებში ჩასმულ ლექსებს აკრავდა. ამ ლექსებს მომხიბვლელობა არ აკლდათ, მაგრამ ცოტა პროსოდიაში მოიკოჭლებდნენ და ეს მეჩოთირებოდა, თუმცა დღეს ამგვარ ნაკლს ვერც კი შენიშნავს კაცი. აკი უწინაც მითქვამს, მეტად დიდი ხნის წინანდელ ამბებს მოგახსენებთ-მეთქი.

ერთ დილით, ჟანას რომ ვესტუმრე, საკერავს უჯდა. დიდი, კუს ფარის ჩარჩოიანი მრგვალი სათვალე უცნაურად ეკოსა ცხვირზე. გარს უამრავი პატარა კოლოფი შემოაეწყო, ძველი, პაწია სანემსეები, მზრუნველი დიასახლისის ხელი რომ ეტყო-



ბოდათ. ყველაზე მეტად სწორედ ასე მიყვარს მისი გახსენება. ჩვენი შეხვედრიდან ერთი წლის შემდეგ ეანა ლეფუელმა მთლად დამივიწყა; მე კი მის ხსოვნას დღესაც გულით ვატარებ.

### XXX

#### უნდა თქვა, ბაღი მკონიაო, თუ სილარიზაჟი ბაჩნლი

ჩემი ცხოვრების მანძილზე ხშირად გამხსენებია ჰეროდოტეს სიტყვები, ბატონმა დიუბუამ რომ მამცნო ერთ დღეს: „უწყოდე კარგად, რომ სილარიზე ბერძენთ ერთგული მეგობარია; მას სათნოებაც მუდამ თანა სდევს, ასული სიბრძნის და ბრძნული მმართველობის“. მადლობას ვწირავ ღმერთს, ღარიბად რომ დამბადა. სილარიზე კეთილი მეგობარი შეიქნა ჩემთვის; მასწავლა ჭეშმარიტი ფასი კეთილდღეობისა, რასაც უმისოდ ვერ შევიცნობდი; თავიდან მაშორა ფუფუნების მძიმე ტვირთი და ხელოვნებისა და სილამაზის სამსახურში გამაღვივინა წუთისოფელი. გონიერება და სიმამაცეც მომმადლა. სილარიზე ხომ იაკობის ანგელოზია: ის აიძულებს თავის რჩეულთ, ბნელში შეებან მას და ომგადახდილნი გამთენიისას თუმცა გალახულნი არიან, მაგრამ სისხლი ეწმინდებათ ძარღვებში, უფრო მოქნილნი ხდებიან და მკლავშიაც მეტად ერჩით ღონე.

რაკი ამქვეყნიურ სიამეში წილი ცოტა მედო, უანგაროდ შევიყვარე ცხოვრება, შევიყვარე ტანშემოძარცული უსაფარველოდ, თავის სიშიშვლეში თვალწარმტაციც რომაა და შიშისმგვრელიც.

სილარიზე იმათ, ვისაც წყალობის თვალით უცქერს, სურვილს უნარჩუნებს, ერთადერთ ჭეშმარიტ სიკეთეს, რაც კი არსებობს დედამიწაზე. სძღვნის უბადლო ძღვენს, არსთა და საგანთ სიტურფეს რომ მატებს, ამო სურნელს ჰფენს ბუნებასა და თავის მომხიბვლელობით ამკობს.

„კაცთ ცხოვრება სულ ჭირია და ჩვენს ტანჯვასაც არ უჩანს ბოლო“, ამას ღაღადებს ფედრას გამდელი და მის ნათქვამს დღესაც არ გასვლია ყავლი. მოხუცი კრიტელი დიაცი ამასაც ამბობს: „და თუ რამ არის ამ ცხოვრებაზე უფრო ძვირფასი,

წყვიდიანი ფარავს, მზერას ვერ ვუწვდენთ. ამიტომ ვეტრფით ამ სიცოცხლეს, აგრე რომ ბრწყინავს დედამიწაზე, რამეთუ დღემდე სხვას არ ვიცნობთ, არც ის ვუწყით, შავეთს რა ხდება და ცრუ ზღაპრები თავზარსა გვცემენ“. მე რომ მკითხოთ, კიდევ იმიტომაც გვიყვარს სიცოცხლე, ეს მტანჯველი და მწარე სიცოცხლე, რომ გვიყვარს მწუხარება. ან კი როგორ არ გვიყვარდეს? ის სიხარულსა ჰგავს და ზოგჯერ მას შეერწყმის კიდევ.

## ბოლოსიტყვაობა

ეს მოგონებანი, „პატარა პიერის“ გაგრძელებას რომ წარმოადგენს, ყველა მთავარ ფაქტს უტყუარად აღწერს და მოკმედ პირთა ზნე-ხასიათსაც სრული სიმართლით გადმოგვცემს. როცა ამეების გახსენება დავიწყე უთავბოლოდა და უსისტემოდ „ჩემი მეგობრის წიგნსა“ და „პიერ ნოზიერში“, ჩემი ბავშვობის ბევრი მოწმე, ამ წიგნებში რომ უნდა გამომეყვანა, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მეც იძულებული გავხდი, შემეცვალა მათთვის სახელები და საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომ ჩემი გულახდილი მონათხრობით არ შემებღალა მათი სიამაყე ან კლემამოსილება. გული ზომ მუდამ ყელში სჩრიათ და თავიანთი ზნე-ჩვეულებების სააშკარაოზე გამოტანაც ერცხვინებათ იმ ბედნიერთ, ვისაც წუთისოფელი უჩინრად გაუვლია. თავიანთ სახელს გაზეთში თუ მოჰკრეს თვალი, საწყენად დაურჩებათ. ქებაცა და ძაგებაც ერთნაირადა სწყყინთ, ქვეყნის გასაგონი თუ შეიქნა. მერე ჩემს დედამამაზედაც ზომ უნდა მეთქვა რამე. მადლიერების გრძნობით აღსავსეს მათი ქების მეტი არა მეთქმოდა, მაგრამ ზოტბა შეფარვით უნდა შემესხა და მადლიც შენიღბულად მომეხსენებინა, საამურად რომ დარჩენოდათ.

ისინი უკვე დიდი ხანია, გვერდიგვერდ განისვენებენ დიდი, ხავსიანი ლოდის ქვეშ, იმ ტყის პირას, მათ უშფოთველს სიბერეს ჩრდილს რომ ჰფენდა. და ახლა, როცა მსახვრალმა წლებმა ნიაღვარივით ჩაიქროლეს და თან წაიღეს ჩემი ბაღლობა, კვლავ შიში მიპყრობს, ჩემდაუნებურად არ შევბღალლო, ჩირქი არ მოვცხო შეილურ მოწიწებას, დედის რძესთან ერთად რომ შემითვისებია.

მოკლედ, ან ისე უნდა მოვქცეულიყავ, როგორც მოვიქეც, ან ჩემს სიცოცხლეში სულაც არ უნდა გამომექვეყნებინა ეს უმნიშვნელო ამბები; აკი ასედაც ირჯებიან ზოლმე ისინი, ვინც თავის ცხოვრებას, ანდა რაიმე თავ-

გადასავალს აღწერს. გავკადნიერდები, მის ავტორს ამ საუცხოო გამოთქმას დავესესხები და ვიტყვი, რომ ყოველგვარი შემუარები „ხმა სამარიდან“\*. მაგრამ მე „ჩემი ბავშვობა“ შთამომავლობისათვის არ მიმიძღვნია. წამითაც კი არ გამივლია გულში, რომ ამ წვრილმანებმა შეიძლება მომავალი თაობა დააინტერესოს. ახლაც იმ აზრზე ვდგავარ, რომ რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, არც დიდებსა და არც პატარებს არ გვეყოლება შთამომავლობა, ისევე, როგორც არ ჰყოლიათ ლათინელ მწერლებს; ახალი ევროპაც მეტისმეტად განსხვავებული იქნება იმ ევროპისაგან, ჩვენს თვალწინ რომ იქცევა და არ შეიტკობს არც ჩვენს ნაზრევსა და არც ჩვენს ხელოვნებას. წინასწარმეტყველი არ ვყოფილვარ და ვერც განეჭვრიტე, რომ ჩვენს ქვეყანას უახლოეს დროში საშინელი ნგრევა ელოდა, როს ოცდაჩვიდმეტი წლისამ, ჩემი ცხოვრების შუაგზაზე, პატარა ანატოლი პატარა პიერად ვაქციე. მე, ჩემდა თავად, საწყენად სულაც არ დამრჩენია, რომ ქალაქზე სახელი და მდგომარეობა გამოვიცვალე. უფრო თავისუფლად შევიძელ ჩემს თავზე ლაპარაკი; არ გამჭირვებია ბრალი დამედო ჩემივე თავისათვის, დამეჩივლა, შემექო თავი ან დამეტუქსა ჩემი ნებასურვილისამებრ. ძველად, ვენეციის მკვიდრნი შინიდან გამოსვლისას საღილეში ხელისგულისოღენა ნიღაბს იკეთებდნენ ხოლმე და მით აფრთხილებდნენ გამვლელ-გამომვლელთ, ხმას ნუ გაგვცემთო. იმ ერთი ციდა ნიღაბისა არ იყოს, ეს გამოგონილი სახელიც, მართალია, არა მმალავდა, მაგრამ ცხადპყოფდა ჩემს სურვილს, რომ არ მინდოდა ვინმეს ვეცნე.

ეს შენიღბვა იმაშიაც წამადგა, რომ მიჩქმალა ჩემი უხეირო მეხსიერების ბევრი ნაკლი და რაც გადავიწყებულნი მქონდა, მისი გამონაგონით შევსების საშუალება მომცა. დიახ, ზოგიერთი სცენა მე თვითონ შევთხზი და გადავიწყებულთა ნაცვლად ჩაურთე ჩემს ნაამბობს. ასე რომ ვირჯებოდი, მხოლოდ და მხოლოდ ხასიათთა უკეთ გამოკვეთის სურვილი მამომრავებდა. ვფიქრობ, არც არაგის უთქვამს ასეთი სიმართლეს მინამგვანი სიცრუე. თუ მეხსიერება არ მდლაატობს, ჟან-ჟაკიც თავის „აღსა-

რებაში“ მსგავს რასმე ამბობს. წელან ვითხარით, ძალზე ცუდი მეხსიერება მაქვს-მეთქი, ოღონდ ეს ცოტა დაზუსტებას მოითხოვს: ოდესღაც ნანახ ჭრელ-ჭრელ სურათთა უმრავლესობა მთლად წაშლილა მასში, მაგრამ ის მცირედი, რაც შემორჩა, მკაფიოდ აღბეჭდილა და ჩემი მეხსიერება ბრწყინვალე მუზეუმს მოგაგონებთ.

ჩემს ბაღლობაზე ასე რომა ვწერ, ამას ერთი უპირატესობაც ახლავს, რაც ჩემის ფიქრით ყველაზე ძვირფასია: შესაძლებლობა მეძლევა ბევრად თუ არა, ცოტათი მაინც შეეურწყა ერთმანეთს გამონაგონი და სინამდვილე. ვიმეორებ: მე ძალზე ცოტა ტყუილი გავეურე ჩემს მოთხრობაში და ისიც მხოლოდ წვრილმანებში გეცრუეთ; მაგრამ ვინ იცის, შიგდაშიგ იქნებ მაინც საკმაოდა ვტყუოდი, რომ მკითხველისათვის თავი მომეწონებინა და ზოგი რამ მესწავლებინა კიდევ. შიშველ ჭეშმარიტებას არასოდეს არ უცქირიან. მას მუდამ იგავის, ზღაპრის, ან მითის სამოსელში ხვევენ ხოლმე. ასე შებურვილს ცნობენ ოდითგანვე და უყვართ კიდევ. მეც მინდა თავი დავირწმუნო, ცოტა ტყუილი რომ არა, ჩემი პიერი არავის მოეწონებოდა. ეგ სამწუხარო იქნებოდა, ჩემთვის კი არა, — მე ბევრს არაფერს ვითხოვ, — იმ სულებისათვის, ვისაც ჩემმა წიგნმა კეთილი აზრები მოჰბერა და ჩააგონა სადა, უბრალო სათნოებანი, ადამიანებს ბედს რომა სწევს. ერთი სიტყვით, ცოტა გამონაგონი რომ არა, ჩემი გმირი უსიცოცხლო გამოვიდოდა.

და მაინც, როდი ვამტკიცებ, ამგვარ შენიღბვას თან ზოგი უხერხულობაც არ ახლავს-მეთქი. რა გზასაც არ უნდა დაადგე კაცი, ყველას თავისი ფათერაკი თანა სდევს. ჩემც თანამომძე ლუსიენ დეკაეი\*, როცა თავისი ჩვეული ნიჭითა და გამჭრიახობით ანალიზს უკეთებდა „პატარა პიერს“, სხვათა შორის, იმასაც ამტკიცებდა, რომ მამაჩემმა ძალიან ბევრი დაკარგა, რაკი ავიღე და ექიმად ვაქციე. გეთანხმებით, მართლაც დაკარგა წიგნის მაღაზია, რაც ლუსიენ დეკაეისთანა ბიბლიოფილისათვის ცოტას როდი ნიშნავს. მაგრამ ჩემზე უკეთ არავინ უწყის, რომ მამაჩემს მაინც(ღამაინც გულზე არ ეხატებოდა ეს წიგნის მაღაზია.

კომერციული ნიჭის ნატამალიც კი არა ჰქონდა და თავისი წიგნების კითხვა უფრო ეხერხებოდა, ვიდრე გაყიდვა. მამაჩემი მეტაფიზიკოსი იყო და საგანთა გარეგნულ მხარეს დიდად არ დაგიდევდათ. წიგნი თუ მდიდრულად არ იყო გამოცემული, არა ნაღვლობდა და ბიბლიოფილები თვალის დასანახავად ეჯავრებოდა. ნურც იმას გაიოცებთ, თუ გეტყვით, რომ თავის კაბინეტში შეკეტილი ექიმი ნოზიერი უფრო ჰგავს მამაჩემს, ვიდრე თვით მამაჩემი, როცა დახლთან დგომა უწყევდა. მე ის წავართვი, რაც ბედისაგან ჰქონდა ბოძებული და სამაგიეროდ მივანიჭე ის, რაც მის გულსა და გონებას უფრო ესადაგებოდა. ბუკინისტური მაღაზია კი მართლაც გავაუქმე; დე, ლუსიენ დეკაემა შემინდოს ეს დანაშაული, წიგნის მაღაზია სამაგიეროდ ჩემს ჟაკ ტურნებრომს გავუხსენი. დეკავი სხვა რამესაც მიკიჟინებდა და მე რომ მკითხოთ, ჩემი ყველაზე დიდი შეცდომაც სწორედ ისაა. მაგრამ ვიმედოვნებ, დიდად არავინ გამინაწყენდება, ნათლიაჩემის ბინა გრან ოგუსტენის ქუჩიდან ასი ნაბიჯის იქით, სენ-ანდრე-დეზ-არის ქუჩაზე რომ გადავიტანე, სადაც ოდესღაც პიერ დე ლ'ეტუალი იდგა. სამაგიეროდ ჩემი ბავშვობის მოწმეთაგან ბევრისათვის ზნე ხასიათი არ შემიცვლია; ბევრს, ბატონ დიუბუას მსგავსად, სახელიც კი შეეუნარჩუნე. მხოლოდ აზნაურის ტიტული წავართვი, რომელსაც, ჩვენს შორის ითქვას და, არც კი ატარებდა ხოლმე.

ერთხელ უკვე ვთქვი, რომ ჟან-ჟაკივით მეც ვაფრთხილებ ჩემს მკითხველებს, ამის დამწერს ჩვენა ვჯობივართო, ტყუილად ნუ დაიჟინებენ. არ კი იფიქრონ, რომ დიდი წარმოდგენისა ვარ საკუთარ თავზე. მე სულ იმასა ვფიქრობ, ხალხი უფრო ბოროტია, ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს-მეთქი. თავი ისეთებად როდი მოაქვთ, როგორც სინამდვილეში არიან; იმალებიან, როცა ისეთი რამის ჩადენა სურთ, რაც მნახველს მათ თავს შეაძულებდა. ან შეაზიზღებდა; სააშკარაოზე კი მაშინ გამოდიან, როცა ყველას მოსაწონ საქმეს სჩადიან და საყოველთაო აღტაცება სურთ დაიმსახურონ. იშვიათად თუ შემიღია ვინმეს კარი მოულოდნელად, რომ სამარცხვინო, საძრახის

რასმე არ წავწყდომოდე და ადამის ძეთა მიმართ გულში ზიზღის ან სიბრაღულის გრძნობა არ აღმძვროდეს. ეჰ, ამეების თქმა მეცა მზარავს, მაგრამ თავი ვერ დამიოკებია.

ჭეშმარიტება უზომოდ მიყვარს, მაგრამ განა ყოველთვის ვუერთგულე? წელან თავს ვიწონებდი, სულ სიმართლეს ვმსახურობდი-მეთქი, ახლა კი, როცა ყველაფერი კარგად აეწონ-დაეწონე, თავს მაინცდამაინც ვერ გამოვიდებ. ჩემს ნაამბობში ხელოვნება ბევრი არ ჩამცქსოვია, მაგრამ ეგების ცოტა გამეპარა სადმე; ხელოვნება კი თავად მოგეხსენებათ, ოდითგანვე მასალის გადამუშავებას, ქარაგმულად თქმასა და სიცრუესაც გულისხმობს ხოლმე.

ისიც საკითხავია, ეს ჩვენი ენა ჭეშმარიტების სრულყოფილად გადმოსაცემად თუ გამოდგება; ენა კაცისა ნადირთ ძახილისაგან იშვა და მის თვისებებს ინარჩუნებს; ის გრძნობებს, ვნებებს, სიხარულსა და მწუხარებას, სიძულელილსა და სიყვარულს გამოხატავს. ჭეშმარიტების სათქმელად არაა შობილი. ტყის ნადირთა სულში ჭეშმარიტებას ბინა არ უძევს; ის არც ჩვენს სულებში ბუდობს და თუ მეტაფიზიკოსები მაინც საწინააღმდეგოს გვიქადაგებენ, ეს მათი უბრალო აზიერებაა და სხვა არაფერი.

მე მხოლოდ ისლა შემიძლია გითხრათ, რომ ბოლომდე გულწრფელი ვიყავი. ჭეშმარიტება თავს მირჩენია-მეთქი, ისევ ვიმეორებ. კაცობრიობას სჭირდება იგი; მაგრამ, ცხადია, კიდევ უფრო მეტად სჭირდება სიცრუე, რომელიც ანუგეშებს, ეპირფერება და ჭრელ-ჭრელ იმედებს აღუძრავს გულში. სიცრუე რომ არა, სასოწარკვეთასა და მოწყენილობაში ამოგვხედებოდა სული.

პატარა პიერი

გვ. 8. ღეოპოლდ კანი — კალმან-ლევის საგამომცემლო ფირმის დირექტორი; ა. ფრანსის უახლოესი მეგობარი. მის გამომცემლობაში იბეჭდებოდა მწერლის თითქმის ყველა ნაწარმოები.

გვ. 8. კაბანისი, ბიერ-ეან (1757—1809) — XVIII სკ-ის ფილოსოფოსი, თითქმის მატერიალისტურ თვალსაზრისზე მდგარი. სახელმწიფოებრივი ექიმი.

გვ. 11. ეან-ეაკი — იგულისხმება ფრანგი განმანათლებელი ეან-ეაკ რუსო (1712—1778) მისი რომანის „უიული ანუ ახალი ელოიზას“ გმირი ქალი არ მიჰყვა თავისი დროის ადამ-წესებს და შეიღებეს ძუძუს თავად აწოვებდა.

გვ. 12. ...მსოფლიონი მარსელს ეძახდნენ... — მარსელი პატარა პიერ ნოზიერის ნათლია; ფრანსს იგი „ჩემი მეგობრის წიგნშიცა“ ჰყავს გამოყვანილი.

დიდონა — ვერგილიუსის პოემის „ენეიდას“ გმირი ქალია, კართაგენის დედოფალი, სატრფო ენეასისა. ენეასმა იგი მიატოვა და ქალმა თავი მოიკლა. პადესში ჩასულ ენეასს დიდონას აჩრდილიც გამოეცხადა.

გვ. 13. გრიმოდელი რენიერი (1758—1838) — ავტორი წიგნისა „გურმანების ილმანახი“; ცნობილი იყო თავისი სიმსუქნით.

გვ. 15. სიმონანტუელი — ლორან-პიერ ეიუსიეს (1792—1866) ამავე სახელწოდების საყმაწვილო, აღმზრდელობითი რომანის გმირი.

გვ. 17. კალო, ეან (დაახლ. 1592—1685) — ფრანგი მხატვარი-გრავეორი. რეალისტური გროტესკის დიდი ოსტატი.

გვ. 10. ...როგორ გამოიქცა ბონაპარტი ჰამის ციხეს-სიმაგრედან... — საუბარია ლუი-ნაპოლეონ ბონაპარტზე, ნაპოლეონ I-ის ძმისშვილზე.

...როგორ გადაიცივა ცეროდენამ გენერლის მუნდირი... — ორმოციანი წლების მიწურულში გაზეფებში ხშირად წერდნენ ამერიკელ ჯუჯა ჩარლზ სტრატონზე, რომელიც 101 სმ სიმაღლისა იყო; მას ხუმრობით გენერალს ეძახდნენ.



გვ. 27. ნ ა ე ა რ ე ნ ი — თუთიყუშს ეს სახელი დაარქვეს ბერძენთა განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს ნაეარენის ახლოს მომხდარი შეტაკების საპატივცემლოდ.

გვ. 30. გ ა ნ ი მ ე დ ი — ძველი ბერძნული მითის მიხედვით არწივმა ზევისს ბრძანებით მოიტაცა ულამაზესი ყრმა განიმედი და ოლიმპზე აიყვანა, სადაც ქაბუკი ღმერთების მერიქიფედ იქცა.

გვ. 30. „ ბ ო ნ - მ ა რ შ ე “, „ ლ უ ვ რ ი “, „ გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი “, „ გ ა ლ ე რ ი ე ბ ი “ — პარიზის დიდი უნივერსალური მალაზიები.

გვ. 34. ბ უ ი ი, ე ა ნ - ნ ი კ ო ლ ა (1763—1842) — ფრანგი მწერალი, ავტორი მრავალრიცხოვანი სენტიმენტალურ-დიდაქტიკური მოთხრობების სერიისა ბავშვებისათვის.

გვ. 35. ბ უ ა ი, ლ უ ი - ლ ე ო პ ო ლ დ ი (1761—1845) — ფრანგი მხატვარი, ჟანრული სურათებისა და პორტრეტების ავტორი.

გვ. 38. პ ე რ ს ი ე და ფ ო ნ ტ ე ნ ი — ფრანგი არქიტექტორები. შარლ პერსიესმა (1764—1838) და პიერ-ფრანსუა ფონტენმა (1762—1853) შექმნეს ამპირის სტილი არქიტექტურასა და დეკორაციებში.

გვ. 37. ა რ კ ო ლ ე ს ა და ლ ო დ ის ბ რ ძ ო ლ ე ბ ი — ლოდისთან 1796 წლის მისიში და არკოლეში იმავე წლის ნოემბერში ნაპოლეონმა სასტიკად დაამარცხა ავსტრიელთა ლაშქარი.

გვ. 40. უ ი ლ ი ა მ მ ო რ ი ს ი (1834—1896) — ინგლისელი მწერალი და მხატვარი, ავტორი უტოპიური რომანისა „წერილები არსაიდან“.

გვ. 48. ა დ რ ი ე ნ ბ რ ო უ ე რ ი და ი ა ნ ს ტ ე ნ ი — პოლანდიელი მხატვრები XVII საუკუნისა, ხატავდნენ ჟანრულ სურათებს.

გვ. 44. ნ ე მ ე ს ი და — შურისძიების ქალღმერთი, სამართლიანობის აღმდგენელი (ბერძნ. მით.).

გვ. 40. ... გ ა ვ ის მ ტ რ ე დ მ ა ც მ ო ი შ ვ ე ლ ი ა — ავტორს მხედველობაში აქვს ლაფონტენის იგავი „ორი მტრედი“.

გვ. 50. ქ - ნ ი დ ე ბ ო რ დ - ვ ა ლ მ ო რ ი, მ ა რ ს ე ლ ი ნ ა (1785—1859) — რომანტიკოსი პოეტი ქალი. აქ ციტირებულია მისი ლექსი „მოწათე“.

... ბ ე რ ძ ნ უ ლ ი ტ რ ა გ ე დ ი ა თ ე ს პ ი დ ე ს ფ ო რ ნ ი დ ა ნ გა დ მ ო ვ ი და ... — ძვ. ბერძნული ტრაგედიის მამამთავრად ითვლებოდა პოეტი თესპიდე (VI სკ. ჩვ. ერამდე). გადმოცემის თანახმად ფორანი, რომლითაც ის საბერძნეთში დადიოდა, მისი ტრაგედიების სცენის მაგივრობას სწევდა; ქოროს გარდა მასში მხოლოდ ერთი მსახიობი მონაწილეობდა.

ო დ ე ო ნ ი (ბერძნ.) — მრგვალი შენობა მუსიკალური წარმოდგენებისათვის ძველ საბერძნეთში. „ოდეონი“ ეწოდა 1797 წელს პარიზში დაარსებულ თეატრს.

გვ. 51. კ ა ლ ი ბ ა ნ ი — შექსპირის დრამის „ქარიშხლის“ პერსონაჟი, ნახევრად კაცი, ნახევრად მხეცი.

გვ. 60. ო რ ლ ე ა ნ ის ტ ე ბ ი — მეფე ლუი-ფილიპ ორლეანე-

ლის მომხრეები იყვნენ, რომლის თავსაც კარიკატურისტები უზარ-  
მაზარ მსხლად ხატავდნენ.

ტ ი ე რ ი, ლ უ ი ა დ ო ლ ფ ი (1797—1877) — ფრანგი რეაქციუ-  
ლი პოლიტიკური მოღვაწე; მეორე რესპუბლიკის დროს რეაქციულ  
„წესრიგის პარტიას“ მეთაურობდა.

კ ო ნ ს ი დ ე რ ა ნ ი, ვ ი ქ ტ ო რ (1808—1893) — ფრანგი სო-  
ციოლოგი. ფურიეს მოწაფე და ერთგული მიმდევარი.

გვ. 80. კ ვ ი ე ტ ი ზ მ ი — რელიგიური მიმდინარეობა XVII საუ-  
კუნისა, რომელიც კაცისაგან ყოველგვარი სურვილის ჩაკვლას და  
ღვთის ნებისადმი უსიტყვო მორჩილებას ქადაგებდა.

გვ. 88. ჰ ე ს ი ო დ ე — ძვ. ბერძენი პოეტი (VIII სკ. მიწურ. და  
VII სკ. დასაწყ. ჩვ. ერამდე). ისტორიას განმარტავს, როგორც საუ-  
კუნეთა მონაცვლეობას, რომელთა მანძილზედაც ადამიანები თანდა-  
თან უარესდებოდნენ. გნომური პოეტები ეწოდებოდათ „გნომების“,  
ანუ იმ ნაწარმოებთა ავტორებს, რომლებშიაც მორალური ან ფი-  
ლოსოფიური სწავლა იყო მოცემული.

გვ. 70. გ ი ნ ი ო ლ ი — ფრანგული ხალხური თოჯინების თეატ-  
რის პოპულარული პერსონაჟი, ვისი სახელიც შემდგომში თოჯინების  
თეატრს ეწოდა.

გვ. 78. დ ე დ ო ფ ა ლ ი მ ა რ ი - ა მ ე ლ ი (1782—1866) — მეფე  
ლუი-ფილიპის მეუღლე; 1848 წლის რევოლუციის შემდეგ საფრან-  
გეთიდან იქნა გაძევებული.

გვ. 80. ...ლ ა მ ა რ ტ ი ნ ი ტ რ ი ბ უ ნ ა ზ ე ი დ გ ა... — პოეტი  
ლამარტინი 1848 წელს ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური მთავრობის  
წევრი იყო.

გვ. 83. ...ე ს მ ა ტ ი ლ დ ა ი ყ ო დ ა უ დ ა ბ ნ ო ს ქ ა რ ი შ -  
ხ ა ლ შ ი მ ა ლ ე ქ - ა დ ე ლ ს თ ა ვ ი ს რ ა ჟ უ ლ ზ ე ა ქ ც ვ ე დ ა... —  
სკულპტურული ჯგუფის სიუჟეტი აღებულია ქ-ნ კოტენის რომანი-  
დან „მატილდა ანუ მოგონებანი ჯვაროსნული ომების ისტორიიდან“  
(1805), რომელშიაც მოთხრობილი იყო ინგლისის მეფის — რიჩარდ  
ლომგულის დის მათილდასა და თურქეთის მხედართმთავრის მა-  
ლექ-ადელის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. ეს რომანი ძალზე  
პოპულარული იყო XIX საუკუნეში.

გვ. 86. რ ა შ ე ლ ი (1821—1858) — მისი ნამდვილი სახელი იყო  
ელიზ ფელიქსი. სახელგანთქმული ფრანგი ტრაგიკული მსახიობი,  
რომელმაც ფრანგულ სცენაზე კლასიკური ტრაგედია ააღორძინა.

გვ. 87. „ქ ი რ შ ე ნ ა ყ ა რ ი ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი“ — ლაფონტენის  
იგავი.

გვ. 81. კ ი ბ ე ლ ა — აღმოსავლურ და ანტიკურ მითოლოგიაში  
„ღმერთების დიდი ღედა“, ბუნების განსახიერება.

გვ. 82. ...მ ს ო ფ ლ ი ო ს ო რ მ ო ც დ ა ო რ ი წ ლ ი ს მ შ ვ ი დ ო -  
ბ ა მ ო უ ტ ა ნ ა... — საუბარია რომის იმპერატორზე ანტონინთა  
დინასტიიდან (II სკ.), რომელთა მმართველობის ხანასაც ბურჟუა-

ზიული ისტორიკოსები რომის სახელმწიფოში საშინაო და საგარეო მშვიდობის პერიოდად მიიჩნევენ.

გვ. 98. ...საბანს ინახავს, რომელზედაც სამეფო შროშანებიო ამოქარგული... — შროშანი ჰერალდიური ყვავილია ფრანგი მეფეების გერბში, მონარქიის ემბლემა.

გვ. 99. ქ-ნი ვიქუ-ლებრენი, ელიზავეტა (1755—1842) — ფრანგი მხატვარი ქალი, ხატავდა ფრანგი არისტოკრატების პორტრეტებს; რევოლუციის დროს ემიგრაციაში იყო.

გვ. 100. „ლურჯები“ — ლურჯებს მათი სამოსის ფერის მიხედვით ეძახდნენ XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის რესპუბლიკელ ჯარისკაცებს.

IV წელს — 1793 წლის ოქტომბერს იაკობინელთა კონვენტმა ახალი რევოლუციური კალენდარი შემოიღო, რომლის მიხედვითაც წელთაღრიცხვა. რევოლუციის გამოცხადების დღიდან დაიწყო — 1792 წლის 22 სექტემბრიდან. რესპუბლიკური კალენდრის IV წელი მოდიოდა 1795 წლის სექტემბრიდან 1796 წლის სექტემბრამდე.

ხულიანო სანჩესი — პარტიზანების ერთ-ერთი მეთაური ესპანეთის ომების დროს (1808—1813) ფრანგ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

გვ. 107. ჰერონის შადრევანი — სათამაშო, რომელსაც ძვ. ბერძენი შექანიკოსის პერონის სახელი ერქვა (II სკ. მიწურ. — I სკ-ის დასაწყისი ჩვ. ერამდე); შედგებოდა ორი ზიარი ჭურჭლისა და მილისაგან, რომლის შემწეობითაც წყალი მაღლა ჩქეფდა.

გვ. 107. ნიმფა ექვარიდე, ტელემაქე — ფრანგი მწერლის ფენელონის (1651—1715) დიდაქტიკური რომანის პერსონაჟები არიან. წიგნს სახელად „ულისეს ვაჟის, ტელემაქეს თავგადასავალი“ ჰქვია.

გვ. 109. როგორც რაბლესა ჰყავს დახატული... — რომან „გარგანტუასა და პანტაგრუელის“ მეხუთე წიგნში რაბლემ სატირულად დაგვიხატა სასამართლოს მოხელენი, ხარბი და სასტიკი კატები; მათ ერკებრცოგს კატის დრუნჩი და ყვავის ნისკარტი აქვს.

გვ. 112. ეჟანელიის პრინცესა — მეფე ლუი-ფილიპის შვილიშვილი. დაიბადა ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში.

გვ. 112. „ვერ-ვერი“ — ფრანგი პოეტის ჟაკ-ბატისტ გრესეს პოემა.

გვ. 110. ...ახსოვდა, როგორ აპობდა ზეცას ეროვნული ფერებით შემკული არწივი... — არწივის გამო-სახულება ნაპოლეონის იმპერიის ემბლემა იყო.

გვ. 117. ...მკერდს საპატიო ლეგიონის ორდენის ლენტი და წმიდა ლუის ჯვარი უმშვენებდა — საპატიო ლეგიონის ორდენი შემოიღო ნაპოლეონმა 1802 წ.; წმიდა

ლუის ჯვარი — სამეფო ორდენი, რევოლუციის მიერ გაუქმებული; ნაპოლეონის დაცემის შემდეგ, რესტავრაციის პერიოდში აღადგინეს.

გვ. 122. ...„ნორტუმბერლენდის“ გემბანზე მდგარ ნაპოლეონს მოგაგონებსო... — ამ გემით 1815 წლის 15 ოქტომბერს ნაპოლეონი წმიდა ელენეს კუნძულზე ჩაიყვანეს.

გვ. 132. ...ყვავილებით შეიმოსა მოლიო... — ტაეპი გრესეს პოემიდან „ვერ-ვერი“.

გვ. 126. ...საფრანგეთის კამპანიის დროს... — ავტორს მხედველობაში აქვს 1814 წლის საომარი მოქმედებანი, ნაპოლეონის ლაიფციგთან დამარცხების შემდეგ საფრანგეთის ტერიტორიაზე რომ იყო გაშლილი.

გვ. 127. „ეცხლის წამკიდებელი“ — მონარქისტული ბანდების ზედწოდება. ეს ბანდები 1795—1803 წლებში თავზარს სცემდნენ საფრანგეთის პროვინციებს.

გვ. 127. ...ხშირად იტყოდა ხოლმე, ნეტა ტახტზე იმ კაცის შეიღი ავიდოდესო... — იგულისხმება ნაპოლეონ I-ის შვილი, პერცოვი რეისშტატელი (1811—1832), ცნობილი იყო აგრეთვე ნაპოლეონ II-ის სახელით, თუმცა თავის დღეში ტახტზე არ მჯდარა.

პანუჩეი — რაბლეს რომანის „გარგანტუა და პანტაგრუელის“ პერსონაჟი.

გვ. 120. ეტიენი, შარლ-ნიკოლა (1777—1845) — ფრანგი დრამატურგი, რომელიც თავის ნაწარმოებებში ნაპოლეონს განადიდებდა.

გვ. 130. შიკანო — რასინის კომედიის „დავაქარნის“ (1668) გმირი.

გვ. 181. სამი სახელოვანი დღე — 1830 წლის რევოლუციის დღეები (27—29 ივლისი).

გვ. 182. ლაფაიეტი, მარო-ჟოზეფი (1757—1834) — ფრანგი გენერალი, XVIII სკ. რევოლუციის პირველი ეტაპის მონაწილე; 1830 წ. რევოლუციის დროს ლიბერალების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო და დიდად შეუწყო ხელი ლუი-ფილიპის გამეფებას.

ქარტია — ნაკულისხმევია კანონი კონსტიტუციაზე, რომელიც იძულებით გამოსცა ლუდოვიკო XVIII-მ. ივლისის კანონები (ორდინანსები) კარლ X-ისა არღვევდა ქარტიის ძირითად პრინციპებს და იქცა 1830 წლის რევოლუციის საბაზად.

გვ. 185. დავიდ დანეი, პიერ-ჟანი (1788—1856) — ფრანგი მოქანდაკე, რომელსაც ეკუთვნის პარიზის პანთეონის ფრონტონზე უზარმაზარი ბარელიეფი, საფრანგეთის ცნობილ აღამიანებს რომ განადიდებს.

იმპერატორის ტახტზე ასვლა... — ნაპოლეონ I-მა

გვირგვინი დაიდგა 1804 წ. 25 აგვისტოს, პარიზის ლეთისმშობლის ტაძარში.

გვ. 137. კეთილი სამართელი — იგულისხმება ევანგელიური იგავი კეთილ სამართელზე, რომელიც დაეხმარა გზაზე გაწოლილ მგზავრს მაშინ, როდესაც ორმა სხვამ საპყარს გულგრილად ჩაუარა.

გვ. 140. სიკორაქსი — ჯადოქარი. ურჩხულ კანიბალის დედა შექსპირის დრამიდან „ქარიშხალი“.

...პიქტეტები და მარკუს ავრელიუსები... — ე. ი. ბრძენი მსახურები და ბატონები; ეპიქტეტი (50—138 წწ.), მონა, შემდგომში გათარხნებული და მარკუს ავრელიუსი, რომის იმპერატორი (121—180), სტოიკოს ფილოსოფოსთა სკოლას ეკუთვნოდნენ.

გვ. 142. ...ასე ამბობდა ლაფონტენი, როს მადმუაზელ დე სილერიისათვის უარის თქმა ვერ გაებედა... — საუბარია იგავზე „ტირისი და ამარანტა“, რომელიც ამ ქალისადმი მიძღენილი; ფრანს სწორედ ეს მიძღენა მოჰყავს თავის წიგნში.

გვ. 143. რობერ მაკერი — გაქნილი გაიძვერა, ქურდი და კაციმკვლელი, მთავარი გმირი ანტიეს, სენტ-ამანისა და პოლიანტის მელოდრამისა „ადრეტის სასტუმრო“ და სენტ-ამანისა და ფ. ლემეტრის პიესისა „რობერ მაკერი“. მისი სახელი საზოგადო სახელად იქცა.

გვ. 144. ...თუკი დეკარტემ ინდომა და ცხოველები მანქანებად გამოაცხადა... — რენე დეკარტე (1596—1650) — ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ფიზიკოსი, მექანიკური ფიზიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისთვის სულიერი არსება ავტომატია, რომელიც მექანიკის იმავე კანონებს მოწინებს, როგორსაც მკვდარი ბუნება.

გვ. 147. მარშალის ულტი, ნიკოლა-ენი (1769—1851) — ნაპოლეონის მარშალი, შემდეგ, ლუი-ფილიპის დროს, სამხედრო მინისტრი გახდა..

გვ. 149. მიწიონი, — გოეთეს რომანის „ვილჰელმ მისტერის განსწავლის წლების“ პერსონაჟი, პატარა მოხეტიალე არფაზე დამკერელი ქალი, რომელიც მშობლიურ იტალიაზე ოცნებობს ხოლმე.

გვ. 153. გოდფრუა დე ბუიონი — ფრანგი ფეოდალი, რომელიც I ჯვაროსნულ ლაშქრობას მეთაურობდა. შემდეგში იერუსალიმის მეფე გახდა.

გვ. 172. „მოკლე წმიდა ისტორია“ — პირველადწეებითი წიგნი ლათინური ენის შემსწავლელთათვის, რომელიც 1784 წ. შეადგინა შარლ ლემონმა.

ფალანსტერული მოძღვრება — ფალანსტერები, ესაა

ვეება სასახლეები, სადაც ფრანგი სოციალ-უტოპისტის ფურიეს მოძღვრების თანახმად იცხოვრებდნენ და იშრომებდნენ მომავალი სოციალისტური საზოგადოების წევრები.

გვ. 178. ...მეფე ნუშას ბრძნულ კანონებს რომ უქადაგებდა... — გადმოცემის თანახმად, ლეგენდარული რომაელი მეფე-კანონმდებელი ნუშა პომპილიუსი (VII სკ. ჩვ. ერამდე) თავის მეუღლის, ნიმფა-წინასწარმეტყველის ეგერიას რჩევით მოქმედებდა.

გვ. 176. კამილ დემულენი (1760—1794) — XVIII სკ. მიწურულის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ერთი გამოჩენილ მოღვაწეთაგანი: ჟურნალისტი, ბრწყინვალე ორატორი; ბუნებით ენაბრგვილი იყო.

გვ. 177. ქალაქციეული კატა — იეტორს მხედველობაში აქვს ლაფონტენის ამავე სახელწოდების იგავი, რომელშიაც ქალაქციეული კატა კვლავ ინარჩუნებს კატის ზნეს.

გვ. 178. იმპერატორის მეუღლე ექენი-მარი დე მონტირო დე გუცმანი (1826—1920) — იმპერატორ ნაპოლეონ III-ის მეუღლე.

გვ. 179. რობერ-უდენი, ეან-ეტენი (1805—1871) — თავისი დროის გამოჩენილი ილუზიონისტი.

გვ. 188. ...დელფოს მისანსარვენდობი, არც ჩემი თავის შეცნობას ვცდილობ... — ძველბერძნულ ქალაქ დელფოსში, აპოლონის ტაძარში ცნობილი წინასწარმეტყველი ჰყავდათ, ფრონტონზე კი ეს წარწერა იყო ამოკვეთილი: „შეიცან თავი შენი“.

მონტენი, მიშელ (1533—1592) — ფრანგი მწერალი, „ფიქრების“ ავტორი. დიდის გულმოდგინებით ანალიზს უკეთებდა თავის აზრებსა და საქციელს; ამ საფუძველზე გამოჰქონდა დასკვნები ზოგადად კაცის ბუნებაზე.

გვ. 185. ფედრუსი — რომაელი მეიგავე (I ს.), ლათინურად ლექსავდა ბერძნულ იგავებს, რომელთაც ეზოპეს მიაკუთვნებდნენ.

გვ. 188. მალერბი, ფრანსუა (1555—1628) — ფრანგი პოეტი, კლასიციზმის ფუძემდებელი; რელიგიურ და პოლიტიკურ თემებზე დაწერილი მრავალრიცხოვანი ოდების ავტორი. ფრანსს მხედველობაში აქვს მისი ოდა „ბ-ნ პერიეს სანუგეშოდ, ქალიშვილის გარდაცვალების გამო“ (1599).

## სიცოცხლის ყვავილობა

გვ. 107. ქ-ნი კელიუსი, მარიამ-მარგარიტა (1673—1729) — ლუდოვიკო XIV-ის ფავორიტი ქალის ქ-ნ დე მენტენონის ძმისწული, ავტორი მემუარებისა, რომელშიაც XVII სკ. მიწურულის სამეფო კარის ყოფაა ისახული.

სენ-სიონი — კეთილშობილ ქალთა პანსიონი, დაარსებული სენ-სიონის მონასტერთან ქ-ნ დე მონტენონის მიერ.

გვ. 208. წითელი ლენტე — საპატიო ლეგიონის ორდენის ლენტი.

გვ. 210. ...ქანეტონს თურმე ასეთი ჩაჩით შეეშკაი პაწაწინა მეფე ივეტო... — მეფე ივეტო ბერანეს პოპულარული სიმღერის გმირია; მეფობდა ძველად ნორმანდიის ერთ-ერთ ოლქში. გვირგვინის ნაცვლად თითქმის ატარებდა ღამის ჩაჩს, რომელიც დახსურა ცუგრუმელა ქანეტონმა.

გვ. 210. ნეპომიუსენ ლემერსიე (1771—1840) — ფრანგი პოეტი და დრამატურგი, სატირული პოემის „პანიპოკრიზიადას“ ავტორი.

გვ. 225. ...დედილო ბატის ზღაპრები და იმდროინდელი არაკები, როცა ბერტა ძაფს ართავდა... — ანუ ძალიან ძველი ზღაპრები. დედილო ბატი ფოლკლორული სახეა. მას მიაწერდნენ ხალხურ ზღაპრებს. ეს სახე გამოიყენა შარლ პერომაც, როცა თავის ზღაპრებს სათაურად მისცა „ჩემი დედილო ბატის ზღაპრები“ (1697). მეფე პიპინის ცოლი ბერტა (VIII სკ.) გადმოცემის მიხედვით ქსელის მბეჭეველი იყო.

გვ. 230. უიროდე, ანა-ლუი დერუსი (1761—1824) — უფრო ცნობილია ტრიოზონის გვართ; ფრანგი მხატვარი. სენ-კლუს სასახლეში VIII წლის (1799) 18 ბრიუმერს ნაპოლეონმა გამოუცხადა ხუთასთა საბჭოს, რომ დირექტორია უქმდებოდა და ხელისუფლება გადადიოდა სამი კონსულის ხელში.

გვ. 241. ათენის სკოლა — რაფაელის ფრესკა ვატიკანის სასახლეში, რომელზედაც გამოსახულნი არიან: სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, ზენონი და სხვ.

გვ. 247. დელაროში, პოლიპოლიტი (1797—1856) — ფრანგი მხატვარი, ავტორი უზარმაზარი ფრესკისა „შუასაუკუნეებიდან დღევანდლამდე უთვალსაჩინოეს მხატვართა კრება“.

გვ. 250. კარლოს დიდის დღესასწაული — იმპერატორი კარლოს დიდი (742—814) ითვლება პირველი სამოქალაქო სკოლის დამაარსებლად საფრანგეთში. ამიტომ საფრანგეთის ყველა სასწავლებელი ზეიმით აღნიშნავს ამ დღეს.

გვ. 251. ნიტოკრიდა — ეგვიპტის დედოფალი VI დინასტიისა, ძვ. მეფეთა მეფობის ხანაში (III ათასწლ. ჩვ. ერამდე).

კორნელიუს ნეპოტუსის „ცხოვრებათა აღწერა“ — წიგნი, რომელსაც ძველ რომაელ ისტორიკოსს კორნელიუს ნეპოტუსს მიაწერენ. მასში უმთავრესად მხედართმთავართა ამბებია მოთხრობილი.

დრუიდები — ძველი კელტების (გალების) ქურუმები.

გვ. 252. სალამინის ბრძოლა — 480 წ. ჩვენს ერამდე საბერძნეთის ფლოტმა ათენელი მხედართმთავრის თემისტოკლეს

მეთაურობით სასტიკად დაამარცხა სპარსელები კუნძულ სალა-  
მინთან.

გვ. 254. მ ნ ე მ ო ს ი ნ ე — მესსიერების ქალღმერთი, ცხრა მუ-  
ზის დედა (ბერძ. მით.).

გვ. 257. ფ ა რ ნ ე ზ ე — ვილა რომში, რომელიც XVI სკ. ეკუ-  
თვნოდა კარდინალ ალექსანდრო ფარნეზეს, განთქმულია რაფაე-  
ლის ფრესკებით.

გვ. 260. ა ფ რ ო დ ი ტ ე ს მ ტ რ ე დ ე ბ ი — ძვ. საბერძნეთში  
მტრედი სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს კუთვნილი ფრინვე-  
ლი იყო.

გვ. 261. „ა ხ ა ლ გ ა ზ რ და ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი“ — 1833 წ. თეო-  
ფილ გოტიემ გამოაქვეყნა წიგნი „ახალგაზრდა საფრანგეთი“, სა-  
დაც ირონიულად აღწერა რომანტიკული ბოჰემის ზნეობანი.

გვ. 266. ე ო ზ ე ფ პ რ უ დ ო მ ი — სატირული პერსონაჟი, რო-  
მელიც შექმნა მწერალმა, მხატვარმა და მსახიობმა ანრი მონიემ  
(1805—1877), თავისი თავით კმაყოფილი და გონებაზეზღუდული  
ბურჟუა.

გვ. 286. ფ ო ნ ტ ა ნ ე ბ ი — ფონტანი ლუი (1757—1821) სა-  
შუალო რანგის პოეტი-კლასიციისტი, პარიზის უნივერსიტეტის რექ-  
ტორი ნაპოლეონ I-ის დროს: ცნობილი იყო თავისი გონებაზე-  
ზღუდულობით.

გვ. 297. ღ რ ჭ უ ლ უ ი — ანუ ლუი X; მისი ხანმოკლე მეფობის  
ერს ბევრს ტანჯვით ამოხადეს სული. გაძლიერდა ფეოდალური  
ინარქია და საფრანგეთმა დამარცხება იგემა ფლანდრიასთან ბრძო-  
ლაში.

გვ. 298. წ მ ი დ ა ლ უ ი — საფრანგეთის მეფე ლუი IX (1226—  
1270). ცნობილია თავისი მონაწილეობით ჯვაროსნულ ომებში.

გვ. 272. ...ღ რ ა მ ა ს შ ა რ ლ VII-ის მეფობის უკანასკ-  
ნ ე ლ წ ლ ე ბ შ ი გ ა დ ა ვ ყ ა ვ დ ი თ... — საუბარია ალ. დიუმა მა-  
მის რომანტიკულ დრამაზე „შარლ VII და მისი დიდ-დიდი ვასა-  
ლები“.

გვ. 276. ვ ე ლ ე დ ა (I სკ.) — გალების ქურუმი ქალი, შატობ-  
რიანის პოემის „მარტილთა“ პერსონაჟი. 1839 წ. მოქანდაკე მენ-  
დრონმა გააკეთა ველადას მარმარილოს ქანდაკება, რომელიც ლუქ-  
სემბურგის ბაღშია დადგმული.

გვ. 277. ი რ ი შ ე ფ ე რ ი (1795—1858) — ფრანგი მხატვარი,  
მხატვრობაში რომანტიკული მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდე-  
ბელთაგანი; ხატავდა სურათებს მისტიკურ სიუჟეტებზე.

გვ. 278. ბ ე რ ი ბ ა თ ე ტ ი კ ო ს ე ბ ი — ამგვარად უწოდებდნენ  
ირისტოტელეს მოწაფეებსა და მიმდევრებს.

გვ. 279. ბ ე რ ი ე, ნ ი კ ო ლ ა (1755—1841) — ცნობილი ფრანგი  
ადვოკატი.



გვ. 282. ე რ ს ი ლ ი ა — ცენტრალური ფიგურა დავიდის ტილოზე „საბინელი ქალები“.

გვ. 285. ...რ ო გ ო რ ც ა ლ ფ რ ე დ დ ე ვ ი ნ ი ს ო ფ ი ც ე რ ი... — ავტორს მხედველობაში აქვს ალფრედ დე ვინის „ჯარისკაცის დაცემა და ამბოღება“ (1835).

გვ. 280. კ ლ ა ვ ი ე, ე ტ ი ე ნ ი (1762—1817) — თავისი დროისთვის სახელგანთქმული ელინისტი.

გვ. 800. შ ი რ ო ნ ი (ჩვ. ერამდე V სკ. შუაგული) — ძვ. ბერძენი მოქანდაკე, რომელმაც სახელი გაითქვა ათლეტების გამოქანდაკებით.

გვ. 804. ...ა ჰ რ ე ლ ე ბ უ ლ ი წ ა რ წ ე რ ე ბ ი თ... — წმ. ენევიევას სახ. ბიბლიოთეკის კედლებზე გამოყვანილია ცნობილ მწერალთა სახელები.

გვ. 806. კ ლ ო დ ბ ე რ ნ ა რ ი (1813—1873) — ფრანგი ბუნებისმეტყველი და ფიზიოლოგი, ავტორი წიგნისა „ექსპერიმენტული მედიცინის შესავალი“ (1866).

გვ. 807. ...და ვ ი დ მ ა რ ო მ შ ე ძ ლ ო ა ლ ე ბ ე ქ და ს ა მ ა ს ი ს პ ა რ ტ ე ლ ი ს ს ა ხ ე ე ბ ზ ე... — ავტორს მხედველობაში აქვს სურათი „ლეონიდასი თერმოპოლისში, რომლის ცენტრშიაც გამოსახულია ბრძოლის წინ ჩაფიქრებული სპარტელი მეფე ლეონიდასი. 480 წელს ჩვენს ერამდე ლეონიდასი 300 სპარტელით გააფთრებით იცავდა სპარსელებისაგან თერმოპოლისის ხეობას; ყველა მისმა მეზობელმა და თვით მეფემაც ამ ბრძოლაში დასდეს თავი.

გვ. 811. ს ე დ ე ნ ი, მ ი შ ე ლ (1719—1797) — ფრანგი დრამატურგი, ავტორი მეზინაური დრამებისა.

გვ. 812. ლ უ ი დ ე რ ო ნ შ ო (1816—1887) — ფრანგი პოეტი და ხელოვნებათმცოდნე.

გვ. 818. ბ ლ ა ნ ი, შ ა რ ლ-ო გ ი უ ს ტ ი (1813—1882) — ფრანგი ხელოვნების ისტორიკოსი. ხელმძღვანელობდა „ყველა სკოლის მხატვართა ისტორიის“ გამოცემას (1850—1876).

„ს ა ს კ ი ა“, „ლ ა ვ ი ნ ი ა“, „და ხ ე უ ლ ხ ე ლ თ ა თ მ ნ ი ა ნ ი კ ა ც ი“ — სასკია რემბრანდტის ცოლი იყო, მხატვრის ბევრ სურათზე სწორედ ისაა გამოხატული; ლავინია ტიციანის ქალს ერქვა; „დახეულხელათმნიანი კაცი“ ველასკესის სურათია.

გვ. 814. ე ნ გ რ ი, ე ა ნ-ო გ ი უ ს ტ ი (1786—1876) — ფრანგი მხატვარი, დავიდის მოწაფე. მიისწრაფოდა მკაცრი მხატვრული ფორმისაკენ.

გვ. 815. „ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ფ ლ ე ი ტ ა“ — მოცარტის ერთ-ერთი ოპერის სათაური.

გვ. 810. „კ ა ნ ო ნ თ ა ს უ ლ ი“ და „ზ ნ ე-ჩ ე ე უ ლ ე ბ ა თ ა შ ე ს ა ხ ე ბ“ — „კანონთა სული“ მონტესკიეს ტრაქტატია (1748), „ზნე-ჩვეულებათა და ხალხთა სულის შესახებ“ (1756) — ვოლტერისა.

გვ. 817. თ ე ო კ რ ი ტ ე და კ ა ტ უ ლ ი — თეოკრიტე (ჩვ. ერამ-

დე III სკ-ის შუაგული) ძვ. ბერძენი პოეტი, ავტორი პასტორალური იდეალებისა; კატული (80-იანი წლები ჩვენს ერამდე — გარდ. დაახლ. 54 წ.) — რომაელი პოეტი ლირიკოსი.

გვ. 310. ნეტარ არს იგი, მეგობრებო, ვის დაბადებდა... — ეს სტრიქონი ეკუთვნის ფრანგ პოეტ-რომანტიკოსს და ლიტერატურულ კრიტიკოსს სენტ-ბევს (1804—1869).

კვატროჩენტო — XV საუკუნე. (იტალ.).

გვ. 321. ...ცეცხლს მისცეს დამარცხებულე მამა... — 1871 წლის 24 მაისს პარიზის კომუნის ბრძოლების დროს ვერსალელთა წინააღმდეგ დაიწვა ტიულრის სასახლის დიდი ნაწილი.

გვ. 322. გვიდო, კარაჩი, სპანოლეტო, ბატონი, რაფაელ მენგსი — გვიდო რენი, კარაჩი — ალორძ. ხანის იტალიელი მხატვრებია; სპანოლეტოს უწოდებდნენ ესპანელ მხატვარ ხოზე რიბიერას (1588—1655), რომელმაც მრავალი წელი იტალიაში გაატარა; პომპეო ბატონი (1708—1788) — იტალიური კლასიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია; რაფაელ მენგსი (1728—1778) — გერმანელი მხატვარი.

გვ. 323. ქ-ნი დენოაი, ანა-ელიზავეტა (1873—1933) — ფრანგი პოეტი და მწერალი ქალი, ფრანსის მეგობარი; მან ფრანსს უძღვნა რამდენიმე ლექსი, სიტყვით გამოვიდა მწერლის 80 წლის-თავთან დაკავშირებით გამართულ იუბილეზე 1924 წ.

ლუციუს იულიუს ბრუტუსი (VI სკ. ჩვ. ერამდე) — ერთ-ერთი დამაარსებელი რომის რესპუბლიკისა. რა გაიგო, ჩემი შვილები ცდილობენ ტახტიდან ჩამოგდებული მეფის ხელახლა გამეფებასო, ბრუტუსმა, რომელიც ამ დროს კონსული იყო, თვითონ გამოუტანა მათ სასიკვდილო განაჩენი. გადმოცემის თანახმად რომაელმა ვერგილიუსმა თავისი ხელით მოკლა ქალიშვილი, რომ კანონმდებელ აბიუს კლავდიუსს (449 წ. ჩვ. ერამდე) მისთვის ნაჭუსი არ აეხადა.

კურულთა სავარძლები — სპილოს ძვლისაგან ნაკეთები სავარძლები, რომლებზედაც რომაელი კონსულები ისხდნენ თავიანთი მოვალეობის აღსრულებისას.

გვ. 328. გერენი, უიროდე, ბატონი რენიო, ერსანი — XIX სკ. პირველი ნახევრის ფრანგი მხატვრები, ამპირის სტილის წარმომადგენლები.

გვ. 329. ნიკოლი, პიერი (1625—1695) — ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი იანსენიზმისა.

გვ. 331. რომისა ქირი განა გულებს შეგვეოფოთებდა... — სტრიქონი ამოღებულია ძვ. რომაელი პოეტის ლუკრეციუსის პოემიდან „საგანთა ბუნებისათვის“.

გვ. 336. ჰე, თებელნო, დამეაწმუნეთ, სიკვდილის დღემდე... — სტროფი ამოღებულია რასინის „თეზიდა ანუ ძმები მოსისხარებიდან“ (1664).

გვ. 880. ...ლიგის დროებაში პიერ დე ლეტუალი... — XVI სკ-ში, რელიგიური ომების დროს, როცა ჰერცოგი გიზებო ტახტზე ასვლას ლამობდნენ, შეიქმნა კათოლიკური ლიგა ჰუგენოტების წინააღმდეგ. პიერ ლეტუალი (1546—1611) — ფრანგი ისტორიკოსი, ავტორი „მოგონებებისა“, რომელშიაც აღწერილი აქვს ეს რელიგიური ომები.

გვ. 810. ქ-ნი დე მირბელი (1796—1849) — პორტრეტისტი ქალი, რომელსაც რესტავრაციის პერიოდში დიდი წარმატება ჰქონდა.

გვ. 848. ქ-ნი დე ქანლისი (1746—1830) — ორლანის ჰერცოგის შეილების აღმზრდელი, რამდენიმე რომანისა და მემუარების ავტორი.

დეზოჟიე, მარკ-ანტუან ეგალიტე (1772—1827) — პოეტი მოსიძლერე. მრავალი სუფრული სიმღერის ავტორი.

გვ. 844. ბუშე დე პერტი (1788—1868) — ფრანგი არქეოლოგი, პირველყოფილი ადამიანის სადგომების მძიებელი.

კუვიეჟორჟი (1769—1832) — ფრანგი ბუნებისმეტყველი. ფიქრობდა, სახეობათა ბუნება არ იცვლებათ.

გვ. 847. ...შემდეგ მოჰყვა სიმღერას... — ამას მოსდევს ვერგილიუსის VI ეკლოგის შინაარსი.

გვ. 852. მონტეგლონი, ანატოლი (1824—1895) — ფრანგი ფილოლოგი, იკვლევდა შუა საუკუნეების ლიტერატურას.

გვ. 858. ...ორფეოსისა და ოზირისის კვერცხები-გითნაყოფიერი და მისტიური... — ძვ. საბერძნეთში VI სკ. ჩვ. ერამდე იშვა რელიგიურ-მისტიური სექტა ორფეოსებისა, რომელიც თავის დამაარსებლად მითიურ პოეტ-მომღერალ ორფეოსს თვლიდა. მათი კოსმოგონიის მიხედვით სამყაროს გაჩენამდე ჭერ უზარმაზარი კვერცხი არსებობდა, რომელიც თავის თავში მოიცავდა ყველა საგნის პროტოტიპს. ამგვარი რწმენა არსებობდა ეგვიპტურ მითოლოგიაშიც.

გვ. 858. ვეიო, ლუი-ფრანსუა (1813—1883) — ფრანგი რეაქციული პუბლიცისტი.

ლუზინიანი — ვოლტერის ტრაგედიის „ზაირას“ გმირი, ჭვაროსნულ ლაშქრობათა მონაწილე, კვიპროსის ქრისტიან მეფეთა შთამომავალი.

გვ. 800. ოქტავ ფეიე (1821—1890) — ფრანგი მწერალი, სანტიმენტალურ-ფსიქოლოგიურ რომანთა ავტორი.

მირბელი — პროვანსელი პოეტის ფ. შისტრალის (1830—1914) ამავე სახელწოდების პოემის გმირი ქალი; შშობლებმა იგი მიყნურს ჩამოაცილეს და დარდს გადაჰყვა.

გვ. 862. სარგონის სასახლე — ანტიკური მეფის სარგონ II-ის (VIII სკ. ჩვ. ერამდე) მიერ აგებული სასახლე; XIX სკ. შუა წლებში აღმოჩენილი იქნა ამ გრანდიოზული სასახლის ნანგრევები.

ლუდოვიზის არესი — ძვ. ბერძნ. ომის ღმერთის არესის ქანდაკება, რომელიც შედიოდა კარდინალ ლუდოვიზის (XVII ს.) კოლექციაში.

გვ. 368. ეროსი და ანტეროსი — ბერძნულ მითოლოგიაში სიყვარულისა და გაზიარებული სიყვარულის ღვთაებანი, მათ ხშირად გამოსახავდნენ საფლავის ქვებზე: ეროსს ჩამქრალი ჩირაღდნით, ანტეროსს — ანთებულით; ეს გახლდათ გარდაცვლილისადმი საუკუნო სიყვარულის სიმბოლო.

ზოზეიდა — ხალიფა ქარუნ აღ-რაშიდის ცოლი „ათას ერთ ღამეში“.

გვ. 871. ბ-ნი და ქ-ნი ვიარდოები — ლუი ვიარდო (1800—1883) — ხელოვნებათმცოდნე და ლიტერატორი; მან თარგმნა ფრანგულად პუშკინის, გოგოლისა და ტურგენევის ბევრი ნაწარმოები. პოლინა ვიარდო (1821—1910) — მისი მეუღლე, ცნობილი მთმღერალი, მეგობრობდა ტურგენევთან.

გვ. 878. პაოლო უჩელო (პაოლო დი დონი, დაახლ. 1396—1475) — ფლორენციელი მხატვარი.

გვ. 878. „ნადიმში“ — ძვ. ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის დიალოგის ფორმით დაწერილი ტრაქტატი. მისი ერთ-ერთი თემაა კამათი სიყვარულის არსსა და ხასიათზე.

ალკესტი და ს გმირობა — ალკესტიდა ევრიპიდეს ამავე სახელწოდების ტრაგედიის გმირი ქალია მან თავი გასწირა, რათა სიკვდილისაგან დაეხსნა ქმარი.

გვ. 880. პერაკლიტე ფესელი (დაახლ. 540—480 წწ. ჩე. ერამდე) — ძვ. ბერძ. მატერიალისტი ფილოსოფოსი და დიალექტიკოსი.

სოფოკლეს ტრილოგია — ტრაგედიები „ოიდიპოს მეფე“, „ოიდიპოსი კოლონაში“, „ანტიგონე“.

ელევისი ური მისტერიები — ძვ. ბერძნ. მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთისა და მცირე ქალის, პერსეფონეს სადიდებლად გამართული მისტერიები.

...როს ავგუსტუსმა იანუსის ტაძრის კარი და-რა ა... — ორსახოვან იანუსს რომში თაყვანს სცემდნენ როგორც შესასვლელისა და გამოსასვლელის, დასაბამისა და დასასრულის ღვთაებას. რომში წესად ჰქონდათ ომიანობის დაწყებისთანავე შეეხსნათ იანუსის ტაძრის კარი. კარი ღია რჩებოდა ომის დასასრულამდე. იმპერატორი ავგუსტუსი წერდა თავის „საგმირო საქმეებში“: „კვირინუსის იანუსის ტაძარი... რომელიც ქალაქის დაარსებიდან ჩემს გაჩენამდე სულ ორჯერ იყო დაკეტილი, ჩემი პრინციპატობის დროს სენატის დადგენილებით სამჯერ დაიხურა“.

გვ. 888. ქ-ნი რეკამიე, ჟიული (1777—1849) — ბანკირის მეუღლე. შატობრიანის უახლოესი მეგობარი. მონარქიული სალონის დიასახლისი.

გვ. 884. ...სიძველეთა დიდი ლექსიკონის შედგენაში ვღებულობ მონაწილეობას... — ანატოლ ფრანსის თანამშრომლობდა „ბერძნულ და რომაულ სიძველეთა ლექსიკონის“ გამოცემაში.

გვ. 885. სამლოცველო წისქვილები — ღრუ, მოტრიალუ ცილინდრის ტიპის მოწყობილობა, რომლის შიგნითაც ლოცვების ტექსტს ღებდნენ; ხშირად ასეთ წისქვილებს ატრიალებდნენ ტიბეტის ბუდისტები ლოცვების კითხვის ნაცვლად.

გვ. 887. ბენ-ჯონსონის „ალქიმიკოსი“ — ინგლისელი დრამატურგის ბენ-ჯონსონის (1573—1637) კომედია.

მარივო, პიერი (1688—1763) — ფრანგი დრამატურგი, მრავალი კომედიის ავტორი.

გვ. 888. „ლისისტრატე“ — ძვ. ბერძ. პოეტის არისტოფანეს (V სკ. ჩვ. ერამდე) კომედია.

გვ. 889. ეანა ლეფუელი — ეანა ლეფუელზე ნამბობში აისახა ახალგაზრდა ფრანსის გატაცება მსახიობ ელიზა დევიოდით, რომელსაც მან უძღვნა 1856—1866 წწ. დაწერილი ლირიკული ლექსების ციკლი. ფრანსის სიცოცხლეში ეს ლექსები არსად დაბეჭდილა.

კაზანოვა (1725—1798) — იტალიელი ავანტიურისტი, ავტორი სკანდალური „მემუარებისა“, რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს თავის სამიჯნურო თავგადასავალთ.

გვ. 891. ...როგორ შეაჩეჩა პიროსმა სცენაზე ანდრომაქეს ხელში კვერცი... — საუბარია რასინის ტრაგედია „ანდრომაქეზე“ (1666).

გვ. 893. ...ისე, ვით ულისე კიმერელთა მხარეში, ჩვენც ნეკიას ვწიარავდით სულეთის ღმერთს... — „ოდისეას“ XI ქებაში ოდისეესი, კიმერელთა მხარეში რომ ხვდება, მიწისქვეშა სამყაროდან გამოუხმობს გარდაცვლილთა აჩრდილებს. ნეკია — ეს შეწირულებაა ჰადესისათვის, მიწისქვეშა სამყაროს ღმერთისათვის.

გვ. 894. საქმეც ეგვიპოს საძნელო და სახათაბალო... — სტრაბონი მოხმობილია ვერგილიუსის „ენეიდადან“ (ქება VI).

გვ. 898. ...მემუარებში „ხმა სამარიდან“ — ავტორი მიაინიშნებს შატობრიანის წიგნს „ხმა სამარიდან“ (1848).

გვ. 899. ლუსიენ დეკავი (1861—1949) — ფრანგი მწერალი და დრამატურგი, მეგობრობდა ნატურალისტებთან.

შენიშვნები გაკეთებულია ა. ფრანსის რუსული შეიღბომეულისათვის დართული ი. ა. ლილევას კომენტარების მიხედვით.

